114
1979

ეროვნული ბიბლიოთეკა

ISSN 0132-599 X

# მნათობი

2 1979

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 56-ე № 2 თებერვალი, 1979 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## შინაარსი

სასახელო გამარჯვებათა გზით . . . . . . . . . . 3
კოლაუ ნადირაძე — ბალადა წინანდლის ბაღისა . . . . . . . 5
ოტია იოსელიანი — შავი და ცისფერი მდინარე. რომანი. წიგნი მეორე. ნაწილი პირველი . . . . . . . . . . . . 15
შალვა ამისულაშვილი — ლექსები . . . . . . . . . 50
იზა ორჯონიკიძე — ლექსები . . . . . . . . . . 52
ლადო სულაბერიძე — ლექსები . . . . . . . . . . 55
გრიგოლ ჯულუხიძე — ლექსები . . . . . . . . . . 57
ბეგლარ მუჯირიშვილი — როგორ მომკლეს ფაშისტებმა. მოთხრობა . . . 59
მურად ნებიერიძე — ლექსები . . . . . . . . . . 64
აკაკი ჩხაიძე — ლექსები . . . . . . . . . . 66
გიორგი პაპუაშვილი — შორეული ციალი. რამდენიმე თავი რომანიდან . . . 68

### ნარკვევები ხუთწლედის დღეებზე

მირონ ხერგიანი — შენ, თიანეთო, კარგი ხარ... დასასრული . . . . . 110

### კრიტიკა და პუბლიცისტიკა

გიორგი ნატროშვილი — ჩვენი დიდი მეგობარი . . . . . . . 130
შალვა ჩიჩუა — რომანის ცნება და რომანის ისტორია. დასასრული . . . 136
გურამ გვერდწითელი — „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა“ 144
ემზარ კვიტაიშვილი — გამოსახვის ხერხები ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიაში 151
გივი ბოსტოღანაშვილი — გაცოცხლებული გუშინდელი დღე . . . . 163
სულხან ქორდანია — ვაჟა-ფშაველას მხატვრული აზროვნების ზოგიერთი თავისებურება . . . . . . . . . . 169
მიხეილ სვანიძე — კიდევ ერთხელ გიორგი სააკაძის უკანასკნელი დღეების შესახებ ოსმალეთში . . . . . . . . . . 176

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

## წიგნების მიმოხილვა


გურამ შარაძე — სარგის ცაიშვილის ლიტერატურული წერილები . . . 181

ალექსანდრე ღლონტი, ილია მაისურაძე — „ტბეთის სულთა მატიანის“ გამოცემის გამო . . . . . . . . . . . . 184

ალექსანდრე გვახარია — ნახევარი საუკუნე მეცნიერების სამსახურში . . 187

ზ. ხარაბაძე — „ჩვენი სამშობლოს მიწანი!“ . . . . . . . . 189



მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი

სარედაქციო კოლეგია:

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი (მთ. რედ. მოადგილე), ხ. ბერულავა, ო. ბიბინეიშვილი, კ. კალაძე, მ. ლებანიძე, ლ. მრელაშვილი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი, დ. შენგელაია, ნ. წულეისკირი, ვ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, გ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.



ტექრედაქტორი რ. ჩაკვეტაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11.
რედაქტორის მოადგილის — 93-55-13, განყოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 24/I-79 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/III-79 წ., ანაწყობის ზომა $7^1/_4 \times 12$, ქაღალდის ფორმატი $70 \times 108^1/_{16}$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 13, სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 16,58.

უე 07844. ტირაჟი 15.250. შეკვ. 281.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.



© საქ. ცკ-ის გამომცემლობა, 1978.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სასახელო გამარჯვებათა გზით

მთელი გატაცებით, უდიდესი პოლიტიკური აღმავლობით, შრომითი ენთუზიაზმით, სახელოვანი კომუნისტური პარტიის საქმის სიმართლისა და გამარჯვების, საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი ძალებისა და გონების უშრეტი რწმენით ემზადება მთელი ჩვენი უზარმაზარი სამშობლო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის. წინასაარჩევნო კამპანიამ კიდევ ერთხელ ნათლად უჩვენა მთელ მსოფლიოს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ურღვევი ერთიანობა, სსრ კავშირის ყველა ერისა და ეროვნების მონოლითური შეკავშირება; ხალხთა ლენინური მეგობრობა, სოციალისტური ინტერნაციონალიზმი, საბჭოთა პატრიოტიზმი — ეს არის უმტკიცესი და ურყევი საფუძველი, რომელზედაც აშენებულია მთელი ჩვენი ცხოვრება, ჩვენი აწმყო და მომავალი; ეს არის ჩვენი იმედიანი ოცნება და მზიური სინამდვილე.

განვლილი წლები თვალსაჩინო მოვლენებით აღინიშნა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იყო სკკპ პარტიის XXV ყრილობა, რომელმაც შეიმუშავა ჩვენი შემდგომი მშენებლობის ვრცელი პროგრამა. ძალაში შევიდა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია — საერთო-სახალხო სოციალისტური სახელმწიფოს ძირითადი კანონი. „ყველა ვამაყობთ იმით, — ნათქვამია ცენტრალური კომიტეტის წინასაარჩევნო მიმართვაში, — რომ ჩვენ ქვეყანაში აშენდა მსოფლიოს პირველი განვითარებული სოციალიზმის საზოგადოება. ეს გამარჯვება მრავალმილიონიანი მასების ჭეშმარიტად ტიტანური გარჯის შედეგია. მასში ჩაქსოვილია ყველა თაობის საბჭოთა ადამიანების გონება და შრომა, ვაჟკაცობა და თავდადება, ცოდნა და გამოცდილება“.

ყველა ჩვენი მიღწევა და გამარჯვება განუყრელად არის დაკავშირებული კომუნისტურ პარტიასთან; საბჭოთა ადამიანები ერთსულოვნად უჭერენ მხარს მის ბრძნულ პოლიტიკას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის, დიდი ლენინის საქმის ერთგული გამგრძელებლის, მშვიდობისა და კომუნიზმისათვის დაუცხრომელი მებრძოლის, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ნაყოფიერ საქმიანობას. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებზე ხმის მიცემით საბჭოეთის მოქალაქენი კვლავ ცხადყოფენ ერთგულებას ოქტომბრის საქმისადმი, პარტიის საქმისადმი, მტკიცე გადაწყვეტილებას, განახორციელონ მისი წინასწარდასახულებანი, მისწრაფებას — იცხოვრონ, იმუშაონ და იბრძოლონ ლენინურად, კომუნისტურად.

საქართველოს პარტიული ორგანიზაცია, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყველა რაზმი, ჩვენი რესპუბლიკა, გარემოსილი არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის, პოლიტბიუროს, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის დიდი ზრუნვით. ამ ზრუნვის მკაფიო გამოხატულებაა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის დადგენილება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის თაობაზე, აგრეთვე მთელი რიგი სხვა მომდევნო, დიდად მნიშვნელოვანი დადგენილებები საქართველოს რესპუბლიკის შესახებ; განსაკუთრებული მნიშვნელო-

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის გადაწყვეტილება გამოიტანა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ნოემბრის პლენუმმა, რომელმაც ჩვენს პარტიულ ორგანიზაციას დიდი მხარდაჭერა და ულრმესი ნდობა გაუწია. ამ პლენუმმა საბჭოთა კავშირის კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად აირჩია საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი — ამხანაგი ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძე. ამ ამბავმა სიხარულისა და სიამაყის გრძნობით აღავსო საქართველოს მშრომელთა გული. ეს იყო ღირსეული დაფასება იმ დიდი შრომითი აღმავლობისა, ძალთა იმ დაძაბვისა, იმ შემოქმედებითი და ქვეყნის გარდამქმნელი გარჯისა, იმ მართლაც რომ ისტორიულ ღვაწლისა და ამაგისა, რომელიც დასდეს სამშობლოს საქართველოს მშრომელებმა — მუშებმა, კოლმეურნეებმა, ინტელიგენციამ. ამ ბოლო წლების მანძილზე მათ შრომითი სასწაულები მოახდინეს. ამ ღვაწლისათვის, ამ გამარჯვებისათვის ისინი დარაზმა საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ, მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების დღეებში კიდევ ერთი დიდი სიხარული მოუტანა საქართველოს მშრომელებს ცნობამ იმის თაობაზე, რომ საქართველომ, რესპუბლიკათა შორის სოციალისტურ შეჯიბრებაში, სასახელო წარმატებებს მიაღწია, რისთვისაც იგი დაჯილდოვებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

ეს ხალხის შემოქმედებითი შრომის ღირსეული დაფასება იყო. სოციალისტური ლიტერატურის ფუძემდებელი, დიდი რუსი მწერალი მაქსიმ გორკი ამბობდა: „ხალხი არის არა მარტო ის ძალა, რომელიც ქმნის ყოველგვარ მატერიალურ ღირებულებას, ის, იმავე დროს, არის ერთადერთი და დაუშრეტელი წყარო სულიერი ღირებულებებისა, ის არის, როგორც დროის, ისე შემოქმედების, სილამაზისა და გენიალობის მიხედვით, პირველი პოეტი და ფილოსოფოსი, რომელმაც შექმნა ყველა დიადი პოემა, ყველა უბრწყინვალესი ეპოპეა დედამიწაზე და მათ შორის უდიადესი ქმნილება — მსოფლიო კულტურის ისტორია“.

დიდია ჩვენი წარმატებანი კულტურის ფრონტზეც. სოციალისტური ინტერნაციონალიზმის შუქი, როგორც მზის შუქი მწვანედ აღაღანებულ ყანას, ისე დაჰნათის საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის დედა ენას, ყველა საბჭოთა ხალხის კულტურას, რომ არც ერთ თავთავს თავის კუთვნილი სხივი არ დააკლდეს, არც ერთი არ დაჭკნეს, ფესვი არ გაუხმეს, ყველა მათგანმა იხაროს და იდღეგრძელოს.

განუზომელია ახლა მწერლობის როლი, მისი პასუხისმგებლობა პარტიისა და სამშობლოს წინაშე; მან თავისი ძალღონის უფრო მეტი დაძაბვით უნდა მოჰკიდოს ხელი თემებს, რომლებმაც ახლა განსაკუთრებული ეპოქალური მნიშვნელობა შეიძინეს, იმ მორალურ-ეთიკურ პრობლემებს, რომლებიც წინა პლანზე წამოსწია განვითარებული სოციალიზმის ეპოქამ. ამ თემებს შორის, ცხადია, პირველ ადგილზეა ჩვენება ნოვატორი ადამიანის შრომისა, მისი მაღალი მორალისა და მისი დაუცხრომელი ბრძოლისა ყოველგვარი ჩამორჩენილის, ბნელის, ნეგატიურის აღსაკვეთად და გზიდან ჩამოსაშორებლად.

ასე ერთგულად უნდა ემსახუროს მწერალი პარტიასა და სამშობლოს, თავის ხალხს, ასე გაბედულად უნდა ჰკაფავდეს ნათელი მომავლის გზას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლაუ ნადირაძე

# ბალადა წინანდლის ბაღისა

წინანდლის ბაღში,
წინანდლის ბაღში,
პოეტი ბავშვის
უმანკო სულში,
ჟამს მყუდროების,
ჟამს ნეტარების,
ციური ძალით
შემოდგა შუქი,
ვით სხივი მზისა —
შუქი ტრფობისა
და... ღვთაებისა!

წინანდლის ბაღში,
წინანდლის ბაღში,
ვარდის ფურცლობის
დრო იყო მაშინ!
„უცხო საყურეს"
ჩრდილში გრილოდა!..
„ვაზი ობოლი
მეტის ლხენითა"
ცრემლებს აფრქვევდა,
უხმოდ ხარობდა,
მხოლოდ მშობლიურ
ცისა ლაჟვარდში —
იბერთა ქვეყნის —
ნათელ ლაჟვარდში
ქერუბიმების გუნდი
გალობდა!

წინანდლის ბაღში,
პოეტი ბავშვი
იშრობდა ცრემლსა —
ჭმუნვათა მქარველს,
შემდეგ მან გული,
შესაწირ მსხვერპლად,
ქცეული ფერფლად,
ვით საკმეველი,
უკმია ქალწულს —
ტრფობის ღვთაებას —
წინანდლის ბაღში...

წინანდლის ბაღში
ჟამს განშორების,
ჟამს მწუხარების,
პატარა წიგნი,
ნაწერი ხელით,
ვით საიდუმლო,
ვით აღსარება
უმღელვარესი,
ორჯად დაფარული,
ანდო ქალწულის,
მთრთოლვარე თითებს —
წინანდლის ბაღში.

წინანდლის ბაღში
ვარდების ჭკნობის
დრო დადგა მაშინ!
პატარა წიგნი,
ხელით ნაწერი,
მან ანდო მხოლოდ
ქალწულის თითებს,
და შემდეგ თავათ, —
საბედისწეროდ —

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავგანწირული
„მერანის“ ქროლვით,
ყორანთა,
ქართა და
ქარიშხალთა
მოთქმა-ღრიალში,
სატრფოს ცრემლებით
დაუნამავი,
წინაპართ შორის
დაუმარხავი,
მარადისობის
და უკვდავების
თან გაჰყვა
ცისფერ,
მღელვარე ზვირთებს,
თან გაჰყვა
სიზმრებს,
ლეგენდებს,
მითებს!

და დარჩა მხოლოდ
ქალწულის ხელში
პატარა წიგნი,
ისე, ვით ცეცხლი
გულისმდაგველი!
წიგნი პატარა,
ნაწერი ხელით,
მსუბუქი,
როგორც ბავშვის
რვეული,
დიადი ტრფობის,
სადაც სუნთქვა გაწომსახველი,
ჩამარხულიყო
და
გულისცემა
ღვთაებრივ ჰანგად
გადმორხეული!

ქალწულის უბე
ამ წიგნს
მალავდა,
ქალწულის უბე
წიგნს არ ჰკარგავდა —
განძს უძვირფასესს,
მას არ აკლებდა
ის თავის ალერსს,
და ხშირად,
ხშირად,
ზეციურ თვალთა
მოელვარე
ხავერდს აფენდა
უკვე სულ ოდნავ
ფერშეცვლილ
ხელნაწერ ფურცლებს.

## კოლხეთის დედოფალი

ო, ყოველივეს
ადამიანის
პატარა გული
იტყვის და უძლებს!
ტკივილს და სევდას
თვით განშორების
წლებსა და წუთებს!
იმაზე დიდი,
იმაზე მეტი,
რაც უკვე მოხდა,
რა უნდა მოხდეს?!
რა უცნაურად,
უფერულად და
უნუგეშოდ
ტრიალებს ბედი!
ეხლა კი მაინც
რას მოელის?
რას ელოდება?
ხომ ყოველივეს,
ხომ ყველაფერს
აქვს თავის ხვედრი
დაუძლეველი და
გარდუვალი!!
და დედოფალის
თვალწინ დგება
ისევ და ისევ:
მშობლიურ სახლის
მყუდროება —
წლები ბავშვობის,
უფროსი დისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გათხოვება და
უბედობა...
წინანდლის ბაღში
მთვარიან ღამით
შეხვედრები,
ჩუმი თრთოლვა
და...
ჟრუანტელი!
ტრფიალის წუთი
ბედნიერი,
წამი მზიანი!
და შემდეგ,
შემდეგ — განშორების
დღე ნისლიანი!
მაგრამ ამას ხომ
ყოველივეს
წარსული ჰქვია!
ეს ხომ ის არის,
რაც ერთხელ ვნახე,
როგორც სიზმარი,
და მოლანდება,
რაც არასოდეს
უკვე აღარ
განმეორდება,
რაც არასოდეს,
არასოდეს
არ დაბრუნდება!!

მაგრამ ოდესმე,
წარსულზე მეტი,
თუ შერჩენია
ნეტავი რამე
ამ ცოდვილ ქვეყნად
ეგზომ საბრალოდ
მოხეტიალე
მობაჯბაჯე,
განწირულ სულდგმულს,
რომელსაც ჰქვია
ადამიანი?!

გავიდნენ წლები,
რაც წინანდალს
ფურჩქვნილი ვარდი,
წინანდლის ბაღის
მშვენიერება
მზიურ კოლხეთის
დედოფლად იქცა.
და ახლა იგი
გვირგვინის გვერდით
ინახავს კრძალვით
პატარა წიგნაკს..

საყურის ჩრდილ ქვეშ
სულს პოეტისას
ის განასვენებს!
კოლხეთის მთვარე
დაქათქათებს
წიგნაკის ფურცლებს...
დედოფლის კუთხეს
სდარაჯობენ
მთვარის ლანდები,
და უნუგეშო
ბნელ ღამეებს
ცვლიან ხანძრებად
მოელვარე,
განთიადები!

მაშინ, როდესაც
ოდიშის მხარეს,
სადადიანოს,
მთელს სამეგრელოს,
მთელ საქართველოს
მზე ზაფხულისა —
ივლისის თვისა —
გაბოროტებით
მთელი სიმკაცრით
ევლინებოდა.
ო, მაშინ ხშირად,
ზეციურ თვალთა,
გიშრის წამწამთა
ხავერდი მუქი
„მერნისა“ და
„შემოღამების“
სტრიქონებს უკვდავს
ეფინებოდა.

ჟამს მარტოობის,
კოლხურ ზამთარში,
ჟამს სინანულის,
კაეშნისა და
მოგონების, —
როს გლოვის ზარით,
კოლხეთის ქარი
გაშმაგებით
უტევდა არეს,
არბევდა ტყე-ველს,
როცა სასახლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წეფურ ბუხარში
მოთქვამდა მწარედ,
და, ზოგჯერ, ფანტელს,
თოვლის ფანტელს,
თეთრ არშიებით
ჰქარგავდა გარეთ, —
ისევ მუხლებზე
იდო წიგნაკი,
თხელი წიგნაკი,
რვეულის მსგავსი...
ბუხრიდან ცეცხლის
ენები კრთოდნენ
დედოფლის დახრილ
მხრებზე, მუხლებზე
და...
ალმასებად აელვარებდნენ
აქა-იქ, ცრემლებს
ფრქვეულს ფურცლებზე!

გარეთ კი ქარის
ოხვრა, შრიალი
თითქოს ისმოდა
და არც ისმოდა!
ბუხარში ცეცხლი
კრთოდა, ელავდა!
მაგრამ დედოფლის
სევდიან სულში
სხვა ცეცხლი ენთო,
სხვა ზღვა ღელავდა!
თუ თოვდა, —
თოვლის შრიალს
მიჰქონდა
თითქოს იდუმალ
ფიქრთა შრიალი, —
ფიქრთა ფარულთა
და განუყრელთა
საბედისწერო
ჟამთა ტრიალში!

მთელ საქართველოს
ჭალებს და
ჭინდვრებს,
მთების მწვერვალებს,
ველებს და ბაღებს
დღეს თოვლი ფარავს!
ფარავს ეს სუფთა
თოვლის სითეთრე!
ო, ალბათ ბაღებს,
წინანდლის ბაღებს,
წინანდლის ვაზებს
თოვლის მსუბუქი
ფანტელი აწევს,,
როგორც ჩემს ირგვლივ
კოლხეთის ბაღებს,
ამ კოლხურ ველებს,
და დამჭკნარ ვარდებს,
როგორც ჩემს ფიქრებს,
როგორც ჩემს დარდებს!
და ისევ სევდა
ჩაუქრობელი,
ისევ ტკივილი
დაუცხრომელი!
ისევ ცრემლები
სევდიან თვალთა!
და განუწყვეტლივ
კაეშნიანი,
ამ ზენა ქარის
გულის წამლები
გოდება კართან!

## პეტროგრადში

დედოფალს დაღლილს
დიდი მგზავრობით,
ხვდება ქალაქი —
პეტრეს ქმნილება —
ნისლის მრავლობით!
ხვდება წვიმების
შრიალით ნელით,
ყალყზე დამდგარი
ალაგმულ ცხენის
ქანდაკებით,
და ზედ მჯდომარე
ძლიერი მეფის —
ბრინჯაოს მხედრის, —
თვითმპყრობელურად,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაწვდილი ხელით!
აჰა, ეს ნევაც,
ნევა, გრანიტში მოქცეული,
ნევა ტყვედქმნილი!
დინჯად, მეფურად
რომ მოდენის
ვეება ტალღებს!
თვალი ეძიებს,
მოხიბლული,
ლასაწყისს მისსა,
მაგრამ ამაოდ
იღლება ხედვა!
შორს არჩევ მხოლოდ,
ტორტმანით,
ზღვაში
მის ზვიად შერთვას!
ო, ეს ქალაქი
საოცარი და
უცნაური,
მოუსვენარი,
დაუცხრომელი
თავის ხმაურით!
რუსეთის ლტოლვის,
მისი წინსვლის
გამომსახველი,
მისი ზეიმის,
გამარჯვების დღეთა
მნახველი!
ო, ეს ქალაქი
კუნძულების
წარმტაც მშვენებით!
დიდი მგოსნების,
დიდი ხუროთა,
მშენებელთა
შთაგონებით
ანამღერები!
შემოქმედების
და განცდების
წმინდა ალაგი!

## დღეები

და ისევ, ისევ
მარტოობა
შორს სამშობლოდან!
აქ, ამ შორეულ
ჩრდილოეთში,
ამ სიცივეში,
ამ უკუნეთში
ზღვა დავიწყების!
ნუთუ სავსებით
დამკარგვია
ძალა, მხნეობა?!
სად გაქრა ჩემი
სიყმაწვილე, ჩემი მეობა?!
ო, ღვთისმშობელო,
განა, ვით მონა,
ვით დედოფალი —
შეგვედრებივარ მე ოდესმე,
სატანჯველი
რომ აგცდენოდა?!
განა შეგცოდე,
განა ღვთის მიერ
ნაბოძები
წავაგე სული?!
მე არ მიმიძღვის
შენს წინაშე
ცოდვა და ბრალი!
არ შემხებია
მე მიწიერ
და ბნელ ზრახვათა
დამდაგველი
ვნებათა ალი!
განა რაც იყო —
მოლანდება, სიზმარი არის?!
ეს დიდი სევდა,
ჯვარის ზიდვა?!
ჩემს გასავლელად
ბეწვის ხიდი
განა არ იდვა?
მაგრამ მე შევძელ,
შევძელ გავლა
ამ ბეწვის ხიდზეც!
მე მხოლოდ ჩემში,
მხოლოდ ჩემში
ვპოვე ეგ შვება —

ეს ერთადერთი
სასოება და ნეტარება!
განა ეს მხოლოდ
სიზმარია,
სულის ცდუნება?
ო, ახლა ჩემს გულს,
უკვე დაღლილს,
განვლილ სიცოცხლის
სინანული არ ეკარება!!
ო, ღვთისმშობელო,
ჩემი ქვეყნის
მფარველო დედავ,
ჩვენი ქვეყნისა,
მუდამ ნუგეშო!
დღეს, შენს წინაშე
მუხლების მოხრას
ვედრებით ვბედავ,
ო, გულთმისანო,
ჯვარცმული შვილის
დამტირებელო!
მხოლოდ შენ იცი
ის საიდუმლო,
სულის სიღრმეში,
გულის წიაღში
ასე ღრმად რომ მაქვს
შენახული და
დაფარული!!
იგი ხომ ლოცვად,
ჩემს ვედრებად
არის ქცეული!
იგი ჩამყვება
სამარეში,
რომ კვლავ შენამდე
მოაღწიოს
და ხელმეორედ
შენს წინაშე
ისევე წარსდგეს,
კვლავ სხივოსანი,
შეურყეველ
თავის სიწმინდით!!

ნოემბერია,
ღამე გვიანი.
კანდელის შუქი
ეფინება
ციმციმით ხატს...,

გვიანღა არის,
გათენებას
ბევრი უკლია!
რა გაშმაგებით,
გააფთრებით
ქარბუქი ბორგავს!
როგორი მოთქმით და
და გლოვის ზარით
უვლის მოედნებს,
ქუჩებს და სახლებს!
ადამიანთა
სიარულს ბორკავს,
ყოველ ნაკვალევს,
შლისა და კარგავს!
ზღაპრულ
კიდობნებს
ცამდე ასულს
ფანტელით,
ჰქარგავს!
პუშკინის ლექსის
უნებლიეთ მოისმის ბგერა:

Буря мглою небо кроет,
Вихри снежные крутя,
То, как зверь, она завоет,
То заплачет, как дитя.

ეგებ ასეთი
იყო ქარბუქი,
როცა იგი
მკერდს უშვერდა
ავკაცის ტყვიას,
ან, როს შორეულ
სვიატოგორსკის
მონასტრის წიაღს
მას აბარებდნენ
და შავი მიწის,
გაყინულ ბელტებს
აყრიდნენ სწრაფად
ჩაუქრობელ
მზეს რუსეთისას?!
ო, ალბათ,
იმავ ქარბუქმა
მრისხანედ,
მძაფრად
დაიტირა და
დაიგლოვა
მიტოვებული
სამარე მისი —
რუსეთის მზისა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

მთრთოლვარე ხელით,
შეკრული შუბლით,
ხელნაწერ წიგნაკს
ჩუმად შლის ქალი!..
ჩუმად დასცქერის
ისევ იმ ფურცლებს...
ფანჯრებს კი ქარი
უწყვეტლივ,
შმაგად,
სიბრაზით უტევს!
ო, როგორ ნელა
და გაჭირვებით
უმძიმთ განვლა
წამებს და წუთებს!
ღვთისმშობლის ხატთან
კანდელი კრთის,
ოდნავ ანათებს...
„ეს ჩერამდენე
წელია, ნეტავ,
უცხო მხარეში
რაც გაუთხარეს
საფლავი ბნელი?!
არც მამა დარჩა,
აღარც დედა,
და არც არავინ!
ალბათ საფლავიც
უპატრონოდ
დაკარგულია!
ან ვის რათ უნდა?
ვიღას ახსოვს,
ვის რად სჭირდება?
ალბათ, ხატის წინ,
მის ოჯახში,
ლამპარიც კი
აღარ ინთება!
წინანდლის ბაღიც
გადახმა, ალბათ,
და გატიალდა!
მშობლიურ სახლში
ახლა უკვე
არვინ იქნება,
და ბავშვებისთვის
ნაძვის ხეც კი
აღარ ირთვება!
მხოლოდ უცვლელი
დარჩა ჩემში
ეს, ყოველივე!
განა სხვა რამეს
მე, ამის გარდა,
ვემონებოდი,
ან ვცემდი თაყვანს?!
ჩემთვის წამიერ —
მაისის დღით თუ
მაისის ღამით,
წინანდლის ბაღთან,
პირველი ტრფობის
ცისფეროვნებით
და ვარსკვლავებით
დარწეულ აკვანს?!
კიდევ სხვა რამეს?
არასდროს არა!!
ქუჩებს ისევე
ასკდება ქარი.
თოვლის ფანტელი
აჯავრებს და
აჩუქურთმებს
ფანჯრების მინებს!..
სამშობლო ჩემი
ასეთ ზამთარს
არა სჩვევია!
იქ ალბათ თბილა...
წინანდლის ბაღსაც
ცა უღრუბლო
დაჰყურებს და
მზე დაკაშკაშებს!
აქ კი...
რუსეთის ეს ზამთარი,
ეს ქარბუქი გამყინავი,
ეს სიცივე,
ეს მარტოობა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცვარნი ციურნი

ხელნაწერ წიგნაკს
მთრთოლვარე ხელი
შლის ისევ ნელა,
ისევ დასცქერის
ქალი ნაცნობ,
ფერშეცვლილ ფურცლებს.
სევდას უცნაურს
რატომღაც გული
დღეს ველარ უძლებს!
მარგალიტებად,
ცრემლები ჩუმი,
მძიმედ შორდება
ქვედახრილ თვალებს!..

„ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში,
ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის!
ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა,
ნულა დამეცეს ცრემლი მწუხარის,
შავი ყორანი გამითხრის საფლავს
მდელოთა შორის ტრიალის მინდვრის,
და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა
ზარით, ღრიალით მიწას ჩამაყრის!“
„ღმერთო ძლიერო,
რა საშინელი,
გულის მგმირავი,
ქმნილებაა,
ჯადოსნურ ძალით
სულში ჩამწვდენი!!
თანაც ყოველი
სიტყვა ლექსისა
ანარეკლია
ულრმესი გრძნობის!
მე ხომ ზეპირად
ვიცი ყველა
მისი ქმნილება!
მაგრამ ხელნაწერს,
მის ხელნაწერს
სხვა ჯადო აქვს,
სულ სხვა იერი:
თითქოს აქ არის,
აქვე, ჩემთან...
და მშვენიერი
მისი ხმაც მესმის!
ვხედავ მის თვალებს,
მის ღიმებას,
აღსავსე სევდით,
ნათელი გრძნობით!..
და ყოველივე,
რაც ამ ლექსშია,
ასრულდა იგი
საბედისწეროდ!!
„სატრფოს ცრემლის წილ,
მკვდარსა, ოხერსა
დამეცემიან ციურნი ცვარნი!“
ო, აქ ხომ მე ვარ!
ო, ეს ხომ მე ვარ!
ეს ხომ ჩემ ცრემლსა
ნატრობდა იგი,
როს ამას წერდა?!
და მაშინაც კი,
ო, მაშინაც,
ჟამს განსვენების!!
ჩემი ცრემლის წილ,
დაეცენ კი ცვარნი
ციურნი?!
თუ მხოლოდ მიწა,
მხოლოდ ქვიშა
უცხო მხარისა
დაეცა ცივად
მის მკერდს
წამებულს?!
„სატრფოს ცრემლის წილ“,
ჩემი ცრემლის წილ,
მხოლოდ მიწა, ცივი მიწა
უცხო ქვეყნისა?
სად ვიყავ მაშინ,
განშორებით გადაკარგული?
ეს განაჩენი
ბედმა რისთვის გამომიტანა?
რისთვის დამსაჯა
ეგზომ მკაცრად,
შეუბრალებლად?!
რატომ, ან რისთვის?!
მაგრამ... წიგნი
ხომ ჩემთან არის.
ის ხომ ჩემია?!
მან თავის გული
მხოლოდ მე მანდო,
მე გადმომცა
მთრთოლვარე ხელით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამარადისოდ!!
და მხოლოდ მაშინ,
ამ ქვეყნად ჩემი
როს დაიხშობა
ყოფნის კარები, —
ამ წიგნთან ერთად
მეც სამარეს მივებარები!
დაიფერფლება ყველაფერი,
გაივლის ჟამი,
ყოველივე დაივიწყება,
დაივიწყება ყოველივე,
დაიკარგება;
ვით მოლანდება,
ვით ზღაპარი,
ისე გაქრება!
მაგრამ... მაქვს თუ არა
მე, მონას ღვთისა,
ამის უფლება?
ქვეყანას ჩემსას
წავართვა განძი,
მას რომ ეკუთვნის?!
მე ამისთვის ვინ დამრთო ნება?
ამ წიგნის გარდა,
სხვა რამ მისგან,
განა არ ვიცი,
არ დარჩენია
არავის რამე?!
ერთი სტრიქონი
არავის ახსოვს!
ერთი სტრიქონიც!
ო, არა, არა,
ამის უფლება
მე არ მაქვს!
ჩემს გულს სიხარულს
ეს ფიქრი აქსოვს!
როგორ? წავიღო,
მიწას ვაკუთვნო,
მიწაში ჩავფლა,
მის ნაცვლად ხალხმა
რომ ის აკურთხოს?!
ის რაც სამშობლოს,
რაც მშობლიურ ერს
მიეკუთვნება?
ეს ფიქრი ჩემში
როგორ გაჩნდა,
ან როგორ იშვა?
დედაო ღვთისავ,
დამიფარე ასეთ ცოდვისგან!
და შეცდომისგან!
მხოლოდ ვის ვენდო,
ვის გადავცე
ეს დიდი განძი?
რომ იგი ხალხის
კუთვნილი გახდეს,
არ დაიკარგოს,
და მის სულში
მოჰფინოს შუქი,
შუქი ნათელი?
მახსოვს — გამაცნეს
ახალგაზრდა ჩემი გვარისა...
მსმენია მასზე
მხოლოდ კარგი,
რომ არის იგი
ჭგოსანი თავათ,
კეთილშობილი,
მდგარი სწორ გზაზედ,
დიდი ბუნების,
დიდი გრძნობის
და შთაგონების...
მაგრამ მე კიდევ
მსურს იგი ვნახო,
გავესაუბრო,
ავწონ-დავწონო,
რომ ჩემს ოცნებას,
ჩემს გულს, გონებას
დაეჭვება,
შიში გავუქრო!
ო, სწორედ ასე,
სწორედ ამ გზით
ჩემს მიზანთან
ახლოს ვარ უფრო!!
და... ღვთისმშობლის წინ,
დამშვიდებით,
დედოფალი
მუხლებს ხრის უხმოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აჩრდილი

„მიწურვილ იყო ზაფხული,
ქვეყნად ამოსვლა მწვანისა,
ვარდის ფურცლობის ნიშანი —
დრო მათი პაემანისა“.

რუსთაველი.

ჟამს გაზაფხულის,
როდესაც ვარდებს
დრო დაუდგებათ პაემანისა,
როდესაც მთვარის
სხივები ქარვის
აკრთობენ ცრემლებს
მტირალ ვაზისა,
როს სადღაც შორით,
ლხენით,
გართობით
ისმის გალობა
იადონისა,
როს ალმასები
ცას მოჭქარგავენ,
და გაბრწყინდება
უძირო თალი,
უეცრივ ისევ,
ჯადოსნურ ძალით
კვლავ აყვავდება
წინანდლის ბაღი.
წინანდლის ბაღში
ისევ ჩადგება
სვეტი ნათელი
ციურ შუქისა,
წამი ღვთიური
პირველ დანახვის,
პირველად ხილვის,
პირველ ტრფობისა!
და იმ ვარდებთან,
სადაც ოდესღაც
პოეტმა ქალწულს
გადასცა გული, —
მთვარის ლანდებით გადახლართული,
ისევ ქალ-ვაჟის
აჩრდილი ჩნდება!
მთვარის ლანდებში
კვლავ მათი შეყრის,
კვლავ განშორების
წუთები დგება...
მაგრამ, ვიდრე მზე
ცასკარს გახსნიდეს,
ვიდრე ცისკარი
მთვარეს წაშლიდეს, —
წინანდლის ბაღის
ეს მოჩვენება
პირველ თოვლივით
ნელი-ნელ დნება.
და, ცისფერ ნისლად
გადაქცეული,
ჰაერში ადის,
ჰაერში ქრება!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოტია იოსელიანი

# შავი და ცისფერი მდინარე

რომანი

წიგნი მეორე, ნაწილი პირველი

## თავი პირველი

I.

თერგსა და შავ ზღვას შუა მრუდე ხაზად გაჭიმულმა ფრონტმა გერმანელთა წინსვლა შეაჩერა.

მსოფლიო გაირინდა.

ყველაფერი ნათელი იყო მანამ, სანამ ელვისებური ომის გეგმა კარგად გამოტანილი სიზმარივით ცხადდებოდა. ზაფხულის მიწურულშივე ამ გეგმას „უმნიშვნელო“ შესწორებები დასჭირდა. მერე და მერე უფრო საყურადღებო, მოსკოვში გამართული სანოემბრო პარადის შემდეგ — საგულისხმო.

გეგმა გეგმაა, როგორი კარგი ხარისხის ქაღალდზეც არ უნდა დაიწეროს, მაინც ქაღალდია. ისევ და ისევ დასჭირდა უკვე სხვა ფერის მელნით კორექტურა. წლის ბოლოს, მოსკოვის მისადგომებთან იმდენად აჭრელდა ეს კარგი ხარისხის ქაღალდი-გეგმა, ბევრს შეაეჭვებდა, საერთოდ გამოსაცვლელი არ გახდესო. საახალწლოდ სტალინი თურმე მოსკოვში არ უნდა მჯდარიყო და ჰიტლერს იმდენი თავსატეხი აღარ უნდა ჰქონოდა. უთვალავი ძლევამოსილი ბრძოლის შემდეგ სადღესასწაულო გუნება-განწყობილება არ უნდა ჩაშხამებოდა.

ისტორიული სინამდვილე სინამდვილედ რჩებოდა. „ძლევამოსილი არმია“, ერთსა და იმავე სანგარში ორი ღამე რომ არ გაუთევია, ახლა ზეზეულად იდგა თოვლ-ჭყაპიან, მუხლამდე ტალახში და მაგარი ყინვები რომ არა, იბი დაედებოდა. წითელი არმიაც ჩასანგრდა თავისივე გათხრილ ორმოში (აქამდე რომ მტერს უტოვებდა) და ტყვიით დასახიჩრებული ზურგის მოშუშება სცადა.

ლეონ ამაღლობელს საახალწლოდ თავის გათხრილ სანგარში ღამისთევა მაინც არ ეღირსა. მართალია, ჩიჩილაკს და ცვილის სანთელს არც იქ მიაშავებდა ვინმე, მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, შენი ხელით ნაწვალები ორმო რომ ორმოა, ისიც შენია და წლის მობრუნებას საკუთარი ფსკერგავარდნილი ბათინკებით მოზელილ ლაფში ჩამდგარი მაინც შეხვდებოდა. ომმა, რომელმაც თავისი ქვეყანა, საცდელი ნაკვეთი და სულთმობრძავი ცოლი მიატოვებინა (აქამდე

რომ არ იცოდა, ცოცხალი იყო თუ მკვდარი), არც ეს ინება.

მიშა აფანასენკო, ლტოლვილებთან პირველი შეხვედრისა და იმ გაუგებრობის შემდეგ, რაც ამაღლობელთან მოუხდა, ლეონს გვერდიდან არ მოშორებია. არასოდეს იხსენებდა იმ უსიამოვნებას და მუდამ მის გამოსყიდვას აპირებდა.

გულჩათხრობილ, ენაბლუ ლეონს, ყოფნა-არყოფნის სასწორზე მიტოვებული თავისი ოჯახის და საქმის დარდი ჰკლავდა. მიშას — დარბეული ბუდის და ქვეყნის ბოღმა ყელში უჭერდა, ეს ერთნაირი მძაფრი ტკივილი ამ ორ ჯარისკაცს უფრო აახლოებდა, მაგრამ ლელიანის პირას მომხდარი უსიამოვნება რატომღაც ართულებდა მათ ურთიერთობას. გულუბოროტო ამაღლობელს ის ამბავი იმდენად ახსოვდა, რამდენადაც აფანასენკო ვერ ივიწყებდა. აფანასენკომ მაშინ სამაგიერო ვერ მიიღო, თორემ ალბათ ყველაფერს დაივიწყებდა, ან მაშინვე, იმ ქალის თანდასწრებით რომ ბოდიშის მოხდა მოესწრო, ესეც შვება იქნებოდა. მერე კი, როცა იქაურობას გასცდნენ და აწეწილი ნერვები ასე თუ ისე დალაგდა, ეუხერხულა, ამ კაცს უფრო დიდი შეურაცხყოფა არ მივაყენოო. ამის შემდეგ თითქოს შემთხვევას ელოდა, რაღაცა დახმარება გაეწია, თავიც კი გადაედო, საქმით გამოესყიდა და არა სიტყვით, მაგრამ ესეც არ ხერხდებოდა.

ჭირი საძებარი არ იყო, ქარ-ცეცხლი, რბევა, შიმშილი და გაძაღლება რამდენიც გინდა: ლეონი ყველაფერს უდრტვინველად იტანდა და სხვას ათჯერ რომ დაეჩივლა და ხელი საშველად გამოეწვდინა, იგი ერთს არ ამოიბლუკუნებდა. მიშა კი პირიქით — ამაყი, ფიცხი ხასიათის სიმყიფემ თავის თავში დაბზარა და ნერვები დაუგლიჯა, ჯარისკაცური მოთმინება და მორჩილება დაუკარგა.

ერთხელ, ჩალეწილი ხიდის გვერდით, დატბორილ, წელამდე ფაფასავით ლაფში რომ მოტოპავდნენ, ლეონმა მეფორნე ჯარისკაცი მიშას ხელიდან ძლივს გამოგლიჯა, დაფლულ ცხენებს კეტით ცხვირპირში რატომ სცემსო.

— ო-ომმია, მი-შა!.. — ვითომ აუხსნა, როცა ტალახით გალესილი, გაცეცხლებული აფანასენკო, გაღმა გაათრია.

— ომი რომაა, ცხენმა დაიწყო თუ?!

რომ ეგონათ, ფრონტს მიუახლოვდნენ, პოლკმა მიმართულება იცვალა, ჯარისკაცებისათვის ანგარიში არავის ჩაუბარებია, მაგრამ გავლილ გზაზე რომ ხელახლა დაბრუნება მოუხდათ, მიშა მეთაურებზე აღრინდა. კისერგასქელებულ ლეიტენანტ ბადრაჩოვთან უსიამოვნების შემდეგ, ათისთავი ტელიატნიკოვი ისედაც დამდუღრულივით გაურბოდა და ახლა ხომ სათოფეზე ვეღარ ბედავდა მიახლოებას.

ტირიფების ფშანთან, დახრამულ ღარტაფის თავზე თეთრი ხუტორების ჩავლისას, უკან დახეულ, დაქიაქებულ ბატალიონს გადაეყარნენ. ორმოცი წვერმოშვებული ჯარისკაცი უთავბოლოდ დალასლასებდა და გულშემოყრილ სოფელში ლუკმაპურს დაეძებდა. თვალებმოწკურულმა ჩია დედაბერმა რომ შარვალგამოგლეჯილ ფრონტელს ქოთნით რძე გამოუტანა, აფანასენკომ ორივე ხელი დაუჭირა:

— დედი, არ მისცე!

— რათა შვილო?.. — კუ რომ ბაკანიდან გამოიხედავს, ისე მოაჩერდა სქელი, ჭრელთავსაფრიანი მოხუცი: ჩვენებს ვაძლევ, გერმანელებს ხომ არაო.

— არ მისცე, სანამ არ გეტყვის, ნიფხავი ვის დაუტოვა! — და ფრონტელს მხარზე ხელი დაჰკრა, ნახევარი წრით მოაბრუნა, დედაბრის წინ ზურგით დააყენა, — შეხედე, შეხედე დედი! შენ ამის იმედით გეძინა და მწყემსავდი ძროხას? ამას კი საკუთარი ნიფხავისათვის ვერ მოუვლია...

ფრონტელმა შესაბრალისად შემოხედა, თითქოს მიშა ახალ გალიფე-გიმნასტურაში გაჯგიმული კი არა, ქალის წინ შიშველ-ტიტველი მდგარიყოს. მერე დედაბერს ხელებში ეცა, ქოთანი სარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩულგამობდღვნილ მუზარადში ჩააპირთავა და ამხანაგებს გამოუდგა.

აფანასენკო სახტად დარჩა. მიბრუნდა, შარვალზე დაიხედა, რა ღმერთი გამიწყრაო, რა თქმა უნდა, როგორც ყოველთვის, ერთი ღილიც არ ქონდა შეუბნეველი, მაშინვე აენთო ნერვებნალალატები ამაყი ბიჭი:

— ძაღლის გაგდებულო! — მიაძახა რძით მუზარადგალიცლიცებულს. დედაბერს და ღობეზე მომდგარ სოფლელებს თითი დაუქნია: — არაფერი არ მისცეთ! ღორებს დაუყარეთ და მაგათ არ აღირსოთ!

დედაბერი დანაშაულზე დაჭერილივით დაიბნა, მაგრამ კუტიკარში თავგამორგულმა მუხუდოს მარცვლებივით წვრილთვალებიანმა ბერიკაცმა, მუხუდოსფერ თხელ წვერზე ორი თითი ჩამოისვა და სიბრალულით ამოიოხრა:

— ეჰ, ჭაბუკო, შენისთანებიც გვინახავს...

ფრონტს რომ მიუახლოვდნენ და შტაბის ღრმა ბლინდაჟის თავზე მორებს აწყობდნენ, მესამე ათეულის ბიჭებმა ნედლი არყის ხე მოათრიეს, მხრიდან ცივად გადმოაგდეს. მორი მორს გარდიგარდმო დაეცა, აიკოჩა და წახერხილი თავი მიშას ლაჯებში მოხვდა. ამაზე ისე გადაირია, თითქოს ვინმეს მისი დაშავება ნდომებოდეს. შუაში ისევ ლეონი ჩავარდა.

ამაღლობელს მიშა უსიტყვოდ უჯერებდა, როგორც კეთილისმსურველს, მაგრამ ეს დაჯერება და მისი კიდევ პირაქეთ მზრუნველობა შინაგანად აღიზიანებდა. რამდენად ამ კაცმა თავი შეაყვარა, იმდენად ნერვებიდან მოშალა. თითქოს ლეონიც კი თავისუფლებას ართმევდა. ბოლოს სულ განერიდა. ცდილობდა მოშორებით, ცალკე ეხეტიალა, მაგრამ ამაღლობელი გრძნობდა მეგობართან ახლო ყოფნის საჭიროებას და კვალში ბაწარჩაბმულივით დასდევდა. შესვენებისას თუ სადილობისას, ისიც იმ ხის თუ ბუჩქის ძირას მოიკალათებდა, სადაც აფანასენკო ჩაიმუხლებდა.



2

მათი პირველი ბრძოლა მარცხით დამთავრდა. სიმართლე რომ ითქვას, ეს ბრძოლა, მითუმეტეს ორთაბრძოლა არ იყო. იყო ცალმხრივი, უთანასწორო სისხლის ღვრა.

წინა დღით პოლკს სადღაც ღრუბლებში მიკარგული გერმანელების მზვერავი თვითმფრინავი მოაცილებდა.

ღამით ვიწრო სანგრების გათხრა ძლივს მოასწრეს, რომ უთენია, ხასხასა, ქოჩორა ბუჩქნარების იქიდან ატყდა საარტილერიო ზალპის ბათქაბუთქი.

პოლკის ქვემეხები, ფორნები, ორი ახლად შეღებილი ძველი საბარგო და სამზარეულო ამ ორი დღის წინ ჩამორჩათ.

ლეონი, პირველივე ჭურვის გამაყრუებელ გახეთქვისთანავე, ელდამ შუა ორმომდე რომ ამოაგდო, მიხვდა, მიშა უთუოდ ჰაერში ააფრიალაო და თავი ამოჰყო თუ არა, მაშინვე სანგრის წინ, მიწაყრილთან მკერდამდე ამომძვრალი აფანასენკო დაინახა, თოფმომარჯვებული, წამოცვენილი თვალებით რომ მტერს დაეძებდა. დაეძებდა იმ გრგვინვა-აფეთქების შუა, საიდანაც ეს მეხი წამოვიდა და სადაც დაეცა. არავინ ჩანდა. ჰაერში კი ისევ ავბედითად სტვენდნენ არტილერიის ჭურვები და ზეცას ცეცხლის სვეტებს უდგამდნენ. ლეონი წაიხარა, ვიწრო სანგარს გაჰყვა და მიშა ქვევით ჩამოათრია.

— რას შვრე-ბი, მი-შა!..

აფანასენკომ ჩაიჩოქა და აკანკალდა, აკანკალდა არა შიშით, რასაც ახალბედა, უგულადესი ჯარისკაციც ვერ გადაურჩება, არამედ ბოღმით, საკუთარი უძლურებით, მასზე ძლიერი მტრისა და იარაღის წინაშე, რომელიც თვალით არ ჩანდა და ქვეყანას კი აქცევდა. ამას დაემატა ამაღლობელი. მაშინაც კი, როცა ყველას საკუთარი თავი დაავიწყდა, ამ კაცმა მისთვის მოიცალა. ლეონისათვის ეს შვება იყო... მას გაუჩნდა საქმე, რომელიც თავზე დამტყდარ ჯოჯოხეთს გადაატანინებდა, გაუიოლებდა ყოველი

ქ. მარქსის ს.ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფეთქების სულის შემძვრელ შიშს. მიშას კი, პირიქით, ისედაც თავგზააბნეულს, ამძიმებდა, რომ შურისძიების ძალა არ შესწევდა და თანაც მას დაანახვეს, ასე წინდაუხედავად შეეძლო თავი წაეგო. მტერთან პირისპირ შეხვედრამდე, თოფის გაუსროლელად აპირებდა ბრძოლის დამთავრებას.

— წადი აქედან, წადი! — ცივად უყვირა და სანგრის ძირში ჩაჭედა.

— ხო-ომ იცი, მი-იშა..

— ვიცი, ვიცი!

ბომბები ზუსტი ანგარიშით ეცემოდნენ პირველი და მეორე ეშელონის შუა, სანამ ხასხასა ბუჩქნარებიდან ნალმსატყორცნი ბატარეა არ ჩაერია და წინა ხაზის თავზე მეხთა ტეხა ატყდა. ყველაფერი აირია: გრუხუნი, გრიალი, ჭურვებისა და ნალმების სტვენა, მაღლა ატყორცნილი ბელტების, კვამლის და ცეცხლის კორიანტელი. და რაკი ამის ერთად დანახვა, მოსმენა და აღქმა არ შეიძლება, გამოლენჩებული პირს და თვალებს აღებ და მაინც ვერაფერს ხედავ.

სანგრის ახლოს მორჩილა ნაღმი დაეცა და ორივეს თავზე ბელტები გადმოაყარა.

აფანასენკო შეხტა, თითქოს ზამბარებზე მჯდარიყოს. ლეონიც შეცბა და აფეთქებიდან აფეთქებამდე ორი სიტყვა ძლივს მოასწრო:

— ე, მი-იშა, ხომ გი-ითხარი...

— წადი! წადი, მომშორდი!

— თა-ავი არ აწიო!... — მიწაყრილიდან ხელყუმბარები ჩამოილო და ზურგჩანთაზე დაუწყო.

— არაფერი არ ვიცი! ნუ კიდებ ხელს შენს საქმეს მიხედე! — მიშამ ისევ თოფს წამოავლო ხელი და წამოვარდა. ჩახმახი გადმოსწია, პირში ვაზნა მისცა, ის კი, რომელიც ლულაში იდო, გვერდზე გადმოვარდა. ლეონი ჩაემხო, აიღო გაუსროლელი ვაზნა და მიაწოდა, პირი ყურთან მიუტანა:

— ხომ ხე-ედავ?..

— არაფერს არ ვხედავ ! რის დანახვა შეიძლება აქ!... სად არიან ჩვენები! ჩვენი არტილერია!.. აქამდე ვერ მოაღწიეს?!

სანამ თვითონაც დაზაფრული ლეონი რაიმეს ამოიბლუკუნებდა, ახლა ნაღმი სანგრის თავზე დაეცა და მიწაყრილი ორმოში ჩამოშვავდა. აფანასენკომ თოფს პირი იქით მიუშვირა, საიდანაც ეს დელგმა მოდიოდა და ჩახმახს გამოჰკრა. შაშხანის გასროლა, წვრთნის დროს ქუხილად რომ ესმოდათ, ახლა ხელთოფას ტკაცანივით გაისმა და ლეონმა სალოკი თითებით თავისი ყურების ნიჟარების ბურღვა დაიწყო, თითქოს სქელი საგოზავით ამოევგლისოთ და ნახვრეტების გაკეთებას აპირებსო.

— ვინ არის მანდ!.. — მოისმა სანგრის მოსახვევიდან ვიღაცის შეკითხვა, უთუოდ იმის გაგება უნდოდა, სროლა ვინ გაბედა, როცა ბრძანება არ ყოფილაო.

— ტყუი-ილა ნუ ისვრი, მი-იშა!.. — მოაძახა უკან წასასვლელად შებრუნებულმა ლეონმაც, რომ წინ შემოფეთებულ დაოთხილ ტელიატნიკოვს გადააწყდა და ზედ გადაემხო. ათმეთაურს შერცხვა, კაცის სიმაღლე თხრილში რომ ფსკერზე მოხოხავდა, როცა შეეძლო გამართულსაც ევლო. ლეონს რომ რაიმე არ ეთქვა, უფრო სწორად, აფანასენკოს რომ არ ეყვირა, ან წიხლი არ ჩაეზილა მისთვის, მაგ კაცს ფეხებში რად შეუწექიო, თავისი ხმა დაიბრუნა და აწიწმატდა:

— ამაღლობელო! შენ აქ რა გინდა! — იქნებ ომის ხამ მეთაურს ისიც ეგონა, აქ ყველაფერი ისე უნდა იყოს, როგორც წესდებაში სწერია და საველე საწვრთნელ მეცადინეობაზე ხდება — ყოველი ჯარისკაცი თავის ადგილზე უნდა იდგესო.

— ა-არაფერი...

— შენ გაისროლე?! — იყვირა ტელიატნიკოვმა, მაგრამ მოულოდნელად ახლოს დაცემულმა ჭურვმა ორმოს ფსკერს გააკრა და როცა ამონგრეული მიწა დაშვავდა, შიგ თავწარგულმა მომართულივით განაგრძო:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ამაღლობელო! შენ ხომ იცი... შენ ისედაც!..

— რა გინდა მაგასთან! — იღრიალა მიშამ.

.— არ შეიძლება!... ბრძანება არ ყოფილა!..

— გე-ერმანელი რას გაიგონებდა!.. — ლეონმა სცადა აეხსნა, — ვინც გაიქროლა, რა ჭკუა აქვსო.

— ამაღლობელო!..

ათისთავმა ისევ ოთხზე წამოიწია.

— გა-ამიშვი! — ისედაც თავმოუბმელმა ლეონმა, ვიწრო სანგარში ტელიატნიკოვს გვერდი ვერ აუქცია.

— შენს ადგილზე დაეტიე ამაღლობელო! — ათმეთაური გვერდზე მიწვა, თავის ალება მაინც ვერ გაბედა.

ათმეთაური ლეონს გამოჰყვა, ამ უნებართვო გასროლისათვის კიდევ რომ რაიმე ზომები „მიელო“, უკვე თავის თოფსა და ნიჩაბს მიმხობილ ამაღლობელს ამოხედა, მაგრამ სიტყვა ჩაუწყდა. საარტილერიო ზალპი მოულოდნელად შეწყდა და ათმეთაურს საყვირლად მორღვეული პირი ღია დარჩა. ისეთივე დაუჯერებელი სიჩუმე ჩამოვარდა, როგორც ერთი წამის წინანდელ გრიალს ვერ წარმოიდგენდა ადამიანი.

სადღაციდან ვილაცა განწირულის ბღავილი მოისმა და ისევ ყუმბარის გასროლასავით დახეთქა დაბუგული ყურები. ბღავილს ბღავილი მოემატა და ახლა ორივე შველას ითხოვდნენ, თუ ეს განწირული ხმა იმათიც იყო, ვისაც ხმის გალება მეტი აღარ შეეძლო?

ტელიატნიკოვი ღია პირით ლეონს მოაჩერდა: წელან ადგილიდან რომ ფეხის მოცვლა აგიკრძალე, ახლა მარტო მე ამდენ გაჭირვებულს რა ვუშველოო. მაგრამ ისევ გაშეშებული დარჩა. იქიდან, საიდანაც თავიდან მეხისცემა წამოვიდა, აფეთქების კვამლს, ცისკენ ისევ სვეტებად რომ მიიზლაზნებოდნენ, თავზე სვასტიკიანი თვითმფრინავები წამოასკუპდნენ, სწორედ ისე, კრაზანას რომ ხელს აუქნევ და ცხვირში შემოგაფრინდება. ყველაფერი ხელახლა დაყრუვდა, არამარტო ძრავების ზუზუნით, ამაზრზენი, ფრჩხილებიდანაც რომ გესმის ისეთი განგაშით, სივილით და წივილით.

— მი-შა! — ერთი კი ამოსძახა ლეონმა, რაც იქვე ჩამხობილ ათმეთაურსაც არ გაუგონია, ჩაემხო სანგრის ძირში და წამოვიდა ისევ ბომბების წვიმა თუ წარღვნის თქეში, თითქოს სვავი მწვერვალებიდან გადავარდნილ ძვალს გადაყვაო. პირველი აფეთქების შემდეგ ისე ახლოს გაისმა თვითმფრინავების გნიასი, ქვემეხების გუგუნიც ახლა ციდან მოდიოდა, ამას ტყვიამფრქვევების ჭახჭახიც დაემატა, ჯერ აქ არსაიდან რომ არ გაუგონიათ. ეს არაფრით არ ჰგავდა იმას რაც ომში მიმავალ ჯარისკაცს უნდა წარმოედგინა. ადამიანები ქვეყნად პირველი თვითმფრინავის გაჩენიდან მიეჩვივნენ, რომ ის ზუზუნით დაფრინავს და შეიძლება ზევიდან რაიმე ჩამოაგდოს, მაგრამ ლეშზე დაგეშილი ყორნებივით რომ ხელის აწვდენა მანძილზე დაფარფატებდნენ, ისიც ასეთი ხმაურით, წივილ-კივილით და მათი ქროლვით ამტუტებული ჰაერის ტალღა ორმოში აღწევდეს, ამას მერეც ვერ დაიჯერებ, როცა შენი დაყრუებული ყურებით მოისმენ და შენი კვამლით, მტვრითა და ნაცრით აპარპარებულ თვალებით დაინახავ. პირდაპირ უსწორმასწორო სანგრების თავზე დაჰქროდნენ, გადადიოდნენ ყირას, ტრიალებდნენ, ბზრიალებდნენ, ფრენდნენ გულაღმა ისე, ვერცერთი ფრინველი რომ ვერ მოახერხებს, ქვევით ყოველ ჯარისკაცს ითვლიდნენ, ყოველ ჯარისკაცს თავის „ულუფას“ ურიგებდნენ...

სწორედ მოსახვევის იქით, იგრიალა, საიდანაც წელან ათმეთაური გამოძვრა, და ამონგრეული ბელტები ორმოს ძირში, ლეონის მუზარადზე ახრიგინდნენ. სანგარში იმდენი მიწა ჩამოცვივდა, ადგილზე გაშეშებული ტელიატნიკოვი ტალახში დაფლულ ხზოსავით მუცლამდე დაფარა.

ჯვრიანმა მანქანებმა პირის მიბრუნება ვერ მოასწრეს, რომ ახალი წყება დაიძრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეონმა თავის წამოწევა ძლივს მოასწრო, მაგრამ აფანასენკო აღარ დაუნახავს. უთუოდ ეს ცის ჩამოქცევა მიშას ნერვებს აღემატებოდა და მოეშვა, მოდუნდა, ამჯერად სანგრის კედელთან ჩამჯდარი, საფეთქლებთან ჭაღარაშეპარული გრაჩოვი შენიშნა, ალბათ იმიტომაც, ფრონტისკენ რომ მოდიოდნენ, მწვანეგუმბათიან ეკლესიასთან ჩამოვლისას ამბობდა: ამნაირი ღმერთის არაფერი მწამსო და ახლა ცას მიშტერებული, პირჯვარს იწერდა.

ახლომახლო დაუსახიჩრებელი მიწის ზედაპირი რომ არ დატოვეს, ცის თავანზე რიალი დაიწყეს — ცოცხალი ხომ არავინ გადაგვირჩაო. საიდანღაც, კაცმა არ იცის, საიდან, რაკი ყველას, ვისაც, პირში სული ედგა, თუ არ ედგა, თავი ან მიწაში ჰქონდა ჩარგული, ან თვალი ცას შეყინული, ბრძანება გაჩნდა — უკან დაიხიეთო.

შურისძიებას ალბათ აქვს საზღვარი. იგი უთუოდ ძალთა თანაფარდობას ემყარება. შურისმაძიებელი მაშინაც გამოიღებს ხელს, როცა შეურაცხმყოფელი ორჯერ ძლიერია, მაგრამ დაზარალებულს თავისი სიმართლე, ბოღმა და რისხვა ერთი იმდენს უმატებს და იბრძვის, იბრძვის თავისი უფლებებისათვის, კაცობისათვის, ღირსებისათვის. იმ ხოცვა-ჟლეტაში დარღვეული იყო ყოველგვარი შეფარდება და თუ ბოლმას ვერ მოერეოდი, შეეძლო მოეგუდე, მოეხრჩვე, რაკი არაფრით ხელი არ მიგიწვდებოდა იმის კისერზე, ვისი მოშთობაც გულგასიებულს გეწადა.

უკან დახევის ბრძანებას ხმადაბალი განმარტებაც მოჰყვა, თავს უშველეთ, თორემ ახლა ტანკები წამოვლენო. ამან გამესამედებული, ტვინჩაქცეული ასეული და თვით მიშა აფანასენკოც წელში მოღუნა, მოღუნა და დაქიაქებულ ნასანგრალებში ტელიატნიკოვივით აფორთხა.

3

ეს უთავბოლო უკანდახევა და უთანასწორო სისხლის ღვრა წლის ბოლომდე რომ არ გაგრძელებულიყო, ალბათ აფანასენკო ამ პირველ მონაკვდინებელ დარტყმას გადაიტანდა. გესლით ყელამდე რომ აივსო, ღვარძლიან გინებად და ენაბილწად იქცა, თავის თავსაც არ ინდობდა, თითქოს იმაზე მეტის გაკეთება შესძლებოდა, რასაც აკეთებდა.

— უყურე, უყურე, რა მონდომებული თხრის ეს სახეძაღლი! — და ქვევიდან ამოხედავდა კისრამდე ორმოში ჩამჯდარ თავზე წამომდგარ ლეონს.

— არ გი-ინდა, მი-იშა...

— შენ უყურე, უყურე და დატკბი, ეს კუდამოძუებული ძუკნა როგორ მარჯვედ შრომობს!

— მი-იშა...

— მი-იშა! — ღრენით გამოაჯავრებდა, — სად არის მერე ეგ შენი მიშა, მიშა კი არა, მიხეილ პოლიკარპოვიჩ აფანასენკო!

— მი-იშა პო-ოლი...

— მოეშვი! ენას ნუ იმტვრევ, ისედაც შენი უბედურება გეყოფა, პოლიკარპოვიჩ კი არა, პარაზიტი, მავნებელი! ქეციანი ქაჩალი! ხალხის მტერი! აი ვინაა ეგ შენი მი-იშა, გასაგებია? ამაღლობელო!

— არ მე-ესმის...

— არ გესმის? რა არ გესმის! მაწანწალა რომაა და შიშით კანკალებს, არ გესმის?! შენი თვალით არ ხედავ, როგორი მონდომებით ითხრის მიწას, რომ მშიშარა თავი შემალოს, სანამ ფაშისტები მოუახლოვდებიან და მერე შენს მტერს! წიხლამოკრულ ფინიასავით წკავწკავით გარბის. ფინიას რა უშავს, საკუთარ ბუნაგში მიძვრება. ეს სად მიდის, ეგ თვალებდათხრილი თხუნელა!

— ა-არ გინდა, მი-იშა...

— არა, მე შენ გეუბნები, ერთი მიდი და ჰკითხე, სად გარბის, ან სანამდე ირბენს, მამამისი გერმანელებს დაუტოვა, დედაც, დებიც და თუ რაიმე გააჩნდა ისიც! და საით მიიძურწება, იქნებ მამაშენთან გარბის, ფარნაოზთან, სოფელში, რა ჰქვია?..

— გუ-ულზოდი...

— ჰო, რაც ჰქვია, მაგრამ იქაც რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუხტებიან, მერე სად აპირებს შეძრომას!.. — სახე უჭარხლდება, მწითური წარბები და წამწამები უქრება, შუბლი ნაოჭებად ეტალღება მაღლა თავაღერილად მზირალს, — რატომ არ ჰკითხავ ძაღლის გაგდებულს, სანამდე ირბენს და ბოლოს და ბოლოს, ვის უკანალში აპირებს შეძრომას!

— მი-იშა, აგერ წე-ეკო...

— მოაწევიე, მოაწევიე, შენი წილი წეკოც მოაწევიე მათხოვარს! — ნიჩაბს ფეხებთან აგდებს, ოფლით და ტალახით გახეშეშებულ შარვალზე ხელებს იწმენდს, გულჯიბიდან გაზეთის ქაღალდს იღებს, ჭმუჭნის, რომ დაარბილოს, ასწორებს, სამ თითში მარჯვედ უჭირავს, მხრებში იხრება ღვთის გლახასავით და ხელს თავზევით საწყალობლად იწვდის.

— ა-ამოდი, მი-იშა...

— მაღლა არა, მაღლა არა! თხუნელას მიწის ზევით რა უნდა! სორო უნდა აკეთოს, შიგ უნდა შეიმუდროს და უკანალზეც მიწა მიიყაროს, მერე ფაშისტი მოვა... ე, სადღაც ისვრიან... მოვა, თოფის წამალს უხრჩოლებს, გაიქცევა თვალებდახუჭული, ისევ ახალი სოროს მოთხრას დაიწყებს!..

თავზე რომელიმე მეთაური წამოადგება. დახედავს ნამუშევარს, არც იმის გუნებაზეა მოიწონოს, ვერც წუნს დებს, წასვლას აპირებს.

აფანასენკო წელში მოხრილი ულებს ხელს, მერე აგონდება პილოტურაზე ფხვიერი მიწა აყრია, სასწრაფოდ იშვლეპს, მუხლზე იფერთხავს, თავზე ირგებს და ისევ ულებს ხელს.

— ამხანაგო მეთაურო, რიგითი ჯარისკაცი აფანასენკო პირნათლად ასრულებს თქვენს ბრძანებას, ემსახურება სამშობლოს! კიდევ რას გვიბრძანებთ?

მეთაური თავს აქნევს და შებრუნდება.

— წუნს ვერ დადებ, აჰ, მეთაურო, თითით საჩვენებელი ჯარისკაცია, შეიძლება ჯილდოზე წარადგინოთ?

მეთაური ერთს მოღუშული მოხედავს.

— რატომ ამხანაგო მეთაურო, სანგრების თხრა კარგად ეხერხება, თუ დახოცილი ძმა ჯარისკაცები მტერმა დაანება, არც მესაფლავედ დაიწუნება.

— მი-იშა, მი-იშა!..

— ჭკუაზე შეიშალა? — ეკითხება მეთაური ამაღლობელს, მხრებს იჩეჩავს. არაფერი კი არ უკვირს და მიაბიჯებს.

— ამხანაგო მეთაურო! — მისძახის აფანასენკო, — შენ სირბილი უნდა ნახო, ბავშვობაში ძაღლისთვის კუდზე კოლოფი არ გამოგიბამს?

მეთაური თვალს ეფარება. ლეონი ხვდება, ჩემი სიახლოვე აღიზიანებსო და წასვლას აპირებს.

— არ გამოუბამს... — გულდაწყვეტილი აქნევს თავს მიშა, ვითომ მთელი მისი სადარდებელი ეს იყოს.

— მი-იშა, მე წა-ავედი...

— კი მაგრამ რატომ მოდი, მე დაგიძახე?

— არა.

— აბა, მიწა ვერ გაჭერი და დაგეხმარო?

— რო-ოგორ არა...

— მაშ რისთვის?

— ი-ისე, პა-აპიროსი....

— რომ არ სწევ? კარგი, კარგი, რაკი მოდი, დაჯექი მანდ, მეთაურს რას უყურებ. კუდზე ცარიელ კოლოფგამობმული როგორ გარბის, ისიც არ უნახავს, და ვერც ჩემს დამსახურებას გაიგებს, ჯილდოც დამეკარგება ძმაო და ამდენი გარჯაც.—ნამწვავს ორმოში აგდებს. ხელებზე იფურთხებს და ნიჩაბს დაწვდება, ერთი წამით ფოცხვერის ბუნაგს რომ ძაღლი მიადგება და მონადირეს ახედავს: რას მეტყვი, შევძვრეო? შუბლი ისევ დაეღარება, ისევ დაძაბულად ამოაჩერდება და თითქოს გაუმხელელ საიდუმლოს ანდობსო, ხმადაწეული შეიხვეწება — შენ ძმა ხარ ჩემი, ლეონ.

— მე?..

— შენ, შენ და როგორ მირჩევ, აქედან რომ შევბრუნდე, მივდგე, ვთხარო და ვთხარო, ასე ღიად კი არა, ზურგის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კენ მიწის ქვეშ ხვრელი რომ გავიყვანო, რას იტყვი, კასპიის ზღვამდე ვერ ჩავუწევ?

— და-აისვენე, მი-იშა...

— რა დავისვენო, დასვენების დროა? ასეთი კარგი რამ მოვიფიქრე.. ან... — სალოკი თითით პილოტურას მაღლა იწევს, — უფრო უკეთესი თუ გინდა, პირდაპირ დედამიწის გულში რომ თავდაყირა წავიდე, იქნებ... აჰ, როგორ გგონია, ამერიკაშიც კი ამოვყო თავი...

— მი-იშა, მე მი-ივდივარ...

— ე, ამაღლობელო, საით, ვისთან, ვის მოუვა თავში ასეთი იდეა... იცი? კი იცი შენ, ნასწავლი კაცი ხარ, შენ მაინც უნდა გამიგო, თუ არა ვილას ველაპარაკო, გრაჩოვს პირჯვრის წერამაც არ უშველა, დაიღუპა... აგერ, ახლა ჩემს გვერდით სამადელკინია და ვეუბნები: ვასია, იდეა მაქვს, მოდი აგერ, შენი თანდასწრებით ვეტყვი...

— კა-არგი ბი-იჭია, მო-ოეშვი! — ადგილზე ტკეპნის ლეონი; — მე ჯანდაბას, სხვას არაფერი აწყენინოსო.

—კარგი ბიჭი რომაა, როგორ? მე ცუდი ბიჭი ვარ?

— ა-არა, მაგრამ...

— ჰოდა, კარგმა ბიჭმა რომ კარგ ბიჭს... ვასია! — ორმოცად დამშრულ კისერს იწვდის, — ვასია იგნატიჩ!

ვასია, ეტყობა, სანგრის ძირზე ზის. მიწაყრილის თავზე წეკოს კვამლი ბოლავს.

— ფუგასური ბომბებივით არ აკვამლებს! სამადელკინ, არ გესმის?!

— მესმის... — ისმის ორმოდან.

— მოდი, რაიმე უნდა ვითხრა!

— თქვი, გავიგონებ!

— წეკოს არ გთხოვ, ნუ გეშინია, ამაღლობელმა მომაწევინა!

ვასია მკვირცხლად ამოჰყოფს თავს ორმოდან, მიწის პირს იდაყვით ეყრდნობა, ჭროლა თვალებს ეშმაკურად აპარპალებს,

— ილაპარაკე!

— ახლოს მოდი! ბომბებისაგან დაყრუებული ხარ, ვერ გაიგონებ!

ვასია თავს აქნევს: ესეც მართალია, მაგრამ მაინც გავიგონებო, თან თვალებს ისევ აპარპალებს, მოტრუსულ დამოკლებულ წარბებზე და წამწამებზე ხელის ზურგს ისვამს.

— ვას, იდეა მაქვს! — უტყდება ბოლოს აფანასენკო.

სამადელკინს ტუჩის იმ კუთხეში ეღიმება, სადაც პაპიროსის ნამწვი არ ეგულება.

— ჰა, რას იტყვი იდეაზე?

— ამაღლობელმა რა თქვა? —იკრიჭება ვასია.

— მოსწონს, მაგრამ მეკითხება, სად იპოვეო, შენ რას იტყვი, ვუთხრათ?

— ვუთხრათ, სანდო ვინმეა. — ცალ თვალს ხუჭავს, მეორეს ისევ აპარპალებს.

ლეონს ვერ გაუგია, ვასიას იდეა მართლა ნივთი ჰგონია, თუ თავს ისულელებს...

— აბა შენ უთხარი...

— მე კი არ მინახავს, რა უნდა ვუთხრა!

— გერმანელს თვითმფრინავიდან გადმოუვარდა, ჩვენს თავზე რომ ყირას აკეთებდა, ვასიას არ დაუნახავს, ჩვენს სანგრებს შუა დაეცა და მე დავტაცე ხელი...

— მომასწრო!.. — დაუმატა ვასიამ, ფრჩხილებთან მიმწვარი პაპიროსი პირთან მიიტანა და აპარპალებული ორივემ თვალი მოჭუტა.

„არ აწყენინა“... — მიხვდა ლეონი და თავის თავშესაფარისაკენ გულდამძიმებული წავიდა.

## IV

პოლკის უწესრიგოდ უკან დახევამ, ომის ფსიქოზმა და კბილებამდე შეიარაღებულ მტერთან თითქმის შიშველი ხელით შეჯახებამ, უიმედობამ — მაინც ვერაფერს გახდები, მომხდური თუნდაც ერთი საათით, ან ერთი დღით შეაკავო, შენ ათჯერ მეტი უნდა დაკარგო და ბოლოს მაინც ყველაფერი წყალში გადაიყრება; თუ გაქცევა გარდაუვალია, ბარემ დროზე უშველე თავს, ერთხელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონიჭებული სიცოცხლე, ქვეყნის გადარჩენაც რომ შეგეძლოს, მაშინაც ძნელი გასაწირია და თუ ამ ჯგლეთვაში, ბირკა ბალახივით ტყუილა-უბრალოდ უნდა მოისრისო, მართლა ბალახი ხომ არა ხარ, გაზაფხულზე ხელახლა ამოიყარო და აბიბინდე; გულგატეხილობამ და პანიკამ, შიმშილმა, ჭუჭყმა, უეცრად დაბადებულმა ეჭვმა უგზო-უკვლოდ გამქრალი თითო-ოროლა ჯარისკაცის გამო, გამარჯვებაზე ფიქრის უსაფუძვლობამ, ჯარისკაცებს იმის უნარიც კი დაუკარგა, რისი გაკეთებაც შაშხანით, ხიშტით, ნიჩბით და მუშტით შეეძლოთ. დაკარგეს ალბათ იმაზე მეტი, რასაც ფიცხელ, ხელჩართულ ბრძოლაში დაკარგავდნენ. დახოცილები უსაფლავოდ და უჭირისუფლოდ ეყარნენ. სიმშვიდეს ვერც სიკვდილში ეღირსნენ და ცოცხლებს მათიც კი შურდათ.

ყოველ შემთხვევაში, თუ სხვა ამაზე ხმამაღლა ვერაფერს ამბობდა, მით უმეტეს ლეონს რა უნდა ეთქვა — აზრებს გელათის ფრესკის მოზაიკასავით ვერ ჩააჭიკჭიკებდა; ასევე, ვერც ნახევრად დაყრუებული ათისთავი ტელიატნიკოვი, ბოლო დროს, ცა რომ თავზე ჩამოქცეოდა, სანგრებში კი მაინც გაჭიმული დადიოდა და მის უნებართვოდ თოფი კი არა, ზარბაზანი რომ დაგეცალა, ყურს აღარ შეიბერტყავდა, ვერც სიტყვაძვირი ლეიტენანტი ბადრაჩოვი გაიკრიფებოდა ენად, სქელი კისერი ნაუღლი ხარივით რომ დაეშაშრა...

სამაგიეროდ, ნერვებდაქიაქებული აფანასენკო იქცა ნაღმად, ყოველი ფეხის წამოკვრაზე რომ ფეთქდებოდა. ყველაფერზე უწინ და ყველაზე მეტად თავი შეიძულა, დაკარგა ძილი და ჭამის მადა. თავისი და ლეონის წილი წეკო რომ არ ჰყოფნიდა, ხიდის ყურის მათხოვარივით დადიოდა თითებში გაგობილი ქაღალდის ნახევით და საკუთარ თავს ისე დასცინოდა, მტერს ხელში რომ ჩავარდნოდა, ასე არ გაიმეტებდა. ხმელი ნეშოს წევა დაიწყო. თუ ესეც ახლომახლო არ ევულებოდა, თივას მოფშვნიდა და შეახვევდა.

ჯერ ბავშვობაში ძმებზე გადიობამ, მერე საცდელი ნაკვეთის და კობეშავიძეების მშვენიერ ბაღ-ვენახებზე ლეონის ზრუნვამ ახლა მიშაზე გადმოინაცვლა და ამ ბედგამწყრალ ბიჭს პირდაპირ დედობილად ექცა.

არსებობს მეგობრობა, ძმობა, გატანა, დანდობა, მაგრამ არაფერს არ ჰგავდა მათი დამოკიდებულება. გულდათუთქული დედა რომ ავადმყოფ შვილს ყველა შვილებიდან გამოარჩევს, ცდილობს ცივი ნიავი არ მიაკაროს, ისე გადაგებული იყო ამ ჯარისკაცზე. მიშა რომ თავის თავს „დანაშაულზე“ წაასწრებდა, აღრინდებოდა: „აჰ, ღორო, კარგი მადა გაქვს, ხომ?!“ და ორცხობილები ხელიდან უცვივოდა, ლეონი ნამცეცნამცეც ბოჭავდა და აირწინაღის ჩანთაში უყრიდა. თევზის სუნს რომ შაქარი და პურის ნატეხები არ აეყროლებინა, ცხვირსახოცში ჰქონდა გამოკრული. მიშას ხმელი ბალახი რომ არ მოეწია, მუხის ან ნეკერჩხლის ფოთლებს ურჩევდა, ჭრიდა, წეკოს ურევდა და უნახავდა, რა იცი, სად გაჭირვებოდათ. მე შენ გეტყვი, ვინმეს იმის თავი ჰქონდა, რეგულარულად და თავის დროზე მოემარაგებინა მებრძოლები. ზოგჯერ მთელი კვირა ძუძუ ნაწყვეტი ბატკნებივით დახეტიალობდნენ და თავისიანებს დაეძებდნენ.

აფანასენკოს, რა საკითხავია, პირველივე საარტილერიო ზალპმა, დაბომბვამ და გამოქცევამ გამოუბერტყა თავიდან, ვინმესთვის თუ უწყენინებია, ან თვითონ თუ განაწყენებულა. კაციშვილს თავს ჭრიდნენ და ე მანდ მუწუკი არ მატკინოთო, ხომ არ აყვირდებოდა. დარჩა მცნება „იძლევიან — აიღე!“ და ლეონის ფართო, მიამიტ გულს ისე მიადო ტუჩი, როგორც ჩვილმა დედის ძუძუს. ამას სხვა ჯარისკაცებიც მიეჩვივნენ და ტელიატნიკოვსაც აზრადაც არ მოუვიდოდა ეკითხა, აქ რა გინდაო, თუ ამაღლობელის სანგარში აფანასენკო იჯდა და იგინებოდა, ან ლეონი მიშას ორმოში ჩაჩოქილი, „შვილობილს“, პირში ორცხობილას ნატეხს ჩრიდა, ან წუმპის

წყალს ერთი მათარიდან წრუპავდნენ.

დივიზიის კომისარი ისე ჩამოაქვეითეს, რომ პოლკის კომისრობაც არ აღირსეს, რომელიღაც ბატალიონის დაღუპული პოლიტხელის ადგილზე გაუშვეს და კარგი, დოვლათიანი გინებაც მიაყოლეს. დივიზიის მეთაური სულ გაქრა და დაინიშნა ახალი პოლკოვნიკი კურდიუმოვი. მოადგილე და შტაბის უფროსი ჯერჯერობით არ შეცვლიათ, იქნებ საქმეს ამითაც ეშველოსო. გაპარტახებული პოლკები, ასევე უწესრიგოდ უკნა დახეული განადგურებული სხვა პოლკის ნარჩენებით და ორ კვირაში გაწვრთნილი ჭყინტი ახალბედებით, დენთის სუნზე ცხვირზე თითებს რომ იჭერდნენ, სამესამედოდ შეავსეს. რუსეთის რელიეფისათვის საკმაოდ შემაღლებული ბორცვები დაიკავეს, ჯარისკაცის ულუფას ბურღული დაუმატეს და ზამთრის დაწყებას დაელოდნენ.

ახალი კომისარი, ყოფილი რაიკომის მდივანი გრეჩუხა (მის რაიონში ახლა გერმანელები დაპარპაშებდნენ), პოლიტხელებს დაერია. გაიცა ფიცხელი ბრძანებები, გამოიყო აგიტატორები, საჭიროზე ორჯერ მეტი, იყვნენ ამის მსურველები თუ არა და გახურდა სანგრებში პოლიტმეცადინეობა. პოლკის შტაბში ამაღლობელიც კი გამოიძახეს, უმაღლესდამთავრებული ყოფილხარ', ამდენხანს ჭურში იჯექიო!

— ო-ორმოში ვიჯექი! — დაუზუსტა ლეონმა.

კიდევ კარგი საქმე გრეჩუხამდე არ მისულა, თორემ ვინ იცის, უშეღავათო ბრძანება გაეცა, ენას ნუ უკიდებს, გაუსწორეთო.

მტერი იმ დღეებში ავის მომასწავებლად დუმდა, მაგრამ დუმდა.

მეწინავე პოზიციებზე დივიზიის მეთაურიც კი გამოჩნდა, მანამდე ლეონს თვალით რომ არ ენახა, შავ ქურანზე ამხედრებული კურდიუმოვი, ოთხ-ხუთ კაციანი ამალით, ჯანდრაგ ცხენებზე შემსხდართ ახალი უფროსის წინაშე თავი მაინც რომ ყინჩად ეჭირათ.

ცხენოსნები რომ ფერდობის ძირს მოადგნენ და კისრები წამოიგრძელეს: ე. მანდ საქმე როგორ მიდის, წინა ხაზს ხომ საიმედოდ ამაგრებთო, აფანასენკო ამ დროს სანგრის პირზე იჯდა, მხრებზე გაცრეცილი გიმნასტურით სხივდაკარგულ მზეს ზურგშექცეული. შესახედავად მომზადებული წეკოშერეული ნეშო ხელში შეაცივდა და გალიზიანებული ცხენოსნებს ზევიდან დააჩერდა.

— რაო, ჯარისკაცო! — ამალას ჩია მეთაური გამოეყო და ლაფში დაფლულ ცხენს ქუსლი ჰკრა დაიმედებულმა: ჩემს ჭაკს მეტი ძალა შემორჩა, რაკი სხვაზე ნაკლები ტვირთი ჰქონდაო.

მიშამ წეკოიანი ნეშო გადაჰყარა, ხელები დაიფერთხა და ფერდობზე დაეშვა.

— მი-იშა! — მიაძახა ლეონმა.

აფანასენკომ გაჯიუტებული ბავშვივით, მომკლა ამდენმა კალთაში ჯდომამ, მუხლი გამამართვინეო, უკან არც კი მიიხედა.

ჩია უნაგირზე აცმუკდა და ცხენს ქუსლები მოსცხო: ეს ჯარისკაცი ისე დაგეზებული მოდის, ისეთი არაფერი თქვას, რაც დივიზიის ახალი მეთაურის ყურებს არ გაეგონებაო და ალმართს ამოუყვა.

— გამარჯობა, ჯარისკაცო!

აფანასენკომ გვერდი აუარა წინ შემოფეთებულ ცხენოსანს.

— შენ საით?! — გამოუდგა ჩია წივანა ხმით, მაგრამ ჭაკი ისე მარჯვედ ვერ მოაბრუნა, როგორც ეს პატრონს ეწადა და ჩამორჩა.

ორმოებიდან მეომრები ამოძვრნენ, ფერდობზე ჩაცუცქდნენ, მკლავები მუხლებზე შემოიხვიეს და ცხენოსნებს მოაჩერდნენ.

მაგისტრალურ სანგარში ლეიტენანტი ბადრაჩოვი ისე გამორბოდა, კედლებს აწყდებოდა, მოვარდა და ლეონს კისერში ეცა:

— სად მიდის?!

— მი-იდის...

— სად, სად მიდის!

— ა-არ უთქვამს... — თავი იმართლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეონმა და ლეიტენანტს გულისპირიდან ხელი გააშვებინა.

— ათმეთაური, ათმეთაური სადაა! — ბადრაჩოვი სანგრის მიწაყრილთან წამოწოლილ, იდაყვებზე დაყრდნობილ, გადრეჭილ სამოდელკინს მიუბრუნდა ყელში ხელწაჭერილის ყვირილით, რომ არც ქვევით გაეგოთ და ჯარისაკებსაც რიხვად დასტყდომოდა, ჩაილმუვლა — ტელიატნიკოვი სად აგდია!

— მეთაურები ჩვენ არ გვეკითხებიან ამხანაგო ლეიტენანტო! — ვასიამ ადგილიდან დაუძვრელად ხელი შუბლთან მიიტანა.

— ვთქვი მე, ეგ შეშლილია და საგიჟეთში უნდა გაიგზავნოს-მეთქი! — ლეონს დაუბღვირა, როგორც დაკარგულ ცხვარზე მწყემსს მოთხოვენ პასუხს.

— ვინაა აქ მკუათმყოფელი! — იკითხა თვალებდასიებულმა ტელიატნიკოვმა და სანგრის ძირში გამოთხრილ ხვრელიდან გამოძვრა, ნამძინარევი, ასეულის მეთაურს გაოგნებული შეაჩერდა, ამისათვის კაცის გაღვიძება ღირდაო?

— ტელიატნიკოვ! — ისე იბღავლა ახლა ლეიტენანტმა, ეტყობოდა, დაავიწყდა, რომ ხმის მისაწვდენზე დივიზიის მთელი სარდლობა იდგა.

ათმეთაურმა ხელი აულო და ბურთი გადაყლაპა.

მოვარდა თავშიშველი ასეულის პოლიტხელიც არტამეს ხომიანცი, ტაშკენტელი სომეხი, ახალი კომისრის გამოჩენამდე რომ ლეონს მხარზე ხელს უტყაპუნებდა და „ზემლიაკს“ ეძახდა.

აფანასენკო, რა თქმა უნდა, პირადად არ იცნობდა მეთაურებს და წინა ხაზებზე არც სარდლობა დადის ჩინ-მედლებით, მაგრამ ცხენების ავკარგიანობით და უმცროს-უფროსის კვალობაზე თვალების ბრიალით არც ამ ნერვებმოშლილ ჯარისკაცს გაჭირვებია იმის გამოცნობა, ვინ რისი პატრონი იყო.

დივიზიის მეთაურს დაბარებულივით მიადგა. მხრებში წაიხარა, კაცს რომ ეგონებოდა, მკლავი მაღლა ხელის ასაღებად წაიღოო, თითები ისე დაიჭირა, თითქოს ახლაც გაგობილი [illegible] უჭირავსო და ამხედრებულს აუწვდინა:

— ამხანაგო, გენერალო, პაპიროსი მომაწევინე!

— თავისუფლად! — წამოსცდა მეთაურს, რაკი თავიდანვე ეგონა მესალმებაო, მაგრამ იმდენად უჩვეულო იყო მისთვის, ჯარისკაცს პაპიროსი მოეთხოვა, რასაც ყველა რიგითი, ათისთავსაც ვერ შებედავს, სახტად დარჩენილმა ამალას გადახედა: ეს თქვენ ხომ არ მომიწყვეთ, ან ეს „გენერალო“ რას ნიშნავს, თქვენ ჩემი პოლკოვნიკობა ხომ არ გეცოტავებათო.

თანმხლებმა მეთაურებმა: ეს რამ გაფიქრებინათო, ჯიბეზე ხელი გაისვეს და მიშას ზურგიდან გახსნილი სათუთუნეები მოაწოდეს, თავზევით იმანაც კი მოაშველა ახლად ყურახეული სავსე კოლოფი, უკან რომ ცხენდაცხენ მოსდევდა და დივიზიის მეთაურის ცხვირწინ წამოეწია.

აფანასენკომ არცერთს არ აწყენინა. ტარიანი პაპიროსები ყურებზე ჩამოიწყო, პირში გამოიჩარა და ისე რომ მისკენ არც მიუხედავს, ჩია მეთაურის მთელ კოლოფს ჩააფრინდა. ჩია ვითომ ერთი გაძალიანება გაუძალიანდა, მაგრამ „გენერალმა“ რომ თვალები გადაუბრიალა: უკან მიიხედე, მთელი ჯარი შემოგჩერებიაო, კოლოფს ხელი უშვა და გადაიკისკისა.

— უბრალოდ, ძალიან სასაცილოა, ამხანაგო პოლკოვნიკო, ღმერთმანი,ღმერთმანი...

დივიზიის მეთაურის გარდა ყველამ გაიცინა და კაცის სიცილს ვადაჩვეული შავი ტაიჭი დაფრთხა, უკან დაიხია და „გენერალსა“ და აფანასენკოს შუა საკმაოდ ღირსებაშელახული ცხენები ჩამოდგნენ.

— ვიცინეთ, ღმერთმანი, ძალიან ვიცინეთ!.. — კისკისებდა მიშას თავზე დახრილი ჩია, სანამ პოლკოვნიკი იმდენზე დაშორდებოდათ, რომ მისი ხუნტრუცის ხმა აღარ მიწვდებოდა, მერე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი თითქოს ნაღმს კინაღამ ფეხი დაადგაო, გაქვავდა.

## V

წინა დღეებშიც წვიმდა, მაგრამ სანამ წამოთოვდა, კოკისპირული დაუშვა. საღამო ხანს კი წყალწყალა ფანტელები წამოვიდა.

სანგრებში, მიწურებში და ბლინდაჟებში ტბორი დადგა. ჯარისკაცები განუწყვეტლივ ხაპავდნენ კარდალებით ყვითელ ფაფასავით ათქვეფილ წყალტალახს და თავზევით, მიწაყრილებზე ასხამდნენ. კარგად მოზელილი თიხის სქელი მასა, ასეულის მზარეულს რომ შეშურდებოდა, ქვაბუნების ფსკერსა და კედლებს სახამებელმორეული წებოსავით ეკვროდა. ჭურჭელი ათჯერ რომ აგეპირთავებია და გადაგეღვარა, ერთ ნიჩაბს არ აავსებდა. ციდან იმდენი რა უნდა ჩამოსულიყო, მაგრამ წყალი გამძღარი, გაჟეჟილი ნიადაგიდან ჟონავდა და თხრილის კედლები ფსკერზე ტყაპანით ცვიოდა. მტრის ტანკებს ახლა აღარ დასჭირდებოდა სანგრების თავზე ჯირგალი და ადგილზე მუხლუხოებით მოსარგალება მებრძოლების ცოცხლად დასამარხავად. ათ მეტრზე რომ ჩაევლო მძიმე წონის ურჩხულს, წყლით გაჟღენთილი, თონთხლო თავშესაფრის კედლები თავისთავად მოირღვეოდნენ და იქაურობა მოსწორდებოდა.

აფანასენკოს ხელიც არ გაუნძრევია. გათოშილი, ტალახში დაგდებულ ჩანთაზე იჯდა და მუზარადიდან ჩამოსული წვეთები მხრებზე და გულისპირზე ჩამოდიოდა. წუმპეს გალაფული ლეონი ხაპავდა. საქმემ ისე გაათბო და გაიტაცა, თითქოს ახალი ჯიშის ფართო ფოთლიანი ბჟოლების ბაღს აშენებდა.

პირველი თოვლის ფანტელები რომ წამოვიდა, აფანასენკომ მუზარადიანი თავი გადააგდო, სახე ცას მიუშვირა და ამოიკვნესა.

— ოხ... ღმერთო ჩემო...

— რა თქვი, მი-იშა?

— მიყვარდა ეს უღმერთო ზამთარი...

ლეონმა, განზე რომ მდუღარეგადასხმულივით ოხშივარი ასდიოდა, თავი მიაბრუნა, ლაფით სავსე კარდალა იმის მაგიერ, რომ მაღლა აექნია, მიშას მიუტანა და თვალებში ჩააჩერდა: მთლად ხომ არ შეიშალა, მეთაურობა მაინც აღრენილია, საავადმყოფოში არ გაგზავნონო.

— რა გი-იყვარდა?

— ზამთარი, ეშმაკმა დალახვროს... ზამთარი მიყვარდა...

მე-ერე?..

ლეონი ჩაიხარა, კალთებმოთითხნილი მაზარა ამოიკეცა, რომ შიდა პირიც არ ამოელაფა, წყალჩამოტირებულ სანგრის კედელს ზურგით ვერ მიეყრდნო და საკუთარი ბათინკების ქუსლებზე ჩაჯდა.

— გი-იყვარდეს, ვინ გი-იშლის...

მიშას გაეცინა, დედიშობილას რომ უთხრან, რამსისუქნე ქურქი გაცვიაო, ისე გაეცინა.

— წვი-იმა არ გი-იყვარდა?

— წვიმაც.

— მერე, ა-აგერაა რამდენიც გი-ინდა...

აფანასენკოსაგან თავისი თავის და მეთაურების ლანძღვა-გინება აღარავის უკვირდა. ღვარძლიანი, დოვლათიანი, უთავბოლო გინების შემდეგ ცოტათი მშვიდდებოდა. თუ გული მოოხებული ჰქონდა, სანგრიდან ფეხს არ იცვლიდა, იქვე ბორგავდა, აფურთხებდა, შარდავდა, ღამით ძილიც წაეპარებოდა. მაგრამ თუ ზოგჯერ ნათელ, საზრიან მუსაიფს წამოიწყებდა, მისი მიმქრალი, დაღეწილი ხმა ამაღლობელს, მტრის საარტილერიო ზალპივით ჭრიდა ყურებს და მაშინვე ჩაუსაფრდებოდა. იცოდა იმ ღამეს, გარეგნულად ვითომ მშვიდი აფანასენკო თვალს ვერ მოხუჭავდა და ამაღლობელს როგორმე ხელიდან გაუძვრებოდა. ახლაც ისე აუკვნესდა და აუთრთოლდა ხმა, თითქოს ვინმეს მისთვის წვიმა, თოვლი და ყინვაც წაერთმიოს. ლეონს მაშინვე გადაავიწყდა ტალახის ლესვა და მეგობრის დამშვიდება სცადა, ზამთარიც მოვიდა და მაგისთვის

ძარღვები არ აიშალოო. მაგრამ ამაღლობელის უკვე მოდუნებული ტვინი მოგვიანებით მიხვდა, რომ აფანასენკოს წისქვილის წყალი, დაშრეტის მაგიერ, დაასხა და წამხდარი საქმის გამოსწორება მოინდომა:

— მი-იშა ადექი! პო-ოლიტხელი ან ბატალიონის მე-ეთაური...

უნდოდა ცეცხლი სხვაგან გადაეტანა, მიშას მეთაურების გინება წამოეწყო, მერე იქნებ თავისი თავიც ზედ მიეყოლებინა და დაშოშმინებულიყო, მაგრამ დაუგვიანდა, გაასწრო, მიშა ფიქრით უკვე სხვაგან იყო.

— ლეონ, მეც აგრონომი ვიყავი... — თითქოს ასი წლის ყოფილიყოს და ყმაწვილკაცობის დროინდელ პროფესიას იხსენებდა.

— რა-ას ამბობ?!

ლეონს ეს პირველად ესმოდა. საერთოდ, აფანასენკოს თავისი ომამდელ საქმიანობაზე და ცხოვრებაზე სიტყვა არ დაცდენია, არც სხვისთვის მოუსმენია ყურადღებით.

— მხოლოდ არ დამიმთავრებია... კიევში ვსწავლობდი დაუსწრებლად. მამამ ცალი ფეხი ქვის სამტეხლოში დაკარგა.. ოჯახს ხომ ვერ მივატოვებდი.

— მიშა, მოიცა! — ამაღლობელი ისე დააფრთხო ამ წყნარმა, მთრთოლვარე ხმამ, ენაც კი არ დაბმია, ისე უცებ მოინდომა მისთვის სიტყვის წართმევა.

— მე ოთხი და მყავს...

— ო-ოთხი?.. მე სა-ამი ძმა...

— სამი არაფერია... სამზე არ ვფიქრობ... ერთი კუტი დაიბადა...

— რა-ატომ? — წამოცდა ლეონს და ბლუ ენას კბილი დააჭირა, ეს რა ჯანდაბამ მათქმევინა, კუტები რატომ იბადებიან, რა საკითხავიაო.

— ახლა ცხრამეტი წლისაა... — განაგრძო მიშამ. მის ახლანდელ ნათელ გონებას არ გაკვირვებია ამაღლობელის წამოცდენილ „რატომში" რომ მხოლოდ დიდი თანაგრძნობა იყო, — ძვლები არ გაუმაგრდა... ლოგინში წევს... თხუთმეტი დღის მთვარესავითაა. ცრემლი რომ ცრემლია ისიც შვენის, როგორც ვარდს ცის ნამი. შენისთანა გულწრფელი ქაციც არ დაიჯერებს, მას ოდესმე რაიმე სტკენია.

— მი-იშა, მე-ეთაურები...

— შარშან საშუალო ასე მწოლარემ დაამთავრა. სახლში მოდიოდნენ მასწავლებლები, ბიძაჩემი სკოლის დირექტორია... და გამოცდებს იბარებდნენ. გამოცდებამდე კი... — მიშა შეჩერდა, ჰაერი არ ეყო, ცას მიუშვირა სახე და წვიმას შერეული ფანტელების ჩაყლაპვა მოინდომა, — ხომ იბადება ღვთისნიერი ადამიანი, იშვიათი, გამონაკლისი...

— ი-იბადება...

— იქნებ არც იბადება, ციდან ვარდება... არ ვიცი, მაგრამ... მე შენი გადიობაც არ მიკვირს, იქნებ სხვას უკვირს, მე კი არა. მიჩვეული ვარ და იმიტომ... უფრო დიდი და მშვენიერი მინახავს და იმიტომ.

— ა-არიან ადამიანები...

— ასე მეგონა მე და იმიტომაა...

— ვი-იცი, აქაც ხო-ომ...

— არა, აქაურობა არ გვინდა, აქაურობა რა სახსენებელია... — მიშამ ისევ ღრმად ჩაისუნთქა, — და ის გოგო... ჩემი ახლა აღარაფერი დაიჯერება, მაგრამ იცოდე, თუ ოდესმე მშვიდობას მოესწრო... ეჰ, — გადააფურთხა, — ვინ იცის, სასწაულებიც ხომ გაგვიგონია... იკითხე შენისთანა კაცმა უნდა იცოდეს ასეთი რამ. იკითხე, ჩვენს სოფელში, ალბათ უკვე ნასოფლარში... გეტყვიან. დეიდა, ლვიძლმა დებმა რომ მიატოვონ ჩემი უფრთოდ დაბადებული ანგელოზი, „ის" არ მიატოვებს.

— ი-ის?

— ჩვენ არ გაგვაჩნია საშველი, თუ არა ღმერთი ერთს რომ წაგართმევს, მეორეს მოგცემს...

ლეონი მიხვდა, „ის" ვიღაც ისეთი ვინმე იყო, მიშას მისი გახსენება გულს, ლოგინზე მიჯაჭვულ დანაზე ნაკლებ არ უკლავდა.

— მე-ეზობელია?

— მეზობელიც არ ეთქმის. ჩვენი სოფელი კარგა მოზრდილი სოფელი იყო. ორ კილომეტრზე დადიოდა ყოველ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღე თავის სახლიდან, არ დაიჯერებ, ათ წელიწადს.

— და-ავიჯერებ...

— ახლა, დანარჩენი შენ მომიყევი.

— მე-ე?

— ჰო, ახლა შენ მიამბე, რა მოხდებოდა როცა სოფელს... — მიშამ ხელი ზურგისკენ, მტრის სანგრებისკენ გაიშვირა, — იმ მგლების ხროვა შემოესეოდა...

— არ გინდა, მი-იშა...

— არ მინდა... უფეხო მამა .. მამაჩემმა აქ, ახლომახლო... ჩვენ კიდევ ერთი დაცაცხანება გვინდა და შავი და აზოვის ზღვის ნაპირებზე მიგვრეკავენ. იქ, კი, ვინც გადავრჩებით, წყალში ჩაგვახრჩობენ.

— ჩვე-ენი ა-ავიაცია ხომ გა-ამოჩნდა.

— რა გამოჩნდა? ავიაცია... იმის მერე, როცა ჩვენს თავზე გერმანელები მზეს აბნელებენ? წელმოწყვეტილი ხროტინით თითო-ოროლა ფირფიცრების ხუხულები რომ გადაიცოდვილებენ და ნახევარი უკან ვერ ბრუნდება?.. რომელიც ბრუნდება, საცერივით დახვრეტილი და გაბდღვნილი, ან ბებერი ყვავივით უკუდო?!

— ა-არტილერიაც გაძლიერდაო, პოლიტ...

— პოლიტხელები რად მინდა, ვერ ვხედავ? არტილერია!.. იმდენად უკან რომ აყენებენ, მტერს ხელში არ ჩაუვარდესო, გერმანელების პოზიციებამდე ტყვიას ვერ უწვდენს და ნახევარჯერ ჩვენ გვირტყამს თავში...

— მა-აინც იმედია, მეთაურობაც შეეიცვალა...

— მოვეშვათ... — ვერ გაიტყუა ლეონმა, მიშამ თავისი გააგრძელა, — აქ, სადღაც ჩემი დედულეთია...

— აქ, სა-ადმე?

— ზღვის ნაპირასაა... მე აქ დავიბადე. მამა, სანამ ფეხს დაკარგავდა, ქვის სამტეხლოებში მუშაობდა. თავის სოფელს მერე, დაინვალიდებული დაუბრუნდა. აქ რა უნდა ეკეთებია... დედაჩემის და, სიძე და დისშვილები კი აქაა. აქ იყვნენ ყოველ შემთხვევაში, ახლა ვინ იცის... ზოგჯერ მტრები ზორგსუკან გჭვდებიან, გვეჯიბრებიან, რომელი რომელს მივასწრებთ ქვეყნის ბოლომდე...

— ყი--ირიმში კია თუ-ურმე ა-არეულობა...

— დეიდაშვილები... ვაჟი ფინეთში დაიღუპა, ერთი გოგოა, მაგრამ იგი არც მტრის ხელში დაიკარგება, რაიონის კომკავშირის მდივანია. მდივანი მთხლეც მინახავს, აი ის რომ დივიზიის კომისრად გვყავდეს... არ ვიცი, საერთოდ კაჟივით გოგოა... რა მნიშვნელობა აქვს... ბაღზე მიტირის გული, ბაღზე...

— ყი-ირიმის ბა-აღებზე?..

— სახლი, სახლი არაფერი, ბაღი... დეიდაჩემის ქმარი მეთევზე იყო. მაგრამ მერე, რაც კერძო თევზჭერა აიკრძალა და კოლმეურნეობას ჯეელები დასჭირდა, ბაღი გააშენა. როცა სამხრეთიდან ბულბულები პირს აქეთ იზამდნენ, როგორც გემები ნავთსაყუდელს, მის ხეხილნარს ისე მოაშურებდნენ.

— მი-იშა, თუთა თუ ჰქონდა?!

იმ ღამით აფანასენკომ ორჯერ მოახერხა სანგრიდან გაპარვა და დილით, უთენია, შეტევის დაწყების წინ მისი მშიერი, ქეციანი თხასავით გამწლეული ჩანთა ამაღლობელს ფერდებამოვსებული მოეჩვენა, ადრეც მოპარა მან ზემდეგს ხელყუმბარა და ერთი პეშვი შაშხანა ვაზნები. წუხელისაც სანგრიდან სამზარეულოს ქვაბების სატლეკად არ გაილალებოდა.

პირველ თოვლს და მაგარ ყინვას. — ჯარისკაცს რომ დაიმაგრებდა, მანქანას და ტანკს კი ვერა, პირველი შეტევა მოჰყვა.

უთუოდ შეჭანჭყარებულ შტაბს ევარაუდა, მტერი ტანკსა და ჯავშნოსნებს ვერ გამოიყენებს. უიმისოდ კი ამ უამინდობაში, ნაპატიები გერმანელი ბუნაგს არ მიატოვებსო და არტილერია წინ იმდენზე გამოეთრიათ, დილით მტრის მოწინავე სანგრებს ცეცხლი გადააშთორა და აქეთ გადმოტოვა. ახლო-მახლო, თითო-ოროლა მცირეყალიბიანი ქვემეხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ნალმსატყორცნიც ახროტინდა და მტრის წინა ხაზის თავზე კვამლის ბოლქვები და მორჩილი ორმოები გააჩინა.

მიშა სანგრიდან წაყინულ მიწაყრილზე შეფორთხდა. წკიპზე შემართული გაწვა და უძილო, ჩასისხლიანებული თვალები წინ ჩააშტერა...

ლეონს ხმა არ გაუღია. აფანასენკო დიდი ხანია ტყვიასა და ცეცხლს აღარ ემალებოდა. მისთვის სულ ერთი იყო შრაპნელი ზუზუნებდა, ჭურვი წიოდა თუ ზლვაური უბერავდა, ბომბი ცვიოდა თუ თოვლის ფანტელი. მიწის გულიდან, ხვრელებიდან ამოჰყავდა მტრის ცეცხლს მებრძოლები და უმუზარადო, გულმოღეღილი, უთავშესაფრო აფანასენკოს ველარ ეკარებოდა. ერთ-ერთი უკანდახევის დროს ხელყუმბარები და ტყვია რომ გამოელიათ, მურყნარში გაწოლილ ნისლსა და კვამლში ძლივს შეათრია ლეონმა, მაგრამ წელში ვერ მოღუნა, მტერი ისე ახლოს მოსდევდათ, ორივეს ფარაჯის კალთები დახვრეტილი ჰქონდათ და სისხლი არ გაღენიათ. საჰაერო თავდასხმისას „მესერებით" თუ „ჰენკელებით" გადაშავებულ ცის ქვეშ მიშა მუშტაღმართული იდგა. წვიმდა და თოვდა ბომბები, მის ახლომახლო ორმოებით, ამონაყარი ბელტით და კოლბოხით იფარებოდა თვალსაწიერი, ჰაერს ფხრეწდნენ ნამსხვრევები და ნანგრევები, ის კი დაალაჯებდა როგორც უხორცო, უსხეულო. სიკვდილს ეძებდა გაბოროტებული და მისთვის ისიც გაჭირდა. მისი ახირების მიუხედავად ამან ჯარისკაცებში და უფროსებში უშიშრის სახელი დაუგდო. მის ათასნაირ ჭირვეულობას და საეჭვო ჯანმრთელობას ყურს უყრუებდნენ.

ლეონს მაინც მისი გუშინდელი ნაამბობი უფრო აშინებდა, ვინემ მტრის მხრიდან მოსალოდნელი ცეცხლი. თითქოს ანდერძს ტოვებსო, ისე გადმოულაგა მეგობარს თავისი სულის სალარო. ამაღლობელს ცალი თვალი რომ მტრისკენ ეჭირა, მეორეს მიშას არ აშორებდა.

იგრუხუნა ერთხანს არტილერიამ, რაც შეეძლოთ, მცირეყალიბიანებიც წაეხმარნენ, რალაცა მიჩიჩქნ-მოჩიჩქნეს მტრის პირველი და მეორე ეშელონი და ჩაჩუმდნენ. რაც შეეძლო დროულად ამოფართხუნდა გაავებული ღმუილით ჩვენი ათიოდე ბომბდამშენი, მანამდე რომ ამდენიც არავის უნახავს და მართალია, სანამ მოწინააღმდეგის საზენიტო არტილერიის ცეცხლში გაეხვეოდნენ, მტრის თავზე მაინც გვარიანი ბუქი დააყენეს. ორმა მობრუნება ვერ მოასწრო, გრძელი მჭვარტლის შავი კუდი გამოებათ და გერმანელთა სიღრმეში, მესამე ეშელონისაკენ ჩაცვივდნენ. დანარჩენები დაფრთხნენ, შეყოყმანდნენ. ერთს ბომბები კიდევ ჰქონდა შემორჩენილი და ჰაერში აფეთქდა, ცეცხლმოდებულ ნაფოტებად გაიფანტა. სხვებმა მოასწრეს ხელის დაცლა და შემობრუნება. რაკი პირი აქეთ ქნეს, ბღავილით და ღმუილით გამოეშურნენ. იცოდნენ რაც ელოდათ. საზენიტო არტილერიას რომ გადაურჩე, ეს გადარჩენას კიდევ არ ნიშნავს. ამოცვივდნენ სვასტიკიანი გამანადგურებლები და გამოენთნენ. ზედ წინა ხაზის თავზე წამოეწივნენ, ატყდა მოტორების ყმუილი, ქვემეხებისა და ტყვიამფრქვევების ტკაცუნ-ჯახილი, ერთიც იქვე გაბდღვნეს და სანგრების ახლოს ცხვირით ჩაერჭო, მეორეს ფრთა წააგლიჯეს თუ დაუცხრილეს, გადაიფერდა, ქვევით-ქვევით წამოვიდა, კანალამ მიწაყრილს წამოსდო ათრეული ცალი მხარი. მერე თავისიანებს რომ მოაღწია, გული მოეცა, თუ კიდევ ჰქონდა ძალა შემორჩენილი — აზმუვლდა, აღრიალდა, ოდნავ მაღლა აიწია და ასე გადაფერდილი წაფართფატდა .არავინ უწყოდა, მიიტანდა სულს იქამდე, საიდანაც წამოვიდა თუ არა.

გერმანელთა ერთ გამანადგურებელსაც წაეკიდა ცეცხლი და მიწაყრილზე გულაღმა გაშხვართულმა აფანასენკომ ტაში დაჰკრა. მერე მკერდზე თოფი კონდახით დაიბჯინა და, როცა ბომბდამშენები, როგორღაც ბრძოლის ველს გაეცალნენ ცის თავზე მორიალე გაალმა-

სებულ მტრის „მესერებს“ ტყვია დაუშინა.

ეს იყო ვითომ საარტილერიო და საჰაერო მომზადება, მეორე, მესამე ეშელონებიდან გამორეკილი ჯარისკაცები და მეთაურებიც წინა სანგარში შემოცვივდნენ და შეტევაც დაიწყო.

ზურგის ქარმა დაუბერა, კვამლი, ბოლი და მტვერი დაბლა გაწვა და მტრის მოწინავე თავშესაფარს წაეფარა, მაგრამ სანგრებიდან ჯარისკაცების ამოძრომისთანავე აკაკანდნენ ტყვიამფრქვევები, ატკაცუნდა ავტომატების ჯერი, ჩახმახზე თითის ერთ გამოკვრაზე რომ მთელ მჭიდეს ცლიდნენ და პირველივე ფეხზე წამომდგარი წითელარმიელები მოთიბეს. ვასია სამოდელკინი სანგრიდან ათ ნაბიჯზე დაეცა და აბლავლდა. წინ ხელებგაწვდილმა ურალელმა კოლია რუბცოვმა ხმის ამოღებაც ვერ მოასწრო, პირქვე დაემხო. ტელიატნიკოვი, ამ ბოლო დროს სანგარში რომ დაიჯგიმებოდა, დაოთხდა, ჩირგვს ამოეფარა და „ურას“ მიწას ჩაბღაოდა, მაგრამ ზურგიდან ოცეულის სხვა ბიჭები, მესანგრეები, მეკავშირეები, მზვერავები წამოაშველეს და ლეონი მიშას მხარეზე რომ გაიქცა, გვერდით ჩოფურა ოსმა მზარეულმაც კი ჩაურბინა, ამ ბოლო დროს ასეულიდან პოლკის სამზარეულოში რომ მოახერხა გადასვლა.

აფანასენკო მიდიოდა, ცალ ხელში რატომღაც ორი ხელყუმბარა ეჭირა, ცალით. შაშხანა გულზე კონდახით მიებჯინა და მიდიოდა, არც გარბოდა, არც გაწოლასა და ფორთხვას აპირებდა. წიოდა ტყვია, სხეპავდა გაყვითლებულ, გათოშილ ფოთლებჩაკიდებულ მაღალ ბალახებს. აყეფდა მტრის ნაღმსატყორცნი ბატარეაც, ალბათ შეტევას არ ელოდნენ და დაუგვიანდათ ბრძოლაში ჩაბმა, თორემ საფარიდან თავს წამოგაწევინებდა? აფეთქდნენ ნაღმები, ორმოებს, ორმოები მიემატა, ქარმა ახლა კვამლი ზურგიდანაც წამოიღო და ადუღებულ რძეში რომ დაურჩეველი უგრეხელა ტომრით ჩაუშვა, ისე აირია ყველაფერი.

ლეონი ცხელი ჰაერის ტალღამ გვერდზე მოისროლა, წაყინულ მიწაზე ბეჭით დაეცა, ქვევით წყლით გაჟიჟინებულ თხიერ ჰენჭყობში დაეფლო. აფანასენკო ირგვლივ დამდგარ ბოლსა და კვამლში თვალთაგან დაეკარგა, გვერდზე ოცეულის მეთაურმა კარატკევიჩმა ჩაურბინა „ურას“ღრიალით. მოყინულზე ახალი ჩექმა უცდებოდა, მუზარადი ცალი ხელით ეჭირა, წაფორხილებისას თავიდან არ გადამვარდესო. ოსი მზარეული ნაღმის ორმოში ჩაემხო, ეცოტავა სუფის ქვაბის ტოლა ორმო, თუ წინ წაწევა მოინდომა, ტალახში ამოგუნგლული ამოფორთხდა და არტილერიის ჭურვის ძაბრში გადაყირავდა, ერთხანს მისი ბათინკების ლანჩებიღა ჩანდა. ლეონის თოფს, საყელოზე ელვა გადაჯვარედინებული ბიჭი დაწვდა, აიტაცა, თოფს ჩაფრენილი პატრონიც აიყოლა და ლეონს რომ ეგონა, მომეშველა, წამომაყენაო, თურმე მეკავშირეს დაჭრილი ჰგონებოდა და ხელცარიელს ეფიქრა, გავკეთდი, იარაღი ვიშოვეო.

გათამამებული მტერი არ ელოდა თუნდაც ასეთ წინააღმდეგობასაც, დაეჭვდა, წითლებს უთუოდ რაღაცა ძალა გაუჩნდათ, თუ არა იმ საარტილერიო ცეცხლით, ავიაციით და შაშხანით ასეთ თავგანწირულ შემოტევას როგორ გაბედავდაო. ლეონმა რამდენი წინ წაიწია, ნაღმების სკდომამ იმდენი იკლო, ავტომატის ტკაცანიც შეწყდა. იფიქრა, წინა ხაზი ჩვენებმა აიღესო. სინამდვილეში მოწინააღმდეგეს ახლოს თავისიანები ეგულებოდა და ცეცხლს არიდებდა.

— ვაშაა! — მოესმა აფანასენკოს ხმა. „ვაშას“, „ვაის“ და „მიშველეს“ ვინ არ ღრიალებდა, მაგრამ მიშას ომახიან ხმას ხრინწიც ერია, ნეშოსა და ბალახის წვამ რომ გაუჩინა, თან მის შეძახილს ზედიზედ ორი ხელყუმბარის გასროლა მოჰყვა.

აფანასენკომ რომ სანგარს მიაღწია და შიგ ხიშტმომარჯვებული გადაეშვა, ტელიატნიკოვიც მიფორთხდა და ხელყუმბარა რომ გადაისროლა, კინაღამ თოფიც მიაყოლა, მხარათრეული ლე-

ონიც მოვარდა, მაგრამ ვერაფრით შაშხანას ხიშტი რომ ვერ დაავო, ლულა თავისკენ მიაბრუნა და კეტივით მოიმარჯვა. გასისხლიანებული ოცმეთაური კარატკევიჩი მიწაყრილზე დაეცა და სანგარში გადაკოტრიალდა. ჩამოცვივდა მზვერავთა ათეულის ორი ჯარისკაცი და სახეშემურული მესამე ათეულის რიგითი უზბეკი ყარიმოვი, ცხვირში სისხლგადენილმა მზარეულმაც მოაღწია, მაგრამ მტრის წინა ხაზი ცარიელი დაუხვდათ. პირველსა და მეორე ეშელონების შემაერთებელ დერეფანში რწყილივით გამძვრალიყვნენ, თითოოროლა დაჭრილი და დახოცილიც გაეყვანათ.

აფანასენკომ ცოფისაგან პირიდან დორბლები ჰყარა, როგორც იქნა ეღირსა, მტერს „სახლში“ შეუვარდა შურისსაძიებლად და ვერც აქ მოიხელთა. როცა სანგარი მოირბინა, ერთი მკვდარი ფრიციც ვერ იპოვა. მიწურის მორიალებულ კარებში ორი ხელყუმბარა შეაგდო და შეჰყვა, ეგონა გვამებით მოფენილი დამხვდებაო, „შნაპსის“ ცარიელი ბოთლები და კონსერვის ქილები დაემსხვრია. შეიშალა კაცი, უკან გამოიჭრა და წინსვლის ბრძანებას არ დალოდებია, მაღლა აეტოტა. მარცხნივ სა ცეცხლე წერტისაკენ აპირებდა გაქცევას. ზედ მის ცხვირწინ გასკდა შრაპნელი და ტალღამ უკან გადმოაგდო. მგლის საფანტივით ბურთულას მაზარა ბეჭებთან გაეხვრიტა და ლეონს კი არა, თვით მიშასაც არ გაუგია, თუ სისხლი დიოდა, სანამ გულისპირში არ გამოჟონა.

მტერმა ზუსტი ანგარიშით, როცა თავისიანები გაიყვანა, მკვდარი, დაჭრილი და ცოცხალი გადათვალა, არავინ მაკლდესო, ორ წინახაზს შორის ისეთი ცეცხლი დაანთო, ვინც ამ შეტევისას დაჭრილი მიწის ზევით დარჩა, საბოლოოდ მოუთავა ხელი, დახოცილები ხელახლა ააფეთქა და მეორეჯერ მოჰკლა. მტრის ბლინდაჟში ჩამოცვენილებს მტრისავე მკვიდრად ნაგებ მიწურში რომ არ შეესწროთ, თხრილი და ორმო ნახევარს ვერ დაიფარავდა.

ეროვნული

ნიავი საღამომდე უბერავდა და დენთის კვამლში შეზელილი თბილი სისხლის, ხრუკის და მკვდრების მძიმე, ცივი სუნი მიწურის კედლებში წყალივით ჟონავდა.

იმ ღამესვე გერმანელებმა ფრონტის ამ უბანს ახალი ძალები და საომარი საჭურველი მოაყარეს. ეს არც პოლკის შტაბს დარჩენია შეუნიშნავი, არც დივიზიისას. შეღამებისას ბრძანება მოვიდა, მტრის სანგარიც უნდა დაეტოვებინათ, თავისიც და ზღვისპირა ტყის ზოლით ყირიმისაკენ დაეხიათ.

## VI

თოვდა და თოვდა.

ზღვის ახლოს თოვლი ნესტიანია. დიდ, მძიმე ფანტელებად იკვრება, ჰაერში არ ფარფატებს და მიწას შრიალით ეფინება. ნაკვალევს ფარავს, ვაკეზე ნაფეხურებში ჭყაპდება, ზედ ფეხი ცურავს და წინსვლას აძნელებს. შარაზე ,ან გრუნტიან გზებზე კი ეს წყლით გაჟღენთილი თოვლი ბორბლებში ითქვიფება, თხაპუნობს და ტრანსპორტის მოძრაობას ვერ აფერხებს.

— ეშმაკმა დალახვროს, აქაური ზამთარი არ მიყვარს! — აღმოხდა აფანასენკოს.

— და-აიწყო... — ამოიოხრა ლეონმა.

— მართლა რასა ჰგავს ეს?! — შემოხედა მიშას, ამ არეულობაში თავისიანებს მოწყვეტილმა, არა იმდენად სუსტმა და უღლეურმა, რამდენადაც უჩვევმა და უნდილმა ცისფერთვალება ჯარისკაცმა. ახლახან ისევ და ისევ ახალი შევსება რომ მოაყარეს, უთუოდ ერთი იმათგანი იყო, ამ დანგრეულ, დაწალიკებულ მებრძოლებში აფანასენკოს თავდაჯერებას და ლეონის ამტანიანობას რომ მოეკედლა.

— ზამთარი ჩვენებური მიყვარდა... — განაგრძო მიშამ ლეონის გასაგონად. ბიჭს არც მოხედა, რომელიც ალბათ ელოდა, მკითხავენ საიდანა ვარ, ვის დავეკარგე და ვის ვეძებო.

— თქვე-ენებური? — გაესიტყვა ლეონი, ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა.

— ჯეჯილებს რომ საბანივით ფარავს და გაზაფხულამდე „ათბობს“...

— ჯე-ეჯილი ისე არ ვარ-არგა...

ბიჭი მიხვდა, „ძველი“ ჯარისკაცები ახლებს არ ანებივრებენ, ან ყურადღების ღირსად არ თვლიან, რაკი ჰგონიათ, მაინც ვერაფერს გააგებინებენ. ომი არაა, რაც გინახავს და გადაგიტანია, აილო და ვინმეს ჩაუკაკლო. როგორი ენაწყლიანიც არ უნდა იყო, ვისაც თავისი თვალით არ უნახავს, მაინც უვიცი დარჩება.

ბიჭი თვრამეტი წლისა იქნებოდა, მაგრამ მოლეული ნიკაპი და სიფრიფანა ცხვირის ნესტოები უფრო ბავშვურს და უწლოვანს აჩენდა. ფეხსაცმლის გარდა ვერაფერი ეშოვნა და მის ჯერ კიდევ მთელ, მოფლაყულ ბათინკებს წვერები აეფშიკათ. როგორც კი წინ გადაიხრებოდა და ქუსლს მიწას ააცილებდა, თხილამურივით თავაღერილი ფეხსაცმელი უცურდებოდა და ნახევარი ნაბიჯით მაინც უკან იხევდა. თითქმის სულ სირბილით მოსდევდა „ამხანაგებს“, ჩქარ-ჩქარა სუნთქავდა და თავისივე ცხვირივით გაცრეცილ, უსუსურ ორთქლს პირიდან მალიმალ უშვებდა. მიშას და ლეონის ნათქვამისა ვერაფერი გაეგო, უთუოდ რომელიღაც დიდ ქალაქში მუსიკალურ ტექნიკუმში სწავლობდა, დედისერთა უნდა ყოფილიყო ან დედმამიშვილში უმცროსი.

— ლე-ექსებს სწერ? — ჰკითხა ლეონმა, როცა ჭაობის ტოტის შემოვლას მიშამ პირდაპირ გატოპვა ამჯობინა და თვითონ დამფრთხალ ბიჭს გაჰყვა, რომელსაც ვერაფრით წარმოედგინა კოჭებამდე, ბათინკებით, მუხლამდე წყლიან თოვლში, თუ ასე შეუფერხებლად შელაჯება შეიძლებოდა.

— ლექსებს?! — გაკვირვებისაგან შეცბა, ამ „ძველ“, ენაბლუ ჯარისკაცს, ნესტოებიდან ცხენივით ბოლქვა-ბოლქვა ოხშივარს რომ უშვებდა, ლექსი და მუსიკა ან სად უნდა გაეგონა, ან ახლა რამ მოაგონაო. — მე?.. მე არა...

ლეონი მიუბრუნდა. მის [illegible] ეროვნული ბიბლიოთეკა თალ გუმანს არ უნდა მოეტყუებინა, ვითომ სხვა თვალით დააჩერდა და მაინც ეს გაიფიქრა: ნეტავ ამას ქვეყნად სხვა რა უნდა ეკეთებინაო.

— მო-ომეცი თოფი...

— თოფი?!

— ჰო, წა-ამოგილებ და წა-ამიკითხე...

ბიჭმა თოფი მიაჩეჩა და მართლა ლექსის წაკითხვა დააპირა, მაგრამ შეკითხვა ამჯობინა: აქ მართლა შეიძლება ასეთი რამ ჩავიდინო?

— წა-აიკითხე...

— ლერმონტოვს წაგიკითხავთ! — მისდაუნებურად თქვენობით დაიწყო ლაპარაკი.

— მიხაილ იურევიჩი და ბა-არათაშვილი კი, მაგრამ შე-ენი?..

„ლერმონტოვიც“ გაუგონია და კიდევ ვილაცაც“...

— ლერმონტოვი ვისაც წაუკითხავს, ლექსს დაწერს? — ბიჭი გამოიქცა, ლეონს წამოეწია, სახეში შემოხედა, თუ სიცხე არა მაქვს და რაიმე არ მეჩვენება, ახლა გამოჩნდებაო.

— არა, ძნე-ელია... — დაეთანხმა ლეონი და ბიჭს მოხიბლული ქალიშვილივით აუქუქუნა თვალები.

— თქვე სწერთ ლექსებს?

— ჩე-ემი ძმა სწერს... შე-ენი ხნისაა.

— წამიკითხეთ! — წამოცდა, — იმდაგვარად, ცისფერთვალება ბავშვი რომ ვიტრინაში თოჯინას დაინახავს და წამოიძახებს: დედა, მიყიდეო.

— რო-ომ ვერ გი-ითარგმნი.

— თქვენ ქართველი ხართ?

— ჰო...

— დედაა საქართველოში ნამყოფი. თბილისში ფუნიკულიორია მაღალ მთაზე და იმ მთაზე მწერლებს და პოეტებს ასაფლავებენ.

— მთა-აწმინდა.,.

— გრიბოედოვიც იქაა დასაფლავებული ხომ მართალია?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კი, იქაა...

აფანასენკო ჭაობის პირზე იდგა და, თოვლით დაფარული, ხელმარცხნივ, ჩირგვებიდან გამომძვრალ რუხფარაჯიან ჯარისკაცებს ექაქანებოდა, ჭაობის გადაღმა ხშირ ტყისკენ რომ ხელებს იშვერდნენ.

— ძაღლები! — ღრინავდა მიშა, როცა ამაღლობელი მიუახლოვდა, — ვერც თოვლი აკავებთ და ვერც ცის ჩამოქცევა. გზა გადაუჭრიათ, წინ, ჭაობის თავში ხუტორი აუღიათ... მანქანებით შეჭრილან.

ჯარისკაცებმა მაზარები აიკალთავეს და მომწვანო თოვლით თავწაფარებულ ჭაობში შეცვივდნენ.

— ე-ეგენი სად მი-იდიან?

— სოფელთან ვიღაც შარხილიან მოხუცს გადაყრიან, შეშაზე იყო ალბათ, იმას უთქვამს, ამ ჭაობში გასვლა ზაფხულში შეიძლებოდაო.

ავტომატმა სადღაც ახლოს გაიტკაცუნა.

— აქეთ მო-ოდიან?

— შემოგარენს წმენდენ, ეტყობა აქ შეჩერებას აპირებენ და არ უნდათ, სოფლის აწიოკებაში ხელი შეუშალოთ.

ლეონმა მაზარის წამოკალთავება დააპირა, მაგრამ მეორე თოფმა, ხელში რომ ეჭირა, ბიჭი გაახსენა, წელამდე თოვლიან ჭაობში შესულ ჯარისკაცებს რომ მიშტერებოდა და კიბოსავით უკან-უკან იხევდა.

ლეონმა მისი თოფიც მხარზე მოიგდო და ბიჭს ხელი დაუქნია.

ცისფერთვალამ ერთბაშად დაკარგა ამ კაცისადმი ის პატივისცემა, რაც წეღან გაუჩნდა, ისევ არ დაიჯერა, ამას ლექსი ოდესმე თუ გაუგონიაო.

— მოდი შე უბედურო აქ! — მიაძახა აფანასენკომ, — უკან-უკან რომ იხევ, სად აპირებ შეძრომას?

ბიჭი, სიკვდილმისჯილი ჯირკზე თავის დასადებად რომ ნაჯახშემართულ ჯალათს მიუახლოვდება, ისე წამოვიდა, ფეხები ისედაც უკან რჩებოდა და ვერაფრით ოციოდე ნაბიჯი ვერ გამოლია.

— ჩქარა, შენი დედა!.. — ალრიალდა აფანასენკო, — სანამ თოვს და ძაღლებს არ დაუნახიხარ!

— მო-ოდი, მოდი! — მიუბრუნდა ლეონი, ხელი ჩაკიდა და წამოიყვანა.

ბიჭმა აფანასენკოს გვერდის ავლა დააპირა.

— სად მიდის ეს ოხერი! ჩანთა, ჩანთა მომეცი!

— ნუ გე-ეშინია, ხომ ხედავ, გა-ადიან... — დაანახა ლეონმა ჭაობში მხრებამდე ჩაკარგული, წინწასული ჯარისკაცები, მალე ხშირ ფანტელებში რომ თვალთაგან დაიკარგებოდნენ, რაკი დამფრთხალმა ვერც ჩანთის მოხსნა მოიფიქრა და ვერც თოვლიან ჭაობში ფეხის ჩადგმა შესძლო.

ხუტორის მხარეზე თეთრ ბუჩქნარიდან ავტომატების ხმა გაძლიერდა, ტყვიებმა სულ ახლოს გაისივლეს.

— რას ელოლიავები! — უყვირა მიშამ ლეონს და ბიჭს ქორივით დააცხრა.

— ნუ ყვი-ირი მიშა, ესმით!..

— ესმით და გვესვრიან, ხმაზე გვესვრიან! თოვამ რომ გადაიღოს, ეს ცინგლიანი იმ ავტომატიანს თვალებზე ხელს ააფარებს? — ისევ გაიზუზუნეს ტყვიებმა და ჭაობის რუხ-მწვანე წყლიან თოვლზე ტყაპა-ტყუპით დაეცნენ. მიშამ ბიჭს ზურგიდან კარდალამოპორწიალებული ჩანთა მოგლიჯა, ცალ მხარზე მოიგდო და ნაპირზე ფეხმისობილს ხელი ჰკრა.

— წინ იარე, თორემ გერმანელი არ გინდა, მე ვერ გადამირჩები!

უკან ავტომატის ტკაცანი ხმის გაღებისთანავე ისმოდა, მაგრამ ცისფერთვალება ჯარისკაცს ამ თოვლსა და ყინვაში ყელამდე ჭაობში შესვლას ისევ იქ, ნაპირზე სამუდამოდ დარჩენა ერჩია.

VII

— ტყე, მეომრისათვის ისაა, რაც ქარიშხალში მოყოლილისათვის სახლი და თბილი ღუმელი.

მძიმე თოვლდადებული, მიწამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტოტებდახრილი წიწვოვანი ხეები, უკეთესს რომ ვერ ინატრებ, ისეთი ქოხია. იქ არც თვითმფრინავის შიში გაქვს, არც ტანკის, არც ქვემეხის საალალბედოდ ნასროლი ჭურვისა. ხშირ ულრანში ქვევით თოვლის ფანტელებიც ვერ აღწევენ, ხის ძირებში ხმელი წიწვით მოფენილი მშრალი მიწაც კი ჩანს. თუ ტყე ვრცელია და ცალ მხარეზე ჭაობები აკრავს, სადაც გერმანელი ცოცხალი თავით ფეხს არ ჩამოაკარებს, ღამით ხრამში, ან ორმოში ცეცხლი რომ შეაკიზინო, ესეც შეიძლება. თუ დანაკვერჩხლება მოასწრო, ცხელ ღადარს გადაეფოფრე და გათბი, რაზეც წინა ხაზზე ვერ იოცნებებ, ვერც მეორე ეშელონში ეღირსები, ვითომ პირველთან შედარებით სამოთხედ რომ ითვლება.

ტყე, კარგი დიასახლისი რომ სასტუმრო პურს და ღვინოს არ გამოილევს, ისე არ დაამშევს მის ფრთის ქვეშ შემოფარებულს: მარტო სოკო რად ღირს, მაჟალო ვაშლი და მსხალი, ჯოლოსა და მაყვლის ბუჩქები. ასკილი რომ ასკილია და ღვია, მთელი ზამთარი არ გამოილევა. ცხოველები, მართალია, ომსა და რბევას გაურბიან, მაგრამ ფრინველები, მეზობელი ხე რომ ბომბმა ძირფესვიანად ამოგლიჯოს, ხუთი წუთის შემდეგ ისე აჟღურტულდებიან, თითქოს წელან ბომბს კი არა, ბებერ ყვავს დაეჩხავლოს. ტყეს შეშა და წყალი ხომ ულევი აქვს. გაფისული ნაფოტი ცვილის სანთელივითაა. დენთის, დამწვარი მიწისა და დახრუკული კაცის ხორცის სიმყრალის შემდეგ მარტო კვარის სუნი გაგათბობს და დაგატკბობს. თავი ეკლესიაში, ჯვარისწერაზე გეგონება. მგელი რომ მგელია, და ახლო-მახლო ყმუილით დათარეშობს, ისიც იმედი და მეგობარია. კი არ გაურბიხარ, მისკენ მიიწევ და ბუნაგს მის ბუნაგთან ახლოს იკეთებ, რაკი იცი იმ მხარეს მტრის შიში არ უნდა გქონდეს, რა მხარეზეც მგელი გივლის, გდარაჯობს და გპატრონობს.

მაგრამ უბედურება ის იყო, რომ ამ სიმდიდრისა და სითბოს ფასი ცისფერთვალება ჯარისკაცს არ ესმოდა. ორი კვირის წინ შიშხათში მოეყვანათ, ფრონტზე მაშინვე სიცხით გათარანებული იყო და უკან დახევამდე ათი დღე სანნაწილის მედდების თბილ კალთაში გაეტარებინა. სანნაწილი რომ აიშალა და თავისი თავი სატირალი გაუხდა, სიცხედამცხრალი ევგენი კაპუტიანსკისთვის ვის ეცალა — დაჭრილებს ცხელი სისხლი რომ მოთქრიალებდათ, მათი პატრონი ალარავინ იყო. ბიჭი ტანკებით მოჯირგალებულ თავის ასეულში გაეშვათ. ვილაცას ბედად იმის თქმაც მოუსწრია, შტაბში უნდა შეიაროო და ევგენისაც პოლკის შტაბის მაგიერ თავი დივიზიის შტაბის ბლინდაჟში ამოუყვია. იქ, გამოსაქცევად ატეხილ ფაციფუცში ყველაფერს მანქანებზე და ალალებზე რომ აყრიდნენ, ზედაც არავის შემოუხედავს, ან ვინ იცოდა მისი ასეული გამსკდარი ჭურვივით რა მხარეზე გაიფანტა. ამასობაში რაკი შტაბმა შენიღბულ მიწიდან თავი ამოჰყო, მტერსაც მიეგნო და, რა საკადრისია, ტყვია-წამალს არ დაიშურებდა.

ახლა იჯდა ტყეში ამ ორ, ცეცხლსა და ღველფში გამომწვარ ჯარისკაცს შორის, დედასავით გადმოფოფრილ ნაძვის ძირას გაყინულ-გათოშილი, თაგვივით წვრილ კბილებს აწაკწაკებდა და წარმოდგენა არ ჰქონდა, რა სიმდიდრის პატრონი იყო. თუ მტერი ზღვის მხარეზე არ გაიჭრებოდა (ზღვის სიახლოვეს ათანასენკო ნოტიო ჰაერის სუნით გრძნობდა), შეეძლო მიჯდომოდა ღადარს და მეფესავით ეცხოვრა. მაგრამ ფეტის, ლერმონტოვისა და ბლოკის ლექსებით თვალებცისფრად გამოფეცებულ ბიჭს ვერც ამ ომისა გაეგო რაიმე, ვერც ათანასენკოსი, ნაჭრილობევ შეშუპებული მხრით მის ჩანთას რომ მოათრევდა და ჭაობიდან კინწისკვრით და დედის გინებით ერეკებოდა, ვერც ლეონისა, აკაწკაწებულს რომ უშაქრო ასკილის ჩაით უმასპინძლდებოდა და თავზე დაბლუკუნებდა:

— ნუ-ურაფერზე იფიქრებ, წა-აი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კითხე ლექსები, სულ ე-ერთია ვისი...

გვიან თოვამ გადაიღო, ცეცხლი დანაკვერჩხლდა და გათოშილი ბიჭი მთელი ღამე ზედ იყო გადამხობილი, მაგრამ დილით, სიცხისგან ალისფრად უკვასკვასებდა ფერმკრთალი ლოყები და ყოველ ჩასუნთქვა-ამოსუნთქვაზე, ფილტვებიდან ზურგზე ყურდაუდებლადაც ისმოდა ხიხინი.

საღამომდე აწყდებოდა აფანასენკო ძუ მგელივით ტყის ოთხივე მხარეს და უკან ყოველთვის უიმედობით დარეტიანებული ბრუნდებოდა.

— ა-არაფერი საშველი ა-არაა? — გამოძვრებოდა ლეონი მძიმე თოვლით ტოტებდახრილი ნაძვიდან მიშას მოჩლახუნე ფეხის ხმაზე.

— რას შვრება უდღეური, კვდება? — ხიხინებდა პასუხის მაგიერ მოსული და მოწითალო ჯაგარა წვერს ხელის ხუთივე ჩაყანგული ფრჩხილით ძალუმად იფხანდა.

ლეონი ხედავდა, მის მჭლე სახეს მარტო თმის ძირების ქავილი არ აწუხებდა და ყოველმხრივ უსასოოს, რაღაცა საშველის გაჩენას უპირებდა.

— ვი-ითომ არა უ-უშავს...

— რა არა უშავს, რა არა უშავს! — აენთებოდა აფანასენკო და, როგორც ყოველ ნერვიულს, წამოჭარხლებისთანავე წარბ-წამწამი აღარ ემჩნეოდა.

— ვი-ითომ მიშა, ვი-ითომ...

მიშა თავს ხრიდა, მძიმე, თეთრი, ცივი საბანივით ტოტებდაშვებულ მიწას გადაფოფრილ ხის ქვეშ მიძვრებოდა და ჩანთებზე გულაღმა დაგდებულ, სრულ, ჭაობის მწვანე დაყაპოთი დატალღულ, ლაჭე ფარაჯაში გახვეულ კაპუტიანსკის თვალებგადმოკარკლული დასცქეროდა. სახეზე ცეცხლწაკიდებული „უდღეური“ ქლოშინით გულისპირის შეხსნას და ხმელი მკერდის მოშიშვლებას ცდილობდა.

— ზეზეულად იწვის ძაღლის გაგდებული!

— ა-ანთებაა... — თავით ტოტებს ედება ლეონი და თოვლი საყელოში უცვივდება. ევგენის წინ სველ, ხმელ წიწვებზე იჩოქებს და ბიჭს ფარაჯის მწვანედ დაყანგულ ღილს უბნევს, სიცხით გათანგულს ამ ერთ-ორ წუთში რომ ისევ გაუხსნია.

— დილამდე ვერ გაალწევს... ასე უცეცხლოდ დაიწვება!..

— ღა-ამე ისევ ცეცხლს დავანთებთ...

— მაგას აღარაფერი უშველის!.. ამ უნდილებს ომი კი არა, ამისთანა თოვლ-შვავში დედამისი მაღაზიაში პურის საყიდლად არ გაუშვებს.

— ჩე-ემი ძმაც ა-ასეა, მა-ამუკა...

— მერე, ახლა ზის თბილ ბუხართან და დედაშენი პირში დალეჭილ ლუკმას უდებს?

— არ ვი-იცი...

— მამაჩემი პოლიკარპე აფანასევიჩი, ბაბუაჩემი აფანას აფანასენკო იყო. მაგარი ქარბუქი რომ ამოვარდებოდა, მაშინ მოინდომებდა შლუ ნადიაკვნარის თუთუნს, ეკლესიის გადაღმა რომ ცხოვრობდა და ჩვენი სახლიდან კილომეტრნახევარზე მაინც იყო. წასვლას კი არ დავეძებდი, ვიცოდი ქუდს ვერ ვიპოვიდი. ჩაუვარდებოდა დედა სალ და მუხლში წაკვეთილ ფეხებში, როცა წამოიზარდა, ჩემი კუტი დაიაც — ჩვენს ბარობაზე ამ ბიჭის მეტი არავინაა, გებრალებოდესო. მამაც, მებრალებაო, აქნევდა თავს და ერთი გახვევა თუთუნისათვის სამ ვერსზე მარბენინებდა. იქ კიდევ ნადიაკვნარი დამაყენებდა კარებთან და, ვინ იცის, რამდენ ხანს მაყურყუტებდა...

— შენ ეს თქვი, ა-ამას რა ვუ-უშველოთ... — ლეონი სიცხით გათანგულზე უთითებდა, შეშფოთებული იმით, რომ მიშა თავისიანებზე ისევ დალაგებით და სიყვარულით ლაპარაკობდა.

— მე და შენ რა უნდა ვუშველოთ, მამამისს უნდა ეშველა!

— ო-ობოლი ყოფილა, დედას გააუზრდია...

— მაშინ შენ მირჩიე, რა ვქნათ?

— სო-ოფელში...

— სოფელი და ქალაქი, ცა და მიწა აღარა გვაქვს ჩვენ! წუხელი მთელი ღამე რომ მიგრიალებდნენ, ვინ იყვნენ ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საით მიდიოდნენ... ეს ტყე დაუტოვებიათ ხელუხლებლად, რაკი აქედან თოფი არავის გაუსვრია, თორემ ცხვირი სადაც არ გავყავი, ყველგან შავი დროშები ფრიალებენ...

— ჩვე-ენები?!

— ჩვენები! სად არიან ჩვენები! გუშინ ჭაობის პირზე ჩაიარეს და გაასწრეს ალბათ. ის ხუთი ჯარისკაცი, ჩვენზე ადრე რომ გამოტოპეს ჭაობი, ტყის გასათავარში, გზის პირას ჰყრიან დახოცილები.

— ი-ისმოდა სროლა...

— სროლა საიდან აღარ ისმოდა. ეს დღეს ჩაჩუმდნენ, რაკი ირგვლივ ყველაფერი მაგათ ხელშია.

— უ-უნდა გაგვესწრო, მა-აგრამ შენ სა-ანამ ყველა...

— ყველა რომ თავს უშველის, მერე გამოვრბივარ. დიდი ვაჟკაცობაა, ბოლოს გამოვრბივარ... მაგრამ ამდენ ხანს სირბილს მაინც ვახერხებდი, ახლა გასაქცევი გზაც აღარაა!

ბიჭმა გადაყრილი მკლავები აიტაცა, თავისსავე გულისპირს ჩაათრინდა, ნაკვერჩხლებივით აგიზგიზებული ტუჩები აუთრთოლდა, რაღაც გაურკვევლად აჩურჩულდა.

— რა უნდა?

— ა-აბოდებს.

— მაგრამ მაინც თითქოს რაღაცის თქმა უნდა.

— ლე-ექსებს კითხულობს...

— მე კიდევ ეს მინდოდა?! — მიშამ მოძალებული წვერი ძალუმად მოიქექა, თავი დახარა და ხის ტოტებიდან გამოძვრა. ტყის თავზე დაზვინულ, მოქუფრულ ღრუბლებს ახედა, ისევ საბარდნავად რომ ემზადებოდა და დასავლეთიდან მობერილი წუნკალი ნიავის პირისპირ გაალაჯა.

## VIII

ღამით ისევ ხვავრიელად თოვდა. აფანასენკომ კარდალები და მუზარადები იქვე დაჰყარა, კაპუტიანსკის აირწინაღისთვის ხელი არ უხლია, ორი ჩანთა თავისაზე მიაკრა და ზურგზე მოიდო, ლოდრიდან გამოღებული სველი ჩვარივით მოსხლეტილ ევგენის ხელები იღლიებში დაავლო და ამაღლობელს ზურგზე მოკიდა, ორი თოფი ბეჭებზე მოიგდო, თავისი ხელში გზამკვლევად დაიჭირა და დაიძრნენ.

თოვლი წინდის ყელზე იდო და ფეხი აგრერიგად აღარ ცურავდა.

გზადაგზა ლეონმა ბიჭის მუხლები იდაყვებში მოიქცია, თავის მკერდზე ჩამოწვართულ მის ცხელ მკლავებს ხელებით მაჯებში წვდა და ზურგზე ნაღვერდალით სავსე გუდასავით მოირგო.

გონდაკარგულ ბიჭს ამ ალება-აკიდებამ მბოდვარე სიფხიზლე დაუბრუნა და ლეონის ფარაჯის საყელოში ცხვირჩარგულმა ცხელი ჩურჩული წამოიწყო:

მთის მწვერვალზე კოცონები მინთია
მბრწყენი,
გააცისკროვნებს ღამის წყვდიადი...
მაგრამ უფრორე გულის თვალი კაშკაშებს
ჩემი,
და გიმზერ... ნუთუ აღარ მინათი,
ვეძიებ საშველს...

ტყის პირას აფანასენკო შეჩერდა. ლეონი მის ზურგჩანთაზე ცხვირმიდებული შედგა. მიშამ ხელი უკან გამოსწია და მკერდზე შეახო, აქ უნდა შევიცადოთ.

წინ თეთრი მაღლობი იდო, იმას იქით კი ხშირ, შრიალა ფანტელებში აღარაფერი ჩანდა.

მეწინავე ერთხანს გაუნძრევლად იდგა, თითქოს ეშინია, ტანიდან ფიფქები არ გადმომიცვივდესო: საახალწლო საჩუქრებით ზურგზე ვეება ტომარამოკიდებულ თოვლის ბაბუას რომ დაემსგავსა, ადგილიდან ფრთხილად დაიძრა.

ლეონმა, სანამ ნაბიჯს გადადგამდა, ბიჭი მაღლა შეისროლა. ხელებიდან გაცურებულ მის ოფლიან მაჯებს ისევ წვდა და თეთრად გადაპენტილ აფანასენკოს კვალში ჩაუდგა.

ევგენიმ ისევ ცხელი ბოდვა წამოიწყო:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანგელოზები მისდევდნენ თრთოლვით
შუაგულ ბრბოში იმავე ბილიკს,
უხილავ იყვნენ, მხოლოდღა თოვლზე
რჩებოდა კვალი ნედლი და თბილი...

პირველი თეთრი ქოხის თეთრი სახურავი და შავი დარაბა რომ გამოილანდა, ლეონი შეჩერდა, ეგონა მიშა გზას აცდა და საცაა უკან მობრუნდებაო, მაგრამ წინ წასულს ნაბიჯი არ შეუნელებია. ამაღლობელი იდგა და ელოდა. მას არ ახსოვდა, აფანასენკოს სოფლის ახლოს გაევლოს. მოუვლიდნენ, გზას გაიმრუდებდნენ, ტყეს, წყალს და ჭაობს გადალახავდნენ და მოსახლეობას ახლოს არ გაეკარებოდნენ. მართალია, ტანსაცმელივით შემოაცვდათ თავმოყვარეობა, ღირსება, დაუჩლუნგდათ სინდისი, მაგრამ უკან დახეული რძის მათხოვარი — შარვალგამოხეული ჯარისკაცი მაინც თვალწინ ედგათ. არც ის მუხუდოსფერთვალებიანი წვეროსანი მოხუცი ავიწყდებოდათ: „ყმაწვილო, გვინახავს შენისთანებიო“... — ღვარძლიანი ხინანულით რომ თქვა. ლეონმა იცოდა, შიმშილით და სიცივით კი არა, მიშა ქოლერით რომ დასნეულებულიყო, მინდორში, ტყეში ან ორმოში ჩაკვდებოდა და ქოხს თავს არ შეაფარებდა.

ახლა კი პირდაპირ სახლისაკენ მიდიოდა, თუ ეზოს გვერდით თეთრ ოროლობეში აპირებდა შეხვევას, ლეონმა, თვალთაგან დამეკარგებაო, აჩქარებით გადადგა ნაბიჯი და თოვლქვეშ, მრგვალ ქვაზე თუ ჯირკზე ფეხი დაუცდა, ტვირთიანად ჩაჯდა. მაშინვე წამოიჩოქა, დაოთხდა და წამოიმართა.

ბიჭი ისევ „გამოფხიზლდა“:

მერე იმ ქოხთან მოჯარდნენ ახლოს,
ინათა, აღჩნდნენ კედრები შორით,
თქვა მარიამმა: — ვინა ხართ, ხალხო,
— ვართ ღვთის მსახური მწყემსების ტომი.
მოვედით, რათა მოგაგოთ ქება...

ლეონმა ახლა გაარჩია ქოხს იქით დაბუქული ხეების შავი ტანი და ტოტები. პირი იქით მიაბრუნა, საითაც მხარზე ევგენის თავი, ტანზე თასმით გადაბმულივით ეკიდა და უჩურჩულა:

— წა-აიკითხე, კიდევ წა-აიკითხე...

კაპუტიანსკის მისი ნათქვამი არ ესმოდა, ეს კითხულობდა მაშინ, როცა თავისი სიცხით ალმურმოდებული გონება კარნახობდა.

აფანასენკომ ოროლობეს მხარი აუქცია და სოფელს ისევ გარე-გარე გაუყვა. უთუოდ შემოვლას აპირებდა, მაგრამ რამდენი მხარმარჯვნივ წავიდნენ, მოსახლეობა გახშირდა და იმდენად საშიში გახდა მტრის ხელში მოქცეულ სოფელში ცხვირის შეყოფა.

სადღაც ძაღლი აჭაჭყანდა იმ დაზაფრულის ხმით, მგელი რომ ტყავს შემოახევს და მერე ყოველ გაფაჩუნებაზე ნადირის ნაკბილარი ეწვის და აწუწკუნებს.

მიშა მალიმალ ჩერდებოდა და სახლს, ხეს, ღობეს და მინდორს მგლურად ზვერავდა. თოვლის ფანტელები დაწვრილდნენ და გახშირდნენ. შორს ისევ არაფრის გარჩევა არ შეიძლებოდა.

ლეონი კვალდაკვალ მისდევდა მანამ, სანამ მიშამ ხელით არ ანიშნა, მოშორებით იარეო, მერე კი თვალის მისაწვდენზე გაჰყვა.

ღამით მტრის ხელში ჩავარდნილი სოფელი ან იწვის, ან საზარლად დუმს. სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობა. არ ხვრინავს, არ ფშვინავს, პირუტყვი არ ზლუტუნებს, თითო-ოროლა მამალი გამთენიისას თუ წამოიყივლებს კისერში ხელწაჭერილივით და ძაღლიც ღობეს კი არ მიასკდება და ამბოხდება, სადღაც ლაფაროში და აივანზე აწკავლდება, აკვნესდება, თავის ძაღლურ უბედურებაზე ჩივილს და უმწეობას უფრო ჰგავს ეს ჭაჭყანი, ვინემ ეზო-გარემოს დაცვას და ხელშეუხებლობაზე ზრუნვას.

უეცრად მეწინავე თვალსა და ხელს შუა გაჰქრა, იქ, სადაც თეთრ თოვლს შავი არშია ჰკვეთდა. ლეონი აჩქარდა, ახლა უფრო ზუსტად ადგამდა ფეხს წინ წასულის ნაფეხურებში, რომ გზას არ აცდენოდა.

აფანასენკო პატარა მდინარისპირა ფლატეზე იჯდა თოვლში და ელოდა.

— შეგიძლია ვიაროთ? — იკითხა წყლისპირა თეთრად დაბურული ტირიფების ქვეშ სიბნელეს თვალმიშტერებულმა, როცა ამაღლობელი თავზე წამოადგა.

— ვი-იაროთ, აბა?!.

მიშა წამოდგა და თხელ, შავ წყალში თეთრი სოკოებივით გაბნეულ ქვებს შორის შეაბოტა. დინებას დაუყვა. სანამ დაბურული ტირიფების ძირებში შეძვრებოდა, შეჩერდა. ლეონი რამდენს არ ცდილობდა, მის ფეხებში წყალი მაინც ჭყაპუნობდა. სლიპინა ქვებზე ფსკერგადალესილი ბათინკები სხლტებოდა, წონასწორობის დაცვა ჭირდა. იქ, სადაც აფანასენკო იდგა, მდინარე უფრო ღრმავდებოდა, უკვე შუა წვივზე წვდებოდა, და როცა მიშა ხეების ქვეშ შეძვრა, ფეხს მაღლა აღარ სწევდა, რომ ფეხსაცმელიდან ჩამოწურული წყლის წურწური არავის გაეგონა. მდინარის ორივე მხარეს, დაბუქულ შამბსა და ეკალ-ბარდების მიღმა, მოსახლეობა იყო.

ლეონი გრძნობდა, აქ, სადღაც, ამ სოფლისა თუ დაბის შუაგულში შარაგზა გადიოდა, რომელსაც მტერი უმეთვალყურეოდ არ დატოვებდა და ალბათ მდინარის დინებას უნდა მიჰყოლოდნენ, რომ ხიდის ან ბოგირის ქვეშ შეუმჩნევლად გამძვრალიყვნენ. თეთრად გადაპენტილ გზაზე გერმანელი პატრულები ალბათ ერთმანეთიდან იმდენზე იდგნენ, რამდენზეც ჰაერში მორიალე ფანტელებში თვალს გააწვდენდნენ. ხიდის ქვეშ რომ გაძრომა-გამოძრომა შეიძლებოდა, ეს არც მტერს გამოეპარებოდა და უპატრონოდ არ დატოვებდა. მით უმეტეს, გერმანელები აქ დიდ ხნის დაბანაკებულნი არ უნდა ყოფილიყვნენ და შიშსა და სიფრთხილეს ჯერ არ მოადუნებდნენ.

ყოველი ნაბიჯი ჯოჯოხეთად იქცა. ჯერ ცალი ფეხი უნდა დაგედგა და საიმედოდ და კარგად მოგესინჯა, რომ როცა მეორეს, წყლიდან ამოუღებლად წინ წასწევდი, არ შებანდალებულიყავი, მერე კი მეორე დაგედგა სანდოდ და უკანა ფეხი ისევ წყლიდან ამოუღებლად, წვეთის გაუჟღონავად გადაგედგა. ტირიფები თოვლს ისე ჩამოეზნიქა და დაეწვია, ზოგჯერ მდინარეში ამოჩრილ ლოდებამდე თავის დახრა იყო საჭირო, რომ ზურგზე მოდებული ტვირთით ტოტს არ წამოდებოდა და თოვლი არ ჩამოშვავებულიყო.

წინიდან ჩექმის ჭრაჭუნი მოისმა. ლეონს ზურგზეც კი ცივი წყალი გადაესხა, სადაც ევგენი ჰყავდა მოკოტრებული და აქამდე ბუხარივით ათბობდა. უფრო მეტად იქ შესცივდა, სადაც სიცხით გათარანებული ეკვროდა, რაკი მისი მხრებიდან მოშორება და ამ ყინულივით მდინარეში ჩაგდება, სანამ პირში სული ედგა, არ შეეძლო. იგი სინამდვილეში უიარაღო და ხელებშეკრული იყო. სადღაც ახლოს კი სულთამხუთავი დააბიჯებდა და გათოშილ ფეხებს აბაკუნებდა.

ამაღლობელი — ხმელი, დაბელილი ტირიფივით გაშეშდა. ერთხანს აფანასენკოც უძრავად იდგა, მერე კი წინ, არც თუ ისე ფრთხილად და ნელა წავიდა, რომ ლეონიც მიჰყოლოდა.

ამ არაადამიანურმა უძრაობამ, რაც ნაძვის ქოხიდან აქამდე მთელი ნახევარი ღამის მანძილზე არ განუცდია, ევგენის ისევ დაუბრუნა „სიფხიზლე“ და ამდენხანს რომ ლეონს ძლივს ესმოდა ყურზე პირმიდებული ბიჭის ბოდვა, ახლა ქადაგებასავით გაისმა:

ზღაპარს მოგავდა ღამე მთოშავი,
და შედიოდა უჩუმრად რიგში
ვილაც უჩინო და იდუმალი,
დარბოდნენ ირგვლივ ძაღლები შიშით
და ხიფათს გრძნობდნენ ძაღლურ გუმანით..

კითხულობდა ლეონის კვინიხზე ცხვირმიბჯენილი ევგენი.

— ვინ არის მანდ! — მოისმა შეშინებული გერმანელის ხმა, ალბათ დაყვირებას აპირებდა და ჩახავებული ხლიჩინი კი აღმოხდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახევებული ამალლობელი ისევ ხედ დარჩა. როგორ მოესაზრებინა, ანთებიანი წყალში ჩაეგდო და პირზე ხელი დაეფარებინა.

ლეონი ახლა ავტომატის ჯერს მოელოდა. თვალები მაგრად დახუჭა და ბიჭს ისე მოუჭირა მკლავები და ხელები, თითქოს ტყვიით დაცხრილულიც არ აპირებდა ზურგიდან მოეცილებინა.

მაგრამ გერმანელის ხლიჩინს ერთი, ცხვირიდან ამოხეთქილი ზმუილი მოჰყვა. ყველაფერი ისევ ჩაჩუმდა. ცოტა ხანში წყლის წურწური გაიგონა, თვალი გაახილა და წელში მოხრილი მიშა გაარჩია, მაშინვე უკან შებრუნდა, როგორც კი მიხვდა, ამალლობელმა შემამჩნიაო.

ლეონმა მიყოლა დააპირა, მაგრამ გაშეშებული მუხლები და წყალში გაყინული კოჭები კარგახანს ვერ დაიმორჩილა. მერეც, როცა ნაბიჯი გადადგა, ის სიფრთხილე და უჩამიჩუმობა ეღარ შეძლო. ამან სულ დააბნია და დაუკარგა შიშის და სიფრთხილის უნარი, ასეთ დროს შეუცნობლად რომ ეუფლება ადამიანს, და რაკი ეგონა თავი გასცა, გაქცევისა და თავის შველის ინსტინქტი დაეუფლა.

მიშას ბოგირთან წამოეწია. ნაპირთან დათოვლილ ძეძვის ძირში მიყრილ ზურგჩანთებს და თოფებს რომ იკიდებდა და ვერ იკიდებდა, ისე ძაგძაგებდა. გაუსწორო და წახრილმა ხიდქვეშ თავი შეაფარა. იქ აღარც ის სითეთრე იყო, რაც გარეთ, აღარც ის სინათლე, რასაც თოვლი გამოსცემს და შეჩვეული თვალი ფეხებთან დაგდებულ ქვას, ლორღს და უფსკრულს მაინც არჩევს. შევარდნისთანავე მაუდში შეხვეულ წყვილ მუთაქასავით რაღაცას წაებლანდა და რაღაც რბილზე დაემხო. მაგრამ არა ქვას და ლოდს, წყალსა და თოვლს, არამედ თბილ, სალუქ, ნაზ, თითქოს სათუთ რაღაცასაც კი დაენარცხა, ეგონა, რაკი ცივს, მყიფეს და მტკივნეულს მოელოდა. მას სახე და ცხვირი მაზარაზე ედო, რომლის შიგნით თბილი, ნაცნობი, ადამიანის ოფლის სუნი და ჯარისკაცის ნათესაური ჭუჭყის სიმჟავე-სიმყრალე იყო ჩაბუდებული, რომლის მსგავსი მას ახლა ზევიდანაც აწვა.

აქ ახლა ლოდზე უნდა მიემტვრია ცხვირი ან გაყინულ წყალს სუნთქვა უნდა შეეკრა, რასაც თავს მალე დააღწევდა. ბიჭს წამით ცალ ხელს მაინც შეუშვებდა და წამოდგებოდა, მაგრამ ამ თბილმა, რბილმა და ადამიანურმა ისე დაუხშო გონება და სუნთქვა, ამ თოვლიან წყალში რომ ჩაეყურყუმელავა, არ დაემართებოდა.

სუნთქვაშეგუბებული გონს მაშინ მოვიდა, როცა საყელოში ჩაფრენილი აფანასენკო წამოყენებას უპირებდა ზურგზე მიკრული უგონო ჯარისკაცით ორად დამძიმებულ ლეონს.

ფეხზე დადგა თუ არა, გაიქცა, გაიქცა სასწრაფოდ, რაც შეიძლება ჩქარა, რომ მალე გაცლოდა იქაურობას. მითქაფუნობდა, წყალი და ქვა ხმაურობდა, ხეებს და ტოტებს ედებოდა, თოვლი ზვავდებოდა მის უკან, წკავწკავებდა ძაღლი, თუ ყმუოდა აღარ ესმოდა.

გარბოდა თითქოს უტვირთოდ, თითქოს მსუბუქად, რომ რაც შეიძლება შორს, შორს გასცლოდა ამ რბილ, თბილ, ადამიანის სუნს, ჯარისკაცის ნაცნობ ოფლის, ჭუჭყის მომჟავო-სიმყრალეს, რასაც ახლდა მოტკბო, ლეშის სიცივედაკრული, ამაზრზენი მძიმე სუნი, თუ შიში, სიმხდალის, არარაობის და უსუსურობის მდინარეს რომ მოგაგდებს და ნაფოტივით აგატივტივებს.

გადაუცლიათ ტირიფებს ვერცხლი,
და მოუხურავთ თეთრი მანდილი,
ისე წაგიღებს, ვერაფერს შეცვლი?
ეს წარმავალი ქვეყნის წადილი.
თბილი სიკვდილი თეთრი სუდარით,
ფეხდაფეხ მოგვდევს დედის ალერსით,
გულს ჩამჩურჩულებს ნეტარ მუდარით
მესმის.

გაქცეულ ხეებს არ ესმით...

I·X

ლეონმა აღარ იცოდა იმ ხიდის შემდეგ რამდენი ირბინა, სოფელს როდის

გასცდა, საით მიჰყავდა მდინარეს, რა ქვაზე და ქარაფზე, ლოდზე და დაღმართზე აფორთხა და ახოხა, როდის მოისმა ზღვის ღელვის ხმა და გამთენიისას რა სოფელ-ქვეყანას მოადგა, თოვამ გადაიღო თუ ყინვამ მოუჭირა.

ისინი მისდევდნენ ნამლევა მდინარეს — ერთადერთ მეგზურს, რომელსაც ვერც მტერი და ვერც მოყვარე გზიდან ვერ გადაახვევინებდა, სანამ ზღვასთან არ მივიდოდა.

პირველი მოსახლის გამოჩენისთანავე მიშამ ერთი მიიხედ-მოიხედა და ამოიხვნეშა. მისთვის აქაურობა ამ თოვლის სქელ საბანშიც ნაცნობი და ახლობელი იყო.

„ალბათ მისი დედულეთია“... — გაიფიქრა ლეონმა და თვითონვე გაუკვირდა, ნუთუ ისევ დალაგებულად შემიძლია აზროვნებაო.

მიშა წყალს სიფრთხილისათვის შეყვა, რომ თოვლზე ნაკვალევი არ დაეტოვებინა, თორემ აქ მას გზა საძებარი არ ჰქონდა. წყალშიაც ყოველ ლოდსა და ლობიდან ჩამოწოლილ ხეებს გზას მანამდე უქცევდა, სანამ თავს ასწევდა და ალიონის რძედაკრულ ბნდღუ ნაცრისფერში გაარჩევდა.

გონდაკარგული ევგენი, თავი ტანზე თასმით მიბმულივით რომ უკონწიალებდა, კისერთან კიდევ სუნთქავდა, მაგრამ იმდენად სუსტად და ზერელედ, მალე ალბათ სულ შესწყვეტდა.

უცებ მიშა გაქვავდა, უკან არც არაფერი უნიშნებია, არც მარჯვნივ, წყლის პირა დაბალი ლობის შიგნით ტოტებდახრილი ხისთვის არ მოუშორებია მზერა.

ლეონი გვერდით ამოუდგა, მაგრამ აფანასენკოს თითქოს არც გაეგოს, ისევ და ისევ იდგა მონუსხული და გაშეშებული, როგორიც ლეონს ჯერ არ ენახა.

მიშასთვის დიდი ხანია მოულოდნელი და საშიში არაფერი არსებობდა. ლეონი მაშინვე მიხვდა, აქ გერმანელი რომ არსად დაუნახავსო და თვითონაც თითქმის ლობეს მიმდგარმა ეზოში გადაიხედა.

სახლი მოშორებით უნდა ყოფილიყო. თოვლით დაბურული ხეხილების იქით არც ჩანდა, მაგრამ ამ გამონაპირა ვეება, ფუღუროშეპარულ ხის ძირას კი საბანმოხვეული ქალი იჯდა. იჯდა სკამზე და პაპიროსს აბოლებდა, უწინ პაპიროსის ცეცხლი გაარჩია და ბოლოს მაინც პაპიროსი დაინახა. მერე კი ისე ახლო მოეჩვენა, თითქოს თავიდან ძლივს შესამჩნევი, ახლა უეცრად ასე გაუნძრევლად მჯდომარე, ერთი ორად და კიდევ მეტად მოახლოებულიყოს. საბნის ფერი, რომელიც სიმუქით ხის ქერქისაგან დიდად არ განსხვავდებოდა, ისიც კი გაარჩია.

ქალმა თითქმის მაშინვე დაინახა ჯარისკაცები, მაგრამ მათსავით ხამს როდი ეცა. გრძელტარიანი პაპიროსი მაგრად მოქაჩა. ცხვირიდან და პირიდან ბოლქვა-ბოლქვა ბოლის ფრქვევით, ხმა დაწეულად, მაგრამ არა შიშით და კრძალვით ჩაიხლიჩინა.

— რაო სახედრებო, ქალი არ გინახავთ?

„სახედარი“ ალბათ ორივეს მხრებზე აკიდებულმა ტვირთმა და გალენჩებამ თუ ათქმევინა, თორემ ისეთ გუნებაზე არ ჩანდა, თუნდაც ლანძღვა-გინების თავი ჰქონოდა. საროსკიპოდან გაძევებულ მეძავს უფრო ჰგავდა, ერთადერთი თავშესაფარი რომ წაართვეს და უკანასკნელი კაბის ნაცვლად ტანზე, მძუნაობით შერყვნილი, საბანი მოახურეს.

არცერთი არ განძრეულა, არც კრინტი დაუძრავთ.

ქალმა პაპიროსს ისე მოქაჩა, მის ჩამობურდულ თმაში ცეცხლი უძრავ, მანათობელ ტყვიასავით ალისფერი გახდა, პირიდან და ცხვირის ნესტოებიდან, მდუღარე საარაყე ქვაბს რომ თავს მოგლიჯავ, ბოლის ბოლქვები ისე გადმოყარა.

ბნდღუ რძედაკრულ ნაცრისფერში მკრთალმა ცისიერმა ჩამოყონა.

ქალი, მის ირგვლივ ბოლის სქელი ფარდა ხის ტოტების გასაყარამდე რომ აიწია, ერთი წამით ლობესთან გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეშებულებს დავიწყებული ცნობისმოყვარეობით დააცქერდა და როცა ისევ ალქაჯივით თავპირი კვამლში გაახვია, კვლავ ამოიხლიჩინა:

— ესენი მთლად ჩვენები არ ყოფილან?

— თქვე-ენები ვართ! — წამოცდა ლეონს და აფანასენკოს მერე მოხედა, თუ რაიმე სათქმელი იყო, ეს ჩემზე დალაგებით არ იტყოდაო?

— ენა მაინც რაღა უყავით?! — მივიწყებული გაკვირვებით, გულგრილად იკითხა.

არავის პასუხი არ გაუცია.

— ეს, მხარზე რომ გკიდია, მკვდარია?

ლეონმა მიშას მიხედა.

— ის მეორე, მთლად მუნჯია?

— ყრუ და მუნჯი! — თქვა აფანასენკომ და ლობისკენ დარჩენილი ორი ნაბიჯი გადადგა.

— გასაგებია... — თქვა ქალმა, პაპიროსი ფეხებთან დააგდო. აფანასენკომ მისდაუნებურად ნამწვს თვალი გააყოლა. იმ ადგილას თავწაშავებული ნამწვავების გროვა ეყარა.

ქალმა კალთიდან კრიალა კოლოფი აიღო. გაუჩვეველი ხელით ერთხანს ეწვალა, სანამ ახალ ღერს ამოიღებდა. ასანთის ღერსაც თითები ბოლოში ისე მოკიდა და ისე გაკრა, ქარში რომ ასანთი აუნთიათ, და მერე, როცა პაპიროსს მოუკიდა, ხელი ისე უხდილად გაიქნია, წუმწუმას ალი ვერ გაუქრო, ისე გადააგდო.

კარგად გალევივებამდე უპლაკუნა და სანამ კვამლი თხელი იყო, არ გადაუყლაპავს. მერე ხარბად ჩაისუნთქა, თითქოს ნამწვი ახლახანს არ გადაეგდოს. კალოშებჩამოცმული თექის ჩექმებიანი ფეხი ფეხზე გადაიდო და მოხვეული საბნიდან შიშველი მუხლისთავები გამოუჩნდა.

— შენ ქალი ხარ?! — ამოღერღა მიშამ, ნათქვამში, რომ „ის“ ქალი იყო, თუ ალქაჯი მხოლოდ ეს აზრი არ იდო.

ქალმა პაპიროსი კბილებით დაიჭირა, ორივე ხელით საბნის ყურებს ჩააფრინდა და ერთბაშად, დემონი რომ შავ მხრებს გაშლის, ისე გაჭიმა მკლავების გაწვდენაზე.

გულისპირჩახეულ ქათქათა თეთრ ბატისტის პერანგიდან, ულაყის ქვიქვირზე ჩამოსაცმელ ქერით დატიკნილ თოფრაკებივით გადმოუცვივდა მოვარდისფრო, თოვლისფერი ძუძუები და სავსე მკერდსა და სალუქ მხრებზე უწესრიგოდ ჩამოშლილი თმა პაპიროსის ცეცხლისფერი გაუხდა, სანამ მუქ საბანს მოიგლეჯდა, ჩანავლული ნაკვერჩხლებივით რომ უჩანდა.

ლეონი ფეხებში გამდინარე წყალს ჩააჩერდა.

მიშამ თავი გაიქნია, სინანულით და მწუხარებით კი არა, ისე, რომ დაგიმძიმდება, ვერ ზიდავ და აქეთ-იქით გადაგივარდება.

— არა ხარ შენ ქალი! — ესღა ამოილმუვლა.

ქალმა საბანი მოიხვია. თოვლში გადავარდნილი სრიალა კოლოფი აიტაცა, დაჯდა და ფეხი ისევ ფეხზე გადაიდო. ზედიზედ მოქაჩა უკვე მიბჟუტული პაპიროსი და მიშას ნიშნისგებით გამოხედა, იმ ბრმასავით ატუზულს, მზე არ არსებობსო, რომ გაიძახის.

— აბა ჰკითხე ჩემს ჰენრიხ შულცს!

აფანასენკო შეტორტმანდა. ლეონმა თვალი ისევ ქალს მიაშტერა და ამოიბლუკუნა:

— მი-იშა!

— ეს ისედაც ენადაბმულია, მაგრამ შენ რას იტყვი, ყრუ-მუნჯო?! — იკითხა ქალმა პირიდან კვლავ კვამლის ბოლქვების ფრქვევით.

— აქაც გერმანელებია?

— აქაცო? აქაც კი არა, აგერ, ორმოც ფეხის ნაბიჯზე ჩემს ლოგინში წევს.

მიშას მხრიდან ჩანთის საბეჭური გაუცურდა.

— აბა, აბა, ჩანთა არ ჩამოგვარდეს ჯარისკაცო!

მიშას ყბის კუნთები დაეძაგრა და აუძაგძაგდა.

— ჭკუას მოუხმე! — გააფრთხილა ქალმა ისე მკაცრად, თითქოს ყველა

სხვა გრძნობის მაგივრად სიფრთხილის გრძნობა შერჩენოდა, ერთი ათად გაძლიერებული.

— ხომ ვთქვი, შენ ქალი არა ხარ!

— აფსუს, ჰენრიხ შულცი რომ ნასვამია და სძინავს! ისვენებს, თორემ ის გეტყოდა ჩემს ღირსებაზე. თქვენ რა...
— ლეონს მიანათა ცეცხლოვანი თმის ტევრში აელვებული ცისფერ დაკრული თვალები, — ამას შიშველი ქალი ან სულ არ უნახავს, ან იმდენი ხნის წინ, ახლა ვერც გაუხსენებია. შენ კიდევ რა გექალება, შე უბედურო, თეთრ პერანგს რომ დაინახავ, ერთი დაფხანა მთელ საქალეთს გირჩევნია!..

— ძუკნა! — მიშამ წყალში კონდახით დაყუდებულ თოფის ლულას ხელი ისე მოუჭირა, თითები დაუთეთრდა.

— წადით ახლავე აქედან, სანამ მთლად არ გათენებულა და „ჩემს“ შულცს არ გაღვიძებია. ის ჩემი შეურაცხყოფის ნებას არავის მისცემს!..

— ჩავაძაღლებ! — ამოიღმუვლა აფანასენკომ და ჩანთებიდან ისე გამოცვრა, თითქოს წყლიდან ამოეყვინთოს, თოფი ხმელი წკირივით აიტაცა.

— აბა, აბა, გულადო ჯარისკაცო! — ისევ იმ ჭარბი სიფრთხილის გრძნობით ჩაისისინა ქალმა, — ნუ გგონია, რომ შენ ხარ ჭკვიანი და ჩემი ჰაინრიხი კი უტვინო სახედარი. მან შენზე კარგად იცის, რომ შენისთანები აქ ჯერჯერობით ბევრნი დაძრწიან და ხიფათი ელით... როგორ გგონია, მე აქ ამ თოვლსა და ყინვაში რატომ ვზივარ, ჩემს შვილთან რბილად წოლა არ მირჩევნია?

— ბილწი სატანა !— მიშა ლობეს მიაწყდა და თოფი ეზოში გადადო.

— ფრთხილად, არ გაგივარდეს მაგ ჩიტების საფრთხობელა! — ჩაიღიმა ქალმა და კვამლში გაეხვია, — ჰენრიხ შულცმა ესეც იცის, რომ შენ მაგ ცარიელ თოფუნას დაათრევ და ისიც, რომ ამ მდინარეში ქვა და ლოდი არ დაილევა, ეზოში კიდევ ცელი და ნაჯახი!..

— და შენ დარაჯად დაგიყენა, ამძუნებულო ძაღლო?!

— მე დარაჯად დამიყენა, თვითონ ჩემს მშვენიერ ფუნჩულა წლინახევრის შვილთან სძინავს. რომ იცოდე, როგორ უყვარს ჩემს საშკას, მამას ეძახის... რა ჰქნას, ის ხომ პატარაა და ბიძია ჰენრიხის დაძახება უჭირს, მით უმეტეს შულცის, რომ ნახოთ, პირდაპირ შეგშურდებათ, ისე არიან ჩახუტებულნი...

მიშა მიტრიალდა და წყალში ჩაგდებულ ჩანთებს დაწვდა ისე ძალაგამოცლილი, წყლით გაჟღენთილი ტვირთი ვერაფრით მხრებამდე ვერ მიიტანა.

ლეონი დინებას დაუყვა.

— მათი სათამაშო რევოლვერია. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორ უყვარს ჩემს საშკას იარაღი... ახლაც გულში აქვს ჩახუტებული, „მამიკოს“ კი თითი სასხლეტზე უდევს და სძინავთ... — ქალი ლობის შიგნით ეზოს ბოლომდე გამოჰყვა მუხლამდე წყალში მოლასლასე ძალა და გონებადაშრეტილ ჯარისკაცებს.

— აგრე მართლა სახედრებივით ნუ დალაყუნობთ! — თქვა ქალმა ეზოს გასათავარში სულ სხვა ხმით (გულდათუთქული დის ძმის საფლავზე დატირებასავით), — ქვევით ზღვაა, სად მიდიხართ. ეს მკვდარია, თუ ასე მკვდარივით სძინავს? — ჰკითხა ლეონს ზურგზე მოკიდებულ უსიცოცხლო ჯარისკაცზე.

— ა-ავადაა... — შეჩერდა ლეონი, რაკი ახლა-ღა მიხვდა, ტვირთი გაგრილებულიყო და დამძიმებულიყო.

— იარე! — მოაწყდა მიშა და ქალისაკენ არც მიუხედავს, ისე გაეცალა იქაურობას.

— მაღლა აუხვიეთ! — მოაძახა ქალმა ისევ იმ მგლოვიარე ხმით, — სოფელში რა გინდათ. სოფელი სავსეა „ძაღლებით“. მაღლა აუხვიეთ, სანამ თავზე არ დაგათენდებათ, იქნებ ქვის სამტეხლოებში შეასწროთ.

კატაკომბებში რომ შეფორთხდნენ და სიბნელეში, სანამ ტინის ლოდებში ჩაემხობოდნენ, ამაღლობელმა ცივ ბიჭს მუხლებიდან მკლავები გამოაცალა, ევგენის ფეხები არ ჩაუწვართია, იგი ისევე, გაშეშებული დარჩა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეონმა არაადამიანურად იზმუვლა, მაგრამ მიშამ მაშინვე პირზე ხელი დააფარა და ზურგიდან ანთებით დაფერფლილი, გაფიჩინებული ტვირთი მოხსნა, რომელსაც გულისპირზე და მაჯებზე ლეონის ზურგის და ხელის სითბოდა შერჩენოდა.

ახალი წელი კატაკომბების წყვდიადში გათენდა, სადაც წინ, ჩიჩილაკის მაგიერ მიცვალებული ესვენათ და ღვინით სავსე თასის მაგიერ ტინის კედელზე ჩამონაჟონ ნესტიანი ქვის და ცარცის მშლატე წვეთებს ლოკავდნენ.

## თავი მეორე

I

ლიხის მთიდან გადმოვარდნილი ცივი ქარი რიონის ხეობაში ერთიორად მძვინვარე, დაუნდობელი ხდებოდა და ქალაქის გარეუბანში ასწლოვან მუხებს აზანზარებდა. გაძარცვული, ფესვმაგარი ხეები ხმამაღლა შფოთავდნენ, გუგუნებდნენ, მაგრამ თავს არ ხრიდნენ და სტიქიას ხმელი ტოტების დავლას ძლივს უთმობდნენ.

ბრძოლა გრძელდებოდა. გაცოფებული ზენა ქარი ზუზუნებდა. მტვერი და სილა რომ აღარ ეყო, მგლის საფანტის ტოლა ხრეშს ხვეტდა, ბაბუაწვერასავით ჰაერში ატრიალებდა და ხეს, სახლს, კაცს და ნადირს უშენდა. ფოთოლჯაცლილი, შიშველი ტყე ოხრავდა, გჰინავდა, მაგრამ საუკუნეებით შეზრდილ მიწიდან ამოგლეჯას, გავერანებას, გატიალებას ან დაზავებას არ აპირებდა, სტვენდა ქარი, კიოდა, ყველაფერს წალეკვითა და აღგვით ემუქრებოდა. რაც ძალიან მაგრად და ურყევად არ იდგა მიწაზე — იტაცებდა, მიაფრიალებდა, ამტვრევდა, ანგრევდა და მაინც გულნაკლული, გულამღვრეული, ახალი ძალით და გაათრებით ატყდებოდა თავს შეურიგებელ, ამბოხებულ, აზრიალებულ ქვეყანას.

რიონის ხეობას და ქუთაისს ქარი ძვირად მიატოვებს, მაგრამ ფარნა ამაღლობელს ნახევარ საუკუნოვან ცხოვრების გზაზე ასეთი წარღვნა თავს არ დატეხია. ქარი და უამინდობა იყო მისი ამქვეყნად ბოგინი, მაგრამ ასეთი ჯოჯოხეთური, გაუსაძლისი თითქმის არა.

ახლა იგი შუაღამისას. ქალაქის გარეუბანში მარტოდმარტო მიმავალი, აბობოქრებულ სტიქიას მიჰქონდა. ეს იყო, რომ მიწიდან ვერ ააგლიჯა და ვერ ააფრიალა, თორემ თითქმის მის ნებასურვილზე დაატარებდა. მის გაფხეკილ, საყელოაწეულ პალტოში და მაჯებთან შემოცვეთილ საზაფხულო პიჯაკში ცივი ქარი საცერივით გადიოდა და ქუჩის ამ მხარეზე რომ უნდოდა ევლო, უზომო მთვრალივით იქითა მხარეს აწყდებოდა. ზოგჯერ ისედაც გადაფერდილ ღობეს მიხეთქებული, ბრმასავით ხელების ცეცებით ხეს, ბოძსა და შენობას ეპოტინებოდა. კობეშავიძის ქვრივის ძალისძალითი გამოტანებული პირამოკერილი შავი ჩანთა მკლავზე წამოცმული რომ არ ჰქონოდა, ამდენ ხანს, ვინ იცის, რამდენჯერ მიაკარგავდა.

ჯერ კიდევ ფარნას გაჩენამდე, ორი უფროსი და, ყვავილბატონებმა წაიყვანეს. მამას ნაყვავილარი ოდნავ ეტყობოდა, ფარნას ახსოვს, მას მაღალი ცხვირისწვერი მტრედის დანაკენკივით დაჩვრეტილი ჰქონდა (დედა ბატონებმა დაიწუნეს). მერე ხუთი დედმამიშვილი დარჩნენ, როცა სამსონ ამაღლობელი თურქეთის ომში დაიღუპა და ბებია — მარხული მოხუცი, იმ წლის ბოლოს, დიდ ქარიანობაში, შობის წინა კვირას მიიცვალა. უფროსი ძმაც ახსოვს ფარნას — აკაკი. ჩვიდმეტი წლისამ ღერძა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდე დაფლეული დატვირთული ურემი ასწია, მუხლის თარლვი გაუწყდა და ლოგინად ჩავარდნილი სანთელივით დნებოდა. იცოდა, უნდა მომკვდარიყო და შუაღამისას, არაფრით რომ მისთვის არ თენდებოდა, და-ძმებს გაალვიძებდა და იხვეწებოდა, არ დამივიწყოთო. ცოლ-შვილს ვერ ელირსა და უიმედო-უმომავლო, ხსნას დედ-მამიშვილის ხსოვნაში ეძებდა, კისერში მომდგარ სულს იბრუნებდა, თუ უძლური, სასთუმალთან ჩასაფრებულ სიკვდილს და-ძმებით იგერიებდა.

ქარმა სახურავიდან კრამიტები გადმოყარა და ლაფაროში ჩალეწა.

ლუკა, ფარნა და ივდითი, სოფლის ორი კლასი რომ დაამთავრეს, მხარზე აბგა და ქალამნებგადაკიდებულნი, ფეხშიშველანი ადგნენ საქუსლიის თხუთმეტვერსიან გზას ყოველ შაბათ-კვირას და აქ, ქუთაისის კერძო გიმნაზიაში, რუსულად ორ ღერ ანბანს სწავლობდნენ. გიმნაზია, პეტერბურგში განათლებულ მარტოხელა მდიდარ ქალს ეკუთვნოდა, რომელიც წელიწადში ერთი-ორ გაჭირვებულ ობოლ ბავშვს სამადლოდ, უფასოდ ღებულობდა. ბინად, მამის მობიძაშვილე კონსტანტინე ამაღლობელის, „კოსტანტინე ვარშავსკით“ წოდებულ, ძველი პოლკოვნიკის დიდი სახლის სარდაფებში იყვნენ შეხიზნულები. ნაკლასებს, დაღამებამდე, სანდომიან, ძვალტყავა ბიცოლა მარგალიტას მოსამსახურეებს მხარში უდგნენ, სანამ პოლკოვნიკის მეუღლე არ „გაჯავრდებოდა“; ამათი დასაქმება სად გაგონილა, ყმაწვილებს წიგნი აქვთ სასწავლიო.

ქარი, ქარი, ქარი...

უმცროსმა ძმამ — ანდრომ, სოფლის ორკლასიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ კონსტანტინე ვარშავსკის სარდაფებში ყოფნას და მარგალიტა ბიცოლას რჩევას: „წიგნი, წიგნი სჭირდება კაციშვილს!“... (თვითონ კეთილშობილ ქალთა გიმნაზიელად ითვლებოდა, თუმცა დამთავრებული არ ჰქონდა), სოფელში, მამისეულ, სოხანიან, ორთვალა, წიფლის ყავრით დახურულ სახლში დარჩენა ამჯობინა; ეს ამდენ ჭირნახულ დედამაც ვერ დაუშალა, ვინმე ხმის გამცემი ხომ მაინც უნდა იყოს ჩემს ბარობაზეო.

ანდრომ, როგორც კი კაცობაში ფეხი შედგა, დედა მაინც მარტოხელა დატოვა და ჭიათურაში დაიწყო მუშაობა: მაღაროებში ორ კაპიკს ვიშოვნიო. იქ ვილაც ნაქმარევმა ქალმა შეიკედლა უბინაო და ჯიბეგამოხეული, მაგრამ თავის ასაკთან შედარებით ძლიერი და ღონიერი ბიჭი. ქალმა ორი შვილი იყოლია ჯვარ-დაუწერელ, ხელ-მოუწერლად, რომ როცა ბიჭი გონს მოეგებოდა, ხელში დაჭერილი ჰყოლოდა. მაგრამ, კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო, ანდროს გამოსვლებში მონაწილეებთან მეგობრობა და ძმაკაცობა დაბრალდა. ზესტაფონში საბარგო, ნახშირის ვაგონებით წამოიყვანეს და იმის მერე მისი კვალი გაჰქრა...

ისევ ქარი... ცივი, ძვალსა და რბილში გამჭოლი ქარი, სადღაც კუტი-კარის მოგლეჯას აპირებს და გულსაკლავად აჭრიალებს;

ფარნამ „რძალი“, პირველად მაშინ ნახა, ორი, ორი წლით ერთმანეთზე უფროს-უმცროსი ბიჭები გულზოდში რომ ჩამოიყვანა და საზაფხულოდ ბებიასთან დატოვა. ბებიამ, თითქოს დაღუპული შვილი დაბრუნებოდეს, შავები გაიხადა და ბავშვები ნადიაკვნარ მგალობლიშვილს მოანათვლინა: უფროსს, უფროსი შვილის სახელი — აკაკი დაარქვა, უმცროსს — მამამისის — ანდრო.

მთელი ზაფხული დედასაც და ბებიასაც ცალ-ცალკე შიში ზაფრავდათ: დედას — ბავშვები უკან არ გამატანოსო, ბებიას — არ დავიღუპო, „რძალმა“ შემოდგომაზე არ მომაკითხოს, შვილიშვილები ხელიდან არ გამომგლიჯოსო. ამჯერად გაუმართლა მრავალტანჯულ და ნაწამებ მოხუცს. დედამ შვილებს ერთხელ ჩამოაკითხა იმ შემოდგომაზე და ისე ფრთხილობდა, ბავშვების წაყვანა-დატოვებაზე სიტყვა არ ჩამოვარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დნილიყო, უფროსმა რომ იცნო და მიეხალისა, არც კი იამა... ამის მერე ორჯერ წერილი მოიწერა და წავიდა და წავიდა... ვილაცამ ამბად თქვა, გროზნოში გადავიდა საცხოვრებლადო. ვილაცამ, ქვაბების მკალავ ლეკს გაჰყვა დაღესტანშიო. ყოველ შემთხვევაში, მას აქეთ არაფერი ისმოდა და ბავშვები ბებიას განიერ, თბილ კალათაში წამოიხიტნენ.

გზამ, რკინიგზის ხიდქვეშ შემოუხვია და მაღლობს მოფარებულ მგზავრს ზურგიდან დაუბერა, წინ გაიგდო...

ლუკა და ფარნა ისე, რომ მამაპაპურ ვზით-გარემოდან ფიჩხი არ გადმოუტანიათ, მათ ძველ, ნაეზოვარ, გაჩანაგებულ მიწებზე დასახლდნენ და დედას, მანამდე რომ გაყრასა და გაყოფაზე ხმა არ დაუძრავს, რაც უდროოდ დაღუპული შვილები „დაიბრუნა“, მერე თითქოს ლუკასა და ფარნასათვის აღარაფერი ემეტებოდა. შეიცვალა. თუ არ გაახალგაზრდავებულა, გაყოჩაღდა, მაგრომ ფარნას უკვე წამოზრდილი ოთხი ვაჟისა და ლუკას სამი ქალიშვილისათვის აღარ ეცალა. მანამდე რუსუდანს და ნინოს აკვანი რომ არ დაურწევიათ, ისე მერცხლებივით დაზარდა შვიდივე, ახლა დედებს შეატოვა.

წელს აკაკიმ სკოლაში დაიწყო სიარული, ანდრო კი ძმას, სახლში, თვალატირებული ელოდება და მერე, გაკვეთილებს ბებია და შვილიშვილები, სამივე ერთად სწავლობენ.

ქარი, ქარი...

მოსახვევიდან კუთხის სახლის კედელს ატუზული, დაბამბულ ჯუბასა და წინაფრაჩამოღუნული, ყურებზე ჩამოფხატულქუდიანი ტიპი გამოძვრა, ფარნას ოდნავ გაუსწრო, ვითომ მგზავრი არც დაენახოს. ფარნამ შესახვევს რომ ჩაუარა, ქარმა უკნიდანაც მოიტანა ფეხის ხმა.

ქუჩაში ბნელოდა. კედლებზე და სახურავებზე ქარის ღმუილით შეიძლებოდა სახლების შავი სილუეტების ერთმანეთიდან გარჩევა.

ფარნამ უკან არ მიიხედა. თუ ავისმზრახველები იყვნენ, წინ და უკან თვალის ცეცებით დააჩქარებდა იმას, რაც მათ გუნებაში ედოთ. ისინი უთუოდ მგზავრისაგან ბიძგს უცდიდნენ. მაგრამ ისიც ხომ შეიძლება, ვინმემ გაგისწროს და ვინმე წამოგეწიოს? ან კვალდაკვალ გამოგყვეს, მით უმეტეს ამ სიბნელესა და ქარ-ყინვაში კაცი კაცის იმედია, ადამიანი ადამიანს შორით ათბობს და ანუგეშებს.

რაღაც ნამეტანი ზუსტი მანძილები იდო ორივე თანამგზავრს შორის. ფარნამ ნაბიჯს უკლო. წინა თვალთაგან დაიკარგებოდა და უკანა დაეწეოდა? არაფერი არ შეცვლილა, თითქოს სამივეს ერთსა და იმავე დროს მოსვლოდეს აზრად სიჩქარის შენელება. რა თქმა უნდა, მაშინვე აჩქარება არ ივარგებდა. ეს სწორედ ის ბიძგი იქნებოდა, რასაც ისინი უცდიდნენ, სანამ პაპიროსს და ასანთს მოითხოვდნენ. მერე და ასანთი როგორი ასანთებია ამ წარღვნაში.

ფარნამ უბეში შემალული ხელი მისდაუნებურად გაინთავისუფლა და ჩანთა მკლავიდან წამოიძრო, ხელში დაიჭირა, რაც ალბათ ცოტა ადრე მოუვიდა. იმასაც ახლა მიაქცია ყურადღება, ბარგი მძიმე იყო თუ არა. თუ საჭირო იქნებოდა, ღირდა ამის მოქნევა და თუნდაც ერთხელ მაინც თავში დათხლეშვა? მაგრამ იმას გვიან მიხვდა, რომ ჩანთა მარჯვენა ხელში ეჭირა და ეს მის უიარაღობას ნიშნავდა. დააპირა უცებ მარცხენაში გადაეტანა, მაგრამ უკნიდან ქარმა მოახლოებული კაცის ფეხის ხმა მოიტანა და ახლა მარჯვენა ხელის განთავისუფლებას, შეიარაღებულ თავდამსხმელთან, ბრძოლას ისევ კარგა მაგარი, ხმელი ხურმით, ტკბილი კვერით, ბოთლი არაყით და ჩურჩხელებით გამოტენილი ნარმის ფანთის ფარი სჯობდა. გაქცევა ან ღობის კიდეზე რაიმე უფრო სიიმედო: სარის ან კეტის მოგლეჯვა არ შეიძლებოდა, კაცი, რომელიც შენი მკლავიდან ხელში ჩანთის გადატანისას აჩქარდება, მით უმეტეს, ქარი რომ ზურგში ისე აწვება, შეიძლება ოდნავ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოეშვას და გამოიტაცოს, არ ნიშნავს, რომ თავს გესხმის.

ფეხის ხმა იმდენად მოახლოვდა, რამდენადაც წინ მიმავალი გამოჩნდა.

ფარნას ადგილას ვინმე გულჩვილი, სენტიმენტალური ადამიანი რომ ყოფილიყო, ალბათ შეებრალებოდა ასეთ ამინდში, მაწანწალა ძაღლიც რომ გარეთ არ გაიგდება, ქუჩაში მოყურყუტე მძარცველები. ძლივს ხელში ჩავარდნილ მსხვერპლს ასე ფრთხილად და წინდახედულად რომ უახლოვდებიან და პირში ჩალაგამოვლებულები კი დარჩებოდნენ. რა თქმა უნდა, მსხვერპლისათვის რაღაცის ჩარტყმას, რაც ალბათ ორივეს მომარჯვებული ჰქონდა, შესძლებდნენ, მაგრამ ნადავლი იმდენად მცირე იქნებოდა, ამისთვის კაცის მოკვლა კი არა, განაწყენებაც არ ღირდა. სამოვარზე გამოსულს ეს რომ სცოდნოდა, ალბათ ამოდენა დავიდარაბას არ აიტეხდა. მაგრამ ფარნას რა ექნა, როგორ გაეგებინებინა, როცა ის კაცი ისე ვერ დაწვრილმანდებოდა, წინდაწინ გამოეკითხა და საქმეს მერე შედგომოდა.

მხრებზე ბამბადადებული პალტო, გახუნებული, მაგრამ წინ აფრაჩაუტეხელი მაუდის ქუდი, მეორედ შემოტეხილი განიერი შარვალი და ფარნას შიერ, ნაკერებში კარგად დაგვირისტებული გავაქსული ფეხსაცმელები ასეთ წაროვნაში კი არა, კაცს შებინდებისასაც აფიქრებინებდა, კარგად ჩაცმულდახურული ვინმე უნდა იყოსო. „კიროვის“ უშველებელ საათსაც ზამბარა ამ ზამთრის არდადეგების წინ გაუწყდა. ხვალ, თბილისში, პირველ რიგში, მის შეკეთებას აპირებდა.

უკან მომავალი თითქმის წამოეწია და წინაც არ იყო ისე შორს, ორი-სამი ნახტომით თავდასხმა არ მოესწრო.

ფარნა, სანამ უკანა იმ ერთ ნაბიჯზე წამოეწეოდა, თვითონ ჩამორჩა და იმაზე ადრე გაუსწორდა, ვიდრე თავდამსხმელი აპირებდა. ამით იმის ჩანაფიქრში რაღაცა დაარღვია. სანამ ის კაცი ამ „ჩამორჩენის“ მიზეზს გაარკვევდა, წუთით დრო მოიგო. წინ მიმავალიც შეყოვნდა. მათ უთუოდ დათქმული, მოფიქრებული გეგმა ექნებოდათ და გაუგებრობა რომ არ მომხდარიყო, ისევ იმ გამიზნული მოქმედების აღდგენას დაუცდიდნენ.

— თუ კაცი ხარ, მიქენი სიკეთე! — მოუტრიალდა ფარნა გვერდში ამომდგარს და ყურში ჩასძახა, ვითომ, ისეთი ქარია, ასე რომ არ მოვქცეულიყავი, ვერ გაგაგონებდიო.

სქელ, ყურებჩამოშვებულქუდიანმა თავი გადასწია და ჯიბიდან ხელებამოუღებლად ამოიღრინა:

— რა გინდა?!

— ერთი ღერი პაპიროსი გექნება!

წინ მიმავალი ამ საუბრისას არც მეტად მიახლოებიათ და არც დაშორებიათ, თუმცა ფარნას ქარი პირიდან სიტყვებს ისე სტაცებდა, მის ამხანაგზე უწინ ალბათ ყველაფერი მეორემ გაიგონა, მაგრამ ის უთუოდ, ამ ბნელ საქმეში მეორე ხელი იყო და ყველაფერი დამოკიდებული იყო იმაზე, პირველი რას გააკეთებდა.

— არ ვეწევი! — გაწყრა მხარდამხარ მომავალი, კისერმოღრეცილი, ირიბად თვალმოშტერებული, რაც ალბათ მათ გეგმაში არსად არ ეწერა.

ფარნა გვერდით მომავალს თითქმის მხარზე შეეხო, ისე ახლოს გაჰყვა, ვითომ ქარი ქარია და ეს ყურებიანი ქუდი სმენას გიხშობსო, ხმამაღლა ალაპარაკდა:

— ვიცი, იტყვი — კურდღლის დაჰერა თუ გინდა, მწევარიც უნდა გყავდესო.

— ვისი დაჰერა?! — იკითხა „მოსაუბრემ“.

— კურდღლის!

— ვინაა კურდღელი?

— კურდღელი კურდღელია.

— ჰოო, — მიხვდა „თანამგზავრი“ და ლობისკენ მიიწია.

ფარნა ისევ მიუახლოვდა და ჩასძახა:

— ის მინდოდა მეთქვა, თუ ვეწევი, თამბაქოც უნდა მქონდეს და კვესაბედიც!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უნდა გქონდეს! — გაგულისდა ლობესთან მიახლოებული, ამდენი თუ იცოდი, რატომ თან არ იქონიე, ყველაფერი ამირ-დამირიეო და ზედ მიტმასნილს ბეჭი უბიძგა, თან ოდნავ წაიფორხილა, ვითომ ამ ქარსა და ჯოჯოხეთში რაღაცას წამოვედეო, საჭირო რომ ყოფილიყო, უკან დასახევი დაიტოვა.

— მქონდა ორი ღერი თვითნაკეთი პაპიროსი, აბა მთელ კოლოფს დღეს ვინ იყიდის, მაგრამ ერთი მთელი ჯიბე მქონდა მეგონა და ისიც ჩაფხრეწილა, — ფარნამ ჩანთა ხელიდან ხელში გადაიტანა, მარჯვენა, ჯიბეში იტუცა, შიგნიდან პალტო სალოკი თითით გამობერა: ა, შე ურწმუნო თომა, შეხედე, თუ არ გჯერავს, რომ ბრაზობ და იკვრევინებით.

„თომა“ ცივად დააჩერდა პალტოში უძრავად გაჩრილ „რაღაცას“, რაც ამ ბნელში ჯერ ისედაც ძნელი გასარჩევი იყო და მერე, „თანამგზავრი“ ქარმა ისევ ახლოს მოაგდო.

ფარნას ერთი სული ჰქონდა, ბარემ ისიც გაეგო, ისევ აპირებდნენ თავდასხმას თუ დაიჯერეს, რომ ჯიბეგაფხეკილია და არ ღირს თავის შეწუხებადო.

— აგერ რომ კაცი მიგვიძღვება, ეტყობა ქართველი არ უნდა იყოს, ჩვენი ლაპარაკისა არაფერი ესმის, თუმცა ქარი ყურში ატენის, ხომ არ გვეკითხა, ეწევა თუ არა?

— არ ვიცი, არ ვიცნობ!

„არა ქართველმა“ ისევ ვერაფერი „გაიგო“ და ნაბიჯს არც მოუკლო, არც მოუმატა.

— თუმცა შენ მწეველი არა ხარ, შენთვის სულერთია! — „გაამართლა“ თანამოსაუბრე და მერე მოაგონდა, ამ ჩანთით ოქრო მიმაქვს, არ ეგონოსო, — თუ სვამ?

— აჰ?!

— თუ სვამ-მეთქი. ჩანთაში სადღაც ჭაჭის არაყი მაქვს, ამოხრიუკულია. მაგრამ ამისთანა ამინდში არ დაიწუნება, მარტოც, ხომ იცი, ვერ დალევ... თუ დამეწვევი!.. — პასუხს არ დაელოდა, ჩანთა ქვაფენილზე დააგდო და თავის მოხსნას მარცხენა ხელით შეუდგა. თითებგაფარჩხული მარჯვენა ჯიბიდან არ ამოუღია.

— წადი შენი მათხოვარი არაყიც და შენი პატრონის ქვეყანაც!... — წაიდუდღუნა „დაპატიჟებულმა“ და ნაბიჯი არ შეუნელებია, გზას ისე გაჰყვა.

— საათი, რომელი საათია, ხომ ვერ მეტყვით?! — მიაძახა „გაწბილებულმა“ და „პურლვინოზე“ წიხლდაკრულმა „მასპინძელმა“.

— თფუ! — გადააფურთხა იმ კაცმა, მაგრამ ქარმა ფურთხი პირიდან გამოგლიჯა და გულისპირზე შეასხა...

ქარი, ქარი გლეჯდა ხე და ქვას და ორთქლმავლისაგან მოტაცებული წივილკივილი მოჰქონდა.

ფარნა „თანამგზავრებს“ სადგურამდე „მოეცილებინათ“ და თავის გზას გადგომოდნენ.

II

ვაგონში ცხვირს ვერ შეყოფდი, ისე იყო ძირიდან წვერამდე ხალხით გაჭედილი და ბარგით გამოტენილი. ძელსკამები, თაროები, გასასვლელები, ტამბურები და თვით კიბეც კი სავსე იყო მგზავრებით, ჩემოდნებით, ტომრებით, ბოხჩებით, ხურჯინებითა და აბგებით. სადღაც, ჭერთან გაკვეხებული ორიოდე უხარისხო, კარტოფილის სანთლით გაჭიატებული, გამურული ფარანი ბჟუტავდა ისე მკრთალად და უნიათოდ, დედას შვილისთვის თვალებში რომ ჩაეხედა, ვერ იცნობდა. ცივი ქარის შიშით ფანჯრები დაეგმანათ და მოყავისფრო ამონასუნთქს ნისლის ფაფასავით ამოევსო ის ცარიელა სივრცე, სადაც კაცს დაჯდომა და დადგომა ვერ მოეხერხებინა და ვერც ბარგი მოეთავსებინა.

ფარნას ქოთქოთიც, რუზრუზიც, ქაქანიც, ძახილიცა და ჩურჩულიც, ხველა, ხრინწება და ვიშვიშიც, სქელ, ნაავდრალ გუბესავით მღვრიე მოეჩვენა, რომლისგანაც ვერაფერს გამოარჩევდი.

ვაგონში, რა თქმა უნდა, არავითარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გათბობა არ იყო. იდგა რაღაცნაირი ცივი სიცხე, უჩვეულო, სულის შემხუთველი. სქელი, ზეთის საღებავით დაფარულ, შემჭვარტლულ-შეყვითლებულ ჭერის ორთქლის წვეთებზე, ნემსის ყუნწის ტოლა, სანთლის ათინათები ერთხანს ციატებდნენ და მერე, ჩვეულებრივზე მეტად დამსხვილებული, ჯაყჯაყში ძირს ცვივოდნენ.

მერე და მერე პაპიროსის ბოლი, ჭუჭყიანი ტანის და ტანსაცმლის სიმყრალე მოძალდა, მაგრამ ადამიანის თანდაყოლილმა შეგუების და შეჩვევის ინსტინქტმაც იძალა, შიგადაშიგ მღვრიე ზუზუნში ხვრინვა-ფშინვაც კი გამოიკვეთა.

ფარნამ შესასვლელთან, პირველ ფანჯარას ძლივს მიაღწია. ქუდი შეიბრუნა, ბარე ერთი კვირის გაურეცხავი ცხვირსახოცი საყელოში ჩაიფინა, წვეთებჩამოღვარულ სქელ, ცივ მინას შუბლით მიაწვა და მატარებლის საპირისპიროდ გაქცეულ, ძლიერი ქარისაგან წელში მოხრილ ხეებს დაუწყო თვალთვალი, ვაგონის ფანჯრებიდან, უნიათო შუქზე, კიდეც რომ ჩანდა და კიდეც არა.

„ომი... აი, რა ყოფილა ომი, ისტორიკოსო, — ეუბნებოდა იგი თავის თავს, თუ ვილაც მემატიანეს, — მე მასწავლიდნენ უმაღლესში, ან წიგნებში, ვკითხულობდი და ვასწავლიდი... ამ ომის თაობაზედაც დაიწერება ისტორია და წაიკითხავენ: 1941 წლის 22 ივნისს, დილის ოთხ საათზე ფაშისტური გერმანია მუხანათურად დაესხა თავს საბჭოთა კავშირს, ომი გაგრძელდა ერთ წელს ორს... და საერთოდ იმდენ ხანს, რამდენსაც გაგრძელდება. ის ცოფიანი, რაც მთელი ზაფხული და შემოდგომა მორბოდა, აგერ ზამთარში რომ ძლივს შევაკავეთ, ეს ორმოცდამეორე უკან რომ ირბინოს, ერთი წელი საზღვართან მიდენას მოვუნდებით. მერე იქ ხომ ბოდიშს არ მოახდევვინებ, მგონი რაღაც შეგეშალა და მეორედ მაგისთანები არ იყოსო... იმდენი დაპყრობილი და დამონებული ქვეყანა... ჯერ შენი თავის პატრონობა შესძელი და მერე თუ ისინიც ჩვენი სატირალი გახდნენ...

და ბოლოს თვით გერმანია, ის ოჯახდასაქცევი შენს დარბევას და დამონებას აპირებდა და თავისას ცოცხალი თავით დაგანებებს?“

მატარებელი ზესტაფონის სადგურში შეხრიგინდა. ბაქანზე ყვითელი, ქონისფერი ფარნები გამოილანდნენ. ისედაც დატენილ ვაგონებს ხელბარგიანი მგზავრები სირბილით აედევნენ.

თურმე ფარნა ამდენხანს ხალვათად ყოფილა. როცა მატარებელი ხელახლა დაიძრა, გასაპობ მორში ურთთი რომ სოლი ჩატენო, ისე მაგრად ჩაჭედილი აღმოჩნდა ფანჯარასა და ირგვლივ შემოჯარულ მგზავრებს შორის. ზურგის ერთ მხარეს ქალის აფუებულ ცალ ძუძუს რომ გრძნობდა, ახლა ისე შემოასრისეს, ქალს ძველი მკერდსაკრავი შემოასკდა და ძუძუ, ხარის ენასავით გაბრტყელდა და დაგრძელდა.

„დაბრუნდება ალბათ ამის ქმარი ომიდან და შეიძლება ცოლს ისიც უთხრას შენ ომისა რა იცი, სახლში იჯექი ცხელ კერიასთან და თუ მგზავრობდი, სახალხო, კეთილმოწყობილი ვაგონებით მგზავრობდიო... მაგრამ ის უბედური დაბრუნდება? და ქმარი რომ დაბრუნდეს, ძმა, ძმისშვილი, მეზობელი, მეგობარი? ორიდან ერთმა დასახიჩრებულმა რომ ჩამოაღწიოს, ხომ ბედნიერებაა... ჩემი სამი ბიჭიდან... — ფარნას მინაზე მიჭერილი შუბლი შიგნიდან ეტკინა.

„ლეონს ცამ უყო პირი თუ მიწამ, ასე უხმოდ რომ გაქრა? ერთი, თუნდაც უმისამართო წერილი მაინც გამოჩენილიყო. დღესაც ვითომ რძლის და მძახლის სანახავად შეიარა კობეშავიძეებთან, მაგრამ მთავარი ხომ მაინც ის იყო, „ხომ არაფერი გამოჩნდა?“ ნახევი ქალალდი, ან ამბის მთქმელი. არც მამუკას წერილები ჩანს რა ხანია, მაგრამ მანამ ხომ ხუთი ცალი ფარნამ მიიღო და მგონი ოცდაათი იმ გოგოს მიუღია. ერთი სამი, მამიდამისსაც კი მოსწერა... ან ბაკურის წერილები რას ჰგავს? მთლად ხომ არ შეიშალა ეს ბი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭი: „ბედნიერად ვარ, გადასარევად ვასრულებ ჩემს როლს... უკეთესს ვერ ინატრებ. თქვენზე და ძმებზე დარდიც კი არ მაწუხებს, რაკი ვიცი, ყველაფერი ისე იქნება, როგორც საჭიროა“. ვიცი, ყველაფერი პირუკუ იქნება, მაგრამ ასე უსულგულოდ და თავაღებით შეიძლება? ახლა ამის დროა? სიცოცხლე, ქვეყანა, მტერი და მოყვარე ფეხებზე მოიკიდო და ღმერთს თუ ვიღაცას ედაო? იძახო თოჯინა ხარ, ან ჭაობის ლაქაშის ერთი ღერი, და ქარი საითაც მოგიბერავს, იქით გადაგღუნავს? ეს ხომ პირველი, ახალგაზრდული, სამყაროს შეუცნობლობის თუ შეცნობის შიშია, შენი სიმცირისა და უსუსურობის შიში, რომელიც საკუთარ ფეხზე დადგომის, პროფესიის და საზოგადოებაში შენი ადგილის პოვნის შემდეგ იბინდება, პირველი ქალის შემდეგ მთლად ქრება, როცა იცი, შენ კაცი ხარ, თვითონ ხარ სამყარო, იქნებ ამ ბნელი უსაზღვრობების ნაწილი, მაგრამ შენს ირგვლივ გამოსცემს შუქს და საკუთარი ნათელი გინათებს...“

მატარებელი წიფის გვირაბში შეხრიგინდა და აღმართზე ქშენა-ვიშვიში უმატა.

ორთქლმავლის კივილს ქალის კივილის ხმა შეერია, მაგრამ სანამ გვირაბს თავი არ დააღწიეს, მანამ ვერ გაარჩია: ტამბურზე აწიოკებული დედაკაცისათვის ფული თუ ბარგი მოუპარავთ.

— ღმერთო, სადა ხარ! — აღმოხდა ზურგს უკან ძუძუგაჭყლეტილ მსუქან ქალს და მსხვილ ფეხებში მოქცეულ ფირფიცრის ჩემოდანს ფარნასკენ წამოჩოჩება მოუნდომა, მაგრამ ძვრა ვერ უყო.

ხაშურში მატარებლის დაძვრას საშველი არ დაადგა, თუ უმოძრაობამ დრო გაჭიმა, კიდევ უფრო გაჭირდა სულის მოთქმა.

მცხეთასთან ინათა და ჩამწვარი, აბოლებული სანთლით ჩაბნელებულ ვაგონში სიცოცხლე დააბრუნა, თითქოს ღლის ნათელს დილის ცელქი ნიავი და ტოროლას ფრთების ტკაცუნი შემოჰყოლოდეს.

მტკვრის გაღმა სვეტიცხოველი გამოჩნდა დილის ნისლში მომწვანო ნისლისფრად. მოშორებით სამთავრო გამოილანდა და მტკვრისა და არაგვის მაღლა, ღმერთების სასუფეველივით — ჯვარი.

ფარნას ზურგზე მოტმასნილ ქალს პირჯვრის გადასახვა მოუნდა და ხელი რის ვაი-ვაგლახით ამოაძვრინა.

— უფალო, მამაზეციერო, გადმოიხედე!..

ფარნას, ამ დიდებულთა ნაგებობამ ისევ ბაკური მოაგონა და შვილის „ფილოსოფიით“ ქალს გუნებაში გაეპასუხა: „იხედება, ზის და გვიცქერის. სწორედ რომ კარგი საყურებელნი ვართ... ქალის ძუძუ მთელი ღამეა ზურგზე მაქვს მოკიდებული და ერთხელ არ მოგონებია, რომ მამაკაცი ვარ. ამაზე სასაცილო და სათვალსეირო იქნება?“

☐ გაგრძელება იქნება ⊡

ბიბლიოთეკა

შალვა ამისულაშვილი

## სურვილი

ლირიკული ლექსების ციკლიდან

ხავსი, გვიმრა და სურო
რად მოგრევია, სულო?
შენ ხომ სიმაღლე გსურდა
და სივრცე უსასრულო?!.
შენ ხომ სილაღე გსურდა,
ლურჯ ლაჟვარდებში ცურვა;
მო, ნუ დამტოვებ სახტად
შენი დიდების მწყურვალს.
მე არ მეყოფა განა
მიწაზე ასე ყოფნა,
ახლა შენ გწვავდეს გვალვა,
დნებოდე სიმწრის ოფლად?!.
მე არ მეყოფა მერე
ცივ სამარეში წოლა? —

ახლა შენ დარჩე ბნელეთს
სინათლის მცირე ზოლად!..
ნუ იტყვი, ერთადერთი
დედამიწაა თითქოს,
ცივ სამყაროს რომ ერთვის
როგორც სითბო და სიტკბო,
როგორც სიცოცხლის ფუძე,
როგორც სიცოცხლის წყარო, —
და მის მადლიან გულზე
ვხარობთ, კი არა ვწვალობთ...
ხავსი, გვიმრა და სურო
რად მოგრევი: სულო?
შენ ხომ სიმაღლე გსურდა
და სივრცე უსასრულო?!.

## მარტი, აპრილი, მაისი...

კაცი დავბერდი, და სამაისო
ჯერ ცეროდენაც არ მითქვამს ლექსი;
დღეს გული სულ სხვა გზნებით აივსო,
აღარ ჩერდება ნატყვიარ მკერდში.
თითქოს ენაზე ბორკილი მედო, —
და ყინულივით დაიმსხვრა მერე;
ამაღლდა ჩემი ხომალდის ერდო.
გასადეჲარი მიეცათ ბგერებს...

თუ სიყვარულში სიფრთხილე მახლდა,
დღეს ჩემს სიყვარულს არ უჩანს ზღვარი;
დაედო ფასი ნაომარ ფარ-ხმალს,
ტალღების ტაშით დაიძრა მტკვარი...
რა დიდებული იყო აპრილი,
წინ რომ უძღოდა წლევანდელ მაისს;
არვის უნახავს აფრებდახრილი —
მარტს გადარეულს აჯობა მაინც...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქოს ბალახმაც აიდგა ენა, —
და ყვავილებმა აუბეს მხარი;
სალი კლდეები გადიქცნენ სმენად,
გაიღო ქვეყნის ოთხივე კარი.

თითქოს ქართულად ალაპარაკდა
მშვიდობისა და ძმობის მაისიც;
თერგთან, რიონთან, მტკვართან, არაგვთან
აღზევდა მთელი სიდარბაისლით..

## დაჭრილი ჯარისკაცები

**მოგონება**

მათარა გახვრიტა ტყვიამ,
წკრიალით გადმოსკდა წყალი.
ის მოჭრილ ხესავით გდია,
ეყოფა მას ერთი ცვარიც.
ყოფნით კი ეყოფა, მაგრამ
ვინ გაისარჯება მისთვის;
ჭრილობამ შემბოჭა მაგრად,
თვალები მევსება სისხლით.
ბიჭები მიდიან ჯიქურ
შეტევამ არ იცის დაცდა;
ბოლმისგან გონება მიხურს,
რად მერგო ასეთი ჯვარცმა..

ბიჭები ილტვიან წინა,
აბა, ვინ მოიცლის ჩვენთვის;
წვიმს ნაღმის ნამსხვრევთა წვიმა
და წივილს წივილი ერთვის.
ბიჭები იღწვიან წინა,
წინ უძლვით უწყვეტი „ვაშა;“
ვგმინავ და, ისიცა გმინავს,
ორმაგი ტკივილი მდაშნავს.
მდაშნავს და, ჩემს დამსკდარ ტუჩებს
სითეთრე ეცემა თოვლის;
ექთანსა ვცნობილობ უცებ,
ჩანს, გადავრჩენილვართ ორნივ!..

## კარგზე იტყვიან...

**შვილიშვილებს**

კარგზე იტყვიან:
— დედაილა გოგო არისო..
განა იქნება,
სიამაყით
რომ არ აღივსო —
სამარადისოდ, სამარადისოდ?!.
თქვენც დედაილა
გოგონებად
ხართ მონათლული —
თქვენი ქცევით და
თქვენეული
ტკბილი ქართულით;
ყოფილიყავით

შრომაშიაც
ასე განთქმული,
სახელგანთქმული, სახელგანთქმული!..
კარგზე იტყვიან:
— დედაილა გოგო არისო..
განა იქნება,
სიამაყით
რომ არ აღივსო?!.
თქვენს შვილებზედაც
ასე ეთქვათ ოდესმე ნეტავ, —
და იქართველებს,
იქართველებს ქართველი დედა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ია ორჯონიკიძე

* * *

ბავშვობა არის საწინდარი
ჩვენი ცხოვრების,
ყრმობის პერანგი
ჩვენთვის დიდხანს
ინახავს სითბოს,
დღესაც ისა ვართ —
გულუბრყვილო
ძუძუმწოვრები,
გვახსოვს ალერსი,
სიყვარული გვახსოვს
და ვითხოვთ...
შეღამდა,
დროის
ჩამოთავდა თითქოს მიჯნები.
გახსოვს მას აქეთ
რამდენს ვწუხდით,
რამდენს ვწვალობდით...
და აი, დღესაც,
ჩვენი ყრმობის
ცეცხლთან მივჯდებით
და თუ გავძელით,
თურმე ისევ
მისი წყალობით...
როგორც სიტყვები,
არასწორად მაშინ ნასწავლი,
ვერ მოვიშალეთ
უმეცრება, ენაბრგვილობა,
და შიში —
ჩვენი ძუძუმტე და
ჩვენი წაწალი!
ყველა ჭკალი ბავშვობისა,
ყველა ჭრილობა.
გვაჩნია როგორც
ანაცერი ყვავილი მკლავზე,
ვითარცა დაღი წარუშლელი
წარსულის ჩვენის,
ვით ხელისგულზე
იდუმალი მრავალი ხაზი,
როგორც თვალებზე
ცრემლის კვალი,
ვით ტუჩზე ხსენი...
გადაუარა ჩვენ აჩრდილებს,
გახხოვს, ურემმა,
და თუკი მშვიდად
ყურს მიუგდებთ
დღეთა განაჩენს,
რამდენი რამე
გვენიშნება, გვეცნაურება,
რამდენი კიდევ
გამოფოთლავს დღეებს დანარჩენს...
ბავშვობა არის
საძირკველი ჩვენი ცხოვრების.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

მე გავიხარე
და გული გავხსენ...
ავტყდი,
ვიცინე,
ვიმატაოცე,
თითქო კვლავ დამსვეს
ბავშვობის ტახტზე
და დაბადება
ჩემი დალოცეს...
თითქო ეს ლურჯი
კვრინჩხის მარცვალი,
ან მრუდ შარაზე
ავტოს ხრიალი,
ბალჩა, ბოსელი,
კერის ნაცარი,
რომელსაც ქარი
მიაწიალებს —
სიზმრად მენახოს
და სიზმრის ფანდი
იყოს ობოლი
ცა მანჩხაურის.
არ იყოს თითქო
წინაპრის დარდი
ყოველ ნაბიჯზე
აქ საცნაური...

* * *

მხოლოდ სევდა
მხოლოდ შენზე დარდი
მიმახედებს
წარსულისკენ ხშირად...
არ გყოლია
უსუპი და ბადრი,
მეგობრები, —
სიცოცხლედ რომ ღირან.
არ გყოლია
შენ მიჯნურიც, არა.
რადგან თვითონ
შენ არავის ჰყავდი
ისართათვის
მიუწვდომელ ფარად,
ვაჟს რომ ერთხელ
დაუდებენ თავთით...
მებრალები,
მებრალები ძლიერ,
მებრალება
ბედნიერი შენით...
შეხე ჩემს ცას
ყველა ცაზე ციერს,
არც ღრუბელი
შერჩენია წყენის...
მებრალები!
არც სიყვარულს ვმალავ!
მაგრამ ჩემს გზას
ვინ შეჰბედავს მეტი?!
(შენ კი, ციცქნა
სასაცილო ქალავ...
შენც გაგივლის
სიყმაწვილის რეტი!)

* * *

უცნაურს იტყვით,
გატრიალდებით
და საფიქრალად
მომიგდებთ ღამეს...
მე ვერ ვისწავლე
როლი, ფანდები,
(თუმც ყველა სპექტაკლს
ქალები დგამენ!)
მე ვერ ვისწავლე
იოლად წასვლა
და დიალოგი
კაცთან — მარტივი,
იქნა სულ სხვა რამის,
ნაგრძნობის ნაცვლად,

ბიბლიოთეკა

მზისა და თოვლის
რევა მარტივით...
მოთმენა ჩუმად
წყენის, ღალატის,
უმეგობრობის,
უყვავილობის,
მოსულელება თავის —
ძალათი,
ღირსებისაგან
ქსოვა ჭილოფის...
მერმე დასძრახავთ
ქალის შეძლებას,
მერმე დასწყევლით
შეხვედრის წამებს,
იტყვით, რომ ჩემთან
არ გაგეძლებათ
და უვარსკვლავოს
მომიგდებთ ღამეს...
უცნაურს იტყვით
და უსამართლოს,
(გაზაფხული კი
ჩვენს ლობეს გასცდა!)
რა როდის გთხოვეთ
პური სამადლო
სიყვარულის და
სიცოცხლის ნაცვლად?!

* * *

ჩავიჩოქე,
რაღას უცდი,
დამკარ,
შურისგების შემართული ცული...
ავდგები და
გავიხურავ ამ კარს,
შენ ნათელი
შემოგრჩება სულის.
რა ბლაგვია
იარაღი ბილწი!
რა ცოდოა
ბრიყვი,
ბრიყვი ქალი...
სიყვარულზე
გადაჰყვება წიწინს
და ვერაფერს
დაინახავს თვალით.
მივლია და
წავქცეულვარ თავად!
მაგრამ სად ხარ
ქვეყნად უფლის ხატო?!
უშენოდ ხომ
სულ წყალივით წავა
ჩემი ფქვილიც,
როგორც შენი ქატო...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლადო სულაბერიძე

# გახსენება ლეო ქიაჩელისა

პორტრეტი

საწუთროვ, ბევრი რამ მიაკელი,
ადნე, ვით ყინულის ლოლუა,
იჯდა და ძერწავდა ლეო ქიაჩელი
გვადის და ტარიელ გოლუას.

თვალთა უპეებთან ეკიდა ნაოჭები,
ფიქრის ბილიკები ბინდული.
პენსნედან გვიცქერდა გზა-გზა გაოცებით,
მოხრილი (თუ მოშვილდული?).

გერონტი ქიქოძეს ნელა მოჰყვებოდა,
ზვერავდნენ მაჩაბლის ბანოვნებს.
ბოლომდე, — ვისმეს თუ ემოყვრებოდა...
წერდა ერთგულების კანონებს.

თვალებში — შვლის ცრემლი, ხანაც
გამოხედვა
გუთანში შებმული ხარისა.
გულის ხორცს ღიმილში გამოხვევდა,
ატანდა ჰაკი აძბას ქარიშხალს.

მხრებზე — ხურჯინი, სავსე უავესი
დღეებით სეტყვურით, კოხურით.
ლექსი? ჰო! ოღონდ თუა ლექსი
ღვთის კავით მიხნულ-მოხნული.

წიგნების სალონი სოფელს ჰონორარით
აუგო... დღეს ხალხი მიჭრია.
ბიჭს ნუ მოვაგონებთ ნურვინ, ჰო,
ნურავინ,
ომში დაღუპული ბიჭია.

ნურავინ, ნურავინ, ნურვინ გავახსენებთ...
გვედრებთ, ვით ადრევე გეაჯენით.
მთაწმინდის საყდართან დავასვენეთ
წუთისოფლის გზაზე ლეო ქიაჩელი.

საწუთროვ, ბევრი რამ მიაკელი,
ადნე, ვით ყინულის ლოლუა.
იჯდა და ძერწავდა ლეო ქიაჩელი
გვადის და ტარიელ გოლუას.

* * *

რევაზ მარგიანი

ხანდახან მარტო მივყურჩდებით
სადმე კაფეში,
ხან შენ თამადობ, ხან — მე,
ხანაც ერთად ორთავე.

ვიგონებთ ყრმობის პანტა ვაშლებს,
ქვებზე დაბეჟილს,
ანდა პირველად სალამური
ვით გაწოვთალეთ.

რის გავიხსენებთ რუსთაველის
ჭადრებს ღამეში,
ჰაუ, ლანდები წაგვადგება
მაღალ ბიჭების,
თვალს გავაყოლებთ ნაღვლიანად
ჩვენს მწკრივს გამეჩხრილს
და სადღეგრძელოს მოიისფრო
ალზე ვიწვებით.

ეჩურჩულებთ ჩვენთვის, სიტყვები გვაქვს
მხოლოდ საჩვენო,
ან წუთს არარა შეგვრჩენია
გასახსვისები.
მხოლოდღა ჩემი წილი გული
გინდა მაჩვენო,
მსურს მოგახვიო მხოლოდ შენი
წილი ნისლები.

აჟღრიალდება სიჭაბუკის
ცხელი ებანი,
მთვარე მოგვაშლის ნისლიან შუქს
დედის კალთებად.
სავსე ჭიქაში ღვინისფერი
მოგონებანი
სათქმელ სტრიქონად კალმახივით
გახწიანდება.

. . . . . . .

ხანდახან მარტო მივყუჩდებით
სადმე კაფეში.

გრიგოლ ჯულუხიძე

# ფასანაური

როგორ მიდის ეს საწუთრო,
სევდიანი ფერებით.
სხვა მიყვარდა,
სხვას ვუყვარდი
და სულ სხვას ვეფერები...
გული დამყვა სევდით სავსე,
ბედის მზე — უცნაური, —
ხან შავი ზღვა მართმევს შენს თავს,
ხან კი ფასანაური.
ყელზე მიჭერს ამა სოფლის
დამქანცველი ხმაური...
დავივიწყე ყველა სიტყვა,
მახსოვს ფასანაური.
მთვარე შენს თმებს მათოვს შუბლზე,
ჩთვარეს თუ აკვირდები?
მოხვალ?
სულში ჩაგისახლებ,
სხვას მე რას დაგპირდები.
როგორ მიდის ეს საწუთრო,
სევდიანი ფერებით...
სხვა მიყვარდა,
სხვას ვუყვარდი
და სულ სხვას ვეფერები.

# ჯავახური

გურჯისკართან ციხე მურჯის —
ბრწყინავს საქართველოს ბურჯი.
ღამეს თეთრად ათენებენ
ძვლები, ჩემი ქართველების.

ბოღმითა და შეცოდებით
მიცქერიან ეს ლოდები,
ჯავახური ქერი მინდა,
მზეს ჯავახურს ველოდები.

შემოდგომის მოჭრის ქარი
სხვა ტკივილით კვნესის ქნარი.

უბრძოლია სიტყვას ომში,
მზე ხმალს ნათლით ულოკავდა...
აქ ქართული კივის ლოდშიც,
სხვით ვინ გააკილოკავა?

მაინც მღერის „ოდელიას"
მურჯის ძირში კოთელია,
კოთელია სოფელია,
ზღვაში წვეთის ოდენია.

აბა, როგორ დავფარავდი
გულის ნადებს თავფარავნის...
ჯავახეთი ერთი არის,
გაეყოფა არც არავის.

გურჯისკართან ციხე მურჯის —
ბრწყინავს საქართველოს ბურჯი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

იმ ეზოს,
იმ სახლს,
იმ ღობის ჭინჭრებს,
ოწინარს —
ჭაზე შერჩენილ ყანჩას —
ჩემი დღეების ღიმილი დარჩათ.
საწუთროს ფრთები მაცდურად მიჭერს
და მოგონების ცისფერი ველი
ბრწყინდება და თან ივსება ხვნეშით.
როგორც სიყვითლე სექტემბრის ტყეში,
გულჩათხრობილი ვდგევარ და ვუსმენ —
იზრდება ჩემი ერთგული სევდა.
საიდან, საით,
საიდან, საით,
საიდან საით მიდიან გზები?
ხიზერე რაა,
ცივდება გული
ქანცგაწყვეტილი მოგონილ გზნებით.

სისხლად აჩნია ქალაქის კედლებს '
ჩემი ცხოვრების დღიური ნუსხა,
მე ჩემს ორეულს,
ჩემს წინ მდგარს ჭიქით
ჭიქაში არყის სამსალას ვუსხამ.
და ქრება სივრცე არყით ჩვენს შორის.
ფრთები ეშლება ოცნებებს, ლამაზს...
მერე კი, მერე,
ნასწავლი როლით
ვთამაშობ სახლში ბედნიერ მამას.
ვთამაშობ ხალხში უდარდელ მოძმეს,
უდარდელ ძმას და
უდარდელ ქართველს...
და რეჟისორი —
დამდგმელი ამ დღის
მიქებს თამაშს და მარჯვენას მართმევს.
როგორც სიყვითლე სექტემბრის ტყეში
გულჩათხრობილი ვუსმენ და ვხედავ —
იზრდება ჩემი ერთგული სევდა.

* * *

ჭყვავის მიმოზა.
ამ ლამაზ სახელს
დღეს შეუძლია
გამიყვანოს სახლიდან გარეთ
და ქუჩა-ქუჩა უმიზეზოდ მახეტიალოს, —
მიმოზა ჩემი სევდიანი გაზაფხულია.

და როგორც თოვლი,
განწმენდილი და განწირული,
სიმაღლეებით დაღლილი და გაბეზრებული,
მეძახის მიწა,
მიმოზებით აყვავებული, —
მიმოზა ჩემი თოვლიანი გაზაფხულია.

* * *

ფეხისწვერებზე შევდექ
და შორს,
ჩაჟანგებულ მთებს იქით,
მახსოვრობის ზღურბლის გადაღმა
დედა დავლანდე,
მკერდზე ვყავდი მიხუტებული...

ფეხს არ იცვლიდნენ,
იქვე იდგა
ცოლი და შვილი,
და ჩემს ბეჩავ თავს,
დედაჩემის დაუკითხავად,
სულ მისხალ-წისხალ ინაწილებდნენ.

ბეგლარ მუჯირიშვილი

# როგორ მომკლეს ფაშისტებმა

ცხრაასორმოცდახუთი წლის თებერვალში ჩემმა მშობლებმა სოფ. დიდ გომარეთში ასეთი უწყება მიიღეს:

„თქვენმა შვილმა, წითელარმიელმა ბეგლარ ალექსის-ძე მუჯირიშვილმა, დაბადებულმა საქართველოს სსრ დმანისის რაიონის სოფელ დიდ გომარეთში, გამოიჩინა სამხედრო ფიცისადმი ერთგულება, მამაცობა და 1945 წლის 29 იანვარს გმირულად დაიღუპა საბჭოთა სოციალისტური სამშობლოსათვის ბრძოლაში. დაკრძალულია ლიბავის მაზრის ხუტორ ლიგატნში (ლატვია)“.

ხელისგულივით გაშლილ მინდორზე ყანა ოქროსფრად ღივღივებს, ზოგჯერ ამ ზღვას ასხლტილი ნიავი დაუბერავს, ახწეწ-დასწეწავს, ტალღა-ტალღად ააშრიალებს აპეურივით მკვრივად დატიკნულ თავთავებს.

მინდორს ტყისაგან ხევი მიჯნავს, წყლის კალაპოტივით მიხვეულ-მოხვეული. მომაღლოზე, სოფელია შეფენილი. იასამნების გრძელი რიგი ქამარივით შემორტყმია. თაიგულებივით აკოწეული ვარდის ბუჩქები ასკილისა და კრიკონის ბუჩქებს აქა-იქ შერევიან, ზოგან გაბუტულ ქალ-ვაჟივით განდგომიან ერთმანეთს ლატვიური ვილები. მათი თეთრად შეღებილი ვერანდები ზურმუხტისფერში ჩანთქმულან.

ნუთუ ეს ლიგატნია?

მას მერე ბევრმა შემოდგომამ გადაიარა, ცამ ერთხელ მოხუჭა სამზირალი, ბევრმა დასტოვა თვალხილულეთის საბალნარო.

ბევრი, ძალიან ბევრი რამ შეიცვალა მას მერე...

მე ახლა ძმათა სასაფლაო უნდა ვინახულო.

მინდორი ტაატით გავიარე. ხევგაღმიდან აღმართი დაიწყო. მძიმე, გაუთავებელ მოგონებებს რომ გავქცეოდი, გადავწყვიტე შემესვენა. ბალახებში ჩავიმუხლე. საკუთარი გულის ძგერა შემომესმა.

ყური მივუგდე შემოგარენს. ჩიტების გაბმულ ჭიკჭიკს აეკლოთ გაღაღმა-გადმოღმეთი. ჰაერში გაზავებულიყო უთვალავ ყვავილთა სურნელება და ყველაფერს ალმურივით წაჰკიდებოდა.

ომისდროინდელი ლიგატნი მომაგონდა. მაგრამ ახლის საზღვრებში ვერა და ვერ აღვადგინე: შეცვლილიყო, დროს თავისი გაეტანა.

გზაწვრილი ბალახებში ჩაიკარგა, ზურმუხტოვან ფერდს ალმა აჰყვა, კორდზე აივაკა.

ბილიკმა ძმათა სამარხთან მიმიყვანა, ფიჭვნარში. ტანში მანამდე განუცდელმა ჟრუანტელმა დამიარა: აქ, სწორედ აქ მრუდდებოდა სანგარი...

მარმარილოს ნატიფ ქვაზე, დაღუპულთა გვარებს შორის, ჩემი გვარიც ამოვიკითხე...

1.

...ქვემეხების მიჯრილმა ბათქმა იქაურობა გააყრუა; ამას ტყვიამფრქვევის გრძელი ჯერი მოება.

ტყვიამ ყურთან გამიზუზუნა, მეორემ, მესამემ...

დღე თანდათან მიიწურა, მიღამდა.

თეთრად ჩაგვირისტებულ ხეობას ბინდბუნდი წამოეპარა, ერთ მუჭა ნასოფლარს, ჭურვებს და ყუმბარებს ნაცარტუტად რომ ექციათ, ნაბადივით წამოესხა.

თოვა დაიწყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცივი, გამჭოლავი ქარი ამოვარდა. ხელის ზურგივით ამობურცულ მაღლობს ფეთიანივით დაეძგერა; დაკლაკნილ სანგრებში ჯარისკაცები გატრუნულიყვნენ. გერმანელების წინა ხაზი სოფლის გაღაღმა ხევს ჩასდევდა. მტერს რა ხანია ალყიდან თავი ვერ დაეღწია, დაჭრილ მხეცივით ღრინავდა. ჩვენი სანგრების ზღუდეებს გაავთრებით აწყდებოდა.

2.

დიმას თავი ჩაექინდრა. ნაცრისფერ თვალებში მსუბუქი სევდა ჩასდგომოდა, გადათეთრებულ მიდამოს გაჰყურებდა, ერთთავად ოხრავდა.

— გესმის? — მხარზე ხელი მოვუთათუნე, ხევისაკენ გავახედე.

რაღაცა ხმაური გავიგონე. ფეხის ხმა იყო ნამდვილად. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ვიღაცა გვეპარებოდა.

— სსსუუუ...

— მზვერავები იქნებიან.

— ნამდვილად...

— იქნებ ლეიტენანტს მოვახსენოთ?

დიმა აიმართა:

— გადადება არ შეიძლება! — წასასვლელად მოემზადა, ავტომატი მხარზე მოიგდო.

— მოიცა! — გადავეღობე, — მე წავალ, შენ დღეს ბევრი იარე! — პასუხს არც დაველოდე.

სანგრის ფსკერზე თოვლს ბარაქიანად დაედო, ფეხებს ქვეშ ხრაშახრუში გაჰქონდა. მივრბოდი და მეჩვენებოდა: თითქოს გარშემო უდაბნო იყო, მკვდარი და უკაცრიელი.

— პაროლი! — გუშაგმა შემაჩერა. ნაბიჯს შევუნელე.

— პაროლი-მეთქი! — ფოლადის ღულით გადამეღობა.

— ჩრდილო დვინა!

გზა დამიგდო.

ორიოდე წუთის შემდეგ მიწურს მივადექი.

— რომელი ხარ? — ხაფი ხმა გავიგონე.

ლეიტენანტი მარტო იყო. მიწურის სარკმელს მიჰკვროდა, გათანგულ მინდორს გაჰყურებდა.

— რა არის, რა მოხდა?

წვრილად მოვახსენე ყველაფერი.

— ხევთან საეჭვო ხმაურია... — გავიმეორე ადრე თქმული.

— იქნებ მოგეჩვენათ?

— არა, არ მომჩვენებია!

ფარაჯა სახელდახელოდ გადაიცვა. პისტოლეტი ჯიბეში ჩაიდო, მიწურიდან გამომასწრო, შურდულივით გამოვარდა. ადგილზე რომ მივედით, შემოგარენს მიაყურადა, იყუჩა. ხმაური უფრო მკვეთრად გამეორდა. მერე სულ მიწყდა, ჩამიჩუმიც არ ისმოდა.

— ვინცობაა გაგიჭირდეთ, მწვანე მაშხალით მაცნობეთ.

მერე შუაში ჩაგვიდგა, ხელები გადაგვხვია:

— აბა, ბიჭებო, — ჩურჩულით თქვა, — ხევთან უნდა ჩასაფრდეთ. ეს ხმაური რაღაცა არ მომწონს, ფრთხილად უნდა იყოთ დ, როგორც წედან ვთქვი, თუ გაგიჭირდათ, მწვანე მაშხალით მაცნობეთ!

სანგრიდან ჯერ მე ამოვძვერი. გულზე ხოხვით გავიარე პატარა მანძილი და, როცა დავრწმუნდი, გზის გაგრძელება შეგვეძლო, დიმას ვანიშნე მომყოლოდა.

თითქოს გამდნარი თოვლის წყალს მასხამენო, ოფლი წურწურით ჩამომდიოდა...

გაღმა ტრიალი მინდორია. ხევის პირას, მომაღლოზე, ბუჩქნარია. აქედან კარგად მოჩანს ყველაფერი. აქაურობა თოვლს ახლახანს დაუნამქრავს.

ისეთი საფარია, კაცი უკეთეს ვერც ინატრებს. ირგვლივ ჩამკვდარა ყველაფერი. აკლდამა გეგონებათ.

ხანგამოხდომით ქარი სისინებს, ბუქს აყენებს, ძვალ-რბილს სთოშავს. ფარაჯის გახოკილ კალთებს მუხლებზე ვიფარებ. მგონია დამთბა, სხეული კი მიძაგძაგებს, კბილებს მაცემინებს.

— გცივა? — დიმა ჩურჩულით მეკითხება. რა ვუთხრა?

— არაფერია, გაივლის...

— ავად ხომ არა ხარ?

— რას ამბობ, დიმა, ღმერთმა დამიფაროს.

— თუ რამე გაწუხებს, ნუ დამიმალავ...

— არა, ჩემო დიმა... — ვცდილობ ბაბანი დავიგდო, ერთხანს თავს ვიკავებ. იქნებ იმიტომ: მოვაჩვენო, რომ ყოჩაღად ვარ... იმას თავისიც ეყოფა, ჩემი გაჭირვება თავს რომ არ მოვახვიო...

— მოიცა, — მეუბნება, — ხომ არ შევცდით?

— შევცდითო? რას ამბობ, დიმა, ბავშვები ხომ არა ვართ?

— არა, მაგრამ იქნებ მოგვეჩვენა?

— შეუძლებელია.

— შენ გერმანელებს არ იცნობ; ერთს გიჩვენებენ, მეორეს აკეთებენ...

— რას იზამ, ომში ყველა ეშმაკობს...

— ეგ კი, მაგას რაღა თქმა უნდა...

ისევ დუმილი ჩამოწვა.

თოვს, თოვს ხვავრიელად.

სადღაც რაღაცა ხმაურია. ვაყურადებ: ნამდვილად ტურაა. ჩხავის საცოდავად, ვიღაცას თუ რაღაცას მოუხმობს. მისთვის კი არავის სცალია...

წინ საარვისო ზონაა. ცხენის გასაჭენებელ მანძილზე გაჭიმულა, ალაგ-ალაგ ბორცვიანია. ერთგან ლარივით სწორდება, მერე წკნელივით

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგრიხება; წინა ხაზის ერთი ნაწილი ხევისპირს ებჯინება. ის რომ გადალახო, რკინის გული უნდა გქონდეს. დანაღმულია. ბრმასავით რომ წააწყდე, ვითომც ამ ქვეყნად არც ყოფილხარ, შენი აკვანი დედას არც დაურწევია... ნაღმს რომ გადაურჩე, მართულსხლართს ვერ გაექცევი.

გათოშილ ჰაერში მაშხალა გაიკლაკნა. კენწეროში კომბალივით მოიგრიხა, დაექანა. ხეობის ერთი მხარე გაანათა, მერე ასანთის ღერივით ჩაიწვა.

დიმა ავტომატს ჩახუტებია, თოვლში გასუსულ ბავშვივით ბაბანებს...

რაც ჰოსპიტლიდან გამოგვწერეს, მას მერე ერთად ვართ. ერთი უძირო კაცია. მშობლები ლენინგრადში დაეღუპა. ომმა აღარც ძმები შეარჩინა. მეუღლე ბელორუსიის მესამე ფრონტზეა. ერთთავად აბოდებს: „ნასტია, მილაია მაია!...“

დღეცა და ღამეც ერთად ვართ.

ცოთხელ მზვერავებს გაგვაყოლეს. მტრის შტაბიდან მოენე მოვიტაცეთ. გერმანელებმა განგაში ატეხეს, დაგვედევნენ. წინ გვიყელეს. უთანასწორო ბრძოლაში ათიდან სამნილა გადავრჩით. მე და დიმა მსუბუქად დავიჭერით. არც მტერს დაადგა კარგი დღე: ათამდე კაცი მოვცელეთ, ადგილმდებარეობით ვისარგებლეთ, ჭანჭრობიან ბუჩქნარში მივიმალეთ, როცა დრო ვიხელთეთ, ფრონტის ხაზზე გადმოვედით შეუმჩნევლად...

3.

მას მერე ერთად ვართ.

ის ჩემზე უფროსია: ორი თუ სამი პერანგი აქვს ჩემზე მეტი გაცვეთილი. მართალია, უთქმელია, ზოგჯერ ცხვირ-პირიც ჩამოსტირის, მაგრამ უფრო ხშირად ისეთ ხალისიან გუნებაზეა, თითქოს არც ეს ომი მძვინვარებდეს ქვეყანაზე, არც ეს წყეული ზამთარი...

— იცი რა? — ჩურჩულით მეუბნება დიმა, — ჩემზე შვიდი წლით პატარაა ნასტია, ფრონტზე ისიც მოხალისედ წავიდა. სამედიცინოზე სწავლობდა... სსსუუუ... — დუმდება, — გესმის? ფეხის ხმა!...

ყურყურადებ, საქმეში ხარ: ჩამიჩუმიც არ ისმის.

— მოგეჩვენებოდა...

დროგამოშვებით ქარი უბერავს, მინდორს ჩაქჩაქით გადაივლის. ტყის ტევრს შეეყრება, თავთავის ბრელოსავით იფანტება.

ყინავს, ძვალ-რბილში ატანს...

4.

— გული რაღაცა ცუდს მიგრძნობს, გესმის?— დიმა დუმილს ველარ უძლებს, როგორც საკანს პატიმარი. წუხს, გული ყელამდე [illegible] ისე ოხრავს ხანდახან.

— რას ამბობ, დიმა, რა დროს ეგ არის? — ვცდილობ გავამხნევო. თუმცა კარგად ვიცი, რაც აწუხებს. ვიცი, ვიცი და ნეტავი არ ვიცოდე. ჩემს ტკივილებს, ფიქრებს, საწუხარს, იმისიც ემატება...

— რა ვქნა, გულს ხომ არ ვუბრძანებ? — რაღაც საწყლად, საცოდავად იღრიჯება.

რა ვუთხრა, რით ან როგორ დავაწყნარო? ზოგჯერ კაცს ისეთი რამ ემართება, ამაო ხდება ყოველივე შეგონება, დაიმედება, გამხნევება. მესმის მისი, მესმის და ვწუხვარ, რომ არაფერი შემიძლია მეგობრისთვის ვიღონო... ვიცი: ძნელია დამშვიდდე, როცა გული გეურჩება, რაღაცა ავს გაგრძნობინებს....

გულის საიდუმლო ჯერ ბოლომდე არ ამოცნობილა...

ხელთათმანს იძრობს, ხელს უბეში აფათურებს.

— ერთი თხოვნა მაქვს, ერთადერთი და, თუ ძმა ხარ, უნდა შემისრულო. აი, ქაღალდი, შიგ ყველაფერი სწერია. აჰა, ესეც მაგასთან შეინახე,... ხელში მკვრივ საგანს მაჩეჩებს, — თუ რამე შემემთხვა, ნასტია მოძებნე, გადაეცი...

სიტყვებს ვეძებ, აზრი რომ გამოვთქვა. მარლაცდა, რა ვუთხრა? თავისას მაინც არ იშლის:

— შემომფიცე, რომ სათხოვარს, რაც ახლა გაგანდე, შემისრულებ... —თრთის, ხმაში ყანდი ეპარება. ვიცი, ეს რაც არის, მეცოდება.

—რას ამბობ, დიმა, ჭკვიანი კაცი მეგონე, შენ კი... აბა, ეს რასა ჰგავს?

—უამბე, რომ... — აჩემებულს არ იშლის, — თავი არ შემირცხვენია, ვიბრძოდი, როგორც შემეძლო...

— არა, ჩემო კარგო, — პირში ბურთივით ვეჩრები, — ნასტიას ნახავ და თვითონვე ეტყვი ყველაფერს...

— გამიგე, ისიც ჩემსავით ობოლია, გესმის თუ არა? — ყელში რაღაცა ებჯინება, სიტყვის შებრუნებას არ მაცდის; ერთსა და იგივეს ჩამჩიჩინებს, მიმტკიცებს, მემუდარება.

რა ვქნა, კიდევ რა მოვიმოქმედო? გული კი მეთანაღრება, მიტირის, მეურჩება. მართლაცდა, აქ ლხინისათვის ხომ არ მოვსულვართ? სიკვდილი ყურს უკანააო, იტყოდა ხოლმე ჩვენი გლეხი. ისიც ომში... ამის წინასწარი წარმოდგენა ჩემზე ისევე მოქმედებს, როგორც ყველა მომაკვდავზე. ნუ ვიტყვით: აღსასრულის მოახლოვება ჩვენში შიშს არ იწვევდეს. სხვა საქმეა, რომ მას სხვადასხვანაირად განვიცდით. ვმალავთ, თავს ვინუგეშებთ და ამით იმას ვურიგდებით, რაც გარდაუვალია...

5.

თოვს, თოვს ხვავრიელად.

— შენ კარგად მოქცეულხარ..., — დიმა თავ-

ეროვნული

შეკავებით, დაჭერებით ჩურჩულებს, ისე, რომ წინამდებარეთს თვალს არ აშორებს.

— ეგ რაზე, დიმა?..

— აი, აქ მოხალისედ რომ წამოსულხარ!

— რაიონიდან ოცზე მეტი ჩაეწერა, მარტო შვიდნი ჩვენი სოფლიდან ვიყავით! — ვცადე ჩემი როლის შემცირება...

მხარზე ხელს მითათუნებს:

— ყოჩაღ!...

მინდა მადლობა მოვახსენო, მაგრამ ვიცი: ამით მას ვერ გავაკვირვებ; იმდენი გაჭირვება უნახავს, ათსა და ოცს რომ ეყოფა;.

გათოშილ ჰაერში ზოგჯერ ტკაცა-ტკუცით გაიელვებს მანათობელი ტყვია. ეთერში წითელ ბაწარივით გაებმება და მეტეორივით იფერფლება.

მერე მკვდრეთის დუმილი ისადგურებს და სულში წამიერი სიცარიელე ნებივრობს...

6.

— ნამდვილად შეგვამჩნიეს.

— ეგრე რომ ყოფილიყო, აქამდე ანდერძს აგვთიგებდნენ.

— გამოდის, რომ მოგვეჩვენა?

— რა ვიცი...

ჰაერს ყინვა შესდედებია, გაუთოშავს. სუნთქვა მიჭირს. განძრევაც არ შემიძლია, მოტეხილი ვარ ერთიანად. რა ვქნა, თავს როგორ ვუშველო? მიჭირს, ძალიან მიჭირს, მეტი აღარ შემიძლია, მაგრამ კრინტი ვერ დამიძრავს. ან რა აზრი აქვს? ვის შევჩივლო? თვითონ ვარ, უმწეოც და ღონიერიც... ვიცი, კარგი დღე არც დიმას ადგას. რომ მოჰკლა, სამდურავს ვერც მისგან გაიგებ...

— შუაღამე გადაიწურა... — თითქოს განვებო, ამბობს დიმა.

— რას ამბობ, დიმა, იწყევლები? სადაცაა გათენდება.

— შენს პირს შაქარი, ნეტავაც ეგრე იყოს...

გაუსაძლისი დუმილია. ცივა, გათოშილია ყველაფერი. ფეხის თითებს ველარ ვგრძნობ. არც ქვედა კიდურები მეჩემება. მინდა თავი წამოვწიო, მხრებში გავიშალო, ამაოა ჩემი ცდა. ზემოთ რაღაცა მოჩოჩავს, ცივად, უსიამოდ.

თოვს ხვავრიელად. ირგვლივ ჩამკვდარა ყველაფერი.

დრო იწვის სანთელივით.

სადაცაა გათენდება.

ველით რაღაცას, ვიღაცას.

დრო ნაკვერჩხალივით იფერფლება, ნელა, შეუმჩნევლად, შელამებასავით... მიაქვს ჩვენი ძალა, მოთმენა, გვაფხავებს, მაგრამ უნარსაც გვიტოვებს, მის გამოცდას გავუძლოთ როგორმე.

დუმს დიმა, შეჰკვრია სიჩუმეს და იმავე დროს ჩაძირულა ფიქრებში...

საარვისო ზონისაკენ გერმანელები მაშხალას ისვრიან. კვარივით პარპალებს, [illegible] დროსავით იფერფლება.

ისევ ფეხის ხმა შემომესმა, მაშინვე მინელდა. თითქოსდა ამის პასუხადო, ფეხს ფეხით ვეხები, ჩემი აღარაა. ხმელ ხეს თუ გინდა შეხებიხარ, თუ გინდა — არა.

თვალები მებლიტება.

— არ გაბედო, — მუჭლუგუნს მკრავს, — ხომ ხედავ, როგორ ყინავს...

როგორ არ ვხედავ, ვხედავ კი არა, თავიდან ფეხებამდე ვგრძნობ, როგორ თანდათან მერთმევა უნარი განძრევისა, მოქმედებისა. მისი სიტყვებისა ნახევარიც არ მესმის. ისევ მანჯღრევს, ისევ მევედრება, როგორმე გავუძლო, მოვითმინო...

7.

თვალი რომ გავახილე, მიწა იძვროდა. გეგონებოდათ, კაბადონზე წისქვილის ქვები ეჯახებოდნენ ერთმანეთს. მსხვილყალიბრიანი ქვემეხები გრუხუნებდნენ. „ვეფხვისა“ და „ფერდინანდის“ დივიზიონები ჩვენკენ ღრიანცელით მოიწევდნენ. გულისხეთქვითა და წიოკობით მოხდევდნენ ქვეითი ჯარისკაცები. მაღლობი, რომელიც ჩვენ გვეპყრა, რკინიგზას ესაზღვრებოდა. იქიდან ზღვამდე ხელის გაწვდენა მანძილი იყო. ფაშისტები იქით გაჭრას ლამობდნენ, ალყიდან თავი რომ დაეღწიათ.

მტრის დიდი ძალების თავმოყრამ ამ უბანში ჯოჯოხეთად აქცია ყველაფერი. არემარე დამსკდარ კედელივით ბარბაცებდა. დედამიწა ბორგავდა. ყუმბარისა და ჭურვების ბათქი შემოგარენს შიშის ზარს სცემდა. აზანზარებდა, აყრუებდა.

თითქოს დედამიწა ცოცხალი არსება ყოფილიყო: გმინავდა, მკერდი ასდიოდა-ჩასდიოდა. ხან ჭურვი გლეჯდა დაგმანულ მკერდს, ხან ყუმბარა. ნაღმების ზუზუნი ტყვიამფრქვევების კაკანს ხლეჩდა, ზოგჯერ შთანთქავდა, როგორც აბობოქრებული ზღვა მდინარის შხუილს.

მტრის თავგასული შემოტევა ორჯერ ზედიზედ მოვიგერიეთ. ისევ განახლდა.

მოწინაალმდეგის არტილერიამ ალიაქოთი ატეხა: საგანგებოდ გამაგრებული სანგრები პირთამდე დააქცია.

ოციოდე წუთის შემდეგ ერთბაშად მოგვასკდნენ ფაშისტები.

მსგავს ამბავს ზღაპარიც ვერ იტანდა...

8.

სანამ ზღუდეებს მოასკდებოდნენ, თვითმფრინავებიდან დაგვიშინეს ყუმბარები. ლეიტენანტი სანგრიდან სანგარში გადარბოდა, შეთხელებულ ასეულს ამხნევებდა. დიდი ზარალის მიუხედავად, მტერი მაინც წინ მოიწევდა, არ ცხრებოდა. ან სიცოცხლე, ან სიკვდილი! სანგრებში ჩამოგვეჭრნენ ფაშისტები. ხელჩართულ ბრძოლაზე გადავედით. აირ-დაირია ყველაფერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ, მე და დიმამ ერთმანეთი დავკარგეთ.

შელამებისას, ბრძოლა რომ დამთავრდა, ხიშტით აჩეხილთა შორის სასიკვდილოდ დაჭრილ დიმას წავაწყდი. ისევ თბილი იყო. წამოვწიე. არ ვიცი, იგრძნო თუ არა ჩემი ხელი, დაურვება, ერთი საცოდავად ჩაიკვნესა, თვალი ჩილუტედ გაახილა, ყურად შემომხედა. იქნებ მიხვდა, ვინც ვიყავი, რაღაცა მანიშნა. აზრი ბოლომდე ვერ გამოხატა და, როცა მიხვდა, რომ მისი ვერაფერი გავიგე, ლოყაზე კურცხალი დაუგორდა. ერთხანს კიდევ სცადა ხილულთან დაკავშირება, ოდნავ ტუჩებიც კი შესძრა, და თავი მოწყვეტით დაუვარდა...

9.

მხარზე ვილაცის ხელი ვიგრძენი.

არც შევმკრთალვარ. პირველად ყურადღება არც მივაქციე. თითქო ჩემთვის ერთი იყო, ვინც არ უნდა ყოფილიყო. არცრა მაკვირვებდა, არცრა მაწუხებდა. როგორც დაბუჟებულ, უგრძნობელ სხეულს...

წამით ასე ვიდექი, ეულივით, გაოგნებული და ყოველგვარ აზრს მოკლებული. არცრა მინდოდა, არცრას ვესწრაფოდი. ვერც იმას ვგრძნობდი, ფეხზე რომ ვიდექი. ვერც იმას, თანდათან როგორ ლამდებოდა. ჰაერი ტალახისფრად ზავდებოდა, მრუმდებოდა.

ლეიტენანტი იქვე იდგა. თვალებში ცრიატი შუქი ჩასდგომოდა. მიყურებდა და თითქოს ცდილობდა გაეღიმა, მაგრამ თავის ამ წადილს ძალას ვერ ატანდა. ამოღამებულ თვალებში უზომო დაღლა ჩასდგომოდა, ფერი აღარ ედო. მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს სადაცაა მხრებს შეიყრიდა, წელს გაისწორებდა და მტერს ეკვეთებოდა ახალი შემართებით.

—ყოჩაღ! — ამოიჩურჩულა, თვალებში ხალასი ღიმილი გამოუკრთა, — თუ ამ ჯოჯოხეთს გადავურჩით, ორდენებზე წარგადგენთ.

ვიცოდი: ამ ჯილდოში დიმასაც გულისხმობდა.

— შეტევას ველარ გაბედავენ... — თქვა, თავზე ხელი მომითათუნა, — წადი, დაისვენე...

მივწექი თუ არა იმწამსვე ჩამეძინა.

რამდენმა ხანმა გაიარა მას მერე, რაც ლეიტენანტმა მიწურში დამტოვა, არ ვიცოდი... ვულკანი ამოიფრქვაო თითქოს, სანგრის კედლები შეირყა. ცარიელ კალათასავით წამომაგდო, გამაქან-გამომაქანა. ადამიანთა გავეშებულმა ბლავილმა სანგარი შეაწრიალა. ძალა მოვიკრიფე...

ბატალიონი ფეხზე დადგა.

მტერი განახლებული ძალით მოგვასკდა.

ვიცოდი, ავი დღე დაგვიდგებოდა. სხვა გზა რომ ვერ ვნახეთ, შეტევაზე გადავედით. სანგრებს ხეირიანად არც ვიყავით გაცდენილი, ტყვიამ ყურთან გამიზუზუნა, მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე...

თვალს ბნელი წაეყარა მახათივით. მოცელილ ხესავით გავიშხლართე. გრძნობა და გონება ერთბაშად დავკარგე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მურად ნებიერიძე

## ფრთები

*საბჭოთა კოსმონავტებს*

ფრთები მიპყრია,
სხივებუხვი ვერცხლით მთოვარი,
ჩემში უზომო სიხარულით
კოსმიური ფერი შემოდის...

ჩემი ხიმშვიდე
უკვე ბორგავს, მიპყრია ფრთები,
შორს კი უსაზღვრო ჰორიზონტი
ძირს, ძირს ეშვება,
ფრთებქვეშ ღრიალით ილეწება,
დამფრთხალი ბინდი...

* * *

უცებ დაფეთდნენ
ვარსკვლავები,
შევრჩი განთიადს...
ცის ნამსხვრევები
მწვერვალებზე
ცვივა და ცვივა...
ბორძიკით მოდის,
მოირწევა
ახალშობილი
მნათობის ლანდი
და მიტოვებულ ბავშვობიდან
ისევ მეძახის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კოსმიური იდუმალება

ნათლის უჩინარ სამყაროდან გადმოხრილი
კოსმიური იდუმალება,
მოთმინებით სიმშვიდეს მაჩვევს.
ნისლიდან ნელა იკვეთება
პლანეტების თბილი ჩრდილები
და გარეგნულად მე გულგრილი,
ვიმეორებ ნაცნობ საგნებს
და ყოველდღიურ ოცნებებთან
ყიალს ვუნდები...
ცხოვრებისეულ წვრილმანებზე
შემძრა წუხილმა,
როცა ბუნება
ქაოტური წესრიგით შფოთავს,
მკაცრი დუმილით მხრებზე მეყრდნობა
და საყრდენი ბუნების მე ვარ,
დიდგულა და სრულყოფილი არსება მიწის.

* * *

ამ მიწასავით გიკოცნი ხელებს
და უძილობა თუ მეტყობა
და ვდუმვარ დედა,
ვფიქრობ, რა გითხრა, საქართველოს
უზღვავ ნათელით დაბრმავებულმა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი ჩხაიძე

## ვენახე კახეთი

*ვუძღვნი გურჯაანელ მევენახეებს*

ვნახე კახელი კაცის ხელებით
გადარჩენილი ტყე და სერები,
ჩანგზე ათასი სიმი უბია,
ყველას ვეხები
და ვეფერები.

ვნახე ზვრები და
ვნახე ბაღები,
ვნახე ალაზნის სავსე არხები,
ამ ბებერ ციხეს ვინ არ უტევდა,
მაგრამ დაემხო ციხის ამლებიც.

სულყველგან,
სადაც კარი შევაღე,
შემომეგება მეზვრე, მებაღე...
იმ ბრძოლებისთვის,
ამ ბრძოლებისთვის,
ბრძოლის სასმისებს ხელი შევახე.

ვნახე გაცლა და
ვნახე ავსება
მათ გრილ მარნებში წითელ დოქების,
ეს მხარე ისე მელამაზება,
მე სხვა მხარეში როგორ მოვკვდები!

ვნახე
ქართველი კაცის ხელებით
გადარჩენილი ტყე და სერები,
ჩანგზე ათასი სიმი უბია,
ყველას ვეხები
და ვეფერები.

## ვედრება

არ გატყდეს ღობე,
არ წახდეს ყანა,
არ წაიშალოს ბილიკი ტყისკენ;
უბერავს ქარი ლოდინის კარავს
და იმედებით თენდება ისევ.

არ ათქმევინო:
გადაიკარგა,
დედის საფლავზე ამოსულ იებს,
აი, ყვავილი, შენ რომ გიყვარდა
და უშენობა რომ უჭირს ძლიერ.

ეს ცა, ეს მიწა ჩვენი სოფლისა,
შენ ვით მოგეცა ისე გადაეც,
შეინარჩუნე პირველყოვლისა
შენი ღიმილი და სისადავე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ გატყდეს ღობე,
არ წახდეს ყანა,
არ წაიშალოს ბილიკი ტყისკენ,
უბერავს ქარი იმედის
კარავს
და იმედებით თენდება ისევ.

## როგორ იქნება

ამოვარდება უეცარად ქარი,
ჩაქრება კვლავაც ტაძართან კვარი,
როგორ გაიკვლევ გზას სიბნელეში,
როგორ შეაღწევ ტაძარში ქალი.

როგორ იქნები ისევ ისეთი
და სიყვარულით გულგადახსნილი,
ქარის მიზეზით,
ქარის მიზეზით,
ფოთლით ივსება ყველა გამზირი.

მაგრამ იმედიც იქვე დარეკავს,
იქვე იხუვლებს
ზარი თენების,
ანგელოსივით კედელს გაეკარ
და შეატოვე კედელს ვენები.

ახლა გაზაფხულს გავხარ და სანთლებს,
აღარ გაძალებს შენი პოეტი,
მას კიდევ სჯერა სადმე შეხვდები
და აიმედებს
შორეთის შორეთი.

პირველ სიყვარულს,
პირველ სიხარულს
ვეღარ ივიწყებს და უსასრულოდ
ისე, ვით ჩიტი ბუდეს, მიმალულს,
თავზე გევლები
თეთრო ასულო!

სად არის ახლა შენი პოეტი
და შენი ტაძრის წმინდა სანთლები,
ოი, საწუთროს მიეთ-მოეთით
ჩამორეცხილა ძველი ხატები.

მაინც მიყვარხარ
და მენანები,
და საიმედოც ისმის ხანდახან,
რომ კვლავ გიხილავს ჩემი თვალები
ამ ჩაღამებულ სივრცის გადაღმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## გიორგი პაპუაშვილი

# შორეული ციალი

### ფოცხვერისა და ბაბრის ჟანგები

ქართლიდან ჩამოსულმა სტუმრებმა ხალამო ხანს თელავს მიაღწიეს. მეფე თეიმურაზი ხელგაშლილი შეხვდა მათ. ურთიერთ მოკითხვის შემდეგ ქართლის ამბები გამოჰკითხა ახლად მოსულებს; ბოლოს, თეიმურაზმა ახალგაზრდა ერეკლე იხმო და სტუმრები გააცნო.

— ეს ძევაძეა, — უთხრა მამამ უფლისწულს, — ეს კი მაჩაბელი, ჩემი დოსტი და მეგობარი. შენ, როცა ძალიან პატარა იყავი, ხშირად აუყვანიხარ ხელში ვახტანგის ხახახლეში. ეს ის მაჩაბელია, უთოფოდ ლეკები რომ დაიფრინა.

ერეკლემ ინტერესით შეათვალიერა ახოვანი ვაჟკაცი. მაჩაბელმა კი ხელი ჩაიქნია და თქვა:

— ეი, გახსენებადაც აღარ ღირს, მეფევ!

— როგორ არა ღირს? — სახე გაებადრა თეიმურაზს, — იმ ამბავს რა დამავიწყებს... ახალი ხიძე ვიყავი და თავი მომწონდა. ჩემმა სიმამრმა სანადიროდ წამიყვანა ღვთის წინაშე, ბევრიც დავხოცეთ, მერე ველიანზე მივიხალვათეთ. მწვადი ავაგეთ და პური უნდა გვეჭამა. არ ვიცი, საიდან შეგვნიშნეს ლეკთა. ალყაში მოგვიქციეს, დაგვცეს კიჟინა და კონალამ წაგვახდინეს. მაშინ მაჩაბელმა რაღაც უცნაური, გიჟური სიცილი ატეხა, თავდამსხმელებს კი არა, ჩვენც თავზარი დაგვცა. ლეკებმა თოფები დაუშვეს და პირში მიაშტერდნენ. ამან კიდევ გიჟივით გაშალა ვეება ხელები და მხარბეჭის ცახცახით ნელნელა წამოიმართა. ლეკებმა უკუსვლით დააგდეს განი და თანაც თოფები მოიმარჯვეს ყოველშემთხვევისათვის. ეს კი ერთი ციბრუტივით შემოტრიალდა, სატევარზე ხელი გაიკრა, მჭახედ იკივლა, და ერთ გაოგნებულ ყაჩაღს თავი წააცალა. ამასობაში ჩვენც წამოვიშალენით დანარჩენებმა არევდარევით დაცალეს თოფები, ერთი იხუვლეს და ტყეში შეცვივდნენ.

მაჩაბელმა სქელი ქერა წვერი მოისრისა, ლურჯი, უძირო თვალები ბატონიშვილს განუ-

---

• ამჟამად ჩვენი ხალხი ემზადება რუსეთთან საქართველოს შეერთების შესახებ გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერის მე-200 წლისთავის ზეიმისათვის.

ქართველი ხალხის დიდი ხნის ისტორიული სწრაფვა რუსეთთან დაკავშირებისა ჯერ ისევ მე-19 საუკუნეში იქცა ქართული მწერლობის ერთ-ერთ მთავარ თემად. ჩვენს დროში, ოქტომბრის საუკუნეში, როცა სოციალისტური ინტერნაციონალიზმის იდეებმა უაღრესად ფართო გავრცელება ჰპოვეს და ხორცი შეისხეს, ზემოხსენებულმა თემამ კიდევ უფრო მეტი აქტუალობა შეიძინა. ამ თემას ქართველმა საბჭოთა მწერლებმა მიუძღვნეს არაერთი ლექსი და მოთხრობა, რომანი და პიესა. ამავე თემას ეხება მწერალ გიორგი პაპუაშვილის რომანი „შორეული ციალი", რომელიც გვიხატავს ცხოვრებასა და ბრძოლას ერეკლე მეფისა, მის სწრაფვას რუსეთთან დამეგობრებისაკენ. ვაქვეყნებთ რომანის რამდენიმე თავს ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე. რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზომელი სიყვარულით შეანათა და მხარზე მამაშვილურად მოუთათუნა ხელი: — მაშინ უფრო დიდი თმა-წვერი მქონდა, შვილო, თანაც ტყე-ღრეში ხეტიალით დაშლილ-აწეწილი და იმ ყაჩაღებს მართლა გადარეული გიჟი ვეგონე. ერთი გიჟისა კი, მოგეხსენებათ, უფრო მეტად ეშინიათ, ვიდრე ასი ხმლისა და სატევარისა...

— კარგი ვაჟკაცი გაგიზრდია, მე და ჩემმა ღმერთმა. — მიუბრუნდა მაჩაბელი თეიმურაზს, — ღმერთმა გაგიმრავლოს, — დალოცა ერეკლე.

მათ მელე სახლთუხუცესი გივი ჩოლოყაშვილი შემოუერთდათ. თეიმურაზი მხიარული კილოთი განაგრძობდა:

— ეს კიდევ, შვილო... ზედაზენზე ვიყავით და კლდიდან დავაგორე: შენი გვარი, ძევაძე ზედაზენს მაგონებს და ზვარაკად უნდა შეგწირო-მეთქი.

— ხი-ხი-ხი-ხი — სიამოვნებით ჩაიხითხითა მაჩაბელმა, ღონიერი, თუმცა თითქმის მზედაუკრავი ხელებით ნელა შემომკრა ტაში და ჩაილაპარაკა: — სად ძევაძე და სად ზედაზენი?

გაღიმებული ერეკლე ხან ერთს შეჰყურებდა და ხან — მეორეს. ქანდაკებასავით იდგა ძევაძე. მაღალი მკერდი წინ გამოეზნიქა, მომშვილდული წარბები შუბლზე აეზიდა და განრისხებული თვალები სიგრძისათვის გაეშტერებინა.

ძევაძეც და მაჩაბელიც ერთბაშად შეუყვარდა ერეკლეს. ვაჟკაცურის გარდა, მათში რაღაცა უბრალო და ბავშვური შენიშნა. უცნაურად შეეხარბა მათი ერთად გატარებული დღეები, ზედაზენიდან დაგორებაც და ლეკებთან შეხვედრაც. მაჩაბელი თურმე ხარხარით შეგებებია სიკვდილს და დაუმარცხებია კიდეც. აი, როგორი უნდა იყოს ნამდვილი მეომარი! მერე გივი ჩოლოყაშვილის ნათქვამი გაახსენდა: ომში ისე უნდა შედიოდე, თითქოს თამაშადო.

— თქვენი პირმშოს ქება-დიდება ქართლამდე მოაღწია, მეფევ ბატონო, — დარბაისლური კილოთი დაიწყო მაჩაბელმა, — ამბობენ, შიში არ იცისო.

— მართალი უბრძანებიათ, თავადო, — გაიხარა გივი ჩოლოყაშვილმა.

ხასიათი წაუხდა ერეკლეს, უკვე შეაბეზრეს თავი ამდენი ქებით და ზედმეტად მოეჩვენა სახლთუხუცესის ნათქვამი. განა ისეთი რა ჩაიდინა?! აი, მაჩაბელი! შეიარაღებულ მტრების ალყაში მოქცეულა და არ დაბნეულა. დაბნეულა კი არა, შიში არ უგრძვნია. თავს კი ისე იჭერს, ვითომც არაფერი მომხდარაო.

— შიში თუ იგრძენით, ბატონო... როცა ყაჩაღებმა მიწაზე ფეხმორთხმულნი მოგიმწყვდიათ? — შეეკითხა ერეკლე შემკრთალი ხმით.

— შიში, ბატონიშვილო, მერელა იღვიძებს, განსაცდელი რომ გაივლის. ოღონდ არასდროს არ უნდა აჰყვე. შიშს დიდი თვალები აქვს, და თუ ჯიქურ შემოგხედა, სატევარს ხელიდან გაგაშვებინებს. განსაცდელის ჟამს გული კლდესავით უნდა გაიმაგრო, ასე არაა? — მაჩაბელმა ძევაძეს გადახედა. მან თავის დაქნევით დაუდასტურა.

— აქეთ მოიწიეთ და მიამბეთ, რა ხდება ქართლში? — ღიმილი წაეშალა თეიმურაზს. გივიც და ერეკლეც სმენად გადაიქცნენ.

ძევაძემ და მაჩაბელმა ერთმანეთს შეხედეს. საუბრის დაწყება ორივეს ეძნელებოდა. რაკი დუმილი კარგახანს გაგრძელდა, ისევ ძევაძემ გაბედა ენის მობრუნება:

— რა მოგახსენოთ, მეფევ ბატონო, რაც ვახტანგ მეფე ქართლით წავიდა, ძაღლი პატრონს ვეღარ იცნობს. ურუმის თარეშმა დაანგრია ქვეყანა და ახლა ამბობენ, ყიზილბაში მოდისო. დამდუღრულ კაცს რომ ცხელი წყალი გადაასხა, ესე გამოგვივა. ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი აკლდა და ისიც შეუკეთესო.

— შენ უცხო თესლზე ლაპარაკობ, ჩემო ძევაძე, და შიდა ორგულობა გავიწყდება, — ჩამოართვა მაჩაბელმა, — ძმა ძმის სისხლს ძირს არ უშვებს და მამა შვილს არ ინდობს.

— შვილი მამას?

— თუნდაც ეგ იყოს... რაც დიდმა ბატონმა ქართლი დატოვა, კაცი კაცს გულს აღარ უჩვენებს... ამბობდნენ, ვახტანგ მეფე რუსის ჯარით უნდა მობრუნებულიყოო. ნეტავ ეგ სანატრელი აგვხდენოდა. ეეხ! — მერე ქერა წვერი მოისრისა და მოწკურულ თვალთა ისარი ციხის გალავანისაკენ მიმართა.

— შანშე ერისთავის უცხვირპირობა მოგეხსენებათ, — საუბრის გაგრძელება იტვირთა ძევაძემ, — აკი კახეთსაც გამოესია, მაგრამ ისევ კუდამოძუებული დაგვიბრუნდა.

— ჰე! — გამოცოცხლდა თეიმურაზი, — რაც მაგათ შიში ვაჭამეთ, სიკვდილამდე არ დაავიწყდებათ. ის თქვენი ნაქები უსუფფაშა სწორედ რომ კისრის ტეხით გავაქციეთ, რაო, რა მინდაო შანშემ?

— ვერ გამიგია, ეგ წყეული ურუმს ებრძვის, ქართველს თუ ყიზილბაშს. თან ყველას უმტკიცებს, საქართველოზე გადამკვდარი ვარო, თან კიდევ ქართველობაზე ხელი აუღია. ერცხვინება კიდეც, რომ ქართველია.

— ეგ როგორ?

— ესე უთქვამს, რომაო, ჩერქეზები ვართო. ჩვენი წინაპარი ჩერქეზთ ბატონი მოსულა ქსანზეო. ქსნისხეველებს ძალიან მოსწონებიათ და გამორჩევით შეხვეწნიან, ბატონად დაგვიდექიო. იმასაც შებრალებია საცოდავი ქართველები და უარი ვეღარ უთქვამსო. მისი შთა-

მომავალის ბატონობა აგრე გაგრძელებულაო, ვიდრე იუსტინე კეისრამდე. მერმე იუსტინე კეისარს როსტომისათვის დაუმტკიცებია ერისთაობაო, თავად უკურთხებია მისი ხმალი და ბაირაღიც უბოძებიაო. მატიანე და მთაწმინდის გუჯარი აცხადებსო ამას.

— მერმე?

— მერმე ჩვენი სახლის შვილნი — ელიზბარ და შალვა შაჰ-აბასმა აწამა ქრისტესა და საქართველოსათვის და ას წმინდანთა შორის ჩარიცხულანო.

— ეგ მართალია. მაგრამ მაგ ცოდვილს რა ხელი აქვს იმ წმინდანებთან.

— ის ხელი მაქვსო, რომაო, რაც საქართველო არსებობს, ჩვენი შთამომავლობა უცვლელად ერისთავობსო. ვერცვინ შესცვლისო. დასაბამიდან აქამდე სამოცდაცამეტი ერისთავი ყოფილა და მე ვინ რას გამიბედავსო.

— ალბათ სამასსამოცდახამი უნდა ეთქვა, დიდო ბატონო. რამდენიც წმინდა გიორგია, სწორედ იმდენი, — შენიშნა გივი ჩოლოყაშვილმა და მოშუშებულ ჭრილობას მოეფერა თითებით ახალუხის გარედან.

— ყველა ერისთავი წმინდანი ყოფილა, მაგრამ შანშემ ყველას გადააჭარბა თავისი სიწმინდით, — მწარე ღიმილით ჩაილაპარაკა თეიმურაზმა, — კიდევ რა მინდაო?

— არაგვის ერისთავს წაეკიდა...

— არც არაგვის ერისთავები არიან მამა აბრამის ბატკნები!

— მაგას ვინ მოგახსენებთ, დიდო ბატონო. რაც მაგათ ურთიერთს გაუკეთეს, ღმერთიელი არ იკადრებდა. სისხლით ნათესავები არიან ეგ ოჯახქორები, მაგრამ ურუმი და ყიზილბაში არ იკისრებს, რაც მაგათ ქნეს.

— მხოლოდ ყურმოკვრით ვიცი. დალაგებით მიამბე, რა მოხდა. — მარჯვენა მუჭით სქელი წვერი ჩაბღუჯა თეიმურაზმა და გულითადი მოსმენის ნიშნად ძევაძისაკენ გადაიხარა.

— მაგათსას ვერავინ გაიგებს. თავთავად მომჩივარი ორნივ მართალი ეგონათო. რომელსაც გნებავთ, მოუსმინოთ, ღვთისნიერი გეგონებათ, მაგრამ ორთავემ ულვთო და ჭერუნახავი საქმე ჩაიდინა.

— მაინც როგორი?

— არაგვის ერისთავს შანშეს საქონელი დაუჭერია თავის მამულში, გააფთრებულ ქსნის ერისთავს კი იმათი სახლის ქალები დაუტყვევებია, წაუყვანია და... დამცირების ნიშნადა მათი საწმერთულები კოშკიდან გადმოუფენია.

— აბა, მაშ, ურჯულონი ყოფილან ეგ კომლობადავსილნი! — წამოენთო თეიმურაზი.

— ალავერდის ეპისკოპოსი გეახლათ, ბატონო! — მსახური გამოჩნდა ხეივანში.

ეროვნული

— სთხოვეთ, მობრძანდეს! — წარმოთქვა თეიმურაზმა.

ეპისკოპოსის გამოჩენისთანავე ყველანი ფეხზე წამოდგნენ.

— აქა მშვიდობა და სიხარული, შვილნო ჩემნო! — წელში მოიდრიკა ახოვანი მოხუცი.

— მშვიდობა ნუ მოაკლოს თქვენს მრევლსა და საქართველოს! — მერე თეიმურაზმა, ძევაძემა და მაჩაბელმაც დაუკოცნეს ხელი ეპისკოპოსს. და როცა ერეკლე მიუახლოვდა, ნიკოლოზი წელში გასწორდა და ყველას გასაგონად განაცხადა:

— მერწმუნეთ, შვილნო, საქართველოს მხსნელი ეს ყმაწვილია.

ერეკლე გაწითლდა. ცალ მუხლზე დაიჩოქა და ანაფორის კალთაზე ემთხვია ნიკოლოზს.

— ადექი, შვილო!... დაე, მისმინოს უფალმა და გყოს ისეთ მეფედ, რომელსაც მარტოოდენ ქრისტეს ხატთან მოუხდება დაჩოქება.

— გმადლობთ, მამაო! — ერეკლეს ნაცვლად მადლობა მოუხადა თეიმურაზმა: — მალამოდ ექმნეს ჩვენს ტანჯულ საქართველოს თქვენი ლოცვა-კურთხევა. ერეკლე განზე გადგა.

— გვითხარი, მამაო, რა არის ახალი? — ჰკითხა თეიმურაზმა მცირეოდენი დუმილის შემდეგ.

ნიკოლოზმა ღრმადდაფიქრებული სახე მოიღო და მკაფიო ხმით დაიწყო:

— თამაზ ხანს სერასკირი დაუმარცხებია, ურუმთა დაჭერილი ციხეები გაუღია და თბილისის ფაშასთვის შემოუთვლია, მანდ მოვდივარ და გამეცალეო.

ხეივანში თამარი გამოჩნდა. ნიკოლოზი ახალგაზრდული სიმკვირცხლით წამოდგა, დედოფალს მიეგება და შუბლზე ეამბორა.

— დიახ, ეგეც უნდა მოგვეხსენებინა, მეფევ ბატონო, — სიტყვის დაგვიანება საბოდიშოდ გაუხდა ძევაძეს.

— მაშ თამაზ ხანი თბილისზე მოდის? — ღიმილით იკითხა თეიმურაზმა თამარის გასაგონად.

ერეკლემ შუბლი შეიკრა. ჩანდა, ვერ გაეგო, რად უხაროდა თეიმურაზს სპარსთა შემოსვლა. აქამდე ყოველთვის ერთსა და იმავეს აცხადებდა: მტერი მტერიაო, კარგი მტერი და უხეირო მტერი ღმერთს არ განუსხვავებიაო, ერთი თუ ვაის გაძახებინებს, მეორე ვუის დაგმართებსო და დღეს კი ღიმილით ახსენებს სპარსთა შემოსვლას.

— თამაზ ხანი თბილისზე მოდის? — იკითხა თამარმა და თეიმურაზს მიუახლოვდა.

— ასე ამბობენ, დედოფალო, — დამნაშავესავით უპასუხა ნიკოლოზმა და ისევ თავის ადგილზე ჩამოჯდა: — თბილისის ფაშასათვის შემოუთვლია, გამეცალეო. ვიცი, ფაშა გაჯიუტდება და ომი დაიწყება. აქეთ ესენი, იქით ისინი და გაანადგურებენ ყველაფერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ მივცემთ ნებას! — წამოხტა უფლისწული.

— აი, ვისი იმედი აქვს ქვეყანას. შევკრიბოთ ჯარი, წინ წარვუმძღვაროთ და ღვთის ლოცვაკურთხევით ეგების გავიმარჯვოთ!

— არა, მამაო, სპარსელებსა და ოსმალებთან მამაჩემმა ვერაფერი გააწყო და ამ ბალღმა რა უნდა გააკეთოს?! იმ პირაშკმული ვეშაპების ხახაში ჩასავლებათ არ გავიმეტებ ჩემს ერთადერთას, — ამოიოხრა დედოფალმა და ნატიფი თითებით მხარზე შეეხო პატარა კახს.

— ბალღი აღარა ვარ! — ჯიუტად შეატოკა მხრები ერეკლემ, რათა საალერსოდ შეხებული დედის თითები იქამდე მოეშორებინა, სანამ ეს ალერსი გულამდე ჩააღწევდა და მართლა ბალღივით მოალბობდა.

— ნუ ფიცხობ, შვილო! გარდა გულოვნობისა და შეუპოვრობისა, მოხერხება და მოქნილობაც საჭიროა. ზოგჯერ თუ ხმლით გაიტანთ ლელოს, ზოგჯერ სიტყვასა და დათმობასაც თავისი ადგილი აქვს.

— მოუსმინე, შვილო, ჭკვიანურ სიტყვას ამბობს დედაშენი, — ურჩია თეიმურაზმა. — გვირჩიე, დედოფალო!

— თამაზ ხანის შემოსვლამ არ უნდა შეგვაშინოს, მთავარია, ჩვენც დავეხმარნეთ და ოსმალონი გავრეკოთ თბილისიდან. ერთ მტერს მეორე მტრის ხელით მოვიშორებთ. იმ მეორე მტერს კი, რაკი მეოხებას გავუწევთ და მხარს ავუბამთ, მოყვრად ვექცევით და შესაძლებელია, მამაჩემის სამკვიდროც დაგვიბრუნოს. ხარკს თუ შეგვაწერს, ამასაც ავიტანთ. რას იტყვით მამაო?

— მამათქვენის შვილს ჭკუას ვერავინ ასწავლის, შვილო! ვახტანგ მეფე ბრძენი იყო და ქვეყნის მომავალი მან ყველაზე უკეთ განჭვრიტა. მან ყველაზე კარგად იცოდა, რომ ფოცხვერის კლანჭებისაგან და ბაბრის ჭანგებისაგან საქართველო ძლიერმა მეგობარმა უნდა იხსნას. ეს ძლიერი და ქრისტეს მორწმუნე მეგობარი — დიდი რუსეთია და ჩვენი გზაც იქით მიდის...

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა. მერე თეიმურაზმა თქვა: — ეხ, რა მწარე ხვედრი ერგო ვახტანგ მეფეს.

— ეგ აზრი მე უფრო მომეტებულად მტანჯავს, ბატონო! — მაშინვე შეაგება თამარმა, — მაგრამ რა უნდა ექნა; ჩემმა გადარეულმა მაზლმა ისეთი ხრიკები დაატრიალა, თვით მამაზეციერსაც კი წაახდენდა ის შეჩვენებული. მამამ კი მაინც არ დათმო ერთხელ არჩეული გზა მას სწამდა. რომ რუსეთის გარდა არც ერთი ქვეყანა არ მოიძებნება, რომელიც მეგობრობას გაგვიწევს. გაივლის წლები და ჩვენი შთამომავალნიც რუსეთს მიმართავენ სამეგობროდ

— ჭეშმარიტი ბრძანებაა, შვილო! — დაუდასტურა ნიკოლოზმა, — ყოველივეს გონიერი თვალით უნდა შეხედოს ძეხორციელმა.

— ჯერჯერობით კი, ბატონებო, მდგომარეობა იძულებულს მყოფს, საერთო ენა გამოვნახო თამაზ ხანთან. ახლა ძალა მის ხელთ არის...

— დიახ, მეფეო! — დაეთანხმა თამარი, — თუ გონივრულად მოვიქცევით, ამ ძალას ჩვენდა სასარგებლოდ წარვმართავთ.

ღრმადდაფიქრებულ ერეკლეს თვალი ერთ წერტილზე შეეჩერებინა და გაყუჩებულიყო.

## პირისპირ

ერეკლე ბატონიშვილის ამალა თებერვლის ბოლოს გაემგზავრა ირანისაკენ. ამალაში, ერთგულ ქართველთა გარდა, სპარსნიც ერივნენ. მას შემდეგ, რაც სპარსელები საქართველოში შემოვიდნენ, ერეკლე გულმოდგინედ სწავლობდა მათ ენას. ახლაც, ისპაჰანის ამ დაუსრულებელ გზებზე, მსახურებთან სპარსულ ენაზე საუბრობდა და ამასობაში ისე გაიწაფა, თარჯიმანი აღარ ამტკიცებდა, უკეთესად სწავლა აღარ შეიძლებაო.

თებერვლის ბოლოდანვე ნზიანი ამინდი დაიჭირა და, სანამ მაშათს ჩააღწევდნენ, პატარა კახი ისე გაიხუხა, ქართული ცხვირითა და ფართო თვალებითღა გაირჩეოდა სპარსელებისაგან.

მაშათს ჩასვლისთანავე ერეკლე და მისი და, ქეთევანი ნადირ-შაჰს წარუდგინეს დროებით კარავში. კარავს თვით ნადირ-შაჰი უწოდებდა, თორემ, სინამდვილეში მოვერცხლილ სვეტებზე დაყრდნობილი მოძრავი სასახლე იყო, რომელიც რამდენიმე დარბაზისაგან შედგებოდა. როცა ადგილიდან ადგილზე გადადიოდნენ. კარვის ძვირფასი ქსოვილი იკეცებოდა, სვეტებიც საზიდრებზე თავსდებოდა და ისე გადაჰქონდათ.

ოქრომკედით მოქარგულ ბალიშებზე ფეხმორთხმით იჯდა ნადირ-შაჰი, თვალები ერთი წერტილისთვის გაეშტერებინა და ქანდაკებად ქცეულიყო. როცა ერეკლემ მხნე ნაბიჯით გაიარა გრძელი დარბაზი და თავაზიანად დაუკრა თავი, მაშინღა გამოფხიზლდა მბრძანებელი. უკანჩამორჩენილმა ქეთევანმა ბოლომდე მისვლა ველარ გაბედა და კარვის კედელთან აიტუზა.

ჭაბუკი უფლისწული პირველი დანახვისთანავე მოეწონა ირანის მბრძანებელს და უნებურად ფეხზე წამოდგა. ერეკლეს თვალწინ პირხმელი, მაღალი და ფართო ბეჭებში ოდნავმოხრილი ჩვეულებრივი მუსლიმანი აღიმართა. ასეთები მრავლად ხვდებოდნენ იმ გულისგამაწყალებელი მგზავრობის დროს, ოღონდ რაც მათ სახეს ძალიან აკლდა, ნადირ-შაჰისას ჭარბად გაჩნდა: შეფერებული სიამაყე, ძლევამოსილება და თავდაჯერება. მისმა ძლიერმა გამოხედვამ კი ერთბაშად შეაკრთო ერეკლე და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადრე ნათქვამი მამის სიტყვები გაახსენა: „არ მინდა, თამაზ ხანს თვალებში შევხედოო“, იქნებ სჯობია, თავჩაღუნული იდგეს იქამდე, ვიდრე შაჰი ხელს მოჰკიდებს და თავისკენ არ შეაბრუნებს? მის ყოველ შეკითხვას კი თანხმობით უპასუხოს, თავი მოილაჩროს და ძაბუნად ეჩვენოს?! მაშინ ხომ სულაც არაფრად ჩასთვლის ქართველ უფლისწულს და ისევ თავის ქვეყანაში გაისტუმრებს. არა, არ ივარგებს! სჯობია, ძალღონე მოიკრიბოს და ისევე თამამად შეხედოს მასაც, ისევე როგორც ვახნაძეს, მაყაშვილსა და თუნდაც თამაზ ენდრონიკაშვილს.

— მომიახლოვდი, გურჯო ბატონიშვილო! — ბრძანა ნადირ-შაჰმა და ერეკლემ იგრძნო, რომ თვალისდაუხამხამებლად მისჩერებოდა. ელოდა, როდის ამოხედავსო.

ერეკლემ ოქრომკედით ნაქარგი, იქვე მიყრილი ყურთბალიშებისაკენ გაიხედა გულარხეინად და ორიოდე ნაბიჯით წაიწია. მერე ბალიშებს მზერა მოსწყვიტა და ნადირ-შაჰის ძვირფასი მოსასხამის გულისპირს შეავლო თვალი. შუბლში შეხედოს? არა, ქვემოდან ზემოთ არ შეხედავს ამაყ მბრძანებელს.

— რამდენი წლისა ხარ? — მოულოდნელი იყო ერეკლესთვის ასეთი შეკითხვა.

— ჩვიდმეტისა შევსრულდი.— დაამშვიდა ერეკლე აშვარმა შეკითხვამ.

— შენგან კარგი მეომარი გაეზრდება ალაჰს და მაჰმადის რჯულსაც მიიღებ...

ერეკლე შეკრთა. გულში ისეთი ტკივილი შეიგრძნო, თითქოს უეცრად დანის წვერი უჩხვლიტესო. უნებურად ორი მოკლე ნაბიჯი გადგა უკან და ნადირ-შაჰს გამჭოლავი მზერა შეაგება. უცებ სიფიცხე დაიოკა, ძალა მოიცა და აუღელვებლად დამარცვლით უპასუხა:

— რჯულს არ შევიცვლი!

— სიცოცხლეს წააგებ! — შესძახა ნადირ-შაჰმა.

— ვაი, დედა! — უმწეოდ დაიძახა ქეთევანმა და ამან უფრო გააცეცხლა ერეკლეს გული. მიხვდა, რომ ყოველივე ცხადში ხდებოდა და გადაჭრით მიახალა შაჰს:

— ჩემი სიცოცხლე თქვენს ხელთ არის, მაგრამ რწმენას ვერასოდეს შემაცვლევინებთ!

უეცრად მოლბა ნადირ-შაჰი, თვალები კეთილი ღიმილით დაიმშვენა და დინჯად მიუახლოვდა და-ძმას:

— გეხუმრე, შვილო... გამოგცადე. ალაჰს ვინც რა რჯულისად გაუჩენია, იმადვე დარჩება. ამ გულადობისთვის დღეიდანვე ჩემს ამალაში ჩაგრიცხავ, შენს ლამაზ დაიკოს კი ჩემს ძმისშვილთან დავწინდავ. ამით სამუდამოდ დამოყვრდებით ირანის ტახტთან, — ნადირ-შაჰმა გამხდარი, მოყვითალო თითით ნიკაპი აუწია მეფის ასულს და შეეცადა, თავისკენ მიეხედებინა. ქეთევანმა ურჩად გააქნია პატარა თავი და ტირილი დაიწყო, [illegible] იყუჩე, შვილო, თუ ბედმა წყალობის თვალით გადმოგხედა, შესაძლებელია, სპარსეთის დედოფლობა გარგუნოს წილად, —მერე მაღლა აწეული ხელებით ტაში შემოჰკრა და როგორც კი ღია კარში მსახური დაინახა, წაიყვანე საქალებოშიო, ქეთევანზე უბრძანა. ბოლოს ისევ ერეკლეს მიუბრუნდა და მშვიდი ხმით მიმართა: — შენც დაისვენე და ხვალ დილით მოგიხმობ. მანამდე, ალბათ, მამასთან შეგახვედრებენ.

— მამაჩემს ხომ გაუშვებთ საქართველოში? — ჰკითხა ერეკლემ და წელანდელი დაგუბებული ბოღმა ჩაყლაპა.

წამით ჩაქრა ღიმილი ნადირ-შაჰის თვალებში, მაგრამ უმალვე აკიაფდა:

— იყოს ნება შენი... რაკიღა ასე გსურს, უმჰველად გავუშვებ.

* * *

როგორც კი თეიმურაზმა შვილების ჩასვლა შეიტყო, თავისი ამალით ყანდაარიდან მაშათს გაემგზავრა. ისე მოსწყურდა შვილების ნახვა და საქართველოს ამბების გაგება, თანამგზავრებთან საუბარს გულს ველარ უდებდა. შორეული ყანდაარის მთა-გორებს თითქოს კახეთის გაზაფხულის სურნელი მისცემოდა. ის ცა, ბილიკი, ხევი — ყველაფერი თითქოს უკვე ქართული იყო, რადგან იქვე, ორიოდე ეჯის გადაღმა ულამაზესი მისი ასული და უმამაცესი მისი ძე სუნთქავდნენ. აქ სად ჩამოიყვანა, სად? უჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა და არც სურს, იფიქროს, ოღონდაც ერთხელ კიდევ დაინახოს თავისი პირმშო, თავისი უმრწემესი ასული და ჯანდაბას ყველაფერი! ეშმაკსაც წაუღია მთელი ირანი! სულაც გადაშენებულა მისი მზის ქვეშეთი!

გზადაგზა ავლანი ცხენოსნები ხვდებოდნენ, შიშველ-ტიტველნი და გაზაფხულის მზით გარუჯულნი. მხოლოდ ტანს ქვემოთ ემოსათ მცირე რამ საფარველი, რომლის ქვემოთაც გაყვითლებული ბარძაყები მოუჩანდათ... სპარსთა მინბაშები და იუზბაშები შორიდანვე სცნობდნენ თეიმურაზის მდიდრულ ჩაცმულობას და მოწიწებით ესალმებოდნენ. თეიმურაზი ზოგს თუ პასუხობდა, ზოგის მისალმებას შეუმჩნევლად ტოვებდა და ცხენს აჩქარებდა.

ნადირ-შაჰის კარავთან ალაბაშები ტრიალებდნენ. კარვის გარშემო და მთავარ შესასვლელთან ასახები და ნადირ-შაჰის ერთგული ჯარისკაცები ჩამწკრივებულიყვნენ.

ერთმა ალაბაშმა შორიდანვე იცნო გურჯი ბატონი და ახასი შეაგება. ახასმა თაყვანი სცა თეიმურაზს და კარვისკენ წარუძღვა, სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაც ერეკლეს ადგილსამყოფელი იყო.

ასახმა გუშაგს რაღაც აუწყა, გუშაგმა ორივე ხელი გულზე მიიდო, მერე განზე გაშალა და უსიტყვოდ ანიშნა, თქვენთვის ღიაარ კარავი.

თეიმურაზი დაქვეითდა, ცხენის სადავე მეუზანგეს მიუგდო, სამოსი შეისწორა, მკერდზე დაფენილი სქელი წვერი ფაქიზად ჩამოიწმინდა და ამაყად გაემართა კარვისკენ. შესასვლელთან ფარეში შეეგება, მიესალმა და ერეკლეს ოთახისკენ წარუძღვა ქედმოდრეკილი. ჯერ თვითონ შეიჭყიტა და ჩურჩულით მიუბრუნდა გურჯ-ბატონს:

—ხძინავს, ბატონო!

— არ გაალვიძო! — დაიჩურჩულა თეიმურაზმა, მაგრამ ერეკლეს სმენას მაინც მისწვდა მამის ჩურჩული და მაშინვე გამოფხიზლდა:

— შენა ხარ, მამი?!

თეიმურაზმა ველარ მოითმინა, კარავში შევარდა, ტახტზე წამომჯდარ ახლადგაღვიძებულ ერეკლეს გადაეხვია და მაშინვე იგრძნო, რომ ისეთივე ლბილი და ბავშური სახე აღარ ჰქონდა მის შვილს, როგორც წამოსვლისას დაამახსოვრდა. ხელი გაუშვა, განზე გაიწია და იხე შეხედა.

გაშავებული და ოდნავ გაყვითლებული ეჩვენა ერეკლე. ულვაში უკვე გვარიანად დასტყობოდა და ნიკაპზეც ქორფა წვერი აბიბინებოდა.

გამხდარი ეჩვენა ერეკლეს თავისი მამა, უპეებთან ნაოჭი მომრავლებოდა, შუბლისა და კისრის ლარებიც გაღრმავებოდა.

თეიმურაზი ტახტზე დაფენილ ხალიჩაზე ჩამოჯდა, იქაურობა უხალისოდ მოათვალიერა, თავი მძიმედ გადააქნია და შვილს ისევ თვალებში ჩახედა. ერეკლე მიუხვდა: ქეთევანი იკითხა თეიმურაზმა.

— გუშინვე ჩამომაშორეს. ამბობენ, საქორწილოდ ამზადებენო, — უპასუხა ერეკლემ. მერე ისევ მამას შეხედა თვალებში და საოცარი დაღლილობა ამოიკითხა.

— გივი ხად არის? — მცირეოდენი დუმილის შემდეგ ჰკითხა ერეკლემ.

— ყველანი აქ არიან. ალბათ, მალე გნახავენ, მაგრამ...

— რა მაგრამ?

— მეშინია, შვილო. ძალიან მეშინია. — წამოსცდა თეიმურაზს და მაშინვე ინანა.

— რისი გეშინია, ზაფხულამდე საქართველოში ჩაალწევ.

— ვინ გითხრა? — ამოიოხრა თეიმურაზმა და თვალი აარიდა.

— ხელმწიფემ ბრძანა.

— კარგი ნუგეშია... გველეშაპს თავი დავალწიოთ და შვილები ჩავუტოვო გაუმაძღარ ხახაში. ეს რა სიცოცხლეა?

— მეფედ გაგამწესებს.

— არც ეგ არის დიდი მათა რამ. თუ მცირეოდენს ვაწყენინებდი, ალი მირზას განამწესებდა. და თუ ალი მირზამ დიდად ასიამოვნა, ჯარით შემომესევა ხვალვე ტახტის წასართმევად.

— მაგით რისი თქმა გინდა?

— სპარსეთის მბრძანებელს მარტო ხალათების ბოძება კი არა, ხმლის წალმა-უკულმა ქნევაც ემარჯვება. მირჩევნია, აქვე დავრჩე.

—არ შეიძლება. ქვეყანა უპატრონოდ არის.

თეიმურაზმა მუხლებზე უმწეოდ დაირტყა ხელები და იქაურობა უნუგეშოდ მოათვალიერა. კარვის კედელზე მიმაგრებული მიჰვრიტანის გარდა, პატარა ტაბლა და ასევე ლაბალი, ჭრელი საწიგნე შენიშნა, რომელზეც მოოქვრილი წიგნი იდო. თეიმურაზი მიხვდა, რომ ყურანი იქნებოდა. წამოდგომა და ხელში აღება მოესურვა, მაგრამ თავი დაიჰირა, — დედა როგორ არის?

— ბევრი იტირა, მაგრამ გაუძლო.

— სულმნათი თამარის სისხლი უდგას დედაშენს... შენც იმას გამსგავსებ.

— მაშათს ვინც შემხვდა შენი ნაცნობი, ყველამ ასე მითხრა, პირწავარდნილი მამა ხარო.

— მართალი უთქვამთ. სწორედ ასეთი ახალგაზრდობა მქონდა. ხასიათის სიმტკიცე კი დედისაგან გამოგყვა. თუმცა სულკურთხეული პაპაჩემიც...

ერეკლემ იფიქრა, პაპა თეიმურაზზე გააგრძელებს მუსაიფსო და სხვა სადინარი მისცა საუბარს:

— მაინც როგორი კაცი უყვარს ნადირშაჰს?

— მამაცი... მაგრამ უჩვეულო თავდაჭერა და სიფრთხილე გმართებს... ბევრს თვითონ მიხვდები და ბევრსაც სხვისგან ისწავლი. თუ ღმერთმა ინება, ვინ იცის, როგორ წარიმართოს მომავალი. ადგილის კურდღელს ადგილის მწევარი დაიჭერსო. მტრის შურიანობა ხშირად უფრო მეტს გვასწავლის, ვიდრე — მეგობრის ქება-დიდება.

— ნუ იდარდებ, მამი! შევეცდები, ცოცხალი დავბრუნდე, თუ არადა, არც მაგით გაიტეხო გული...

თეიმურაზმა შეუბღვირა, მაგრამ ჩქერა მალე მოსწყვიტა.

კარავში ფარეშმა შემოიხედა: მბრძანებელი უფლისწულს იწვევსო.

— ფრთხილად იყავი, შვილო!.. — თან ეწყინა და თან გაუხარდა თეიმურაზს — ათი რომ სათქმელი გქონდეს, ერთი უთხარი. თუ არ შეგეკითხა, დუმილი ამჯობინე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქიზიყში

ერეკლეს გამგზავრების მეორე კვირაში თამაზ ენდრონიკაშვილმა თათბირი გამართა თავის სასახლეში. სიტყვა კახეთის გადარჩენაზე ჩამოაგდო.

— კახეთს იმდენი ონსილა აღარ გააჩნია,— თვალები აახამხამა ენდრონიკაშვილმა, — ლეკთაც მისცეს გადასახადი და ოსმალო-ყიზილბაშსაც, მეფესაც და ბატონსაც. გლეხს მარტო ორი გადასახადის გამოღება შეუძლია: სამეფოსი და საბატონოსი, მაგრამ, რაკი მეფე აღარა გვყავს, ისევე ორი გადასახადი უნდა დავაკისროთ: საბატონო და სალეკო ანუ საყიზილბაშო...

— თეიმურაზი რომ ისევ დაბრუნდეს? — დამჭკნარი ყვრიმალები მოისრისა მოხუცმა ჯანდიერმა და მინავლული თვალებით ჩააშტერდა ენდრონიკაშვილის მწითურ, ეშმაკურად მოჭუტულ თვალებს.

— თეიმურაზს თავისი ყმა და მამული გააჩნია და იმას მოუაროს. როგორც ჩვენ განვაგებთ საკუთარ ადგილ-მამულს, ისევე მისმა სახლეულობამ იღონოს. ლეკნი დასაბამით უმეფოდ არიან, მაგრამ ღვთის შეწევნით ჩვენზე უკეთ გრძნობენ თავსა და სხვებსაც ჩაგრავენ.

— უბატონო თემები ჰქონიათ მაგ რჯულძაღლებს! — თქვა მანავის მოურავმა ივანე ჩერქეზიშვილმა.

— გაღმა მხარის უბატონო თემები ჩვენი გახლავს, ივანე ბატონო, და ეგენი ჩემულობენ. — უთხრა ჩერქეზიშვილს მოხუცმა ჯანდიერმა, — ამ ათიოდე წლის წინათ სულძაღლმა ისაყ ფაშამ ლეკთა წინააღმდეგ რომ ვერა გააწყო რა, გაღმა მხარი უფეშქაშა ისემესავით...

— იქნებ ისაყ ფაშა ჰკვიანურადაც მოიქცა, დიდო თავადო, და ჩვენ ვერ ვაფასებთ?! — ორაზროვნად გაეღიმა ენდრონიკაშვილს, — დაე, ლეკებმა იბატონონ გაღმა მხარეში და დიდი ალაზანი იყოს ჩვენი საზღვარი. მაშინ ბევრად უფრო ადვილი იქნება ჩვენი ქვეყნის მოვლა-პატრონობა. ალაზნის მარჯვენა მხარეს საყარაულო ციხე-კოშკებს ავაშენებთ და, ბიჭები არიან, ფეხი გადმოადგან ჩვენს მამულში.

— მართალი ბრძანებაა! — მოუწონა ვაჩნაძემ და სიამოვნების ნიშნად სუფთად გაპარსული ლოყა მოისრისა.

— ეგ ხომ ღალატია! — ფეხზე წამოიჭრა ჭიაურის მოურავი ზურაბი, — ჩვენ თუ საქართველო ეგრე ქითმა-ქითმა ვაქციეთ, გაგვიჯდა გვერდებში... ბოლოს თელავსაც შეგვეღავებიან და ჩვენ კიდევ, ალბათ, მანავში გადასახლება მოგვიწევს. — მანავის ხსენებაზე უნებურად ჩერქეზიშვილისაკენ გაიხედა და ჩერქეზიშვილს კი ავად ეწიშნა ეს გამოხედვა:

— ჩემი ციხე-სიმაგრე მეფის სახლობასა და ამალასაც არ ეყოფა, ჭიაურთ მოურავო, და თქვენ სადღა მოძვრებით?!

მის გაწყრომაზე ყველას გაეცინა და თვითონაც თავი ველარ შეიკავა. თუმცა ღიმილი უცებ ჩაიქრო და ისევ მწყრალი იერი მიიღო.

— მეფე აღარა გვყავს, ივანე ბატონო, არა, რით ვერ გაიგე?! — შეაგონა ენდრონიკაშვილმა,— ქართლშიც და კახეთშიც სამეფოები აღარ არის და სათავადოებიღა დაგვრჩა.

— თუკი ესეა, მაშინ მანავის ციხე ჩემი იქნება და ვილას რა ხელი აქვს?! ისეთი გალავანი აქვს შემორტყმული, ბიჭი ხარ, წამართვი!

— სწორედ მაგიტომ გეცილებიან მანავის ციხეს, — ჯერ გაიღიმა ვაჩნაძემ, და რაკი შენიშნა, სხვებიც გახალისდნენ, თავისებურად ხმამაღლა გადაიხარხარა. მისი ხარხარი სხვებსაც გადაედო და დარბაზი ერთბაშად გამოცოცხლდა.

— მე კი გული სხვა რამეს მითქვამს, შვილო, და... — ამოიოხრა ჯანდიერმა.

— რას გითქვამს, თავადო? — ღიმილით მიუბრუნდა ვაჩნაძე.

— იმას მითქვამს, რომ ბატონი თეიმურაზი, ანდა ბატონიშვილი ირაკლი... ეგებ ორივე დაბრუნდეს და ჩვენი გარიგებული საქმე ჩვენვე დაგვრჩება. დაქუცმაცებულ ქვეყანას ვერ მოითმენენ და ტახტისთვის ბრძოლას გააგრძელებენ.

— სწორედაც ტახტისთვის ბრძოლამ მოუღო ბოლო ჩვენს დატანჯულ ქვეყანას. — გულისტკივილით თქვა ენდრონიკაშვილმა, — მარტო დღეს კი არა, დასაბამიდან ესეა და ბოლო უნდა მოეღოს. ჯერ მარტო რაც ჩვენს მამა-პაპას ახსოვს, ეს პირველი თეიმურაზიო, ეს მისი გადაგვარებული ნაზარ-ალი-ხანის, ეს კონსტანტინეო, ეს ისევ მეორე თეიმურაზიო, მისი ძე ირაკლიო და... ქვეყანა ხისხლიდან იცლება... ეს იმამ-ყული-ხანით გაახსენდა მოგვიანებით.

— იმამ ყული ხანი თეიმურაზის ოჯახთან სახსენებელი არ არის! — იწყინა ჭიაურის მოურავმა.

— მეფე მეფეა, ჩემო ზურაბ, —ღმობიერად გაუღიმა ენდრონიკაშვილმა.

— ყველა ერთი არ არი. ზოგს თავისი ხალხი ფეხებზე ჰკიდია, და ზოგი კი ლომის ხახაში შეყოფს თავს ქვეყნის გულისთვის.

— მართალია. — დაემოწმა ჯანდიერი.

— მართალია. მე არ ვამტყუნებ, მაგრამ...— განაგრძო ენდრონიკაშვილმა, — გათათრებული იმამ-ყული მართლაც სახსენებელი არ არის ქრისტიან თეიმურაზთან და იმის ძესთან, მაგრამ რა ყრია ამაში? წაგვართვეს და... ღმერთმა ბრძანოს, ორივენი ცოცხლები გამოუშვას დიდმა ხელმწიფემ და რჯულიც შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნარჩუნოს... იმას კი ამბობენ, ნადირ-შაჰს საჩუქრების გაცემაზე მეტად თვალების დათხრა ემარჯვებაო... მაშინ რაღა ვქნათ თეიმურაზის მომხრეებმა? წყალში გადავცვივდეთ?

— ყველაზე მძიმე საკითხავი ეგ არის, შვილო? — ამოიოხრა ჯანდიერმა, — მაშ, როგორ მოვიქცეთ?

— როგორ მოვიქცეთ და ლეკი უნდა დავიძმობილოთ. გაღმა მხარი მივაგდოთ და ყიზილბაშთა გარეკვაში მოვიხმარიოთ.

—ეგებ ყიზილბაშთა ამტერება საჭირო არც არის, თავადო, — ჩაერია ვაჩნაძე, — ეგებ გონიერი მიდგომით ყველაფერი გავარიგოთ.

— ეგ როგორ? — ინიშნა ენდრონიკაშვილმა.

— მოვთხოვოთ, გააუქმონ კახეთის სამეფო, როგორც ქართლში გააუქმეს და ჩვენ თვითონ დაგვავალონ ყოველივე ჩვენს ადგილ-მამულში. მაშინ ისევე ორ გადასახადს გადაიხდის ჩვენი გლეხი: საბატონოსა და საყიზილბაშოს.

— სალეკოს? — იკითხა ვიღაცამ.

— ლეკი არ მოგვისვენებს, თუ გაღმა მხარი საბოლოოდ არ მივეცით. — გადაჭრით განაცხადა ენდრონიკაშვილმა, — ყიზილბაშთან კავშირი გააბა და ლეკი გადაიმტერო, ეგ არ მოხდება!

— როგორც კი ყიზილბაშთ რამეს ვავნებთ, ერეკლესა და თეიმურაზს თვალებს დათხრიან, — თავი გააქნია ჯანდიერმა.

— მეფე რის მეფეა, თუკი ერისთვის თავს არ გასწირავს?! — თვალები აახამხამა ენდრონიკაშვილმა.

— კარგი, შვილო, დავუშვათ და ორივენი ცოცხლები დაბრუნდნენ, მაშინ რაღა ვქნათ, სათავადოებად რომ ვიქნებით დაქუცმაცებული?

— მანავში წავიდნენ და იქ იბატონონ.

— ერთი მუჭა მანავი რომელ ერთს ეყოფა? — იწყინა ჩერქეზიშვილმა.

— ფრთხილად, მანავის მოურავო!... ერეკლე თუ ცოცხალი დაბრუნდა, შენს სამოურავოს შენს ბიძაშვილ ასლან ჩერქეზიშვილს უწყალობებს, რაკილა სპარსეთში გაჰყვა და ერთგულება დაუმტკიცა, — გააფრთხილა ენდრონიკაშვილმა.

— შენ გეშინოდეს, თამაზ ბატონო, შენი ძმა დაბრუნდება და ყველაფერს წაგართმევს. რა გულს მიხეთქავ?! მე იმას ვამბობ, მარტო მანავი არ ეყოფათ-მეთქი.

— ხაბანი როგორც გაგწვდება, ფეხიც ისე უნდა გაშალო. თეიმურაზს სხვაგანაც გააჩნია მამულები და აირჩიოს, რომელიც გაუხარდება. მანავს იმიტომ მოგახსენებთ, ციხე და ზღუდე აქვს მიუდგომელი, თორემ... ჯერჯერობით ესე ვიქნებით და... ვინ იცის, შემდგომ დრო რას მოგვიტანს?!

— ნუ ჩქარობთ, შვილო!... დაბრუნდება თეიმურაზი და ყველაფერს გეზს მისცემს.— თქვა ჯანდიერმა.

— მაშ, რა ვილონოთ? გულზე ხელები დავიკრიფოთ? — იწყინა ენდრონიკაშვილმა.

— ბრძოლა, შვილო, თავისუფლებისთვის ბრძოლა გვჭირდება დღესაც და ხვალაც. იოლი ხერხით ფონს ვერ გავალთ. მტერი გარს გვეხვევა და უნდა როგორმე ჩამოვიშოროთ.

— ბრძნული სიტყვაა. — ხმა ამოიღო აქამდე მდუმარმა ახმეტის მოურავმა ჩოლოყაშვილმა, — შემიძლია, ტყეში გავიჭრა, თაფლსაც ვიშოვნი და ხილიც მექნება. ანდა კლდეში შევძვრე კვირიონივით და ჩემი საკმარისი საჭმელი იქ ვიშოვნო, მაგრამ... გარეთ როცა გამოვალ?.. ქვეყანა? ხალხი?

— ხალხი ცხვრის ფარაა, თავადო, — სიტყვა აღარ დაამთავრებინა ვაჩნაძემ, — საითაც გაუქეჩავ, იქით გამოგყვება.

— დიახ, ცხვარია, მაგრამ ხრიოკსა და საძოვარს ცხვარიც კარგად არჩევს ერთურთისაგან. თანაც არც რომელიმე ჩვენთაგანია ნაცადი ვაცი, რომ ფარა მოგვენდოს. ჩვენ თუ გაღმა მხარი ლეკს დავანებეთ, საკუთარ ციხეებში ჩავიკეტენით და მეფის სახლობას კი მანავაზე მივუთითეთ...

— თუ ერის ინტერესი ესე მოითხოვს? — გააწყვეტინა ენდრონიკაშვილმა.

— რომელი ერის ინტერესზე ბრძანებთ? იქნებ მეფე თეიმურაზი და მისი ძე-ასული ერის ინტერესებისათვის არ ეახლნენ ნადირ-შაჰს?

— მართალი ბრძანებაა! — მიეშველა ჯანდიერი, — მეფეც და მისი შვილებიც ერის გადასარჩენად წარემართნენ იმ წყეულ ქვეყანაში. ჩვენც დროს დაველოდოთ. ვნახოთ, რას მოგვიტანს ხვალინდელი დღე. თუ საქმეს უკეთესი პირი არ გამოუჩნდა, მერმე ვიფიქროთ.

დარბაზში მსახურმა შემოიხედა: მაცნე მოვიდაო ბოდბისხევიდან.

— მოითმინოს! —ბრძანა ენდრონიკაშვილმა უდარდელი ღიმილით.

—საჩქარო საქმეა, ბატონო, ლეკნი დაგვცემიან.

ლეკის ხსენებაზე ავი სიჩუმე ჩამოვარდა და ყველანი კარს მიაჩერდნენ, საიდანაც მაცნე უნდა შემოსულიყო.

დარბაზში გამხდარი და ალურწული ბიჭი შემოვიდა.

—გავაზი, შილდა და ენისელი აუოხრებიათ ლეკებს, — გაზეპირებულივით დაიწყო მოსულმა, —და ეხლა ქიზიყისაკენ წამოსულან. იმოდენა ჯარი ჰყავთ, რომ შირაქსაც ჩააბნელებსო.

— რაღა მაშინ გამოქცეულხარ, როცა ყვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაფერი აუოხრებიათ? — შენიშნა ჩოლოყაშვილმა.

— მე როცა მიბრძანეს, მაშინ გამოვიქეცი, ბატონო! ნათქვამია, რომა, როგორც ბატონმა გიბრძანოს, კვიცი ისე დააბიო.

— როგორ მოვიქცეთ? —მაცნეს ნათქვამს ყურადღება აღარ მიაქცია ენდრონიკაშვილმა. — ყველანი აქა ხართ და განსაჯეთ!

— განსჯის დრო აღარ არის, შვილო, ქუდზე კაცს უნდა დავუძახოთ ახლომახლოს. ეგებ დავეწიოთ და ნადავლი წავართვათ. — წამოდგა ჯანდიერი.

— უნდა დავუძახოთ, ბრძენო მოხუცო, მაგრამ ვისი მამულიდან? რა თქმა უნდა, ენდრონიკაშვილისა. ვინ უნდა უბელადოს? ენდრონიკაშვილმა. ვის უნდა მოაკლდეს ყმა და გადასახადი? ენდრონიკაშვილს. აი, რად ვამბობ, გალმა მხარი ჩამოვიშოროთ და ლეკებს მივუგდოთ-მეთქი. ძაღლსაო ძვალი არც ეთმობოდაო და არც ეხვრებოდაო.

### უდაბნოს სევდა

ნადირ-შაჰმა თეიმურაზის ასული ქეთევანი თავის ძმისწულ ალი-ყული-ხანზე დაწინდა კახთ ბატონის იქყოფნაშივე. შემდეგ თეიმურაზი და მისი ამალა საქართველოში გამოისტუმრა და თავად კი მრავალრიცხოვანი ლაშქრით ინდოეთისკენ დაიძრა.

უწყლო, გადახრიოკებულ ტრამალებზე მიდიოდა ნადირ-შაჰის ორასიათასიანი მხედრობა: თურქმანნი და ბახტიარები, ქურთნი და აზერბაიჯანელნი, ქართველნი და სომეხნი, ავღანნი და მთიელთა სხვადასხვა ტომები.

ზანტად მიიზლაზნებოდნენ ერთკუზიანი და ორკუზიანი აქლემები, რომლებზეც მზით გაყვითლებული, წელამდე შიშველი ავღანები და დაუსრულებელი ლაშქრობით გაწამებული სპარსნი შემსხდარიყვნენ. მათ უკან ცხენოსნები მიჰყვებოდნენ, რომელთა შორის ერეკლე ბატონიშვილის რაზმიც ერია. ბოლოს კი ფეხით მოსიარულენი, აუარებელი საზიდარი, ნახირი და ცხვრის ფარები მიჰყვებოდნენ. ხშირად ორი-სამი დღე წყურვილი უხდებოდათ და ცის ნამს ნატრობდნენ. მერე ერთბაშად ჭუჭყიან წყალს წააწყდებოდნენ, წაესეოდნენ მეტყველნიცა და პირუტყვნიც და ორიოდე საათში ითანგებოდნენ. ღამით რომ აუტანელი ყინვა ჰახჰახებდა და დილაადრიან კი ხელ-პირი ეხუსხებოდათ, შუადღის ჟამზე მზით იხრუკებოდნენ და სუნთქვა უჭირდათ ბუღისაგან. მაინც არ დრკებოდნენ ნადირის მეომრები და შაჰჯანაბადის დასალაშქრავად მიიწევდნენ, თუმცა ეს ლაშქრობა არც ერთ მათგანს არ უხაროდა და უძირო სევდა-მწუხარება უმძიმებდათ გულს.

ტყვე ვარ რამდენი დარდისა,
სისხლის ცრემლები დამდისა,
გლოვა ატეხეს ბულბულთა:
ვინ მოსჭრა ტოტი ვარდისა...[1]

გაისმოდა უზომოდ სევდიანი ბაიათი.

რა უნდათ? რა დაჰკარგვიათ შორეულ შაჰჯანაბადში და რისთვის მიდიან? მიდიან თუ მიერეკებიან? — ფიქრობდა ერეკლე ბატონიშვილი და გული უტიროდა.

— ჯიმშერ! — უნდოდა, ეგრძნო, რომ მის გვერდითაც ჩვეულებრივი ადამიანები იმყოფებოდნენ და ისინიც ფიქრობდნენ, — გესმის, ის თათარი რა მწარედ მოსთქვამს?

— მესმის, ბატონიშვილო!

— აი, ბალამ, ბალამ... — კვლავ დაირხა სევდიანი ხმა:

მივდივარ მთის გზას ვადგივარ,
წალკოტს გავუმხელ სატკივარს,
შენი ერთგული ვიქნები,
სანამ ცოცხალი დავდივარ.

— ნეტავ ვის შესტირის ბედკრული მებაიათე? სატრფოს თუ ქვეყანას?

— ჯოჯოხეთში მიმავალ კაცს ორივეზე გული დასწყდება, ბატონიშვილო, არას ვინატრებ, ჩვენი ვენახის საურმეზე გამაგორა ახლა და თუნდა მერე ქაჯებმა წამიღონ.

— აი, ბალამ, ბალამ...

ზღვაო, ვინ გადაგიარა,
ვინ ჩასძირე და ვინ — არა,
საწუთროს ნდომბით მივენდე,
მან უნდოთ მისაწყინარა...

— აი, უსმენ! ჩვენს სათქმელს ამბობს. ჩანს, რაც ჩვენ გვაწუხებს, მაგათაც ეგ აწუხებდათ ოდითგანვე. აბა, მაშ რატომ მღერის ასე სევდიანად?

— თუ ოდითგანვე აწუხებდათ, რატომ ვერაფერი გააწყეს დღემდე?

— ჩვენც ალბათ, ისე გავალთ ამ ქვეყნიდან, ვერას გავაწყობთ... სიცოცხლე მწუხარებაა, ჯიმშერ. ეგ ბაიათები კი ამ დიდი მწუხარების ოდნავი გაქარვებაა.

— ნადირ-შაჰი! — ჩურჩულმა ლაშქარს გადაუარა და სადღაც მიყუჩდა. ყველაფერი გაირინდა და ერთბაშად გაქვავდა.

ცხენოსნებმა განზე გაიწიეს და გზა უტიეს ხელმწიფის ბრწყინვალედ მორთულ ამალას. ნადირ-შაჰი შავ არაბულ ცხენზე იჯდა, რომელსაც მოოქვრილი გულავშარა ეკეთა უზომოდ მაღალ მკერდზე და ოქროთივე მოჭედი-

[1] ბაიათები თარგმნილია ზეზვა მედულაშვილის მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ალვირი ეკეთა. სხვა ცხენებისაგან ოროოდე ნაბიჯით წინ მიდიოდა და თითქოს გრძნობდა კიდეც ვინ მიჰყავდა. სამეფო გვირგვინი კი არა, მეომრის უბრალო ჩაჩი ეხურა ნადირ-შაჰს და ვერცხლისფერი ჯაჭვი ემოსა. ზომიერად შეჭრილი შავი ულვაში ძირს ჩამოშვებოდა და სარქარდარს უფრო მიაგავდა, ვიდრე ქვეყნის მბრძანებელს.

— ვინ მღერის ასეთ მშვენიერ ბაიათებს? — იკითხა ნადირ-შაჰმა.

— აზერბაიჯანელი ჭაბუკია, მბრძანებელო. — უპასუხა ვილაცამ.

— უბრძანეთ, მომიახლოვდეს!..

რამდენიმე წუთში ნადირ-შაჰთან პირტიტველა ლამაზი ჭაბუკი წარადგინეს, რომელიც შეკრთა მეუფის დანახვაზე, სადავე მოზიდა და ცხენიდან ჩამოხტომა დააპირა, მაგრამ ხელმწიფემ ანიშნა, არ გინდაო.

— შენა მღეროდი ესოდენ გულსაკლავ სიმღერებს, ჭაბუკო?

— დიახ, მეუფეო. სიმღერისა არა გამეგება რა, მაგრამ ვღიღინებ ჩემთვის და სევდას ვიქარვებ.

— ჩანს, დიდი სევდა გაწუხებს?

— დიახ, მბრძანებელო.

— წადი, იარე და იმღერე, რაც გსურდეს!

მზემოკიდებულ სახეზე სიამოვნების ღიმილმა გადაუარა ჭაბუკს. ცხენი მიღრიჯა და ისევ ლაშქრის სიღრმისაკენ დააპირა წასვლა, მაგრამ მეფემ ურჩია, აქვე იმღერეო.

ჭაბუკმა ცხენს სადავე მიუშვა და მცირე ხნის შემდეგ სევდიანად წამოიწყო:

ანი ვარ და ბანი ვარ,
დონზე ადრე განი ვარ,
ჯერ არ მინდა სიკვდილი,
ყმაწვილი ვარ, ბრალი ვარ...

— შაითან! — ყრუდ აღმოხდა ნადირ-შაჰს, ხმალი იშიშვლა, მოუქნია და თავი მოჰკვეთა. ჯერ ქუდი გადმოვარდა ცხენიდან და ჭაბუკის ხუჭუჭი თავი შენიშნა ყველამ. მერე თავი ჩამოგორდა. უთავო მხედარი ერთხანს კიდევ იჯდა უნაგირზე. შემდეგ გააკანკალა, გაიზნიქა და პირთავქვე გადმოეკიდა უზანგიდან.

ლაშქარს სიარული არ შეუნელებია.

სითბო და სიცივე ისე მკვეთრად ენაცვლებოდნენ, შიშველი ავლანები ჭილყვავებივით ცვიოდნენ ცხენებიდან. არც კავკასიელებს და თვით სპარსელებს ეყრებოდათ ხეირი. ჯარის უმეტესობას ციება დააწყებინა და ისე მოდუნდნენ, სიკვდილი ერჩიათ ნაბიჯის გადადგმას. ერეკლეს ერთგული მსახური მეველი ქართლელი დაილია და ნახევარკაცს დაემსგავსა. თუმცა თვითონ ამტკიცებდა, ახლა უფრო ჯანზე ვარ, ვიდრე ოდესმეო. შერმაზან აფხაზსაც ციება დააწყებინა. ახლან ჩერქეზიშვილს კი ისე მოერლვა თვალები, გვერდით მიხედვა აღარ შეეძლო, მისი მძიმე სხეული გაუნძრევლად გადაბოტილიყო განიერ უნაგირზე და მისთვის უკვე სულერთი იყო, საითაც უნ. და გამგზავრებულიყვნენ.

ერთ მშრალ ხეობაზე დაისადგურეს იმ საღამოს. დიდებულთათვის კარვები გაშალეს. როგორც ყოველთვის, ხოლო რიგითი მეომრები ქვიშაზე მიეყარნენ დასაძინებლად.

ქართველებმა ლაშქრისაგან მოშორებით, პატარა ფლატესთან ამჯობინეს ღამის გათევა და ბატონიშვილსაც იქ დაუჭიმეს ნადირისგან ნაჩუქარი ძვირფასი კარავი. იმის იქეთ კი, უფრო მოშორებით, მწყემსები დაბინავდნენ თავიანთი პირუტყვით.

დაღლილ-დათენთილებს მალე ჩაეძინათ, მაგრამ შუაღამისას მწყემსების კივილმა გამოაღვიძათ. ერეკლე წამოხტა და სმენად გადაიქცა. ალა-ალას ძახილით შემწეობას ითხოვდნენ მწყემსები კაცისაგან და ღვთისაგან.

— აბა, ბიჭებო! — დაიძახა ერეკლემ და იარაღი აისხა.

ამასობაში ნათლად გაიგონეს მწყემსების მუდარა, გვიშველეთ, ყაჩაღებმა პირუტყვი გაგვტაცესო.

ცხენს უკიჟინა ერეკლემ და სიბნელეში გაუჩინარდა, მიჰყვნენ მისი მეომრებიც.

მცირე მანძილი რომ გაიარეს, ველზე გაშლილი საქონელი გამოჩნდა, მაგრამ ძეხორციელი ვერ გაარჩიეს იმ საქონელთან. ის იყო, სვლა შეანელეს და ახლა დაგეზებით უნდა წასულიყვნენ, რომ ზედიზედ გავარდა რამდენიმე თოფი. ცხენი წაექცა ბატონიშვილს და ფეხზე დააწვა. ერეკლეს ეგონა, ფლატე მოიმზვლაო, მაგრამ ცხენმა რომ ხროტინი დაიწყო, ყველაფერს სწრაფად მიხვდა.

— ჩამოდით ცხენებიდან! — დაიძახა ერეკლემ და ყველამ ერთბაშად დაიქვეითა. მიხვდნენ, რომ ყაჩაღები ბექს იქით ჩასაფრებულიყვნენ და მათთან შებრძოლება იოლი არ იყო. ყველანი ბატონიშვილთან მიცვივდნენ საშველად, მაგრამ ამასობაში ერეკლეს უკვე ფეხი გაეთავისუფლებინა და მომაკვდავ ცხენს ეფერებოდა.

ყველანი ფლატეში ჩასხდნენ და იქიდან დაუწყეს თვალთვალი. ასე ისხდნენ კარგა ხანს. მგლისაგან დამფრთხალივით შეგუნდავებულ ცხვრის ფარებს თვალს არ აშორებდნენ და ცდილობდნენ მათ შორის კაცის თავი დაენახათ სადმე.

სადღაც ხეობის სათავიდან ქვიშის ჩხრიალი შემოესმათ.

— გარბიან. — თქვა ვილაცამ

— აგრეა. — დაუდასტურეს აქეთ-იქიდან.

* * *

კარავში გვიან დაბრუნდნენ და მთელ ღამეს აღარ დაეძინათ.

რაკი ბატონიშვილს ძილი სათოფედ

ალარ მიეკარა, განთიადზევე აიყოლია პატარკაცი, იოთამი, ჯიმშერი, მგელი ქართლელი და ცხენის სანახავად წავიდა. იფიქრა, იქნებ სული შერჩა და იტანჯებაო. შორიდანვე ცეცხლი დაინახეს იმ ადგილას, სადაც თეთრონი ეგულებოდა. როცა მიუახლოვდნენ, ნახეს, რომ ავლანებს ცეცხლი გაეჩაღებინათ, მწვადს აშიშხინებდნენ და ადრიანად საუზმობდნენ. ერეკლეს დანახვაზე მოკლე, დიაცისებური კაბის კალთები ოდნავ შეიბერტყეს და საუზმეზე მიიპატიჟეს.

ბატონიშვილმა ხმა არ ამოიღო, მხარი უქცია და იქით გაემართა, საითაც დახოცილი მწყემსები ეგულებოდა. აქ უარესი სურათი დახვდა.

— ნახეთ, ადამიანის გვამებს ძაღლები წიწკნიან, ეს წყეულები! — თქვა ერეკლემ გულისტკივილით.

— ძაღლები კი არა, აფთრები იქნებიან ბატონიშვილო! — შენიშნა ჯიმშერმა.

— მაშ, თუ ასეა... — ერეკლემ თოფი მოიხსნა, დაუმიზნა და ერთი მოჩხუბარი ოთხფეხი იქვე აფართხალდა. დანარჩენები დაფეთებულებივით გაცვივდნენ აქეთ-იქით, — უცნაური სამართალი გააჩნია დალოცვილ ღმერთს: იქ ადამიანები შეექცეოდნენ ჩემი ცხენის ლეშს, აქ კი აფთრები ძიძგნიდნენ იმავე ადამიანებს.

— ესენი ის მწყემსები არიან, წუხელი რომ ყაჩაღებმა დახოცეს, — განუმარტა იოთამმა.

უკანდაბრუნებისას ერეკლემ შენიშნა, რომ მის კარავთან ნადირის ამალა იდგა. ლაშქარი აშლილიყო და წასასვლელად ემზადებოდნენ. მისვლამდე ბრძანა კარვის აყეცვა და თითონ გა[ნ]ზე დგომა ამჯობინა. სანამ ბრძანებას შეასრულებდნენ, ნადირ-შაჰი გამოჩნდა საიდანღაც. განზე მდგარი ბატონიშვილი თავისთან მიიხმო და ხამძიმარივით უთხრა:

— გავიგე, წუხელ ცხენი მოუკლავთ შენთვის. — მერე თავისი ამალისკენ შებრუნდა და: — ჩემი რემიდან შეურჩიეთ ერთი არაბული ბედაური. საუკეთესო ალკაზმულობით!

მცირე ხნის შემდეგ მწიფე შინდისფერი არაბული ცხენი მოჰგვარეს ერეკლეს. ტან-ფეხის მოყვანილობით თეთრონს წააგავდა და უფრო მკვრივი ჩანდა. ისიც მაღალი იყო, ოღონდ კიდევ უფრო მკერდგანიერი. დაფეთებულ თვალებს აქეთ-იქით ისე ატრიალებდა, თითქოს თავის შესაფერის მხედარს დაეძებსო. განიერ, ილლიებთან დალარულ მკერდს ვერცხლის გულავშარა უმშვენებდა, ვერცხლის ლაგამი ეკეთა და ვერცხლისავე უნაგირი ედგა.

მეჯინიბეს მაშინვე ტანჯომცრო. მაგრამ მკვრივადჩასხმული მეუზანგე ქალბი მიეპრა და მარჯვედ ჩამოართვა ცხენის სადავე. ულაყმა თავი აიქნია და ქალბი თითქმის მიწას მოსწყვეტა, მაგრამ მეუზანგემ იმარჯვა: ორივე ხელით ზედ [illegible] დასწია და ცხენის კისერს მკლავის ძალა აგრძნობინა. მიიყვანა და მორჩილად დააყენა ბატონიშვილთან.

## გარიგება ქსნის ციხეში

ქსნის ციხეს ცხენოსანთა რაზმი მიადგა. მეციხოვნე ბალათურმა, რომელსაც წარბი ნახმლევით ჰქონდა გაყოფილი, მაშინვე იცნო ვახუშტი აბაშიძის ამალა და მძიმე ჰიშკარი ნელა გააღო. ვახუშტიმ დაიქვეითა. მეციხოვნემ ცხენები მსახურთ ჩააბარა და თავად წარუძღვა ციხისაკენ საპატიო სტუმარს. ჯერ თვითონ დაიხარა, მერე ვახუშტის მიუბრუნდა, დაიხარე, ბატონო, თავი არ შეარტყაო, ხვრელში გაძვრა და მიხვეულ-მოხვეული გასასვლელებით შუა ციხეში აიყვანა ვახუშტი.

— ქართლელი აბაშიძე გეახლათ, ბატონო. — მოახსენა ვიღაცას ბალათურმა, წარბი მოისრისა და წინიდან სწორედ მაშინ ჩამოეცალა ვახუშტი აბაშიძეს, როცა შანშე ერისთავი ფეხზე წამოიმართა.

— დღეგრძელობა და მშვიდობა შანშე ერისთავს! — თავი დახარა ვახუშტიმ და მაშინდა გაუსწორდა შანშეს სიმაღლეში.

— მუდამაც გამარჯვებით ევლოს ქართლის იმედსა და ბალავარს, აბაშიძეთა შორის რჩეულსა და უპირველესს!

სტუმარ-მასპინძელი ერთმანეთს გადაეხვია. მერე ქვის სკამზე მიუთითა შანშემ, დაბრძანდიო, და თავადაც პირისპირ ჩამოჯდა:

— ახალს რას გვეტყვი?

— კახეთის პატრონი თეიმურაზი ისევ სპარსეთშია და მისი მემკვიდრეც ისპაჰანს გაუწვევიათ. კახეთის საქმეები აბდულა ბეგისთვის დაუვალებიათ და ქართლში მარტოდენ ხეფი ხანილა დარჩება. თუ არ შევდრკებით და უნარს გამოვიჩენთ, თვით ყიზილბაშებს წარვტაცებთ სალეკო ფულს, ვიქირავებთ, რამდენი ჯარიც დაგვჭირდება და ერთიანად შევმუსრავთ ჩვენს მტრებს და ორგულთ.

— ფულს როგორ წარვტაცებთ? — შეკრთა ერისთავი.

— ქართლს რაც ხრევი დასდეს, ნახევარი უკვე აკრიფეს და ისპაჰანისკენ გზავნიან ამ დღეებში. თუ ვიმარჯვებთ და ღმერთიც ხელს შეგვიწყობს...

— ბრძენი კაცი ხარ, მეზობელო! — ალტაცებით წამოიწია შანშე ერისთავი, მაგრამ ისევ დაეშვა, სიდინჯე მოიშველია და გამომცდელი თვალები გაუშტერა ვახუშტის. ასე უცქირა ერთხანს, მერე სევდიანად ამოიოხრა და ასეთი სიტყვები ამოაყოლა, — თუ შუაბრძოლაში არ მიღალატებ ზოგიერთივით...

— თქვენს გამჩრიას თვალს კაცის გამოცნობა არ უნდა უჭირდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მეც ასე ვფიქრობ... შენ ეს მითხარი, რამდენი კაცი დამჭირდება სალაშქროდ?

— შენი ხალხის გარდა, ორი ათასი ლეკის დაქირავება მოგიხდება. მალაჩის შემოუთვლია, უსაქმოდ ვყამდები და გამომიყენეთო. შესაძლებლობა ხელიდან არ უნდა გავუშვათ. სეფი ხანს თუ არ ვაწვნიეთ, ჯერი არ არის.

— ყველაფერი უფასოდ ნებავთ მაგ დაწყევლილებს!

— მეც ეგ მაშფოთებს. ახალგაზრდა ქალვაჟი გვინდაო? კი, ბატონო, მომეცი ფული და გამოგიყვან. ხილი და ყურძენიო? ამაშიც ფული მომეცი. ასე თუ იქნება, არას ვიზარალებთ.

— ჩემს საერისთაოში ფეხს არ შემოვადგმევინებ და სხვაგან თავპირი უმტვრევიათ. ბისტის წონას არას გავატან! — განგებ დააყოვნა საუბრის გაგრძელება. ვახუშტი აბაშიძე სმენად დაიძაბა. იფიქრა, რაკი ასერიგად აღშფოთდა, უთუოდ რაიმე წამოსცდებაო, და ვეება მუხლისთავს ნერვიულად დაუწყო სრესა ფართო ხელისგულით. ერისთავი მიხვდა, რომ იმ წამში ნათქვამ ყოველ სიტყვას განსაკუთრებული ყურადღებით შეაფასებდა ზვიადი თავადი და სრულიად მოულოდნელად ხმადაბლა დაიწყო, — იქნებ ოსმალონი...

— რაო, შანშე ბატონო? — ველარ მოითმინა ვახუშტიმ.

შანშემ იყუჩა და გვიან განაგრძო:

— იქნებ ოსმალონი მართალნი იყვნენ, როცა გადაწყვიტეს, ქართლის სამეფო გავაუქმოთო?

— ეგ როგორ?

— მეფე ზედმეტია, თუ დაუკვირდები... ბალღს მამა იმიტომ უხარია, სხვამ არ დაჩაგროს და არ წაართვას, თუ რამ გააჩნია. თუ ამას ვერ შესძლებს, ობლობა ურჩევნია. ხალხიც ესეა: მეფე მფარველად უნდათ და გარეშე მტრების დამთრგუნავად. თუ მტერს ვერას ავნებს, ზინ შემოუშვებს და ხარკსაც მიართმევს, რა თავში უნდა ვიხალოთ ისეთი მეფე?! უმჯობესია, მეფობა გაუქმდეს და ჩვენ თვითონ მოვუაროთ ჩვენს თავს. საკუთარ მამულში მეფეც და თავადიც მე უნდა ვიყო.

— იქნებ ისიც მოგწონთ, სააბაშიძეო რომ ციციშვილთა წილკერძად გადაიქცეს, როგორც ეს...

— როგორც ეს ურუმებს ეწადათ?.. არა, თავადო! მე ამას მოგახსენებ, ყველა დიდებულს თავისი მამული დაანებონ-მეთქი. თავად მოუვლიან და გადასახადსაც თავადვე დაადებენ. მე თანახმა ვარ კანონიერი დანაწილებისა: სააბაშიძეო— აბაშიძეებს, საციციანო — ციციშვილებს, საამილახვარო... — ყელში რაღაც გაეჩხირა შანშე ერისთავს.

მსახურმა ტაბლა შემოიტანა და ვახუშტის მუხლებთან რომ დადგა, თითო მტკავლით მაღლა დარჩნენ მუხლისთავები.

საამილახვრო? — მუხლები მოარიდა ვახუშტიმ ტაბლას და დაჟინებით მიაჩერდა შანშე ერისთავს.

— საამილახვროზე აღარაფერს ვიტყვი, ვახუშტი ბატონო! ვფიქრობ, ისედაც მეტის თქმა გავბედე. გაბედულება კი ხშირად სანანებელი ხდება ჩვენს უკუღმართ დროში.

— ხშირად საგმირო საქმეებსაც ახდენს გაბედულება, შანშე ბატონო. თუ ორი კაცი ზურგით ზურგს მიჰყუდებს გაბედულად...

— ერთხ საამილახვრო და საციციანო დარჩება და მეორეს — არაგვის საერისთაო, — მღვრიე თვალები ეშმაკურად მოწკურა შანშემ და მსახურისაგან ტაბლაზე დადგმული ბარძიმები თვითონვე დაათავთავადა. ერთი ვახუშტის დაუდგა წინ, ხოლო მეორე თავისკენ მიაცურა. მერე დანა აიღო, მოხარშულ ქათამს აქნა დაუწყო და სათქმელი განაგრძო: — თუ ორი კაცი ზურგით ზურგს მიჰყუდებს.. გაბედულად... მაგრამ ჩვენი ვაი იმაშია, ზურგში ზურგს კი არა, მახვილს ვუმარჯვებთ. სიტყვით ერთს რომ ვამბობთ, საქმით მეორეს ვაკეთებთ. უფრო მეტიც: ერთს ვამბობთ, მაგრამ მეორეს ვფიქრობთ. აი, ახლაც რაღაცას ფიქრობ... აბა, ნუ იცრუებ, თუ ვაჟკაცი ხარ!

—მე ამას ვფიქრობ, შანშე-ბატონო, ძალიან შორს ხომ არ შევტოპავ-მეთქი, საამილახვროსკენ რომ ხელი გავიწოდო. თანაც ნათესავია, ჩემი ცოლის სისხლი და ხორცი.

— სისხლ-ხორცზე თვითონ არას ფიქრობს და შენ რა გენაღვლება?

— შურის მაძიებელია და ეგეც მაფიქრებს...

— ვისაც შურისძიებისა ეშინია... ეგეც არ იყოს, ამილახვარი ყანდაარშია, ეგებ იმის იქითაც, მისი რევაზი კი ჯერაც არ არის ანგარიშგასაწევი. — შანშე ერისთავმა ფართო ხელსახოცით გულდასმით გაიწმინდა თითები, — ჯერაც დაუბუმბლავი არწივის მართვეა.

მსახურმა ჟამგადასულობისაგან ოდნავ გახუნებული, მაგრამ დახვეწილი გემოვნებით ნაკეთები, უცხო კენჭებით მოჭიქული სურა შემოდგა, რომელშიც ატენური ღვინო იდგა.

— და მაინც მართვეა, ვახუშტი-ბატონო, და არა ბახალა. თვითონ არწივიც ძალიან გამწარებულია. დედალი მართვე გამოსტაცეს ხელიდან და ისპაჰანს გადაუკარგეს. ვაი, თუ დაბრუნდეს და სხვისი ჯავრიც ჩვენზე იყაროს?

— დაბრუნდეს?.. ახა-ხა-ხა-ხა! — გულიანად გაიცინა შანშე ერისთავმა, — გივი ამილახვარმა იმ გზაზე ჩაიარა, საითაც ბევრს ჩაუვლია, მაგრამ უკან აღარ დაბრუნებულა. და თუ დაბრუნებულა...

— საკუთარი თვალები აღარ ჰქონია.

— მაგის თქმა მეწადა... ეგეც არ იყოს, ვისაც ერთი ტკივილი მოუთმენია, მეორესაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადვილად მოითმენს. ძნელი დასაოკებელი მხოლოდ ის არის, ვისაც ჯერ ნემსის წვერიც არ შეხებია. გივის კი უკვე ხანჯალი დაუტრიალა ნადირ-შაჰმა გულ-გონებაში. ისე მოთელა, სახლ-კარის დაწვასაც არად ჩააგდებს.

შანშემ სასმისები შეავსო.

— თუ ეგ გამართლდა, შანშე-ბატონო...

— თუ ზურგით ზურგს საიმედოდ მივუყუდებთ, ყველაფერი გამართლდება.

— სომხით-საბარათიანოს რა ბედი ელის?

— სომხით-საბარათიანო ყაფლანიშვილებსა და ორბელიანებს ექიროთ ისევ. გაივლის დრო და... ნათქვამია, მალა ჭამაში მოდისო.

— დიდი ვახტანგი?

— დიდი ვახტანგი ასტრახანში განისვენებს.

— და თუ ბაქარმა მოისურვა ჩამობრძანება?

— ეგ არ მოხდება. და თუნდაც მოხდეს, თბილისში შესვლას ვერავინ დაუშლის. დაბრძანდეს ტახტზე ის დალოცვილი და მიიღოს ჩვენგან, რაც ეკადრება. ურუმი და ყიზილბაში მოგვაშოროს და უარს როგორ ვეტყვით სამსახურზე.

— ურუმი არას გვიშლის, შანშე-ბატონო, სავაჭრო საქმეში ზარალს არ იძლევა. ტყვეს რომ მოითხოვს, სამაგიეროდ ფულს გვაძლევს. თქვენს სიბრძნეს შეგონება აღარ სჭირდება. თქვენი სახელი საზღვრების მიღმაც ცნობილია, არა თუ ქართლში.

— მაშ, გაუმარჯოს ჩვენს საქართველოს — სასმისი ასწია შანშე ერისთავმა.

შანშე ერისთავისა და ვახუშტი აბაშიძის ლეკ-ქართველთა გაერთიანებული ჯარი ქართლში დაეშვა, დაამარცხა ყიზილბაშთა მრავალრიცხოვანი ლაშქარი, წაართვა ხაზინა, რომელიც დაღესტანში მოჰქონდათ ახალი ჯარის საქირავებლად, და გამარჯვებული ამობრუნდა. გზადაგზა ამილახვრის ადგილ-მამული ამოინადირეს — გაძარცვეს. წაიღეს, რაც წასაღები იყო და საღამოთი კი ისევ ციხეში შეიკეტნენ და ნადიმი გამართეს.

მეორე საღამოს მალემსრბოლი მოიჭრა ქსნის სასახლეში. განრისხებული ხეფიხანი დიდძალი ლაშქრით მოემართება ქსნის საერისთაოსკენო.

შანშემ მაშინვე თადარიგი დაიჭირა: ციხის გამაგრება ძმას დაავალა და თვითონ კი იმერეთში გაიქცა, დახმარების სათხოვნელად.

## ნადირობა არაგვის ჭალაში

— ირემი გამოვარდა, სტყორცნე, ბატონო! — შესძახა უთრუთ არაგვის ერისთავმა და კინალამ თვითონვე ესროლა.

არჩილ იესეს ძემ, რომელსაც თავზე წითელყვითელი დოლბანდი ეხურა, ტანზეც ყიზილბაშურად ეცვა და აბდულა ბეგს ეძახდნენ, თოფი შემართა და სწრაფად დასხლიტა.

ჰაერში შემხტარი ირემი რქებზე დაეცა, გაიბრძოლა და გვერდზე გადაბრუნდა.

უთრუთმა აღტაცების ნიშნად ტაში შემოჰკრა.

მსახურნი წაქცეულ ირემს შემოეხვივნენ და დაელოდნენ, ფართხალს როდის შეწყვეტდა. აბდულა ბეგი და უთრუთიც ნელი ნაბიჯით მიუახლოვდნენ და შორიახლოს გაჩერდნენ ერთურთის პირისპირ. ირემი დროდადრო იქნევდა ფეხებს და თვალის უპეებიდან ცრემლი ებნეოდა გაწყვეტილი მძივივით.

— მახვილი მზერა და უტყუარი მიზანი გაქვთ, დიდო ბატონო! — უთხრა აბდულას უთრუთ ერისთავმა.

— ყველაზე მახვილი მზერა მგელსა აქვს, ჩემო უთრუთ! ეს იმიტომ, რომ ღამით დახეტიალობს მსხვერპლის საძებნელად და შორს მანძილზე უხდება თვალთვალი. მეც ბევრი ვიწანწალე და, როგორც იყო, მსხვერპლი ჩავიგდე. თუ ქართლის სხვა დიდებულნიც შენი მამა-ბიძებივით მუხლმოყრით არ მეახლებიან, ამ ირემივით წამოვაჩოქებ სათითაოდ.

— ამბობენ, შანშე ბაქარის ჩამოსაყვანად წავიდაო რუსეთში.

მსახურებმა სასულე გადაუჭრეს ირემს, ფეხები წყვილ-წყვილად გაუკრეს, კეტი გაუყარეს გაკრულ ფეხებში, ოთხთ ასწიეს და ველზე გაიტანეს, სადაც ნანადირევი დაეგროვებინათ .

აბდულა ბეგმა თოფი მსახურს გაუწოდა, მუხის მონაჭერ კუნძზე ჩამოჯდა და უთრუთსაც ანიშნა, ჩამოჯექიო. ამასობაში პასუხ... მოუძებნა ახალგაზრდა ერისთავს, რომელშიც დიდ ძალასა და შემართებას ხედავდა.

— უმადურნი ხართ, ქართველები, ჩემო უთრუთ! სპარსი იმით გჯობიათ, თუ შემოგფიცა, არ გიღალატებს. ბიძაჩემი ვახტანგი ქართლიდან თვითონ გალაიხვეწა და ქვეყანა უპატრონოდ მიატოვა. მაშინ მამაჩემმა იკისრა ქვეყნის გაძღოლა. შემფიცა კიდეც ზოგიერთმა თავადმა ქვეშევრდომობა, მაგრამ მარჯვე შემთხვევაში ყველამ უღალატა. ახლა კი ერთნი მე მეფიცებით ერთგულებას და მეორენი — ჩემს ბიძაშვილს. ამასობაში, ვფიქრობ, ერთურთს ამოგვახოცინებთ. მართალია, თვალითაც არ დამინახავს ბაქარი, მაგრამ ბიძაშვილი მაინც ბიძაშვილია.

— მე მუდამ ჩემი ფიცის ერთგული ვიქნები. ოღონდაც ერთგულება დამიფასეთ და მონა-მორჩილ ყმად გაგიხდები. წყეულიმც ვიყო, თუ გიღალატო!

აბდულა ბეგმა თვალი გააპარა და შენიშნა, რომ უთრუთს არაფერი არ ეტყობოდა მონა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მორჩილებისა. ერთგულება კი... ერთგულება შუბლზე არ აწერია ადამიანს.

— იმასაც მივაფურთხებ, — განაგრძო უთრუთმა, — ავი ხალხი რომ გაიძახის, აბდულა ბეგს ყიზილბაშთა სარწმუნოება აქვს მიღებული და იმად ვერ ვენდობითო. ყიზილბაშთა რჯულისა კი, ხომ იცით, რომ იმთავითვე ძალიან ეშინია ჩვენს ხალხს.

— სხვა გამოსავალი მაინც არ არის, ჩემო უთრუთ. ნებით თუ არაფერი გამოვა, ძალით დავაჩოქებ ყველას ისლამის წინაშე. დიდ არს ალაჰი!

— ეს რა ხალხია, დიდო ბატონო? — შენიშნა უთრუთმა გზაზე მიმავალი დედაკაცები. შეიძლება, სხვა დროს ყურადღებაც არ მიექცია მგზავრებისათვის, მაგრამ ალაჰის სადიდებელ დასტურს მოერიდა და გზისკენ იმიტომ გაექცა მზერა: „ეჰეი, მოდით აქ! — მიიხმო მბრძანებლური კილოთი და ხელის დაქნევით.

დედაკაცებმა ყური არ ათხოვეს და სიარული განაგრძეს.

— არაგვის ერისთავი გიბრძანებთ, ახლავე ეახლოთ! — ორიოდე ნაბიჯი გაირბინა და მაღალი ხმით გასძახა მსახურმა.

დედაკაცებმა ნაბიჯი შეანელეს, მაგრამ მალე ისევ თავიანთი გზა განაგრძეს.

— ახლავე ყველანი აქ მომგვარეთ! — უბრძანა უთრუთმა ნანადირევის გროვასთან მოფუსფუსე მსახურებს.

მსახურებმა თოფები აიღეს, ქალებს გაედევნენ და უმალ შეასრულეს დავალება.

უკანდაბრუნებულმა დედაკაცებმა ბრწყინვალედ მორთული უცხო ბატონი რომ დაინახეს, და მასთან ერთად არაგვის ერისთავის ვაჟი უთრუთი შეიცნეს, თავდახრითა და მოწიწებით მიესალმნენ. ამასობაში კი მოსახვევის ყურებით უფრო საიმედოდ აიხვიეს პირი და შეეცადნენ, სახის სილამაზე დაეფარათ.

— ვინა ხართ? — მკაცრი ხმით იკითხა უთრუთმა.

— თქვენი ყმები ვართ, ბატონო, ფშაველი დიაცნი, — იყო პასუხი, — აქეთ ნათესავი მიგვეცვალა და ჭირის სუფრაზე ვიყავით.

უთრუთი ქალებს მიუახლოვდა და რატომღაც სათითაოდ დააკვირდა. ერთი ტანმაღალი დედაკაცი თითქოს ეცნო და არც ეცნო რიგიანად. სამაგიეროდ მეორე იცნო ადვილად:

— ალუდას დიაცი არა ხარ?

— დიახ, ალუდაისი.

აბდულა ბეგი კუნძიდან წამოდგა. სპარსულ ყაიდაზე დაყენებული თმა-წვერი დინჯად ჩამოისწორა და ღიმილით მიუახლოვდა ფშაველ დიაცებს:

— რატომ პირველ დაძახილზევე არ ეახლით არაგვის ბატონს?

— ვერ ვიცანით, ბრწყინვალე ბატონო, და ვჳაპატიეთ! — უპასუხა ყველაზე ხნიერმა დედაკაცმა და თითქოს გაუხარდა, ეს ლამაზი ვაჟკაცი რომ ყიზილბაში კი არა, ქართველი ყოფილა.

— მოიცა, მოიცა, ალუდაის დიაცო! — თვალები მოჭუტა უთრუთ ერისთავმა, — ეს ბანოვანი ვინღაა? — იკითხა ტანმაღალ დედაკაცზე.

— ეგ დიაცი ჩემი რძალია, ხათუთაი!

— ხათუთაი... ხათუთაი... — უფრო მეტად დაუვიწროვდა თვალები უთრუთს, — როგორღაც არ მახსოვს, ესეთი მზეთუნახავი რძალი თუ ჰყავდა ალუდას, — უთრუთი დიაცს მიუახლოვდა და მოსახვევის ყურები ჩამოუშალა, — მართლა შენი რძალია?

— ჰო, ჩემი რძალია.

უთრუთმა ტანმაღალი დედაკაცი თავით ფეხამდე ჩაათვალიერა და ხმამაღლა დაიძახა:

— შანშე ერისთავის მეუღლე, დიდო ბატონო!

— შანშეს მეუღლე?! — აღმოხდა აბდულა ბეგს აღშფოთებით.

— პაპის ხულს გეფიცები, ის არის!

— არა, ბატონო, ჩემი რძალია, ხათუთაი — არ დაიშალა ალუდას დიაცმა, მაგრამ გაალმასებულმა ერისთავმა მოსახვევი აჰგლიჯა თეთრ-წითლად აელვარებულ ქალს და აბდულა ბეგს შესძახა:

— შანშეს ქალბატონს ათას ქალში გამოარჩევ!.. ეს კიდევ მატყუებს, ჩემი რძალიაო. — მერე დედაკაცებს მიუბრუნდა და, — დაიშალენით ახლავე!

დედაკაცები უმწეოდ გაბრუნდნენ. შანშეს მეუღლეც არ შეეპუა და გაბრუნება დააპირა, მაგრამ უთრუთმა მაჯაზე ხელი სტაცა და აბდულა ბეგისკენ გაათრია:

— ნახე, რა ვარდივით დედაკაცი ჰყავს იმ წყეულ შანშეს, დიდო ბატონო! — ლოყაზე თითები წაატანა ქალს უთრუთმა.

— გველის წიწილავ! — შესძახა შანშეს მეუღლემ და ისეთი სილა გააწნა, რომ თვალთ დაუბნელდა უთრუთს, — ყიზილბაშებმა გასწავლეს მანდილოსნის დამცირება?!

— შეკარით! — წამხდარი ხმით ბრძანა უთრუთმა და თვალებდაჭყეტილი მიუახლოვდა აბდულა ბეგს, — ხედავთ, როგორი ჯიუტია თავისი ქმარივით?!

— არ მომეკაროთ! — უკან დაიწია შანშეს მეუღლემ და ამაყად შემართა მანდილმოხდილი თავი, — წყეულიმც იყოს თქვენი გვარი და სახსენებელი, ქრისტეს მგმობელნო! ამოიძირკვეთ მიხხისმისხამდე! თქვენი ცოლ-შვილი მენახოს ისერიგად აწიოკებული, როგორც თქვენ შანშეს კომლობა დააწიოკეთ!

— შეუკარით ხელები, თქვე ძაღლიშვილებო! — იყვირა უთრუთმა.

მსახურნი ფაციფუცით შეუდგნენ ხელების შეკვრას.

— გრცხვენოდეს, უთრუთ, ჩემი შვილის ხნისა ხარ. ზევიდან ღმერთი იყურება და არ გაპატიებს. იცოდე, დაბრუნდება ჩემი შანშე და მწარედ განანებს!

უთრუთმა ყურადღება არ მიაქცია დედაკაცის შეგონებას და, როცა უკვე ხელები მაგრად შეუკრეს, ხმამაღლა გაიცინა:

— ჩემი რძალიაო?!. უყურე იმ წილიანს, როგორ მატყუებდა. ათას ქალში გამოარჩევ შენს ყელ-კისერს. — მერე წასწვდა ხელებგაკრულ ქალს, მკლავები შემოაჭდო და, სანამ პირის არიდებას მოასწრებდა, ტუჩებში აკოცა.

— ოხ, შე ძაღლის ძუძუთი გაზრდილო და შე დაწყევლილო! — გადააფურთხა შანშეს მეუღლემ, — ლომისისა და ლაშარის ხატებს ვევედრები, პირქვე დაამხონ თქვენი ოჯახი. ისეთი მეხი დაგატეხონ, რომ დედაბუდიანად ამოჟლიტოს თქვენი ბილწი საგვარეულო! ცეცხლმა ჩანთქას თქვენი ეზოყური და ციხე-კოშკები!

აბდულა ბეგმა მოჩვენებითი განრისხებით დატუქსა უთრუთი და ბრძანა, დაუყოვნებლივ წაეყვანათ გაბაწრული დედაკაცი თბილისის ხანთან.

— შველი, ბატონო, შველი გამოაგდეს მარეკებმა. სტყორცნე, თორემ დაგასწრებ!.. — გრძელდებოდა ნადირობა.

## ᲡᲐᲘᲛᲔᲓᲝ ᲜᲘᲨᲐᲜᲘ

ამილახვრის სასახლეს სამი ცხენოსანი მიადგა შუაღამისას. არავინ გაეხმიანა. ჭიშკარი მაგრად დაეგმანათ და ეზოში ჩამიჩუმი არ ისმოდა.

— ჰეი, ვინ ხარ მანდ, გაალე ჭიშკარი! — გაისმა ნაცნობი შეძახილი.

მეკარე შეკრთა. მსახურებმაც ყური აცქვიტეს, მაგრამ ქალბატონისგან ნაბრძანები ჰქონდათ, უდროოდ მოსული სტუმრისათვის ხმა არ გაეცათ მისი ნებართვის გარეშე.

— გაილვიძე, რევაზ, ვიღაცა ჭიშკრის გაღებას მოითხოვს! — შეეხმიანა ამილახვრის მეუღლე შვილს, რომელსაც ბოლო დროს ღამღამობით გარეთ არ უშვებდა.

რევაზი დაფაცურდა, საქურველი აისხა და მამისებური ნაბიჯით ჭიქურ გაემართა:

— სულძაღლი შანშეს კაცები იქნებიან. სხვა ვის შეეძლო, ასე უდროოდ?

— მოიცადე, შენ არა, შვილო, მე თვითონ...

ქეთევანმა ქოშები მოირგო, ხალათი წამოისხა და დერეფანში გაორჭოფებულ შვილს გადაასწრო:

— რა გნებავთ? რატომ გვაწუხებთ ასე უდროოდ!

— გახსენით ჭიშკარი! — მოისმა ართრთოლებული ხმა და ამ ხმას მაშინვე ქალის შეძახილი შეენაცვლა:

— გივი, ჩემო იმედო!.. მამაშენი მოვიდა, შვილო, რევაზ!

ყველა და ყველაფერი ახმაურდა — [illegible] მზარეული, პირისფარეში, მეჯინიბე, მსახური — ყველანი მოუთმენლად გამოცვივდნენ სამყოფლებიდან და ყურთამდე გაღებულ ჭიშკარს მიაწყდნენ, სადაც უკვე ორი წლის უნახავ გივი ამილახვარს შინაურები ეხვეოდნენ და გულში ეკვროდნენ. ერთ დროს ყმათათვის გაუცინარ ბატონს ყველაზე უგვანი ფარეშის ამბორიც კი მონატრებოდა.

— შენ გენაცვალე, მამი, რომ ცოცხალი დაგვიბრუნდი! — ცრემლს ველარ იკავებდა რევაზი.

— თამარი როგორ არის? — ოხვრით შეეკითხა ქეთევანი, როცა დარწმუნდა, რომ გივი სრულიად უვნებლად დაბრუნებულიყო სპარსეთიდან.

— ყიზილბაშთა კვალობაზე დედოფალი ჰქვია, მაგრამ ქართულ ყაიდაზე მონაა. წამოსვლისას მაჩვენეს.

— ალბათ, იტირა, დედა მოუკვდეს?

— ბევრი იტირა, მაგრამ მარტო ის ხომ არ არის ამ ყოფაში?.. ესენი ჩემი ქეშიკები არიან. სახტუმროში წაიყვანონ და საკადრისი ყურადღება მიაქციონ.

ქეთევანმა ქეშიკებს თავი დაუკრა და მსახურებს ჩააბარა. თვითონ კი ისევ უკან მობრუნდა. თავის ოთახში შეიყვანა ქმარ-შვილი, უცხო სამოსში გამოწყობილი გივი წაღმა-უკუღმა დაატრიალა, მერე სპარსული მოსასხამი შემოაძრო და საითღაც გადააგდო: — ახლა არა გიშავს, — ქილით ლაწნული სკამი მიუმარჯვა და თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა: — დაბერებულხარ, შე საცოდავო. თეთრი მოგხშირებია და ნაოჭებიც მოგმრავლებია.

— ასე სცოდნია უცხო ქვეყნის ნჯვს და მწუხარებას.

— მზესაც?

— ისეთი ცხარე მზე იცის იმ ღასაკარგავში, ქვა იხრუკება. როგორც კი ყურს ამოჰყოფს, ჩასვლამდე აღარ ცხრება. აი, შენ რომ დამჭკნარი ყიზილბაშები დაგინახავს, გაყვითლებულნი და თითქმის ბებრები, ოცდახუთი წლის ბიჭები არიან.. ოცდაათისანი რომ იყვნენ — ბეჯაათია. გივი ამილახვარი წამოდგა და ლოყაზე ხელი მოუთათუნა რევაზს, — ძალიან დავაჟკაცებულხარ! . ხომ არავინ გიბრიყვებს?

— გვიბრიყვებენ, მამი... დედაჩემი კიდევ გარეთ არ მიშვებს, როგორც კი შეღამდება.

დედამ ანიშნა, ნურას ეტყვიო, მაგრამ გივიმ შენიშნა მისი თვალების მოძრაობა და უფრო დაინტერესდა:

— მითხარი, შვილო, ყველაფერი მიამბე. რაც უჩემობას აქ მომხდარა!

— შანშემ აგვიკლო; — კუთხეში მიდგა რევაზი დამნაშავესავით, — სასახლეცა და ჩვენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყმოც ერთიანად გაძარცვა და დედაჩემმა კიდევ გარეთ არ გამიშვა.

რევაზმა შენიშნა, რა საშინლად შებარბაცდა მამის ვეება ლანდი შანდლის შუქზე.

— მაშ, გამიბედა მაგ ძაღლიშვილმა?! — მობრუნდა ლანდი და მთლიანად დაფარა ერთი კედელი.

რევაზს ძალიან მოეწონა მამის ხმა და შეკითხვა, გული უზომო სიხარულმა აუპირთავა და მამას კი არა, ჩრდილს გაეპასუხა:

— გაგიბედა, მამი, თავის ჯარს ლეკიც მიუმატა, ვახუშტი აბაშიძეც მიიმხრო და ერთიანად აგვაწიოკა.

— ოხ, ძაღლიშვილო! — დაიქუხა ამილახვარმა და ამ ხმაზე რამდენჯერმე მიილია შანდალი და ალაპლაბდა. გივის ლანდი კი დასავლეთისა და ჩრდილოეთის კედლებშუა მიმწყვდეულიყო და უცნაურად ცახცახებდა.

მერე თითქოს დამშვიდდა ამილახვარი, არნადის მსგავსი ხელები ზურგზე დაიწყო და მტკიცე ნაბიჯით გაემართა რევაზისაკენ.

ვეება ჩრდილი ძლივს ეტეოდა ჭერმაღალ ოთახში და რევაზს ბავშვივით ახარებდა ეს სიდიადე.

მერე ისევ შემობრუნდა ამილახვარი და აუტანელი დუმილი კბილების კრაჭუნით დაარღვია:

— მიფრთხილდი, ერისთავო, ამილახვართან თამაში არ გაგივა!

— ნურაფერს შეეცდები, ჩემო გივი, შანშეს მამული საკმაოდ ააოხრეს და რუსეთს გადახვეწეს. ცოლიც წაჰგვარეს. — დამშვიდებას შეეცადა ქეთევანი, — რისი ღირსიც იყო, ყველაფერი მიუზღო მაღალმა ღმერთმა... მაგრამ... იმასაც ამბობენ, დიდძალი ჯარი მოჰყავსო რუსთა ქვეყნიდან და ასე იმუქრებაო, რომ ქვას ქვაზე აღარ დავტოვებო ჩემი მტრების მამულიდან.

— ვნახოთ, ვინ ვის მამულში აღარ დატოვებს ქვას ქვაზე?!

— რითი აპირებ, ჯარი ჩვენ არა გვყავს და ფული არ გაგვაჩნია?

— აი, ჩემი ჯარიც და ფულიც! — გივიმ ჯიბიდან რაღაც ნივთი ამოიღო, მაგიდაზე დაატყაპუნა და, როცა ხელი მოაშორა, ოქროსავით მბზინავი ლითონი შენიშნეს დედა-შვილმა

— ეს რა არის? — ხელში აიტაცა რევაზმა.

— მაგ ნიშანს მთელი ქართლი დაემორჩილება ამიერიდან. ყიზილბაშთა უთვალავ ლაშქარს ისე მოვიხმობ, როგორც საკუთარს. ქართლის ვექილი ვარ.

მოულოდნელმა სიხარულმა სახე გაუნათა ამილახვრის შვილს. ხელში ნაჭერი ბრჭყვიალა რკინა წალმა-უკულმა შეატრიალა და, რაკი ზედ ნადირ-შაჰის გამოსახულება შენიშნა, გული უფრო მეტად მოეცა. მიხვდა, რომ მამამისი დასჯილი კი არა, დასაჩუქრებული დაბრუნებულიყო სპარსეთიდან.

— მაგის გარდა, საჩუქრებიც უხვად მიწყალობა და არც შენ დაგტოვა უპატიოდ, განაგრძო ამილახვარმა, — ქეშიკჩიბაშობა გიბოძა.

— შენ ეს მითხარი, როგორ მოახერხე ეს ყოველივე? — დაინტერესდა ქეთევანი.

— მე და თეიმურაზმა იმდენი საქმე გავუკეთეთ ნადირ-შაჰს, ოცი ლალაბაში ვერ შესძლებდა. უჩვენოდ ნაბიჯს არ დგამდა და ყველაფერზე რჩევას გვკითხავდა. მართალია, მისი სიძულვილი ჯერაც შხამად ამომდის ყელში, ჩემი თამარი რომ ასე გამტაცა, მაგრამ სხვა გზა არ იყო. ყველაფერში გონივრულა ვურჩევდით და ისიც წყალობას არ იშურებდა. ბოლოს კი, როცა კახეთიდან თეიმურაზის ძე და ასული ჩამოიყვანა...

— საცოდავი თამარი! — შეიბრალა ქეთევანმა ერეკლეს დედა.

— კახეთი ისევ თეიმურაზს არგუნა და მე კი ჩემს მამულში გამომისტუმრა ასეთი რაყამით. — სათქმელი დაამთავრა ამილახვარმა, მერე ოდნავ ამოიოხვნეშა და დაამატა, — მართალია საცოდავია. ამბობენ მისი ქეთევანი პირველ ღამეს ნადირსა ჰყავდა და მერედა დაწინდაო თავის ძმისწულზე.

— უი, საბრალო! — შესძახა ქეთევანმა, — და შენ გინდა, რომ მის ტახტს ემსახურო?!. არა, ეგ არ მოხდება! ახლავე გადააგდე ეგ წყეული რკინა!

— დამშვიდდი, ქეთევან!.. თუ გგონია, რომ ოდესმე გული გამისწორდება წყეულ ნადირ-შაჰზე და ერთგულ ყმად ვექცევი, მოტყუებულხარ. ეს მე მჭირდება, — შანა გამოართვა რევაზს და ხელში შეათამაშა, — ყიზილბაშთა ლაშქრით ჯერ ქართლის ხათავადოებს დავაჩოქებ, ჩემი დროშის ქვეშ გავაერთიანებ და მერე უკვე გარეშე მტერთაც მივუბრუნდები. ქართლს მეფე აღარ ჰყავს, ქეთევან! ბიძაჩემი ვახტანგი რომ ასტრახანს მიიცვალა, ეს იქვე, მაშათს გვაცნობა ერეკლე ბატონიშვილმა. ბაქარი და მისი ძმები კი ანგარიშში აღარ ჩაითვლებიან. ჩვენ თუ არ შევთავაზებთ, ჩამობრძანდით და სამეფო ტახტზე დაბრძანდითო, თავად ვერ შესძლებენ, რაკილა ერთგული აღარავინ ეპოვებათ თავიანთ სამკვიდრო მამულში.

— ამბობენ, შანშეს უთხოვიაო ბაქარისთვის ჩამობრძანება. — ამოიოხრა ქეთევანმა.

— შანშე ეშმაკზე ერთი ღლით ადრე დაბადებულა, მაგრამ მე ალბათ მთელი წლით დავასწარი. ამიტომ კი არ უთხოვია, ჩამობრძანდიო, რომ ქართლის ბედი აწუხებს შანშეს?!. არა, უბრალოდ, ჩემი ეშინია და იფიქრა, სანამ გივი სპარსეთიდან დაბრუნდება, თუკი ბაქარის გამეფებას მოვახერხებ, ამას უთუოდ დამიმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიან და სამეფო კარზე პირველ ადგილს დაიჭერო. იესეს ძე თეიმურაზი ბერად არის აღკვეცილი, როგორც ერეკლემ გადმოგვცა.

— რაც ჩემი თამარი ურჯულოებმა გაგვტაცეს, მისი სახე აღარავის უნახავს. ქედი არავის მოუხარა, საცოდავმა, მაგრამ. მარტო იყო, და რას გააწყობდა? ხელ-ფეხი შეუკრეს და ისე წაართვეს საცოლე.

— მისი ძმა არჩილიც, იგივე აბდულა ბეგი, სულგაყიდულია და მეფედ არავინ ინდომებს.— განაგრძო ამილახვარმა, — გივი ამილახვარს კი იმდენი სისხლი დაუღვრია და კვლავაც იმდენს დაღვრის ქართლის გასაწმენდად, ვფიქრობ, მეტოქე არ უნდა მყავდეს სამეფო ტახტზე.

— მაგრამ თამარი ხომ კანონიერი მემკვიდრეა? — გაბედა ქეთევანმა.

— დიახ, თამარილაა, მაგრამ ის ხომ თეიმურაზის მეუღლეა და თეიმურაზი კი კახეთის მეფეა? მეტი რა უნდათ?

— იქნებ მეთორმეტე საუკუნე გაიხსენონ და გაერთიანება მოინდომონ?

— გაერთიანებას დავით აღმაშენებელი სჭირდება, ჩემო ქეთევან.... ჯერ არც დრო არის გაერთიანებისა. მთავარი საზრუნავი მტრის დათრგუნვაა.

— მტერს გაერთიანებული საქართველო უფრო დათრგუნავს, ჩემო გივი!

— თუ გაერთიანებაა, გაერთიანებაც ქართლიდან უნდა დაიწყოს და არა — კახეთიდან ქართლი დედაა მთლად საქართველოსი და ა სახელს ვერავინ წაართმევს.

— მერედა, გჯერა, რომ ქართლელები სამეფო ტახტამდე ხალიჩებს დაგიგებენ და ისე აგაბრძანებენ?

— არცერთი მეფისთვის არ დაუგიათ ხალიჩები სამეფო ტახტამდე. ტახტი ბრძოლით უნდა მოიპოვო, თუ გსურს, ფასი დასდო. ბრძოლისა კი გივი ამილახვარს არ ეშინია. თუ დავმარცხდი, ხომ... მაინც სიკვდილის შვილი ვარ და ღირსეულ სიკვდილით ჩამეთვლება.

ფერმიხდილი ქეთევანი ღვთისშობლის ხატს მიუახლოვდა და პირჯვარი გადაიწერა. ოცნებაში გადავარდნილი რევაზი კი კმაყოფილებით ადევნებდა თვალს მამის ვეება ლანდს, რომელიც ხან ერთ კედელს ფარავდა და ხან — მეორეს, ხან პატარავდებოდა და ხან იზრდებოდა.

## კახთა მეფის შეგონებანი

თელავის სასახლეში თათბირი მოიწვია თეიმურაზმა, დიდებულებს დაწვრილებით მოახსენა სპარსეთში ნახულ-განცდილი. დარბაზისერი დაარწმუნა, ნადირ-შაჰი უძლეველიაო, და მის წინააღმდეგ ხმის ამოღება გულუბრყვილობად მიიჩნია.

— ნადირი მთელი დედამიწის მომავალი მბრძანებელია, — განაცხადა თეიმურაზმა, — ის, რაც ვერ შეძლო ალექსანდრე მაკედონელმა, ნადირ-შაჰისათვის იოლი საქმეა. იმად, რომ ღმერთიც და კაციც მას ეხმარება. იგი კაცს აფასებს არა მისი სარწმუნოებით, ვაჟკაცობითა. ნადირი თაყვანს სცემს ქრისტესაც და ისლამსაც, ბუდასაც და იეღოვასაც. აღიარებს, რომ ყოველი მათგანი პატივის ღირსია, რამეთუ თავიანთი კეთილი საქმით თავის სამწყსოში მოიპოვეს დიდება და სახელი. ის არ მოითხოვს ჩვენგან არც გამუსლიმანებას და არც ადგილ-მამულს. არც ერთმანეთზე ასისინებს სხვადასხვა ხალხებს. მათგან მხოლოდ ცოტაოდენ ხარკს მოითხოვს, რაც ამ დაუსრულებელი ლაშქრობისას ეჭირვება.

მოხუცმა ჯანდიერმა გრძლად ამოიოხრა და ხვნეშით დაილაპარაკა:

— ბევრი ქართველი მეფე-დიდებული გაგვისტუმრებია იმ სახელგანთქმულ სპარსთა ქვეყანაში და იქ დარჩენილან თავიანთი ძვალსისხლითა. მეორენი უხვი საჩუქრით მოხიბლულნი დაბრუნებულან და თვალი აბმიათ იქაური ზიზილ-პიპილებით. სპარსეთს ისეთი თილისმა ეპოვება, ყველას აჯადოებს. მალემრწმენი ადამიანები ქართველებშიც გამოერევიან ხოლმე და ადვილად იჯერებენ ყოველ დაპირებას. წაბაძვაზე არას მოგახსენებთ, რადგან წაბაძვა ჩვენი ხელობაა. ხმის კილოშიც ვბაძავთ უცხოელებს. მით უფრო სპარსელებს, მაგრამ ვაი, რომ ვერც ერთმა გათათრებულმა მეფემ ჩვენს ტანჯულ ქვეყანას ბედნიერება ვერ მოუტანა.

— თქვენი მონამორჩილი მეფე გათათრებული არ არის, დიდო თავადო, — წყენა არ შეიმჩნია თეიმურაზმა. ის მხოლოდ მას მოგახსენებს, რაც საკუთარი თვალით უნახავს და ყურით სმენია. ნადირ-შაჰი არავის უპირებს გათათრებას. მხოლოდ ცალყბივ მთხოვა, რჯულს ხომ არ შეიცვლიო და, რაკი უარი მიიღო, შემაქო კიდეც: ასე მტკიცედ უნდა იდგე შენს რჯულზეო.

— კარგია, შვილო, — მოუწონა გრიგოლ ალავერდელმა, — სარწმუნოებას სიმტკიცე ხამს... მიხარია, თუ კვლავ ქრისტიანი ბრძანდებით.

— მეც ქრისტიანი ვარ, მამაო გრიგოლ, და ჩემი ძე ირაკლიც. ნადირს ჩასვლისთანავე გამოეცადა ბატონიშვილი, უნდა გათათრდეო...

— მერმე? — მოუთმენლად იკითხა ვილაცამ.

— ხმალი რომ ხელთ მქონოდა, თავს წავაცლიდიო. — თვალები აუციმციმდა თეიმურაზს. — თქვენ კი... ალბათ, ამ სამოსმა შეგაშფოთათ. ეს ყოველივე ნადირ-შაჰის ნაჩუქარია. ისე მივეჩვიე, ადვილად ვერ დავთმობ. სული კი, მამაო, სული ისეთივე წმინდა და შეურყვნელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაქვს, როგორც პაპაჩემ თეიმურაზს ჰქონდა სიკვდილის დღემდე.

— მაინც რას გვიპირებს, მეფეო, ნადირ-შაჰი? — შეკადრა ჯანდიერმა და ხორკლიან არგანზე ხელი მოინაცვლა.

ნადირ-შაჰს უნდა, დააჩოქოს აღმოსავლეთი ირანის წინაშე, აღუკვეთოს სხვა ქვეყნებს მათზე ბატონობა, თავის ერთგულებაში დაარწმუნოს და ისე დაბრუნდეს ლაშქრობიდან. დაბრუნების შემდეგ კი იქევ კავკასიაში აპირებს გამოლაშქრებას: საქართველოს მტერი უნდა მოვდრიკოთ. რაც ჩემი ქეთევანი რძლად გაიხადა, უფრო მეტად შეიყვარა ჩვენი ქვეყანა.

— გამოდის, რომ ურუმი მოვიშორეთ და ყიზილბაში შემოვუშვით, — თქვა თამაზ ენდრონიკაშვილმა, მწითური წამწამები ზედიზედ დაახამხამა და ისე დაამატა, — ურუმის მიხაცემ ხარკსაც ეგენი წაიღებენ. ხომ ეგრე გამოდის?

— ეგრე გამოდის, მაგრამ შეღავათს მოგვცემენ. — დაყოყმანდა თეიმურაზი.

— მაგათი შეღავათი ჩემ მტერს მიეცა, — ჩაიცინა ირონიულად თამაზმა.

— სხვა გზა არ არის. — ხასიათი წაუხდა თეიმურაზს.

— მერმე და ხალხს რაღა ვუთხრათ?

— არ მესმის, თავადო!

— ხალხს ნიათი აქვს გამოცლილი. ერთდროულად კი ოთხი ბატონის სამსახურსა ვთხოვთ, — ისევ აახამხამა მწითური წამწამები.

— ოთხს არ მოვითხოვთ.

— ყიზილბაშს გადასახადი, — თითებზე ჩამოთვლა დაიწყო ენდრონიკაშვილმა, — მეფეს გადასახადი, ბატონს გადასახადი, ლეკი კიდევ თავისას მოითხოვს. რა უნდა ქნას წელში გაწყვეტილმა გლეხმა?

თეიმურაზი მწარედ ჩაფიქრდა. ნაღვლიანი თვალები ჯანდიერს მიაპყრო და უიმედოდ დაილაპარაკა:

— სპარსელები ლეკს ჩამოგვხსნიან.

— მაგიერად ორმაგად გაადიდებენ გადასახადს.

— მაგას ვერ იქმენ.

— მეტსაც იქმენ, მეფეო. გლეხს კი მხოლოდ ორი ბატონის სამსახური თუ შეუძლია. — მტკიცედ განაცხადა ენდრონიკაშვილმა.

— ის ორი ბატონი ვინღაა?

— მეფე და თავადი. ან მეფე და ყიზილბაში. ან...

— ან?

— ან არ ვიცი, მეფეო... თავად განსაჯეთ!

— გლეხკაცის გასაჭირი მეც კარგად ვიცი, თავადო, მაგრამ ძალა აღმართს ხნავს. მინდა, გულით მინდა, გლეხს შემწეობა აღმოვუჩინო, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ გამაჩნია და ეს მაშინებს. სპარსნი გვჭირდება მეკავშირედ. მეკავშირეს კი საზღაურის მიცემა ნებავს. სხვა მეკავშირეს მივმართავდი, მაგრამ ჩემი ძე ირაკლი მათ ხელშია... დაბრუნდება, მოვმაგრდები და, ვინ იცის, როგორ წაიმართება ჩვენი საქმენი.

ჯანდიერმა მძიმედ დაუკრა თავი თანხმობის ნიშნად, ვამეხ ვაჩნაძემ ტუჩები ააცმაცუნა, მაგრამ ისევ დუმილი ამჯობინა, მაყაშვილმა ასაფრენად განზადებული ქორის თვალებით მოათვალიერა გვერდში მყოფნი და მაგარი ქედი მოისრისა, აბელ ენდრონიკაშვილმა მრავალმეტყველად ჩაახველა, ცალი წარბი აათამაშა და განზე გაზიდულ ულვაშზე თითი გადაისვა. მისმა ძმა თამაზმა კი თვალები დაივიწროვა და სამარისებურ სიჩუმეში შთამაგონებლად განაცხადა:

— დროს დაცდა არ უყვარს... თუ ნადირ-შაჰმა რჯული ჯერ კიდევ არ შეგვიცვალა, ეს იმას არ ნიშნავს, საბოლოოდ ხელს აიღებს ამ განზრახვაზე.

— მაშ, როგორ მოვიქცეთ? — უმწეოდ იკითხა თეიმურაზმა.

— თადარიგი აქედანვე უნდა დავიჭიროთ. აკი ბრძანეთ, ნადირ-შაჰმა ინდოეთზე გაილაშქრაო.

— მერმე?

— ამბოხი უნდა ვქნათ და ყიზილბაში გადავრეკოთ, — თვალები აახამხამა თამაზ ენდრონიკაშვილმა და დარბაზისაკენ გააპარა მზერა თანაგრძნობისათვის.

— ჭეშმარიტი სიტყვაა, — დაიძახა ვაჩნაძემ. და გრიგოლ ალავერდელს გადახედა — რას იტყვი, მამაო?

— ვერაფერს ვიტყვი. — მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ თქვა გრიგოლმა, — ამბოხიც ძნელია და უმოქმედობაც.

— ამბოხი შეუძლებელია, ბატონებო, — თავი იპოვნა თეიმურაზმა, — ჯერ ერთი, დაქსაქსული ვართ, და კარგად არ ვიცი, ვინ გამომყვება და ვინ მიორგულებს. მეორე ის არის, ჩემი ირაკლის სიცოცხლეს საფრთხე მოელის ასეთი ამბოხებით. მაშინ რაღა ვქნა? ვის გავუყო გამარჯვების ნაყოფი? ვინ უპატრონოს ბედკრულ საქართველოს?.. მე უკვე აღარ შემიძლია, გულის ფრიალმა დამასუსტა. გარეგნულად რომ ხორცსავსეს მხედავთ, შიგნიდან სული გატანჯული მაქვს, — თვითონვე არ მოეწონა თეიმურაზს თავისი წუწუნი და ნათქვამის გამოსასწორებლად ესლა მოახერხა, — დღევანდელ საქართველოს ვერვინ გადაარჩენს, თუ ჩემს ირაკლის ირანში მოკლავენ. რას იტყვის დარბაზის ერი?

— მეფე მართალია. დავემორჩილოთ მის ბრძანებას, ვაღიაროთ ყიზილბაშთა პირველობა და ჟამს დაველოდოთ. — თქვა მოხუცმა ჯანდიერმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგა ხანს გამეფდა დუმილი. ბოლოს ისევ თეიმურაზმა დაიწყო:

— სპარსთა ლაშქარი თბილისშია, ნადირ-შაჰის ძმა იბრეიმ ხანი მზად არის, აზღვევინოს ორგულს და მუხანათს... ვალი გვდევს, დავულოდნეთ და, როგორც სპარსული ანდაზა გვასწავლის, საითაც ქარი ჰქრის, ნაგავიც იქით გავგავოთ.

— ამბობენ, ქართლი მთლიანად აიკლო იბრეიმ ხანმა და კახეთისაკენ მოემართებაო. — სწრაფად შეაგება ვაჩნაძემ.

— დანამდვილებით არავინ იცის, ვამეხ ბატონო, — ხმა ამოიღო აქამდე მდუმარე დედოფალმა, — გრძელი წამწამები ნებიერად დაეფახულა და კრძალვით განაგრძო: — ვიდრე ირაკლი სპარსეთშია, ჩვენ ვერ ვიბრძოლებთ მათ წინააღმდეგ. გონიერი და წინდახედული პოლიტიკით ჩვენივე მტრების მოსასპობად უნდა გამოვიყენოთ სპარსთა მხედრობა. ყოველთვის სახეში როდი სცემენ მტერს?

— არც ეამბორებიან, დედოფალო, — ჩაუჭრა თამაზ ენდრონიკაშვილმა.

— ეამბორებიან კიდეც, თუ საჭიროა. ამით ავიწყებ მტრობას, და, როცა ხელსაყრელ დროს შეურჩევ...

— თუ მანამდე მტერმა შეგვირჩია ხელსაყრელი დრო?

— არც ჩვენ დავიძინებთ, თავადო! ღვთის მადლით, ცოცხალი დაბრუნდა თეიმურაზი, ქვეყანას ძალა და იმედი მოემატა. ყაფლანიშვილებიც ჩვენს მხარეს არიან. ვინ იცის, როგორ წარიმართება ჩვენი ქვეყნის საქმე. არც ჩემი ირაკლის ისპაჰანს ყოფნა ნიშნავს დასჯას და დაღუპვას სამეფოსას. არავინ იცის, როგორ დაბრუნდება შაჰის კარიდან. ჩამოვა და მერმე, ვინ იცის, როგორ დატრიალდება ბედის ბორბალი. — თამარმა სათქმელი დაასრულა და თვალი იატაკის რომელიღაც წერტილს გაუშტერა.

— დედოფალი მართალსა ბრძანებს, — ქორის თვალები მოავლო დარბაზს აქამდე მდუმარედ მჯდარმა მაყაშვილმა, სათქმელის ძებნაში ღონიერი ქედი მოისრისა და ის იყო, უნდა ლაპარაკი დაეწყო, რომ კარებში მსახურმა შემოიხედა: მალემსრბოლიაო.

შემოვიდეს! — ბრძანა თეიმურაზმა.

ღია კარში პირხმელი მაცნე შემოვიდა, რომელიც ყველამ იცნო. დანახვისთანავე. მისმა თვალებმა თამაზ ენდრონიკაშვილის თვალები მოძებნა და გაზეპირებულივით დაიწყო ამბის მოყოლა:

— ლეკი შემოგვესია, ბატონო. ააოხრეს გავაზი, შილდი, ყვარელი, ენისელი და როცა აქეთობას მოვდიოდი, ალაზანზე გამოდიოდნენ. თუ არ ავჩქარდით, ქიზიყსაც ააოხრებენ.

— ესეც მე ვარ, ბატონებო, რა უნდა ვუყურო?! — ხელებიხშლით წამოდგა თამაზ ენდრონიკაშვილი და ისე შეშფოთდა, თითქოს მხოლოდ მას ეხებოდა ეს ამბავი.

— ქუდზე კაცი უნდა გავიყვანოთ, თავადო, — თქვა მოხუცმა ჯანდიერმა.

— უნდა გავიყვანოთ, ჩემო ბატონო, მაგრამ ვისი მამული ოხრდება და ტიალდება?! ვამბობ, მოვიშოროთ-მეთქი ეს გალმამხარი და არავინ მიჯერებს.

— ცხენები! — ბრძანა თეიმურაზმა და თათბირი დამთავრებულად გამოაცხადა.

— ნუ ინებებთ, მეფეო! — წინგადადგომა დააპირა თამაზ ენდრონიკაშვილმა, — მე თვითონ მოვუვლი მაგ ძაღლიშვილებს, თქვენ ნუ შეწუხდებით!

— არა, მე თავად მინდა, გავდიო იმ წუეულებს!

—მიბრძანე, მეფეო! — წამოდგა აბელ ენდრონიკაშვილი.

— შეგიძლია მეახლო, ჩემო აბელ!

დარბაზი ახმაურდა.

— ტყუილად წუხდებით ამდენი ხალხი. მარტო ვითავებდი ამ ძნელ საქმეს და ჰკუას ვასწავლიდი იმ წუეულებს! — ფეხდაფეხ გამყვა მეფეს თამაზ ენდრონიკაშვილი.

## ბჵობა მდინარესთან

ნადირ-შაჰი ბრძოლებით, ქოლერითა და სხვადასხვა მიზეზებით განახევრებულ ჯარს კვლავ წინ მოუძღოდა ჯანაბადისკენ. ყარქის მდინარეზე გადებულმა ჯიმირმა უმტყუნა და აურაცხელი სურსათ-სანოვაგე წყალში ჩაენთქა. პირუტყვი და ადამიანიც ბევრი იმსხვერპლა.

მბრძანებელი ზარალს არ შეუშინდა, ექვსი ათასი რჩეული მეომარი დასაზვერად დაქსაქსა და თავად კი მდინარე ქიზოს სანაპიროზე თათბირი გამართა. თათბირზე სარქარდები, მიმბაშები, უზბაშები და დალაბაშები მოიწვია. მათ შორის ქართველ უფლისწულსაც საგანგებო ადგილი ექირა. თავად ნადირის გვერდით კი მისი ძე ნასრულა, ლაურის ხანი ზაქარია, და ქიშიმირის რიგვანი ფახრათ დოვლათ ხანი ისხდნენ.

— ჩემო უშიშარო მეომრებო, ძმებო და შვილებო, — მჭევრმეტყველურად დაიწყო ნადირმა, — ჩვენ გამოვიარეთ უკაცური, ხორშაკიანი ტრამალები და ღლემდე გაუვალი ღრანტეები. გადმოვლახეთ ფეხშეუდგამი მთები და ტყეები, მედგრად ვექვეთენით მდინარეთა ტალღებს, რომელიც ყველას ერთად და თვითეულს ცალცალკე სიკვდილს გვიქადდა. გავუძელით ყინვას და შიმშილს, დავიპყარით ქვეყნები და აი, აქ, ინდოეთის გულის, ჯანაბადის მისადგომებთან მოვაღწიეთ. წინ ოცდაათი ფარსანგია, უკან — ათასზე უმეტესი, წინ ოქროები და ძვირფასი თვლებით მოოჭვილი ბედნიერება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგველის, უკან კი — დევნა, ტანჯვა და სიკვდილი. გადაწყვიტეთ, რომელს აირჩევთ?!

— წინ, მბრძანებელო. — დაიძახეს ერთხმად და ნადირ-შაჰსაც იმედიანად გაეხსნა შუბლი.

— თავქვე მიექანება ქიზოს მდინარე. იგი ვერასოდეს ვერ შებრუნდება და აღმა ვერ წავა. ჩვენც ერთი გზა გვიძევს, გზა ჯანაბადისკენ. გისურვებთ ძელქვის გამძლეობას და მგლის შემართებას ამ დიად გზაზე.

ხალამოთი ტყვეები მოიყვანეს, რომელთაც აუწყეს, რომ ინდოთა მხედრობა სამასი ათასს აღწევს და ათასი სპილოც ახლავსო. თავად მაჰმად-შაჰი ქალაქიდან ოცდაათი ფარსანგით აქეთ არის დაბანაკებული მრავალი ჭარბაზანითო. ნადირმა ერეკლე ბატონიშვილი და ხუთი სხვა ცხენოსანი გაიყოლია ინდოთა მეფის ბანაკის დასაზვერავად. მის ყოველ მოქმედებაზე დაკვირვებით ერეკლე გრძნობდა, რომ ხამყაროს მბრძანებელი ყველაზე მეტად თავის ალღოსა და გუმანს უჯერებდა. მართალია, არა ერთ შეკითხვას აძლევდა გვერდში მყოფებს და მათ ყოველ პასუხს მაშინვე ეთანხმებოდა, ან უარყოფდა, მაგრამ ხინამდვილეში აკეთებდა ისე, როგორც მიაჩნდა.

— იქნებ მოსწყინდა გურჯ ბატონიშვილს ტყე-ღრეში ხეტიალი? — წარბები აზიდა ნადირ-შაჰმა და იმჟამად უზომოდ მოწყენილ ბატონიშვილს მზერა მიაპყრო.

— თქვენთან ტყე-ღრეში ხეტიალი სამეფო ნადიმს მირჩევნია, მბრძანებელო. ამ ლაშქრობაში ბევრი რამ ვისწავლე თქვენგან.

— და იქნებ ოდესმე ჩემს წინააღმდეგ გამოიყენო?

— ქართველს უმადურობა არ სჩვევია.

— იქნებ გივი ამილახვარი დაგავიწყდა, ანდა ცბიერი გურჯი გიორგი სააკაძე?

ერეკლემ იცოდა, რომ გივისთან ყველაფერში ნადირ-შაჰი ტყუოდა და მისი უმადურობა საბუთად არ გამოდგებოდა. ეს ალბათ ნადირ-შაჰსაც კარგად მოეხსენებოდა, მაგრამ თავისი აზრის დასტურად სჭირდებოდა და ამად ახსენა ზვიადი ქართველი მებატონე, რომელიც თავისი სახლის დამცირებას მამაზეციერსაც არ აპატიებდა. გაახსენდა, რომ გივის ლამაზი ახულის სპარსეთში წამოყვანამ სამუდამოდ გაამწარა და დაამწუხრა მისი უსაყვარლესი თეიმურაზი, რომელიც ანტონის სახელით მონასტრის კედლებს შეეხიზნა. ამ მოგონებამ გული ატკინა და ღრმად ამოიოხრა. სააკაძე კი... სააკაძე რაღაზე ახსენა? მისი გულისათვის ხომ ნახევარი საქართველო ააოხრეს და ხხვას რაღას მოითხოვს?

— რაო? — შენიშნა — ნადირ-შაჰმა.

ერეკლე მიხვდა, რომ ერთმა ამოკვნესამ მისი ნახევარი საიდუმლო გასცა და უკანდახევა შეუძლებელი იყო.

— ერთი ჩემი საყვარელი მეგობარი ბერად აღიკვეცა და ის გამახსენდა. ასე რომ არ ყოფილიყო, ისიც ახლა გვერდით მეყოლებოდა.

— მოტყუებულა. გონიერმა კაცმა ამ უკუღმართ წუთისოფელს ჯერ ყველაფერი უნდა წაჰგლიჯოს და როცა ცოდვებით დაიტვირთება, მაშინ მიაშუროს მყუდრო სავანეს, მაშინ იზრუნოს სულის განსაწმენდად.

ნადირის ნათქვამმა დაურიდებელმა სიმართლემ ხასიათი წაუხდინა ერეკლეს, უნაგირზე ჯიუტად გასწორდა და დუმილი ირჩია.

— რაღაცის თქმა გინდოდა, შვილო. მითხარი, ნუ კრთი! ნადირ-შაჰის ყურნი ხასმენელნი მარად მზად არიან ჭკვიან სიტყვათათვის.

— ერთი მწერალი გვყავდა, სულხან-საბა. იმას აღუწერია მრავალი იგავი და თვალით ნახული სინამდვილე. დიდად ნაცადი კაცი ყოფილა დ ერთგან გვასწავლის, „ხელმწიფეხთან მყოფს კაცს ხუთნი საქმენი უნდა სჭირდესო.

— ჩამომითვალე, რა არის ეგ ხუთნი საქმენი!

— პირველი: სიტყვა ტკბილი უნდა ჰქონდეს; მეორე: გამწყრალი დააწყნაროს, არა თუ მხიარული განაწყროს; მესამე: პირიდან ავი სიტყვა არ წაიცდინოს; მეოთხე: სიტყვის თქმის ჟამი იცოდეს; მეხუთე: რაც თქვას, ყოველ კაცს მოაწონოს“.

— ბრძენი ყოფილა.

— ბრძენი იყო.

— სპარსული ენა თუ იცოდა?

— ძალიან კარგად. „ქილილა და დამანა“ უთარგმნია ქართულ ენაზე.

— შაბაშ მის მწერლობას! ნამდვილად გონიერი ყოფილა... თქვი, რაც გწადა!

ხმის ამოღება აღარ ეწადა ერეკლეს, მაგრამ ნადირ-შაჰის ეჭვიანმა გამოხედვამ აიძულა ხმა ამოეღო:

— იმ ჩემი მეგობრის საცოლე თქვენს ჰარამხანაშია. ამან აიძულა ბერად შედგომა...

ნადირ-შაჰმა გულიანად გადაიხარხარა და ერეკლე ბატონიშვილს სათქმელი გაუწყდა. სწორედ ამ დროს მის გვერდით მიმავალი მხედარი ცხენზე შექანდა, პირი მოეღრიცა, მწარედ დაიგრიხა და პირთავქვე გადმოეკიდა უნაგირიდან.

— ერეკლე ხან!.. — შესძახა ნადირ-შაჰმა და ცხენი წინ გააქანა, მომყევით!

ერეკლემ ქუსლი ამოჰკრა არაბულ ტაიჭს და ნადირ-შაჰის ბედაურს წამოეწია.

საიდანაც ტყვია გამოვარდა, პატარა კორომი იყო და ნადირმა იფიქრა, დიდი მხედრობა არ იქნებაო. კორომის თავზე ღია ველი და ლურჯი ზეცა მოჩანდა.

დიდრონ ხეებს რომ გაუსწორდა, იქ შეა-

ჩერა ცხენი ხელმწიფემ, ხეები იფარა და თვალთვალი დაიწყო კორომის სიღრმისკენ.

ერეკლეს ჯერ ისევ ყურში ედგა ნადირ-შაჰის იქედნური ხარხარი და ბოლმა ვერ დაეოკებინა. თანაც გასროლით გამოწვეულ ალმოფოთებას აემღვრია სისხლი და მასში ბრძოლის ჟინი გაეღვიძებინა. ისევ თვალწინ ედგა სიმწრისაგან პირმოღრეცილი, ხელმწიფის საყვარელი თურქმანის გრძელი სახე და მეჩხერწვერიანი ნიკაპი.

— ერეკლე ხან! — დაიჩურჩულა ნადირ-შაჰმა.

— მიბრძანეთ, მეუფეო.

— გუმანს ვენდობი და დღემდე არ უღალატია. სიკვდილს უკანდასახევი გზა არ გააჩნია. თუ ბევრი არიან, ალყაში მოგვიქცევენ, და ხმალს უნდა მივენდოთ. სხვა გზა არა გვაქვს. ლოდინი ახლა ზედმეტი ბარგია და გონება ჩემი სწრაფმოქმედებას * მიკარნახებს. ორნი დარჩებით. ჩვენ უკან გავაჭენებთ და ისინი უთუოდ სროლას დაგვიწყებენ. შემდეგ სწრაფად შემოვბრუნდებით და სანამ მეორედ დატენავენ, ხმლით მივეტევებით.

რაკილა განსჯის დრო აღარ გააჩნდათ, ერეკლეც მაშინვე დაეთანხმა ნადირ-შაჰის ამ გადაწყვეტილებას და სამმა მხედარმა უკანვე გააჭენა. საუკეთესო არაბულ ბედაურებზე დანატრებულმა ინდოელებმა ცხენებს აარიდეს და პირდაპირ მხედრებს დაუწყეს სროლა. სპარსთა საიმედო ჯაჭვ-მუზარადი კი ტყვიას იხლიტავდა და უვნებლად გაალწევს სამშვიდობოს. მაინც კმაყოფილნი დარჩნენ. იფიქრეს, გავაქციეთო და, როგორც კი ცხენთა ფეხისხმა მინელდა, თოფგადაკიდებული ჩალმიანი მეომრები გზაზე გადმოვიდნენ. მხიარულობდნენ, იცინოდნენ და ერთმანეთს ხელებით ელაპარაკებოდნენ, ისინი იქით იყურებოდნენ, საითაც მხედრები მიეფარნენ და სავალი გზიც იქით აილეს. მცირე ხანს ადროვეს ერეკლემ და მასთან დარჩენილმა მხედარმა და როცა სათოფე მანძილზე გავიდნენ, მარჯვედ ესროლეს, ყიჟინა დასცეს და ცხენდაცხენ მიეჭრნენ ხმალამოწვდილნი. სანამ თავბრუდახვეული ჩალმიანები გონს მოვიდოდნენ, შემობრუნდებოდნენ და ხმალს შემართავდნენ, მეორე მხრიდან ნადირ-შაჰი და მისი მხლებელნი მოიჭრნენ თოფების სროლით. მერე მათაც ხმალი იშიშვლეს და ათიოდე კაცი ხუთი კაცის ალყაში მოექცა. ერთხანს შებმა დაპირეს, მერე უცებ ნირი წაუხდათ და ტყეში მიმალვას შეეცადნენ, მაგრამ ნადირ-შაჰის ხმალმა გზა გადაუღობათ.

— დაგვნებდით, უბედურნო! ნადირ-შაჰი არაფერს ერჩის თქვენს სიცოცხლეს! — მიმართა მათ მბრძანებელმა.

— ნადირ-შაჰ!.. ნადირ-შაჰ .. — ხელები აღაპყრეს ტყვედ დანებების ნიშნად და მუხლებზე დაეცნენ.

## ხეს უთქვამს

მსახურთ თორ-მუზარდი მოართვეს მეფეს. სამეფო მოსასხამი მოჰხადეს და თავადვე მიეხმარნენ შეჯავშნაში. მეჯინიბემ თეთრი ფაშატი მიაყენა სასახლის კიბესთან და ბატონის გამობრძანებას დაელოდა.

უმეტესად დედოფალი დაბრძანდებოდა ამ ცხენით, მაგრამ ლეკებთან ბრძოლის დროს ისე ასახელა თეიმურაზი, უკეთესს ვერ მოითხოვდა. მეჯინიბე ამტკიცებდა, ქუდბედიანი ცხენიაო და საგანგებოდ უვლიდა.

ცხენზე ამხედრებულ თეიმურაზს გალავნის კარიბჭესთან გოდერძი სულაკაური შეეგება ახალგაზრდების რაზმით.

— ვისი რაზმია, ჩემო გოდერძი! — წყობა მოეწონა თეიმურაზს.

— ბატონიშვილისაა, დიდო ბატონო, — დაირცხვინა გოდერძიმ, მაგრამ რაკი თეიმურაზს ალტაცება შეატყო, უმალ დაამატა: — იმისი გაწვრთნილია.

— ისე გაწვრთნა, რომ თითო ათ კაცს ეომება, — დაამატა ვილაცამ.

სასახლის ეზოდან ხმაურით გამოიკრიბნენ დიდებულები. ერთი ნაწილი თეიმურაზს შემოეხვია, სხვები თაყვანით დაემშვიდობნენ და აქეთ-იქით გაიფანტნენ. აბელ ენდრონიკაშვილი მეფეს ამოუდგა მხარში, თამაზმა ცხენს მიმართა, სწრაფად ამხედრდა და უკანმიუხედავად გააჭენა.

— ყოჩაღ, შვილებო! — შეაქო თეიმურაზმა ახალგაზრდები, — აბა, დღეს გამოჩნდება თქვენი ერთგულება.

გოდერძი შეჯდა და ბიჭებს ანიშნა მომყევითო.

თეიმურაზს გარშემოხვეული თავადები უყოყმანოდ ამხედრდნენ და ბატონის მხარდამხარ გაყოლა ამჯობინეს.

ალაზანზე ჩაუსწრეს მარბიელებს. ქიზიყის ახლო სოფლები სახელდახელოდ მოერბიათ და ფონზე მიეშურებოდნენ. უკანიდან ქიზიყელი გლეხები მოსდევდნენ ნიჩბებითა და ორთითებით. ზემოთ, ცის ტატნობზე, ცხენოსანთა რაზმი გამოჩნდა. თეიმურაზი მიხვდა, რომ მდევარი იყო. რაზმი ააჩქარა, ფონზე ჩაუსწრეს და ტყიანს შეეფარნენ.

გოდერძიმ მყუდრო ადგილი შეურჩია მეფეს, თავისი მცველებით, და სთხოვა, არ გამოსულიყო, სანამ ძალიან არ გაუჭირდებოდათ. თუ გაგვიჭირდა, მაშინ გამოჩნდი და ხმამაღლა დასჭყივლეო. თეიმურაზს მოეწონა გოდერძის აზრი.

როგორც კი ყაჩაღები მოახლოვდნენ, გო-

დერძის რაზმელები უცებ გამოცვივდნენ და ხმლები იშიშვლეს. შეშკრთალმა ყაჩაღებმა ნადავლი დაყარეს და ფონზე აიღეს გეზი. ფონთან მეომრების მეორე დასტა იყო ჩასაფრებული და თავი ამოყვეს, ყაჩაღებს აღარც უკანგასაქცევი გზა ჰქონდათ, რადგან მელ-კეტიანი გლეხები უახლოვდებოდნენ, და ხელ-ჩართული ბრძოლა გაიმართა. გოდერძიმ პირველივე შემხვედრ ყაჩაღს მარჯვენა ჩამოათალა და სხვაზე მიიწია. მეორემ ლონივრად შემოუქნია ხმალი, მაგრამ გოდერძი მეცელზე მოექცა ცხენსა და მახვილმა შხუილით გააპო ჰაერი. შეცბუნდა ყაჩალი, თვალები რისხვით დააბრიალა, ცხენიდან გადმოვარდნისაგან თავი შეიკავა და, ის იყო, ხელახლა აპირებდა ხმლის შემართვას, რომ უნაგირზე გასწორებული, გოდერძის ხმალმა ძირს ჩამოაგდო.

უსაზღვრო იყო თეიმურაზის აღტაცება. მოეჩვენა, რომ გოდერძის ნაცვლად ბატონიშვილი ირაკლი იბრძოდა და უჩვეულო ძალა შეიგრძნო. ხეირის ყურებამ იმდენად გაიტაცა მეფე, რომ სული გატრუნა. ამ დროს ვილაცამ დაიძახა, მალაჩი ბელადიო. გოდერძიმ ამ ძახილს წამით მიაქცია ყურადღება, ცხენი ყალყზე შეაყენა და შავ ცხენზე ამხედრებული ლეკთა ბელადი შეამჩნია ფონის სიახლოვეს. მაღლა შემართული ხმალი მუქარის ნიშნად ოდნავ შეაქანა და მალაჩისკენ უნდა შეებრუნებინა ცხენი, მაგრამ მკერდთან ძლიერი ძგერება იგრძნო, ძალლონე გამოეცალა, უნაგირზე შექანდა და უმწეოდ გადმოეკიდა.

— ჰაიტ, თქვე ძაღლებო! — დასძახა თეიმურაზმა, ხმალი იშიშვლა და მხნედ გამოიჭრა საფარიდან თეთრი ბედაურით. პირველივე მივარდნაზე ერთ ყაჩალს თავი გაუჩეხა და მეორეს ეკვეთა.

თეიმურაზისა და მისი მცირე, მაგრამ საგანგებოდ შეიარაღებული დასტის დანახვაზე საბოლოოდ შეშინდნენ ყაჩაღები. ამასობაში მალაჩი ბელადის შავმა ბედაურმა ფონი გასტოპა და უკანიდან კი თამაზ ენდრონიკაშვილი გაედევნა ძახილით:

—ვერსად გამექცევი, ძაღლიშვილო!

— ფონი შეკარით! — დაიძახა თეიმურაზმა და პირველმა თვითონ მიაგდო ცხენი ფონის გადასაკეტად. წამით დაბნეული გოდერძის რაზმელები ისევ გონს მოეგნენ და სწრაფად გადაკეტეს თავთხელი ალაზანი.

ამასობაში ქიზიყელმა გლეხებმაც მოაღწიეს ხელკეტებითა და ორთითებით. უკანიდან კი ცხენოსანთა რაზმი მოადგათ. ყაჩაღები ერთხანს შეეცადნენ, ხმლით გაეკაფათ გასაქცევი გზა, მაგრამ რაკი უმწეონი აღმოჩნდნენ, დანებების ნიშნად ხელები აღმართეს და ნუ დაგვხოცავთო, შეევედრნენ.

ქიზიყელებმა მაინც არ შეაჩერეს ხელკეტები და იქამდე უჟაპუნეს, სანამ ყველანი ცხენებიდან არ ჩამოყარეს. მერე ხარ[illegible] მოხსნეს და ხელები შეუკრეს. ხუთი [illegible] მოხუცმა ყორჩურამ მისცა: გაქცევას თუ დააპირებენ, შარვალი ჩახძვრებათ და ფეხები გაეცვრებათო.

უშიშრად დაიქვეითა თეიმურაზმა და ნირწამხდარი მიუახლოვდა გოდერძი სულთაკავრს:

— რად მირჩიე, არ გამოხვიდეო, შვილო? თავიდანვე რომ შენთან ყოფილიყავი, გადაგარჩენდი.

— ნუ იდარდებ, დიდო ბატონო! — დაიკვნესა ღასუსტებული ხმით და უფრო დაეცვარა შუბლი ოფლის წვეთებით, — ერეკლეს გადაეცი, ჩემ შვილს მიხედოს, ჩემს პატარა მურთაზს... გაიზრდება და მტრის ჯავრს არ შეუჭამს...

— ყველას მივხედავთ, მაგრამ შენ რაღას გიშველით, შვილო?! ერეკლეს რა ვუთხრა, როცა გიკითხავს?

— ვაჟკაცურად მოკვდა-თქო... მალაჩი მოკლას.

— ირაკლის ვფიცავ, სისხლით აზღვევინებს ყველას. ჯავრს ნუ წაიყოლიებ!.. დაბრუნდება და... არც დედაშენს დავაგდებთ უიმედოდ.

* * *

დალონებულ-დაძმარებულმა თეიმურაზმა ტყვეები თელავის ციხეში წააყვანინა და თვითონ კი დაჭრილ-დახოცილთა მოვლის თადარიგს შეუდგა. ახლომახლო სოფლებიდან ურმები ჩამოატანინა, ზედ დააწვინა და თელავქიზიყისაკენ დაათავთავადა. თვითონ ამხედრდა და ამალასთან ერთად ჯერ ქიზიყშიავიდა, იქაურ ჭირისუფლებს მიუსამძიმრა, სისხლისზღვევა აღუთქვა ყველას და მერეღა გაემართა თელავისაკენ.

მეორე დილას ტყვეები დაჰკითხეს.

მეფის წინაშე ყველაზე პირველად აბდულა წარუდგინეს, რომელსაც ორჯერ აპატია ბატონიშვილმა შეცოდება.

— ღმერთო დიდებულო, უკვე მესამედ?!. აკი შემპირდი, შენს ხალხს აღარას ვავნებო?.. ვინ გაუშვებს მეორედ ეს დაწყევლილი, აკი ტყვედ დავტოვე, სპარსეთს რო წავედი?

— მე და ირაკლიმ განვუტევეთ, მეფეო, — დაირცხვინა დედოფალმა, — რაკი შენ ტყვედ წაგიყვანეს, მაგისი ცოლ-შვილი წარმოვიდგინე ჩემს დუხჭირში და მეორე დღესვე ამოვაყვანინე დილეგიდან. პირობა მოგვცა, თქვენი სახლის ერთგული ვიქნებიო და აკი გაგვაწბილა ამ შერცხვენებულმა.

— დილეგში ჩააგდეთ და თვალით აღარ დამანახვოთ! — განრისხდა თეიმურაზი.

ახლა სხვა მოიყვანეს. ოცდაათიოდე წლის საოცრად შავთმიანი, პირქუში ახალგაზრდა.

— რად ვვიზარდები ეზოებში, შე ძაღლიშვილო? — ჰკითხა თეიმურაზმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ ვიხი. ქართული არ ვიხი.

— ლეკურად მიპასუხე

— არ ვისი. არაფერი არ ვისი.

—მოიყვანეთ, ვისაც ამისი ენა ემარჯვება.

მეფის ერთგული ნალეკარი ქართველი მოიყვანეს მთარგმნელად.

— მეფე გეკითხება, რად ვვივარდებით ეზოებში და რად აწიოკებთ ქვრივ-ობლებსაო? — შეეკითხა თარჯიმანი.

— არ ვისი. ქართული არ ვისი.

— ლეკურად მიპასუხე!

— არ ვისი. არაფერი არ ვისი.

— ჩააგდეთ დილეგში და ორ კვირას საჭმელი არ მისცეთ! — ბრძანა თეიმურაზმა.

— ამას ყველანი ვიცნობთ, დიდო ბატონო. — მიუთითეს ახლადშემოყვანილ ტყვეზე გოდერძის რაზმელებმა — გუჯაშვილია.

— ახლა რაღას მეტყვი, გუჯაშვილო, ხომ შევხვდით ხელახლა? — წამოდგა თეიმურაზი და მისკენ წავიდა.

— ჩემი ბრალი არ არის, დიდო ბატონო, — მუხლებზე დაეცა გუჯაშვილი, — თამაზ ენდრონიკაშვილი მაქეზებდა.

— სცრუობ, ძაღლიშვილო! — ეშმაკურ ხრიკად ჩათვალა თეიმურაზმა მისი ნათქვამი. იფიქრა, ერთგულ თავადთან წაკიდებას მიპირებსო. მით უფრო განრისხდა, რაკი გაახსენდა, რარიგად გაედევნა ხმალამოწვდილი ენდრონიკაშვილი მალაჩი ბელადს, — თავად წაბილწულს სხვაც გინდა წაბილწო, არა?!

— ცა ჩამომექცეს, თუ ვცრუობდე!... ესე მოგვახსენებს, სანამ ქიზიყს არ შევაწუხებთ, გაღმა მხარს ნება-სურვილით არ დასთმობენო.

— გაღმა მხარის დაკარგვა რით უნდა ახარებდეს თამაზ ენდრონიკაშვილს? — კი არ გაიფიქრა, თავისთვის ჩაილაპარაკა თეიმურაზმა და წელანდელი დაკითხული ლეკი გაახსენდა, „არ ვისიო“, ყველაფერზე რომ გაიძახოდა. ბრძანა, ის ლეკი ხელახლა ამოეყვანათ და თვითონ კი გუჯაშვილთან განაგრძო საუბარი, — შენ ხომ კარგად იცნობ ბატონიშვილ ირაკლის?

— ვიცნობ.

— მერედა, ხომ იცი, რომ ის არ შეგარჩენდა? რად დაუჯერე ენდრონიკაშვილს?

— ირაკლის ან თავს მოსჭრიან, ან თვალებს დასთხრიანო, ეგრე გვაჯერებდა. თქვენზეც გვითხრა, თვალებდათხრილი დაბრუნდაო. ხვალ თაბორი გვაქვს და ყველანი იქ ვიქნებითო. ამასობაში ჯერ ქიზიყს შევსიენით და მალემსრბოლი მერმე გამოგზავნეთო. მდევარში მე გამომგზავნიან და დარდი ნუ გექნებათო.

— მალემსრბოლი მომგვარეთ! — დაიძახა თეიმურაზმა.

ამასობაში წელანდელი დაკითხული ლეკი შემოიყვანეს.

— თამაზ ენდრონიკაშვილს თუ იცნობ? — ჰკითხა თეიმურაზმა.

— არ ვისი. არაფერი არ ვისი.

თეიმურაზს რაღაც გაახსენდა და შუბლი გაეხსნა. უბიდან შაჰის ნაჩუქარი ოქროს ქისა ამოიღო და ხელზე დაიტყაპუნა:

— მისმინე, ლეკო!.. ამ ქისაში მხოლოდ ოქროები და თვალმარგალიტია. თვალმარგალიტი ხომ იცი?

— ვიხი.

— ოქრო უფრო გეცოდინება?

— ეგეს ვისი, შენი ჭირიმე.

—აკი ქართული არ ვიციო?

— სოტა-სოტა ვისი, ჩემა მზემ!

— თამაზ ენდრონიკაშვილს თუ იცნობ, მითხარი და ამ ქისას გაჩუქებ.

— ზალიან კარგად.

— ტყვეები თუ წაგიყვანია მაგისაგან?

— ტყვეები — სოტა, ზროხა — ბევრი. მაგრამ თუ მაგ ქისას მოგცემ, ენდრონიკეს მაშინვე მოგკლამ.

თეიმურაზმა ქისა უბეში ჩაიბრუნა და ბრძანა, ისევ დილეგში ჩაეგდოთ.

— არ ვისი. ქართული არ ვისი. არაფერი არ ვისი, — ფეხი აითრია ქისის სიხარბით.

ახლა ისევ აბდულა შეიმოიყვანეს.

— აბდულა, დანაშაულს რამდენჯერ აპატიებენ კაცსა?

— ორჯერ.

— მესამედ?

— სიკვდილი.

— ახლა მე რომ ცოცხალი გაგიშვა, მეტყვი, რაც იცი თამაზ ენდრონიკაშვილზე?

— ჩვენი ბელადი ამბობს, რაც ნადავლი მოგვაქვს ქიზიყიდან, ნახევარს თამაზ ენდრონიკაშვილს ვაძლევთო.

— ხომ არ გადასთქვამ?

— რაკი ესეთი მწყალობელი ხართ, აღარ გადავთქვამ.

— ყველაზე კარგი ვაჟკაცი ვინ გეგულება ტყვეებში?

— ოსმანა.

— წაიყვანეთ და ოსმანა მომგვარეთ!

აბდულა იატაკზე დაეცა მეტი სიხარულით რამდენჯერმე აკოცა იატაკს და ძლივსღა აჰგლიჯეს. ძლივსღა მოაშორეს იქაურობას.

— ხომ აღარ მოჰკლავთ, ბატონო? ხომ მართლა მაცოცხლებთ? — ბუტბუტებდა გრძნობამორეული.

ცოტა ხნის შემდეგ ქალივით ლამაზი, პირტიტველი ყმაწვილი შემოიყვანეს, რომელსაც მოუდრეკელი ვაჟკაცის იერს მხოლოდ მაღალი და აბურცული ქედი ანიჭებდა. შესახედავად ძალიან მოეწონა თეიმურაზს და კინაღამ გაუღიმა კიდეც:

— მომიახლოვდი, ოსმან!

ყმაწვილს გაუხარდა თავის სახელის ხსე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნება და გაუკვირდა, გურჯთა მეფემ საიდან იცის ჩემი სახელიო. ნათქვამის შინაარსი მაინც ვერ გაიგო და მხრები აიჩეჩა.

— ეტყობა, ქართული არ იცის. თარჯიმანი მომიყვანეთ! — ბრძანა თეიმურაზმა, რადგან არ უნდოდა, გაუმართავი ლეკურით ესაუბრა.

— უთხარ, სიცოცხლე რომ მივანიჭო, ჩემს კარზე თუ დარჩება და ერთგულად მომემსახურება? — მიმართა თარჯიმანს, როგორც კი შემოვიდა.

— არაო, დიდო ბატონო.

— რატომ-თქო?

— მე ჩემი დაღესტანი დუნიას მირჩევნიაო. ვინც თავის ხალხს ადვილად გადაუდგება, სხვას უფრო ადვილად უღალატებსო.

— ახლა რომ გაგიშვა, რას იზამ-თქო? — პასუხი მოეწონა თეიმურაზს.

— ამას წინათ მამა მომიკლეს და შური უნდა ვიძიოო.

— სად მოგიკლეს-თქო?

— საქართველოშიო. იმ ბიჭმა მოკლა რომელიც გუშინ ბიძაჩემმა ჩამოაგდო ცხენიდანო. თქვენ რომ მოგიკლავთ, ის ბიძამისი ყოფილა.

— შევრიგდეთ, ოსმან! — მიმართა თეიმურაზმა და ხელი გაუწოდა.

ოსმანამ დაბორკილი ხელები მაგრად მომუჭა და უკან დაიწია.

— ღმერთო ჩემო, რა კარგი ბიჭია და რა საცოდავი! — ჩაილაპარაკა თეიმურაზმა, — გაიყვანეთ! — ბრძანა ცოტა ხნის შემდეგ. შემდეგ მაღალ საზურგიან სკამთან მილასლასდა და მოწყვეტით დაეშვა.

ასე იჯდა კარგა ხანს და ხმას არ იღებდა, მერე სამსჯავროს დაშლა ბრძანა და, როცა ყველანი გაიკრიბნენ, შუბლით ხელისგულს ჩამოეყრდნო და თვლემამ მოერია. ცოტაც და ხვრინვა ამოუშვა.

შაჰის კარი დაესიზმრა თეიმურაზს. მარმარილოსსვეტებიან კარავში ოქრომკედით ნაქარგი ბალიშებით მიმოფანტულ ტახტზე ფეხმორთხმით იჯდა ნადირ-შაჰი და აქატის კრიალოსანს ათამაშებდა. ბრძანა და ერეკლე შემოიყვანეს. ბატონიშვილს ხელები ჰქონდა ზურგთან გაკრული, წვერ-ულვაში მოწიფული კაცივით დაეყენებინა და თვალებში სითამამის ნაპერწკლები უკრთოდა.

— რატომ აქამდე არ გათათრდები, გურჯო უფლისწულო?!

— ის, ვინც თავის სარწმუნოებას უღალატებს, სხვისას უფრო ადვილად გასცვლის.

— რაკი ასეა, მიიღე საჩუქარი! — შესძახა მბრძანებელმა და გაშიშვლებული ხმალი ესროლა.

ხმალი ასცდა და სვეტს შეემსხვრა. სვეტი შეტოკდა და უცებ ჩამოიფშვნა. კარავი ნელნელა ძირს დაეშვა და ადამიანები ლანდებს დაემგვანენ. კარავი ჩამოწვა და სული შეეხუთა ყველას. ყველანი იხრჩვებიან და მას — [illegible] თეიმურაზიც. სწადია, იყვიროს, შვილი მეღუპებაო, მაგრამ ხმა არ ემორჩილება. მიშველებას ლამობს, მაგრამ მუხლი არ ერჩის, შფოთავს, ბორგავს, წვალობს და ამასობაში გაეღვიძა. საშინლად დაღლილიყო. ძუაში გაბმული ჩიტივით უფართხალებდა გული და სწორედ ჩიტივით დასუსტებოდა. წამოდგომა დააპირა, მაგრამ ძალა არ ეყო, მკერდზე ხელი მიიბჯინა და ამის დაძახებაღა მოახერხა:

— მანდ ვინა ხართ?!

— მე ვარ, ბატონო. — შემოიხედა ერეკლეს გამზრდელმა ლეკის ქალმა.

— თამარს დამიძახეთ.

მაშინვე შემოვიდა თამარი.

— ო, დედოფალო, რომ იცოდე, კინაღამ დავირჩე. — შესჩივლა თეიმურაზმა.

— გულის წვეთები მოგართვა, თუ მკურნალს დავუძახო?

— არაფერი არ გინდა. ავი რამ მეზმანა და ამან შემიხუთა სული. ჩემთან დარჩი და როგორმე მოვჯობინდები.

— მაინც რა გეზმანა? — ჩამოჯდა თამარი, — ალბათ...

— ჰო, ირაკლი... ოღონდ ვერ მოკლეს. უვნებლად გადარჩა... — თეიმურაზმა თვალები მილულა, მერე ისევ გაახილა, რამდენჯერმე ღრმად ამოისუნთქა და ისე განაგრძო: — მაინც რა კარგად უთქვამს პაპაჩემ თეიმურაზს...

— ისევ თვალები მილულა, მერე რადინდაც ნელ-ნელა გაახილა, ასევე ნელ-ნელა ასწია თავი და ტკბილ-სევდიანი ხმით დაიწყო: „რად, სოფელო, სხვა არ დასწვი, ჩემებრ მე მქენ დასადაგე, გლახ ლახვარი სასიკვდინე ყველა მე მკარ დასადაგე, დამიკარგე ძე, ასული, ძმა არ ვიცი, და სად აგე, სხვა ნაყოფი მათებრ ტურფა, რა აშენე და სად აგე?..“ ნამდვილად ჩემზეა დაწერილი, თამარ!

—ჩემზეც ზედგამოჭრილია, თეიმურაზ!

— „დამიკარგე ძე, ასული...“ „ძე, ასული“ — ისევ თვალები მიელულა თეიმურაზს და მეუღლის მხარს მიაყრდნო თავი. მერე თითქოს უეცრად გამოფხიზლდა. თავი ასწია და რიხიანად წამოიწყო: „თვით ყეენმა უსამართლო საქმე მიყო მეტად ძნელი...“ მარტო დამტოვე, შენი ჭირიმე!

თამარი ფეხაკრეფით გავიდა დარბაზიდან, მეფე-პოეტმა კი ბატის ფრთა მოძებნა, ტუჩთან მიიტანა და ბუტბუტი დაიწყო:

თვით ყეენმან უსამართლო
საქმე მიყო მეტად ძნელი:
გამომართვა ქალი პირ-მზე,
ვისგან ნათობს ღამე ბნელი,
ძმისწულს მისცა შესაწირავად,
კვლა ბოძებას აღარ ველი,

მე მისისა მოშორებით
დამიწყლულდა გული მრთელი...

თეიმურაზმა ბატის ფრთა ველარ გააგდო ხელიდან. ღრმა ტანჯვა-ტკივილის ჩამტევი თორმეტი ხანა რუსთველური შაირი როგორც იყო, მოათავა, შვებით ამოისუნთქა და ხმამაღლა დაიძახა:

— ჰეი, მანდ ვინა ხართ?!

— ვინ გნებავთ, ბატონო?! — შემოიხედა ერთგულმა ფარეშმა.

— დედოფალს დაუძახეთ!

— ქიზიყიდან შათირი ამოვიდა. — მოახსენა თამარმა, შესვლისთანავე, — წელანვე გეახელით, მაგრამ ისე იყავით წერაში გართული, ველარ გაგიბედე.

— რაო? — დაბნევით იკითხა თეიმურაზმა და ქალალდთან ბუტბუტი განაგრძო. ეტყობოდა, რომელიღაც სტრიქონი ეჩოთირებოდა.

— თამაზ ენდრონიკაშვილი დაღესტანში გაქცეულა.

— რაო?! — დაიქუხა თეიმურაზმა და ფეხზე წამოიჭრა. — აა, მაშ, მომატყუე, ენდრონიკაშვილო?.. შათირი სადაა?

— თქვენს მსჯავრს ელოდება.

— შემოიყვანონ!

მაღალი, პირხმელი შიკრიკი ოთხად მოიკეცა მეფის წინაშე.

— რა გქვია? — მოულოდნელი იყო მეფის შეკითხვა.

— მენა, შენი ჭირიმე, სისონა მქვიან...

— შენ გვამცნე ლეკების შემოსევა?

— მენა, შენი ჭირიმე.

— რატომ ადრევე არ გვაუწყე, სანამ ქიზიყს აიოხრებდნენ?

— კიდევაც ადრე გეახელით, მე და ჩემმა ღმერთმა. ბატონმა მითხრა, რომაო, როცა ლეკები ქიზიყს გაძარცვავენ და ალაზანზე გადავლენ, მაშინ გვამცნეო. სხვა დროს ეგრე ვიცოდი, მაგრამ ეხლა კიდენა. ალაზანს როცა გამოვიდნენ, მაშინ გეახელით.

— როგორ, წინასწარ იცოდით, ლეკნი რომ უნდა შემოგვსეოდნენ?

— მა როგორა, შენი ჭირიმე? თამაზ ბატონის გაუგებრათა ცაში ჩიტი ვერ გადაიფრენს და ძირს კიდევ ჭიანჭველა ვერ გაივლის.

— თვალები დათხარეთ და დილეგში ჩააგდეთ! — მოულოდნელად ბრძანა თეიმურაზმა.

— მაპატიეთ, შენი ჭირიმე, ცოლ-შვილის პატრონი ვარ! — მუხლებზე დაეცა სისონა, — აკი გითხარით, დათქმულზე ადრე შეგატყობინეთ-მეთქი და მეტი რა შემეძლო?!

— განუტევეთ! — ბრძანება შეცვალა თეიმურაზმა.

## შეუპოვარი კოშკის ამბავი

დევნილი შანშე რუსეთიდან ჩამოვიდა, ჯარი შეყარა, ლეკთა ლაშქარიც იქირავა და თათბირი გამართა:

— ერეკლე ბატონიშვილი ისპაჰანშია, თეიმურაზ იესეს ძე ბერად აღიკვეცა გარეჯის მონასტერში. ვისი იმედი უნდა ვიქონიოთ? ვინ არის გამკითხავი? არავინ... გარდა საკუთარი ძალისა და ძლიერებისა. ვიდრე მეფე გვყავდა, მეფეს ვმორჩილებდით, მეფე აღარ გვყავს და ყველანი მორჩილებასა და მონობასა გვთხოვენ.

შანშემ იყუჩა. მერე წარბები შუბლზე აიტანა და მღვრიე თვალები გამოაჩინა:

— დღეს აქ მოვიწვიე მოძმე ლეკები. ლეკოსის შთამომავალნი ჩვენი ღვიძლი ნათესავები არიან და უძველესი დროიდან მეგობრობენ ქართლოსის შვილებთან. მათ ჩვენთვის ბევრი საკეთილო საქმე გაუკეთებიათ და ახლაც გააკეთებენ. მართალია, მათგანაც გვახსოვს ძარცვა-ტაცება, მაგრამ დღეს ყველაფერი უნდა შევუნდოთ. უნდა დავივიწყოთ ურთიერთ მტრობა და ერთიანი ძალით ვიბრძოლოთ საერთო მტრის წინააღმდეგ. ყველამ იცის, რომ ნადირ-შაჰი მარტოოდენ საქართველოს დამორჩილებით არ კმაყოფილდება. თუ ჩვენ დაგვიპყრობს, მით უფრო ლეკებს დაიმორჩილებს. მას დაღესტნის დაპყრობა და დარუბანდის ხელში ჩაგდებაც აინტერესებს. თუ ჩვენ გაგვთელავს, ლეკთაც გათელავს, თუ ჩვენ მას დავამარცხებთ, ლეკნიც გამარჯვებულნი დარჩებიან.

შანშეს ყოველ სიტყვას მორჩილად ეთანხმებოდა მისი ძმა იასე და თანაც სხვებს უთვალთვალებდა. ხურდა, გაეგო, ვისზე რა გავლენას ახდენდა მისი ძმის მჭევრმეტყველური შეგონება. თათბირზე დამსწრე ლეკთა ბელადებს კარგად ესმოდათ ქართული ენა და არანაკლებ კარგად ესმოდათ შანშეს განზრახვა.

— დღეს თუ ლეკები გვეხმარებიან, ხვალ ჩვენ დავეხმარებით დაღესტნის დასაცავად. მთავარია, ის კერა დავშრიტოთ, რომლის მეოხებითაც ყიზილბაშნი დაფარფაშებენ ჩვენს ქვეყანაში.

შანშეს ძე იოანე სმენად გადაიქცა კერის დაშრეტის ხსენებაზე. მამამ შენიშნა შვილის დაძაბული ყურადღება და უფრო მკვეთრი ხმით გაიმეორა:

— დიახ, სამუდამოდ უნდა ჩავაქროთ ის კერა, რომელიც ყიზილბაშთა სავანეა, და საიდანაც შიში მოელის დაღესტანსაც. ამ საქმეში ჩვენი მეგობარი ლეკები მოგვეხმარებიან და საზღაურს მივაგებთ.

— მამი, არ გინდა! — წამოიწია იოანე და იასემ უზომო მსგავსება შენიშნა მამა-შვილს შორის. ეს იყო, ოდნავ განიერი ცხვირი და უფრო ნათელი თვალები ჰქონდა იოანეს.

— ჩუმად! — დატუქსა მამამ და სათქმელი ბოლომდე გამოააშკარავა: — პირველ რიგში არაგვის ერისთავის კერა უნდა გავაცროთ და შემდეგ კი საორბელიანო-საბარათაშვილოს შევსებით.

ისევ შეპასუხება დააპირა იოანემ, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამის ამღვრეულ თვალებს რაკი წააწყდა, დუმილი ამჯობინა. იქნებ არც ტყუის მამა? იქნებ სწორედ არაგვის ერისთავმა უთრუთმა ჩაუგდო ხელთ ყიზილბაშებს, რომელთაც საშინლად დაამცირეს და ისე გაგზავნეს ქალაქში. იქნებ სწორედ იოანეა დამნაშავე, მამის აზრს რომ უკოყმანოდ არ ემხრობა და მერყეობს კიდეც? იქნებ სწორედ შვილი უნდა მოითხოვდეს შურისძიებას და მამა ამშვიდებდეს? დიახ, აღსრულდეს წადილი ღვთისა!

და როცა გამძვინვარებულმა შანშეს თვალებმა ხელახლა მოძებნეს შვილის თვალები, მათში თანხმობა და ფარული აღტაცება ამოიკითხეს.

— ასე, ჩემო იოანე, დაგვიდგა ჟამი შურისძიებისა!.. ამალამვე ალყაში უნდა მოვაქციოთ წყეული უთრუთის მეუვალი ციხე-დარბაზი!

* * *

იმ ღამეს თორმეტი ათასი ლეკი და ქართველი, გამოცდილი ათისთავებითა და ასისთავებით, გარსშემოუდგნენ ანანურის ციხეგალავანს.

მართალია, არაგვის ერისთავმა ადრევე იცოდა, რომ შანშე უთუოდ შურს იძიებდა. მაგრამ მაინც მოულოდნელი იყო ასეთი დიდი ალყა და საკმაოდ მომზადებული ვერ აღმოჩნდა საამისოდ. მაინც გული არ გაიტეხა კოშკის მაღალ სართულებზე და გალავნის კოშკურებზე აზიდული ლოდები უეცრად დააყარეს ზემოდან, ამას ისრისა და ტყვიის სეტყვა დაემატა და მეალყეთა კვნესა-გოდებამ ზეცას მიაღწია. თავგახეთქილი, ხერხემალგადამტვრეული და მხრებჩარეგვილი დევივით კაცები ფეხათრევით მიბარბაცებდნენ და უგონოდ ეცემოდნენ ტინებზე. მცირე ხანში იმდენი მეომარი დაეცა ციხის კარიბჭესთან, რომ ფეხს ველარ უქცევდნენ. ბოლოს მოიფიქრეს ლეკებმა: გვამებს ამოეფარნენ და ისე განაგრძეს ბრძოლა.

შანშე მიხვდა, რომ პირდაპირი იერიშით ძნელი იყო ციხის აღება და საგონებელს მიეცა. ქვემეხრდომთაც ლაავალა, რაიმე ღონე ეხმარათ ციხის ასაღებად და გასამრჯელოს არ დაიშურებდა. ოილი გამდიდრების სურვილმა ბევრი ჩააფიქრა და ბევრს აუფართხალა გული, მაგრამ ამაოდ. ბოლოს ერთი გამხდარი და ჩია ტანის მეღორე წარუდგა შანშეს, როცა უკვე იმედი გადაეწურა და ალყის მოხსნასაც კი აპირებდა:

— რას მომცემ, ბატონო, ანანურციხე რომ ხელში ჩაგაგდებინო?

— სადაური ხარ? — ეჭვით შეათვალიერა შანშე ერისთავმა.

— ქართლელი ვარ, მაგრამ აქ ვემსახურები ბატონს! — უპასუხა მეღორემ და, ეჭვი რომ გაექარწყლებინა, უმალ დაამატა: ბარძიმის ლეკმა ჩემს შვილს პატივი აჰხად[illegible]მე დავინდობ. — მერე მაგრად მომუწა ტუჩები და პასუხს დაელოდა.

— რით შეგიძლია მემსახურო?

— ცოტაოდენი ფული მომეცი და დანარჩენს მე მოვახერხებ, შენი ჭირიმე!

შანშემ უბიდან ქისა ამოიღო, ხელისგულზე რამდენიმე ოქრო წამოაგდო და მეღორეს გაუწოდა.

— დანარჩენს მაშინ გადაგიხდი, როცა შენს უნარს დამანახვებ.

— ლომისამ ლაგიფაროს, მაგრამ ეგებ ამ ჩხუბში შენც მოგკლან და მაშინ ვინღა გამიკითხავს შენი ჭირიმე?

ისევ ქისაში ჩააბრუნა ოქროები შანშე ერისთავმა. ქისას პირი მოაკრა, ხელუკულმა გადაუგდო და თან ეს სიტყვა მიაძევნა:

— თუ მომატყუე, თავს არ შეგარჩენ მხრებზე!.. კიდევ რას ითხოვ?

— სხვა არაფერი მინდა, შენი ჭირიმე. ორი კაცი გამამაყოლე და დღეისწორს თავად თუ არ გეახლოს ერისთავ-ბატონი, ცხვირი მომჭერი!

— ათი კაცი წაიყვანე!

— ხუთი გვეყოფა

მეღორემ ხუთი კაცი წაიყვანა და საღამოს ისევ უკან დაბრუნდა გამარჯვებული კაცის ღიმილით.

—რა ჰქენი? — იკითხა შანშემ.

— წყალი გადავუჭერით, შენი ჭირიმე. რაც მარაგი ექნებათ, ერთ კვირაში გაუთავდებათ და თავადვე შეგთხოვენ პატიებას.

შანშეს კაცები ციხეგალავნის გარშემო საიმედოდ გამაგრდნენ, ჯარის ერთი ნაწილი ხორაგის მოსატანად გაგზავნეს და გულარხეინად დაელოდნენ ციხის დაცემას.

ათიოდე დღეს ეყოთ წყლის მარაგი ალყაში მოქცეულებს. შეიძლება, მეტ ხანსაც გაეძლოთ, მაგრამ ისეთი სიცხეები დაიჭირა, არა მარტო საარაგვოში, შუაგულ ქართლშიაც რომ არავის ენახა.

შეწუხებულებმა კოშკიდან გადმოიხედეს და გადმოსძახეს, თუ არას გვავნებთ, დაგნებდებითო.

მოციქული აახლა შანშემ: თქვენით ჩამბარდით და არას გავნებთო. ეს დაპირება ადვილად ირწმუნეს უთრუთის ძმებმა და ციხიდან გამოვიდნენ

— დახოცეთ ყველანი! — ბრძანა შურისძიებითა და ამდენი ლოდინით გაასპიტებულმა ქსნის ერისთავმა და თვითონვე დაახალა თოფი ბარძიმ ერისთავს. ალარც მისმა რაზმელებმა შეიბრალეს და ყველანი ციხის კარიბჭესთან ჩახოცეს.

რაკი უთრუთმა შანშეს ვერაგობა შეიტყო, შეუპოვარ კოშკში აბარგდა და საიმედოდ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრდა. წყურვილით დახრჩობა ამჯობინა შანშეს ხელით სიკვდილსა და დამცირებას.

შანშემ იცოდა, შეუპოვარ კოშკში რომ ვერსაიდან შეაღწევდა და საფიქრალს მიეცა. ამ გაჭირვების ჟამს ისევ მეღორე გამოეცხადა:

— თუ გასამრჯელოს არ დაიშურებ, ამ კოშკსაც მე ჩაგაგდებინებ ხელშიო, შენი ჭირიმე. — და, რაკი შანშემ ყოველივე აღუთქვა, რასაც ისურვებდა, მაშინვე გაუმჟღავნა, — შეშა და თივა, ღვთის მადლით საკმაოდ იშოვება, მივცეთ ცეცხლი და თაგვივით აწრუწუნდება.

— რ ს ამბობ?! — შეუბღვირა იოანემ.

— თივა!.. თივა და შეშა! — სიხარულისაგან თვალები გაუფართოვდა შანშე ერისთავს და ტაში შემოჰკრა: — რაც ამ ტყე-მინდორზე თივის ზვინები და ხმელი შეშაა, შეუპოვარის კოშკთან მოზიდეთ!

მაშინვე დატრიალდნენ შანშეს კაცები და გლეხკაცთაგან ტანჯვა-წვალებით გათიბული და დაზვინული თივა შეუპოვარ კოშკს შემოადეს. თივას ზემოდან ხმელი შეშა დააყარეს და ცეცხლი შეუნთეს.

— მამი! — შეძრწუნდა იოანე, — ღმერთი გადაგვიხდის, მამი!.. ცოცხალი ბალღების ცეცხლით ამობუგვას ღმერთი არ გვაპატიებს!.. ნუ იქმ ისეთ საქმეს, რაც ყიზილბაშთაც არ მოუმოქმედიათ.

— დამეხსენი! — ხელის ჩაქნევით დატუქსა შანშემ.

— ო, არა, მამი, არ დაგეხსნები! ღვთისა და კაცთა წინაშე ესოდენი ცოდვის ჩადენას არავინ გვაპატიებს. ან ღმერთი დაგვსჯის და ან ქრისტიანობა...

— გამშორდი-მეთქი! — შესძახა შანშემ და ხმალზე გაიკრა ხელი.

იოანემ შენიშნა, რომ მღვრიე თვალებში სისხლი მოსწოლოდა მამამისს და, თუ არ დაუთმობდა, ყოველივეს იმოქმედებდა. იგრძნო, რომ შანშეს რკინისა მარტო თორ-მუზარადი კი არ ემოსა, გულიც რკინისა ჰქონია და ისე ადვილად ვერავინ გაუჩვილებდა.

მცირე ხნის შემდეგ ცეცხლის ენები აჰახვახდნენ შეუპოვარი კოშკის გარშემო. შეშის ტკაცატკუცს ქვების ხეთქვა-მსხვრევის ხმა მიემატა და მთელი ანანური ადამიანთა გამაყრუებელმა, ამაზრზენმა კივილმა მოიცვა. ცეცხლის ენებმა სათოფურებიდან შიგნით შეაღწია, იატაკს მოედო და საკირესავით ჩაიქცა კოშკის შიდა ნაწილი შიგ გამომწყვდეული ადამიანებითა და ჩვილი ბავშვებით.

— მამი, ღმერთი არ შეგვარჩენს, მამი!.. ღმერთი გადაგვიხდის!.. — წრიალებდა თავზარდაცემული იოანე და აღარ იცოდა, რა მოეხერხებინა.

## მოციმციმე ვარსკვლავი

მთელ თვეს გარეთ არ გაუხედავს თეიმურაზ კახთ ბატონს, თავის ოთახში იყო ჩაკეტილი. რამდენჯერაც კი ჯალაბობამ მასთან საუბარი ისურვა, მოიცათ, მოიცათო, და ბატის ფრთას წაეტანა. მეტი ანიშნებდა, გარეთ გადითო, და ისინიც ფეხაკრეფით მიიპარებოდნენ ღია კარისკენ.

მხოლოდ იმ დღისით აიხედა მაღლა, როცა ბავშვურად აცელქებული ანა შემოიჭრა ოთახში და გულზემიხუტებული ქაღალდი მამას დაუგდო მაგიდაზე.

— წაიკითხე, მამი, რა მოგიტანე! — აკოცა ლოყაზე.

თეიმურაზმა უწადინოდ შეათვალიერა პატარა გრაგნილი და, რაკი ერეკლეს ნაწერი შეიცნო, ბავშვივით წამოხტა:

— შენი ჭირიმე, შვილო!.. ჩემი ირაკლი!..

ანამ ერთხელ კიდევ აკოცა მამას და მის ხელებში გაშლილი წერილის პირველ სტრიქონს თითი გააყოლა:

„ჩემო საყვარელო ბატონიშვილო ანა!

„შენი ურგები ბატონიშვილი ერეკლე ლამაზ თვალებზე და პირზე კოცნას გაკადრებს. მივიღე თქვენი წერილები, რომელთაც ძალიან გამახარეს. ყველანი რომ კარგად ყოფილხართ, ამაზე უმეტესს არას ვინტრებ, მაგრამ მძარცველები რომ კვლავ გამოჩენილან, გული ამან დამწყვიტა. თუ განგებამ ცოცხალი დამაბრუნა, ყველას ჯავრს ამოგყრით. თუ არადა, ღმერთი გადაუხდით. გამიხარდა, ჩემი ბიძაშვილი თეიმურაზი, იგივე ანტონი, რომ ალექსი ღეკანოზს წაუყვანია თავისთან. ძალიან მებრალებოდა მიყრუებულ უდაბნოში მონაზვნად.

„სხვად ჩემს ამბავს თუ იკითხავთ, ვარ ღვთის წყალობით. მამაჩემი რომ აქედან გამოვიდა, მეორე დღეს გავედით ჩვენც. ვიარეთ ბევრი. გზაზე ყაჩაღები გვიხვდებოდნენ. გვტაცებდნენ ხორაგს და ცოცხალ საქონელს. ერთი ისეთი გუნდი გავფანტე, რომელსაც ჩვენი მწყემსები დაეხოცათ და ცხვარ-ძროხას მიერეკებოდნენ. ცხენი მომიკლეს. ხელმწიფემ მნახა იმ ბრძოლის შემდეგ და ძალიან შემაქო. ცხენზე ნუ იდარდებო. თავის ჯოგში საუკეთესო არაბული გამოარჩია და მაჩუქა.

„ბევრი რამ ვნახე აქ საკვირველი. ვნახე მხედარნი საცოდავნი, რომელნიც თითქმის შიშვლად დადიან და ცხენის ხორცს შეექცევიან...

„მრავალი მინდა წერად, მაგრამ ხელმწიფე იჩქარის ინდოეთისკენ და დრო აღარ ითმენს. ჩემი ბიჭები კარავს კეცავენ და მეც წერას ვამთავრებ. დამიკოცნე დედა და მამა, ყველა ჩვენიანი. შორიდან კოცნით და მრავალ მოკითხვას უთვლით მათი უმსახური და ურგები ერეკლე.“

თეიმურაზის სიხარული თანდათან ნელდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდა და გული საშინლად დაეხურა წაკითხვის შემდეგ. ხელში ნაჭერი ბატის ფრთა მელანში ჩადო და სარკმელთან მივიდა ხალისგამოცლილი. მზე უკვე ჩასვლას ეშურებოდა და მოწმენდილი ცის კაბადონზე ხევლას ტოვებდა. ასეთი საღამო არასდროს უნახავს თეიმურაზს. იქნებ უნახავს და აღარ ახსოვს? ის იყო, ანიკოსთვის უნდა დაეძახა, აბა, გახედე, როგორი მზის ჩასვლააო, რომ მოულოდნელად ისე დაიჭექა, სულერთიანად შეზანზარდა იქაურობა.

— ცოცხალი ხარ, შვილო?

— მამი! — ერთდროულად შესძახეს განწირული ხმით და ერთურთს მიეხუტნენ.

— ეს რა ღვთის წყრომა იყო ჩვენს თავს?! ამ დროს თამარი შემოვიდა შეშფოთებული:

— ცოცხლები ხართ?

— ნუ გეშინია, თამარ, ცამ დაიჭექა და მეტი არაფერი!

— დაიჭექა, მაგრამ, აბა, გარეთ გაიხედე, როგორი მოწმენდილია და ცის დასავალზე კი რა საშინელი ნათებაა?!

ყველანი ეზოზე გამოეფინენ.

მხურვალებადაცლილი მზის გარშემო ცეცხლის უზარმაზარი ალი ტრიალებდა. ეს ალი ისეთი ნათელი და ცხოველი იყო, იფიქრებდით, მზეს ცეცხლი წამკიდებია და ჩასვლის მაგივრად თანდათან იწვისო. აი, თანდათან ჩაინთქა კიდეც. ალბათ ჩაიწვა და საცაა, მთლიანად ჩაინავლება.

მთელი თელავი ააყაყანა ამ უცნაურმა ჩვენებამ. არა მარტო თელავი, საიდანაც თვალი მოჰკრეს ამ საოცრებას, ყველგან ჩურჩულებდნენ. ჩურჩულებდნენ შეშინებულნი და თანაც ერთმანეთს ეხუტებოდნენ. უფრო მეტად კი იმან შეაძრწუნა დიდ-პატარა, იმ გაელვების შემდეგ სასახლის თავზე რომ უცნაურად მოციმციმე ვარსკვლავი გამოჩნდა. ასეთი ვარსკვლავი არც ერთ ბერიკაცს არ დაენახა თავის მოსწრებაში. იდგა და ისე ციმციმებდა თვალის მომჭრელად, მნახველს ეგონა, ვეება სანთელია და ქარი აწვალებს ჩასაქრობადო.

— დიდება შენდა, მაღალო ღმერთო!

— შენ დაიფარე ჩვენი ტანჯული ქვეყანა, დედაო ღვთისავ!

—მიიღე მოწყალება და ცას ნუ დაგვამხობ თავზე შენს ცოდვილ შვილებს, მეუფეო!

— თუ რაიმე ცოდვა ჩაგვიდენია, შეგვინდე და გვაპატიე! — ისმოდა აქეთ-იქიდან.

როცა საშინელი ნათება სრულიად გაქრა და სასახლის თავზე მოცრიატე ვარსკვლავიც დაცხრა და მიყუჩდა, მაშინღა გაბედა თეიმურაზმა ხმის ამოღება.

— ეს ან დიდი უბედურების ნიშანია, ჩემო თამარ, ანდა — სიკეთის.

— წავიდეთ, თეიმურაზ, შიგნით, შევიდეთ, თორემ მეტი აღარ შემიძლია! — აღელდა თამარი, — ვინ იცის, რას მოასწავებს ეს საშინელი სასწაული?!. ვაიმე შვილო!..

მთელი ღამე არ ეძინა სასახლეს. იმ უცნაურ სანახაობაზე კამათობდნენ. ძველ წიგნებში ამოკითხულს იგონებდნენ და ვერსად პოულობდნენ მსგავს სანახაობას. მცირედნი ხვალინდელ სიკეთეს წინასწარმეტყველებდნენ ამ სანახაობით, უმეტენი კი უბედურების მაუწყებლად სახავდნენ.

სულით ხორცამდე შეძრწუნებულმა თეიმურაზმა მეორე დილით ტყვე ლეკები ამოაყვანინა დილეგიდან. ყველანი გაყვითლებულიყვნენ, გასიებულიყვნენ და დამლირებულიყვნენ.

— აი, რატომ გვირისხდება მაღალი ღმერთი, დედოფალო, ესენიც ხომ კაცნი არიან, ადამის შვილნი?! — ბრძანა და ყველანი გაათავისუფლა.

## სამოთხის ჰურია

ლამაზი ლეკის ქალები ერთმანეთს ეფარებოდნენ, მაგრამ მამაკაცთა ხარბ თვალებს მაინც ვერ გაურბოდნენ. დაღესტანს შესეულმა ყიზილბაშებმა, იბრეიმ ხანისა და ლუფთერი ხანის ბრძანებით, დალაშქრეს და მოითარეშეს იქაური აულები, იშოვეს აუარებელი განძეული და ყოველ განძეულზე უფრო ძვირფასი პირმშვენიერი ასულები, რომელნიც სილამაზით მზეს ედარებოდნენ.

ხანთა ბრძანებით მეჯლისის იასაულებს დაევალათ, წაყვანილი ტყვეებიდან ათას ხუთასი სამოთხის ჰურიის მსგავსი ქალიშვილი ამოერჩიათ და ძლევამოსილი ბანაკის გვერდით გამართულ სამიკიტნოებში ჩამოერიგებინათ, იმ სამიკიტნოებში, სადაც ყოველდღე თურქესტანელი, რუმინელი და ირანელი მუსიკოს-მომღერლები გალობდნენ და უკრავდნენ. ყველაზე ლამაზ ქალთან ღამის გათევა ხამას დინარად შეაფასეს, საშუალოსთან — ორასად, უმდაბლესთან კი — ას დინარად.

ერთი თვის მანძილზე ვინცა არ წაბილწა ლეკის მთის წვერზე დადებული თოვლით სპეტაკი ლამაზი ასულნი, რომელთა ტანჯვის ამბავი უმალ მოედო მთელ ქვეყანას. ვინც კი ახლომახლოს ჩაივლიდა, ყველას ესმოდა მათი უმწეო მოთქმა-გოდება. ულვთოდ შეძრწუნდნენ ჭარისა და თალას მოსახლენი.

ერთ საღამოს იბრეიმ ხანის კარავს ერთი პირმღიერი კაცი და პირმშვენიერი ლეკის ასული მიადგნენ, დარაჯთა შემართულ თოფებს არ შეუშინდნენ და მბრძანებლის კარავს მიაღწიეს. ვინც წინ გადაუდგა, ყველას ერთი და იგივე პასუხი გასცა პირმღიერმა კაცმა:

— ყველაზე უმშვენიერესი ჩემი ასული ქვეყნის მბრძანებელს მინდა გავუგზავნო და იბრეიმ ხანთან მოვიყვანე წარსადგენად... თქვენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ შეგიძლიათ, წინ გადამიდგეთ და არაფ ჩააგდოთ ჩემი სურვილი.

ქალის სილამაზით მოხიბლულმა დარაჯებმა მაშინვე იბრეიმ ხანს აუწყეს ამ უცნაური კაცის სტუმრობა.

—შემოუშვით! — ბრძანა იბრეიმ ხანმა.

პირმღიერი კაცი სპარსული წესისამებრ მიესალმა იბრეიმ ხანს და სურვილი აუწყა:

— მე მიმაჩნია, რომ თუ დიდებული ნადირშაჰი ჩემს მშვენიერ ასულს შეირთავს, დაიბადება ჭაბუკი, რომელიც მთელი დედამიწის მპყრობელი გახდება. სახელს მოუტანს არა მარტო სპარსთა ქვეყანას, ჩემს დაღესტანსაც.

— და თუ დიდებული იბრეიმ ხანი შეირთავს, მაშინ რა მოხდება, ყოვლისმცოდნე კაცო? — გაიღიმა იბრეიმ ხანმა.

— ორნივ ღვთის სწორნი ხართ და ერთი სისხლი გიდგათ. ამაზეც უზომოდ მოხარული ვიქნები, ჩემი გვარის უგვანო სისხლში რომ თქვენი ბრწყინვალე სისხლი შეერევა. ვერ ავიტანდი, უბრალო ყიზილბაშებს რომ წაებილწათ ჩემი ასული. თქვენ კი ხელმწიფის თანასწორი ხართ და, ვინ იცის, ეგებ აღმატებულიც. —შესცინა თვალებში.

— გმადლობთ, მოხუცო! — ქებით თავბრუდახვეულმა იბრეიმ ხანმა ქისა ამოიღო და ხელუკულმა გადაუგდო ენაწყლიან კაცს. კაცმა ჰაერშივე დაიჭირა ქისა, გაწვრთნილი ძაღლის სიმარჯვით, ცალ მუხლზე დაიჩოქა და დიდებულ ალაჰს იბრეიმ ხანის უკვდავება და ქვეყნის მბრძანებლად მოვლინება შესთხოვა.

— ჩემს ლოცვას ისეთი ჯადო-თილისმა აქვს, ყველგან გზას გაგიხსნის, დიდო მბრძანებელო. ამალამ უთუოდ შესრულდება ღვთის ნებასურვილი და მაშინ ირწმუნებ, რა ძალაც ჰქონია საბრალო აბდულას.

როცა ბერიკაცი კარავიდან გავიდა, იბრეიმ ხანმა ქალიშვილს ჩადრი გადაუწია და აღტაცება ველარ დაფარა...

მეორე დღეს კი ყელგამოჭრილი იპოვნეს იბრეიმ ხანი. ლამაზი ასული აღარსად ჩანდა. ბევრი ეძებეს, მაგრამ მსგავსს ვერსად მიაგნეს. ბოლოს, დანაშაული რომ დაუსჯელად არ დაეტოვათ, სახანო კარვის მცველთ თავები დაჰკვეთეს და გაპარტახებული აულები ხელახლა ააწიოკეს.

## წიგნი შეწირულებისა

შეუპოვარი კოშკის დაწვის შემდეგ სულით ხორცამდე შეძრწუნებულ იოანეს ძილი აღარ ეკარებოდა და ღამეებს ბორგვაში ათენებდა. ძილ-ბურანში ჩავშვების და ქალების წივილკივილი ჩაესმოდა, წამოხტებოდა, ცდილობდა, გამოფხიზლებულიყო და ეს ყოველივე სიზმრად ჩაეთვალა, მაგრამ მთლიანად გამოფხიზლება უფრო საშინელებად ეჩვენებოდა და ისევ ქვეშაგებში იბლუნძებოდა. თვალებს ხუჭავდა და ძილის ღმერთთან ლავას განაგრძობდა, მაგრამ ხმის გაცემას ვერ უბედავდა ბოლოს მობეზრდა ნაღვლის გამასიებელი დუმილი, გამბედაობა მოიკრიბა და:

— მამი, ღმერთი ამ ცოდვას არ გვაპატიებს!

— შურისძიებას ღმერთი ჩაგვაგონებს. სამშვიდობოს გასული დედაშენი რომ უთრთუმა იცნო და ყიზილბაშებთან დააბეზღა, ეს ცოდვა არ იყო? საცოდავი ქალი ჯერ აწამეს, შემდეგ ქვამარილი აჰკიდეს და ქალაქამდე ჩაატანინეს. ეს ცოდვა არ არის?

— ცოდვა ღმერთმა უნდა მოანანიებინოს, მამი! ღმერთმა უნდა მიუზღას სამაგიერო. ადამიანი ღმერთის საქმეებში არ უნდა ჩაერიოს.

— თუ ღმერთი თავის საქმეს სამართლიანად ვერ განაგებს, კაცი უნდა წაეხმაროს.

— ჩვენ არ უნდა დაგვეწვა და ღმერთი თვითონ გადაუხდიდა. დედაჩემი ტყვედ იმიტომ წაიყვანეს, რომ ჩვენი ოჯახი მოღალატედ ითვლებოდა და დედაჩემი კი მოღალატის მეუღლედ. ისინი თავს გაიმართლებენ ღვთისა და კაცთა წინაშე, ჩვენ კი რით უნდა გავამართლოთ უსუსური ბალღების დახოცვა? ამას ხომ ლეკი და თათარიც არ იზამდა?

— ივანე! — იკივლა შანშემ და ხიბნელეში წამოიწია.

შვილმა იცოდა მამის ხასიათი, განრისხების ჟამს რომ არავის ინდობდა, მაგრამ მაინც გაბედა შეპასუხება.

— მე ყოველივეს შენი სულისთვის ვამბობ, მამი! თუ მართლა განგება არსებობს, ჯოჯოხეთს არ აგვაცდენს.

— ბოროტმა ენებმა ჩამჩურჩულეს, იოანე ღალატს გიპირებსო. მართალი ხომ არ არის? — დაიჩურჩულა შანშე ერისთავმა.

— დაე, მართლაც ჯოჯოხეთში ჩავვარდე და ეშმაკები დაეპატრონნენ ჩემს ტანჯულ სულს, თუ ერთხელ მაინც ღალატი გამევლო გულში. შენი ერთგული ვარ, მამი! თუ საჭირო იქნება, თავსაც გავწირავ შენი სიცოცხლისათვის.

— შვილო, იოანე!.. — განაზებული ხმით მიმართა შანშემ და ჩვეულებისამებრ ხანგრძლივი პაუზა გამოუვიდა.

— გისმენ, მამი!

— ადექი, შანდალს მოუკიდე!

იოანეს გულზე მოეშვა. წამოდგა, სანთელი აანთო და საწოლთან დაბრუნებას აპირებდა.

— ქალალდი და საწერელი მომიმარჯვე! — შეაჩერა მამის ხმამ.

— ამ შუაღამისას?

— არც მე მეძინება. ლაშარის ჯვარს შევევედრები. წიგნს მივართმევ და პატიებას ვთხოვ, თუ რაიმე შევცოდე. თუმცა შეცოდება არაფერი მაქვს, მაინც შევავედრებ ჩემს სახლეულობას.

იოანემ სწრაფად მოძებნა საწერელი და ტაბლა საწოლთან მიუცურა, არ გადაიფიქროსო.

საწოლზე წამოჯდა შანშე, ხალათი მოისხა და წერას შეუდგა.

„ქრისტეს ნებითა და შეწევნითა მღვთისათა, მეოხებითა პატიოსანის ჯვარითა ესე წიგნი და პირი მოგართვით ჩვენ ცოდვილმან ქსნის ერისთავმან შანშემან, ძმამან ჩემმან იასე და რევაზ, შვილმან ჩემმან იოვანემან და სახლისა ჩვენისა მომავალმან, თქვენ დიდსა და ამაღლებულს და ალმატებულსა, ზღვითი ზღვამდე განთქმულსა, მთისა და ბარის სალოცავსა, პატიოსანსა და მრავალჯერ მესახოესა, ყოვლად გამარჯვებულსა დიდსა ლაშარის ჯვარსა გიორგისა და სულ ერთობით თქვენს სალოცავთა და თქვენს კარგ ყმათ ფშაველთა, ასე, რომე ჩვენ მამით პაპამდინ თქვენის ერთგულებისა და სამსახურის მცდელნი ვყოფილვართ".

„ახლა ეს ფიცი და პირი მოგართვით ჩვენ, რამეთუ თქვენის გაკეთებისა და სიმდიდრის მცდელნი ვიქნებით. რაცა ჩვენგან გამოვიდეს, ისე ერთგულნი ვიყვნეთ და მოსამსახურენი. თქვენი მტრისა მტერი ვიყოთ და კარგის მდომისა ერთგულნი. არც ჩვენს სიცოცხლეში და არც ჩვენი შვილებისა, მანამდის ჩვენი მამისა თესლი ამ ქვეყანასა ვიყვნეთ, თქვენს სამსახურზედ და ერთგულებაზედ ხელი არ ავიღოთ, რამეთუ შეგვინდობ ცოდვათა ჩვენთა, ვინც ჩემთა მონათესავეთ ეს პირი გაამტყუნოს, იმასაც რისხავს ღმერთი, ყოველნი მისნი წმინდანნი და თქვენი პატიოსანი თავი. და ნუ მიეცა გამარჯვება. ამინ"!

შანშემ თავისუფლად ამოისუნთქა. შეწირულების წიგნი გულდასმით გადაათვალიერა, ზოგი რამ ამოშალა, მერე ხელახლა გადაწერა და შვილს წაუკითხა.

— წაიყვანე ხვალ ერთგული ყმები, წაუღე ძღვენი და აახელი დიდებულ ლაშარს ეს ჩემი წიგნი!

— მივართმევ, მამი, თუ გვიპატიებს. — იოანემ ტაბლა თავის ადგილზე მიიტანა, შანდალი ჩააქრო და ზემოდან მიეგდო ქვეშაგებზე.

* * *

ლაშარის ჯვართან მოსაკითხად წასული იოანე შინ აღარ დაბრუნებულა. მისმა თანმხლებმა კაცებმა ამბავი მოიტანეს, იქიდანვე თბილისში წავიდაო. შანშე მიხვდა, რომ შვილმა უღალატა და ყიზილბაშებს დაუკავშირდა. აკი არა ერთხელ ურჩია კიდეც შინაურ კინკლაობას თავი დაანებე, ყიზილბაშებთან საერთო ენა გამონახე და ჯამაგირი გაგვიჩნდებაო.

უსაზღვრო იყო შვილისაგან უარყოფილი მამის მრისხანება. სიმწრისაგან არა ერთხელ მოიპოტნა თმა-წვერი და სვეტსაც ახალა ჭმუნვისაგან დაღარული მაღალი შუბლი. მაგრამ გულისწყრომა ვერაფრით დაიცხრო. მერე ისევ ვახუშტი აბაშიძე დაიბარა იმ განზრახვით, რომ ისევ შეყრილა ლეკთა, ოსთა და ქართველთა ლაშქარს, წაუძღვებოდა და თბილისს მოაოხრებდა. თუ ამას ვერ შესძლებდა, საამილახვროსა და ზემო ქართლს მაინც აიკლებდა.

შეღამებულზე მართლა ეახლა ვახუშტი აბაშიძე, მაგრამ ძველებური მხნეობით კი არა, ნაღვლიანი და წელში გადრეკილი.

— რაო, ვახუშტი ბატონო, ეგებ უკვე გადამიდექი? — ჰკითხა ერისთავმა, როგორც კი აბაშიძემ დაჯდომა მოახერხა.

— არა, შანშე ბატონო. ჩვენ სანამ ვიცოცხლებთ, ერთურთს არ განუდგებით, მაგრამ...

— უზარმაზარ, მკერდისსისწვრივ გამართულ მუხლისთავზე ხელი დაიტყაპუნა ვახუშტი აბაშიძემ და ისე დაუწყო სრესა, თითქოს მხოლოდ ის ყოფილიყო დამნაშავე...

შანშე შეეცადა, ბოლომდე გამოეჩინა ჩვეული სიდინჯე და ამით ეგრძნობინებინა, რომ არაფრისა ეშინოდა, მაგრამ, რაკი ვახუშტიმ დუმილი განაგრძო, ქვის სკამიდან ფეთიანივით წამოიჭრა და მღვრიე თვალებში სისხლი მოაწვა:

— აღარ იტყვი, რა იცი, თავადო?

— გივი ამილახვარი ჩამობრძანებულა, შანშე ბატონო, დიდად ნაწყალობევი და გადიდკაცებული.

— მერმე? — გაქვავდა შანშე.

— ქართლის ვექილობა უწყალობათ ხელმწიფე ნადირ-შაჰმა და ყოველთვიურად სამასი თუმანი დაუნიშნავთ. ქართლის ხანი ეხლა მისი გავლენის ქვეშ მოექცევა და მთელი ყიზილბაშების ლაშქარი ჩვენზე წამოვა

— ეგ არ მოხდება! — ფერი დაკარგა შანშე ერისთავმა და გალიაში გამომწყვდეული ავთარივით დაიწყო წინდაუკან სიარული.

— სანდო პირებმა მაცნობეს, უკვე ემზადებათ ამილახვარი საერისთაოს დასალაშქრად. მერმე, ალბათ, მეც მომიბრუნდება. გივი ჰკვიანია: ჯერ მსხვილ ნადირზე ინადირებს და მერმე — ცოტაზე... — ვახუშტის არ ესიამოვნა თავისი ნათქვამი: შანშე ერისთავი რომ მსხვილ ნადირს შეადარა და საკუთარი თავი კი „ცოტა ნადირად" წარმოიდგინა. საქმე საქმეზე რომ მიმდგარიყო, ცალ ხელში დაიჭერდა ზვიად ერისთავს და ყველივით გაწურავდა.

შანშეს გაუხარდა, მსხვილ ნადირს რომ შეადარეს და გაეღიმა კიდეც:

— ჩემი დამარცხება არც ისე იოლია, ვახუშტი ბატონო!

— არც მე გახლავართ ხელწამოსაკრავი, მაგრამ ყიზილბაშთა მრავალრიცხოვან ლაშქარს არაფერი გაუძნელდება. გვიც ჩვენსავით ჯიუტია და თანაც ძლიერი. ამბობენ, ნადირ-შაჰის მხარდამხარ ბრძოლისას ახალი ხერხები უსწავლიაო და ჩვენს გასანადგურებლად არ და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იშურებს. ეგეც არ იყოს, კახეთიც მაგასთან აღმოჩნდება და ვერას გავხდებით.

— კახეთს საკუთარი თავისთვის ვერ მოუვლია. ავაზაკების შიშით წელში ვერ გამართულა. ვეტყვი მალაჩს და ხვალვე მივუსევ.

— ამას წინათ თეიმურაზს სასტიკად დაუმარცხებია მოთარეშენი და ტყვეც ბევრი წამოუყვანია. დიახ... შუაციხეში გამომწყვდეული ლომი ვერაფერს იგებს, გზებზე რა ხდება... გივი ამილახვარი კახეთის დედოფლის მკვიდრი ბიძაშვილია, თეიმურაზი კი ცოლის ნათესავის მხარს დაიჭერს, თუნდაც არაფერს გამოელოდეს.

— შენი ცოლი ხომ დედოფლის დაა? ჩანს, შენს მხარესაც დაიჭერს თეიმურაზი.

— მე არ მენდობა, გივისთან კი... ჯერ ჩვენ ჩამოგვიშორებენ და შემდეგ ერთმანეთში მოშველდებიან კარგად თუ ავად.

— მაშ, გივიც და თეიმურაზიც, ჰა?

— სწორედ ესაა. ყანდაარიდან რომ მოდენილან, გზაზე ჩემგან გაყიდული ტყვეები დაუხსნიათ. ამოვიარე და ყველანი ეზოებში დამხვდნენ. ისე დიდგულად გადმომხედეს, თითქოს მე მათი ყმა ვყოფილიყავი და ისინი კი — ჩემი ბატონები. თუ აბაშიძე ვარ, ვანანებ ყველას, ვინც სხვის საქმეებში ერევა. ძაღლისშვილები!

— მაინც რას მირჩევ? — მოტყდა ერისთავი და ქვის სკამამდე ძლივს მილასლასდა.

—ახალციხეში... ხვალ თუ არა, ზეგ მაინც უთუოდ შემოგვესევა გაცოფებული ამილახვარი და უჩვეულო ხოცვა-ჟლეტის მოწმენი გავხდებით... ახალციხეში ბევრი ქომაგი მყავს და შეგვიფარებენ. ფაშაც წყალობის თვალით იყურება და არას დაგვაკლებს.

— კაცი ფიქრობდა და ეშმაკი იცინოდაო... რა გამოვიდა ჩემი ბრძოლიდან?.. ქვეყანას სიკეთე ვერ დავანახვე.. ახალციხეში, ახალციხეში... ჰეი, მანდ ვინ ხარ!

შუაკოშკში მსახურმა შემოიხედა.

— ყველაფერი გაამზადეთ სახვალიოდ!.. დარაჯებს უბრძანე, მხოლოდ თავადი აბაშიძე გაატარონ თავისი ამალით. თუ?.. — შანშე ერისთავმა ეჭვით შეხედა მეგობარ თავადს და ორჭოფული ღიმილით მოისრისა ქალარა ნიკაპი, — რაკი მამას საკუთარი შვილიც ღალატობს...

— თქვენი ეჭვი მართალი არ არის, შანშე ბატონო. აბაშიძენი მეფის ერთგულნი შეიძლება არ იყვნენ, მაგრამ სიტყვის ერთგულნი მუდამ არიან. ღვთის მადლით, მალე მოგვიწევს ახალციხეში გადასვლა და ჰკითხე ოსმალებს, როგორი სიტყვა და საქმე სჩვევია ვახუშტი აბაშიძეს. ეს აქ, საქართველოში არ მაფასებენ, თორემ...

ერისთვი და აბაშიძე მხურვალედ გადაეხვივნენ ერთმანეთს ერთგულების დასამტკიცებლად. ორივეს ერთმა აზრმა გაუელვა, [illegible] ხომ არ არის ეს შეხვედრაო, ღრმად ამოიოხრეს და ნაძალადევი ღიმილით გაშორდნენ.

## შურისძიება

უსაზღვრო იყო გივი ამილახვრის განრისხება, როდესაც თავისი მამული დაიარა და ყველაფერი წალეკილი დახვდა. ერისთავ-აბაშიძის კაცებს სოფლები ისე აეოხრებინათ და გაეძარცვათ, რომ სანიშნობელი აღარაფერი დაეტოვებინათ. კაციც და საქონელიც ერთიანად გაერეკათ, ნაწილი ახალციხეში გაეყიდათ და ნაწილი კი სალეკო გზაზე დაეყენებინათ.

ცხენით შემოიარა თავისი მამული ერთგულ ქეშიკებთან და შვილთან ერთად, რომელსაც უკვე ქეშიკჩიბაშის რაყამი ედო. ხიზნობით გადარჩენილი გლეხები მომავლით დააიმედა, სალაშქროდ მოუწოდა და უახლოესი დღეებისათვის მზადყოფნა უბრძანა.

— წამოვალთ, ბატონო. ყმა ვინ მიგდია, ბატონს უარი გაუბედოს, მაგრამ ნათქვამია, აქლემები წაიჩხუბნენ და კოზაკი შუაში გაჭყლიტესო, ჩვენც ისე მოგვივა. — თივის დაზვინვას თავი მიანება და ორთითით ხელში მიდგა ხარიხებთან მიხა, რომელსაც მეტი სიმაღლისა თუ სიგამხდრის გამო ლაყლაყას ეძახდნენ მეზობლები. ბატონთან მისვლისას ორთითი ხარიხებთან მიაყუდა, თექის ქუდი მოიხადა და სრესა დაუწყო.

— ტეტია ხარ და იმიტომ არ გესმის! — შეუბღვირა ამილახვარმა და თავისი ნათქვამისათვის რომ მეტი სიმტკიცე მიეცა, ფართო ულვაშებზე ხელი გადაისვა.

— ტეტია გახლავარ, ბატონო! მეც ტეტია ვარ და ხიდისთაველებიცა. ყველანი ტეტიები ვართ და იმიტომ ვხოცავთ ერთმანეთსა.

— შანშე ერისთავმა აგაოხრა? აგაოხრა. იმისმა ყმებმა მამული აგიჩეხეს? აგიჩეხეს. პირუტყვი და საქონელი წაგართვეს? წაგართვეს. ჰოდა, შენ რაღაზე უნდა დაიხვალიო, შე კაი კაცო?

— არ დავიხვალიებ, არა, ავდგები და მეც ჩემკენ გამოვირეკავ იმათ ცხვარ-ძროხასა. ხო ეგრეა, ბიჭო გიო? — ჰკითხა ტანმორჩილ გლეხს, რომელიც მეორე ეზოდან გამოვიდა კეფის ფხანით.

— ეგრეა, ეგრე. ათ ძროხას რო გამოვირეკავ, ჩემთვის ერთს როგორ არ გაიმეტებს ეს ჩვენი ბატონი!

— ვირო, ერთს კი არა, ხუთს მოგცემ, ხუთსა!

—ვიცი, ბატონო, როგორ არ ვიცი, — ნიკაპი მიიგრიხა მიხამ, — ნახევარს ჩვენ მოგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვცემ და ნახევარს თქვენ დაინარჩუნებთ.

— აბა, მაშ, რას გეუბნებით, თქვე ტეტიებო?!. გივი ამილახვარი არ ვიყო, თუ ჩემი ყმები ყელამდე არ ავავსო დოვლათითა.

— თქვენი ჭირიმე, ბატონო, მაგ იმედიან სიტყვებშია. დაგვიძახე და მაშინვე გეახლებით. შენც ხო წამოხვალ, ბიჭო გიო?

— მეტი რა ჩარაა?!. — დაიხვნეშა გიომ და საყელოში თითი ჩაიყო მოსაფხანად.

— აი ასე, თქვე მართლა ტეტიებო! — დაკმაყოფილდა ამილახვარი და ახლა სხვა სოფლისაკენ გააჭენა თავისი ამალით.

— ხომ არაფერი მოგვატყუა. ბიჭო გიო? ათი ძროხა თუ წამოიყვანე, ხუთს შენ გაკუთნებო, მაშ არ გვატყუებს?

— გვატყუებს, მაშ არ გვატყუებს? ეე, შვილოსა, მაგის მამას არ მოუცია ჩვენთვის ხეირი და პაპასა. ეგ რაღა ნიშაკოჭია? „ამილახვრისა ყმობითა ფქვილი ვერ დავდგი კოდითაო“.

— „ვერც გავიტანე გუთანი, ვერც კალო ვლეწე მოზვრითაო“... მაგრამ ეგ, მგონი, მუხრან-ბატონზეა ნათქვამი და ამილახვარზე გადმოუკეთებიათ ჩვენებს. მაგას ცოტათი მაინც შასტკივა ყმითვის გული და იმას ფეხებზე ჰკიდია ყველაფერი.

— არა, ბიჭო, ნამდვილად ამილახვარზეა.

— გინდა ეგრე იყოს. ბატონს მაინც არავინ გამოგიცვლის და გინდა აძაგე და გინდა აქე!

— რას იტყვი, წავიდეთ?

— სად?

— ქსნიხეველებზე.

— კაცო, იცი, რა გითხრა?.. ავიფურთხე — ულვაშს მოხვდა და დავიფურთხე — წვერსაო. ორივე ლოყა ჩემია. გინდა, ერთში გამარტყი და გინდა — მეორეში. მაგრამა ძმა რო ძმა არი, თუ არ დაგინდობს, აღარც შენ უნდა დაიხვალიო. ჩემი შვინდა და თაფლა რო იქ. ვინმეს ეზოში დავინახო, მაშ ხეირ დავაყრი იმ გამჩენძაღლსა?!

— შენ ეგ მითხარი, აი.

— წავიდეთ, ავუყვეთ. მივდგეთ-მოვდგეთ, დავინახოთ და როგორც აჯობებს, ისე მოვიქცეთ. წეღანაცა ვთქვი, აქლემები წაიჩხუბნენ და კოზაკი გაიჭყლიტაო. მაშ.

* * *

— თბილისიდან ყიზილბაშთა რაზმები ამოიყვანა გივი ამილახვარმა, თავისი საყმოს გლეხები შეუერთა და უთენია დაესხა ქსნის ხეობას. გლეხები ეზოებში შედიოდნენ და რაკი თავიანთ პირუტყვს ვერსად ხედავდნენ, უკმაყოფილოდ იქნევდნენ თავს:

— ჩემი საქონელი არსადა ჩანს.

— არც ჩემია სადმე.

სამაგიეროდ ყიზილბაშები სახლებშიც იჭრებოდნენ დაურიდებლად, იტაცებდნენ და მიჰქონდათ, თუ რაიმე ფასეულობა გააჩნდათ, ბილწავდნენ ქალებსა და აწიოკებდნენ წვრილფეხობას. მამაკაცებს კი ტყვიითა და ხმლით უმასპინძლდებოდნენ, თუ რომელიმე ქსნისხეველი წინააღმდეგობას გაუბედავდა, ცეცხლს უკიდებდნენ მის კარმიდამოს. ასე აალწიეს შანშე ერისთავის ციხე-დარბაზამდე.

ამილახვარი მედგარ წინააღმდეგობას მოელოდა ამ ციხე-დარბაზთან, მაგრამ მის განსაცვიფრებლად ჯარი არ დახვდა. მეციხოვნე ბალათური, რომელსაც შუბლზე ნახმლევი ეტყობოდა, კარიბჭესთან გამოეგება და მორჩილად მოახსენა გამძვინვარებულ ამილახვარს:

— შანშე და მისი ძმა ახალციხეში გაიხიზნენ, აღარც სადმე ახალგაზრდა ერისთავი ჩანს და ციხეში მარტო მსახურნიღა ვართ. შეგვიბრალეთ და მოიღე წყალობა. ნუ დაგვწვავთ და სიცოცხლე შეგვინარჩუნეთ!

ციხე-დარბაზს ყიზილბაშები შეუსია გივი ამილახვარმა, გაჩხრიკა და გაძარცვა სათითაო კუთხე-კუნჭული. შემდეგ ქსნის ხეობას აუყვა სათავემდე, ყველა სოფელი მოინადირა და დიდძალი ნადავლით დატვირთა ურმები და სახედრები.

— იპოვე რამე, ბიჭო მიხო?

— რას ეძებ, რა დაგიკარგავს, შე ჩემი ცოდვით სავსევ?!.. ჩვენ სარჩო-საბადებელს ამ საცოდავებს ვინ მიაშავებდა?! ვინ იცის, ოსმალეთსა და ლეკის მთებში გაიტანეს ის ყველაფერი.

— ძალიან კი აიკლეს ყიზილბაშებმა ეს უბედურები. დაბრუნდება ამათი ბატონი და აქაურობა საამილახვროსავით გამოცარიელებული რო დაუხვდება, პირკატა ეცემა.

— ეე, ბიჭებო, აბა, გამოიცანით ამას იქით რა მოხდება?

— ვიცი, გიო, ვიცი, — კისერი მოიღერა მიხამ და ღრმად ამოიოხრა, — დაბრუნდება შანშე ბატონი, ჩამოიყვანს თავის ერთგულ კაცებს და სულ მიუმიეულას გაგვავლებს.

— ვერა, ვერ გვიზამს. — შეეკამათა რომელიღაც იმედიანი, — ჩვენი ბატონი ქართლის ვექილია და ფეხებსაც ვერავინ მოგვჭამს.

— წეღანაცა ვთქვი, ვექილ-ბექილი ფეხებზე ჰკიდია შანშესა, დაბრუნდება და დედას გვიტირებს.

— მაშ როგორ მოვიქცეთ?

— მე გეტყვით, როგორცა... სანამ გვიან არ იქნება, ავიკიდოთ გუდა-ნაბადი და კახეთში გადავსახლდეთ. იქ უფრო შეღავათიაო. მიწაც ლონიერია და როგორმე გავიტანთ თავსა.

— განა მძარცველები იქ კი არ შეგვაწუხებენ? ისე კი არ მოგვივიდეს, ვაის გავეყარეთ და ვუის შევეყარეთ.

— შეგვაწუხებენ და ჩვენც იქ ლავხვდებით. ძალას ძალა მიემატება და ვერას დაგვაკლებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ წინეებზე თეიმურაზ ბატონს იმ დღეში ჩაუყრია, ალაზან გამოღმა ველარ გაშოდიანო.

— არც თეიმურაზ ბატონია დიდი მათა ვინმეო. ერთ დღეს რო გაიბრძოლებს, მთელი თვე შინა ზის და გარეთ არ იყურებაო. არადა სანადიროდ დაბრძანდებაო.

— ქრისტიანი მაინც არი, შე ქრისტიანო, და ამით შეგვიბრალებს. სეფი ხანსა და აბდულა ბეგს მაინც აჯობებს.

— წავიდეთ, ბიჭებო... ის ერთი ბოხჩა ვენახი მქონდა და შანშეს ჩამოყვანილმა ავაზაკებმა ამიჩეხეს. ხარ-ძროხა მყვანდა და ისიც იმათ გაირეკეს. აქ რაღა დამრჩენია. ცულის ტარივით გამხმარ იმ ჩემ დედაკაცსა ავიკიდებ და ისე ვატარებ ალაზნამდე. ისინიც ხო ქართველები არიან და შეგვებრალებით.

— იქ ვიცნობ კიდეც ზოგ-ზოგებსა ნუ გეშინიანო!

და იმის შემდეგ თითო ოჯახობითა და მთელი უბნობით მიიპარებოდნენ კახეთში საამილახვროდანაც და საერისთავოდანაც. მიდიოდნენ და მიჰყვებოდათ უძირო სევდა და მცირე იმედი.

## ბრძნეული სვეტი

ინდოეთიდან დაძრული ნადირ-შაჰის დალეული ლაშქარი გზაგზა ათას ხიფათს ეყრებოდა. ჰიმალაის მთებიდან უშიშრად ეშვებოდნენ მთელი ტომები, ძარცვავდნენ და იკლებდნენ სიცხითა და დაუსრულებელი მგზავრობით გასავათებულ მშიერ მეომრებს. ინდოეთიდან წამოღებული ოქრო-ვერცხლი და ძვირფასი ნადავლი ქაფივით დნებოდა. წვრილ-წვრილი შეტაკებებითა და წარუმატებლობით შეწუხებული მბრძანებელი გულს მაინც არ იტეხდა და ახალი ქვეყნების დაპყრობას ლამობდა. ასეთ ვითარებაში ხორაზმისა და ბუხარის დამორჩილება გადაწყვიტა და ბალხეთს გაგზავნა ნავის ოსტატები. მდინარეზე გადასვლისას მაგარი ნავები სჭირდებოდა და ეს გაითვალისწინა. როგორც კი ეს ამბავი ბუხარის ემირმა აბულ ფეიზმა შეიტყო, დესპანი ჰაჯი ყუმატი აახლა ნადირს და კრძალვით შეუთვალა, რომ გულისწყრომას არ აჰყოლოდა, თან ბოდიშობდა, ტახტი ვერ მივატოვე და ვერ გეახელიო.

ბუხარის ემირმა მორჩილება აღუთქვა ნადირ შაჰს და დიდძალი საჩუქრებიც გაუგზავნა. გახარებულმა მბრძანებელმა ერთი დესპანი ოსმალეთს გაუგზავნა, ხოლო მეორე — რუსეთს. ყველას აუწყა თავისი ძლევამოსილება და დიდის დიდებით ინდოეთიდან უკან დაბრუნება. წერილები სავსე იყო აღმოსავლეთის მბრძანებელთათვის ჩვეული ქედმაღლობითა და ტრაბახით, იკვეხნიდა, რომ არც ერთ ქვეყანას არ შეუშინდებოდა დედამიწის ზურგზე.

მოლაშქრეთა ქანცის გაწყვეტას ანგარიში არ გაუწია ნადირ-შაჰმა, გზიდან გადაუხვია და სინდეთზე სალაშქროდ გაემართა.

* * *

მეორე დღეს სინდეთის საზღვარს მიადგნენ, მაგრამ მეწინავენი მაშინვე შეჩერდნენ და ჩოჩქოლი გამართეს. ამასობაში ერეკლეს რაზმიც წამოეწიათ. როცა მიუახლოვდნენ, ასეთი სურათი დაინახა ბატონიშვილმა: ნადირ-შაჰი, მისი სარქარდები და დალაბაშები ცხენდაცხენ შეგროვილიყვნენ და შეშფოთებული სახეები მიეპყროთ ერთმანეთისათვის. წინ ქვის მაღალი სვეტი იდგა და ხმლის წვერით უთითებდა ნადირ-შაჰი ამ სვეტზე. ერეკლეს დანახვა ძალიან გაუხარდა, თავისთან მიიხმო და ჩამორჩენის მიზეზს შეეკითხა ერეკლემ აუხსნა.

— შენი მოშორება მჭმუნვარებას აყენებს ჩემს გულს. ეცადე სიახლოვეს. აი, შევჩერდით და ნაბიჯი ველარ გადაგვიდგამს.

— თქვენს ძლიერ ნაბიჯს წინ ვერაფერი დაუდგება, მბრძანებელო!

— აბა, წაიკითხე, რა აწერია ამ სვეტს!

ერეკლე სვეტს მიუახლოვდა, მაგრამ ვერც თავი გაიგო და ვერც ბოლო იმ უცნაური წარწერისა.

— წაკითხვა არ ძალმიძს, მბრძანებელო, ძნიად უცნობი ენაა ჩემთვის!

— აბა, უთარგმნე! — მიუბრუნდა ნადირ-შაჰი თავის მანდატურს.

— ო, ჩემო კეთილო ბატონიშვილო, რაც ამ წერილშია, ჩემი მტრის კარს იყოს. — წვეტიანი წვერი გააცანცარა მანდატურმა, — წყეული ქვაა, საშინლად წყეული და ჯადოსმოქმედი.

— უთარგმნე-მეთქი!

— უკეთუ კაცის ფეხმა ამ ქვას გადმოაბიჯოს... — მჭმუნვარედ დაიწყო მანდატურმა, წარბები ასწია და მრავალმნიშვნელოვნად გააგრძელა: — წყეულიმც იყოს უკუნითი უკუნისამდე შვილებითა და სახლეულით თვისითა...“

ერეკლე ჩაფიქრდა. ნადირ-შაჰმა თვალებში ჩახედა და პატარა ეშმაკუნები შეამჩნია შიგ:

— რას იტყვის გურჯი ბატონიშვილი?

— მე ის ვიცი, მბრძანებელო, რომ ეგ წარწერა კაცის გაკეთებულია და კაცისავე ხელს შეუძლია წაშალოს. მაგიერად კი სხვა წააწეროს.

— ოო, ეს შეუძლებელია!! — დაასწრო ნადირ-შაჰს მანდატურმა და ყველანი ერთხმად აყაყანდნენ უარყოფის ნიშნად.

— მაშინ ასე მოვიქცეთ: — გაეღიმა ერეკლეს და პატარა ეშმაკუნები უფრო აცმუკდნენ მის დიდრონ თვალებში, — მოვთხაროთ ეგ სვეტი, დავაკრათ სპილოს და წინ წავიმძღვაროთ. სადამდეც ვივლით, სპილო უკან არ ჩამოვტოვოთ. ამით წყევლასაც ძალა დაეკარგება და სინდეთსაც დავიპყრობთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბრძენი ყმაწვილი ხარ! — გაიხარა ნადირ-შაჰმა და ბჭეთ მიუბრუნდა: — მოთხარონ სვეტი, დააკრან სპილოზე და წინ წაგვიმძღვარონ!

მოლაშქრეებმა ერთხმად ირწმუნეს. მყისვე დაიწყეს სვეტის მოთხრა და ახალგაზრდა გურჯ ბატონიშვილში კი რაღაც ღვთაებრივი ამოიკითხეს.

## ხევდიანი სიხარული

იმ უცნაური ხალამოს შემდეგ შიში ჩაუდგა თეიმურაზს, იფიქრა, ოხმალთა, ლეკთა და სპარსთაგან შებილწული ალავერდის ტაძარი რომ უყურადღებოდ მივატოვე, რისხვა ღვთისა მოგვეწიაო. ერეკლეს წერილისა და იმ უცნაური სასწაულის ურთიერთ დამთხვევა ავად ენიშნა. და გადაწყვიტა, საფუძვლიანად შეეკეთებინა ტაძარი. თეიმურაზმა დაიყოლია ხალხი და ალავერდის გასაპატიოსნებლად ყველას გამოაღებინა მცირეოდენი შესაწევარი.

მშენებლობისა და კეთილმოწყობის საქმის თავკაცობა თვითონვე ითავა და ჯალაბით ალავერდს გადასახლდა.

გრიგოლ ალავერდელს ძალიან გაუხარდა მეფის ჩაბრძანება და ყოველდღე თეიმურაზთან იყო სადარბაზოდ. აქებდა მის ღვთისმოსაობას შეჰქონდა ზოგიერთი შესწორება მის მიერ შემუშავებულ გეგმებში და არწმუნებდა, რომ ღმერთი უთუოდ დააფასებდა მის თავდადებას.

საქმე ულეველი იყო. ვეღარ აუდიოდა.

ფიქრებში წასულს ჩაეთვლიმა თეიმურაზს, მაგრამ მაშინვე შეშფოთებით გაეღვიძა, თითქოს თავში ბლაგვი საგანი დაარტყესო.

— რა მოხდა? — იკითხა ანგარიშმიუცემლად, რაკიღა სახახლე გაჩირაღდნებული დაინახა და ეზოდან კი სიხარულის ყიჟინი ისმოდა.

— ერეკლე ბრუნდება, მეფეო! — მოახსენა კარის მცველმა, — მთელი სასახლე მონასტრის ეზოშია გასული და მხოლოდ ჩვენღა დავრჩით. გახალვიძებლად ვერ გაგიმეტეთ და...

— ერეკლე... ჩემი ერეკლე... — ბურტყუნით წამოდგა თეიმურაზი, — მატყუებ, ბერიკაცო და ჩემს მეტი ჭირი აღარ უნდა მაგ შენს ბებერ ძვლებს.

მეფემ სპარსული ხალათი გადაიცვა და უგვირგვინოდ და უსკიპტროდ გავარდა ღერეფანში. გაშლილი თმა-წვერით ლომს უფრო მიაგავდა თეიმურაზი, ვიდრე გვირგვინოსან მეფეს. ცდილობდა გულისთქმა და მღელვარება დაეოკებინა, მაგრამ ვერ ახერხებდა.

— შვილო... ირაკლი... ჩემო სიცოცხლე... ნუთუ ეს ყოველი მართლა სიცხადეა?! — ნაწყვეტ-ნაწყვეტად ბუტბუტებდა თეიმურაზი და გზადაგზა იკრავდა ხალათს.

გარეთ ყინავდა. საშინლად ცივი კირჩხლი ცვიოდა, მაგრამ თეიმურაზს სიცივე არ უგრძვნია, ქვის კიბე ბიჭური ნაბიჯებით ჩაირბინა და ტაძრის ეზოსკენ გაემართა. სწორედ ამ დროს ტაძრის ჭიშკარში თეთრსაოლავებიან შავ ტაიჭზე ამხედრებული ერეკლე ბატონიშვილი შემოვიდა, რომელიც თავისი ჩაცმულობით სპარსელ ხანს უფრო მიაგავდა, ვიდრე ქართველ უფლისწულს.

ერეკლემ სწრაფად დაიქვეითა და საგანგებოთ განმარტოებულ თავისიანებისაკენ გაემართა. პირველად ანა ბატონიშვილი მივარდა ძმასთან, გადაეხვია და სული შეუგუბა. შემდეგ დედამ ჩაიხუტა თავისი პირმშო და შემდეგ-და მიუშვეს თეიმურაზი. ისმოდა კივილი, ჟრიამული, შეძახილები.

— დამიბრუნდი?.. ცოცხალი დამიბრუნდი?.. შვილო, ეს რას მოვესწარი... ნუთუ მართლა ჩემი შვილი ხარ... ჩემი ერეკლე?! — ეხვევოდა გულაჩუყებული მამა და მხრებზე ჰკოცნიდა ერეკლეს.

თეიმურაზის რუხრუხში დედის, დისა და შინაურების ხმა აღარ ისმოდა.

რადგან უკვე შუაღამე დიდი ხნის გადასული იყო, როცა თავიანთ რიგზე ყველანი მიესალმნენ, თეიმურაზმა უბრძანათ, დაასვენეთ უფლისწული, ძილი ენდომებაო.

— ახლოს მიმიშვი, კაცო! — ჩასჩურჩულა თამარმა და შვილის მკლავი გამოგლიჯა თეიმურაზს, დაქნილ თითებში მაგრად ჩაბღუჯა და ბუტბუტი განაგრძო: — როგორა ხარ, შვილო.. ქეთევანი როგორ არის, დედა დაუმიწდეს?..

— კარგად არის, დედი, ნუ იდარდებ. ვაჟიშვილი შეეძინა. მის ქმარს ნადირ-შაჰი წყალობის თვალით უცქერის. შეიძლება ოდესმე მეფობაც ერგოს.

— მეფობა?

— აღმოსავლეთში მეფედ კურთხევა ისევე იოლია, ვითარცა თავის მოკვეთა ანდა თვალების დათხრა.

ბატონიშვილი ტაძარში შეიყვანეს და მამა გრიგოლმა პარაკლისი აღავლინა მის სადიდებლად. შემდეგ სასახლისკენ წაიყვანეს დედამ და მამამ ხელიხელგაყრილი.

— ნუთუ მართლა არ გეძინება, ჩემო იმედო? — ჰკითხა თეიმურაზმა.

— ორი წლის მანძილზე ლაშქრად წანწალმა ძილი დამავიწყა. მხოლოდ წამთვლემს ხოლმე ათასში ერთხელ.

— მაშინ ჩემს სენაკში შევიდეთ ცოტა ხანს და მიამბე რამე იქაურობისა.

— აქ რად გადმოსულხართ, მამი, რატომ თელავში არ იმყოფებით?

— განგებამ ჩვენზე საშინელი რისხვა მოავლინა, შვილო. — დაიწყო თეიმურაზმა, როცა ერეკლე თავის სენაკში დაიმარტოვა ცოლშვილთან ერთად და განიერი მხრებიდან სპარსული მოსასხამი მოაძრო სწრაფად. მერე სავარძელში ჩასვა შამინშაჰივით, თავად ჭილის

სკამზე დაჯდა, და დედა-შვილი კი გარს შემოუსხა: — უცნაური რყევა იყო მიწისა. არ ვიცი, ისპაჰანამდეც თუ უწია. ალავერდის ტაძარი დაირღვა...

— დაირღვა?

— ჰო, შვილო... ამის შესაკეთებლად გადმოვსახლდი. აკი შევაკეთე კიდეც. ერთ წელიწადში მოვამთავრებ...

— როგორ დაარღვია ასეთი მაგარი სახლი?

— ისეთი საშინელი რყევა იყო, ალაგ კავკასიონის მთებიც დაირღვა.

— ძნელად სარწმუნო ამბავია, მამი. — შუბლი შეიჭმუხნა ბატონიშვილმა.

— ნათება იყო, შვილო, ისეთი, თვალი მოგვკვეთა, — წაეშველა დედოფალი.

— ასე იყო... დაადასტურა თეიმურაზმა, — ვიფიქრე, ჩვენი ცოდვებით განრისხებულმა უფალმა უარესი რისხვა არ მოაწიოს-მეთქი და აქ გადმოვიბარგე. მაშინვე ტაძრის შეკეთებას მივყავი ხელი. ყინვამ მომისწრო და ველარ ვმუშაობ. არა უშავს რა, სამერმისოდ გადავდე საქმე. რაკი შენ ცოცხალი დამიბრუნდი, საერთო საქმეებს შენ მოგანიჭებ და მე კი სასულიერო საქმისთვის ვიზრუნებ!

— ამას წინათ ქაიხოსრო სარდალი იყო ჩემთან. — გაახსენდა თეიმურაზს თავის უნებურად.

— რაო, რა მინდაო? — შეიჭმუხნა ბატონიშვილი.

— არაფერი. გავიგე, ერეკლე დიდ წყალობაში ჰყოლიაო ხელმწიფე ნადირ-შაჰს. ინდოეთისა და სინდეთის ლაშქრობაც კარგად წარმართულა და მალე გამოუშვებსო.

— მერმე?

— მერმე ალბათ დანიშნულს გაიხსენებს და ქორწილს ამ ზამთარს გადავიხდითო.

— ჩემი სათქმელი ჯერ კიდევ ყანდაარს მოგახსენე. მას შემდეგ მრავალი ავი ამბავი შევიტყე იმ ქალზე და ამაზე საუბარი აღარ დაგვჭირდება.

— როგორც მითხარი, ისე მოვიქეცი... ეს კია, ორბელიანი ხელიდან გასაშვები კაცი არ არის. ბოლოს და ბოლოს, ქართლის სარდალია.

— სარდლებიცა და მეფეებიც ჩვენ თვითონ უნდა ვიყვნეთ.

თეიმურაზმა ფართოდ გახელილ თვალებში შეხედა შვილს, რომელთან ბრძოლაში ძილსაც ვერაფერი მოეხერხებინა და ალტაცებით გაუღიმა:

— შენგან ყველაფერს დავიჯერებ, მაგრამ ორბელიანთა გვარი მაინც არ უნდა დავკარგოთ, შვილო. მეწინავე დროშა მაგათია და სარდლობაც მაგათ ეკუთვნით. ორბელიან-ყაფლანისშვილ-ბარათასშვილები სამეფოს დასაყრდენი ძალაა და ნუ მოვიმდურებთ. მაგათთან უხსოვარი დროიდან ნათესაობენ ბაგრატიონები და ნახევარი სისხლი ჩვენი უდგათ. მაშინ უნდა სხვა გზა გამოინახოს ნათესაობისა... — თეიმურაზმა ხმას დაუწია და მრავალმნიშვნელოვნად განაცხადა: — თელავი ავაზაკთაგან ქაიხოსრომ გაწმინდა ამას წინათ.

ერეკლემ სენაკში გაიარა და კედლის ზემო ნაწილში გამოჭრილ პატარა კანკელს მიუახლოვდა, საიდანაც დეკემბრის ღამე იმზირებოდა ცალი თვალით.

— აქ როგორღაა საქმე?

— აქ უარესად უნდა იყოს. ენდრონიკაშვილი ლეკებში გაგვექცა და მოსვენებას აღარ გვაძლევს. გაღმა მხარი ხომ ადრევე ააოხრებინა ლეკებს და ახლა უკვე გამოღმაც გვედავება.

— ვიცოდი, რო გვიღალატებდა, — მიხვდა ერეკლე, რომელ ენდრონიკაშვილზეც მოახსენებდა მამა, თეიმურაზისკენ შემობრუნდა, ფიქრიანი, ამჯერად უკვე ბოღლილი თვალები სინანულით მიაპყრო და ესლა დაამატა: — ავ სიზმრებს ვხედავდი წამოსვლის წინ. მეგონა, გზაში ხიფათს რასმე გადავაწყდებოდი და ამაზე ამიცხადდა.

— ჩემი ბრალი არ არის, შვილო, — თვითონაც არ იცოდა, რისთვის იმართლა თავი თეიმურაზმა.

— არა. შენი ბრალი არ არის. ეს მაინც ასე მოხდებოდა, რაკი აბელ ენდრონიკაშვილი ცოცხალი დაბრუნდა სპარსეთიდან. ოღონდ შეგეძლო, დროზე გაგეგო და ცოცხლად შეგეპყრო.

— ღალატი ისეთი ულაყი ცხენია, შვილო, სანამ არ აჭიხვინდება, ვერავინ გაიგებს. აჭიხვინება და გაქცევა კი ერთ წამში ხდება. აბა, სცადე და დაიჭირე მინდორში გაჭრილი ქარი!

— კიდევ რა არის ახალი?

— ვფიქრობ, ენდრონიკაშვილი მარტო არ არის. მხარდამჭერნი ჰყავს.

— ვისზე გაქვს ეჭვი?

— არ ვიცი, მპარავმა ერთი ცოდვა ქნაო და პატრონმა ათასიო. ვაჩნაძეზე მეფიქრება. სხვანიც უნდა იყვნენ. დაბეჯითებით თქმა მეტად საძნელოა, მაგრამ გუმანით კი ასე მგონია.

— მაინც რატომ უნდა ემხრობოდნენ ლეკეთში გაჭრილ თავადს?

— არ ვიცი. უთქვამთ, სპარსელთა განდევნა გვინდაო და მეფე თეიმურაზის სპარსულ პოლიტიკას არ ვემხრობითო.

— მერედა მარტო თვითონ როგორ განდევნიან სპარსთა ურიცხვ ლაშქარს?

— არ ვიცი. ვფიქრობ, სამეფოს გაუქმება სწადიათ. გლეხკაცი ოთხნაირ გადასახადს ვერ გაუძლებსო.

ერეკლეს მწარედ გაეცინა:

— ვერც ერთი ხალხი გარეშე მტერს ვერ დაამარცხებს, თუ შინაგანად არ გაერთიანდება და ერთი კაცის მეთაურობით არ შეუტევს. ესენი კი თან მტრის განდევნას ლამობენ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანაც სამეფოს დაშლას ესწრაფიან. სწორედ რომ სიბეცეა!

— იმ ერთ თავკაცად თამაზ ენდრონიკაშვილს რაცხავენ ძალლისშვილები. — თეიმურაზმა სასოებით შეხედა ღრმად ჩაფიქრებულ შვილს და საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მის წინ ჯერ ოც წელს მიღწეული ჭაბუკი კი არა მრავალჭირნახადი მეომარი და გონიერი ხელმწიფე იდგა. დიახ, ხელმწიფე, რომელსაც უკვე შეეძლო ქვეყანას გასძღოლოდა ამ ცხოვრების ნარეკლიან გზებზე, ეს ნარ-ეკალი შორიდანვე შეემჩნია.

— მაგაზე სხვა დროს ილაპარაკეთ, ჩემო სიცოცხლევ. მოდი, დაჯექი, მიამბე, როგორ დააღწიე თავი იმ შეჩვენებულს! ან ჩემს ქეთევანზე რა იცი კიდევ? — შეემუდარა თამარი და, დასვენე ყმაწვილიო, დატუქსა ანა, რომელსაც ერეკლეს მარცხენა ხელი ორივე ხელით ჩაებღუჯა და ფეხდაფეხ დაჰყვებოდა, საითაც კი გაიბიჯებდა.

ერეკლემ უზომო სიყვარულითა და ნუგეშისცემით გაუღიმა დედას, მარცხენა ხელი პირთან მიიტანა, ანას ერთმანეთში ჩაწნულ თითებს ეამბორა და ისევ თეიმურაზს მიუბრუნდა:

— ქართლზე რაღას მოგახსენებენ?

— შენმა სიმამრმა მომახსენა... მომიტევე, შვილო, ქაიხოსრო ყაფლანის შვილმა... ისევ გრძელდებაო წყეული შანშესა და გაუმაძღარი ამილახვრის ბრძოლა-ჭიდილი. შიკრიკები და მსტოვრები მომახსენებენ: გივი თანახმაა ქართლის სამეფოს საბოლოო გაუქმებისა, შანშე ერისთავი კი ბაქარს ეთათბირებაო ჩამოსაყვანად.

— თუ ძია ბაქარი ქართლში ჩამოვა, შენც უნდა გიხაროდეს.

— გამიხარდება, შენმა სიცოცხლემ, მაგრამ, ვაი, რომ ბაქარს ქართლში უკვე ვერავინ იცნობს და არავინ გაჰყვება. ჯიუტი თავადები და ერისთავები თავიანთ სათამაშოდ გადააქცევენ. რბილი კაცია, შვილო, ძია ბაქარი. უფრო სიტყვა უჭრის, ვიდრე სატევარი. ქართლის მეფობას შენისთანა ალმასი უნდა, რაც მე და ბაქარს ესოდენ გვაკლია.

— ძია ბაქარი თუ ჩამობრძანდა, ჩვენც მხარს დავუჭერთ და ამით უფრო გავძლიერდებით.

— წელან შენ მითხარ, ქვეყანას თუ გარეშე მტრის მოგერიება სწადია, შინაგანად უნდა გაერთიანდეს და ერთი კაცის მეთაურობით შეუტიოსო.

— გითხარი.

— ძია ბაქარი კი მეორე კაცი აღმოჩნდება ქართლ-კახეთის სამეფოში.

— დაე, პირველი იყოს და მე მხოლოდ სარდლად გამომიყენოს.

— შენ გენაცვალე, ჩემო იმედო! — ცრემლები გადმოსცვივდა დედოფალს, — რაკიღა ერეკლემ ასე თბილად მოიხსენია რუსეთში გადაზღვავებული თავისი ბიძა. ეგებ იმიტომაც მოიხსენია, რომ დედისთვის ეამებინა და სინამდვილეში კი პირველობას არავის დაუთმობდა.

— ძია ბაქარიც შენისთანა კეთილია, შვილო. თუ მისი ჩამოსვლა მართლა მელირსა, იქნებ საშველი დაადგეს მის უპატრონოდ დარჩენილ სამკვიდრო მამულს... მოდი, დაჯექი, დაჯექი, უნდა გაკოცო! — სავარძელზე მიუთითა და პატარა კახმაც უარი ველარ უთხრა. აკვიატებული ანა თან გაიყოლია და გვერდით მოისვა,

მოულოდნელად ერეკლეს თავი გვერდზე გადაეწია, მკლავი სავარძლიდან გადმოუვარდა და ისე ღრმად ჩაეძინა, ალავერდის ზარებიც რომ დაერისხებინათ, ადვილად ველარ გაალვიძებდნენ. ზარებს კი დილაზე დაარისხებენ და პარაკლისსაც გადაიხდიან.

## ჯიუტი ჭაბუკი

დიდთოვლიანმა ზამთარმა ერთგვარად ამოასუნთქა ქართლ-კახეთი. ერეკლე ბატონიშვილის დაბრუნებამ კი ხალხს ისეთი მხნეობა შესძინა, სიკვდილის შიშიც კი გადაავიწყდათ.

გაზაფხულზე ისევ თავი მოუყარა ერეკლემ ახალგაზრდობას და ისევ დაიწყო ვარჯიში ჯირითსა და ფარიკაობაში. ერთი კაცი ათს უნდა გაუმასპინძლდესო — ეს მოთხოვნა სპარსეთში უფრო განუმტკიცდა. მცირერიცხოვან ხალხს თავის გადარჩენა მხოლოდ სიმამაცისა და გამჭრიახობის წყალობით შეუძლიაო.

გოდერძი სულაკაურის სიკვდილმა ღრმად დაამწუხრა ერეკლე, მაგრამ ლეკი ოსმანას გაცნობამ და დაახლოებამ ერთგვარად გული გაუსელა. პირველად რომ შეიტყო, ერთი უცნაური ლეკის ბიჭია, რომელსაც ვაგდებთ, მაგრამ ვერ მოგვიშორებიაო, როგორღაც შეფიქრიანდა, მერე იწყინა კიდეც, როცა შეიტყო, რომ ეს ლეკის ბიჭი გოდერძის სიკვდილის დროს მარბიელ ჯარში იყო და უფრო განრისხდა, რაკი აცნობეს, უბრალო ლეკის ბიჭი კი არა, იბრეიმ ხანის მკვლელიაო.

—მომიყვანეთ! — ბრძანა ერეკლემ. და როგორც კი მოუყვანეს, მაშინვე დამშვიდდა მისი თვალების დანახვით.

— მართლა შენ მოჰკალ იბრეიმ ხანი?

— მე ეს უკვე მამათქვენს ვაუწყე. გამეორება აღარ მეპირდება.

— მაინც მიამბე, როგორ მოჰკალი.

— ქალურად ჩაცმული ვეახელი. ვაჟკაცური ფანდი ვერ გამომივიდა, მაგრამ სხვაგვარად ვერ შევძელ.

— იბრეიმ ხანი კახეთის მეფის მოყვარე იყო, ჩემი დის მამამთილი. შენ თუ იცი, რომ მოსისხლენი ვართ.

— მაჰმადიანი კაცის სისხლი მე უფრო მეკუთვნის, ვიდრე ქრისტიან კაცს. ისლამი შემი-

ნდობს ბოროტი კაცის სისხლს და თქვენც მაპატიებთ.

— იცოდი, ჩვენი მოყვარე რომ იყო?

— არ ვიცოდი, მაგრამ მაინც მოვკლავდი.

ერეკლეს მწარედ ჩაეცინა ლეკი ბიჭის ჯიუტ სიტყვა-პასუხზე. ოთახში ამაყი ნაბიჯით გაიარა, კანკელთან შეჩერდა, ჯერ ისევ რბილ, თითქმის დახუჭუჭებულ ულვაშ-წვერზე ხელი ჩამოისვა და მოხდენილი მოძრაობით სწრაფად შემობრუნდა:

— ჩააგდეთ დილეგში!

— მამაშენმაც ბევრჯერ ჩამაგდო, მაგრამ მაინც არ მომკლა. ვიცი, არც შენ მომკლავ, ბრწყინვალე ბატონიშვილო. — არ შეკრთა ოსმანა, კეთილად გაიღიმა და კარისკენ შებრუნდა იმის ნიშნად, წამიყვანონ და ჩამაგდონ დილეგშიო.

— მობრუნდი! — უბრძანა ერეკლემ.

ჯერ თავი შემოაბრუნა ოსმანამ. თითქოს დაზვერა, ხომ არაფერს მიპირებსო და შემდეგლა შემობრუნდა. ერეკლემ შენიშნა, რომ ამ მოძრაობაში შიში კი არა, ცხოველური სიფრთხილე იყო, ისეთი სიფრთხილე, რომელიც საერთოდ ყველა მოკვდავს გააჩნია და თავისთავად მოქმედებს სიცოცხლის დასაცავად.

— მტერს როგორ უნდა მოექცე, როცა შეიპყრობ?

— უნდა მოჰკლა.

— გამოდის, რომ შენც უნდა მოგკლა?

— მე მტერი აღარა ვარ. რასაც მიბრძანებ, შევასრულებ... მამათქვენმა მიბრძანა, ლეკოსი და ქართლოსი ძმები იყვნენო. თუ ასეა, ერთად დავძლიოთ ყიზილბაში.

— ყიზილბაში?

— დიახ, ყიზილბაში. ჩემი დაღესტანი ძლიერია. ჯარს შევაგროვებ. წაგვიძეხი და გავიმარჯვებთ.

— მერედა, შენ ვინ დაგიჯერებს?

— დამიჯერებენ. ყველა აულში ყონაღი მყავს.

— ჯერ ძალიან ადრეა ეგ საქმე, ოსმან. — ამოიოხრა ბატონიშვილმა.

— მაშინ ნურც მე გამიშვებ. შენთან დამტოვე!

— დარჩი, ოღონდ ერთი პირობით: ქართული უნდა ისწავლო და ქრისტე იწამო.

— ქართულს ვისწავლი, მაგრამ რჯულს ნუ მაგმობინებ.

— ჩვენში ასეთი წესია: ქალი არ გამოგყვება, თუ ქრისტეს არ იწამებ.

— მაჰმადი დავგმო?

— მთავარია, ქრისტე იწამო. მაჰმადისა კი, გინდა გჯეროდეს, გინდ ნუ დაიჯერებ.

— მაგას ნუ დამაძალებ, ბატონიშვილო, თუ ჩემი სიცოცხლე გინდა.

— არ დაგაძალებ. შენი ნებაა.

მოულოდნელად ღრიალი წასკდა ოსმანას. ბატონიშვილს ფეხებში ჩაუვარდა და ხალათის კალთებზე დაუწყო კოცნა:

— შენ ჩემი ღმერთი ხარ, ბატონიშვილო, ჩემი მხსნელი და პატრონი ხარ!

დღეიდან შენი მტერი ოსმანას მტერია. იამან!.. ოსმანა შენს ღალატს არვის შეარჩენს! ოსმანა შენი ერთგული მონაა!..

## რას ჩააგონებს კაცს ყოვლისშემძლე ალაჰი

შორეული ლაშქრობიდან დაბრუნებული ნადირ-შაჰი, 1741 წლის გაზაფხულზე ასი ათასიანი ლაშქრით შემოვიდა დარუბანდში. სურდა, დაღესტანი დაეჩოქებინა და თავისი ძმის იბრეიმ ხანის სისხლი აეღო. მათი ბანაკები უზარმაზარ ქალაქებს ჰგავდა. ქალაქების ახლოს კი ღრუბლებივით იძროდნენ მათი აქლემთა ქარავნები, ცხენთა რემები, ჯორების ჯოგები, რომელთაც არა მარტო სახედრებად იყენებდნენ, საკიდრებადაც. ამიტომაც მათი რიცხვი რამდენჯერმე აღემატებოდა ჯარის ოდენობას. სადაც კი სპარსთა პირუტყვი გაივლიდა, ბალახის ნატისუსალი აღარ რჩებოდა და ხრიოკდებოდა.

დიდებულ კარავში გამაგრდა ნადირ-შაჰი, როსთემ ხანს, ხანჯანს, მოჰამედ ალი ხანსა და სხვა სარდლებს უბრძანა, უმოწყალოდ შესეოდნენ ავარისა და ყაზიქუმუხის სახანოებს, ტარკის საშამხლოს, ჭარისა და თალას მიდამოებს და მთლიანად მის წინ დაეჩოქებინათ. გარდა ამისა, ყველაზე ლამაზი ქალები შეეკრიბათ და მის კარავში წამოეყვანათ.

სწორედ ამ დროს ქართლიდან ჩაფარი ეახლა ნადირ-შაჰს და აუწყა, რომ ქსნის საერისთავო განადგურებულია და სპარსთა ორგული შანშე ერისთავი ახალციხის ფაშასთან იმალებაო. ისიც შეიტყო, რომ შანშეს ვაჟი იოვანე თბილისის ხანთან იმყოფება და ერთგულად ემსახურებაო.

ნადირმა მაშინვე წერილი მისწერა ახალციხის ფაშას, ერისთავს ნუ ენდობითო.

პირველივე შეტაკებისას ნათელი გახდა, რომ დაღესტნის დაჩოქება არც თუ ისე ადვილი იყო.

ლეკები აულებიდან გაიხიზნენ. წვრილ-წვრილი რაზმები შეადგინეს და მთებსა და ხეობებში გაიფანტნენ. ვისაც იარაღი ჰქონდა, ხეობებში უსაფრდებოდნენ და იქიდან ესხმოდნენ თავს ყიზილბაშთა მრავალრიცხოვან ლაშქარს, უიარაღონი კი მაღალ მთებს შეეხიზნენ და საგორავებით ნადირობდნენ. დიდი სიმაღლიდან დაშვებულ პატარა ქვასაც კი მრავალი მსხვერპლი ეწირებოდა. გზადაგზა ეცემოდნენ ფეხებდამტვრეული და მკერდჩალეწილი პირუტყვი და გულადი მეომრები. ნადირ-შაჰის მოლაშქრეები ყოველი მთის მიახლოები-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სას საგორავებს მოელოდნენ და ამ მოლოდინით გამოწვეული შიში იმდენად დიდი იყო, წინასწარ „ალა, ალას“ გაიძახოდნენ და თავპირისმტვრევით გარბოდნენ აქეთ-იქით. ამ უთავბოლო და არეული სირბილის დროს ცხენი და კაცი ერთმანეთს აწყდებოდა და თვითონვე იმტვრეოდნენ.

არეულობას ნადირის სისასტიკე უფრო აუარესებდა. რომელიმე რაზმის დამარცხებას რომ შეიტყობდა, იბარებდა ასისთავებსა თუ ათასისთავებს და სიკვდილით სჯიდა. მათ მაგივრად კი ახლებს ნიშნავდა. ახლებს ერთი-ორად ეშინოდათ ცალკე სამხედრო ოპერაციის სირთულისა და ცალკე — მომავალი დასჯისა. ამიტომ კიდევ უფრო შეშინებულნი მოქმედებდნენ და უსაზღვროდ იზრდებოდა მათი მსხვერპლი და ზარალი.

ასეთი ბრძოლის მიუხედავად ყიზილბაშები მაინც ნელნელა მიიწევდნენ დაღესტნის მთებში. ხოცავდნენ მოსახლეობას, ძარცვავდნენ ყველაფერს, ატყვევებდნენ ლამაზ ასულებს და ნადირ-შაჰის ბანაკში ერეკებოდნენ.

* * *

ნადირ-შაჰის ხელმოცარვა და სადარდელი ქართლიდან მოსულმა ჩაფარმა შეამსუბუქა — შანშე ერისთავი და მისი ძმა გაახელითო. უზომოდ გაუხარდა სამყაროს მბრძანებელს ამ დაუდგრომელი მთავრის დატყვევება, მაგრამ არ შეიმჩნია, წარბი არ შეეხარა და ნახვა არ ისურვა ამით დაღესტნელ დიდებულთათვის თავისი სიდიადე უნდა დაენახვებინა. დილიდანვე შეჯდა არაბულ ტაიჭზე, გაიყოლია ლეკი დიდკაცობა და დაპყრობილი თემები ჩამოიარა.

ჩვეულებისამებრ წინწახრილი იჯდა ნადირ-შაჰი და მარჯვენა მხარს ათამაშებდა ცხენით სიარულისას. სადაც ხალხს შენიშნავდა, ჩერდებოდა და თარჯიმნის პირით ეკითხებოდა, კმაყოფილნი იყვნენ თუ არა ახალი ხელისუფლებით.

— ისე ამოუწყდა ოჯახი წყეულ ნადირ-შაჰს და გადაშენდა მისი ჯილაგი!—განაცხადა გაკაპასებულმა ლეკის ქალმა, რომელსაც აღნავლებული, შიშველი ბავშვი გულზე მიეხუტებინა, მაგრამ შიმშილისაგან ძუძუებდამშრალი ვერაგზით აყუჩებდა.

— რაო? რა თქვა?

თარჯიმანს შეეცოდა ახალგაზრდა დედა და მისი ნათქვამი ასე უთარგმნა:

— ღმერთი დღეგრძელობას მისცემსო სამყაროს მბრძანებელს ახალი ხელისუფალის წყალობისათვის.

— გადაეცით თქვენს კაცებს, დაბრუნდნენ, მთებიდან, მუხლი მოიყარონ ჩემს წინაშე და ყველაფერს ვაპატიებ, თქვენისთანა ლამაზ ქალებს კი ისპაჰანში წავაბრძანებ და ფუფუნებაში ვამყოფებ. ნადირ-შაჰის გული უსაზღვროდ ლმობიერია დამარცხებულ მტერთან.

— ჩვენს კაცებს გადავცემ, რომ თქვენი სინსილა გააქრონ ამ ქვეყანაზე. შეგირცხვა მეფობა, სახელი და ნამუსი! — ლეკის ქალმა ზიზღით გადააფურთხა ნადირ-შაჰისაკენ და სამყაროს მბრძანებელი ახლაღა მიხვდა. თარჯიმანი რომ ნათქვამს უკუღმა უთარგმნიდა

— შაითან! — დაიძახა ნადირ-შაჰმა და ხმლის წვერით წაეტანა ლეკი ქალის ხელში ატატებულ უსუსურ ყრმას, რომელსაც ღნავილი მოეთავებინა და შიმშილთან შერიგებული ტუჩების თრთოლვით მიხუტებოდა განრისხებულ დედის ძუძუებს.

ქალი განზე გახტა და წყევლა მიაყოლა.

ნადირმა გადაიფიქრა, ხმალი ჩააგო და ამალის თანხლებით კარვისკენ დაეშვა.

— ღმერთი ჩვენსკენ არის, შე წყეულო! — მიაძევნა ახალგაზრდა დედამ, — შენ თუ ჩემს პატარას ხმლის წვერით შეეხები, ღმერთი ლახვარს ჩაგცემს მაგ ბინძურ მკერდში. ჩემი წყევლა ისეთი მძაფრია, უთუოდ შენს ცხენს ფეხი წაუსხლტება და შენივე არიფების ხმალზე აეგები

* * *

კარავში მისვლისთანავე ნადირ-შაჰი ტახტზე დაბრძანდა, შეეცადა, დამშვიდებულიყო და ბრძანა, შანშე ერისთავი მომიყვანეთო.

ქედზე ხუნდდადებული და ხელფეხშებორკილი შანშე და მისი ძმა იასე ოთხად მოხრილნი წარუდგენ მბრძანებელს და სანამ ნადირ-შაჰი ჰკითხავდათ რამეს, შათირმა დაიწყო ახალციხის ამბების მოყოლა.

— როგორც მივართვი თქვენი უსტარი, სამყაროს მბრძანებელო, მაშინვე დაფაცურდა ახალციხის ფაშა, ძალიანაც არ ეწადა ამათი გაცემა, მაგრამ თქვენი სახელი ესოდენ დიდია ახალციხის საფაშოსა და დედამიწაზე, უარი ვერ გაბედა. მაშინვე იქ წამიყვანეს, სადაც იყვნენ ბინადადებულნი. რაკი ეუწყათ, დიდებულ ხელმწიფეს უნდა ეახლოთ, უზომოდ შეშინდნენ და ენგიჩარებს შეევედრნენ შემწეობისათვის. ენგიჩარებს შეებრალათ, კალთა გადააფარეს და არ ეთმობოდათ: ჩვენ დაგვითმე ამისი თავიო. ბევრი ეფიცნენ, ხელმწიფის საწყინარს აღარას ჩაიდენსო, მაგრამ სულგრძელმა ფაშამ, თანახმად თქვენი უსტარისა, ბრძანება შეასრულა. იქიდან როცა წამოვედით...

— კმარა! — შუბლი შეიკრა ნადირ-შაჰმა. თარჯიმნის დილანდელი ცუღლუტობა გაახსენდა და სისხლი აემღვრა. მეორე ახალი თარჯიმანი მიიხმო და წინასწარ გააფრთხილა: — უკეთუ ერთ სიტყვას მაინც გადააბრუნებ, მყისვე შაითანთან გაგისტუმრებ. ჰკითხე, რატომ ებრძოდი-თქო სპარსეთის ხანს თბილისში?

შანშემ თარჯიმანს არ დააცალა, გაფანჩული წარბები მრავალმნიშვნელოვნად შეატოკა და სუფთა სპარსულით აუწყა:

— დიდებულო ნადირ-შაჰის ფეხი, თბილი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხის ხანი, ღვთის რისხვას იმსახურებს, მბრძანებელო. თქვენი სახელით ჩაგრავს ქვეშევრდომთ და არცხვენს თქვენს დიდებას.

— და შენ გსურდა, რომ აღგედგინა ჩემი სიწმინდე შენს ქვეყანაში?

— ჭეშმარიტად ასე იყო, მბრძანებელო. განგებამ უსაზღვრო ერთგულება ჩამინერგა თქვენი სიმაღლისადმი და ამ ერთგულებას სიკვდილამდე არ ვუღალატებ.

ნადირ-შაჰს თარჯიმანის დილანდელი სიცრუე გაახსენდა და გული აემღვრა ადამიანთა ერთგულებაზე. მოეჩვენა, რომ გაიძვერა შანშე ერისთავი ყოველივეს ატყუებდა და თავის დაძვრენაზე წუხდა მხოლოდ და მხოლოდ. და არა მარტო შანშე ატყუებდა, არამედ ყველა, ვინც მის გარშემო ტრიალებდა. მოულოდნელად ყველა მსახურის მიმართ ზიზღი შეიგრძნო და ხმამაღლა დაიძახა:

— არ ახსნათ ხუნდები. უფრო საიმედოდ დაადეთ ბორკილები და ხორასანში გაგზავნეთ. იქ დამელოდნენ.

— მაპატიეთ, დიდებულო ხელმწიფევ, ოღონდაც მაპატიეთ და მონად გაგიხდებით. — შეღრიკა შანშე ერისთავი.

— ჩანს, სიკვდილისა გეშინია, — დამცინავად ჩაიცინა ნადირ-შაჰმა, — და თუ არ გეშინია სიკვდილზე უარესი არაფერი მოგელის ტურფა ხორასანში.

შანშემ თავმოყვარეობის უტიფარ შელახვად მიიჩნია ხელმწიფის დამცინავი ღიმილი და დააპირა, თამამად ეპასუხა, მაგრამ გაახსენდა, რომ მისი საბელი ყელისა სწორედ ხელმწიფის ხელთ იყო და როცა გამოწევას ისურვებდა, მაშინ ამოხდიდა სულს.

— არ მეშინია, მაგრამ მეზარება.

— რატომ?

— მეზარება, მბრძანებელო. როცა კაცს ჯერ კიდევ მკლავიც უჭრის და მუხლიც ერჩის. როცა საზრუნავი უამრავი აქვს და გონებასაც ავალა არ აკლია, ძნელია სიკვდილის წინ დაჩოქება. შანშე ერისთავმა არც დაზარება იცის, მაგრამ მარტოდენ ნაადრევი სიკვდილი მზარავს. თანაც უსახელო და დაუმსახურებელი სიკვდილი.

— სიმართლე გითხრა, სიკვდილი მართლაც საზარელია, ვიდრე საშიში. — ენიშნა მბრძანებელს შანშეს სიბრძნისა, არც ქსნის ხანი ჩანს ურიგო კაცი, რაკი ასე მემუსაიფება, მაგრამ დღეს ერთმა ლეკის დედაკაცმა დამარწმუნა, რომ ვინც ამა სოფლად გაჩენილა, ყველანი სიკვდილის ღირსნი არიან. ვფიქრობ, არც მე და შენ უნდა ვიყვნეთ საგანგებო კაცნი. წადი ხორასანს და იქ დამელოდე, ვინ იცის, ალლაჰმა რას ჩამაგონებს.

## ხატების კვნესა

იმ დღეს ალექსი დეკანოზი ესტუმრა თელავის სასახლეს. თან ახლდა ახოვანი, ცისფერთვალებიანი ჭაბუკი. დედოფლის ნახვა მოისურვეს და პირდაპირ თამარის ოთახისაკენ წარუძღვა მსახური. ერეკლე ახალგაზრდებს ავარჯიშებდა და, როგორც კი შეატყობინეს, თბილისიდან დეკანოზი ალექსი ჩამოვიდა და თან უცხო ვინმე ჭაბუკი ახლავსო, ბიჭები ოსმანას ჩააბარა და თვითონ სასახლეში გამოცხადდა. იცოდა, დეკანოზი ალექსი უზომოდ დიდ პატივს სცემდა დედამისსა და საერთოდ მათ ოჯახს. ამიტომ მოწიწებით შევიდა სასახლეში, მორიდებული ნაბიჯით გაიარა გრძელი დერეფანი და ის იყო, კრძალვით უნდა მთხვეოდა დეკანოზის მარჯვენას, რომ მოულოდნელად ყოველგვარი კრძალვა დაკარგა და ხმამაღლა შესძახა:

— თეიმურაზ!

ეს გაუბზარავი ხმა ღია კარიდან დერეფანში გაიჭრა, დერეფნიდან ეზო გადაირბინა და გალავნის კოშკებს მიაწყდა.

ალექსი დეკანოზთან ერთად თეიმურაზ-ყოფილი, ერეკლეს უსაყვარლესი ბიძაშვილი, ბერი ანტონი ჩამოსულიყო.

ადგომა არ დააცადა ანტონს ერეკლემ, ყელზე მოეხვია და ისე მძლავრად მიიკრა მკერდზე, კინაღამ დაახრჩო.

— ურცხვი ხარ, ურცხვი!.. რატომ აქამდე არ გვინახულე? განა ასე უნდა საყვარელი ბიძაშვილის გადავიწყება?

ხვევნას რომ მორჩა პატარა კახი, მაშინღა მოახერხა წამოდგომა ანტონმა და თითქოს მთელი თავით ასცილდა ერეკლეს.

— ანტონი ვარ, ბატონიშვილო, თეიმურაზი აღარ გახლავარ, — ცრემლით გაევსო ანტონს ზღვისფერი თვალები და მხრებზე მოუთათუნა მონატრებულ მამიდაშვილს ვეება, მაგრამ ძალიან თეთრი და განაზებული თლილი თითები: — საყვედური შენც მრავალი გაქვს, მაგრამ სხვა დროს მოგახსენებ.

— ბიძაშვილის ნახვის სიხარულმა მოხუცი დეკანოზი სულ გადაავიწყა ჩემს ბატონიშვილს, — გაიღიმა ალექსი დეკანოზმა.

— მაპატიე, მამაო! — მოუბოდიშა დედოფალმა ერეკლეს ნაცვლად.

— მაპატიე მამაო! — მოუბოდიშა ერეკლემაც და მარჯვენა ხელზე ემთხვია ალექსი დეკანოზს. ალექსიმ შუბლზე აკოცა და პირჯვარი გადასწერა.

— დალოცე, მამაო! — მოისმა ისევ თეიმურაზის ხმა და ერეკლემ ახლაღა შენიშნა, რომ მამაც იქ ყოფილა, — თქვენი დალოცვა კარგადა აქვს დაცდილი.

— ღმერთმა დაგლოცოს, შვილო, ღვთისმშობელმა და მამაზეციერმა, ურჯულოთა ქვეყა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაში რომ მშვიდობით გივლია, მარტო შენი კერისა და კახეთის სიხარული კი არ არის, მთლად საქართველოს ბედნიერებაა. ქართლელთა თავი შენსკენ არის მოპყრობილი და იმერეთიც მზრუნველ ხელს ელის. დიდი, ძალიან დიდი საქმეები მოგელის, ჩვენო სასოებავ!

თითქმის დარცხვენილმა და ღვინისფერ სახეზე ალმურმოდებულმა ანტონმა ძლივსღა მოახერხა დაჯდომა. მორჩილად გაუღიმა ბიძა თეიმურაზს და მერე მამიდას მიაპყრო მზერა. წამის შემდეგ კი განივრად გაშლილი, წაბლისფერი წვერი ხანშიშესული და ყოველნაირად დაღულებული მორწმუნესავით მარჯვენა ხელის დინჯი მოძრაობით ჩამოიწურა და ძლივსშესამჩნევად გაუღიმა პატარა კახს.

— ნახეთ, რა კარგი ვაჟკაცი დამდგარა! — აღტაცება ველარ დაფარა ერეკლემ, — ხომ მოუხდება კათალიკოსობა, მამაო? ხომ დაამშვენებს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქობა? — მიუბრუნდა ალექსი დეკანოზს.

— ჭეშმარიტად დამშვენდება, შვილო. უბრალო ბერი არ გეგონოს, ღმერთმა მოუვლინა წყალობად ჩვენს სარწმუნეობას. ესეთი განსწავლული ყმაწვილი ჩემს თვალთ არ უნახავთ და ყურთ არ სმენიათ. ქართულ და ბერძნულ ენაზე წაუკითხავი არაფერი დატოვა. სომხურსა და იტალიურ წიგნებსაც ეტანება.

— გმადლობთ, მამაო, ჩემს ბიძაშვილზე ესოდენი ზრუნვისათვის!

— როგორც კი გარეჯის მონასტერში თვალი დავკარი, მაშინვე მივხვდი, რომ განძი რამ ვიპოვნე, შევიყვარე და ჩემთან წამოვიყვანე. განსასწავლად. თუმცაღა ყველაფერი ხუთი თითივით იცოდა ამ ლალოცვილიშვილმა. ნამდვილი პანკრატოვანია, მეფეო. — მიუბრუნდა თეიმურაზს და მერე კი დედოფალს ამა: — თქვენი სისხლი და სული უდგას.

— უფალმა გისმინოს, მამაო! — ნარნარი ხმით თქვა თამარმა და დეკანოზმა ახლა შენიშნა, რომ დედოფალს ძალიან წააგავდა ანტონი სახისფერზე.

— ბერად მაინც არ უნდა აღკვეცილიყავი. — უსაყვედურა ანტონს ერეკლემ, განიერ მხრებზე მიეფერა და გვერდით მიუჯდა, — შენ ახლა ჩემს გვერდით უნდა იბრძოდე მტერთა წინააღმდეგ.

— აკი მიბრძანეთ, ჩემო კეთილო ბატონიშვილო, კათალიკოს-პატრიარქობა დაამშვენებსო?.. — გაუღიმა დეკანოზმა, — კათალიკოსი კი ნიადაგ მხარში უნდა ედგეს მეფეს. — ალექსიმ წვერზე ხელი ჩამოისვა და ერეკლემ პირველად შენიშნა. რომ ამ ბერიკაცსაც საოცრად ნატიფი თითები ჰქონია, — ანტონს ხასწაულების მოხდენა შეუძლია, შვილო შენ მხოლოდ იმარჯვე და ხალხის იმედი გაამართლე, ესეც ნიადაგ მხარს დაგიმშვენებს. წელანაც გითხარი, ქართლის გლეხობა შენს მზეს უყურებს და იმედი არ უნდა გადაუწურო.

ერეკლემ და თეიმურაზმა ერთმანეთს შეხედეს. იფიქრეს, ალბათ მოგზავნილიაო ანჩისხატის დეკანოზი. მერე მათი თვალები ანტონის წმინდა თვალებს შეუერთდნენ და იქაც რომ სიხარული ამოიკითხეს, გულს მოეფონათ.

— სტუმრები მშივრები იქნებიან, დედოფალო. მზარეულს უბრძანონ, საგანგებო სუფრა გაამზადონ სასურველ სტუმართათვის. აუცილებლად ივრის ცოცხალით დაამშვენონ სუფრა.,

— ალაზნისა რომ იყოს.

— დეკანოზ ალექსის ივრისა უყვარს.

— თავს ნუ შეიწუხებთ, დედოფალო, ზომიერად დანაყრებულნი ვართ მე და ჩემი ახალგაზრდა მეგობარი.

— ნუ დამზოგავ, მამაო, თქვენზე უკეთეს სტუმარს სხვას ვის ინატრებს ეს სასახლე. თადარიგი უკვე დაჭერილი გვაქვს. მხოლოდ ივრის ცოცხალს შევუკვეთ, რაკი მეფეს ასე ესურვება.

— თქვენს სიახლოეს ღორჯოც კი უგემრიელეს კალმახს მირჩევნია, ბრწყინვალე დედოფალო!

დედოფალი გავიდა. ალექსი დეკანოზმა ღრმად ამოიოხრა და თეიმურაზის გასაგონად ჩაილაპარაკა:

— მეორედ მოსვლაა, ბატონო, სულ უფროდაუფრო უარესი დღე გვითენდება!

ერეკლემ ანტონს მოსწყვიტა მზერა, სავარძელში გადაინაცვლა და დასახლტომი ჩახმახივით შეიმართა.

— ქართლში მუმეიზი შემოვიდა, — დინჯად განაგრძო დეკანოზმა, კაცი დავბერდი და ამას აღარ მოვსწრებულვარ, ისეთი სულწაწყმენდილი მუმეიზობა დაიწყო, ყველაფერს გვითვლიან.

ოთახში დედოფალი შემოვიდა, თავის სავარძელში მოკალათდა და დიდრონი თვალები დეკანოზს შეანათა:

— რა ბრძანეთ, მამაო?

— ყიზილბაშებმა ქვეყნის აღმწერელი შემოგზავნეს, შვილო, აღწერეს ყოველივე და უზომო ხრევი დასდეს გადასახადად, დათვალეს ვაზი და ხეხილი, განზომეს მიწა საბლითა, აღრიცხეს გზები და სახლები და ყველაფერს ხრევი დასდეს.

— როგორ, ყველაფერს ცალ-ცალკე? — შუბლი შეიკრა დედოფალმა.

— სული ნუ წამიწყდება, ყველაფერს ცალკ-ცალკე. ვაზს ერთი ბისტი დასდეს გადასახადად, სოფელსა და ბაღსა შინა რაც ხე და ხეხილი ნახეს, თითო შაური დასდეს. კაცსა ორი მინალთუნი შეაწერეს, ყმაწვილსა ასაკოვანსა — ხუთი აბაზი, ბოსტანსა, წისქვილსა, ყოველ-

ეროვნული

ფერს შენობას ანუ ოხერს ადგილს ისეთი ხარჯი დასდეს, რომელიც კაცისაგან დიდად შეუძლებელია. როცა ეს ქვეყანა ურუმთ ეჭირათ მაშინაც დაწერეს, მაგრამ ამდენი ხარკი არ დაუდვიათ. ახლა კი... არ ვიცი, ესეც ცოდვათა ჩვენთა დავაბრალოთ თუ...

— ხალხი რას ამბობს? — იკითხა თეიმურაზმა.

— ხალხი შეესია და ბაღ-ვენახს კაფავდა, მაგრამ რაკი შეიტყვეს, ნაოხარ ადგილს უმცირესი ხრევი არ ჰქონდა, აიყარა და აქეთ-იქით გაიხიზნა. ვინც ადგილზე დარჩა, იმათ კიდევ იმისი იმედი აქვთ, ერთი მემკვიდრე ბატონი გამოგვიჩნდება და ამ ჭირისაგან გამოგვიხსნისო.

ერეკლემ ისევ ანტონს შეხედა. ანტონი ჭმუნვით იჯდა და თითქოს არც ისმენდა ლეკანოზის ნაუბარს. ამან უფრო გააგულისა პატარა კახი და ფეხზე წამოიჭრა:

— მაშ, პაპაჩემის ქართლს მემკვიდრე პატრონი აღარ ჰყოლია, მამაო?!. აბა, რად ჩააცვით ამ ჭაბუკს ბერის ანაფორა?

— ბერად მე თავად აღვიკვეცე, ბატონიშვილო, — წარბი შეხარა ანტონმა და თითქოს საყვედურიც გაურია, — შენ მაშინ შუაფხოში იყავი გახიზნული. აქ რომ დამხვედროდი, ალბათ სხვაგვარად წავიდოდა საქმე. ახლა კი უკვე გვიანია. ჩემი ყოველივე კეთილი ღმერთს ვანაცვალე და ფიცი მივეცი.

— რა ფიცი მიეცი? — შეეპასუხა ერეკლე.

— მის მცნებას არასოდეს ვუღალატებ. მარად ვიქნები მსახური და მლოცველი მისი.

— მაშ, ხმალს არ მოჰკიდებ ხელს?

— ეჰ, ბატონიშვილო, რომ იცოდე, ამ გულში რა ცეცხლი ტრიალებს, უთუოდ შემიბრალებდი და მაპატიებდი. მე სულის საქმეს მოვემსახურები და ჯვარს ვიხმარ იარაღად, შენ კი ხმალი გიჭირის და ხალხს წარუძეხი საბრძოლველად.

— ასე გამოდის, საქვეყნო საქმე მარტო მე გადმომაკისრეთ ყველამ. — მიუბრუნდა ალექსი ლეკანოზს, — გაამზადე ანაფორა და ქართლ-კახეთს გავაერთიანებთ. მერმე კი... ვინ იცის, როგორ წარიმართება ჩვენი საქმე.

— ჩვენ ყველანი შენთან ვართ, შვილო. ანაფორის გახდას ვერ ვაიძულებ წმინდა ანტონს, სამაგიეროდ სასულიერო საქმეში უწინამძღვრებს თავის ხალხს. სულის სიწმინდე კი ყველაზე მთავარია ერის გამარჯვებაში.

ერეკლე დადინჯდა. გულში დატუქსა თავისი მოუთმენლობა და ისევ სავარძელში ჩაეშვა მოწყვეტით.

— მამათქვენს ფრიად დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია, შვილო — განაგრძო ალექსიმ,— თავისი სიმამრის, მამა-ძმისა და პირადი გამოცდილებით იმდენი შეიძინა, ალლო აულო ყოველ საქმეს. შეცდომას აღარ დავუშვებთ.

— შეცდომას, მამაო, ყოველთვის ვერ ვამჩნევთ — ფართოდ გახელილი თვალები კედელს გაუშტერა ერეკლე ბატონიშვილმა, — დაგვიანებით ნათქვამი სიმართლე ხშირად უკვე გამოუსწორებელი და მიუტევებელი შეცდომაა. შეცდომა არ ჩანს, როცა ჩავდივართ, ამას მხოლოდ მერმე ვიგებთ, როცა უკვე ძალიან გვიანია.

— ჭეშმარიტი ბრძანებაა, შვილო. შენი ბაგენი სიბრძნეს ლაღადებს. შეცდომას ვერ ვამჩნევთ, ისე ჩავდივართ შეცდომის სინანულს კი გვიან ვიგრძნობთ ხოლმე. იქნებ ისიც მიუტევებელი შეცდომაა, ყაფლანიანთ დანიშნული ქალი რომ ადვილად მიატოვეთ?

— არა, ეგ არ არის შეცდომა! — იწყინა ერეკლემ. — შეცდომა იმ ქალის დანიშვნა იყო. განშორება კი ერთადერთი სწორი ნაბიჯია, რომელიც დროით უნდა გადადგმულიყო.

— რატომ?

ერეკლემ იფიქრა, ალექსი ლეკანოზის მოსვლის მიზანი სწორედ ეს არისო და ბრაზი წაეკიდა:

— ქალის შერთვა ჩემი პირადი საქმეა, მამაო მე უნდა მიხაროდეს, უნდა მიყვარდეს და რაკი არ მიყვარს, უმჯობესია, ადრე მომხდარიყო ჩვენი განშორება.

— ტახტის მემკვიდრეს პირადი სიხარული არ უნდა გააჩნდეს, შვილო, — შთამაგონებლად დაიწყო ალექსი ლეკანოზმა და ერეკლემ საბოლოოდ ირწმუნა, რომ ეს კეთილი კაცი მხოლოდ ამ საქმეზე იყო ჩამოსული, — მისი სიხარული სამშობლოს კეთილდღეობა უნდა იყოს. ქაიხოსრო სარდლის დაკარგვა, ვფიქრობ, უმძიმესი დანაკლისია ჩვენი ქვეყნისათვის. ამჟამად სარდალი განრისხებულია უიზილბაშებზე. თქვენი მოყვრობა რომ მხარს უმაგრებდეს, ვინ იცის, როგორ წარიმართება საქართველოს ბედ-იღბალი. გაერთიანებული ქართლ-კახეთი ცოტას არ ნიშნავს.

— ვიცი, მამაო, მაგრამ ქაიხოსრო ის სარდალი არ გახლავს, რომელიც ნადირ-შაჰს დაამარცხებს. ქართლ-კახეთის გაერთიანებას კი ჩვენც მოვახერხებთ.

— მართლა, მამაო, ამბობენ, ქაიხოსრო სარდალსა და თბილისის ხანს შორის შავმა კატამ გაირბინაო. — სცადა საუბრის სხვა არხში ჩაგდება მეფე თეიმურაზმა.

— ეს შავი კატა ხშირად დარბის ქართლის მთავართა და ნადირ-შაჰის მოხელეთა შორის. ეს შავი კატა არცა ბერდება და არცა კვდება, შვილო... საყაფლანისშვილო მამულში ვილაც ყიზილბაშები დაუხოცავთ და ქაიხოსროს აბრალებენ. ესეც ჩვენივე თავადების ოინია და ამად უხარიათ. იციან, ყაფლანისშვილ-ორბელიანნი მუდამ ერთგულნი იყვნენ ქართლის ტახტისა და ახლაც თუ აღდგა, კვლავ ვერავინ შეეცილება ერთგულებაში. ერთგულებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი ზოგჯერ თუ ტანჯვა მოსდევს, ზოგჯერ აღშფოთება მოჰყვება ხოლმე.

— ხშირად თავის მოკვეთაც. — ჩაიცინა თეიმურაზმა.

— ეგეც სარწმუნოა... ჰოდა, აქედანვე იშორებენ ქაიხოსრო ორბელიანს, ვითარცა საშიშ მეტოქეს.

— თუკი ასეა, ალბათ სარდლობას ჩამოჰყრიან ჩვენს სამოყვრო კაცს და მაშინ რაღა გვაქვს სადარდელი?

— ბატონიშვილმა ბრძანა, დაგვიანებით ნათქვამი სიმართლე ხშირად მიუტევებელი შეცდომააო და ასეც მეჩვენება. მაგრამ თქვენს შორის რომ მტკიცე სამოყვრო კავშირი ყოფილიყო, უთუოდ ბევრს იხეირებდა ჩვენი ტანჯული საქართველო. წკიპზე დგას სპარსეთი. მისი მთავარი ძალები დაღესტანშია დაბანდებული. სხვანი დაპყრობილ ქვეყნებში ჰყავს გაბნეული და... ჩვენში რომ ერთი პირი და ერთი საქმე იყოს, ვინ იცის, რა მოხდებოდა.

— სიდინჯე, მამაო... თქვენგან გამიგონია. მოთმინებააო საჭირო. წინაპართ უთქვამთ, ასჯერ გაზომე და ერთხელ გასჭერიო. ჩემი ერეკლე ჯერ ყმაწვილია და ნადირის ყბაში ჩასაგდებად არ უნდა გავიმეტოთ. გაივლის ხანი და... რაო, რას ამბობენ? ვის უმზადებენ ქართლის სარდლობას?

— მგონი, დიმიტრი ორბელიანს:

— დიმიტრი ორბელიანს?.. — ფეხზე წამოდგა თეიმურაზი და ერეკლესებური მოუთმენელი ნაბიჯით გაიარა დარბაზში. მერე უცბად შემობრუნდა და თითქმის ნიშნისმოგებით მიუგო ალექსი დეკანოზს: — აი, ვინ გახდება ჩვენი მოყვარე!

ალექსი დეკანოზმა გაკვირვებით შეხედა მეფეს.

— ჩანს, ვერ მიმიხვდი, მამაო. თეიმურაზ მეფეს მარტოდენ ძე არ ჰყავს. მას ერთი ასული კიდევ მოეძევება და სწორედ დიმიტრი ორბელიანის თანამეცხედრე უნდა შეიქმნას.

— როგორ? დიმიტრი ხომ ხანდაზმული კაცია, თეიმურაზ? — შეიცხადა თამარმა, უფრო იმიტომ, რომ ძალიან ეწყინა მეფის ასეთი ამსუბუქება და მოუთმენლობა.

— ხანდაზმული სულაც არ არის. ჯერ მხოლოდ ორმოციოდე წლისაა დიმიტრი ორბელიანი და ნამდვილი ვაჟკაცური ასაკი კი სწორედ ორმოცი წლიდან იწყება.

თეიმურაზიც ორმოციოდე წლისა იყო, მაგრამ ხან გულს უჩიოდა, ხან თავისტკივილს და ხანაც ნიკრისის ქარებს მოიმიზეზებდა ხოლმე, თუ ხასიათზე არ გახლდათ.

— დიმიტრი?... არა, მამა, ანიკოს სიხარულს არ გავიმეტებ. — განაცხადა ერეკლემ.

— მეც მეძნელება, ჩემო შვილო, მაგრამ უნდა გავიმეტოთ. ჩვენი სიცოცხლე ქვეყნის კეთილდღეობას უნდა მოვახმაროთ. — ყალბად გაისმა თეიმურაზის ეს სიტყვები. ამას თვით მეფეც მიხვდა, მაგრამ აღარ შეჩერდა, — წმინდა ალექსიმ ბრძანა, ქვეყნის პატრონმა პირადი სიხარული არ უნდა იცოდესო და მართალიც არის. ჩემი ანიკოს სიხარულიც სწორედ საქართველოს ბედნიერება უნდა იყოს და არა თუ სხვა რამ. ვერც მარტო ქართლი და ვერცა კახეთი ყიზილბაშთაგან ვერ დაიხსნიან თავს უერთმანეთოდ. ერთობა გვინდა, შვილო, არა მარტო ქართლ-კახეთისა, მთელი საქართველოსი. ასეთი ერთობა კი მხოლოდ მცკიცე სიყვარულსა და მოყვრობაზეა დამოკიდებული.

— და თუ ეს სიყვარული არ არსებობს?

— უნდა არსებობდეს. ჩვენ უნდა შევქმნათ. სხვაგვარად ბრძოლას ვერ დავიწყებთ.

— თუ ეს გახდება გარეშე მტერთან ბრძოლის დასაწყისი, თანახმა ვიქნები. — თქვა ერეკლემ და ბიძაშვილს გაუსწორა მეტყველი თვალები, თითქოს თავისი აზრის დასტურს ელოდა მისგან. ანტონმა გაიღიმა და თანხმობის ნიშნად თავი დახარა.

— არა. ბრძოლას ჯერ არ დავიწყებთ. სასურველია, დაღესტნის მთებში, რაც შეიძლება, ბევრი სისხლი ჩაღვაროს. ისე დასუსტდეს, როგორც დასუსტდა შაჰ აბასის ლაშქარი პაპაჩემის გონივრული პოლიტიკის წყალობით მერმე შევესივნეთ ჩვენს მამულში მოპარპაშე გადამთიელებს და...

— ბრძნული აზრია, მეფეო! — გაიხარა ალექსი დეკანოზმა, — ხატები კვნესიან მთელი ღამე. აღარ მაძინებენ. ჩემს სენაკამდე აღწევს მათი კვნესა-გოდება. ჩივიან უმეფობას და უპატრონობას. ნიაღაგდლე შეგინებას ელიან ურჯულოთაგან და ამის მოლოდინში იტანჯებიან. თავადაც იტანჯებიან და ჩვენცა გვტანჯავენ. დღე-ღამ ვილოცებ, რათა დაღესტნის მთებში განახევრდეს ნადირ-შაჰის ლაშქარი.

იმავე საღამოს ერეკლე ბატონიშვილმა ოხმანა იხმო. მისცა რაზმი და მთებში გაისტუმრა. მას შემდეგ გულადი ბიჭი თავისი მამაცი მეომრებით მოსვენებას აღარ აძლევდა ყიზილბაშთა ჯარს. დადიოდნენ მიუვალ მთებში, გლეჯდნენ გოხებს და საგორავებად აგორებდნენ. ყიზილბაშები უცნობ მთებში ვერ ადიოდნენ და კლდეებზე ხოხვაში გაწაფული კავკასელები კი დღეს რომ ერთ მწვერვალზე იყვნენ, ხვალ უკვე მეორე მთის კალთას ლაშქრავდნენ.

☐ გაგრძელება იქნება ☐

ეროვნული ბიბლიოთეკა

მირონ ხერგიანი

# შენ, თიანეთო, კარგი ხარ...

## საუბარი რაიონის პრობლემებზე

მე აქ მეუბნებიან, ადრე მშვენიერი მოხავალი მოგვყავდა თიანეთშიო. თქვენც გქონიათ ამის შესახებ მოსახლეობასთან საუბარი. თუ კი ეს სიმართლეა, საკითხი ასე უნდა დავსვათ — ან მიწა გამოიფიტა, ძველებური ღალიანობა დაკარგა, ანდა ჩვენ ვაკლებთ ხელს მის დამუშავებასა და მოვლა-პატრონობას. მე კი მგონია, რომ ეს მეორე მიზეზი უფრო ანგარიშგასაწევად უნდა მივიჩნიოთ. მართალია, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა-იარაღებით დღეს უფრო მდიდრები ვართ, მაგრამ, თავისთავად, ეს ეტყობა, ცოტას ნიშნავს. მიწა ძველთაგან სათუთ მოპყრობასა და მოვლა-პატრონობას არის დაჩვეული. ზერელობას ვერ იტანს. საქონელივით მიწასაც გააჩნია შინაგანი მგრძნობელობა. სვანეთში ამბობენ ხოლმე — „ზერელე სვე თვინიერი პირუტყვისთვის მოქნეული სახრეაო..."

დავფიქრდეთ და ვაღიაროთ, რამდენი სხვა მიფუჩეჩებული, მაიმარად გადატარებული ნამხარი რჩება მინდორში? ესე იგი, ჩვენ მწარე წვეპლებით ზურგი დავუქციეთ ბებერ მიწას, თავმოყვარეობა შევულახეთ, სასაცილოდ ავიგდეთ. და იგიც, ეტყობა, მართლაც შურს იძიებს ჩვენზე.

ერთი სიტყვით, კვლავ მივედით იმ დასკვნამდე, რომ ჩვენი სახალხო მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის აუცილებელია ანაზღაურებისა და სტიმულირების ეფექტიანი, ნოვატორული მეთოდების დანერგვა ნებისმიერ დარგსა და სფეროში. დაახლოებით ამდაგვარად, როგორც ეს გაკეთდა აბაშაში.

**ავტორი:**

საშინელი სიტყვაა „მიგრაცია". იგი ჩემში სიკვდილის, იავარქმნის, გადაშენების ასოციაციას იწვევს.

ივრის ხეობას ვინც კი აშყოლია სათავეებისაკენ და ფლატეებიდან გადმომზირალი, თვალებჩაღამებული, მიწაზე გართხმული, ანდა სულაც მიწისქვეშ ჩამძვრალი ნამოსახლარებისათვის თვალი დაუკრავს, იმათი უტყვი მუდარით გული დასწვია და თვალებზე სინანულისა თუ მდურვის, ბოლომდე გაუთვითცნობიერებელი მელანქოლიის ცრემლი მოსდგომია, ის გაიგებს და ირწმუნებს ამ შედარებათა უტყუარობასა და სინამდვილეს.

და მერე რა ნასოფლარებია ესენი!

რა სახლებია, ძველქართული ეზოებით, ლაზათითა და ფეროვნებით სრულქმნილნი, საოცრად მისადაგებულნი ადგილმდებარეობას, საოცრად ელერადნი, მსუყენი, მრავლისმთქმელნი, აბა, დააკვირდით. ხაშარი, ბაჩალი, ხილიანა, ყვარა, ბაფხისხევი, კორსავი, სოფლიონი, სახევი, სხლოვანი (ივრის ხეობის ნამოსახლარები); შარახევი, ლახატო, ბუქყინტა, ხოვლიალა, საშავარდნე, ზენამხარი, ივლიანთგორი, სეროდანი (შარახევის ხეობა) და მრავალი სხვა. და ეს, მთა-ბარად მობნეული ნასოფლარები — წუთისოფლის ნატერფალები ამოშანთული იარებივით ტკივილებს ბადებენ ჩემში. და არა მარტო ჩემში, ყველა ჩვენთაგანში. ალბათ ამ ტკივილმა დააწერინა შესანიშნავი ლექსები ახალგაზრდა პოეტს გიორგი მგელაძეშვილს, სწორედ იმ შარახევისა და ლახატოს მკვიდრს, რომელთა სახელებიც „მკვდართა სიაში" მოაყოლა ჟამთა მდინარებამ.

---

დასასრული. იხ. „მნათობი" № 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემს წინაპართა მიწაო,
ლახატო, ჩემო ლახატო,
ისედაც დახატული ხარ,
მე როგორ უნდა დაგხატო...

დიახ, სწორედ ამ ლახატოში, ამ სამიოდე ათეული წლის წინ სიცოცხლე სჩქეფდა. იქ იზრდებოდნენ და ფრთიანდებოდნენ მგლის-მუხლება ვაჟკაცები — მგელიაშვილთა გვარის შესანიშნავი წარმომადგენლები — პოეტები, საზოგადო მოღვაწეები, ექიმები... აქ ქმნიდა თავის შედევრებს ცნობილი მელექსე ყრუვ გიორგი. სწორედ პაპაზე დაწერა ჯერ კიდევ ღინღლიანმა ჭაბუკმა გიორგი მგელიაშვილმა ეს სტრიქონები — „ახლაც მესმის ყრუვ გიორგის და ფრუშკაის შეგონებაო...“ ხოლო მდინარე შარახეულას ასე სათუთად მიუმღერა:

მაღლიდან ზათქით, ღრიალით,
ჩამორბის შარახეულა,
ვით შვილი, საკუთარ მშობელს
არაგვს რომ გადახვეულა...

ერთ მშვენიერ დღეს კი ამ არემარეში სიცოცხლე დადუმდა. ნადირთსაუფლოდ იქცა იქაურობა. სოფელს ურვის საბლარდნელი გადაეფარა. ქერხოები ჩამოექცათ სახლებს, საბურავები ჩაულპათ. მამლის ყივილი ბუს მოთქმამ შესცვალა.

ივანე მგელიაშვილი (პენსიონერი):

ჩემი წინაპრების მხარეში, ლახატოსა და ზემოშარახევში, 1936 წელს შევუდექი პედაგოგიურ საქმიანობას. აი, ამ ჯიჯეთისა და ვერხველის მთებს ხომ ხედავ, ცხენით გადავდიოდი გორს მიღმა თიანეთიდან, დაახლოებით, ორმოცამდე კილომეტრი მაინც იქნება. სულ მაღლა და მაღლა, გორ და გორ უნდა იარო. ოღონდ არ გეგონოს, რომ თავს ვინებივრებდი — ცხენს ალვირში ჩავკიდებდი ხელს და ფეხით მივქელავდი ბილიკს. არ მიჭირდა და „ტრანსპორტის“ შეწუხებას ვერიდებოდი, მხოლოდ უამინდობისას, კი ბატონო, უარს არ ვიტყოდი ამ სიამოვნებაზე. მგელიანები სწორედ იქაური წარმომავლობისანი გახლავართ. ჩვენი გვარი ერთ-ერთი უძველესია თიანეთის რაიონში. ხანდახან ხუმრობით იტყვიან ხოლმე — მგელი მგელიაშვილების მერმე მოევლინა ქვეყანას და ეს სახელიც იმათგან დაინათლაო.

იმას ვამბობდი, რა ბარაქა ტრიალებდა აღრე იმ სოფლებში, იმისი წარმოდგენა სიმართლე გითხრათ, გაგიჭირდებათ. იმ ბარაქას უფრო დაასურათხატებდა ხალხური თქმა: „ისე დუღსავ და გადმოდუღსავ ჩვენი სოფელი, როგორც ლობიო ქოთანჩი, გადმოდუღსავ და იფშრუკების ნაცარში...“ რა თქმა უნდა, სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვეზე მოგახსენებო და არა სამრეწველო ნაწარმის სიჭარბეზე... მაგრამ ესეც საკმარისი იყო მაშინდელი მოთხოვნილებების კვალობაზე... გლეხებს იმდენი საქონელი დაუდიოდათ მთაში... თუმცა რაღა მთაში, იმის ზემოთ უკვე აღარც იყო საძოვრები, მე შენ გეტყვი და, შორს გალალვა სჭირდებოდათ, ანდა საზამთროდ თივას ვეღარ იმარაგებდნენ. ბალახი, ღვთის შეწევნით ხარობდა და საქონელსაც მეტი რა სჭიროდა.. ეხ, როგორ დამეთუთქება ხოლმე გული, იქაურობას რომ მოცარიელებულსა და გაჩანაგებულს წარმოვიდგენ...

ავტორი:

პრობლემები...

ზემოთ მოყვანილი ციფრები ნათლად მეტყველებენ, რომ მთავარი წილი ჩამორჩენისა მესაქონლეობის სექტორზე მოდის. მაინც როგორ აღმოჩნდა რაიონი ასეთ მდგომარეობაში, როცა მას უკვე აღარ ძალუძს ხორცის ჩაბარების სახელმწიფო გეგმების შესრულება? იქნებ ტრადიციულად მოსდგამთ თიანელებს ასეთი ზნე-ჩვეულება? არაფერი მაგის მსგავსი! პირიქით, გასული ხუთწლედის მონაცემებს რომ გავადევნოთ თვალი, ისინი აშკარად მეტყველებენ თიანელთა გულუხვობასა და ხელგაშლილობაზე. ეს მონაცემები აგრეთვე იმასც ღაღადებენ, რომ ზომიერების დაცვა ყველა საქმეში აუცილებელი რომ გახლავთ, და რომ საქმისადმი ზერელე, „მედროვული“ დამოკიდებულება დოყლაპიობაა და მეტი არაფერი! ეს მონაცემები მეტყველებენ იმ ზოგიერთ „უწესივრობაზეც“, რასაც ადგილი ჰქონდა წინა წლებში და რის მიზეზითაც რაიონის საზოგადოებრივი სექტორი ერთობ დაზარალდა! მომხდარს უკვე, სამწუხაროდ, აღარაფერი ეშველება. ამჟამად რაიონის ახალი ხელმძღვანელობა წელზე ფეხს იდგამს, რათა ეს სავალალო ჩავარდნა როგორმე „ამოქაჩოს“. ბუნებრივია, ახალი ხელმძღვანელობისაგან ყოველთვის მეტს მოითხოვენ ხოლმე; მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ შექმნილი სიტუაციისა და მდგომარეობის გათვალისწინებით, „ახალმოსულნი“ არც თუ სახარბიელო ვითარებაში აღმოჩნდნენ. ამასთან დაკავშირებით მახსენდება პირველი მდივნის ერთგვარი გულისტკივილით ნათქვამი სიტყვები — „ჩვენმა კოლეგებმა თავიანთი მოღვაწეობა ახალი მიჯნებით აღნიშნეს, ჩვენ კი ქარბორბალაში მოხვედრილებივით ერთი ადგილი უნდა ვტკეპნოთ და „სამთო ექსპედიციები“ მერმისისათვის გადავდოთ. ერთადერთი ისღა დაგვრჩენია რომ მომავალი ლაშქრობებისათვის ჯეროვანი სამზადისი გავსწიოთ...“

— მერე და როგორი პირი უჩანს საქმეს? — შევეკითხე.

მან ენერგიულად მიპასუხა:

— სასურველი შედეგის მისაღწევად დიდი მუშაობა დაგვჭირდება. როგორმე უნდა ალვიდ-

გინოთ „სპორტული ფორმა“, როცა ჩვენ შევძლებთ „საკუთარი მარშრუტით“ წარვსდგეთ საცა ჯერ არს და ვითხოვოთ ამ პროექტის კურთხევა. ეს იქნება ამაღელვებელი წუთები, რადგანაც იმ მომენტიდან ჩვენ უკვე საკუთარი „ცოდვების“ წინაშე ვიქნებით პასუხისმგებელი. იმ წუთიდან დაიწყება ჩვენი იერიში მწვერვალებზე.

— რას გულისხმობთ „სპორტულ ფორმაში?“

ამ კითხვაზე მან მიპასუხა:

— ერთხელ ჩემი კოლეგა, მაიაკოვსკის რაიონის პირველი მდივანი ანზორ ჩარქსელიანი მეუბნებოდა — ამასწინათ აბაშის მეცხოველეობის ფერმები დავათვალიერე, და ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს სანატორიუმში ვიმყოფებოდი, ისეთი სისუფთავე და წესრიგი სუფევდა, თვალს აღარ ვუჯერებდი. ანზორს კი არ შურდა აბაშელებისა, გულშემატკივარი ხელმძღვანელობისა და მეურნეობის პასუხისმგებლობით მიამბობდა მათს წარმატებებზე.

მო და, ჩვენ, თიანელები, ვიდრე იმ მდგომარეობას მივაღწევდეთ, ჯერ კიდევ დიდი გზის გავლა მოგვიწევს, მაგრამ ეს ისეთი გზაა, რომელსაც დამაშვრალი ქარავანი „ოაზისისაკენ მიჰყავს“ მაშინ ჩვენი საქმეებიც აღმა წავა. ფერმების მდგომარეობაზე დიდად არის დამოკიდებული რაიონისათვის საჭირბოროტო სხვა საკითხების ბედიც...

— ახლა, როგორც თქვენ ბრძანეთ, „ერთ ადგილზე იტკეპნებით?“

— უნდა ითქვას პირდაპირ — მესაქონლეობა რაიონში ერთობ შეფერთხილი დაგვხვდა განსაკუთრებით დიდი დარღვევები აღმოჩნდა მეცხვარეობაში. ამიტომაც „ცხოველმრეწვის“ ხელმძღვანელობა მთლიანად გადავახალისეთ. დამნაშავეთა მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, რომლის თაობაზეც თქვენ უკვე მოგახსენათ რაიონის პროკურორმა ზურაბ ფიტვიაშვილმა. ამჟამად რაიონის ხელმძღვანელობის საერთო აზრია, რომ სოფლის მეურნეობა მთლიანად უნდა დავუქვემდებაროთ მესაქონლეობის დარგის განვითარებას. მხოლოდ ამ შემთხვევაში შევძლებთ ფერმებში სანიმუშო წესრიგის დამყარებას. მხედველობაში მაქვს „აბაშური წესრიგი“. ჯერჯერობით კი ფერმები, როგორც უკვე აღვნიშნე, შეფერთხილია. ამ „ნიდლეულით“ მოცემულ გეგმებს ხასწაულმოქმედების წყალობით თუ შევასრულებდით.

შევეცადეთ საგეგმო ორგანოების ყურამდე მიგვეტანა ჩვენი გულისტკივილი, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ბევრს ვერაფერს მივაღწიეთ. წლევანდელი გეგმა რომ არ ჩაგვივარდეს, დახმარებისათვის კვლავ მოსახლეობას უნდა მივადგეთ. ყველა გზა ამჟამად „მოსახლეობისაკენ მიდის“.

ავტორი:

აბდულა ბუთხუზაშვილი ერთ-ერთი იმათთაგანია, ვის მხრებზეც გადადიოდა და გადადის დღესაც შრომისა და შენების მთელი სიმძიმე უთქმელი, ფუსფუსა, დღენიადაგ მოსაქმე, საზოგადოებრივისა და საკუთარის ერთნაირად გულთან მიმტანი, უპრეტენზიო, ალალმართალი კაცი. მისი სახელი მშენებლებსა და მემინდვრეებს ერთნაირად აკერიათ პირზე. აბდულა ისეთი კაცია, ყველას სჭირდება მისი დახმარება — მექანიზატორი-მძღოლი და შემდუღებელი გახლავთ. გარდა ამისა, აბდულა პატიოსანი და მართალი კაცია, ფულის ხარბი არ არის. ბუნებრივია, შემოთავაზებულ გასამრჯელოზე უარს არ იტყვის, მაგრამ ნამუსიანად აიღებს, ზედმეტი რომ მისცე, უკან დაგიბრუნებს, რამე რომ ემართოს შენი და ანგარიშსწორებისას არ გამოუბარო, თავად შეგახსენებს და უკან დაგიბრუნებს. „ალალი ლუკმის გემოს ვენაცვალეო!“ — იძახის ხოლმე. ეს არის მისი ცხოვრებისეული საზომი, კრედო. მაცდური ფიქრები რომ არ გაუკარებია გონებისათვის, იქნებ იმიტომაც ახერხებს ყველა სიტუაციაში წონასწორობის შენარჩუნებას. მშრომელი ადამიანის ცხოვრებისეული ფილოსოფია, ჯანსაღი დამოკიდებულება აკავშირებს მოვლენებთან, სხვადასხვა ადამიანებთან, საზოგადოებასთან, რაც, ერთი შეხედვით, შესაძლოა, ჩვეულებრივ ამბადაც მოეჩვენოს ვინმეს, თქვას, ეგრეც უნდა იყოს, ამაში რაა განსაკუთრებულიო. მართლაც სასურველია, რომ აბდულას დამოკიდებულება „საყოველთაო ნორმა“ იყოს, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე რომ არ არის?

უფრო ნათლად რომ გავერკვეთ საქმის ვითარებაში, მიახლოებით მაინც წარმოვიდგინოთ ის სიტუაცია, რომელიც ამ ბოლო ათეული წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა ხელოსანთა სფეროში, ეს დაგვეხმარება სოფლად საყოფაცხოვრებო მომსახურების მეტად მტკივნეული საკითხის გაშუქებაში. იქნებ სწორედ ამ პრობლემის წიაღში უნდა ვეძებოთ, თუნდაც ნაწილობრივ მაინც, სოფლის მეურნეობის დარგში შექმნილი არასახარბიელო მდგომარეობის საიდუმლო?

ახალგაზრდა ოჯახს მოეკიდა, დამოუკიდებელ ცხოვრებას მიჰყო ხელი. პირველი ნაბიჯი ამ გზაზე საკუთარი ბინის „მოწესრიგება“ გახლავთ ყველა თავმოყვარე ადამიანს გააჩნია ბუნებრივი და სამართლიანი სურვილი ჰქონდეს „საკუთარი ჭერი“. ამ საქმის განხორციელება დაკავშირებულია დიდძალ ეკონომიკურ სახსრებთან, თანაც მშენებლობის პროცესი ერთობ შრომატევადია, უამრავ თავისუფალ დროს მოითხოვს. ძველად ასეთ დროს, სოფლად მამითადი, ნადობა იცოდნენ: მთელი სოფელი მიესოდა ერთის საქმეს და რამდენიმე დღეში სახლი მზად იყო. ამჟამად მდგომარეობა შეიცვალა. ადამიანები საზოგადოებრივი საქმეებით დაიტვირთნენ, დასვენების დღეებში სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუთარ საქმეებს ძლივს აუდიან. რა ქნას ამ სიტუაციაში „საკუთარ ჭერზე“ მეოცნებემ? ვის მიადგეს დახმარებისათვის?

რაიალმასკომს, უკიდურეს შემთხვევაში, ძალუძს ორ ტონამდე ცემენტი გამოუყოს მშენებელს საკუთარი ფონდიდან, რაც საძირკვლის ამოსაყვანად არის საკმარისი. საძირკველი, კი ბატონო, ფუძეთა-ფუძეა სახლისათვის, მაგრამ იმის მერმე კიდევ უამრავი რამ სჭირდება ბინას. მაშ, როგორ მოიქცეს გაჭირვებული მშენებელი, ცისტერნებით რომ ამოატარებენ უმაღლესი ხარისხის ცემენტს, არ მისცეს ორმაგი ფასი? რასა და ვის დაელოდოს, ვის იმედზე შეეგებოს ცივციველა ზამთარს?

მშენებლობას სხვა ათასი რამ სჭირდება, გარდა ცემენტისა. „ბლოკშიაც“ გადამყიდველს უნდა მიაკითხოს, ხის მასალაშიაც კერძო ფასი უნდა იხადოს, ასევე სანთლით უნდა ეძებოს „რუსული შიფერი“ — გადასახურავი მასალა, რადგანაც კასპის ნაწარმი იმდენად უხარისხოა, „კაკალი რომ დაეცემა, ტყდება“. მაგრამ რუსულ შიფერს, საერთოდ, ველარსად წააწყდები. თუ კი გაგიღიმა ბედმა, როგორც წესი, უნდა გადაიხადო, საცალო ღირებულებასთან ერთად, ხელობის ღირებულებაც, რასაც სხვადასხვა საბაბითა და ნაირნაირი არგუმენტების მოშველიებით არიცხავენ სავაჭრო ობიექტები. ასევე პრობლემურია თეთრი თუნუქის შოვნაც, რომელიც ოფიციალურად თითქოს არსად არ იყიდება და, მიუხედავად ამისა, ყველას სახურავებიდან ყინჩად იმზირება. ასე, თანდათანობით, პატიოსანი კაცი თუ ახალგაზრდა მშენებელი საქმოსანთა და გადამყიდველთა, აფერისტთა და ვამომძალველთა ტყვეობაში ხვდება, მისი თავმოყვარეობა ილახება.

ყოველივე ეს კი გამოირიცხებოდა, საყოფაცხოვრებო მომსახურების დონე რომ თავის სიმაღლეზე გვქონოდა.

— თუ დაიანგარიშე, რამდენი დაგიჯდა სახლის მშენებლობა? — ვკითხე ერთხელ ახალგაზრდა მექანიზატორს თენგიზ დულუზაურს

— მშობლები რომ არ დამხმარებოდნენ, ვერაფერს გავხდებოდი, — მიპასუხა მან — შელესვაში ათასი მანეთი გამომართვეს, ორმა მლესავმა ერთ კვირაში გამილამაზა შიდა მხარე. ჭამა-სმაც ჩემი იყო, რა თქმა უნდა... ასე, რომ დღეში, დაახლოებით, ოთხმოცმანეთიანები იყვნენ.

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა, აივნის დამონტაჟებაზე შემდუღებელმა დღეში ას მანეთამდე გამოიმუშავა, ხოლო „მოპრიალების“ ხელოსანმა 120-150 მანეთს უწია...

უკვე გამართული კარ-ფანჯრების დაყენებაში დურგალმა ორ დღეში 350 მანეთი წაიღო, არაფერს ვამბობ, რა მამასისხლად დამიჯდა იმათი დამზადება!

მრავლისმეტყველი ციფრებია!

მართლაცდა, ვის ჩაუვარდა სოფლის — [illegible] მშრომელი კაცის ბედი? დაფიქრებულა ვინმე სერიოზულად ამაზე?

თუ არა ექსპერიმენტული, მასშტაბური და კომპლექსური ღონისძიებანი, არსებული მდგომარეობის გამოსწორება მეტად გაჭირდება. როცა საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი გაძლიერდება, გაფართოვდება, სამშენებლო მასალებით მომარაგდება, სათანადო მუშახელით დაკომპლექტდება, სანიმუშო წესრიგი დამყარდება, მაშინ საქმოსანი, გამომძალველი ხელოსნები ველარ იბოგინებენ ეგრე თავისუფლად, მათ ასპარეზს ფრთები შეეკვეცება, ბოლოსდაბოლოს, იძულებულნი გახდებიან სასარგებლო საქმიანობაში ჩაებან, კომბინატში ხელოსნებად გაერთიანდნენ, იცხოვრონ პატიოსანი ცხოვრებით, აბდულა ბუთხუზაშვილივით ლუკმაც ალალი შეირგონ. მანქანებიც შეიძინონ, უკვე ალარავინ დააყვედრით, შურიან მზერას არავინ გააღევნებთ...

ხელოსანთა „კერძო ძალაუფლება“ რომ დაემხობა, სახელმწიფო ფასები კვლავ ძალას მოიკრებს, ფულის შოვნის მანია შესაბამისად შენელდება, მაშინ მინდვრად შრომასაც ძველებური ეშხი დაედება.

რა თქმა უნდა, საყოფაცხოვრებო მომსახურება მარტოოდენ სამშენებლო სამსახურს როდი გულისხმობს. და არ შეიძლება იმისი თქმა, თითქოს იგი საერთოდ ვერაფერს ვერართმევდეს თავს. თიანეთის რაიონში ამ ბოლო დროს ამ მიმართულებით ბევრი რამ გაკეთდა კიდეც, მაგრამ ალბათ უფრო მეტი გაკეთდებოდა, ამ დარგს მეტი სიცოცხლისუნარიანობა რომ ჰქონდეს დანათლული, აქაც რომ ძალუმად იგრძნობოდეს იმ გარდაქმნათა ყოვლისმომცველობა, რასაც ამ ბოლო წლების მანძილზე ჰქონდა ადგილი ჩვენს რესპუბლიკაში.

მთავარია პრინციპული სიახლეების განხორციელება, საფუძვლიანი წინამძღვრების შექმნა, რათა მომავალში ადგილი არ ჰქონდეს უმსგავსოებებს, მოტყუებას, აფერისტობას, რასაც ჯერ კიდევ ვაწყდებით ქალაქად თუ სოფლად.

* * *

ყოველი ყანწი ახალ ცის გახსნის
და ცეცხლს შეუნთებს განწყობილებას,
მაშ კიდევ ვაშა, თქვენს ხმალს და
სახნისს,
თქვენს მამა-პაპურ დაწყობილებას!..

გაბრიელ ჯაბუშანური

ᲐᲕᲢᲝᲠᲘ:

ამ ბოლო დროს ბევრი იწერება მავნე ტრადიციებზე, მათთან ბრძოლაზე. ხშირად ისეც ხდება, რომ მავანნი და მავანნი ამ, ეგრეთწოდებულ გადმონაშთებს ჯანსაღ წეს-ჩვეულებებსაც, სახალხო დღეობებსა თუ სპორტულ სანახაობებსაც მიაყოლებენ ხოლმე. ბუნებრივია, ეს მეტად საფრთხილო პროცესი გახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლავთ. განსაკუთრებული დაფიქრებისა და აწონ-დაწონვის გარეშე, გულისხმიერებისა და მეცნიერული მიდგომის გარეშე, შესაძლოა, უვარგის ლამსა და ქვიშას უამრავი ოქროს მარცვალიც გავატანოთ თან. და ეს იმ დროს, როცა „ძვირფას მეტალზე“ მოთხოვნილება ერთობ დიდი გახლავთ. სოფლად წარმმართველ ძალას ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები და სოფლის ინტელიგენცია წარმოადგენს მათ გულისხმიერებასა და ფრთხილ მოქმედებაზეა მთლიანად დამოკიდებული ამ „ოქროს მარცვლების“ ბედ-იღბალი.

პირადად მე, დავსწრებივარ კიდეც და სხვისგანაც ხშირად მსმენია თიანური საერთო-სახალხო ზეიმების ქება-დიდება. განსაკუთრებით დამამახსოვრდა მეცხოველის დღისადმი მიძღვნილი დღესასწაული, რომელიც „ლაშარის“ დღეობასთან არის დაკავშირებული და არტნის ულამაზეს ხეობაში, ლაშარის გორაზე იმართება.

ისევე, როგორც გარეჯობა, ილიაობა, ვაჟობა, და სხვა მრავალი თანამედროვე ქართული დღესასწაული, „მეცხოველის დღეც“ თავისი ხასიათით მეტად მაშტაბური და საინტერესო დღესასწაული გახლავთ. მისი „სინთეზირების“, ტრადიციულ დღეობასთან — „ლაშარობასთან“ შერწყმისა და შეჯვარების საქმეში დიდი წვლილი მიუძღვით თიანეთის რაიონის ყოფილ ხელმძღვანელებს, რომლებმაც თავის დროზე მოწადინება და ძალ-ღონე არ დაიშურეს, რათა მომავალი თაობებისათვის შემოენახათ ის ყოველივე საუკეთესო, რაც საუკუნეების განმავლობაში შექმნეს და დროის ქარტეხილებში გამოატარეს ჩვენმა წინაპრებმა. ხალხური შემოქმედებისა და კულტურის ერთ-ერთი თავგამოდებული მებაირახტრე და ქომაგი გახლავთ თიანეთის რაიკომის ყოფილი მდივანი ნიკო მგელიაშვილი. მან ორიოდე სიტყვით აღნიშნა, თუ რა შრომა გასწიეს თავის დროზე ადგილობრივმა პარტიულმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა ძველი ქართული ტრადიციების მოდერნიზაციის, გათანამედროვეობისა და შემონახვისათვის...

ნიკო მგელიაშვილი:

— წარსულის პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ ყოველგვარ კამპანიურობას უკიდურესი გამოვლინებებიც ახლავს ხოლმე. ხშირად ერთ სიბრტყეზე ლაგდება კარგი და ცუდი. დრომოჭმულთან, ნეგატიურთან ბრძოლის საბაბით, მეტწილად იმიტომ, რომ ჩვენ თვითონვე ვერ გავრკვეულვართ „კარგისა“ და „ცუდის“ არსში, შეშინებულნი, ვაითუ „რაღაც შემეშალოს“ და ბოლოს, როგორც ხელმძღვანელს, მე მაგებინონ პასუხიო, მზადა ვართ ეს ლამიცა და ოქროც ერთბაშად მოუხაელეთში გავისტუმროთ.

და რამდენადაც ჩვენი ყოფა და [illegible] ორი საწყისისაგან შესდგება — კარგისა და ცუდისაგან, რომლებიც ამ რამდენიმე წუთის წინ უკვე უარვყავით და თავიდან მოვიშორეთ, ჩვენ ხელთა გვრჩება უსახურობა და სიცარიელე, ჩენჩო, რომელშიც „იდო“ ეს „კარგი“ და „ცუდი“ და უკვე აღარ არის. გონს მოსულები კვლავ ვიწყებთ ვიშვიშს, თავში ხელისცემასა და ქოთქოთს. გვახსენდება ძველისძველი ანდაზა — „სჯობს გვიან, ვინემ არასდროსო“, და მთელის მოწადინებით ვცდილობთ შეცდომების გამოსწორებას, და ეს იმ დროს, როცა ამისი აუცილებლობა სულაც არ იყო, მაინცდამაინც არავინ არ გვიკიჟინებდა — „პეტრე ხრამში მოისროლე და, გინდა თუ არა, პავლეც თან მიაყოლეო!“

თავის დროზე ჩვენს პარტიულ ორგანიზაციას ახსოვდა ეს ამბავი და როცა ძველი ქართული სახალხო დღესასწაულის — „ლაშარობის“ აკრძალვის საკითხი დადგა, ჩვენ გონიერებასა და სიდინჯეს მოვუხმეთ, აწონ-დავწონეთ, ხალხსაც დავეკითხეთ, ერთგვარი სოციოლოგიური კვლევა ჩავატარეთ, ბევრი ვიფიქრეთ და საბოლოოდ შევთანხმდით დღესასწაულის შენარჩუნებისა და მისი მოდერნიზაციის თაობაზე.

მოგეხსენებათ, „ლაშარის ხატი“, „ლაშარობა“, — ეს ისეთივე ცნებები გახლავთ ფშავ-ხევსურებისათვის, როგორც „დიონისესა“ და ძველრომაელებისათვის „ფლორალიები“.

ბუნებრივია, სახალხო რწმენის ერთი ხელის მოსმით „გაშავება“ შეუძლებელი გახლავთ და, ამავე დროს, არც მორალური უფლება გვქონდა ამისი. ჩვენ უნდა მოგვეხდინა ძველის და ახალის ერთგვარი სინთეზი, ჩაგვეტარებინა მეტად რთული და, ამავე დროს, საინტერესო ექსპერიმენტი „ტრადიციების შეჯვარებისა“. იაპონური პოპულარული ჭიდაობის — „სუმოს“ მსგავსად, რომელიც სპორტულ ელემენტებთან ერთად ჭარბად მოიცავს რელიგიურ რიტუალებსაც, ჩვენც შევეცადეთ ერთბაშად „რამდენიმე კურდღელი მოგვეხელთებინა“ — ხალხი კმაყოფილი დარჩენილიყო, დღეობა თანამედროვეობის შესაფერისად სრულგვეყო და საბჭოური იდეოლოგიისათვის ნებაყოფლობითი პროპაგანდა გაგვეწია. როგორც ცნობილია, უმრევლოდ არ შესდგებოდა წირვა-ლოცვა, ასევე ხალხის ენთუზიაზმის გარეშე ვერ იქნება ვერც ერთი ღონისძიება და სახალხო დღესასწაული სრულყოფილი და ყოვლისმომცველი. ამიტომაც ბაზისად „ძველი“ დავტოვეთ, ქუდი კი ახალი დავახურეთ.

თქვენ წელან აღნიშნეთ თიანური დღესასწაულებისა და კერძოდ „მეცხოველის დღის“ მასშტაბურობა და ცხოველმყოფელობა, მისი მართლაც და სახალხოობა, ეს კი ჩემთვის მეტად სასიამოვნო ამბავი გახლავთ, რადგანაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველივე ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენი იმჟამინდელი მისწრაფებისა და იდეოლოგიური პოლიტიკის ჩვენი რაიონის პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციის მრწამსის სისწორის, მიზანსწრაფულობასა და შორსმჭვრეტელობას. ესე იგი, ჩვენ, ლამისათვის ოქროს ნამცეცები არ გადაგვიყოლებია...

ИОСЕБ АРАБУЛИ — თიანეთის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსი:

— პარტიის ოცდამეხუთე ყრილობაზე აღინიშნა რომ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურეობა დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობის ამოცანაა, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული პარტიის საპროგრამო მოთხოვნებთან, ამიტომაც განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ამ მეტად რთული უბნის შემდგომ სრულყოფასა და აღმავლობის საქმეს.

ბუნებრივად ისმის კითხვა — რა მდგომარეობა გვქონდა ამ მხრივ გასული ხუთწლედის ბოლოსათვის და რა ძვრები მოხდა შემდგომში ჩვენ რაიონში მოსახლეობის მომსახურების თვალსაზრისით?

მოკლედ მოგახსენებთ „წარსულზე“, რადგანაც აქ, სამწუხაროდ, გრძლად სათქმელი მაინცდამაინც არაფერი მოგვეპოვება: ერთი სახერხი დაზგა, მამაკაცთა და ქალთა ტანსაცმლის ოთხი მკერავი, ერთი საპარიკმახერო და ფეხსაცმლის შემკეთებელი ჯიხური! — აი, მთელი ის მემკვიდრეობა, რაც მეათე ხუთწლედს ხვდა წარსულისაგან.

მაგრამ, რომ იტყვიან, მას მერე საკმარისი დრო გავიდა და ამჟამად ჩვენი „წიწილების დათვლის დროც დადგა“. ამ უსახურ ნანგრევებზე, რისი აშენება შევძელით ახალმა ხელმძღვანელებმა? ავუბით თუ არა მხარი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ უკანასკნელ წლებში განხორციელებულ წესრიგისა და შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულების პოლიტიკას?

მე შევეცდები მოკლედ მოგახსენოთ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურეობაში დანერგილ თიანურ სიახლეებზე, დანარჩენი კი თავადვე განსაჯეთ...

სოფელი სიონი საკურორტო მნიშვნელობის დასახლება გახლავთ. აქ შევქმენით საყოფაცხოვრებო კომბინატის „ფილიალი“, სადაც კომპლექსურად არის წარმოდგენილი საოჯახო მოთხოვნილების საგნების გაქირავება, „ინდკერვის“ სახელოსნო, ფოტომომსახურებისა და ფეხსაცმლის შეკეთების სახელოსნოები, ამჟამად ინერგება მომსახურების ახალი სახე — მწყობრში დგება დასვენების ოთახები, სადაც სტუმარს შეეძლება ისარგებლოს ტელევიზორით, გაზქურით, სამზარეულო მოწყობილობით, საწოლებით, თეთრეულით, ტრანსპორტით. ზღვაზე გასასეირნებლად — „კატერებით“, წყლის ველოსიპედებით. აქვე მოვაწყეთ აბანო და ცხოველთა ტყავის დამმუშავებელი საწარმო. ანალოგიური ობიექტები მოქმედებენ ხევსურთსოფლისა და სიმონიანთხევის, აგრეთვე სხვა სოფლების ტერიტორიებზედაც. ხოლო დაბა თიანეთში მუშაობას შეუდგა სამრეცხაო. აქვე მოეწყო ტანსაცმლის ქიმიური ლებვისა და წმენდის საამქროები. დაქუცმაცებული და მიმოფანტული სახელოსნოები გავაერთიანეთ, ერთ ჭერქვეშ მოვაქციეთ, რამაც დადებითი შედეგი გამოიღო ამ საწარმოებში წესრიგის დამყარებისა და შრომის ნაყოფიერების გაზრდის თვალსაზრისითაც. დაბაშივე გავხსენით ხისა და ლითონნაკეთობათა სახელოსნოები. აღნიშნული და სხვა მრავალი სამომხმარებლო ობიექტის მოწყობისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების საფუძველზე მივაღწიეთ გეგმების გადაჭარბებით შესრულებას...

ᲐᲕᲢᲝᲠᲘ:

— ბატონო იოსებ, თქვენ ზემოთ ახსენეთ „ცხოველთა ტყავის დამუშავების საწარმო“, ორიოდე სიტყვით ხომ ვერ გვესაუბრებით ამ „რაიონული სიახლის“ შესახებ.

ИОСЕБ АРАБУЛИ:

— თიანეთი, მოგეხსენებათ, მესაქონლეობის რაიონი გახლავთ. მოსახლეობაში დღემდე თითქმის ტყუილად იკარგებოდა ტყავი — ეს ძვირფასი სამრეწველო ნედლეული. ჩვენ ამ მდგომარეობას მივაქციეთ ყურადღება და დავსვით საკითხი ჩვენი სამინისტროს წინაშე, რათა რაიონში ტყავის დამმუშავებელი სახელოსნო-საწარმო შექმნილიყო. ხელმძღვანელებმა დაუჭირეს მხარი ამ ინიციატივას და გამოგვიყვეს დაზგები და საწარმოსათვის აუცილებელი მოწყობილობანი. ერთი სიტყვით, წამოვიწყეთ ტყაპუჭების („დუბლიონკების“) „ჯინსის“ ქსოვილისა და ტყავის კომბინირებული, ჩვენი კლიმატისათვის შესაფერისი თბილი ტანსაცმლის წარმოება. ჩვენ ამჟამად მივაღწიეთ მეტად დამაკმაყოფილებელ დონეს ტყავის დამუშავებისა და შეღებვის საქმეში. ამის შემდეგ კი შეგვიძლია ვიფიქროთ ტანსაცმლის ასორტიმენტის გამრავალფეროვნებაზეც...

ᲐᲕᲢᲝᲠᲘ:

— თქვენი ეს წამოწყება, ფაქტიურად ახალი ხილია რესპუბლიკის რაიონებისათვის. რას იტყოდით „საშეფო დახმარებაზე“?

ИОСЕБ АРАБУЛИ:

— ამ მხრივ ხელმძღვანელობას ვერ დავემდურებით. მათი ყურადღებით, მართლაც რომ გარემოსილნი ვართ. რაც შეეხება ფანტაზიას, რომელიც აგრეთვე არანაკლებ აუცილებელია ამ საქმეში, ჩვენი სტიქიაა. აი, მე აქ მიდევს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ კიდევ 1908 წელს გერმანიაში გამოცემული ფილიპე გოგიჩაიშვილის შესანიშნავი წიგნი, სადაც მოცემულია „ქართული შინამრეწველობის ნიმუშების“ ფართო ასორტიმენტი, მათი დამზადების წესი და ტექნოლოგია. მოგეხსენებათ, მოდა ერთობ განმეორებადი ცნება რამ გახლავთ, იმ ნიმუშებიდან ბევრი დღეს ჩვენი მომხმარებლის მოწონებასაც დაიმსახურებდა. ეს წიგნი მართლაც რომ ჩინებული სახელმძღვანელო გამოდგა ჩვენთვის...

ავტორი:

— რას იტყოდით საჭირბოროტო პრობლემებზე?

იოსებ არაბული:

— მიუხედავად მთელი რიგი წარმატებებისა, გვაქვს მოსაგვარებელი საკითხებიც. მაგალითად, სახელოსნოების საერთო სატკივარი ნედლეულის დეფიციტი გახლავთ. იგი როგორც წესი, თავს იყრის კერძო მეწარმის ხელში. თუ როგორ და რანაირად ხდება ეს ამბავი, ძნელი გასარკვევია. ამ დროს კი ჩვენ გაგვაჩნია მეტად უმნიშვნელო ფონდები. მაგალითად, რკინაარმატურისა და ხის მასალის წლიური ფონდი რაიონის მობინადრეთა საჭიროებას მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს; ამიტომაც ჩვენ თავს ვიკავებთ მშენებელთა ბრიგადების ჩამოყალიბებაზე, რადგანაც მათი სამოქმედო ასპარეზი, ნედლეულის უქონლობის გამო, ერთობ შეზღუდულია. თუ ვეღარ დავასაქმეთ და რომ იტყვიან „სარფი ვერ ნახეს“, ისე ვინ გაგიჩერდება! აი, უმთავრესი ხელისშემშლელი ფაქტორი. არა და, ჩვენს ხელთ რომ იყოს კონცენტრირებული მთელი სამშენებლო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების მასალები და წარმოებას მეტი საბრუნავი თანხები გააჩნდეს, მაშინ ჩვენი საყოფაცხოვრებო მომსახურეობის სამმართველოს სამოქმედო არეალი მთელ რაიონს მოიცავდა. ჩვენ ყოვლისმომცველ დახმარებას გავუწევდით მოსახლეობას მისთვის საინტერესო ყველა ასპექტში. მაგრამ ვიდრე ამ საფუძვლებს მოკლებულნი ვართ, მანამდე, ბუნებრივია, საყოფაცხოვრებო მომსახურეობის სამმართველოს დამაკმაყოფილებელ მუშაობაზე ლაპარაკი ზედმეტია. ჩვენ ამჯერად ძალგვიძს შევაფასოთ ჩვენი მუშაობა იმ შესაძლებლობის ფარგლებში, რაც ჩვენს ორგანიზაციას ამჟამად გააჩნია.

დავუბრუნდეთ ხელისშემშლელ ფაქტორებს, გაუგებრობებს და სხვადასხვა საკითხებს, რომელთა არსებობა ხელს გვიშლის მუშაობაში. ეს გახლავთ ორგანიზაციული და ტექნიკური ხასიათის ხარვეზები. ამ დღეებში მანქანა უნდა გავაგზავნოთ ქალაქ ქუთაისში, საიდანაც უნდა შემოვზიდოთ ბამბა. კაცი იფიქრებს აქ რაღაც სერიოზული ამბავი უნდა იყოს, სინამდვილეში საქმე ეხება ას კილოგრამ ნედლეულს მართლაც-და, ღირს კი ეს ასი კილოგრამი ბამბა ამდენ წვალებად? ჯერ მანქანა უნდა იშოვო როგორმე, მერმე მიავლინო იმ სიშორეზე, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ იქიდან რაღაც წვრილმანი გაუგებრობის გამო, ცარიელი მოგიბრუნდეს უკან. ეს რომ არ მოხდეს, სასურველია, პასუხისმგებელი პირი გააყოლო მძღოლს... და ეს ყველაფერი გარკვეული თანხები ჯდება, რომელმაც ბამბის ღირებულებას ორ-სამჯერაც შეიძლება წააჭარბოს. მე ერთი მაგალითი მოგახსენეთ ამ ორგანიზაციული და ტექნოლოგიური ჩამორჩენილობისა, მაგრამ შეგიძლიათ თავისუფლად განაზოგადოთ იგი და თქვენს თვალწინ დაიხატება თითქოსდა საგანგებოდ გართულებული და არეულ-დარეული სიტუაცია, რომელიც დიდად სწევს უკან შრომის ნაყოფიერებას, ზრდის პროდუქციის თვითღირებულებას და ჩვენს საქმიანობას მოქნილობას უკარგავს...

ორგანიზაციული ხასიათის საკითხთა წრეს განეკუთვნება აგრეთვე ის ერთგვარი არასასურველი პარალელიზმი, რომელიც ამ ბოლო დროს შეიქმნა ჩვენს სამმართველოს მუშაობაში. როგორც მოგეხსენებათ, ამჟამად კომბინატში ჩამოყალიბდა სხვადასხვა საუწყებო დარგები — მშენებლობა-შეკეთების სამმართველო, რთული, საოჯახო ტექნიკის სამმართველო, ავტოტექმომსახურების სამმართველო და სხვა. ეს პროგრესული წამოწყება გახლავთ, მაგრამ ჩვენი რაიონის გეოგრაფიული მდგომარეობის გამო მიზანშეწონილია, რომ ყველა ეს დარგი, გამონაკლისის სახით, თავმოყრილი იყოს რაიონშივე. მაგალითად, საოჯახო რთული ტექნიკის — რადიოს, მაცივრების, ტელევიზორების, უთოების და სხვათა შეკეთება ეხება რადიოტელემომსახურების მთავარი სამმართველოს მცხეთის პუნქტს. მართლაცდა, სად მცხეთა და სად თიანეთი. სწორედ რომ ჩვენი მოსახლეობისათვის სცხელათ მცხეთელებს, მეტი საქმე არა აქვთ! იქიდან თიანეთის რაიონში ჩამოსული სპეციალისტი და ხელოსანი ჯერ არავის უნახავს, არადა ტელევიზორს და მაცივარს რომელი ჰკუამყოფელი ჩაიტანს მცხეთაში შესაკეთებლად? რომც იცოდეს, რომ პუნქტის თანამშრომლები ადგილზე დახვდებიან და უცბათვე შეუდგებიან მის შეკეთებას, მაინც არავინ გაუდგება მცხეთის გზას იმას არჩევენ თბილისში წაღებას, სადაც შეკეთება-შერემონტების შედარებით ფართო შესაძლებლობები ეგულებათ... ერთი სიტყვით, ამჟამად თიანეთის მოსახლეობა ამ კუთხით ჰაერშია გამოკიდებული და ზემოთ თქვენ და მოსახლეობის მიერ გამოთქმული უკმაყოფილება საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის საქმიანობაზე ამ გაუგებრობებიდანაც მომდინარეობს, ხალხის პრეტენზიები მეტად სამარ-

თლიანია და ჩვენ ერთობლივი ძალებით უნდა ვიბრძოლოთ ტექნოლოგიური და ორგანიზაციული გაუგებრობების აღმოფხვრისათვის, კომბინატის საბრუნავი თანხებისა და ნედლეულის ფონდების გადიდებისათვის, მისი საწარმოო სიმძლავრეთა გაზრდისა და სრულყოფისათვის...

## საუბარი რაიალმასკომში:

ედიშერ კოჰლამაზაშვილი — სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი:

— კერძო სექტორში მესაქონლეობასთან ერთად გვაქვს აგრეთვე წარმოდგენილი მემცენარეობაც. შექმნილი სიტუაცია არ გვათავისუფლებს ჩვენ მესაქონლეობისადმი დაქვემდებარებული სხვა სასოფლო-სამეურნეო დარგების განვითარებაზე ზრუნვის პასუხისმგებლობისაგანაც, მითუმეტეს, რომ ეს ორი დარგი, აქაური გლეხების თქმისა არ იყოს, ერთმანეთზე „საბელით არიან გადაბმულნი".

თემურ ცალუღელაშვილი — გაზეთ „ახალი თიანეთის" რედაქტორის მოადგილე:

— ორიოდე სიტყვა მაქვს სათქმელი სწორედ ამ„მემცენარეობის განვითარების პრობლემასთან" დაკავშირებით, რომელიც ედიშერ კოჰლამაზაშვილმა წამოჭრა. ეს გახლავთ ჩემი, როგორც რიგითი მოქალაქის, შესაძლოა, არაკომპეტენტური, მაგრამ ტკივილიანი დამოკიდებულება რაიონში მეტად პოპულარული „ამოძირკვების კამპანიის" მიმართ... როგორც იცით, ჩვენი რაიონის კოლმეურნეობებისა და მეურნეობების მიერ ყოველწლიურად წარმოებს ახალი მიწების ათვისება-შემომატება წარაფებისა და ბუჩქნარების ხარჯზე. ასე გაჩნდა ახალი „მამულები" დულუზაურები-ლიშშოკვერნაულის ჭალებზე, ზარიძეებში, ჭიაურაში, ბოკონსა და ჩვენი რაიონის ტერიტორიის სხვა მრავალ ადგილზე.

აქ თითქოს ცუდი არაფერია, მით უმეტეს, რომ ყველაფერი ეს კეთდება გეგმიურად, სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი დადგენილების საფუძველზე, ამ სამინისტროს სპეციალისტების მიერ შედგენილი კარტოგრამის მიხედვით და ამავე დროს, რა თქმა უნდა, ჩვენი რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს თანხმობითა და მხარდაჭერით, მაგრამ, მოდით, გულახდილად ვისაუბროთ. ის, რაც დღემდე ამოვძირკვეთ, გავწმინდეთ, ვითომ უკვე ავითვისეთ და ჩავაყენეთ ხალხის სამსახურში? და თუ არა, მაშ რაღას ვერჩოდით მურყნიან შრიალა ჭალებს, პანტიან და მაყალოიან წარაფებს? სულ ამ ორიოდე წელში ტუშურების საბჭოთა მეურნეობის ზარიძეების უბანზე 20 ჰექტარამდე ნაკვეთი ამოიძირკვა, მოისპო და გავერანდა ათასობით ძირი პანტა და ასკილი, თხილი და კუნელი და რა მოხდა შემდეგ? ყრია ახლა მზის გულზე ამოჩენილი სიპები, თითქოს მხოლოდ იმათ გვერდის საქცევად იმუშავეს მანქანებმა, ხალხმა, დაიხარჯა სახელმწიფო სახსრები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასევე ამოძირკვის გეგმა შესრულდა მელისხევზეც, მაგრამ თუ ვინმეს იფიქრა იქ ნარგავების გაშენება? ასევე ამაოდ დაშრნენ მშრომელები ივრის ჭალებში, ჭიაურაში და სხვაგან. ყველაზე სამწუხარო მაინც ისაა, რომ ეს ამოძირკვის ციებ-ცხელება კვლავაც გრძელდება. არავინ არ დაფიქრებულა იმ შედეგებზე, რასაც ასეთი უთავბოლო, გაუაზრებელი ღონისძიებები იძლევა. ჩვენ ხელაღებით ვსპობთ გარეულ ნაყოფისმომცემ კულტურებს, ხილ-კენკროვან მცენარეებს, უმთავრეს წყაროს სასმელი წვენების მრეწველობის განვითარებისათვის. ამას რომ ვამბობ, მხედველობაში მაქვს ის მდგომარეობა, რომ წელს ჩვენს რაიონს კვლავ გამოუგზავნეს ახალი გეგმა — უნდა ამოიძირკვოს 250 ჰექტარამდე ახალი ფართობები, რაღაც ბედად შემორჩენილი ხილკენკროვანთა კორომები, ნადირთა და ფრინველთა თავშესაფრები. და ეს მაშინ, როცა მთლიანად გამოუყენებელი გვაქვს წლების განმავლობაში გამოთავისუფლებული მიწები. ვიდრე ამ გეგმების განხორციელებას შევუდგებოდეთ, იქნებ ამჯერად მაინც მიზეზ-შედეგობრივ ასპექტში გავაანალიზოთ მათი აღსრულების აუცილებლობა? მით უმეტეს ახლა, როცა ძალზე მტკივნეულად და მწვავედ დგას ბუნების დაცვის საკითხი და ამან საბჭოთა ქვეყნის ახალ კონსტიტუციაშიც ჰპოვა თავისი გამოხატულება:

„ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესებისათვის სსრ კავშირში ხორციელდება საჭირო ღონისძიებანი მიწისა და მისი წიაღის, წყლის რესურსების, მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს დაცვისა და მეცნიერულად დასაბუთებული, რაციონალური გამოყენების მიზნით ჰაერისა და წყლის სისუფთავის შენარჩუნების, ბუნებრივ სიმდიდრეთა აღდგენისა და გამრავალფეროვნების, გარემო ბუნების გაუმჯობესების მიზნით", — გვაცნობს კანონთა კრებული. თითოეული ჩვენგანი მოვალეა ყურად იღოს აქ გამოთქმული რჩევა-დარიგებანი „ახლანდელი და მომავალი თაობების" და, საერთოდ, კაცობრიობის ხვალინდელი დღის გულისათვის...

იოსებ ლეჩუაშვილი — რაიალმასკომის თავმჯდომარის მოადგილე.

თემოს მიერ სამართლიანად და დროულად იყო წამოჭრილი კორომების, ჭალებისა და გარეულ ხილ-კენკროვანიანი წარაფების გაფრთხილებისა და შენარჩუნების პრობლემა. ხილკენკროვანების მოვლა-პატრონობის საკითხი, მე პირადად, ერთობ აქტუალურ ამოცანად მესახება. მითუმეტეს, რომ ამ ბოლო დროს ჩვენს რესპუბლიკაში მცენარეული ნაყოფის დამზადებას და წვენების წარმოების გაფართო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებას დიდი ყურადღება ექცევა. ბუნებრივია, აღნიშნული საკითხი თავისი არსით სცილდება საზოგადოებრივი სექტორის ფარგლებს, იგი, ძირითადად, დაკავშირებულია მოსახლეობის მატერიალურ დაინტერესებასთან — საქმე ის გახლავთ, რომ გარეული ხილის რეწვას ძირითადად სოფლის მოსახლეობა ეწევა, ეს დარგი გლეხებისათვის, ასე ვთქვათ, „რენტაბელურია". კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები რაიმე ფორმით არ ღებულობენ მონაწილეობას ამ საქმეში. რაიონში გახსნილია ჩამბარებელი პუნქტები სახელმწიფოს მიერ მოწესრიგებული საშემსყიდველო ფასებით. ამ პუნქტების მეშვეობით წარმოებს წვენების ქარხნების მომარაგება ამ მეტად ძვირფასი ნედლეულით... მაგრამ, ხშირად ადგილი აქვს გეგმების ჩავარდნას, რაც სახელმწიფოსათვის მიყენებული კოლოსალური ზარალით გამოიხატება. ბუნებრივია, ყოველივე ეს პირდაპირ კავშირშია ამოძირკვებთან, არაკულტურული კორომების განადგურებასაც, მოგეხსენებათ, რომ მაყალოს პანტას, კუნელსა და ანწლს, თამელსა და ძახველს სწორედ ასეთი ადგილები უყვარს და არა წიფლნარები და დაბურული ხეობები. ერთი სიტყვით რაც მართალია, მართალია — ჩვენ საკმარისად გავანადგურეთ „გარეული მეგობრები", ჩვენი „ტყის ძმები" — ბუნების ეს უიშვიათესი წყალობანი, ხელი მოვუთავეთ მათ, მაგრამ ახლა რაც ჟამთა მქუხარებას გადაურჩა, იმათაც საფრთხე ემუქრებათ, საჭიროა ნაყოფისმომცემ არაკულტურულ მცენარეთა გაფრთხილება, მომრავლება, უფრო მეტიც — მათი მოვლა-პატრონობა, ერთი სიტყვით, მამაპაპური დამოკიდებულება „ტყიურების" მიმართ...

## აგდულა გუთხუზაშვილი

— სიმართლე გითხრა, — დაიწყო ცნობილმა მექანიზატორმა, — კიდევ ერთ ამბავზე მეწვის გული. ეს გახლავთ ბავშვების სწავლა-აღზრდის ამბავი. იტყვი, ალბათ, საიდან სადაო! მაგრამ რადგანაც სატკივრებზე ჩამოვარდა საუბარი, მინდა ამ საკითხზეც ვიმსჯელოთ. ერთხელ, და განა მხოლოდ ერთხელ, ძალიან ხშირადაც, ისე შევწუხებულვარ, მიფიქრია, რაიკომის მდივანთან შევალ, ანდა განათლების მინისტრს მივადგები-მეთქი. მეუღლეს ეცინება ჩემს ახირებაზე — იმათ მეტი საქმე არა აქვთ, ახლა შენს გლეხურ ლაპარაკს მოუსმინონო. გვაქვს ერთი კამათი. აი, მაგ პროგრამაზე მოგახსენებთ, იმათგანა ვართ ეგრე რიგად შეწუხებულნი და აწრიალებულნი. დამერწმუნებიან ჩვენებური გლეხები — სულ მინდვრად რომ ვარ გავარდნილი საქმეზე, ცოლიც უარეს დღეშია — იქ მეურნეობის საქმეები, იქ ბალღების ჩაცმა-მოვლა-დაპურება და ათასი საშინაო საკეთებელი... ჰ[illegible] თხარი ახლა, რანაირადღა მივუტრიალდეთ იმათ დავალებებსა? არა და თავად, დამოუკიდებლად უჭირთ თავის გართმევა. უჭირთ რო მელია, ველარ დაუძლევიათ და ეგ არი. მაინც ვილამ შეურჩია ეგ რებუსები ამ ერთ ბეწო ღლაპებსა, რა სინდის-ნამუსით უდგენდა იმ ურთულეს ამოცანებს ნეტავი? თავად არ ჰყავდა პატარები, იმათ სწავლაზე მაინც არ იფიქრა იმ დალოცვილმა? ალბათ იმისი იმედი თუ ჰქონდა, მათემატიკოსი ვარ და დავეხმარებიო. მაგრამ ჩვენ რომ არ გავახსენდით? რომც მქონდეს თავისუფალი დრო, მაინც ველარაფერში მოვეხმარებოდი ჩემს შვილებსა, მე კი არა, უმაღლესდამთავრებულები არიან ჩვენს სოფელში, ბიოლოგები, ქიმიკოსები, ფილოლოგები, ისინიც ველარ გარკვეულან ამოცანებში. თავსა და ბოლოს ველარ უგებენ ხოლმე. ზოგიერთები კი ისე არიან გადაფოფრილნი თავიანთ შვილებზე, ბუზს აღარ აკარებენ, მასწავლებლებთან დაჰყავთ, რეპეტიტორებს რო ეძახიან, იმათ უქირავებენ და ბავშვობიდანვე საფუძველს უმაგრებენ ეგრე რიგადა. ჩემებს კი ვილა მიხედავს? საერთოდაც გაუგებარია, მთელმა ოჯახმა რაღატომ უნდა იმტვრიოს თავი იმათ ამოხსნაზედა? რა გვესაქმება ვითომ ბავშვების გაკვეთილებთან? ნუთუ ვინმეს ჰგონია, რომ ეგეთი რთული დავალებების დაზუთხვით საქმეს უფრო ეშველება; ამ ქვეყანაზე, რაც კი საქმეა, ყველა ნელნელაობითაა გაკეთებული. სწავლაც ეგრე მგონია. თანდათანობით, სვენებ-სვენებით, ხალისითა და სიამოვნებით უნდა გადაიღოს წიგნებიდანნაირნაირი აზრები ბავშვმა, თორემ, ისე, გულს არ დაუდებს, მალე მობეზრდება და შესძულდება ზუთხაობაცა და წიგნებიც. გული აუცრუვდება და მერმე, უყარე კაკალი. განა ცოტა დაიარება გზას აცდენილი ახალგაზრდა? რა იცი, იქნება თავიდან სწავლამოწყურებულები იყვნენ ისინიცა, და რომ არ გამოუვიდათ. იმის შემდეგ მიჰყვეს უსაქმურობას ხელი? მენაც მეშინია, ძმაო, არ დამებოლმონ ეგ ჩემიანები. ბოლმიანი კაცის ამბავი ხო იცი, ჩვენ მტერს, არც თავის დამნდობია და არც სხვისა. პირველ რიგში კი ვის მოჰკითხავენ? მშობლებს, სხვას ვილასა. ასე მეტყვიან — თქვენ სად გეძინათ, როცა აგერ მეზობლები თავს დაჰგურგურებდნენ თავიანთ შვილებს, დაქირავებული მასწავლებლები დაუდიოდათ და ღამეებს უთევდნენ, რომ ნასწავლები გამოეყვანათო! ამ საყვედურის მეშინია ყველაზე მეტად ამ ქვეყანაზე. მერედა რაღატომ და რისთვის უნდა ვიწვნიო ეგ ყველაფერი? ანდა რა პოლიტიკაა ეგა, რო სწავლის საქმეში მთელმა ოჯახმა თუ არ მიიღო მონაწილეობა თავად შვილებმა ვერ უნდა დაამთავრონ ხეირიანად საშუალო სკოლა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ავტორი:

თიანელი მექანიზატორის, აბდულა ბუთხუზაშვილის მიერ წამოჭრილ სწავლა-განათლების საკითხებთან დაკავშირებით თავიანთი შეხედულების გამოთქმა ვთხოვე და გამიზიარეს ამ დარგის მეტად ცნობილმა სპეციალისტებმა, ხელმძღვანელმა მუშაკებმა და მეცნიერებმა. მაშ ასე, პირველი ჩვენი საუბარი შესდგა განათლების მინისტრის მოადგილესთან, უშანგი ობოლაძესთან.

— ბატონო უშანგი, თქვენ ეს-ეს არის გაეცანით თიანელი გლეხის აბდულა ბუთხუზაშვილის მიერ გამოთქმულ ზოგიერთ შენიშვნას სწავლა-განათლების მდგომარეობის თაობაზე. ჩემი პირადი შეხედულებით, გარდა იმისა, რაზეც ზემოთ აბდულა ბუთხუზაშვილმა ილაპარაკა, სასწავლო პროგრამების გადატვირთვას გააჩნია კიდევ ერთი მეტად დამაფიქრებელი მხარე — იგი დაუშრეტელი წყარო გახლავთ ოჯახში მუდმივი დაძაბულობისა და უსიამოვნო განწყობილებისა, რასაც იწვევს ბავშვის მოსწრებასთან დაკავშირებული ყოველდღიური კონფლიქტი მშობლებსა და შვილებს შორის, უფროსების მხრიდან გაუთავებელი ჩიჩინი კარგად სწავლის აუცილებლობაზე, მონდომებასა და ბეჯითობაზე და ბოლოს კი, ექვნარევი დაფიქრება — ვაი თუ, შვილი ამდენი მეცადინეობით გადამეღალოს და რაღაც უარესი ამბავი დატრიალდესო...

ერთი სიტყვით, მშობლები შვილებს გულიანად ველარ მოფერებიან მთელი სასწავლო წლის განმავლობაში, რადგანაც ამ უკანასკნელთ მართლაც რომ ერთობ უჭირთ გართულებული პროგრამების დაძლევა და, ნებსით თუ უნებლიედ, „დამნაშავენი არიან უფროსთა წინაშე“. განწყობილებათა ასეთი ცვალებადობა ოჯახში მოზარდებს უნდობლად განაწყობს უფროსებისადმი, მშობლებისადმი. თავის მხრივ მშობლებიც შეწუხებულები არიან. მართლაცდა, როგორი მოსასმენია, სამსახურიდან შინ მისულს, დაღლილ-დაქანცულსა და, შესაძლოა, ნერვებაშლილს რვეულგადაშლილი რომ შემოგეგებება კარებში შვილი და თამამად შემოგიტევს:

— მამიკო, მიშველე, თორემ ორიანი არ ამცდება...

ერთი სიტყვით, უნიჭობის, სიზარმაცის, ჩამორჩენილობის სიმბოლოს — „ორიანის“ გაგონება რა გუნებაზე დაგაყენებს მისავათებულ ადამიანს? მით უფრო, რომ ღრმად ხარ დარწმუნებული — შენი შვილი არც უნიჭოა, არც ზარმაცი და არც სხვა მის თანატოლებზე უჭკუო, უბრალოდ, პროგრამებია იმდენად გართულებული, რომ დაუხმარებლად მათი აღქმა სხვებივით მასაც უჭირს. და, რადგანაც სხვებს ეხმარებიან, ამ საერთო წესის თანახმად იგიც მოდის შენთან დახმარებისათვის, და თვითონაც გავალდებულებს „ორიოდე ამოცანა“ გამოუყვანო. ერთი სიტყვით, გამოდის, რომ მოსწავლის სკოლაში მიღებული ნიშანი ეკუთვნის მასთან ერთად შინაურ რეპეტიტორებსაც — ბებიებს, ბაბუებს, დეიდებს, მამიდებს, ბიძებს, ბიცოლებს და მშობლებს... ყველას, ვისაც კი მცირეოდენი წვლილი მაინც მიუძღვის ბავშვის აღზრდაში, ასე რომ „ორიანიც“ და „ხუთიანიც“, ერთგვარად, მთელი ოჯახის ნიჭიერების შეფასება გახლავთ. არა და, ამ ათიოდე წლის წინ „ორიანი“ არაორაზროვნად იმას ნიშნავდა, რომ მოსწავლემ იზარმაცა და მისი გონებისათვის მისაწვდომი, გასათვითცნობიერებელი გაწტოლება, უბრალოდ, არ ამოხსნა.

ასე რომ, გართულებულმა პროგრამებმა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში უამრავი საავდრო ღრუბელი წამოშალა მთელი წლების განმავლობაში შესაშურისად გაკრიალებულ ჰორიზონტზე, და წამოშალა, იმ დროს, როცა ამას არავინ მოელოდა. მაშ, რა მოხდა ასეთი, რამ გამოიწვია ეს უსიამოვნო არეულ-დარეულობა ამ სფეროში, ვის სჭირდებოდა ეს ამბავი? ბატონო უშანგი, იქნებ ორიოდე სიტყვით თქვენ გვესაუბროთ ამ საკითხებზე?

უშანგი ობოლაძე:

— შევეცდები მოკლედ მოგახსენოთ ჩვენი შეხედულობა ამ მეტად პრობლემური ამოცანის თაობაზე. ვიტყვი ასე — ეს გახლავთ ტრაგედია საერთოდ! საერთოდ, იმიტომ ვამბობ, რომ აბდულა ბუთხუზაშვილის გულისტკივილი მეტნაკლებად საცნაური გახლავთ არა მარტო ჩვენი მოსახლეობისათვის, ეს პრობლემა აწუხებს მსოფლიოს საზოგადოებრიობას. შევეცადოთ კვანძის გახსნას — მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შედეგად სასწავლო მუშაობის შინაარსში იმდენი ცვლილება იქნა შეტანილი, რომ თვითონ ამ პროგრამების შემდგენლებმაც მშვენივრად უწყიან, თუ რაოდენ ძნელია ამ საკითხების დამოუკიდებლად დაძლევა ბავშვებისათვის. კი, მაგრამ, თუ კი უწყიან, მაშ რაღაზე ართულებენ საქმეს? — იკითხავთ თქვენ. ახლავე მოგახსენებთ, ამ ბოლო დროს რაღაც წარმოუდგენელი ტემპით განვითარდა ფიზიკა-მათემატიკური მეცნიერებანი, რამაც თავის მხრივ სენსაციური ტექნიკური პროგრესი გამოიწვია. ავიღოთ, მაგალითად, ლაზერის სხივი, რომელიც სამოციანი წლების „პირმშოდ“ შეიძლება ჩაითვალოს. საშუალო სკოლაში თქვენი სწავლის დროს კი ლაზერის სხივზე კანტიკუნტად თუ გაიგონებდით რაიმეს და ის მცირეოდი ინფორმაცია თავისი შინაარსით ერთობ სენსაციური გახლდათ. სამოცდაათიანი წლების ბოლოსათვის კი ლაზერის სხივმა უკვე პრაქტიკული გამოყენება ჰპოვა მრეწველობაში — ამ სხივის საშუალებით ამუშავებენ ლითონებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას იყენებენ სამკერვალო საქმეში — დააწყობენ, რამდენი ფენაც გნებავთ, მატერიას დაზგაზე, დაადებენ თარგს და ლაზერის სხივი გამოჭრის უმაკრატლოდ, იოლად, ლამაზად. ასე რომ, რაღაც წამებში, ერთბაშად ხუთასი, ათასი მამაკაცის კოსტუმის ზურგის ნაჭერი მზადა გაქვს. ლაზერის სხივს დიდი გამოყენება აქვს მედიცინაში, მაგალითად, თვალის ოპერაციის დროს. და ასეთი მაგალითების დასახელება შეიძლება უსასრულოდ. და ყველაფერი ეს მოხდა რაღაც ბოლო თხუთმეტ წელიწადში.

ანდა ავიღოთ გაგარინის პირველი გაფრენა კოსმოსში. რამდენი სასწაული მოხდა მას შემდეგ, რამდენი ოცნება იქცა რეალობად. ადამიანმა მთვარეზეც კი შეაბიჯა. ესე იგი ფარდა აეხადა ადამიანის გონებისათვის მანამდე მიუწვდომელ საიდუმლოს. ამ დროს კი სწავლულებმა საჭიროდ ჩათვალეს, რომ ეს მიღწევები სასკოლო სახელმძღვანელოებშიაც თავისებურად ასახულიყო, ბავშვებს უნდა მიეღოთ ზოგადი განათლება. ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. საბჭოთა სკოლა უნდა ამაღლებულიყო საერთაშორისო სტანდარტამდე. სურვილი თავისთავად კეთილშობილური და მისასალმებელი გახლავთ, ოღონდ აქ სასურველი იყო ერთი შეუსაბამობის თავიდან აცილება. მხედველობაში მაქვს ის მდგომარეობა, რომ საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში ზოგადსაგანმანათლებლო სწავლება თორმეტ-ცამეტ წელს მოიცავს, ჩვენთან კი იმათი თანაბარი მოცულობის პროგრამა ათ წელშია ჩამჭიდროვებული. სამი სასწავლო წელი, ბუნებრივია, არსებით შეღავათს მოგვცემდა საგნების გამარტივების და საკითხთა მოცულობის შემცირების თვალსაზრისით. იმ შემთხვევაში, თუ კი საშუალო სკოლებში სწავლების ათწლიან ციკლს მაინც ვერ შეველევით და, ჩემის აზრით, არც უნდა შეველიოთ, რადგანაც ეს პერიოდი ყველაზე ოპტიმალურია მოზარდის ასაკისა და გონებრივი განვითარების თავისებურებათა გათვალისწინების მხრივ, ჩვენ სხვა ალტერნატივა არც გაგვაჩნია, გარდა იმისა, რომ პროგრამები სასწრაფოდ უნდა გამარტივდეს, გამარტივდეს შესამჩნევად, ხელშესახებად! როგორც განათლების დარგის მუშაკს, ამ საქმის მოგვარება გადაუდებელ და საშურ საქმედ მიმაჩნია. იქნებ ჯერ კიდევ შეიძლება მდგომარეობის გამოსწორება, თორემ, დარწმუნებული ვარ, უახლოეს მომავალში ჩვენივე დაუდევრობის ნაყოფი რიკოშეტით მოგვიტრიალდება და თავზედსაც გვაწყევლინებს, ამისი სიმპტომები, სამწუხაროდ, დღესაც შეიმჩნევა...

იმის მოგახსენებდით, ამ საერთაშორისო სტანდარტების გამოდევნებამ და მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ ჩვენი სკოლა დაბნია! ამ საკითხზე დღეს უკვე ორი აზრი არ არსებობს. ამიტომაც იყო სწორედ, რომ 1977 წლის 22 დეკემბერს, ესე იგი, [illegible] კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ მიიღო ფრიად საგულისხმო დადგენილება — „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“, სადაც კატეგორიულად არის მითითებული სასწავლო პროგრამების გამარტივების თაობაზე. მწუხარვალი რომ უეცრად ვეძას წააწყდება, ისე სულზე მოგვისწრო ამ დადგენილებამ. საკავშირო განათლების სამინისტროშიაც გარკვეული ცვლილებები მოხდა. ძველი, ამ გართულებული პროგრამების აპოლოგეტები გაანთავისუფლეს ხელმძღვანელ თანამდებობებიდან და ახლები დანიშნეს, ერთი სიტყვით, უნდა ვივარაუდოთ, რომ მალე მოქუფრული ცისკიდური კვლავ განიხვნება და ლაჟვარდოვანი ჰორიზონტები ისევაც ძველებურის ეშხით გაბრწყინდებიან... მაშინ, ბუნებრივია, აბდულას სატკივარსაც ეშველება, და ჩვენც დამშვიდებულნი ვიქნებით საკუთარი სინდისის წინაშე, რამეთუ ვგრძნობდით და ვხედავდით ყოველივეს, მაგრამ ველარ კი ვმოქმედებდით ფხიზელი გონების კარნახით... რადგანაც ჩვენის მხრიდან რაიმე აზრიანი მოქმედება ანდა ლონისძიება სამინისტროს კომპეტენციებსა და „ადგილობრივ ძალებს“ აღემატებოდა...

**ავტორი:**

— ბატონო უშანგი, თქვენ წელან თქვით — „შესაძლოა ჩვენი დაუდევრობის შედეგი უახლოეს წლებში რიკოშეტით მოგვიტრიალდესო“. მაინც რა გაქვთ მხედველობაში?

**უშანგი ოგოლაძე:**

—სამწუხაროდ, ზოგადსაგანმანათლებლო სწავლება დღეს, პირდაპირ ვიტყვი, ერთობ კასტურ ხასიათს ატარებს. ამ ნაწილში აბდულა ბუთხუზაშვილის წუხილი მეტად დამაფიქრებელი და ანგარიშგასაწევი გახლავთ. აბსოლუტური სიმართლეა, რომ ფრიადზე საშუალო სკოლის დამთავრება დამოუკიდებლად, ამ სიტყვას ხაზს ვუსვამ, იშვიათად ვინმეს თუ ხელეწიფება, ხოლო უფროსთა დახმარებით კი, რაც დროსა და ასევე გვარიან ფულად სახსრებთან არის დაკავშირებული (მხედველობაში მაქვს მთელი ათი წლის განმავლობაში მშობლის შვილისადმი კუდში დევნა, ანდა რეპეტიტორებზე გაღებული უამრავი ხარჯები) — ათწლედს მრავალნი ამთავრებენ!

ამ ნათქვამიდან ადვილი გასაგებია, რომ მშრომელი, საქმიანი ოჯახები, ესე იგი, ჩვენი საზოგადოების მთავარი ნაწილი, საფეხბურთო ტერმინი რომ ვიხმაროთ „თამაშგარე მდგომარეობაშია“. სწავლა-განათლების სიკეთე ამ კატეგორიის ოჯახებისათვის, თუ არ გამხდარა, უახლოეს მომავალში ალბათ „უცხო ხილი“ გახდება. ეს კი მიუტევებელი რამ გახლავთ ჩვენი საზოგადოებისათვის...

ასეთი დიფერენციაცია კი, ყოვლად შეუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავსებელია ჩვენი წყობილების პრინციპისათვის. სწავლას მოწყურებული ბავშვი, რომელმაც დამოუკიდებლად ვერ დაძლია პროგრამა და თანდათან ჩამორჩა „განებივრებულ ამხანაგებს“, ბუნებრივია, მათ მიმართ თანდათანობით ანტაგონისტურად განეწყობა. მასში წარმოიშობა ნიჰილისტური და კრიტიკული შეხედულებანი. აბდულას სიტყვებით რომ ვთქვათ, მოზარდი „დაიპოლმება“ და ძალაუნებურად „უგვანოთა გზას დაადგება“, ეს კი, მოგეხსენებათ, ქურდობის, უსაქმურობის, ძარცვა-გლეჯისა და მკვლელობათა გზაა! რითაც დღესაც საკმარისადა ვართ შეწუხებულნი. ამ ტენდენციის კიდევ უფრო გაძლიერება, ალბათ წარმოდგენილი გაქვთ, რა უბედურებას მოუტანს ჩვენს ქვეყანას, ერს... სწორედ ეს მომენტები მქონდა მხედველობაში, როცა ვამბობდი — შედეგი ცუდად მოგვიტრიალდება-მეთქი.

მაგრამ, როგორც აღვნიშნე, მთავრობის დადგენილებამ მართლაც რომ სულზე მოგვისწრო ახლა ყველაფერი დამოკიდებულია ჩვენსავე მონდომებაზე — მალე გავართვათ თავი სასწავლო პროგრამების გამარტივების მეტად საშურ ამოცანას.

ავტორი:

ზამთრობით თიანეთისაკენ მომავალ მგზავრს უცილობლად თვალში მოხვდება პანტებზე გაჩენილი უამრავი მწვანე „ბურთი“. „ბურთები ხეზე? საიდან?“ — უცილობლად იკითხავს იგი. სინამდვილეში კი ეს გახლავთ ავადსახსენებელი ფითრის ოჯოჯოები, წურბელებივით რომ ჩასხდომიან კისერში ძალგულოვან პანტებს და სისხლსა სწოვენ. სწორედ რომ ეგრეა—გადაფითრებულან ჩვენი კეთილი ბუმბერაზები, რომელთაც ვეღარას აკლებთ სიცივე და ავდარი, ქარი და თოვლი—ოდითგან „ახალდაავადებათა“ ფეხზე გადამტანელნი, ადამიანთა მოფერებასა და ალერსს გადაჩვეულნი, კულტურული მცენარეებივით არამეწლეურნი, გაჭირვებულნი, მაგრამ ამაყი და ძალგულოვანი მთიელებივით შეუპოვარნი და არა გაზულუქებულნი. ერთადერთი, რისთვისაც ვეღარაფერი მოუხერხებიათ, ეს გახლავთ ფითრი და შემოგეჩერებიან ბებრუხანები მუდარით აღსავსენი, ვინძლო მცირედი სამსახური გაგვიწიოთ იმ ამაგისათვის, რომელიც მათ დაგვდეს ათეული წლების განმავლობაში თავიანთი დაუზარლობით, ტკბილ ნაყოფიერებით, გულუხვობით. მაგრამ აღარავის ესურება მათი მუდარა და ვიში... აღარავის, ამ ქვეყანაზე! დგანან და ელიან, ითმენენ, უდრტვინველნი მაინც პატიოსნად აღასრულებენ თავიანთ წმინდათაწმინდა მოვალეობას — იხუნძლებიან ჟამიდან ჟამად უტკბესი და სურნელოვანი ნაყოფით

ყოველივე ზემოაღწერილი, შესაძლოა, ძალდაუფარდოვანადაც ჟღერს, მაგრამ სიმართლეს კი უტყუვრად ასახავს. სწო[illegible] ჯოების, ფითრის ქურჩების შემხედვარეს ერთი აზრი დამებადა — რა იქნებოდა, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ანდა, გნებავთ, სატყეო მეურნეობას რამდენიმე კაცისაგან შემდგარი ფითრთან მებრძოლი „მუდმივმოქმედი ჯგუფი“ ჩამოეყალიბებინა? მისი წევრები, ხელცულებითა და ხერხებით შეიარაღებულნი, საგულდაგულოდ დაუვლიდნენ რაიონის ტყეებს, წარაფებსა და კორომებს და „ტყიურ ძმებს“ შვებას მისცემდნენ. მითუმეტეს, რომ აქაურმა გლეხებმა მშვენივრად უწყიან, სად უფრო არის მომძლავრებული ეს დაავადება.

ქვეყანაში, სადაც არსებობს „ხილის კულტი“, — გვხვდება ისტორიული ადგილი „ხილანას“ სახელწოდებით და სადაც გარემო ბუნებასთან კავშირი და ურთიერთობა ამ ბოლო დრომდე უმაღლეს საფეხურზე იყო აყვანილი, დარწმუნებული ვარ, ფითრთან ბრძოლა წარმატებით ჩაივლის, იგი მოსახლეობის უფართოესი ფენების მოწონებას დაიმსახურებს. ეს იქნება ორიგინალური, საინტერესო წმინდა თიანური ექსპერიმენტი.

მიხეილ გორელაშვილი, — თიანეთის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი:

— კერძო სექტორისადმი დახმარების გაწევის თაობაზე პარტიისა და მთავრობის მიერ შემუშავებულ დადგენილებაში, მთელ რიგ სხვა საკითხებთან ერთად, იგულისხმება აგრეთვე მოსახლეობის კონდიციური თესლითა და საკარმიდამო ნაკვეთების შემოსავლობი მასალებით მომარაგება. ჭერჭერობით ამ მხრივ, სიმართლე უნდა ვაღიაროთ, რომ არაფერი გაკეთებულა. მე ვფიქრობ, რომ მთავარი დახმარება გლეხობას მაინც ხვნა-თესვის დროს ესაჭიროება. დღევანდელ პირობებში, როცა სოფლად გამწევი ძალა — ხარ-კამეჩი თვალის დასანახადაც სანატრელი გამხდარა, მთელი დაწოლა ბარზე გადავიდა — კოლმეურნეები თავიანთ ნაკვეთებს, როგორც წესი, კუსტარულად ბარავენ, მაგრამ, დამერწმუნებით, რომ ხელდახელ მიწასთან ბრძოლა ერთობ შრომატევადი და საძნელო საქმეა. არის უმამაკაცო ოჯახები და მრავლადაც, სადაც ეს საკითხი პრობლემად რჩება, ხშირ შემთხვევაში გადაუჭრელ პრობლემადაც კი, რადგანაც დღეს ნბარავების შოვნა ისეთივე რთული საქმეა, როგორც ულელი ხარ-კამეჩისა. თანაც ადამიანები, ასე ვთქვათ, დანაზდნენ, წელის წყვეტას ერიდებიან. ამიტომაც არის, რომ შავი მუშის დღიურმა გასამრჯელომ ოც-ოცდახუთ მანეთამდე აიწია, როცა ყველას გვახსოვს, რომ ძველი კურსით ორმოცდაათ მანეთად, ესე იგი ახალ ხუთ მანეთად ათასი მბარავი მოგადგებოდა კარზე. ეს ამბავი მეტად ჩამაფიქრებელია; ეზონაკვეთის „გადაბრუნება“ პატრონს ლამის ას მანეთამდე უჯდება, როცა ამ ნაკვეთიდან მო-

დებული შემოსავალი ერთობ მოკრძალებულია. ერთი სიტყვით, როგორც მესაქონლეობაში, აქაც დგება რენტაბელურობის საკითხი. ბოლოსდაბოლოს, გლეხი ანდა კოლმეურნე, თუნდაც მოსამსახურე, რომელსაც აგრეთვე გააჩნია საკარმიდამო ნაკვეთი, მხოლოდდა „სპორტული თვალსაზრისით“ ანდა გართობის მიზნით თუ წაეთამაშება ბალ-ბოსტანს. ასეთი ზერელე დამოკიდებულებით კი, ბუნებრივია, მოსავალს ვერ მოიყვან. იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ მშრომელთა არასასურველი თვისობრივი მეტამორფოზა, აუცილებელია ქმედითი ღონისძიებების გატარება. ეს საშური საქმე გახლავთ. მხედველობაშია მისაღები ის ამბავი რომ მემცენარეობის კერძო სექტორიდან მიღებული შემოსავალი, ბოლოსდაბოლოს, საერთო-სახალხო ბეღლის შემადგენელი ნაწილია და, როგორც ამაზე მეტყველებენ სტატისტიკური მონაცემები, არც თუ უმნიშვნელო ნაწილი. აქაც დაახლოებით იგივე მდგომარეობა და შესაბამისობანი გაგვაჩნია, რაც მეცხოველეობის სფეროში გვაქვს ამჟამად.

ელგუჯა მიდელაური — პარტიის რაიკომის მეორე მდივანი:

— აქ ამხანაგების მიერ საინტერესო საკითხები იქნა წამოჭრილი. დღეს მართლაც ჩვენი სოფლის მეურნეობა ისეთი რთული უბანი გახდა, რომელსაც ეფექტური და, ამავე დროს, კომპლექსური მკურნალობა სჭირია. სამმართველო პირველად ატარებს ასეთი ყოვლისმომცველი და ანალიტიკური ხასიათის საუბარს, მე ვიტყოდი, მეტად საინტერესო ბჭობას რაიონში მემცენარეობის სფეროში არსებულ საკითხებზე. აქ ღრმად და გამოწვლილვით იქნა გაანალიზებული და შეფასებული სოფლის მეურნეობის დარგის, ასე ვთქვათ, შემადგენელი ნაწილები, რომელთა ერთ პრიზმაში წარმოსახვა და გათვალისწინება არსებული ამოცანების გადაწყვეტამდე მიგვიყვანს.

მინდა საკუთარი მოსაზრება გამოვთქვა მიხეილ გორელაშვილის მიერ დასმულ საკითხთან დაკავშირებით, სადაც ლაპარაკია კერძო სექტორისადმი ქმედითი დახმარების გაწევის აუცილებლობაზე. მართლაც და კერძო სექტორს დროულად უნდა შევაშველოთ ხელი. ერთ-ერთ ქმედით საშუალებად ამ გზაზე მიმაჩნია ამ სფეროში „მცირე ტექნიკის“ გამოყენების დანერგვა. მე მგონია, რომ მოწადინების შემთხვევაში, შესაძლებელია, ამ საკითხის მოგვარება, მხოლოდ მანამდე, საჭიროა, გულდასმით იქნას შესწავლილი მოსახლეობის მოთხოვნილებანი, ამ მოთხოვნილებათა სპეციფიკური მხარეები, და ამის საფუძველზე განისაზღვროს ტექნიკურ საშუალებათა ის რაოდენობა, რომელიც თავისუფლად გაართმევს თავს პირად საკუთრებაში მყოფი საკარმიდამო ნაკვეთების „ათვისების“ ამოცანას. სამომხმარებლო ხასიათის მცირე ტექნიკის პარკის დაარსება, ერთი შეხედვით, საძნელო საქმედ შეიძლება მოგვეჩვენოს, მაგრამ რომ ჩავუკვირდეთ, არაფერი მანდ შეუძლებელი არ უნდა იყოს. პირიქით, დარწმუნებული ვარ, ამ ახალ ინიციატივას „ზემოთაც“ და „ქვემოთაც“ მრავალი მომხრე და მხარდამჭერი აღმოუჩნდება. მართლაცდა, საწარმოო ინდუსტრიის აღმავლობის დღევანდელ პირობებში რა ბედენაა მთელი რაიონის საჭიროებისათვის ორიოდე მცირეგაბარიტიანი „გამწევის“ გამოყოფა. იგი ჩვენს გლეხობას ნამდვილად რომ ძალზედ შეეშველება და ამ სიკეთის მადლი. არსებითად, მთელს საზოგადოებას გასწვდება. სოფლად მოისპობა „მბარავთა პრობლემა“, სულს მოითქვამენ უმამაკაცო და ფიზიკური შრომის უუნარო ოჯახები და, რაც მთავარია, გამოთავისუფლდება უამრავი მუშახელი, რომლის ნაკლებობასაც ყოველთვის განიცდიდა და განიცდის ამჟამადაც ჩვენი სოფლის მეურნეობა.

თუ გავითვალისწინებთ ტრაქტორის წარმადობის მასშტაბებს, მთელი რაიონის კერძო სავარგულებს ორიოდე ასეთი ტრაქტორი სულ რამდენიმე კვირაში „მოაწესრიგებს“.

რაც შეეხება თქვენს მიერ შემოთავაზებულ, ეგრეთწოდებული, „ტყის პროფილაქტიკის სპეციალური სამსახურის“ დაარსებას, ვგონებ, მეტად საინტერესო წინადადება უნდა იყოს. რამდენიმე კაციანი ასეთი ჯგუფი დიდ სარგებლობას მოუტანდა ბუნების გაფრთხილების, მოვლა-პატრონობისა და დაცვის საქმეს. ავადსახსენებელი ფითრის „მწვანე ბურთებთან“ ბრძოლა, არა მარტო ჩვენს რაიონში, სასურველია რომ მთელი რესპუბლიკის მასშტაბით განხორციელდეს, ეს ახალი იდეა, ჩემის ღრმა რწმენით, ღრმად ჩაფიქრებასა და მხარდაჭერას იმსახურებს.

## საუბარი აკადემიკოს ნიკო კეცხოველთან.

ავტორი:

— ბატონო ნიკო, რას გვეტყვით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასწავლო პროგრამების, ბავშვთა მოსწრებისა და საერთო მდგომარეობის თაობაზე? თქვენ, როგორც ძველი გიმნაზიელი, როგორ აფასებთ ამჟამად საშუალო სკოლებში შექმნილ ვითარებას? რას დაუმატებდით აბდულა ბუთხუზაშვილისა და უშანგი ობოლაძის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს?

— სად მაშინდელი გიმნაზია და სად დღევანდელი საშუალო სკოლა, სადაც მეცნიერულ საფუძველზეა დამყარებული სწავლება. გაჩახჩახებული კორპუსები, სპორტული დარბაზები, ათასგვარი თანამედროვე აპარატურითა და სამოსწავლო ხელსაწყოებით აღჭურვილი კაბინეტები, განათლებული მასწავლებლები — ყოველივე ამაზე მხოლოდ ოცნებაღა თუ შეგვეძლო.

მაგრამ გიმნაზიასაც გააჩნდა თავისი, უეჭვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად დასაფასებელი ღირსებები. პირველ რიგში კი ის, რომ იმ დროს მეტი შემოქმედებითი, დამოუკიდებელი ვარჯიში უხდებოდა ბავშვს. სახელმძღვანელოებიც ისე იყო შედგენილი, რომ მოსწავლე ადვილად სძლევდა გაკვეთილს და უცბად არ შინდებოდა მასალის სირთულითა და მოცულობით. ერთი სიტყვით, სასწავლი ცოტა გვქონდა, მაგრამ სამაგიეროდ, ერთი გენახათ, რა მოწადინებულები და ყოჩაღები ვიყავით. ისეთი ხალისით ვყვებოდით ხოლმე გაკვეთილებს, რომ იმ წუთში ქვეყანა ჩვენი გვეგონა.

ბავშვის ფსიქოლოგიაში ვინც ერკვევა, იცის, რომ გაკვეთილების დაძლევა ისეთსავე ამაღლებელ განწყობილებას აღძრავს მასში, როგორიც შეიძლება დაბადოს დიდებში, ვთქვათ, ბრძოლაში გამარჯვებამ, გინდაც რაიმე მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრამ. ბოლოსდაბოლოს, ბავშვისათვის სწავლის პროცესი ერთგვარად ხომ წიგნთან პაექრობაცაა! წარმოიდგინეთ, რა კეთილისმყოფელ გავლენას იქონიებს მისი შემოქმედებითი ძალების გაფურჩქვნაზე გონებრივი თვალსაწიერის გაფართოებაზე, შემეცნებითი ჰორიზონტის განვრცობაზე „გამარჯვების მომენტი“. მითუმეტეს, თუ კი ეს „საამო პროცესი“ ყოველდღიური და უწყვეტია...

ერთი სიტყვით, როცა გაკვეთილი იცის ბავშვმა, იმ დღეს იგი ხალისიანია, ბედნიერია, სახე უცინის, სულ ემღერება. ეს მხიარული განწყობილება კი, საბოლოო ჯამში ხელს უწყობს შემეცნებითი ძალების გაცხოველებას, ფანტაზიის უნარის განვითარებას, ურომლისოდაც ყოვლად წარმოუდგენლად მიმაჩნია მოზარდის გონებრივი და ინტელექტუალური ჩამოყალიბება, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გამომუშავება...

ჩვენ დროს არც ამდენი საგნები ისწავლებოდა, არც ასე იყვნენ ბავშვები წიგნებით დაკავებულნი, მაგრამ ამით სწავლას მოწყურებულნი არსად არ შეფერხებულან — აკი ვამაყობთ კიდეც იმ სკოლის შესანიშნავი წარმომადგენლებით.

ასე რომ, აბდულას თქმისა არ იყოს, მოცულობა არასოდეს არ განსაზღვრავდა ხარისხს. ჩვენ კი ამჟამად ძალიან გამოვეკიდეთ „ინფორმაციათა ნაკადს“, რამაც საქვოა, გაამართლოს. ბავშვს თუ ბავშვობა წავართვით და ნაძალადევად ვუნდერკინდი გავხადეთ, ამაზე საშინელება რა უნდა იყოს — თავისი შემოქმედებითი სიმწიფის ხანას იგი გადაღლილ-გადაქანცული მიადგება. გამოფიტულმა, დაფანტულმა გონებამ კი რა უნდა შექმნას ღირებული და მნიშვნელოვანი? მეორე მომენტიც უნდა გავითვალისწინოთ — თითქოს გადაგვავიწყდაო მოზარდში ადამიანური, მოქალაქეობრივი თვისებების ჩამოყალიბებაზე ზრუნვა. ძირითადი აქცენტი ნიშნებზე — გვაქვს გადატანილი — არც ერთი ჩამორჩენილი კლასში! — გავიძახით, მაგრამ, აბა, შედარებით იოლად დასაძლევი დავალებები მივცეთ ბავშვებს, დარწმუნებული ვარ, ნიშნისა და, საერთოდ, მოსწრების პრობლემა მყისვე მოიხსნება დღის წესრიგიდან.

ჩვენ მივადექით კიდეც აბდულას მიერ წამოჭრილ საკითხს. მეც მანდა ვარ სწორედ რო, გონებრივად განვითარებულ, ამავე დროს, ეკონომიურად და მატერიალურად უზრუნველყოფილ ბავშვთა კონტიგენტის უნარის გათვალისწინებით კი არ უნდა ვაგებდეთ სასწავლო პროგრამებს, არამედ საშუალო ნიჭისა და შესაძლებლობის ბავშვებზე უნდა ვიღებდეთ ვარაუდს, იმათზე, ვისაც შინ დამხმარეები, რეპეტიტორები არ დაუდით, ხელმოკლედ ცხოვრობენ — დედამისიც დასაქმებულია, მამაც მინდორშია გასული, ანდა ქარხნიდან საღამოს დაღლილ-დაქანცული ბრუნდება შინ და შვილებთან ჩაჯდომისათვის არა სცალია. ბევრია ისეთი ოჯახიც, სადაც მშობლები ვერც კი ერკვევიან იმ რთულ მათემატიკურ ამოცანებსა და მაგალითებში, რომელსაც დაწყებითი კლასების მოსწავლეებს აძლევენ ამოსახსნელად. ეს საკითხი კომპლექსურ მიდგომასა და საგანგებო შესწავლას მოითხოვს და, ჩემის აზრით, მეტად საშური პრობლემათაგანია! მისი გადადება მომავალი თაობების წინაშე აშკარა დანაშაულია...

* * *

რევაზ ბერძენიშვილი სიმონიანთხევის კოლმეურნეობის მოწინავე მექანიზატორია. შავგვრემანი, ჩაფსკვნილი, ძალგულოვანი ვაჟკაცი გახლავთ. ჩემთან საუბარში თავისი ცხოვრებისეული მრწამსი მარტივად ჩამოაყალიბა: „შრომა არ მეზარება, ვისაც არ უნდა დაეკითხოთ ჩემზე, ყველა დაგიდასტურებთ, რომ ასეა. მამა-პაპათა ბილიკს დავემგზავრე, და არცა ვნანობ არაფერს, ოღონდ ის კი მეწყინება, ხანდახან თუ კი ვერ დაინახავენ და არ დამიფასდება ნაღვაწი. ეგრე მოვდივარ და ეგრე ვივლი...“

— იყო მერმე ისეთი შემთხვევები რო ვერ „დაინახეს“?

— იმდენი სიკეთე თქვენა, მაგრამ, გლეხკაცსა, მოგეხსენებათ, მოთმინებაც დაანათლა მამაზეციერმა. ნათქვამი როა, „გლეხკაცი იმედით ცოცხლობსო“, ეგ იმედი არასოდეს დამიკარგავს და არც დავკარგავ, მითუმეტეს ახლა, როცა ყველაფერი უკეთესობისაკენ წავიდა...

— რა გაქვთ მხედველობაში?

— პირველ რიგში, ჩემი პირადი საქმეები... ღიაზ, ამისი განცხადებისა უკვე აღარ მრცხვენია — ათეული წლების განმავლობაში რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოებრივ საქმეზე იქნები გადაგებული, ხომ გაქვს მორალური უფლება ოდესლაც პირადზე ილაპარაკო ხმამაღლა, შეურცხვენლად, დაუფარავად, მითუმეტეს, რომ საზოგადოებრივს ყოველგან და ყველაფერში სწორედ ეს პირადი უდევს საფუძვლად. გასულ წელს ჩემმა ქალიშვილმა ჩააბარა. იგი, შეიძლება ახე ითქვას, პირდაპირ მინდვრიდან ჩარიცხეს სამედიცინო ინსტიტუტში...

— ეგ რანაირადლა?

— რო გეუბნები, ეგრე... ლიმიტი მისცეს და ჩარიცხეს. უცნაური ის იყო, ჯერ პედაგოგიურ ინსტიტუტში მისცეს ლიმიტი, ამასაც ვინ ელოდა, მაგრამ მერე მოხდა რადაც ხასწაულო, ის ლიმიტი შეუცვალეს...

ნანული შიომღვდლიშვილი — პარტიის რაიკომის მდივანი,

— უამინდობამ ხვნა-თესვაში შესამჩნევად ჩამოგვარჩინა. საგონებელში ჩავარდნილები ყოველ „ფანჯარას" ვეშურებოდით. იმ დღესაც წვიმდა, უფრო სწორად, წინწკლავდა, მართალია, გაპირვებით, მაგრამ, ასე თუ ისე, მაინც შეიძლებოდა ტრაქტორის მინდორში გაყვანა. პირველ მდივანთან ერთად მანქანით დავუყევით რაიონის სავარგულებს, გეგმების შესრულების მიმდინარეობის დაზუსტებაც გვაინტერესებდა. კაცის ჭაჭანება არსად იყო. საღამოსპირზე, უკანგამობრუნებისას, ერთის ყანებიდან ტრაქტორის ხმა გავიგონეთ და იქითკენ გავეშურეთ. ბინდბუნდში, ფარების შუქზე ვიღაცა მარჯვედ დასტრიალებდა მინდორს და ბელტს ბელტზე აწყობდა. ახლოს რომ მოვედით, არ შეყოვნებულა, ჩვეულებრივად განაგრძო მუშაობა, ალბათ ვიღაც მონადირეები, ანდა შემთხვევით გავლილი მგზავრები თუ ვეგონეთ, ყურადღება არ მოუქცევია ჩვენთვის. როცა წამოვეწიეთ და გავაჩერეთ, სასიამოვნო აღმოჩენის მოწმენი შევიქენით — ტრაქტორის კაბინიდან ბიჭურად ჩაცმული გოგონა ჩამოხტა, გამარჯობათო — მორცხვად მოგვესალმა. ვუთხარით ვინც ვიყავით და რაზედაც ვიყავით მოსულები. კიდევ მეტად დაიმორცხვა და ძლივს გაგვაგებინა, რამდენი იყო მოხნული და დათესილი. დამშვიდობებისას, რაიკომის პირველი მდივანი, ბატონი იოველი ეკითხება — საშუალო თუ გაქვს დამთავრებული? გასულ წელს დავამთავრეო. უმაღლესში არ გინდა ჩააბარო? როგორ არა, აგე მომცეს კიდეც ლიმიტით. სად მოგცეს მერმე? პედაგოგიურ ინსტიტუტში. გინდოდა იქა? სამედიცინოზე ვოცნებობდი, მაგრამ ნაჩუქარ ცხენს კბილებს ვიღა უსინჯავსო, ამაზედაც მადლობელი ვარო. იცით, რა, ამ დღეებში პარტიის რაიკომში, ჩემთან შემოიარეთო. გასაგებიაო?

ნიკო კვესოველი:

— ერთი თვალსაჩინო მაგალითი მინდა მოვიყვანო შედარებისთვის — გვერდიგვერდ რომ დავაწყე ჩვენი გიმნაზიისა და ახლანდელი საშუალო სკოლის სავალდებულო სახელმძღვანელოები, დღევანდელი ბავშვები, წარმოიდგინეთ, სამჯერ უფრო გადატვირთულნი აღმოჩნდნენ მაშინდელზე. ამას მიუმატეთ კლასგარეშე ინფორმაციის წყაროთა მრავალფეროვნება და ინტენსივობა — ეს რადიოთ, ეს ტელევიზორით, ეს ჟურნალ-გაზეთებით, კინოფილმებით, სხვადასხვა მხატვრული და ტექნიკური ლიტერატურა, ათას წრეებში სიარული... ჩვენს დროში ბავშვი მოკლებული იყო ყოველივე ამას, მისი თოთო გონება განტვირთული იყო არაფრისმაქნისი, ზედმეტი და უსარგებლო ინფორმაციისაგან. გონებაში სუფთა და ნათელი ადგილი იყო მოტოვებული და შემონახული საინტერესო და აუცილებელ „მაპროფილებელ დარგებთან" ერთად მამულიშვილობის, კაცურკაცობის, პატიოსნებისა და შრომისმოყვარეობის შესამეცნებლად.

თუმცა ისევ ჩვენს თემას დავუბრუნდეთ — მაგალითისათვის ავიღოთ ზოოლოგიის პროგრამები საშუალო სკოლებში. აქ მოცემული საკითხები სირთულის თვალსაზრისით არაფრით ჩამოუვარდება უმაღლესი სასწავლებლების სახელმძღვანელოებში მოცემულ საკითხებს. ასე რომ, სტუდენტები აქ იმასვე გადიან, რასაც მოსწავლეები საშუალო სკოლაში, ამიტომაც მათ აღარ აინტერესებთ ეს მასალა, როგორც უკვე გავლილი და შესწავლილი. საკითხთა თანდათანობითი გართულების პრინციპი რომ დავიცვათ, ამ არასასურველ გარემოებას თავიდან ავიცილებდით...

საყვედური მინდა გამოვთქვა ზოგიერთი მშობლის მიმართაც. ისინი ბავშვებისაგან შეუძლებელს მოითხოვენ. საკუთარი გაგების დონიდან ესაუბრებიან და არ ცდილობენ ბავშვის ინტერესებში გარკვევას, მისი სამყაროს თავისებურებათა გათვალისწინებას, არ ეხმარებიან ამ სამყაროს კეთილმოწყობასა და სრულყოფაში. ის კი არა, უხეშად ერევიან კიდეც მის „საშინაო საქმეებში", რაც გამოიხატება მოზარდის გაუმართლებელი გადატვირთვით — ათასნაირ წრეებში ჩაბმით. ხანდახან ისე გამოდის, რომ მშობლის მეშჩანურ ინტერესებს შვილები ეწირებიან ხოლმე. „უნივერსალური შთამომავლობის" მოსურნენი ორი კურდღლის მდევრებივით, ხშირად, ხელმოცარულნი რჩებიან. მაგრამ განა ეს სახელი შვილის წამხდარ საქმეს? საზოგადოების რიგებს ავსებენ ახალგაზრდა „ბრძენკაცები", ნიჰილისტები, ცხოვრებამოყირჭებული და შინაგანად გამოფიტული, ინდიფერენტულად განწყობილი, ყოყლოჩინა „სპეციალისტები", რომელთაც ყველა საქმეზე ერთნაირად მიერჩით გული, რაც თავისთავად გამორიცხავს საგნისადმი პროფესიულ დამოკიდებულებას, პრობლემათა არსში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღრმად ჩაწვდომას, რაიმე სერიოზულის შექმნას. ამდაგვარად, ნელნელა მკვიდრდება დილეტანტიზმი. ეს უკანასკნელი კი მაგონებს ავადსახსენებელ ფითრს, რომელიც საკუთის ნაყოფით დასუნძლულ პანტას ჩახწვნია კისერში და მახრჩობელასავით მის მოგუდვას ლამობს...

ამ და მთელი რივი სხვა ნაკლოვანებების გამოსწორება, როგორც ეს უშანგი ობოლაძემ ბრძანა, მომავლის საქმეა. და, ამავე დროს, მეტად, მეტად, მეტად საშური საქმე...

ᲛᲘᲬᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ

(საუბარი სოფრომ გულბათაშვილთან)

— ძია სოფრომ, როგორც გამოცდილი მეურნე, რას იტყვით, სწორი გზით მიემართება მიწათმოქმედების საქმე თქვენს რაიონში? ხომ არ ირღვევა ხოლმე მიწის დამუშავების ოდითგან დამკვიდრებული წესები? რა სიძნელეები იდგა თქვენს წინაშე ამ ოცდაათი-ორმოცი წლის წინათ?

ᲡᲝᲤᲠᲝᲛ ᲒᲣᲚᲑᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ:

— კოლექტივიზაციის ხანა ყველაზე რთული პერიოდი იყო ალბათ ჩვენს ქვეყანაში სამეურნეო მშენებლობის ისტორიაში. მახსოვს, ზარიძეების კოლმეურნეობის თავმჯდომარედ რომ გამამწესეს, რა სიდუხჭირე სუფევდა გლეხობაში აქაური მშრომელები ლუკმა-პურის საშოვნელად სად არ დადიოდნენ. აი, მიდიან ბიჭები ალვანში სამონაგროდ. ვეკითხები, — საით, ბიჭებო? ყანჩად მპასუხობენ: „ალვანში, ძია სოფრომ. ალვანში!..“ — დღეს, შეიძლება, არც დაიჯერონ ვინმემ — დღიურ გასამრჯელოს ისინი ლიტრა სიმინდს იღებდნენ. ჰო, იმას ვამბობდი, ახლა შინმობრუნებულებს ვკითხავდი — „საიდან, ბიჭებო?“, „ალვა-აანიდანო“... შრომისაგან მისავათებულები, გამხდარ-გაძვალტყავებულნი, უნიათოდ მპასუხობდნენ ისინი. სადღა შემორჩენოდათ ის ხალისი და ენერგია, წასვლის წინ რომ გამოკრთოდა მათი სიტყვა-პასუხიდან. მაგრამ რადას იზამდნენ, ზამთარში ლუკმაპურის მათხოვრობას მაინც ყველაფერი ერჩივნათ. ოჩხარზე, ზარმაცკაცის კარდაკარ წანწალზეა ერთი მაშინდელი ლექსი:

ქუშხევსა ვზიდავ ოჩხარსა,
დახედეთ ჩემს თავს, რა დრუა!
ისე ვარ „გალაღებული“
მთას რო დაასხა, გადმუა.
მუშტა ყველს მენაც მოგცემო,
სამ დღე ბერუამ მატყუა...

მშრომელ ხალხს ეგრე რატო უნდა უჭირდეს-მეთქი — ვფიქრობდი ჩემთვის იმათი საცოდაობის შემხედვარე და ჩუმად გამოსავალს ვეძებდი. „იქნებ ალვანელებივით ჩვენაც მოვაგვაროთ როგორმე საშინაო საქმეები? — რამდენჯერ მიოცნებია — მაშინ გარეთ ოფლისღვრა და წელისწყვეტა აღარ დ[illegible] ჩვენებურებს და ეგეთ საცოდავ დღეშიაც არ ჩავარდ[illegible]ან-მეთქი!“ ერთხელაც ეს ყველაფერი კოლმეურნეობის კრებაზე განვაცხადე. სოფლელებმა მომიწონეს ჩანაფიქრი და შევუდექით კიდეც საქმეს, — ხელი მივყავით სიმინდის თესვას. და უნდა გითხრათ, რომ მოხდა რაღაც დაუჯერებელი: ჰექტრიდან ოცდაათი-ორმოცამდე ცენტნერი მოსავალი მივიღეთ. ის იყო და ის, იმ წლიდან მოყოლებული, მაპატიონ ალვანელებმა და, ჩვენებური კაცის ოფლი იმათ მინდვრებზე არც ოდეს დაღვრილა...

— მერმე რადღა იკლო მოსავალმა?

— საქმეში ტექნიკა ჩაერია. განა წინააღმდეგია ვინმე ტექნიკისა, მაგრამ ისევე, როგორც ვაზს, სიმინდსაც უხარია, როცა ხელით ესათუთებიან. ტექნიკის გამოყენება დიახაც რომ საჭიროა ხვნისა და მოსავლის აღების დროს, მაგრამ სულ რომ ტექნიკას მიუგდო მთელი ველმინდვრები და ვეგეტაციური აგროციკლები წესიერად არ ჩაუტარო, რაღა მოსავალს მიიღებ! რკინის სახნისებთან ერთად მინდორში ადამიანის მარჯვენაც უნდა ტრიალებდეს და, ამავე დროს, არ ზერელეობდეს. ტყუილად კი არაა ნათქვამი:

ალალსა. ალალ მუშასა
ალალი სული ამოსდის,
ერთი დღის ნამუშევარსა,
ერთი წლის სარჩო გამოსდის.

ერთი სიტყვით, ადამიანთა ზერელეობამ ჩვენი მარჩენალი მიწა გააბერწა... ამიტომაცაა, ჩემო კარგო, ეგეთ დღეში რომ ვართ ჩაცვინულები...

— ეს, რაც შეეხება სიმინდის მოყვანას, რას იტყვით სხვა კულტურებზე?

— შენ ხარ ჩემი ბატონი და, ჩვენ იმჟამადა ანეულსა ვხნავდით საშემოდგომო ხორბლისთვინა, მაშა! ამჟამად ხნავს ვინმე? არავინ! ის კი არა, შეიძლება ზოგიერთმა აგრონომმა არც კი იცის, რასა ჰქვია ანეული. ეს გახლავთ ივნის-ივლისში საშემოდგომო კულტურებისათვის მოხნული მინდორი. რატომ მაინცდამაინც ივნის-ივლისში, ყველაზე დიდგვალვობის ჟამს? — იკითხავთ ალბათ. ამაშია სწორედ მთელი საიდუმლოება — მიწას მზე თუ არ წაეტანა და გულიანად არ მოეფერა, ისე რილისი მაქნისია? ხედავ, როგორც ყველაფერს ამ ქვეყანაზე ამ ბებრუხუნასაც ჰყვარებია მოფერება. მზე გამოწვავს, გააფხვიერებს, სადედოდ შეაზჴალებს ნახნავს, შემოდგომაზე კულტივატორით გაფხვიერებულში კი ჩათესავ მარცვალს და მერმე შეგიძლია დათვივით გულხელდაკრეფილი წამოკოტრიალდე შენს ბუნაგშია.

აბა, ეს საქმეა, მიაყენებენ ზამთრისპირზე დათრთვილულ, ნესტიან მინდორს ტრაქტორებს, ერთის ფათხა-ფუთხით ამოაყირავებენ, ეგრევე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცივსა და ნესტიან შეუმზადებელ ხნულში ჩაყრიან თესლსა და მორჩა! გაზაფხულზე მარცვალს უჭირს გაღვივება და განვითარება, ამიტომაც არის, რომ მოსავალს ვემდურით და უამინდობასა და დროის ცვალებადობას ვაბრალებთ ხოლმე. ასეთნაირად დამუშავებულ ნათესებში ხშირია მოცდენის შემთხვევებიც. წელს, მაგალითად, ჩვენს რაიონში წვიმებმა და გაზაფხულის ნიაღვრებმა მთელი საშემოდგომო ნათესების ორმოცამდე პროცენტი გაანადგურა. ანეულს კი, წვიმებისა მაინც არ ეშინია, მისი ჯეჯილი სქლად ამოდის, ძლიერია და მედეგია არახელსაყრელი ბუნებრივი პირობების მიმართ, სარეველების არ ეშინია. ეგ ლექსიც იმაზეა ნათქვამი გლეხიკაცის მიერ:

ანეულისა ყუთანსა,
ჩონგურივით მართვა უნდა,
სამ უღელა კამეჩი და
ხუთ უღელა ხარი უნდა...

ზაირა ბერძენიშვილი:

— ეს იყო მეტად მღელვარე წუთები. მოსაცდელში ვიდექი და ველოდი რაიკომის მდივნის გამოძახებას. „ვინ იცის, რა მოხდება? — ათასი მწვალებლური ეჭვი და შიში მიტრიალებდა თავში — იქნებ ეგ ჩემი პედაგოგიური ინსტიტუტის ლიმიტიც წამართვან სულაც და სხვას მისცენ, რაღა მეშველება?“ წუხელიც მთელი ღამე ამაზე ვფიქრობდი, იჭვიანმა მოლოდინმა არ მომასვენა. დროზე უნდა გარკვეულიყო ყოველივე თორემ, ვგრძნობდი, მეტისატანა აღარ შემეძლო. დაძაბული მოლოდინის წუთები ყოველგვარ ფიზიკურ შრომაზე დამქანცველი ყოფილა თურმე. ტრაქტორიდან, მთელი დღე არ ჩამოვალ, თუ მინდა, მაგრამ ეს გაურკვევლობა კი საოცრად აუტანელი შეიქნა და, აი, მე პირველი მდივნის კაბინეტში ვარ. მომესალმა, გუნება-განწყობილება მოიკითხა ჩემი, მერმე ვიღაც-ვიღაცეებს დაუძახა, და ვიდრე ოფლში ვიწურებოდი, ჩემი ლიმიტის შეცვლის საქმე მოაგვარა. პედაგოგიური ინსტიტუტის ლიმიტის ნაცვლად სამედიცინო ინსტიტუტისა მომცეს. დღესაც სიზმარში მგონია თავი...

ავტორი:

— თქვენ რას იტყვით ამის შესახებ, რას უნდა უმადლოდეს ზაირა ბერძენიშვილი, წვიმას, ღრუბელს თუ საკუთარ შრომისმოყვარეობას? — შევეკითხე ამ ამბავთან დაკავშირებით თიანეთის კომკავშირის რაიკომის პირველ მდივანს გურამ ბუჯიაშვილს.

— ან იქნებ ყველაფერი შემთხვევითობის ბრალია?

გურამ ბუჯიაშვილი:

— შემთხვევითობას, უეჭველია რომ ჩვენი ბედის წარმართვაში რაღაც გარკვეული წილი უდევს. მაგრამ ამ შემთხვევაში, წვიმა და ღრუბელი, როგორც თქვენ ბრძანეთ, შეიძლება მხოლოდღა ერთგვარ დეკორაციას წარმოადგენდნენ სამოქმედო სცენისათვის. მთავარი საფუძველი კი უდაოდ შრომისმოყვარეობა გახლავთ. გოგონას სიბეჯითემ, დაუზარლობამ, საერთოსახალხო საქმიანობაში აქტიურმა მოღვაწეობამ გადამწყვეტი სიტყვა თქვა.

ზაირას მამა ჩინებული მექანიზატორი გახლავთ. მან ჩვენს რაიონში პირველმა „გაიმეტა“ თავისი ქალიშვილი ტრაქტორისათვის. ასწავლა მას მართვა და ჩააგონა მიწის სიყვარული, რაც, სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს ბევრმა დაკარგა; მთელი წლის განმავლობაში ზაირა ჩინებულად ართმევდა თავს დაკისრებულ საქმეს, იგი რაიონის ახალგაზრდობისათვის სამაგალითო კომკავშირელი გახლდათ... ჩემის ღრმა რწმენით, ზაირამ სამართლიანად დაიმსახურა უმაღლესი სასწავლებლის საგზური...

რევაზ ბერძენიშვილი:

— ყველაზე დიდი ბედნიერება მშრომელი ადამიანისათვის უფროსის ნათქვამი მადლობა გახლავთ. შვილის მიმართ რომ გაუგონარი მზრუნველობა გამოიჩინეს, ეს ამბავი ჩემში კიდევ უფრო ამაღლებს საზოგადოებრივი საქმის მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობას...

ავტორი:

რა შეიძლება იყოს უსახური? — შენობა, ნამეხარი მუხა, ბექჩამომზღვლეული მთა და ათასი რამე! უსახურობა, საერთოდ, გულისამრევი რამ გახლავთ ჩვენს დროში. თანამედროვე ადამიანი ვერ ეგუება მას და ხელჩართული ბრძოლა აქვს გამართული. ამიტომაც არის, რომ ძველ სახლებს გადააკეთებენ ახალ ყაიდაზე, ბოსტნებს ფორმას აძლევენ, ნალიები, ლაფაროები და სათონეები მოფარებულ ადგილებში გადააქვთ. ქუჩებს ალამაზებენ, ეზოკარს ყვავილებით ამშვენებენ... ერთი სიტყვით, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ადამიანი ებრძვის უსახურობას. აქამდე მას სხვა ინტერესები გააჩნდა, მთლიანად საოჯახო საქმეებით — პირველი რიგის საყოფაცხოვრებო საკითხების მოგვარებით იყო დაკავებული. ამჟამად, საბედნიეროდ ჩვენდა, გლეხი კაცის და, საერთოდ, საბჭოთა ადამიანის ეკონომიკურმა მდგომარეობამ შესამჩნევად წამოიწია. ადამიანებმა ესთეტიკური კატეგორიებისათვის მოიცალეს. იგი სულიერი ინტერესების გაფართოებას შეუდგა.

ერთი რამ გავიხსენოთ: რაც არ უნდა იყოს, ადამიანებს ახასიათებთ შემგუებლობითობა. ბექჩამოქცეულ მთაზე მაინც ავა ადამიანი, ნამეხ მუხას ჭრილობას ვერ გაუმრთელებ, ბოლოსდაბოლოს ერთიცა და მეორეც შენი აქტიური ალქმის მიღმა „დგანან“, მაგრამ სულ სხვაა, როცა ამ მიმართებით მსჯელობ შენთვის მეტად ახლობელ საგნებზე. აი, მაგალითად, მეზობელმა აიშენა სახლი, უზღვავი სახსარი შეალია და, საბოლოოდ, შენობა ყაზარმას დაამსგავსა. იქაურობა, შელამაზების ნაცვლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაამახინჯა, დააგონჯა, და წაახდინა. არა და, რას ეტყვი, ვერაფერში შეედავები, რა უფლების ძალით უსაყვედურებ, როცა მისი გემოვნება ასეთია.!

სამწუხაროდ, საქართველოში ბევრ სოფელსაც სჭირს უსახურობა. ირგვლივ მშვენიერი ბუნება აკრავს, მდინარეები და ნაკადულები ჩამოუდის, სადაფის თვალივითაა ჩასმული ხეობაში, ანდა მწყერჩიტასავითაა შეყუჟული გოლიათი მთების ძირში, მაგრამ, ახლოს რომ მიხვალ, მთელი ეს სილამაზე ფერწკრთალდება და წინა პლანზე ჩნდება სოფლის უსახურობა. ამაღლებულ განწყობილებას უეცრად უსიამოვნო ჩრდილი ეფინება.

თანამედროვე ურბანიზაციისა და განვითარებული სამშენებლო ინდუსტრიის პირობებში, როცა განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ქალაქთდაგეგმარებასა და დასახლებათა არქიტექტურულ გადაწყვეტას, ყოვლად უყურადღებოდ არის მიტოვებული მრავალი დაბა, სოფელი თუ რაიონის ცენტრი. ადამიანის თვალსა და გონებას თითქოს მხედველობიდან გამორჩენიათ მათი არსებობა, ამ დასახლებათა გამშვენიერებასა და სრულყოფაზე ზრუნვა და ფიქრი რატომღაც ამ ბოლო დრომდე არავის გახსენებია. გარკვეული წვლილი ამ „ჩამორჩენილობაში" რეკონსტრუქციებისა და მშენებლობის არამწარმოებლურ ხასიათსაც უდევს. ასეთ პირობებში სოფლად ფრთები გაშალა ქაოტურმა ბინათმშენებლობამ. სოკოებივით იზრდებიან ორსართულიანი, ყაზარმული გარეგნობის, არქიტექტურულად მეტად უგემოვნოდ და დაბალ დონეზე შესრულებული საცხოვრისები. და, რამდენადაც სოფლის ანდა რაიონის განაშენიანების სახელმწიფო პროექტს არავინ „უყურებს", ეს სახლები ნადირისგან დამფრთხალი და დარბეული საქონელივით არეულდარეულან, იქით-აქეთ „გარბი-გამორბიან"... ამ უსახურობასთან ბრძოლა დღეს, როცა ადამიანმა, უკვე თქმულისა არ იყოს, ასე თუ ისე, უფრო მოიცალა „ესთეტიკური კატეგორიებისათვის", მეტად საშური საქმე გახლავთ. და ვიდრე კიდევ დრო არის, და ვიდრე ყველას არ აუშენებია „განზე გამდგარი" სახლი, საჭიროა არქიტექტორებმა და სადაბო საბჭოების აღმასკომებმა, პარტიულმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა გადამწყვეტი სიტყვა თქვან, თავისი კორექტივები შეიტანონ ამ საქმეში და სოფლების განაშენიანება ერთ გარკვეულ კანონზომიერებას დაუმორჩილონ...

სერგო გონჯილაშვილი:

— თქვენი ზოგადი საუბარი მნიშვნელობასაც შეიცავს და ეს მნიშვნელობა ჩემთვის აბსოლუტურად მისაღები და საცნაურია. საქმე იმაში გახლავთ, რომ აქ განმწესების პირველსავე დღეებში მეც თვალში მომხვდა ის შეუსაბამობა, რომელიც არსებობდა თვით დაბის არქიტექტურულ სახესა და გარემომცველ ბუნებას, მის ადგილმდებარეობას შორის. უფრო მეტიც — საოცრად დამწყვიტა გული იმის შეგრძნებამ, რომ ზოგიერთი ადამიანი თავისი დაუდევრობითა და მეშჩანური გემოვნების წყალობით ხელყოფდა, უხეშად ამახინჯებდა და აუშნოებდა თიანური ბუნების სრულყოფილებას, სილამაზესა და ამაღლებულობას, ამ გარემო სამყაროსთან თვითონ დაბის არქიტექტურულ მიმართებას, ქუჩებისა და ცალკეულ შენობათა ორგანულ და ბუნებრივ შერწყმულობას. მაშინ ჩემთვის ვთქვი — ამ უსახურობას რამე უნდა მოვუხერხოთ-მეთქი!

მართლაცდა, როგორი საქმეა სოფელი, დაბა ანდა თუნდაც უბანი მთავარი ქუჩის გარეშე. მე მგონი დიდად არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ თიანეთი სწორედ ასეთ დასახლებათა რიცხვს განეკუთვნება. ვაჟა-ფშაველას ქვეყანაში, ამაღლებული ხალხური პოეზიის სამყაროში ასეთი პროზაულობა და „დაბალი დონე" ყოვლად მიუტევებლად მიმაჩნია. ერთი მოვლილი ქუჩა, ერთი მოვლილი ორღობე, ერთი რიგიანი სანიაღვრე არხი, მოწესრიგებული სანაპირო, თანამედროვე მოსაცდელი ჯიხური, მოვლილი გაზონი, მხატვრულად გაფორმებული შენობა, არქიტექტურულად სრულყოფილი მოედანი და ათასი რამ სანატრელი გამხდარა ადამიანისათვის.

შეიძლება ვინმემ თქვას, მთავარი ქუჩა როგორ არა გვაქვს, რუსთაველის ქუჩა აბა რა მოხელე ნაჩალნიკიაო. მაგრამ „მთავარი" ხომ რაღაცით უნდა გამოირჩეოდეს სხვებისგან. სწორედ ეს „გამორჩევა" ჰქირდა თიანეთში, ჰქირს ამჟამადაც. როგორც კი ჩამოათავებთ კოხის ფერდობებს და დაბაში შემორგავთ თავს, უცბად გრძნობთ, რომ სული გეხუთება და ამაღლებული განწყობილებაც გეცვლებათ — ვიწრო და დაკლაკნილი „მთავარი ქუჩა" არაეფექტური მეგზურია ასევე ერთობ არაეფექტური დაბის ცენტრისაკენ, რომელსაც რის ვაინაჩრობით განასახიერებს საციგურაოსხელა ჩამონგრეული, ხავსიანკედლებიანი შენობებით გარშემორტყმული მოედანი. მე ასე მწამს — ადამიანმა მეტი თუ არა, ერთი დიდი სიკეთე მაინც უნდა მოიმოქმედოს თავისი ცხოვრების მანძილზე, აი, კუჟანამ რომ დატოვა თიანეთში თუნდაც ისეთი სიკეთე. რიგითმა გლეხმა საკუთარი მონადინებით ულამაზესი პარკი გააშენა ივრის სანაპიროზე. ხალხმა ასეც შეარქვა ამ ადგილს — კუჟანას ბაღიო! დღეს ყველა სანახაობა და ზეიმი ამ პარკში ტარდება თიანეთში. მართლაც და რამხელა ამბავია — თითოეულმა ჩვენგანმა რომ ასეთი მნიშვნელოვანი რამ შევსძინოთ ქვეყანას, რაიონს, სოფელს, შთამომავლობა ქებით მოგვიხსენიებდა. ბუნებრივია, ამ მიმართებით, პირველ რიგში ხელის გამოღება ხელმძღვანელობას გვმართებს. სახელმწო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფო გეგმების შესრულების პარალელურად ყოველი ჩვენგანი უნდა ილვწოდეს ხალხისა და ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი ეგრეთწოდებული „არამწარმოებლური“ უბნების განვითარებისათვის.

ხხვათაშორის, ამ საკითხებზე საუბრისას რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა ყოველთვის სოლიდარობა და დახმარების სურვილი გამოხატეს. ჩვენს მუშაობაში არის ამოცანების ერთი წრე, რომელთა გადაწყვეტაც ადმინისტრირების მეთოდებს არ ემორჩილება და ამიტომაც გეგმიურ საკითხებს მიღმა რჩება ხოლმე. თუ კი ხელმძღვანელობამ მთელი მოწადინებულობით არ იბრძოლა ამ სამუშაოთა სარაიონო ბიუჯეტში ჩასმისათვის და არ შეიწუხა თავი მათი განხორციელებისათვის, ისე არაფერი გამოდის. ამის მაგალითად ეს ჩვენი მოუწყობელი ქუჩები და მოედნები გამოდგება.

კუჟანა ხალხზე ფიქრობდა, მან ყოველგვარი პირადი დაინტერესების გარეშე გააშენა იმოდენა ბაღი, გააშენა ჩემთვის, შენთვის, ყველასთვის....

ასე და ამრიგად, ჩვენც დავძართ როგორც იყო საქმე ადგილიდან. მალე ჩინებული ცენტრალური მოედანი გვექნება თანამედროვე, მასშტაბური, ელეგანტური და ჰაეროვანი, არქიტექტორულად უზადო შენობებით დამშვენებული მოედანი. ჯერჯერობით მოედნის ანსამბლს აკლია ახალგაზრდული კაფე-დარბაზის მეტად ორიგინალური და საინტერესოდ გადაწყვეტილი შენობა, მაგრამ მალე მისთვის ადგილის გამონთავისუფლებასაც შევუდგებით, ძველი სახლის დანგრევის სამუშაოებსაც დავიწყებთ. მართალია, უნივერმაღის ახლახან შერემონტებულ მეტად უფერულ შენობას ჯერჯერობით ვერაფერი მოვუხერხეთ, მაგრამ, ვგონებ, ჩვენგან ესეც საკმარისია, ზოგი რამ მომდევნო თაობებმაც იტვირთონ...

რა თქმა უნდა, ახლა ყველა იმ წვალებაზე ლაპარაკი უხერხულია, რაც ჩვენ გადაგვხდა ამ გზაზე — ვინც ქუჩების რეკონსტრუქციასთან დაკავშირებულ საკითხებში ერკვევა, ის გაიგებს, რა მძიმე და ზლაპრული ლოდი დავძარით ადგილიდან... და ისიც იმ პირობებში, როცა მოსახლეობის კუთვნილი, ახალები, ძველისძველი შენობების შესასყიდი თანხების გაღება არავის არ უნდა. ამაზე სიტყვის ჩამოგდებაც კი უსიამოვნო განწყობილებას იწვევს შესაბამისი ორგანიზაციების ხელმძღვანელებში.

ავტორი:

— ეს რაც შეეხება ცენტრალურ მოედანს...

სერგო გონჯილაშვილი:

— მთავარი ქუჩის რეკონსტრუქციასაც მალე შევუდგებით, უფრო სწორად, შევუდექით კიდეც. ახალმა მდივანმა, იოველ მერლანმა ენერგიულად მოჰკიდა ამ საქმეს ხელი. საერთო მოწადინებულობით, მგონია, რამდენიმე წელიწადში ვაჟას და თანამედროვეობის შესაფერის პროსპექტსაც დავაარსებთ თიანეთში...

ავტორი:

— ამ რამდენიმე წლის წინ ჩვენთან ინტერვიუში გაზიფიკაციის სამმართველოს ყოფილმა მესვეურებმა რიხით განაცხადეს, — თიანეთში 1978 წლისათვის გაზსადენის მშენებლობა დაიწყებაო. სამწუხაროდ, მათი ქადილი ტყუილი გამოდგა. გაზი თიანეთელებისათვის ამჟამადაც ისეთივე უცხო ხილი გახლავთ, როგორც ამ რამდენიმე წლის წინათ. თიანეთში ტექნიკური საწვავის უკმარისობის გამო, კვლავ ნადგურდება ტყეები, იძარცვება ჩვენი გარემომცველი ბუნება, თხელდება მწვანე საფარი. მაგრამ, როგორც იტყვიან ხოლმე — ყველაფერს აქვს დასასრული. ჩვენს გაზიფიკატორებს, საინტერესოა, რა უძევთ გუნებაში ამჟამად, მართლა დაათბუნებენ თიანეთს? — ამ კითხვით მივმართეთ თიანეთის გაზების კანტორის უფროსს პატივცემულ შოთა ჯანგირაშვილს.

— რაიონის ხელმძღვანელობის მრავალგზისი თხოვნის შედეგად გაზიფიცირების საქმე, როგორც იქნა, ადგილიდან დაიძრა. ამასწინათ აქ იყვნენ ამოსულები რესპუბლიკური სამმართველოს წარმომადგენლები, დამპროექტებლები. ადრე თუ ახმეტით უნდოდათ გაზის „გადმოგდება“, ახლა არჩევანი ჟინვალის მიმართულებაზე შეჩერდა. ეს მიმართულება როგორც მანძილის სიმოკლით, ასევე ტრასის ადგილმდებარეობითაც უფრო ხელსაყრელია თიანელებისათვის. ასე რომ, მოკლე ხანში, თიანელთა ბინებშიც აციმციმდება ცისფერი სინათლე, მერმე მართლაც რო შვებით ამოისუნთქავენ საფშავლოს ტყეები, მათი სიმშვიდე კი ათას სიხარულს მოუტანს აქაურ მოსახლეობას, მთელს ჩვენს რესპუბლიკას...

მაშ ასე, დაველოდოთ ამ დღეს!..

ავტორი:

— ბატონო იოველ, კვლავ თიანურ გორგალს მივუბრუნდეთ. მაინც როგორ ფიქრობთ აართვათ პირი ამ საიდუმლო ხვეულას? თქვენმა პარტიულმა და სამეურნეო კოლექტივებმა საით გადადგეს ექსპერიმენტული ნაბიჯი — მაღრიბით თუ მაშრიყით? ბოლოსდაბოლოს, დაესხხეთ თუ არა აბაშელებს გამოცდილებაში?

იოველ მერლანი:

— პირველი ჩვენი გაუბედავი ცდა გახლავთ კარტოფილის, სიმინდისა და ლობიოს ნაკვეთების გაპიროვნება გლეხებზე. ამ რამდენიმე ხნის წინათ, ვიდრე ხვნა-თესვის კამპანია დაიწყებოდა, საგანგებოდ მოვიწვიეთ თიანეთის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მშრომელები და მათ გავაცანით ჩვენი გეგმები და სურვილები. ვთხოვეთ, დაგვხმარებოდნენ ჩანაფიქრის განხორციელებაში. ესე იგი, გაეპიროვნებინათ ნაკვეთები წინდაწინ გარიგების საფუძველზე. მათ სიამოვნებით მიიღეს ჩვენი წინადადება და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამჟამად უვლიან ჩვენს მიერ მიზომილ სავარგულებს. წლის ბოლოსთვის მეურნეობის დირექციას და ჩვენც ყველას საშუალება მოგვეცემა შევაფასოთ ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგიანობა და, საჭიროების შემთხვევაში, მთელი რაიონის მასშტაბით განვაზოგადოთ კიდეც იგი...

განუზომელია მებაღის სიხარული, თავის ნაკვეთში უცხო ნერგს რომ გაახარებს და მოაყვავილებს. ასევე თვითეული ჩვენგანიც თავს ბედნიერად ჩათვლის, თუ კი ძიებანი და მცდელობანი, ბოლოსდაბოლოს, გულგასახარელ ნაყოფს გამოიღებს.

აქ, საფშავლოში, სადაც წლის ყველა დროში „პოეზია მძვინვარებს", და სახიქადულო მგოსანთა სახელები დიდსა და პატარას ყველას პირზე აკერია, სადაც „ვაჟას წყაროებითაა" მოფენილი არემარე და უდიდეს დღესასწაულად ითვლება „ძირზაობა", როგორც ყველა რიგით ჯარისკაცს ძალუძს ოცნება გენერლობაზე, რიგით მოსწავლეს — მგოსნობაზე, ჩვენაც, პარტიული და სამეურნეო ფრონტის მუშაკებს გვამოძრავებს ერთი უმაღლესი მისწრაფება — ვიყოთ საქართველოს ერთგული მებაირახტრენი, მშრომელი ხალხის სატკივართა გულთან მიმტანნი, ჭეშმარიტი მამულიშვილები, პოლიტიკოსები თუ მეურნენი, ჩვენ-ჩვენი საქმის ვაჟა ფშაველები და მირზა გელოვანები.

ახეთი მაღალი სურვილები, ვგონებ, მკრეხელობად არ უნდა ჩაგვეთვალოს...

* * *

ზურგის ქარი ვუსურვოთ თიანელებს თავიანთ აღმავალ ლაშქრობებში...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ნატროშვილი

# ჩვენი დიდი მეგობარი

საბჭოთა ლიტერატურამ, მთელმა ჩვენმა მრავალეროვნულმა სოციალისტურმა კულტურამ მძიმე დანაკლისი განიცადა: მიმდინარე წლის 8 თებერვალს გარდაიცვალა გამოჩენილი საბჭოთა მწერალი და საზოგადო მოღვაწე, საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთი ფუძემდებელი ნიკოლოზ სიმონის-ძე ტიხონოვი.

ჯერ ახლახანს, წლევანდელ საახალწლო მილოცვაში ნ. ს. ტიხონოვი სწერდა თავის უახლოეს მეგობარს, ქართველ მწერალს ალექსანდრე ქუთათელს:

„მხოლოდ ამ რამდენიმე დღის წინ დავბრუნდი შინ საავადმყოფოდან, სადაც ორ კვირაზე მეტ ხანს ვიწექი. შენი იუბილეს აღნიშვნაც კი ვერ შევძელი. გულმა მიმუხთლა. ძალიან ცუდად ვიყავი. მიუხედავად ამისა, მე მაინც მჯერა, რომ ჩვენ კიდევ ვიცოცხლებთ და არა ერთხელ მივესალმებით ერთმანეთს. ოთხმოცი წელია, გულმა ჯარისკაცივით ერთგულად გვემსახურა, ახლა კი ჭირვეულობს, როგორც დიდი ბრძოლების მონაწილე ინვალიდი. გულითადად გეხვევი, გკოცნი, შენი ნიკოლოზ ტიხონოვი“.

და მართლაც, ჯარისკაცის ერთგულებით იდგა დიდი რუსი პოეტის გული სამშობლოს სადარაჯოზე.

ჭეშმარიტად ვაჟკაცური ბიოგრაფია აქვს ტიხონოვს, როგორც პოეტსაც და როგორც მოქალაქესაც! სამოქალაქო ომის მრისხანე წლებში მას წითელარმიელის მაზარა აცვია და პეტროგრადის მისადგომებს იცავს, თეთრფინელებთან ომის დროს — ის კარელიის ყელზეა და ჯარისკაცებთან ერთად იზიარებს საფრონტო ცხოვრების ყველა სიძნელესა და განსაცდელს, ხოლო სამამულო ომის დროს ის არ მოშორებია თავის საყვარელ ლენინგრადს და მისი ლექსები, მისი მოთხრობები, — ეს არის უბრწყინვალესი ფურცლები საბჭოთა ხალხის ბრძოლისა და გამარჯვების მატიანისა.

ნ. ტიხონოვის შესანიშნავ პოეტურ ქმნილებებში ისმის ხმა ჩვენი მშფოთვარე და დაუცხრომელი საუკუნისა, მათში ისტორიის ძლევამოსილი ნაბიჯების ხმა ისმის — ეს ითქმის როგორც მისი ადრინდელი წიგნების — „ორდასა“ და „ბრაგას“ შესახებ, სადაც განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდნენ „პერეკოპი“, „დეზერტირი“, „ბალადა ლურსმნებზე“, „სიმღერა შვებულებაში წასულ ჯარისკაცზე“, ისე მომდევნო ნაწარმოებებზე, რომლებშიაც პოეტი უმღერის სოციალისტურ სამშობლოს. ვის დაავიწყდება მისი „ლაპარაკობს ომი“, დაწერილი როგორც ინტერმედია სერვანტესის „ნუმანსიასათვის“, მისი „კიროვი ჩვენთან არის“, სადაც, როგორც ფერწერულ ტილოზე, ასახულია ომის წლების ლენინგრადი; ვის დაავიწყდება მისი „სიტყვა ოცდარვა გვარდიელზე“ — უკვდავი ჰიმნი პანფილოველთა გმირობისადმი, ვის დაავიწყდება მისი „სადღეგრძელო“, რომელშიაც გამოთქმულია პოეტის უღრმესი სიყვარული სამშობლოსადმი. ამ ლექსში ვკითხულობთ:

ჩვენ მტკიცენი ვართ... არც დავიღლებით,
და ჩვენთვის ძილიც ჯერ ადრე არის,
აბა, აავსეთ ისევ ჭიქები,
ვსთქვათ სადღეგრძელო სამშობლო მხარის!..
დიდება იმათ, ვინც უბედობას
გადაუკეტა აქ გზები მარად,
დიდება ხალხთა დიდ მეგობრობას,
ჩვენ გაბრწყინებულ სოფელს და ქალაქს!
ეს გაუმარჯოს იმ ნორჩ ქალაქებს,
უდაბნოში რომ აღიმართება,
მოსკოვის კოშკებს, ძველ ნაამაგევს,
თბილისის ახალ კედელთა წყებას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დე, სიხარულმა აანთოს გული,
იმ სიხარულმა ჩვენ რომ გვაბრწყინებს,
ლენინგრადზეა აწ სიტყვა თქმული,
დიდება ნევის ლამაზ ნაპირებს.

ეს გაუმარჯოს პოლარულ კარავს,
საბჭოთა ქვეყნის ცასა და მიწას,
სამხრეთის ზღვების ღელვას და ძალას,
ღამითაც რომ ჰქუხს, იმ ჰალადიდსაც;
ყველა ქალაქსა და ყველა სოფელს,
რომ ავაშენეთ ჩვენი ხელებით,
თურქმენულ ვარდებს, მიწას მათ მშობელს,
მე დღეს აქედან ვედლეგრძელები...

ნიკოლოზ ტიხონოვს სამართლიანად ეძახდნენ მშვიდობის მსოფლიო არმიის დაუცხრომელ ჯარისკაცს. იგი ეკუთვნის კაცობრიობის იმ საუკეთესო ადამიანების რიცხვს, რომელთაც მთელი თავიანთი სულის სიძლიერე, მთელი ბუმბერაზული ენერგია მოახმარეს საქვეყნო მშვიდობის განმტკიცების საქმეს. ის, როგორც უბრწყინვალესი პოეტი, როგორც ჰუმანისტი და მგზნებარე პატრიოტი საბჭოთა სამშობლოსი, — მუდამ მხნედ იდგა თავის სახელოვან პოსტზე.

მშვიდობისათვის ბრძოლის ფრონტი — ვრცელი და უზარმაზარია; ის გადის მსოფლიოს ყველა ქალაქსა და სოფელზე... ამიტომაც არის, რომ მშვიდობის დაუცხრომელი ჯარისკაცი მუდამ „ლაშქრობაში“ იყო, მას დაუსრულებლად უხდებოდა მოგზაურობა მსოფლიოს ერთი მატერიკიდან მეორეზე, მას ვხედავდით ყველგან, ყველა სამშვიდობო კონგრესის ტრიბუნაზე, ყველა ქალაქში, სადაც ადამიანები ხმას იმაღლებენ ომისა და იმპერიალიზმის წინაამდეგ. მას ვხედავდით ხან არაბეთში, ხან მცხუნვარე ინდონეზიაში, ხან ევროპის ახმაურებულ ქალაქებში... ყველგან გაისმოდა მისი მგზნებარე ხმა, ცეცხლოვანი მოწოდება, მიმართული ყოველივე იმის დასაცავად, რაც წმიდათაწმიდა გააჩნია კაცობრიობას.

ნიკოლოზ ტიხონოვს თავის „ლენინგრადულ მოთხრობებში“ აღწერილი აქვს, თუ როგორ ესტუმრა იგი ომის წლებში, ალყაშემორტყმულ ლენინგრადში, ვასილიევის კუნძულზე ნიკოლოზ კოროლიოვს, ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკს, აღმოსავლური ლიტერატურის სპეციალისტს, რომელსაც ომმა წყნარი კაბინეტი სანგრებზე გააცვლევინა და ლეიტენანტის მაზარა ჩააცვა.

ლენინგრადი საშინელ განსაცდელში იყო, ჰიტლერის დივიზიები გაცოფებით აწყდებოდნენ მის კედლებს, ქვეყანას მოწყვეტილი ქალაქი შიმშილობდა, სიცივითითოშებოდა, მაგრამ ქედს არ იხრიდა. მამაცურად უმკლავდებოდა მტრის შემოტევებს, გააფთრებულ საჰაერო და საარტილერიო თავდასხმებს.

დაჭრილი იყო თვითონ კოროლიოვისაც, თავი ბინტით ჰქონდა შეხვეული... ციოდა მის ოთახშიც, და მასპინძელი ძველ ჟურნალებსა ჰყრიდა ღუმელში, რათა ჩაი აედუღებინა.

სწორედ იმ დღეს ერმიტაჟის გაყინულ დარბაზში აღნიშნეს ლენინგრადელებმა ნიზამის იუბილე. და აი ახლა, საღამოთი, სტუმარიცა და მასპინძელიც ისევე დიდ განჯელ პოეტზე საუბრობდნენ.

„— ნიზამი ცხოვრობდა საშინელებათა და სისხლის წვიმების საუკუნეში, — წარმოსთქვა კოროლიოვმა, დაჩუმდა და შემდეგ გამკრთალებული ღიმილით დაუმატა, — ისე, როგორც ჩვენ... მაგრამ მას არასოდეს ეჭვი არ შეჰპარვია თავისი ხალხის ძალაში, მის მკაცრ სიმართლეში...

— ისე როგორც ჩვენ, — ვუთხარი მე.

— ნიზამიმ იცოდა, — განაგრძობდა კოროლიოვი, — რომ არა მრისხანე ჯალათს, არამედ კეთილ ადამიანს მიჰყავს წინ ქვეყანა. გაგიგონიათ თქვენ რამე სასანიდთა მეფე ანუშირვანზე?

მე არაფერი არ შემეძლო მეთქვა ამ ადამიანის შესახებ.

— ჰოდა, აი სწორედ მასზე მოგვითხრობს ნიზამი თავის „საიდუმლოებათა საგანძურში“, — განაგრძობდა კოროლიოვი, — ერთხელ ანუშირვანი, კაცი უწყალო და მოხარი ქვეყანათა, თურმე ისე გაიტაცა ნადირობამ, რომ ჩამოსცილდა თავის ამალას. მას მარტო ერთი ვეზირიღა ახლდა თან. მეფე და ვეზირი უეცრად დანგრეულ სოფელს წააწყდნენ... ირგვლივ ყველაფერი გაეპარტახებინათ, ჩანდა მარტო ჩამონგრეული სახლები და კაცის ჭაჭანებაც კი არსად იყო. ერთ დანგრეულ კედელზე მეფემ და ვეზირმა ორი ბუ დაინახეს, რაღაცაზე რომ ესაუბრებოდნენ ერთიმეორეს. ბუთა ყვირილმა, ავბედითად რომ ისმოდა ამ ნანგრევებში, შეაკრთო სასანიდთა მეფე. „ეს ბუები რას ამბობენო?“ — ჰკითხა მან ვეზირს. ვეზირს ესმოდა ფრინველთა ენა. მან სთქვა, რომ ერთი ბუ თავის ქალიშვილს ათხოვებს მეორეზე და საფასურად თხოულობს ამ დანგრეულ სოფელს და კიდევ ორ სოფელს ამავე მიდამოებში. მეორე ბუ უპასუხებს, რომ სიამოვნებით მისცემს ამ სოფლებს, რადგანაც ვიდრე ანუშირვანი ცოცხალია, ხალხი მონობასა და სილატაკეში იქნება და ამ სოფელს ასობით ახლად დანგრეულ სოფლებს დავუმატებო.

ასე გადაუთარგმნა ვეზირმა.

ნიზამმა მოგვითხრო იმ წყვდიადზე, იმ დანაცრებულ ნანგრევებზე, და მწარედ წამოიძახა: „დაჩუმდი, ნიზამი! შეწყვიტე თხრობა — გული სისხლშია განბანილი“.

კოროლიოვი დაჩუმდა, შემდეგ გაჰხედა ნევას. მას თხელი ნისლი გადაჰფარებოდა. ნისლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში ჩანდნენ გემების ანძები და მილები. მან სთქვა:

—ახალი ანუშირვანი უფრო საშიშია. მას უნდა, რომ ნანგრევებად აქციოს მთელი რუსეთი, მთელი მსოფლიო. რატომ არა აქვს ჩვენს ხელოვნებას იმდენი ძალა, რომ აღწეროს ეს ურჩხული ისე, როგორც აღწერდა ნიზამი თავისი დროის ურჩხულებს? თქვენ ლაპარაკობდით დღევანდელ ეპოსზე, მაგრამ ის ჯერ არა ჩანს, ეს კი ძალზე სამწუხაროა...

— მაგრამ ის გამოჩნდება, — ვუთხარი მე, ქვეყანა კვლავ დიდხანს წყევლა-კრულვით მოიგონებს ამ ჯალათს ჯალათთა შორის, ამ ახალ ანუშირვანს... და შემდეგ ისიც დაავიწყდებათ, როგორც ჩვენ დაგვავიწყდა ეს სასანიდთა მეფე.

— მე თქვენ წაგიკითხავთ ლექსს ირანულ ენაზე. ამ ენაზე წერდა ნიზამი! — მითხრა კოროლიოვმა.

— წაიკითხეთ, მაგრამ მე ვერაფერს ვერ გავიგებ... — ვუპასუხე მე.

— მე თქვენ გადაგითარგმნით"...

და აი კოროლიოვი თავის სახელოვან სტუმარს, პოეტ ტიხონოვს უკითხავს ლექსს, რომელშიაც მას აუწერია ბრძოლა ქალაქ გატჩინასთან.

„— მე ავწერე ბრძოლა გატჩინასთან, სადაც დამჭრეს... გატჩინა იწვოდა ჩემს თვალწინ, — წარმოსთქვა კოროლიოვმა.

— თქვენ ასე ძლიერ გიყვარდათ ეს ქალაქი? — ვკითხე მე, როცა მისი ლექსი მოვისმინე.

— მე ამ ქალაქში დავიბადე, — მიპასუხა მან, — თქვენ მეტყვით, რომ არის ქვეყნად უფრო ლამაზი ქალაქებიც. მაგრამ მე თქვენ გიპასუხებთ ნიზამის სიტყვებით. ის ამბობდა, რომ პოეტის ვაჟკაცობა — სიყვარულშიაო. ამ სიყვარულს მან მიუძღვნა თავისი უზარმაზარი პოემა, ლამაზი როგორც სიცოცხლე ლეილისა და მეჯნუნისა. სტრიქონები ამ პოემისაო, — ამბობდა ის, — წავლენ ყველა ქვეყანაში, სადაც არიან ადამიანები, ვისაც სიყვარული სწამს. ასე მოვიდნენ ეს სტრიქონები ჩვენს ქვეყანაშიც. როგორი იყო ლეილი? ნუთუ ნამდვილად ის ასე ლამაზი იყო? დიდმა საადიმ შესანიშნავად უპასუხა ამაზე. მან დაწერა: თურმე მეფის ყურამდე მიაღწია ამბავმა, რა გაგიჟებით უყვარდა მეჯნუნს ვიღაც ქალიშვილი, სახელად ლეილი. და განიზრახა მეფემ შეეხედა ლეილის სილამაზისათვის; მოუყვანეს ქალიშვილი, შეხედა მას მეფემ და არარაობად მოეჩვენა, მისი ჰარამხანის უკანასკნელი მხევალი აჯობებდა მას სილამაზით. გაიგო ეს ამბავი მეჯნუნმა და სთქვა: „ო, მეფეო, ლეილის სილამაზეს მხოლოდ მაშინ დაინახავ, როცა მას მეჯნუნის თვალებით შეხედავ".

და შემდეგ კოროლიოვმა დასძინა:

— მეც ვიბრძოდი ჩემი სიყვარულისათვის... და მე კვლავ ვიძიებ შურს მისთვის.

მან გაიხედა ფანჯარაში, ცაზე დაბლა მიცურავდნენ მძიმე ღრუბლები, ჩანდა უზარმაზარი ისაკის ტაძარი, შავად აღმართულიყვნენ გემების ანძები და მილები.

მე, ამ ჩაბნელებულ ოთახში გავიგე იმ წამს, რომ ჩვენ ყველანი შეპყრობილნი ვყევართ დიდ სიყვარულს, რომლის დასაცავად არ დავინანებთ არაფერს, თვით სიცოცხლესაც. ეს გაგვახსენა ჩვენ დღეს შორიდან მოსულმა სტუმარმა — მოხუცმა ნიზამიმ. ის მოვიდა ჩვენს ქალაქში, როცა აქ ბრძოლის ქარცეცხლი ენთო, და ჩვენ შევხვდით მას როგორც მეგობარს, მოკავშირესა და თანამებრძოლს.

და ჩვენ დავლიეთ მისი შესანდობარი, როგორც სვამენ მიცვალებულთათვის აღმოსავლეთში; ჩვენ დავლიეთ ის მცირეოდენი არაყი, რომელიც სადღაც ეშოვნა კოროლიოვს, ჩვენ დავლიეთ ნიზამის სადღეგრძელო, მეჯნუნის უკვდავი თვალების სადღეგრძელო".

ამ უბრალო ამბავში ისმის არა მარტო ხუნთქვა იმ დღეების ლენინგრადისა, აქ ჩანს თვითონ ტიხონოვიც — პოეტი სიცოცხლისა და სილამაზისა, ხალხთა მშვიდობისა და თავისუფლებისა, რომელიც მზად არის ამ სიყვარულისათვის საკუთარი სიცოცხლეც გასწიროს. ალყაშემორტყმულ, ჩაბნელებულ ქალაქში, გაყინულ ოთახში ის იხსენებს მეჯნუნის სიყვარულით ანთებულ უკვდავ თვალებს და მას თითქოს აღარა სცივა, მკითხველის გულიც გამთბარია იმ დიდი სიყვარულით, რომლითაც უყვარდა მეჯნუნს თავისი ლეილი, ნიკოლოზ კოროლიოვს — თავისი პატარა გატჩინა, როგორც ყოველ კაცს უყვარს თავისი სატრფო, თავისი სოფელი და ქალაქი, სადაც ის დაიბადა და სადაც მას მამა-პაპათა საფლავები, იმათი კუბოს ფიცარი ეგულება.

ცნობილია, რომ ამ ქვეყნად სიყვარულის ლალას მარტოოდენ სიყვარულით იხდიან. ნ. ს. ტიხონოვს განუზომელი სიყვარულით უყვარდა საქართველო და საქართველოშიც, დიდსა და პატარასაც ასეთივე სიყვარულით უყვარს ეს გამოჩენილი რუსი პოეტი. ტიხონოვი რაღაც უნაზესი გატაცებით არის შეყვარებული ჩვენს ალაზანსა და საგურამოზე, ჩვენს თბილისზე და წინანდალზე, ჩვენს ჭალადიდზე და ბათუმზე. ეს სახელები მის ლექსებში წარმოიქმნებიან რაღაც გულის თრთოლვით, შინაგანი მღელვარებით. ამიტომ ამბობს ის თავის ლექსში „გომბორი": „აქ ყველაფერი ჩემთვის ნაცნობია, თითქოს აქ დავიბადეო". მისთვის ალაზანი მარტო მდინარე კი არ არის, გულის ნაწილია, ჩაუქრობელი სიყვარულია, „ჭადარა, როგორც ზღაპარი და მუდამ ნორჩი და ახალი, როგორც სიმღერა". დაუვიწყარია მისი „ცისარტყელა საგურამოში", „ღამის ზეიმი ალავერდში", მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სი „მონადირე“, მისი „შოფერი“, დაწერილი ძლიერი და წარუშლელი ფერადებით.

მთელი ეს ლექსები გამსჭვალულია ხალხთა მეგობრობის უკვდავი გრძნობით.

ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვის ნიკოლოზ ტიხონოვს ქართული მწერლობის წინაშე. მან, როგორც მთარგმნელმა, გააცნო რუს მკითხველს ქართული საბჭოთა პოეზიის საუკეთესო ნიმუშები. ის დაუღალავად, მთელი სიყვარულით ზრუნავს ქართული კულტურის წინსვლის და აყვავებისათვის. ის იყო უახლოესი, განუყრელი მეგობარი ჩვენი პოეტებისა და პროზაიკოსებისა. აი რას ამბობდა ნ. ტიხონოვი ქართული საბჭოთა პოეზიის შესახებ:

„ქართული საბჭოთა ლიტერატურა, მთელი საბჭოთა კავშირის ლიტერატურასთან ერთად, ვითარდება ერთი მთლიანი პროცესის, მთლიანი მდინარების სახით. ქართულ მწერლობას, კერძოდ პოეზიას დიდი ძალა აქვს. მე თვითონ პოეტი ვარ და შემიძლია გითხრათ, რომ ქართული პოეზია თავის გავლენას ახდენდა რუსულ საბჭოთა პოეზიაზე, შესაძლებელია სხვა ერის პოეზიაზეც. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ჩვენ ერთიმეორისაგან ვსწავლობთ და ერთი საერთო ცხოვრებით ვცხოვრობთ“.

ნ. ტიხონოვს აქვს შესანიშნავი მოთხრობა გამოჩენილ ქართველ მეცნიერზე — გიორგი წერეთელზე, მის მოგზაურობაზე ახლო აღმოსავლეთში; ამ მოთხრობას ეწოდება „ალ-ყადრის ღამე“.

ძნელია სიტყვით გამოიხატოს კაცთა ის მომხიბვლელობა, რომელიც აქვს ამ ნაწარმოებს — აქ მთელი ძალით გრძნობ არაბული აღმოსავლეთის დიდ სევდასა და დიდ სიხარულს, აღმოსავლეთის ისეთ განწყობას, ისეთ ჩახედვას მის სიღრმეებში, ისეთ ალგზნებულ შთაგონებას, რომ გეჩვენებათ თითქოს ამის დამწერმა — გამოჩენილმა რუსმა პოეტმა ნიკოლოზ ტიხონოვმა საკუთარი თვალით ნახა ალ-ყადრის ღამე, გრძელი საუკუნეების მანძილზე მირაჟივით, ოცნებასავით, სიზმარეულ მოჩვენებასავით, რომ ციმციმებდა აღმოსავლეთის მკვიდრის თვალწინ...

ალ-ყადრის ღამე, ძველი არაბული გადმოცემით ის ერთადერთი ღამეა, როცა იხსნება ცა და კაცს აუსრულდება ის, რაც ოდესმე ყველაზე ძლიერ უნატრია, ალ-ყადრის ცისფერი ღამე ამ მოთხრობაში აღებულია როგორც სიმბოლო არაბული აღმოსავლეთის გაღვიძებისა, იმპერიალიზმის ბორკილების მსხვრევისა.

ბეირუთში საბჭოთა მეცნიერი კითხულობს ლექციას არაბულ ენაზე; ეს მეცნიერი გიორგი წერეთელია. დარბაზში, მსმენელთა შორის ზის ნიკოლოზ ტიხონოვი, ისინი ერთ დელეგაციაში შედიან და ბეირუთში ერთად ჩამოვიდნენ. და აი ტიხონოვი იწყებს თვით ლექტორის და აუდიტორიის აღწერას. შემდეგ მოთხრობილია ამბავი იმ ბრძოლებზე, რაც არაბულმა აღმოსავლეთმა გადაიხადა თავისუფლების მოპოვებისათვის, იმპერიალიზმის ბორკილების დასამსხვრევად.

ნ. ტიხონოვის მეორე მოთხრობის — „წყნეთის სალამოების“ ჟანრობრივი თავისებურება ის არის, რომ აქ, ისევე როგორც „ალ-ყადრის ლამეში“ სიუჟეტი აგებულია მკაცრად განსაზღვრულ დოკუმენტურ მასალაზე, უფრო სწორად — მას საფუძვლად პოეტის პირადი მოგონებანი უდევს და აქ გამოგონილი არაფერია. ამრიგად, ავტორის ფანტაზიისმიერი აქ არაფერია, მაგრამ აქ ისე ლაღად გაუშლია ფრთა მის ფანტაზიას, — და ეს პარადოქსი არ არის, — ისეთ სიღრმეებსა სწვდება იგი, რომ მას თამამად შეიძლება ფილოსოფიური მოთხრობა ეწოდოს. ეს არის მოთხრობა წუთისოფელზე, სიკვდილ-სიცოცხლეზე, იდუმალ ცისფერ შუქზე, ამ ქვეყნიდან შეუცნობელ მოგზაურობაში რომ აცილებს კეთილ ადამიანს.

ძალზე უბრალოდ იწყება ეს მოთხრობა, ავტორი იგონებს იმ ზაფხულს, რომელიც მან წყნეთში, გიორგი ლეონიძის აგარაკზე გაატარა.

ეს ის ზაფხული იყო, როცა დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. ნიკოლოზ ტიხონოვისათვის დაუვიწყარი გამხდარა წყნეთის საღამოები, განმარტოება და სიჩუმე, რაც ესოდენ აუცილებელია შემოქმედებითი მუშაობისათვის. იგი საღამოობით ჭდებოდა ხოლმე მაღალი კაკლის ხეების ჩრდილში და გაჰყურებდა მათი სახლის მახლობლად მდებარე მხიარულ მწვანეში ჩაფლულ სასაფლაოს, სადაც ჩიტები დაფრთხიალებდნენ ბილიკებზე და საფლავის ჯვრებზე

ერთხელ, სოფლიდან სასაფლაოსაკენ მიმავალ გზაზე რამდენიმე კაცი გამოჩნდა. მათ მუსიკალური საკრავები ეჭირათ ხელში და მძიმე, დინჯი ნაბიჯებით მოდიოდნენ. ისინი ავიდნენ სასაფლაოზე და ახლად გათხრილ საფლავებს მიაშურეს, მოძებნეს რომელიღაც საფლავი, საკრავები მწვანე მოლზე დააწყვეს და სახელდახელოდ გაკრული ბოხჩებიდან პური, მწვანილი, ხორცი, ვაშლი და საზამთრო ამოალაგეს. ერთ მათგანს ღვინო წამოეღო ტიკით. მან საფლავის თავზე დატკეპნილ მიწაზე ჩამოამწკრივა ჭიქები და ღვინით აავსო.

პირველი ჭიქა საფლავს აპკურეს, დანარჩენები ხელში აიღეს და სულმოუთქმელად დასცალეს. მერე საფლავის ოდნავ მოშორებით ჩამოსხდნენ და საკრავები აახმიანეს.

ამ კონცერტის ერთადერთი მსმენელი და მაყურებელი ნიკოლოზ ტიხონოვი იყო. მემუსიკეებმა ეს არ იცოდნენ. ისინი თავდავიწყებით უკრავდნენ, როგორც ხალხით გაჭედილ დუქანში გაჩაღებული ქეიფის დროს.

ისინი შეუსვენებლივ უკრავდნენ ერთიმეორეზე მშვენიერ სიმღერებს და მთელი ბაღი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაჟღენთილი იყო ამ ნაზი, ხალხური პოეზიის ხმებით, თითქოსდა ეს ხმები მოდიოდა სასაფლაოს ხეებიდან, ბალახიდან, შინდის ბუჩქებიდან, ასე უბრალო, ბუნებრივი და გულში ჩამწვდომი.

ისეთი ძალით ხაროზდა სიმღერა, რომ იფიქრებდი, სადაა საკრავები დაილეწებიან ამდენი სიხარულისაგან და მათ მხიარულ ძახილზე საფლავის ქვები აიხდებიან, ჯადოქრული ჰანგები გარდასულ დროთა მოცეკვავეებს გაალვიძებენ და ისინიც მაღლა ამოვლენო.

მერე უცებ სიმღერას გლოვის ელფერი ეძლეოდა, ცრემლი სწვავდა თვალებს და სულში რაღაც დუღდა, გაუგებარი და ელდანარევი, მწარე და ნაღვლიანი.

მერე ისევ სხვა სიმღერა მიცურავდა სასაფლაოზე და დიდი, თეთრი ფრინველივით ნელა აქნევდა გრძელ ფრთებს. ეს საოცარი კონცერტი, რომელსაც ტიხონოვის გარდა, ბებერი კაკლის ხეები, ხავსიანი საფლავის ქვები, ბუჩქები და ბალახები უსმენდნენ, კიდევ დიდხანს გრძელდებოდა, მაგრამ მცირეოდენი პაუზებით.

მემუსიკეები ჩერდებოდნენ, სვამდნენ ღვინოს, აქცევდნენ საფლავზე, საჭმელს შეექცეოდნენ და კვლავ უბრუნდებოდნენ დაკვრას. ბინდი ეფინებოდა გარემოს, ისინი კიდევ უკრავდნენ და დიდხანს ისმოდა დოლის ბაგა-ბუგი, ზურნის ზუზუნი და თარის წკრიალი.

ბოლოს წამოდგნენ მემუსიკეები, უკანასკნელი ჭიქა დასცალეს და წავიდნენ. საფლავზე საზამთროს ქერქები დარჩა, პურის ნამცეცები და წითელი ღვინის წვეთები, რომელიც ხარბად შეიწოვა იმ მიწამ.

იმ საღამოს ტიხონოვი და ლეონიძე ერთად სეირნობდნენ და ლაპარაკი ხალხურ ადათ-წესებზე ჩამოვარდა. ტიხონოვი მოუყვა მეგობარ პოეტს, თუ როგორ უკრავდნენ მემუსიკეები სასაფლაოზე თავიანთივე თავის გასართობად, მაგრამ გაუგებარი იყო, რატომ უკრავდნენ სასაფლაოზე.

— ისინი თავიანთ თავისთვის არ უკრავდნენ, უპასუხა ლეონიძემ, — არა, ცხოვრობდა იქ, ქვემოთ, სოფელში ერთი მარტოხელა კაცი, ის ყოველთვის მიდიოდა დუქანში, სადაც ეს მემუსიკეები უკრავდნენ, ისმენდა მათგან თავის საყვარელ სიმღერებს, მათთან ერთად მხიარულობდა, მათაც ჰპატიჟებდა, ფულს აძლევდა, ქეიფობდა, აქეიფებდა. ბოლოს მოკვდა. დამარხეს, ნათესავი კი არავინ არა ჰყავს. მემუსიკეებმა თქვეს: კარგი კაცი იყო, სიმღერები უყვარდა, მხიარულება უყვარდა, ჩვენც ვუყვარდით. ახლა კი მოწყენილია, მარტოა. არავინ არ მიდის მასთან. მოდი ჩვენ წავიდეთ ხოლმე, როგორც ნათესავები, მას რომ უყვარდა, ის სიმღერები დავუკრათ, გაეხარდება. მისი სადღეგრძელო დავლიოთ. იტყვის, აი როდი დამივიწყეს კეთილმა ადამიანებმა, მოვიდნენ, დალიეს, ჩემთან იქეიფეს, მადლობელი იქნება. ჰოდა, ასე დადიან საპანაშვიდო დღეებში, უკრავენ და მის სადღეგრძელოს სვამენ. ეს ქართული წესია, ასეა მიღებული ჩვენში, მართლაც კარგი წესია...

— კარგია, — უპასუხა ტიხონოვმა, — მარტო ქართულად კი არა, ეს რუსულადაც კარგია. ჩვენთანაც იცოდნენ წინათ საფლავზე სახმელ-საჭმელის მიტანა, მხოლოდ მიცვალებულის სადღეგრძელოს არა სვამდნენ, აკრძალული იყო. საიქიოსი ეშინოდათ, ეშმაკმა იცის, იქნებ მართლა არისო. რომელი გზა მიდის იქით, ეს კი არავინ იცის.

ამ სიტყვებზე ლეონიძემ გაიცინა, ხოლო როცა ის თავისი გოლიათური სიცილით იცინის, მთელი მისი ბრგე ტანი ზანზარებს და სიცილის ხმა შორს ისმის.

— აი, — თქვა მან და ხელი ცისკენ გაიშვირა, — აი გზა იმა ქვეყანაში. შეხედე...

ცაზე, დრუბლების ხეობაში მრგვალი შესასვლელი ჩანდა, თითქოსდა მომწყვდეული სხვადასხვა ფერის კლდეებით. ეს მართლაც ჰგავდა ზეცის საიდუმლოებებში შესავალ კარს. ცისფერი ბინდი გროვდებოდა ამ შესასვლელთან და მხოლოდ ეს მრგვალი კარი ციმციმებდა იდუმალი ცისფერი შუქით, თითქოს შეუცნობელ მოგზაურობაში იწვევდა ადამიანს.

— ამას ხალხში მკვდრის მზეს ეძახიან, — თქვა ლეონიძემ, — მზის უკანასკნელი სხივი აღებს ცის სამეფოს კარებს და მიცვალებულთა სულები ამ კარებში შედიან.

საოცარი სიმშვიდე სუფევდა ცაზე და მიწაზეც.

ისინი დაბრუნდნენ სახლში. ტიხონოვი იმ დღეს ნახულისა და მოსმენილის შთაბეჭდილებაში იყო კვლავ. აგონდებოდა მემუსიკეები, რომლებიც სასაფლაოზე უკრავდნენ გარდაცვალებული მეგობრის საყვარელ სიმღერებს, „მკვდრის მზე“ და სოფლელი ფოსტალიონის მოტანილი ამბავი, რომ სადღაც, შორს, ევროპაში ომი დაიწყო, რომ ბომბავენ ვარშავას, პარიზს, ლონდონს და ყველანი ომობენ, მაგრამ ვინ ვისთან ომობს, უბირმა ფოსტალიონმა ეს აღარ იცოდა. არ უჯერებდნენ იმ ფოსტალიონს, ის კი ირწმუნებოდა — გაზეთებში წავიკითხეო. და აგონდება ტიხონოვს, როგორ დასცინოდნენ სოფლელები ფოსტალიონს.

ეს იყო მთელი იმ დღის შთაბეჭდილებანი.

ახლა კი ლეონიძემ პატეფონი ჩართო. ოთახში ხან მოდური სიმღერა ისმოდა, ხანაც სევდიანი სიტყვები:

„წავალთ შორს, შორს ამ ცოდვილ მიწიდან“.

და უცებ ტიხონოვმა ჰკითხა:

— გოგლა, აქ სადმე ახლოს ტელეფონი არ არის?

— არა, ტელეფონი სოფლის ფოსტაშია. რათ გინდა ამ ღამეს ტელეფონი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, მე ისე ვიკითხე. შენ როგორ ელაპარაკები ხოლმე ქალაქს?

— უბრალოდ. ჩავდივარ სოფლის ფოსტაში და ვრეკავ.

და ცოტა ხნის შემდეგ ისევ:

— გოგლა, მაინც რა წაიკითხა მან?

— ვინ?

— ფოსტალიონმა!

— მან ალბათ წაიკითხა რომელიმე ფანტასტიკური რომანი მომავალ ომზე.

— იქნებ მაინც დავრეკოთ და მანქანა გამოვიძახოთ ხვალ დილით, გოგლა!

— შენ რამე საქმე გაქვს ქალაქში?

— არა, არაფერი. მაგრამ მან იქნებ მართლა წაიკითხა ის, რასაც ამბობდა.

ორი პოეტის წინათგრძნობა, თითქოსდა უშუალო გაგრძელება იყო იმ დღევანდელი საღამოს ნალაპარაკევისა. თითქოსდა, ის მკვდრის მზე უკვე მოახლოებული იყო მსოფლიოს თავზე და ფოსტალიონის გაურკვეველი ნათქვამიც ადასტურებდა მათ ფიქრებს, ამთავრებდა ცოცხალი რეალური სურათით სასაფლაოზე გამართულ არაჩვეულებრივ კონცერტს და მისტიკურ გზას საიქიოში. თითქოსდა, მართლაც მოსალოდნელი იყო ყოველივე იმის შემდეგ, რაც მოხდა იმ საღამოს, ულმობელი მკვდრის მზე ამობრწყინებულიყო ჯერ კიდევ ულრუბლო ცაზე.

მეორე დილით ისინი თბილისში წავიდნენ. გზაში შოფერთან ერთად საუბრობდნენ უკანასკნელ ფეხბურთის მატჩზე, ამინდზე, ყურძენზე, მცხეთაზე, მოკლედ ყველაფერზე, რაზედაც კი შეიძლებოდა ლაპარაკი, არავითარი ფოსტალიონი არ ჩანდა მათს საუბარში, მაგრამ ის, სადღაც უფრო ღრმად, ქვეცნობიერებაში მიმალულიყო.

ქალაქის ქუჩები ჩვეულებრივად სავსე იყო ხალხით. მაღაზიები გაღებული იყო, დასრიალებდნენ ავტომანქანები, ავტობუსები, წკრიალებდა ტრამვაის ზარი.

ისინი ლიტერატურულ მუზეუმში მივიდნენ, ხარბად გადაიკითხეს უკანასკნელ დღეების გაზეთები და დარწმუნდნენ, რომ მართალი იყო სოფლელი ფოსტალიონი. უკვე შვიდი დღის განმავლობაში ბრიალებდა ომის ხანძარი ევროპაში. იწვოდა ვარშავა, გერმანული ტანკები გარდიგარდმო სერავდნენ და სთელავდნენ მთავრობის მიერ უპატრონოდ მიტოვებულ პოლონეთს. ლონდონი და პარიზი ჩაებნენ ომში, რომელსაც მეორე მსოფლიო ომი ეწოდა.

მკვდრის მზე იდგა მსოფლიოს თავზე.

ტიხონოვი იმავე დღეს ავიდა მთაწმინდაზე და გადაჰხედა თბილისს. სექტემბრის მზის შუქი ანათებდა დიდებისა და ხელოვნების, შრომისა და მშვიდობის ძველ ქართულ ქალაქს. ყოველი ქუჩა, სახლი და ბაღი ამ ქალაქისა დაკავშირებული იყო ტკბილ მოგონებებთან, კარგ დღეებთან, კეთილ ადამიანებთან. ძველი წარმართის მსგავსად ტიხონოვმა ლოცვა დაიწყო — ცას შეევედრა, რომ ომი არ შეხებოდა ამ ქალაქის სილამაზეს, არ გადაექცია იგი ნანგრევებად.

ამის შემდეგ გავიდა ხანი და ჰიტლერული გერმანია თავს დაესხა ჩვენს სამშობლოს. დაიწყო საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი.

„წყნეთის საღამოები“ პირველიდან უკანასკნელ სტრიქონამდე განმსჭვალულია უღრესი სიყვარულით ქართველი ხალხისადმი.

ქართველი ხალხი მუდამ ღრმა მადლობის გრძნობით მოიხსენებს ნიკოლოზ ტიხონოვის სახელს, მუდამ დაუვიწყარი იქნება მისი დიდი ღვაწლი და ამაგი ქართული კულტურის წინაშე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შალვა ჩიჩუა

# რომანის ცნება და რომანის ისტორია

კოროლენკო სწორედ მიუთითებს „რომან-ეპოპეის“ ფაბულისა და თემის ერთ ვარიანტს. ეს არის მთელი ხალხის ბრძოლა დამპყრობლების წინააღმდეგ. კოროლენკო ეხება კონკრეტულად ლ. ტოლსტოის რომანს „ომსა და მშვიდობას“, მაგრამ აქ მითითებულია საერთოდ რომან-ეპოპეის უპირატესი გამოხატვის სფერო. თავდაცვითი ომები მართლაც ის ასპარეზია, სადაც მთელი ძალით იჩენს თავს ერთიანი ეროვნული ინტერესი, ერთიანდება ქვეყანა ერთი მიზნის ქვეშ და ავლენს ერთსულოვნებას, გამოხატავს მთელი ერის მისწრაფებას და გულისთქმას და რომანის ფართო სარბიელზე ერი, ქვეყანა წარმოდგება როგორც ერთიანი ორგანიზმი. ვრცელი ჰორიზონტი მოითხოვს თვალთახედვის პოზიციის შეცვლას, რათა მოვლენა დანახული და აღქმული იქნას მთლიანობაში, მთელი სიდიადით. ლ. ტოლსტოი თავის ობიექტივს ხშირად უცვლის ხედვის არეს სივრცისა და დროის, მოვლენებისა და კერძო შემთხვევების, „დიადი ამბების“ და „უმნიშვნელო ეპიზოდების“ გამოსახატავად. მწერალი დიდი ყურადღებით სინჯავს და ასახავს „კერძო ცხოვრებასაც“. ოლონდ ეს „კერძო ცხოვრება“ აქ აღარ არის კერძო ცხოვრება ამ ცნების საკუთრივი მნიშვნელობით, რადგან ყოველი „კერძო ცხოვრება“ აქ „დაკავშირებულია ხალხის ისტორიასთან“64, მე უფრო ა. ჩიჩეროსის ამ განსაზღვრებას ვემხრობი „რომან-ეპოპეაში“ ერის და „კერძო ცხოვრების“, გმირის ცხოვრების ურთიერთმიმართების გამოხატვის თვალსაზრისით; „კერძო ცხოვრება“ რომან-ეპოპეაში არა თუ დაკავშირებულია ხალხის ისტორიასთან, არამედ ხალხის, ერის ცხოვრების შემადგენელი ნაწილია, ურომლისოდაც არ არის მთლიანი. პიერ ბეზუხოვის, ანდრეი ბოლკონსკის, ნატაშა როსტოვას და სხვათა „კერძო ცხოვრების“ გარეშე არ შეიძლება წარმოვიდგინოთ „ომისა და მშვიდობის“ მიხედვით რუსი ხალხის ცხოვრება პირველ დიდ სამამულო ომში. და მაინც მთავარი აქ სწორედ მთელი ხალხის ბედია და არა „კერძო ცხოვრება“. სწორედ აქ ჩანს, ჩემის აზრით, რომანის ეპიკის ახალი საფეხური, რომელიც ეხმაურება კლასიკურ ეპოსს, თუმცა არსებითად განსხვავდება მისგან. კლასიკური ეპოსი მოკლებულია პიროვნულ საწყისს (ЛИЧНОСТНОЕ НАЧАЛО). XIX–XX ს. ეპოპეა ითავსებს არა მარტო ავტორის პიროვნულ საწყისს, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების მამოძრავებელ მოვლენებთან ერთად პიროვნების კერძო ცხოვრებას, ე. ი. პიროვნული გამოიკვეთება საზოგადოებრივის ფონზე, ხოლო საზოგადოებრივი პიროვნების ცხოვრების ფონზე.

სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურაში, საბჭოთა ლიტერატურაში ერის ბედი დაუკავშირდა რევოლუციას. სოციალისტური ბრძოლა გახდა ის ასპარეზი, სადაც ხალხის, ერის ბედი წყდებოდა, და არა თუ ერის, ერების მომავალი განვითარების პერსპექტივა ინასკვებოდა. ამიტომ საბჭოთა რომანი-ეპოპეა ითვისებს ტრადიციას და თავის ახალ განვითარებას იწყებს. თუ საბჭოთა რომანამდე რომანი-ეპოპეა მაინც ერთეულებით აღირიცხება, აქ მან გაბატონებული ხასიათი მიიღო და ხალხის ცოვრების უმთავრეს მხატვრულ გამოსახულებად იქცა.

აქ ჩვენ ვერ შევეხებით რომან-ეპოპეის თუნდაც უმთავრეს საკითხებს. შემდგომში ჩვენ მოგვიხდება მათი განხილვა გზადაგზა, რადგან, საბჭოთა რომანი, კერძოდ ოცდაათიანი წლე-

¹ დასასრული. იხ. „მნათობი“ № 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის ქართული საბჭოთა რომანი, საკმაო მასალას იძლევა ამისათვისაც. სწორედ 80-იანი წლები უნდა მივიჩნიოთ ქართულ რომანისტიკაში რომან-ეპოპეის ფორმირების პერიოდად, და იგი უნდა ჩაითვალოს ამ პერიოდის უმთავრეს დამახასიათებელ ნიშნად.

აქ მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ რომანი-ეპოპეა რომანის ყველა სხვა სახეობაზე მეტად ავლენს სინთეზურობის ნიშნებს — სოციალურის, ფსიქოლოგიურის, ფილოსოფიურის და ა. შ. — ერთიანი წარმოსახვის პრინციპს.

აქ, ალბათ, საგანგებო განმარტება არ დაგვჭირდება იმის გამო, რომ, რაკი რომანი-ეპოპეა რომანის უმთავრეს სახეობად ვაღიარეთ, ამით თითქოს საბჭოთა ლიტერატურისათვის ნაკლებ მნიშვნელობას ვაძლევდეთ რომანის სხვა სახეობებს, რომელთაც ახალი შინაარსი შეიძინეს და საერთო ანსამბლში ხელი შეუწყვეს ახალი სინამდვილის ღირსეულ ასახვას.

* * *

ჩვენ თავიდანვე შევნიშნეთ, რომ ამ ნაშრომის ამოცანად არ მიგვაჩნდა რომანის ცნების ზუსტი დეფინიცია, თუ კი ეს საერთოდ მოსახერხებელია, მაგრამ ჩვენს წინამსჯელობათა საფუძველზე, შესაძლებლად მიგვაჩნია რომანის რამდენიმე უმთავრესი ნიშნის გამოყოფა. უპირველესი, აქ ალბათ, იქნება რომანის პიროვნული ხასიათი, რაც აღნიშნულია მრავალ მკვლევართა მიერ; რომანი ინტერესდება ადამიანის კერძო ცხოვრებით, მისი პიროვნებით. სოციალური ცხოვრების ერთიანობას ხედავს კერძო ინდივიდთა ბედის ერთიანობაში და საზოგადოების მთლიან მხატვრულ ისტორიას ქმნის ინდივიდთა ბედის ურთიერთშეპირისპირებით და ანალიზით. ამ გზით აღწევს ადამიანისა და საზოგადოების განვითარების სიღრმისეული პროცესების მხატვრულ განზოგადებას, და ვრცელი, ტევადი სურათების შექმნას.

მხატვრული შემოქმედების ზოგადი კანონზომიერებიდან რომანი იზიარებს გამონაგონის პრინციპს. რომანის სტრუქტურა და სახეთა სისტემა, სულ ერთია ეს იქნება რეალისტური თუ მოდერნისტული რომანი, მწერლის გამონაგონია. მხოლოდ პირველ შემთხვევაში მოდელის პროეცირება ხდება სინამდვილეზე, მეორეში ეს სუბიექტივისტური-გონებისმიერია და ილუსტრატორული.

რომანის ერთ-ერთი უპირველესი დამახასიათებელი თავისებურებაა აგრეთვე რომანული ხასიათის განვითარება პროგრესის, ან რეგრესის გზით. ეს უპირატესად რეალისტური რომანის თვისებაა, რადგან ისტორიზმის პრინციპზე ემყარება და სრულიად არ არის სავალდებულო მითოლოგიური შემეცნებებისათვის, რომელიც კლასიკურ ეპოსში ვლინდება, სადაც ყოველივე მყარადაა მოცემული და არ ვითარდება. ასევეა ფსევდომითოლოგიურ სტრუქტურაში მოდერნისტული რომანისათვის, როცა მითის დანიშნულება მეტაფორის — ტროპის არსს ცილდება.

რომანის კიდევ ერთი, უზოგადეს თვისებათაგანი, რომლის აღნიშვნა აუცილებლად მიგვაჩნია, ეს არის სიყვარული.

რომანის ამ კომპონენტისადმი დამოკიდებულება იცვლება ჟანრის განვითარების ისტორიის მანძილზე. ადრინდელ პერიოდში, რომლის გავლენის ექომ მეოცე საუკუნემდე მოაღწია, რომანში სიყვარულის სინონიმს ხედავდნენ, ხოლო რომანის ჟანრი სატრფიალო თხზულებებით განისაზღვრებოდა, როგორიც იყო ბერძნული სატრფიალო და შუასაუკუნეების სარაინდო რომანები.

სიყვარული რომანის აუცილებელ კომპონენტად მიაჩნდა ბალზაკსაც. ოღონდ რომანი მისთვის იყო ფართო სოციალური ტილო სიყვარულის ფონზე.

ბოლო დროს რომანის ბევრი მკვლევარი შენიშნავს, რომ სიყვარული არ არის მხოლოდ რომანის თავისებურება, იგი არა მხოლოდ რომანში აისახება, არამედ ასევე დამახასიათებელია ლირიკისათვისაც, დრამისა და პოეტური ეპოსისათვის. ჩემის აზრით, ეს ნაკლებად ანგარიშგასაწევი მოსაზრებაა, რადგან რომანის ობიექტი, რომელიც განისაზღვრება ადამიანის ფსიქოლოგიით, სოციალური და ბუნების გარემოთი, ამა თუ იმ სახით უთუოდ ვლინდება ლირიკაშიც, დრამაშიც და პოეტურ ეპოსშიც. საქმე ისაა, რომ ყოველივე ეს სხვადასხვა ჟანრში სპეციფიკურ გამოხატულებას იღებს. რომანის როგორც ჟანრის კვლევაც სწორედ ამ აზრით უნდა იყოს მიზანშეწონილი. რომანი, როგორც ადამიანის მხატვრული აზროვნების მონაპოვარის მემკვიდრე, ითვისებს ყოველივეს, რაც ისტორიულად მოიპოვა მხატვრულმა აზროვნებამ და, საკუთარი უსაზღვრო შესაძლებლობის შესაბამისად, შეუდარებლად მაღალ საფეხურზე აჰყავს ადამიანის ცხოვრების ყოველი სფეროს გამოსახვის ფორმები. რომანს აქვს დიდი შესაძლებლობა ადამიანის ფიქრისა და ზრახვის, მისი ფიზიკური და სულიერი ცხოვრების ულრმესი პლასტების გამოსახატავად, მისი შესაძლებლობა განუსაზღვრელია სიყვარულის სიღრმისა და ნაირფერობის გამოხატვაში.

უფრო მართებულად მიგვაჩნია იმის აღნიშვნა. რომ რომანის ყველა სახეობისათვის, ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, ყველა რომანისათვის, ე. ი. თითოეული რომანისათვის არ არის აუცილებელი სასიყვარულო ინტრიგა ან, უფრო ფართოდ, სიყვარულის ასახვა.

ქალისა და კაცის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი ადამიანთა საზოგადოების გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნვითარების ერთ-ერთი უძირითადესი საკითხია, მაგრამ აქ უმთავრესი მაინც ის არის, რომ სიყვარული ის მაგიური კრისტალია, რომელიც ულრმესი კავშირებით ავლენს ადამიანურ ბუნებას, მისი განვითარების დონეს, ეთიკურ და ესთეტიკურ არსს, რაც ადამიანის სოციალურ განვითარებასთან ერთად ისტორიულად ახალ, განსხვავებულ შინაარსს იძენდა. ამიტომ მეტი ინტერესით კიდებს ხელს რომანი სიყვარულის გამოხატვას.

მრავალნაირი, მრავალგვარი მატერიალური და „იდეოლოგიური მასალის“, ენობრივ ფაქტურათა, „უთვალავ ფერთა“ გამოხატვის მიუხედავად რომანს ახასიათებს ერთი განმსაზღვრელი რიტმი და ტემპერამენტი, სტილისტური და მსოფლმხედველობრივი ერთიანობა.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ, რომ არც ერთი ნიშანი, რომლებზედაც ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ, შეიძლება უნივერსალური არ გამოდგეს და სრულიადაც სავალდებულო არ არის, რომ ყველა ცალკეული ნაწარმოები ან რომანის სახეობა ყველა ნიშანს ერთად ატარებდეს. შეიძლება შეგვხვდეს მათი სხვადასხვა კომბინაცია და თავისებური გამოყენება როგორც მიმართულებათა, მეთოდთა სხვადასხვა სისტემაში, ისე ცალკეულ შემოქმედთა პრაქტიკის კერძო გამოვლინებებში. თავს ვიკავებთ ამჟამად რომანის ცნების ერთიანი დეფინიციის კონსტრუირებისაგან. მით უმეტეს ძნელი წარმოსადგენია იმ ფორმების წინასწარმეტყველება, რომლებიც რომანს შეუძლია წარმოქმნას მომავალ განვითარებაში.[65]

დაბეჯითებით მხოლოდ ერთი რამის „წინასწარმეტყველება“ შეიძლება: რომანი არასდროს არ უნდა შემოიფარგლოს ინტროსპექციით, ადამიანის შინაგანი ცხოვრების ღრმა ასახვა შესაძლებელია მხოლოდ ინდივიდის რთულ საზოგადოებრივ ცხოვრებასთან მიმართებაში.

* * *

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ რომანი, როგორც სინთეზური ჟანრი, მემკვიდრეა კაცობრიობის სულიერი კულტურის მთელი ისტორიისა. რომანის ესთეტიკაში ათვისებული, გადამუშავებული და შედუღებულია კაცობრიობის სულიერი კულტურის როგორც პირდაპირ მხატვრული, ისე არა მხატვრული მიღწევები. მისი პირველსაწყისები ენობრივი ფენომენის ულრმეს პლასტებშია საძიებელი, რომანის როგორც ჟანრის დასაბამი კი ანტიკური რომანის წიაღში. როცა მონათმფლობელური საზოგადოების საფუძველი შეირყა და ეპიკური სამყაროს პოეტური ერთიანობა დაირღვა, პროზაული ცხოვრების ხინამდვილემ ახალი თვალსაზრისი ჩამოაყალიბა ხამყაროზე. მითმა და გმირულმა ეპოსმა დეგალვადია განიცადა, პრინციპულად უარყოფილი იქნა და მისი ადგილი ადამიანის კერძო ცხოვრებამ დაიკავა, დამკვიდრდა პიროვნული თვალსაზრისი სინამდვილის, პროზაული ქვეყნის მიმართ, რეალიზმი თავის პირველ ნაბიჯებს დგამდა და სურდა დაენახა ადამიანი ისე როგორც ის არის სინამდვილეში, დაეხატა ისე, როგორც თვითონ ნახა და შეამოწმა.

ისე არ უნდა გავიგოთ, რომ თითქოს ამის შემდეგ რეალიზმი განუხრელად და სწორხაზოვნად ვითარდებოდეს, და თავისი გამოხახვის უმთავრეს ფორმას — რომანს თანმიმდევრულად სრულყოფილს ხდიდეს. კაცობრიობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში მხატვრული შემოქმედება სწორხაზოვნად და თანაბრად როდი ვითარდება. კერძოდ, რომანის ხელოვნება საუკუნეების მანძილზე მეტნაკლები წარმატებით იხვეწებოდა, ზოგ საუკუნეში ძველის შერყევისა და ისტორიული ძვრების პერიოდებში, როცა არენაზე ახალი საზოგადოებრივი ძალები მთელი ხალხის, ერის სახელით გამოდიოდა, ძალას მოიცემდა და მსოფლიოს მხატვრული ათვისების მძლავრ საშუალებად იქცეოდა. იგი ვითარდებოდა სხვა, უკვე ჩამოყალიბებული, ჟანრების: ლირიკის, დრამის, საკუთრივ ეპოკის მეზობლობაში და ისრუტავდა და ითვისებდა ყოველივეს, რაც კი ადამიანის ცხოვრების გამოსახვის უტყუარ საშუალებად მიაჩნდა. რომანი უკანასკნელ საუკუნეებში დიდი წარმატებით იყენებს მუსიკის, ფერწერის, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის მიღწევებს და საკუთარ მხატვრულ ქურაში გადადნობით ამდიდრებს გამოსახვის პალიტრას, ადამიანის სულის სიღრმეებში ჩაწვდომის, მისი გარესამყაროს გამოხატვის ხელოვნებას.

ამ გზაზე ხშირად მოჩანს მწვერვალები და ხევები, ამწვანებული კორდები და უდაბნოები. მაგრამ ადამიანთა საზოგადოების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის საერთო ფონზე, მისი მხატვრული განვითარების კონტექსტში თანდათან გამოიკვეთება რომანის — მხატვრული ასახვის ყველაზე მძლავრი და სრულყოფილი ფორმის თანდათანობითი სრულყოფის ისტორია და შეიძლება კიდეც დავეთანხმოთ თომას მანს, როცა ის რომანს ეპოსზე უფრო მაღლა აყენებს ლიტერატურის, და საერთოდ, მხატვრული აზროვნების განვითარების ისტორიაში.

ანტიკური რომანის წიაღში გამოიკვეთა რომანის ჟანრის როგორც იდეოლოგიური, ისე ფორმალურ-მხატვრული საწყისები. სამყაროს მითოლოგიისაგან თავისუფალი, ფხიზელი რეალისტური ათვისება, მყარი დოგმების უარყოფა და პიროვნული თვალსაზრისის გავრცელება სამყაროზე, ქვეყანაზე, საზოგადოების დიფერენცირებული ხედვა, ადამიანის კერძო ცხოვრებით, პირადი ბედით დაინტერესება, პიროვნული არსის ამოცნობა და გამოხატვა, ყოველივე ეს მოითხოვდა შესატყვის მხატვრულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმებს, რომლის დაუფლებისათვის იბრძოდა რომანი. ანტიკური რომანის წიაღში შემუშავდა ცალკეული არქიტექტონიკულ-კომპოზიციური სტრუქტურები, რომლებსაც საკმაოდ ხშირად თავისთვის სასარგებლოდ იყენებდა შემდგომი ეპოქების რომანი, XX საუკუნის ჩათვლით. „ეთიოპიკის“, „ჰაბროკომეს და ანთიას“ და მისდაგვარი რომანების „სამყაროს ერთიანი გეოგრაფიის“[66] სიუჟეტში გამოხატული თვალსაზრისი და აქედან სიუჟეტური სტრუქტურა გაითავისა როგორც რაინდულმა, ისე პიკარესკულმა რომანმა, აგრეთვე „ტომ ჯონსმა“, „რობინზონ კრუზომ“, „მობი დიკმა“, „მთვარის მოტაცებამ“ და სხვა უამრავმა ნაწარმოებმა, რომელთა ჩამოთვლაც კი არ მოხერხდება აქ. ხოლო „მეტამორფოზების“ თვალსაზრისმა ადამიანის შინაგანი და გარეგანი ცხოვრების რეალისტურ ხილვაზე და ასახვაზე უფრო ვრცელი ასპარეზი იპოვა რომანის შემდგომ განვითარებაში.

რაინდული და პიკარესკული რომანის ხანგრძლივი გზის შემდეგ ნამდვილი მწვერვალებივით მოხჩანან რაბლე და სერვანტესი. „გარგანტუა და პანტაგრუელი“, ღრმა მძლავრი პაროდია და გროტესკი სამყაროსა და ცხოვრების მითოლოგიური კონცეფციის მიმართ, ადამიანის ცხოვრების არსის პრინციპულად ახლებურ რეალისტურ გაგებაზეა დამყარებული. მითისა და კლასიკური ეპოსის მხატვრული სახისა და არქიტექტონიკის პრინციპული კრიტიკის ბაზაზე იქმნება ადამიანის რეალისტური კონცეფცია, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს რომანის ახალი სახეობის შექმნას, როგორც იდეოლოგიური, ისე სტრუქტურული თვალსაზრისით, როგორც შინაარსის, ისე ფორმის მხრივ. „გარგანტუა და პანტაგრუელში“, პირველად რომანისტიკაში, თანმიმდევრულად და პრინციპულად უარყოფილია სამყაროს დუალისტური გაგებიდან გამომდინარე შუასაუკუნეობრივი ქრისტიანული კონცეფცია სულისა და ხორცის განცალკევებული წარმოშობისა და ყოფის შესახებ, სულის უკვდავების შესახებ და ა. შ., რაც ასკეტიზმის და სულის იმქვეყნიურ უკვდავებაზე ოცნების საფუძველი იყო. რაბლე ადამიანის უკვდავებაზე ფიქრს მთლიანად და სავსებით ადამიანის მიწიერ, ამქვეყნიურ ცხოვრებას უკავშირებს, იმას, რითაც ადამიანი უკვდავყოფს თავის სახელს — თავისი შრომითა და შემოქმედებით, აგრეთვე სიცოცხლის გაგრძელებით თავის შვილებისა და შვილიშვილების სიცოცხლით. ამ გზით ადამიანის არსობის უკვდავყოფა და სრულყოფა ხდება არა რომელიღაც საფეხურზე, არამედ ცხოვრების განვითარების უსასრულობაში. ამ გზით ფორმდება ადამიანის არსის რეალისტური გაგება, რომელიც მხატვრული კონცეფციის, მხატვრული სახის აგების საფუძველი ხდება რომანში.[67] მაგრამ მხატვრული სახის რეალისტური გამოხატვა და მითისა და კლასიკური ეპოსის პაროდია ერთმანეთშია გადაწნული „გარგანტუა და პანტაგრუელში“, ისე როგორც პაროდია და გროტესკი რაინდულ რომანზე და, ამავე დროს, სამყაროს უაღრესად ფხიზელი, კრიტიკული რეალისტური ხედვა „დონკიხოტში“, სადაც უფრო რელიეფურად, მახვილად და მწვავედ გამოისახა სწორედ ამქვეყნიური, მიწიერი ცხოვრების პრობლემები და თავდადებული ბრძოლის საჭიროება ამ პრობლემათა დასაძლევად.

ეს ორი რომანი, შეიძლება ითქვას, რომანის ისტორიის მეორე მძლავრი საფეხურის საწყისი იყო და მათ საფუძველი მთელი „აღორძინების“ ხანის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ესთეტიკასა და იდეოლოგიაშია საძიებელი. კოპერნიკის, გალილეის, ჯორდანო ბრუნოს მეცნიერული აღმოჩენები მატერიალიზმის ახალი აღორძინების მძლავრი სტიმული და საფუძველი იყო, ისე როგორც თავის დროზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მილეთის სკოლის ბუნებისმეტყველთა და ფილოსოფოსთა მატერიალისტურ იდეებს მითოლოგიის დაძლევისა და ანტიკურ სამყაროში მატერიალისტური აზრის განვითარებისათვის. ფრ. ენგელსის მიერ კოპერნიკის შრომა შეფასებული იქნა როგორც „რევოლუციური აქტი, რომლის შემდეგაც ბუნების გამოკვლევა დამოუკიდებელი გახდა“... და როგორც „გამოწვევა საეკლესიო ავტორიტეტისა და ბუნების საკითხებში“. კოპერნიკმა უარყო დედამიწის განსაკუთრებული მდგომარეობა სამყაროს სისტემაში და ამითი შეარყია საეკლესიო-ბიბლიური და მთელი რელიგიური მსოფლმხედველობის საფუძველი. კოპერნიკის მოძღვრების მიხედვით უარყოფილი იქნა ციურისა და მიწიერის განსხვავებული ბუნება, საფუძველი ჩაეყარა ბუნების კანონების ერთიანობას მიწისა და ცისათვის, მთელი სამყაროსათვის და, რაც მთავარი იყო, კოპერნიკის და მისი მიმდევრების მიერ სამყაროს კანონზომიერებანი ცნობილ იქნა როგორც შეცნობადი ადამიანის გონების მიერ. წინააღმდეგ ეკლესიისა, რომელიც ქადაგებდა გონების უძლურებას და უსუსურობას, კოპერნიკმა დაასაბუთა ძლიერება ადამიანის გონებისა, რომელიც შეიცნობს სამყაროს აგებულების კანონზომიერებებს. კოპერნიკის აღმოჩენებმა გზა გაუხსნა ბუნებისმეტყველების მეცნიერებებს და გაათავისუფლა ისინი აზროვნების ღვთის-მეტყველური ხასიათისაგან.

როგორც კოპერნიკის, ისე ჯორდანო ბრუნოს და გალილეო გალილეის შრომები მსოფლიო სისტემას ეხებოდნენ, მაგრამ ისინი, საერთოდ, წინ წევდნენ შემეცნების თეორიის პრობლემათა გადაწყვეტის საქმეს და აზროვნებას ათავისუფლებდნენ ღვთისმეტყველებისაგან და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამდენად ზეგავლენას ახდენდნენ მთელი XV-XVI საუკუნეების და შემდგომი პერიოდის იდეოლოგიაზე, გზას უხსნიდნენ, კერძოდ, ფილოსოფიაში, ესთეტიკაში, მწერლობაში ადამიანის ახალი, რეალისტური კონცეფციის შემუშავებას. რომანის მთელი შემდგომი განვითარება გათავისუფლდა მითოლოგიისაგან.

XX საუკუნის ნეომითოლოგია, როცა იგი მეტაფორის საზღვრებს ცილდება, ნაძალადევი უკანმიბრუნებაა ორიენტაციის დაკარგვის გამო. მთელი XVIII-XIX საუკუნეების რეალისტური რომანი ადამიანის ცხოვრების ანალიტიკური გამოკვლევაა, და ამდენად, შეიძლება ბალზაკის რომანების გამაერთიანებელი სათაური „ადამიანური კომედია" გარკვეული აზრით პოლემიკურიც იყოს დანტეს „ღვთაებრივი კომედიის" საპირისპიროდ.

XIX საუკუნის კრიტიკული რეალიზმის ლიტერატურა, კერძოდ, რომანი, ფრანგული, ინგლისური და რუსული რომანი, მხატვრული სიტყვის უმაღლეს მიღწევათა რიგს მიეკუთვნება.

მაგრამ ბურჟუაზიული საზოგადოების განვითარებამ, იმპერიალიზმის ეპოქაში შესვლამ, მთელი საზოგადოების იდეოლოგიის შესაბამისად რეალიზმი პრობლემატური გახადა, ადამიანის კონცეფციის შინაარსი ძირეულად შეცვალა. როცა ბურჟუაზია ასპარეზზე გამოვიდა, როგორც შემოქმედი კლასი, იგი ერის სახელით მოქმედებდა და მართლაც ეროვნულ საქმეს აკეთებდა,68 მაშინ მას სჭირდებოდა აქტიური მებრძოლი ადამიანი, რომელიც დიდ პრობლემებს შეეჭიდებოდა. ასეთი ადამიანის მხატვრული სახეები გამოიხატა საუკეთესო ფრანგულ და ინგლისურ რომანებში; მაშინ ბურჟუაზიას არც კრიტიკის შიში არ ჰქონდა იდეოლოგიის ყველა სფერო — მეცნიერება, ფილოსოფია, მხატვრული ლიტერატურა იკვლევდა ადამიანის ხასიათს, მის როგორც ძლიერ, ისე ნაკლოვან მხარეებს ჰუმანიზმის პოზიციიდან. მაგრამ იმპერიალიზმის სტადიაში კაპიტალიზმის წინააღმდეგობანი თანდათანობით ძლიერდება და დაუძლეველი ხდება. ბურჟუაზიული იდეოლოგია დაინტერესებულია ყველა ამ წინააღმდეგობათა ცენტრი საზოგადოებრივი ფორმაციიდან ადამიანის ბიოლოგიურ არსებაში გადაიტანოს და ყველა უბედურებათა მიზეზად თვით ადამიანის ფსიქიკა გამოაცხადოს, ადამიანის ბუნება ისტორიული განვითარების პერსპექტივას, ისტორიზმს ჩამოაშოროს და ერთხელ და სამუდამოდ მოცემულ სიდიდედ აღიაროს, ისტორიულად უცვლელ ორგანიზაციად. აქ არის არქეტიპისა და მითოლოგიის რეანიმაციის საფუძველი მხატვრულ აზროვნებაში.

ცხადია, მცდარ გზაზე დავდგებოდით, რომ გვეფიქრა თითქოს მწერლობა, მხატვრული აზროვნება იჭერს ბურჟუაზიის მხარეს და მის სამსახურში დგება. ჭეშმარიტი მწერლობა ყოველთვის ჰუმანიზმის პოზიციებიდან ადამიანურობის მხარეს იჭერს. მაგრამ იდეოლოგიური ატმოსფერო გავლენას ახდენს მწერლის პოზიციაზე. ბურჟუაზიული საზოგადოების კრიტიკა, ბურჟუაზიული საზოგადოების დაუძლეველი წინააღმდეგობათა რკალი წარმოიდგინება როგორც, საერთოდ, ადამიანთა საზოგადოების, ადამიანის მუდმივი და სამუდამო სიზიფის ტვირთი, რომლისაგან თავდაღწევა შეუძლებელზე ოცნებას და ახალ მითს, ახალ აბსურდს წარმოადგენს (იასპერსი).

ყოველივე ამის საფუძველზე იქმნება საზოგადოებრივი მოვლენებისა და ადამიანის ცხოვრების ახსნის „ახალი თეორიები", ან უფრო სწორად, ამტკიცებენ მათ სავსებით აუხსნელობას, საზოგადოებისა და ადამიანების ცხოვრებას წარმოიდგენენ როგორც შემთხვევებისა და ანომალიების კალეიდესკოპს, ან ყოველივეს ისევ და ისევ ადამიანის ფსიქიკას, ინდივიდუუმის ბიოლოგიურ თვისებებს მიაწერენ. და აქედან გამომდინარე იწყება ადამიანის ბუნების „შესწავლა", ჩაღრმავება მის არსებაში, ფსიქოანალიზი და ინტროსპექცია. ინდივიდუუმი გამოიყოფა საზოგადოებრივი ცხოვრებიდან და დიალექტიკური ერთიანობის დარღვევის გზით ხდება მიბრუნება მეტაფიზიკისაკენ.

ინდივიდუუმი განიხილება როგორც დამოუკიდებელი სამყარო. რაც გამოხატულებას პოულობს მხატვრული ნაწარმოების, კერძოდ, რომანის სტრუქტურაში, — კომპოზიციაში, არქიტექტონიკასა და სიუჟეტის განვითარებაში. აქ ირღვევა რეალიზმის პრინციპები და საფუძველი ეყრება ყოველგვარ დეკადანსსა და მოდერნიზმს.

რასაკვირველია, ჩვენ სრულებითაც არ ვაპირებთ დავას იმის შესახებ თუ რამდენად შესაძლებელია რეალიზმის მეთოდით ქვეცნობიერების კვლევა და, საერთოდ, მისაწვდომია თუ არა ქვეცნობიერი, სანამ იგი ცნობიერების არეში არ იქნება შემოყვანილი. მოდერნისტული მიმდინარეობანი, ჩემი აზრით, არა ქვეცნობიერს „იკვლევენ", არამედ მიმართავენ სტილიზაციას „ცნობიერების ნაკადის" ფროიდისტული ან იუნგიანური შერჩევის გზით. რაც შეეხება ფროიდის „ქვეცნობიერის თეორიას", მედიკოსები ასეთი აზრის არიან: ფროიდიზმი, რომელიც „ამაყობდა" იმით, რომ პოზიტიურ ცოდნას ეყრდნობოდა, „ცდილობდა ავგო „ქვეცნობიერის" თეორია ტვინის შესახებ ფიზიოლოგიური მეცნიერებისაგან სრული მოწყვეტით. ეს პოზიცია შეიძლება იძულებითი იყო (განპირობებული ნეიროფიზიოლოგიის სისუსტით გასული საუკუნის ბოლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათვის), ამით ის ნაკლებდამღუპველი როდი აღმოჩნდა.

ფსიქოანალიზი, ცნობიერების ნაკადი, ინტროსპექცია — ყოველივე ეს მიმართულია იქითკენ, რომ, რადაც არ უნდა დაჯდეს, გაითიშოს სოციალური გარემო და ადამიანი, ადამიანური არსი, რათა ყოველივე იმის მიზეზი, რაც ახლა ბურჟუაზიულ საზოგადოებას გარდაუვალსავ წინააღმდეგობათა სახით მოევლინა, ადამიანური ბუნების სიღრმეში, არსებობის ექსიზტენციაში ეძებონ და არა საზოგადოებრივ ურთიერთობაში.

ხელოვნება ყოველთვის იღებს ანგარიშში იმას, რომ ადამიანი ბიოლოგიური არსებაა, მაგრამ პირველ რიგში მას აინტერესებს ადამიანი როგორც სოციალური, საზოგადოებრივი არსება. როცა ადამიანს აცილებენ გარემოს, როცა წყვეტენ საზოგადოებასთან მის დამაკავშირებელ ძაფებს, იგი კვდება როგორც საზოგადოებრივი არსება და რჩება ბიოლოგიურ არსებად, ე. ი. არსებად, რომლითაც ნაკლებად ინტერესდება ხელოვნება. ამგვარად იცვლება ხელოვნების საგანი. არ შეიძლება კაცობრიობის აღრინდელი მონაპოვარის დავიწყება ისე, რომ ჩვენ ზიანი არ მოგვაყენოს ამან, არ შეიძლება იმ ჭეშმარიტების დავიწყება, რომელიც სადად და მკაფიოდ ჩამოაყალიბა უკვე რაბლემ: „საზოგადოებრივი თანამდებობანი და სამსახური გვიჩვენებს ჩვენ ადამიანს და გამოააშკარავებს რა უდევს სულში, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ადამიანის ფასი შეიძლება გავიგოთ, როცა მას საქმეში ვხედავთ. სანამ ადამიანი საკუთარ კერძო ცხოვრებაშია ჩაკეტილი, როგორც ცერცვის მარცვალი ნაჭუჭში, არ შეიძლება ნამდვილად გავიგოთ როგორია ის“.

XIX საუკუნის ბოლოს და მეოცე საუკუნის დასაწყისში რეალიზმი კი არ განიცდის კრიზისს, არამედ ბურჟუაზიული იდეოლოგია და მხატვრული აზროვნება, რის გამოც მწერალთა გარკვეული ნაწილი, საკმაოდ დიდი ნაწილი ტოვებს რეალიზმის გზას და იკავებს სხვა პოზიციას, ადგება დეკადანსის და მოდერნიზმის გზას. გ. ლუკაჩი ცდებოდა, როცა მთელი ბურჟუაზიული ხელოვნება და კულტურა დეკადანსად მიაჩნდა კლასიკური ეპოსის საპირისპიროდ, მაგრამ ბურჟუაზიული ხელოვნების დეკადანსი იმპერიალიზმის ეპოქაში უცილო ფაქტი გახდა. რეალიზმის პოზიციის დათმობა არა მხოლოდ მეთოდის, არა მხოლოდ მხატვრული აზროვნების კრიზისი იყო, არამედ მთელი ბურჟუაზიული იდეოლოგიის კრიზისი.

რეალიზმი მსოფლიო ხელოვნებისა და ლიტერატურის ისტორიაში, თუმცა სხვადასხვა შინაარსით, პროგრესულ, შემოქმედებით ეპოქებში აყვავებას განიცდის. ახლაც რეალიზმს კრახი არ მოელოდა, მაგრამ იგი ბუნებრივად უნდა დაკავშირებოდა ახალ საზოგადოებრივ ძალებს, ახალ იდეოლოგიას, რომელიც ადამიანს განიხილავს როგორც შემოქმედებით ძალას, რომელსაც უნარი შესწევს დასძლიოს ძველი საზოგადოების და საკუთარი თავის წინააღმდეგობანი და ისტორიის წინსვლა განახორციელოს. ასეთი მოძღვრება არის მარქსიზმ-ლენინიზმი, რომელიც მსოფლიო ისტორიის განვითარებამ წარმოშვა აუცილებლობის შედეგად. ოქტომბრის რევოლუციამ პრაქტიკულად დაამტკიცა სოციალიზმის მოძღვრების, მარქსისტული მსოფლმხედველობის ჭეშმარიტება და პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის ძლევამოსილება. სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა, რომელიც ძველი საზოგადოების წიაღშივე აღმოცენდა, მსოფლიო სოციალისტური სისტემის მხატვრული მსოფლმხედველობა და მეთოდი გახდა, რომელიც საზოგადოებრივ ცხოვრებას და ადამიანს კი არ თიშავს ერთმანეთისაგან, არამედ ერთსაც და მეორესაც განიხილავს, როგორც მათი დიალექტიკური ურთიერთობის შედეგს. ადამიანის მოქმედებას განიხილავს ახალი სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის თვალსაზრისით. ამიტომ მისთვის, შემოქმედი ადამიანი მთავარი გმირი ხდება, ხოლო გმირი, პერსონაჟი, განიხილება არა განცალკევებულად, არამედ როგორც საზოგადოებრივი ინდივიდუუმი. ამით განისაზღვრება სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის, კერძოდ, რომანის ხასიათი, მისი შინაარსი და ფორმა, მისი ჟანრული თავისებურებანი.

სოციალისტური რეალიზმი აღმოცენდა როგორც ძველი ბურჟუაზიული საზოგადოების კრიტიკა და ამიტომაც სრულიადაც არ უნდა იყოს გასაკვირი თუ მას, თავიდან მეტი საერთო აღმოაჩნდა კრიტიკული რეალიზმის ტრადიციებთან, ვიდრე დეკადანსის და მოდერნიზმის ფსევდორევოლუციურ სკოლებთან.

აქ განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს სოციალისტური რეალიზმისა და მოდერნისტული მიმდინარეობის პრინციპული სხვაობა იდეურ-მხატვრულ საფუძვლებში, ძველი საზოგადოების კრიტიკის არსში.

ვგონებ, ძნელია მოიძებნოს მწერალი, რომელიც თავის რომანებში, უფრო ძლიერად ასახავდეს ადამიანის ტრაგიკულ ბედს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, ვიდრე ფრანც კაფკა ბურჟუაზიული საზოგადოების გადაულახავ წინააღმდეგობათა კრიტიკის თვალსაზრისით მოდერნიზმს გარკვეული მიღწევებიც აქვს. ფრანც კაფკას შემოქმედებაში, მაგალითად, ყველა მოდერნისტ მწერალზე უფრო მწვავედ აისახა საზოგადოებრივი პრობლემები, ზოგჯერ პუბლიცისტური სიმახვილითაც. შემთხვევითი როდი იყო, რომ მისმა რომანებმა, რომლებიც 20-იანი წლების დასაწყისში გამოაქვეყნა მაქს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლმა, მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოიპოვეს საქვეყნო აღიარება. გამოქვეყნებისას ამ რომანებს არ ჰქონდათ რაიმე მნიშვნელოვანი რეზონანსი. მაგრამ რომანები „პროცესი“ და „ციხე“ თითქოს მეორე მსოფლიო ომის ფაშისტურ სამყაროს ასახავდნენ წინასწარ, როგორც ეს შენიშნა ბერტოლტ ბრეხტმა. აქ თითქოს წინასწარ განჭვრიტეს 20-იანი წლების ბურჟუაზიული საზოგადოების იმპულსების გადაზრდა ფაშისტურ იდეოლოგიაში. მწერალმა წარმოსახა ადამიანის „მწერად გადაქცევის“ ტენდენციის საზოგადოებრივ-ფსიქოლოგიური საფუძველი როგორც მოთხრობაში „ფერიცვალება“, ისე რომანებში „პროცესი“ და „ციხე“.

ეს მეტამორფოზა მრავლისმეტყველია და ადამიანის ღიდი დაფიქრების საგანი. მწერლობის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაც ეს არის, ცხადად აჩვენოს ადამიანებს, საზოგადოებას მისი წყლულები.

მაგრამ კაფკას პირქუშ ქმნილებებში შავი ტონებია გაბატონებული. ბურჟუაზიული საზოგადოების იდეოლოგიური და ზნეობრივი გადაგვარება აღქმულია როგორც კაცობრიობის დასასრული და არა როგორც კაცობრიობის განვითარების ულრმესი კონფლიქტი და პრობლემები, რომლებიც გადაწყვეტას, დაძლევას საჭიროებდა და რომლებიც კაცობრიობის ენერგიის ახალ კონცენტრაციას განაპირობებდა. კაფკას ნაწარმოებებში არ ჩანს არც ერთი ნათელი წერტილი, იმედის არც ერთი სხივი, რომელიც ხსნის რაიმე შანსს უტოვებდეს კაცობრიობას.

ბურჟუაზიული საზოგადოების კრიზისული მოვლენები ფ. კაფკას საერთოდ ადამიანის ყოფის უაზრობად წარმოუდგენია. 1921 წლის 21 ოქტომბერს, მას თავის დღიურში ჩაუწერია: „ყველაფერი ფანტაზიაა, ოჯახი, სამსახური, მეგობრები, ქუჩა, ყველაფერი ფანტაზიაა, ყველაფერი — ცოლიც კი, შიშველი სიმართლე იმაში მდგომარეობს რომ შენ თავს ურტყამ ციხის ყრუ კედელს“.

„ადამიანების გათიშულობა — ბურჟუაზიული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი და მის მიერ წარმოქმნილი მოვლენა, კაფკას თვალში უნივერსალური კანონისა და ადამიანების ურთიერთდამოკიდებულების უმთავრესი ფორმის მნიშვნელობას იძენს“.69 კონკრეტულ-ისტორიული მოვლენის ამდაგვარ გააბსოლუტებას, მის მოწყვეტას სოციალურ-განპირობებული ნიადაგიდან მიჰყავდა კაფკა მცდარ თვალსაზრისამდე როგორც ადამიანურ ბუნებაზე, ისე ადამიანის ადგილზე საზოგადოებაში და სამყაროში.

თუ ცხოვრება საერთოდ აბსურდულია, არც ერთი მისი გამოვლენა აღარ შეიძლება იყოს გონიერი და სამართლიანი. აქედან სრული უპერსპექტივობა და პესიმიზმი.

სოციალისტური რეალიზმი პრინციპულად განსხვავებული პოზიციიდან განიხილავს სინამდვილეს. ეს არის სავსებით ახალი მხატვრული მსოფლმხედველობა და მეთოდი, სისტემა, რომელიც სინამდვილეს განიხილავს ახალი საზოგადოების, სოციალიზმის მშენებლობის თვალსაზრისით. იგი ხედავს საზოგადოების, ადამიანის ნაკლოვან მხარეებს, ეპოქალურ წინააღმდეგობებს და სწორედ ამიტომ ეძებს გზებს კაცობრიობის მომავალი განვითარებისათვის. რაც მთავარია, მას შესწევს უნარი აღმოაჩინოს კიდეც ეს ძალები, იგი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს ახლის ყლორტებისადმი და განმსჭვალულია მისი გარდაუვალი გამარჯვების სულისკვეთებით. აქ გამოიხატა ტიპიზაციის ახლებური პრინციპი სოციალისტური რეალიზმის მეთოდში. ტიპიზაცია კი ემყარება სინამდვილის ანალიზს, ძიებას, სოციალურ, ფილოსოფიურ გამოკვლევას. განზოგადებას. მისი პრინციპია არა ცხოვრებისაგან მოწყვეტილი მხატვრული სახეები, არამედ ასახვა სინამდვილის ღრმა გაგების საფუძველზე, როგორც ლაკონიურად გამოხატა ეს ამასწინათ „ლიტერატურნაია გაზეტას“ ფურცლებზე იაროსლავ ივაშკევიჩმა — „შევიცნოთ, გავიგოთ და გამოვხატოთ“.70

სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა, მისი იდეოლოგია და მხატვრული კონცეფცია საფუძველია რომანის ჟანრის ახალი აღმავლობისათვის.

* * *

ჩვენ ამ წერილში, ბუნებრივია, შევეხეთ რომანის ცნების რამდენიმე კარდინალურ საკითხს და უმთავრეს ნიშანს, თუმცა არ გვიცდია მათი თავმოყრა და საყოველთაო სავალდებულო ნორმატივად ჩამოყალიბება. ზოგი რამ კი საკუთრივ ჩვენი ობიექტის შემდგომ კვლევაშიც გამოჩნდება ამ თვალსაზრისით, სადაც, ალბათ, კვლევის საგანთან დაკავშირებით უფრო ვრცელი საუბარი გვექნება რომანის შესახებ როგორც თეორიულ, ისე ანალიტიკურ ასპექტში. ამჟამად ჩვენ უფრო პრობლემის მეთოდოლოგიური მხარე გვაინტერესებდა.

აქ წამოჭრილი საკითხები და პრობლემები კი ავტორისაგანაც ჰიპოთეზებად აღიქმებიან. ოღონდ მათზე შეჩერება მაინც საჭიროდ და აუცილებლობად მიაჩნდა მას, რათა ძირითადად მაინც გაერკვია თავისთვის ჟანრის საზღვრები და სიღრმისეული არსი, სანამ თავისი საკვლევი ობიექტის ანალიზს შეუდგებოდეს.

რომანის, როგორც ჟანრის, ხელოვნება საუკუნეებში ისვეწებოდა და ყალიბდებოდა. თუ სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა და ხელოვნება უცილოდ რევოლუცია იყო მხატვრულ აზროვნებაში, რომანი, როგორც ჟანრი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარკვეული აზრით, ტრადიციის ხაყრდენს არ შეიძლება ჩამოვაცილოთ და საბჭოთა რომანიც უნდა განვიხილოთ როგორც მრავალსაუკუნოვანი ჟანრის მემკვიდრე.

ახალი ლიტერატურის, ახალი რომანის ფორმირების ანალიზში საინტერესოა არა როგორც ძველის მოდერნიზების წარმოსახვა, არამედ როგორც ახლის დაბადება. მაგრამ არა როგორც დაბადება **Aus den Nichts**, არამედ როგორც სინამდვილის ახახვისა და ჟანრის განვითარების კანონზომიერი კაუზალური შედეგი. ამასთან ჩვენ არასდროს არ ვივიწყებთ ცხოვრებისეული შინაარსის დომინანტურ პოზიციას ლიტერატურის ფორმისა და შინაარსის წარმოქმნის პროცესში, თუნდაც ეს ჟანრის ისტორიის მეტად სპეციფიკურ საკითხებს ეხებოდეს.

მ. ბახტინი შენიშნავს, ყველა ლიტერატურული ჟანრიდან პირველად რომანში „დრო და სამყარო ხდება ისტორიული".71 ეს დიდმნიშვნელოვანი ფაქტის ფიქსირებაა. ამას მჭიდროდ უკავშირდება რეალიზმის საკითხი, რომანის პრინციპული და მრავალმხრივი კონტაქტი სინამდვილესთან. თუნდაც ამიტომ შტაიგერის, კაიზერის და სხვათა ჟანრების თვითგანვითარების თეორია გასაზიარებელი არ არის, მიუხედავად იმისა, რომ ამ მკვლევარებმა ბევრი არსებითი, დამახასიათებელი აღნიშნეს და განაზოგადეს ჟანრის განვითარების ისტორიასა და თეორიაში.

რომანის ჩასახვა და განვითარება დაკავშირებულია რეალიზმის ჩასახვასა და განვითარებასთან, რაც, თავის მხრივ, უკავშირდება განმაახლებელ, რევოლუციურ ეპოქებს, რომელთა საფუძველიც ძველ საზოგადოებათა შიგნით მზადდებოდა. რეალიზმის ჩასახვა და განვითარება დაკავშირებულია სამყაროზე ძველი წარმოდგენების დაძლევასთან, მითოლოგიის დაძლევასთან, მატერიალიზმის, სინამდვილის ფხიზელი ათვისების დამკვიდრებასთან, რასაც გრძელი, მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს ძველი ანტიკურობიდან დღემდე. ბურჟუაზიული ეპოქის დასაწყისი რომანის ახალი აღმავლობით აღინიშნა, იმპერიალიზმის ხტადია — „რომანის ფორმის დაშლით". რეალიზმს თავისი არსებობა კი არ დაუსრულებია, ახალი ფორმა წარმოქმნა, ახალი შინაარსის საფუძველზე. სოციალისტური სინამდვილე და სოციალისტური რეალიზმი თეორიულ და პრაქტიკულ საფუძველს ქმნის რომანის ახალი აღმავლობისათვის.

ეს პროცესი ჩვენს დღეებში მიმდინარეობს და რეალიზმისა და მოდერნიზმის ბრძოლაში ბევრს ჯერ კიდევ ვერ გაურკვევია ლიტერატურის განვითარების ისტორიული გზა, ეჩვენება, რომ დეკადანსი და მოდერნიზმი ლიტერატურის განვითარების ერთი დიდი ეპოქის დასასრული კი არ არის, არამედ ახალი დროის მომართულებანი. მცდარი თვალსაზრისია.

განვითარების გზა სოციალისტური რეალიზმია, რომლის საფუძველზე უნდა გაიფურჩქნოს ახალი ლიტერატურა, კერძოდ, რომანი, განვითარდეს მისი ახალი აღმავლობა.

## შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

64 ა. ვ. ჩიჩერინი, რომანი-ეპოპეის წარმოშობა, მ., 1958, გვ. 18.

65 ა. ბუჩისი, ჩემის აზრით, მოხდენილად ადარებს რომანის განვითარებას მოქმედ ვულკანს, თავის წიგნში: „რომანი და თანამედროვეობა, ლიტვური რომანის ჩამოყალიბება და განვითარება", მ., 1977.

66 ამ გამოთქმას პირობით ვიყენებთ. — შ. ჩ.

67 ფრანსუა რაბლე, „გარგანტუა და პანტაგრუელი", მ. 1956. აღნიშნული თვალსაზრისი მთელს რომანშია გატარებული. იხილეთ, კერძოდ, წიგნი, II, თავი VIII, გვ. 136, 137, 138.

68 მარქსი და ენგელსი, ხელოვნების შესახებ, 1937, გვ. 23-24.

69 ბ. სუჩკოვი, კაფკას სამყარო. წიგნში: „ფრანც კაფკა, რომანი, ნოველები და იგავები", მ, 1965, გვ. 35.

70 იაროსლავ ივაშკევიჩი. „შევიცნოთ, გავიგოთ და გამოვხატოთ", „ლიტერატურნაია გაზეტა", 1977, №49, გვ. 15.

71 „ვოპროსი ლიტერატური", 1970, № 1, გვ. 114.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ გვერდწითელი

# „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა“

შენიშვნები აკაკი ბაქრაძის წიგნზე

აკაკი ბაქრაძის წიგნი „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა“ ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას ეძღვნება. მისი გამოცემა მიესადაგა დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის დაბადების მე-140 წლისთავს.

უკვე წიგნის სათაური, პოეტის უკვდავი სტრიქონები, მიგვანიშნებს, რომ აქ მთავარი პრობლემა, რასაც ავტორი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, ილიას ეროვნული მრწამსია. აკაკი ბაქრაძე თავის წიგნში ილიას შემოქმედებისა და მოღვაწეობის ყოვლისმომცველ ანალიზსაც რომ ისახავდეს მიზნად, ეს სათაური მაინც გამოადგებოდა, რადგან ამ დიდი მამულიშვილის ყოველი დღე და ყოველი სიტყვა მისი ერისა და ქვეყნის სამსახურში დაიხარჯა. მაგრამ ავტორს რომ ბევრად უფრო მოკრძალებული მიზანდასახულება აქვს, ეს თავად წიგნიდანაც ჩანს და წინ წამძღვარებულ ანოტაციაშიც ხომ პირდაპირ არის გაცხადებული: „ამ პაწია წიგნში, — წერია იქ, — ცხადია, არ არის მიმოხილული ილია ჭავჭავაძის უზარმაზარი შემოქმედება. აქ მხოლოდ ლაპარაკია მწერლის შემოქმედების ზოგიერთ ძირითად მოტივზე“. ყველა ეს მოტივი, საბოლოოდ, ეროვნულ პრობლემას უკავშირდება.

წიგნი ოთხი მცირე თავისაგან შედგება: „ქართვლის ბედის მძებნელი“ — ილიას პოეზიას ეძღვნება, „არაფრობის უარყოფა“ — „კაცია-ადამიანს?!“, „საქმით მეტყველი სული“ — „ოთარაანთ ქვრივს“, ხოლო „გზა ხსნისა“ — „განდეგილს“. ეს თავები ცალკე წერილების სახით გამოქვეყნებული იყო ქართული ლიტერატურული პრესის ფურცლებზე და, ამდენად, დაინტერესებული მკითხველისათვის ადრევე იყო ცნობილი. მათი ერთად შეკვრითა და გამოცემით „მერანმა“ უთუოდ კარგი საქმე მოიმოქმედა, რადგან წიგნს საერთო პრობლემა და მიზანდასახულება ძთლიან ნაწარმოებად აქცევს და ყოველი ახალი წიგნი კი (ცხადია, იგულისხმება საყურადღებო და მნიშვნელოვანი) ილიაზე ჩვენთვის მხოლოდ სიხარულის მომტანი და ინტერესის აღმძვრელია.

ილია ჭავჭავაძეზე არა ერთი და ორი დიდი თუ მომცრო წიგნია დაწერილი და გამოცემული, მათ შორის ძალზე მნიშვნელოვანიც, მაგრამ, ალბათ, არცერთი ავტორი არ ითაკილებს იმას, თუ ვიტყვით, რომ მისი შემოქმედება ის ამოუწურავი საგანძურია, რომელიც კვლავაც და მუდამ იქნება დაუცხრომელი კვლევის, ახლებური ინტერპრეტაციის საგანი. ძალზე სამწუხაროა, რომ ილიას ცხოვრებასა და შემოქმედებაზე დღემდე არა გვაქვს იმდაგვარი ჟანრისა და ღირსების ნაწარმოები, როგორიცაა ლევან ასათიანის ბიოგრაფიული რომანი აკაკი წერეთელზე, ან ვახტანგ ჭელიძისა — ივანე მაჩაბელზე, ან ელგუჯა მაღრაძისა — გრიგოლ ორბელიანზე თუ დავით გურამიშვილზე. ამით მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ილია ჭავჭავაძეზე სხვადასხვა ჟანრისა და მიზანდასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხულების წიგნების შექმნა საშური, აუცილებელი საქმეა. ამდენად, სავსებით გასაგებია ის ინტერესი და, აქვე წინასწარ დავსძენ, კმაყოფილების გრძნობაც, რასაც აღგვიძრავს კიდევ ერთი ახალი, აკაკი ბაქრაძის წიგნი ილიაზე.

აკაკი ბაქრაძე ცნობილი ლიტერატორია. მისი წერილები თუ წიგნები, როგორც წესი, მკითხველის ყურადღებას იმსახურებს. აქ ზოგადად უნდა გამოვთქვა ჩემი შთაბეჭდილება, რომ მისი დამოკიდებულება მწერლობისადმი უფრო გონებისმიერია, ვიდრე ემოციური. ამასთანავე, მას აშკარად ემარჯვება ანალიტიკური განსჯა-შეფასება. ამიტომ, აკაკი ბაქრაძის ნაწერებში მთავარია აზრის ლოგიკური განვითარება, დამაჯერებლობა და არა მისი გამოხატვის ელეგანტურობა.

ეს, მე მგონი, ამ წიგნშიც ნათლად ჩანს. თუმცა, აქ ისიც შეინიშნება, რომ ავტორის სტილს დაეტყო პუბლიცისტური გზნებაც და ემოციური სითბოც. ეს, უნდა ვიგულისხმოთ, თავად ილიას პიროვნებამ, მისმა მამულიშვილობამ და ამ ასპექტში მწერლის მხატვრული შემოქმედების განხილვამ განაპირობა.

ილია ჭავჭავაძის ცხოვრება და შემოქმედება ორგანულ კავშირშია მისი დროის მთავარ მოვლენებთან და პრობლემებთან, რა მასშტაბითაც არ უნდა ავიღოთ — საქართველოს, რუსეთის იმპერიის, თუ მსოფლიოსი. პიროვნული და ეროვნული თავისუფლების პრობლემა მაინც ყველაზე მთავარია მისთვის და აკაკი ბაქრაძეც კარგად, მართებული პოზიციიდან აანალიზებს ამას.

მიუხედავად იმისა, რომ წიგნის თითოეული თავი კერძო საკითხსა და ერთ კონკრეტულ ნაწარმოებს ეძღვნება, ისინი მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან, რადგან საბოლოო ჯამში ავტორი ყველგან ილიას მთავარ სათქმელს, მრწამსს ეძიებს. ამისი მოძიება თითქოს ძნელი საქმე არ უნდა იყოს, იგი აშკარაა და თვალნათლივი, რაკი ყველა და ყველაფერი ეროვნულ მრწამსს ერწყმის და ემორჩილება. მაგრამ მკვლევარისათვის მთავარია არა იმდენად „რა“, რამდენადაც — „როგორ“. ის რამდენიმე ასპექტიც, რომლითაც განიხილავს იგი ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ერთ ნაწილს, მას სწორედ ამგვარი განზოგადების საშუალებას აძლევს.

აკაკი ბაქრაძეს თავისი ლოგიკური მსჯელობით იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ილიას რწმენით „ზნესრული ადამიანი, ანუ საქმით მეტყველი სული, რომელსაც სიყვარული უნათებს გზას“, არის ის ძალა, რასაც შეუძლია მხოლოდ ერისა და ქვეყნის გადარჩენა და აღორძინება. შეუძლებელია არ ვერწმუნოთ ამაში აკაკი ბაქრაძეს.

ცხადია, ეროვნული და სოციალური პრობლემები მჭიდროდ უკავშირდებოდა ილიასდროინდელ საქართველოში ერთმანეთს. ეს ილიამ კარგად იცოდა და მშვენივრად გამოხატა კიდეც თავის შემოქმედებაში, მხატვრულშიც და პუბლიცისტურშიც, მაგრამ ამაზე ბევრი თქმულა და აკაკი ბაქრაძეს ახლა უფრო სხვა ასპექტი აინტერესებს; ესაა, იმავ ილიას სიტყვებით გამოხატული, „ზნესრული ადამიანის“, ანუ „საქმით მეტყველი სულის“ ასპექტი.

აზროვნებისა და მოქმედების ერთობლიობა, აზრის საქმედ ქცევის, ანუ ხორცშესხმის გზაა მთავარი ილიასათვის, — ახსნის აკაკი ბაქრაძე და ილიას მთელი შემოქმედება და მოღვაწეობა, თუ მხოლოდ ამ წიგნში მოხმობილი მასალაც, მართლაც, ამ დასკვნასაც სარწმუნოს ხდის.

წიგნში არაერთ საინტერესო კერძო დაკვირვებას თუ განზოგადებულ აზრს ამოვიკითხავთ, რომელთა მინიშნება თუ გადმოცემა შორს წაგვიყვანს. ჩემი აზრით, განსაკუთრებით საინტერესოა ის თავები, სადაც „კაცია — ადამიანი?!“ და „ოთარაანთ ქვრივია“ განხილული. მაგრამ, ამასთანავე ერთად, ზოგი მოსაზრება, ვფიქრობ, საეჭვო ან საკამათო უნდა იყოს. ამაში მოულოდნელი არაფერია და ეს წიგნის ღირსებას მართლაც რომ არ ლახავს.

რადგან ამ წერილს პირველი შთაბეჭდილებით ვწერ, შენიშვნებს მათი მნიშვნელოვანების მიხედვით კი არა, იმ თანმიმდევრობით გადმოვცემ, როგორადაც აღმეძრა წიგნის კითხვის დროს.

როგორც ვთქვი, აკაკი ბაქრაძის ნარკვევებს ილიას მთელი შემოქმედების, ან თუნდაც რომელიმე საკითხის ამომწურავი გაშუქების პრეტენზია არა აქვს. მაგრამ ზოგან ეს პრინციპი დარღვეულია და ამას თავისი შედეგიც მოსდევს.

ავტორი პოეზიისადმი მიძღვნილ თავში „ქართვლის ბედის მძებნელი“ ილიას ლირიკული გმირის ზნეობრივ სახეს არკვევს და ამ გზით მიდის მისი მამულიშვილური და მოქალაქეობრივი აქტივობის აღიარებამდე, „ზნესრული ადამიანის“ ყოვლისმომცველ ფორმულამდე. ამისათვის მას სულაც არ სჭირდებოდა ილიას პოეზიის ეტაპების დადგენა და დახასიათება. მაგრამ მაინც შეეხო ამ საკითხს და, რაკი ეს მისთვის მთავარი და აუცილებელი არ იყო, მე მგონი, ცოტა ნაჩქარევი, დაუსაბუთებელი და წინააღმდეგობრივი დაკვირვებები შემოგვთავაზა.

აკაკი ბაქრაძე ასე იწყებს ამ თავს:

„როცა ილია ჭავჭავაძის ლირიკას თავიდან ბოლომდე გადაავლებ თვალს, პირველი შეხედვით მოულოდნელი სურათი დაიხატება. მისი ჭაბუკობის პერიოდის ლექსები სავსეა უიმედო, სასოწარკვეთილი, სევდიანი განწყობილებებით. მერე ეს იცვლება სატირული, მამხილებელი, მოურიდებელი დამოკიდებულებით და ბოლოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავრდება დინჯი, დაჯერებული, მტკიცე რწმენით“ (გვ. 5).

ეს შეიძლება ავტორისათვის სასურველი სქემა იყოს, მაგრამ არა მგონია რეალურ ვითარებას წარმოსახავდეს. ამ სქემით, რაკიღა იგი წიგნში უდავო ჭეშმარიტებადაა გამოცხადებული, ილიას ბოეზია აკაკი ბაქრაძისათვის გამორჩეულია სხვათაგან.

„ჩვეულებრივ ადამიანი, — განაგრძობს ა. ბაქრაძე, — აღტაცებული და იმედით სავსე იწყებს შემოქმედებით ცხოვრებას. მერე თანდათან იფერფლება ანთებული ცეცხლი. სიცივე და სუსხი მატულობს. მოახლოებული სიბერე და სიკვდილი კი საბოლოოდ ნერგავს უსასოობის გრძნობას და ყველაფერს არსებობის დამთრგუნველი აჩრდილი ეუფლება. ილიასთან კი პირიქით არის. ასაკმა და დრომ მას მხნეობა და იმედი უფრო განუმტკიცა. ვიდრე შიში და უიმედობა“ (გვ. 5).

საერთოდ უნდა ითქვას, რომ პოეტის განწყობილებები და მისი ლირიკის (თუ ზოგადად შემოქმედების) მოტივები ერთ გარკვეულ, მითუმეტეს ასაკობრივი ზრდით განპირობებულ ტრაფარეტს არ ექვემდებარება; იგი უფრო საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების გავლენით იქმნება, ყალიბდება და მონაცვლეობს. ამიტომ, იმის სარწმუნო მაგალითებიც მრავლად მოიპოვება მწერლობის ისტორიაში, როცა „ადამიანი აღტაცებული და იმედით სავსე იწყებს შემოქმედებით ცხოვრებას“ და „მერე თანდათან იფერფლება ანთებული ცეცხლი“ და იმისიც — როცა პირიქით ხდება, „სასოწარკვეთილი. სევდიანი განწყობილებით იწყებს“ და მხნედ ამთავრებს. ამას დავუმატებდით ისეთ გავრცელებულ შემთხვევებს, როცა სასოწარკვეთილი იწყებს და სასოწარკვეთილივე ამთავრებს, ან იმედიანი იწყებს და იმედიანი ამთავრებს და ასე შემდეგ.

ასე რომ, არა მგონი, ამ თვალსაზრისით ილიასთან რაიმე „მოულოდნელი სურათი“ იხატებოდეს.

აკაკი ბაქრაძე, როგორც ვნახეთ, წერს: „ჩვეულებრივ ადამიანი აღტაცებული და იმედით სავსე იწყებს შემოქმედებით ცხოვრებას“... (ეს ციტატი ზემოთ უკვე მოვიტანე).

ზუსტად მომდევნო აბზაცში კი ამის საწინააღმდეგო მოსაზრებას გვთავაზობს: „ადამიანებს, საერთოდ, სჩვევიათ სოფლის სამდურავი, ჩივილით, ვიშ-ვიშით პრანჭიობა და გონებრივი სიღრმის მოჩვენებითი დემონსტრაცია. ამ ტრაფარეტულ სულიერ მდგომარეობას ადამიანი ყმაწვილკაცობაში ადვილად ემორჩილება. ბუნებრივია, ეს მორჩილება არც ილიას ასცდენია“ (გვ. 5-6). მაშ რომელი მდგომარეობა ყოფილა ახალგაზრდობისათვის „ჩვეულებრივი“ და „ტრაფარეტული“: „აღტაცებული და იმედიანი“, თუ „ჩივილითა და ვიშვიშით გაპრანჭული?“ წინააღმდეგობრიობა ავტორის მსჯელობაში, ვფიქრობ, თვალნათლივი უნდა იყოს.

ან კიდევ: „ეს მორჩილება არც ილიას ასცდენიაო“, რომ წერს ავტორი, ცხადია, იგულისხმება, რომ მისი სიჭაბუკის ლექსებშიც არის გამჟღავნებული ეს „ტრაფარეტული სულიერი მდგომარეობა“. რომელიც ავტორისავე თქმით, ხასიათდება „ჩივილით, ვიშვიშით პრანჭიობით“, „გონებრივი სიღრმის მოჩვენებითი დემონსტრირებით“. მომდევნო გვერდზე კი აკაკი ბაქრაძე ამავ ლექსების წყალობით ილიას სულ სხვაგვარად წარმოგვიდგენს: „მიუხედავად ნაცნობი და გავრცელებული მოტივებისა, ამ ლექსებში აშკარად ჩანს შინაგანი ენერგიით სავსე კაცი. საერთო განწყობილებაში იკითხება ბრძენის სკეფსისი, რომელსაც, ცხადია, არაფერი აქვს საერთო წუწუნთან“ (გვ. 7).

აკაკი ბაქრაძის რომელი მოსაზრება ვირწმუნოთ, ის, რომ ილია ემორჩილება „ყმაწვილკაცობის“ „ტრაფარეტულ სულიერ მდგომარეობას“ და მოწუწუნეა, თუ ის, რომ იგი პირველსავე ლექსებში „ბრძენის სკეფსისს“ ვამოხატავს, რასაც „არაფერი აქვს საერთო წუწუნთან“?

შევეშვათ ამ წინააღმდეგობების ძიებას, ეს არც ამ წიგნშია მთავარი და არც ჩემს მიზანს წარმოადგენს. ამით უბრალოდ იმის თქმა მინდოდა, რომ აკაკი ბაქრაძეს არ სჭირდებოდა ყოველივე ამაზე ლაპარაკი, ეს მხოლოდ „ლირიკული წიაღსვლებია“ მის წიგნში და ალბათ მან გამოიწვია უზუსტობანი თუ აზრთა წინააღმდეგობრიობა.

მთავარი მაინც სხვაა.

ბრძენის სკეფსისით იყო, თუ ყმაწვილკაცობის მორჩილებით, მთავარი ისაა, რომ აკაკი ბაქრაძისათვის ილიას „ამ (ანუ ადრინდელ, ჭაბუკობისდროინდელ, გ. გ.) ლექსებში ყველაფერია — უნუგეშობა, მარტოობის სევდა, უიმედობა, განწირულება — მაგრამ არ არის ილიას სულის ნამდვილი თვისება და ბუნება, რაც მალე ასე მკაფიოდ გამოვლინდება მის შემოქმედებაში“.

ავტორი ასახელებს კიდეც ამ ლექსებს და ციტატებიც უხვად მოაქვს. აი ეს ლექსებიც: „ხანთელი“, „ვაი მას — ვისაც...“, „ოჰ, სად არიან...“, „მწუხარება“, „დაბნელდა სული...“, „ლოცვა“ („ოდეს დემონი...“ გ. გ.), „ელეგია“, „მას აქეთ, რაკი...“ და სხვა. ეს ლექსებიო, გვეუბნება ავტორი, 18-20 წლის ასაკშიაო შეთხზული და აქ ჯერ კიდევ არ ჩანსო „ილიას სულის ნამდვილი თვისება და ბუნება“, რაც „მალე ასე მკაფიოდ გამოვლინდება მის შემოქმედებაში“, ანუ გამოვლინდებაო მომდევნო წლების ლექსებში.

სინამდვილეში ეს ლექსები ილიამ 20-24 წლის ასაკში დაწერა და თუ ასე ცალმხრივად არ შევარჩევთ ლექსებს და იმავე პერიოდის მის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა უამრავ ლირიკულ ნიმუშებსაც გავიხსენებთ, ვფიქრობ, ცხადი გახდება, რომ ილიას სულის თვისება და ბუნება იმ დროს უკვე გამოვლენილი იყო, რომ მისი ლირიკა სევდის უიმედობის, განწირულების გარდა სიხარულსაც, იმედსაც და მოქმედებისაკენ მოწოდებასაც, ერთი სიტყვით, ილიას მრწამსსაც გამოხატავდა.

აკაკი ბაქრაძის მიერ ციტირებული ლექსები დაწერილია 1857-61 წლებში. ამავ წლებშია დაწერილი: „გაზაფხული“ (1858), ჩიტი“ (1858), კვლავ „გაზაფხული“ (1861), ლაღი და ხალისიანი ხილვებით სავსე ლექსები, სადაც თავისუფლება და სიყვარული უპირველეს მოწოდებად, ბუნების კანონად არის გამოცხადებული; აგრეთვე უამრავი სატრფიალო ლექსი, მათი ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანს, სადაც „განსხვავებით ბარათაშვილისაგან... წუთიერი და მარადიული, ხორციელი და სულიერი შეურიგებელ უკიდურესობებად აღარ წარმოგვიდგება“ (გ. ასათიანი).

აიღეთ თუნდაც „ლოთის რჩევა“ (1858), რომელიც აშკარად ეპიგონურია, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესო ისაა, რომ სევდის, უიმედობის და განწირულების ნასახიც კი არ არის აქ და იგი სწორედ ამქვეყნიური ცხოვრებით ტკბობის აპოლოგიაა.

„დაე თუნდ მოვკვდე...“ (1858) და „ჩემი თარიარალი“ (1858), ერთი თუმცა ბარათაშვილის მოტივებს გვაგონებს, მეორეს კი პირდაპირ აქვს მიწერილი „მიბაძვა ალ. ჭავჭავაძისადმი“, მაგრამ საგულისხმო ისაა, რომ ორთავე მოქმედების, თავგანწირვის, თანამშრომლობის იდეის, ძმობისა და სიყვარულის, იმედისა და რწმენის პოეტური გამოხატულებაა.

შემდეგ „ქართველი სტუდენტების სიმღერა“ (1860) სავსეა პატრიოტული და მოქალაქეობრივი მოტივებით; „მუშა“ (1860) სოციალური სიმახვილით, მშრომელისადმი ღრმა თანაგრძნობით სავსე ლექსია...

კიდევ, რაც მთავარია, განა ამავ წლებში არ არის დაწერილი ქართული კლასიკური პოეზიის შესანიშნავი ნიმუშები „ყვარლის მთებს“ (1857) „გუთნის დედა“ (1858), „ქართვლის დედას“ (1858), „ნანა“ (1859), სადაც ასე აშკარად ჩანს სწორედაც „ილიას სულის ნამდვილი თვისება“, ასე ძალუმად სცემს მისი პოეზიის პულსი, ასე ხმამაღლა ისმის მოწოდება ერის სამსახურისაკენ?

და ბოლოს, 1860 წელსვეა დაწერილი ილიას „პოეტი“, ლექსი, სადაც ილიას პოეტური მრწამსი პირდაპირ და ასე ძლიერად არის გაცხადებული, რომელსაც თავად აკაკი ბაქრაძეც საკუთარი ინტერპრეტაციის დასამტკიცებლად იყენებს შემდგომ.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ წიგნის ავტორი ლექსების დაწერის თარიღებ[illegible]ანიშნებს, ასეთ ვითარებაში კი, ნებსით თუ უნებლიედ, შესაძლებელი ხდება ფაქტების აღრევა და სასურველი დასკვნების გამოტანა.

ასე რომ, აკაკი ბაქრაძეს ცალმხრივად, მიკერძოებულად აქვს შერჩეული ილიას ლექსები იმ მიზნით, რომ საკუთარი მოსაზრებები სარწმუნო გახადოს. ამას გარდა, ვერ დავეთანხმებით ავტორს მის მიერვე მოხმობილი ზოგიერთი ლექსის ინტერპრეტაციაში. ასე მაგალითად, „ელეგიის“ საყოველთაოდ ცნობილი სტრიქონების („ოხ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი, როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!“) ციტირების შემდეგ იგი პათეტიკურ შეკითხვას გვისვამს: „განა სალათას ძილით შეპყრობილი ქვეყნის ხილვა რაიმე ნუგეშს ან იმედს მოჰგვრიდა (პოეტს, გ. გ.)?“ ასე ერთი ხელის მოსმით ილიას მოქალაქეობრივი ლირიკის ეს შესანიშნავი მარგალიტი მან უიმედობის და სულიერი დაცემულობის ნიმუშად წარმოგვიდგინა. ან კიდევ, ლექსი „მესმის, მესმის“, თავისუფლების ეს დიდებული ჰიმნი აკაკი ბაქრაძეს მოაქვს წიგნში იმის ნათელსაყოფად, თუ რა განსაზღვრავდა „ილიას სულის ნამდვილ თვისებას“, მაგრამ იმას კი აღარ ეუბნება მკითხველს, რომ ეს ლექსი სწორედ იმ წლებში (კერძოდ, 1860 წელს) დაწერილი, როცა მისი დასკვნით ილია უიმედობით, სევდითა და განწირულებით იყო შეპყრობილი.

აკაკი ბაქრაძემ სცადა დაერღვია ის შეხედულება, რომელიც ილიას ადრინდელ პოეზიაზე მკაფიოდ იყო ჩამოყალიბებული და საკუთარი მოსაზრება წამოაყენა. მაგრამ, მე მგონი, მისი დასკვნა დამაჯერებელი არ უნდა იყოს, რადგან ლექსების მხოლოდ ერთი ნაწილის მოტივებსა და განწყობილებებს ემყარება. ილიას ადრინდელი ლირიკის მთლიანი და საფუძვლიანი ანალიზით სარწმუნოდ ჩანს მოსაზრება, რომელიც გურამ ასათიანმა ასე ჩამოაყალიბა:

„როგორც ჩანს, ჭაბუკი ილიას ლიტერატურული ცოდნისა და ინტერესების სფერო საკმაოდ ფართო ყოფილა და მან, ამ დროს, ყმაწვილური ერთგულებით გადაუხადა ხარკი სხვადასხვა წარმოშობის ლიტერატურულ გატაცებებს.

მაგრამ, უკვე პოეტის ამდროინდელ შემოქმედებაში ძნელი არ არის იმის შემჩნევაც, თუ როგორ თანდათან იკვეთებოდა, ძლიერდებოდა და ფრთებს ისხამდა მთავარი თემა, მთავარი მიმართულება მისი პოეზიისა“ („ვეფხისტყაოსნიდან ბახტრიონამდე“ გვ. 274).

აკაკი ბაქრაძე საგანგებოდ აანალიზებს ილიას ორ ლექსს: „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით ანუ საქართველოს ისტორია მეცხრამეტე საუკუნისა“ და „ბედნიერი ერი“, ამასთან დაკავშირებით ავტორს ერთი უზუსტობა მოუვიდა. იგი წერს: „როცა ამ ლექსს („ბედნიერ ერს“ გ. გ.) წერდა, ილია 44 წლის იყო. 20 წელიწადი იყო გასული იმ დღიდან, რაც მან კითხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახვა—„როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას?“ (გვ. 23). ორივე ლექსი კი დაწერილია 1871 წელს და, მაშასადამე, ილია მაშინ მხოლოდ 34 წლისა იყო, იმ კითხვების დასმიდანაც სულ 10 წელი იყო გასული. ეს აშკარად მექანიკური შეცდომაა. აქ ბევრად უფრო საგულისხმო ისაა, რომ წიგნის ავტორი, სამართლიანად აღნიშნავს ამ ლექსების დიდ მნიშვნელობას ქართველი ერის გამოსაფხიზლებლად.

მართალი სიტყვა ყოველთვის სჭირდება ხალხს, განსაკუთრებით კი ძნელბედობის ჟამს, რადგან სენისაგან განსაკურნავად პირველი და აუცილებელი დიაგნოზის დასმაა. ილია ჭავჭავაძემ თავს იდო ეს მძიმე მისიაც, დაუნდობელი და მწარე სიტყვები პირში უთხრა თავის ერს, რათა გამოეფხიზლებინა იგი და მისი მთვლემარე სულიერი ენერგია აემოქმედებინა. ამას მარტო გაბედულება არ ეყოფოდა, ამისათვის თავგანწირვა იყო საჭირო და ილიამაც უყოყმანოდ მიიღო გადაწყვეტილება. ჩვენ ვიცით რა რეაქციაც მოჰყვა დიდი მამულიშვილის ამ პირველსავე მართალ სიტყვებს, როგორ ვერ გაუგეს, ან არ გაუგეს მას. თავად ილიას მოუხდა საკუთარი პოზიციის პოეტური განსჯა, ახსნა და გამართლება საყოველთაოდ ცნობილ ლექსში „ჩემო კალამო, ჩემო კარგო...“ (1861). ამ ლექსის ავტორისაგან უკვე აღარ იყო მოულოდნელი „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით“ და „ბედნიერი ერი“.

„ყოველგვარი პირმოთნეობა, გუნდრუკის კმევა, ცრუ ხოტბა-დიდება ღალატს უდრიდა“ — წერს აკაკი ბაქრაძე (გვ. 23), — და ეს მართლაც ასე იყო. მაგრამ ბევრს არ ესმოდა ეს თითქოს უბრალო ჭეშმარიტება და ილიამ, ქართველი ერის ამ დიდმა ჭირისუფალმა და მოძღვარმა მამხილებელი მხატვრული თუ პუბლიცისტური სიტყვით დაუნდობელი და მწარე სიმართლე უთხრა თავის მრევლს. მაგრამ აკაკი ბაქრაძემ ისეთი რამ მიაწერა ილიას, რაც მას არ შეეძლო ერწმუნა და ეთქვა.

აკაკი ბაქრაძის თქმით, ილიამ „ანატომის გულგრილობით დადო საოპერაციო სარეცელზე საქართველოს ეროვნული სხეული. არ დაუტოვებია კუნჭულიც კი შეუმოწმებელი. შეისწავლა და დასვა თავზარდამცემი დიაგნოზი“ (გვ. 21). ეს დიაგნოზი „ბედნიერი ერია“ და წიგნის ავტორს მთლიანად მოაქვს მისი ტექსტი.

სხვა ადგილას წიგნის ავტორი გვარწმუნებს, რომ „საქართველოს ეროვნული კატასტროფის“ თავისუფლების დაკარგვის მიზეზები „ილიამ პირველმა გამონახა... ყველაზე მტკივნეულ და სათუთ ადგილას—ნ ა ც ი ი ს ს უ ლ ი ე რ წ ყ ო ბ ა შ ი (ხაზი ავტორისაა. გ. გ.). ამ უფსკრულში ჩახედვამ, შესწავლამ, ანალიზმა ილია უმძიმეს დასკვნამდე მიიყვანა. იგი მან მკაცრად და დაუნდობლად გამოთქვა სატირულ ლექსში „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით...“ (გვ. 18).

მაშ ასე, თუ აკაკი ბაქრაძეს ვერწმუნებით, ილიას საქართველოს ეროვნული სხეული, მისი ყოველი ნაწილი თუ „კუნჭული“ გახრწნილად წარმოედგინა, ხოლო მისი სული — უფსკრულად, სადაც სინათლის სხივი არ აღწევს, რის გამოც „ჭირისუფლის უკურნებელ სევდას“ (გვ. 23) შეეპყრო პოეტი.

ეს რომ მართლაც ასე ყოფილიყო, რაღას შეალევდა ილია ამ უნაყოფო და უიმედო საქმეს მთელ თავის ცხოვრებას, ნიჭსა და ენერგიას? თუ საქართველოს „ეროვნულ სხეულს“ ერთი უჯრედიც არ ქონდა სიცოცხლისუნარიანი და მთლიანად გახრწნილიყო, თუ ეროვნული თავისუფლების დაკარგვის მიზეზი თავად ერის სულიერი წყობით აიხსნებოდა, უგუნურება არ იქნებოდა მასზე ზრუნვა? მაშ რაღად და რისთვის ირჯებოდა და ილვწოდა ილია, რა ამოძრავებდა მას? ამდაგვარი კითხვები ძალაუნებურად მოგვეძალება, თუკი აკაკი ბაქრაძის დაკვირვებებსა და დასკვნებს დავიჯერებთ.

არადა, ერთი შეხედვით, თითქოს მართლაც ასეა. გავიხსენოთ რა სიტყვებით ამკობს და ახასიათებს ქართველ ერს ილია თავის ლექსში: უჩინარი, ქედდრეკილი, ქვემძრომელი, ყოვლად მთმენი ვით ჯორ-ცხენი, ნახედნი, ყველა მუნჯი, ყველა ყრუი, ყველა ცრუი, ყველა ფლიდი, ცუღლუტი და მანკიერი, მტვერწაყრილი, ყოვლად უქმი, უდიერი, გზამრუდი, არ გამტანი, ცბიერი, მტრის არმცნობი, მოყვრის მგმობი, მხდალი, არ რის მქონე, არ რის მცოდნე...

მეტის თქმა მართლაც არ შეიძლება.

მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს „ანატომის“ დასკვნა კი არა, პოეტის დახასიათებაა. პოეტური სიტყვა კი მითუმეტეს სატირული, გაზვიადების, გამძაფრების, სათქმელის უკიდურესობამდე გაშიშვლების გარეშე წარმოუდგენელია. ქართულ ეროვნულ სხეულს, მართლაც უამრავი წყლული გასჩენოდა, მაგრამ მისი განკურნვის უეჭველმა იმედმა და მოწადინებამ ათქმევინა ილიას ეს თითქოს სრულიად უიმედო, თავზარდამცემი დახასიათების სიტყვები.

კიდევ უფრო მიუღებელია აკაკი ბაქრაძის დასკვნა „ეროვნული კატასტროფის“ მიზეზებზე. ილიას კიდეც რომ ერწმუნა, რომ საქართველოს თავისუფლების დაკარგვის მიზეზები „ნაციის სულიერ წყობაშია“ მოსაძიებელი, ავტორი არ უნდა დასთანხმებოდა მას, რადგან მონური სულის ერი, ან მანკიერი სულიერი წყობის ერი, რაც განაპირობებდა მის მონურ მდგომარეობას, შეუძლებელია არსებობდეს და „ეროვნულ კატასტროფებს“ ძირითადად ისტორიული განვითარების პროცესები და გარემოებები განაპირობებენ. ილიამ ეს მშვენივრად იცოდა და ამდაგვარი აზრების თუ რწმენის მიწერა მისთვის არ უნდა იყოს მართებული.

ეს მარტო განყენებული მსჯელობით როდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტკიცდება. ილიას რომ სწამდა თავისი ხალხისა და მისი სულიერი წყობისა, ეს მის შემოქმედებაშიც თვალნათლივ გამჟღავნდა, სადაც მან უამრავი განზოგადებული სახე დაგვიხატა და გაგვიხსნა კეთილშობილებით სავსე, ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღი ადამიანებისა — ქართვლის დედებისა და გუთნის-დედებისა, ძალადობის წინააღმდეგ ამხედრებული პიროვნებებისა თუ სიკეთით სავსე და გახსივოსნებული მშრომელებისა.

წიგნის მომდევნო თავები — „არაფრობის უარყოფა“ და „საქმით მეტყველი სული“ — შედარებით ნაკლებ იწვევენ შენიშვნებს. როგორც ზემოთ აღვნიშნე, აქ განხილულია „კაცია-ადამიანი?!“ და „ოთარაანთ ქვრივი“ და ავტორისეული ანალიზი ამ მოთხრობებისა უთუოდ ორიგინალური და საინტერესოა.

უნდა შევნიშნო, რომ ილიასეულ სიტყვებს შესახებ იმისა, რომ ლუარსაბის ხასიათის და ყოფის უბადრუკობა მისი ქართველობით აიხსნება, ავტორი პირდაპირი მნიშვნელობით იღებს და ამ მოთხრობაში სატირული თვალით დანახულ მანკიერებებს „საერთოქართულ“ მოვლენად მიიჩნევს. აქაც იმდაგვარი ხასიათის შეცდომასთან უნდა გვქონდეს საქმე, რაზეც სატირული ლექსების ანალიზთან დაკავშირებით მივანიშნებდით. კერძოდ, რომ მხატვრულ ნაწარმოებში ყველაფრის პირდაპირი მნიშვნელობით გაგება ყოველთვის როდი გამოგვატანინებს სწორ დასკვნას. ლუარსაბი უპირველესად მისი სოციალური წრის და ყოფის ნაყოფია, და არა ზოგადქართული ბუნებისა. ეს აშკარად ამოიკითხება ამ მხატვრულ ნაწარმოებში.

„ოთარაანთ ქვრივის“ ანალიზის დროს ხშირი მსჯელობა გაუცხოებაზე, მე მგონი, მიზანშეწონილი არ არის. ეს ტერმინი ტექნიკური რევოლუციებისა და ურბანიზაციის ეპოქის ადამიანის გარკვეულ სულიერ მდგომარეობას გამოხატავს და მისი გამოყენება ილია ჭავჭავაძის გმირებთან დაკავშირებით სულ სწორი არ უნდა იყოს.

მანერულად ჟღერს „საქმით მეტყველი სულის“ დამაგვირგვინებელი ფრაზა, სადაც ავტორი ასეთ სკეფსისს გვთავაზობს:

„იქნება კი ოდესმე ასეთი კაცობრიობა? თუ მისი არსებობის მარადიული საფუძველი სრულქმნილის და არასრულქმნილის ბრძოლაა, რომელშიც სრულქმნილს მსხვერპლის როლი აქვს დაკისრებული? თუ მაინც უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ შეუმჩნევლად, ტაატით კაცობრიობა წინ მიდის და იდეალს უახლოვდება? ესეც წყევლა-კრულვიანი საკითხია, რომლის პასუხი ჯერ-ჯერობით არავინ უწყის“. (გვ. 58).

მეტი თუ არა, „ტაატით“ მაინც რომ წინ მიდის კაცობრიობა, ეს, მე მგონი, არავისში არ შეიძლება ეჭვს იწვევდეს. ამიტომ, ეს დღეს აღარ არის წყევლა-კრულვიანი საკითხი და პასუხიც არამცთუ ჯერჯერობით არავინ იცის, კარგა ხანია ცნობილია.

წიგნის ბოლო, მეოთხე თავი „გზა ხსნისა“ ილიას პოემას „განდეგილს“ ეძღვნება. თავისი საკუთარი, განსაკუთრებით ორიგინალური, ღრმად განსხვავებული მოსაზრებებიც სწორედ აქა აქვს გადმოცემული აკაკი ბაქრაძეს. იგი „განდეგილის“ სრულიად ახლებურ გააზრებას გვთავაზობს. მიუხედავად იმისა, რომ ავტორისეულ მსჯელობას თითქოს ლოგიკურობა არ აკლია და სხვადასხვა წყაროებიც აქ უხვად არის მოხმობილი, დამოწმებული და შეპირისპირებული, მაინც, ჩემი აზრით, აკაკი ბაქრაძის მიერ გონებამახვილურად შეთხზული ვერსია ხელოვნურია და ნაკლებ სარწმუნო.

დიდი ხანია მკვლევარები ერთსულოვნად აღიარებენ იმ ერთადერთ მოსაზრებას, რომ „განდეგილი“ ილიას მთლიანი შემოქმედების ერთი მშვენიერი რგოლთაგანია, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება საერთო პრობლემატიკასა და მიზანდასახულებას, რომ პოემაში მწერალმა მხატვრულად საინტერესოდ და დიდი ოსტატობით გადმოსცა ის სათქმელი, რაც ჯერ კიდევ ჭაბუკობიდან, „მგზავრის წერილებიდან“ აღელვებდა. ესაა ადამიანის დანიშნულების პრობლემა, რომ იგი მოვალეა ცხოვრების დუღილში იწოდეს, მოქმედებდეს და სარგებელი მოჰქონდეს ხალხისათვის და ქვეყნისათვის.

ამ პოემაში ასკეტიზმის ილიასეული გაგება გაცილებით უფრო ფართო მნიშვნელობისაა, ვიდრე რელიგიური. მისთვის ასკეტია ყველა ის, ვინც ცხოვრებისაგან განზე გამდგარა. მოქმედებისა და ბრძოლის მშვენიერ აპოლოგიად ჟღერს „განდეგილი“ და ეს იდეა კიდევ უფრო ნათლად ამოიკითხება პოემაში ილიას მთელი შემოქმედების ფონზე, ილიას მრწამსის გათვალისწინებით. ეს მოსაზრება საკმაოდ არის არგუმენტირებული მკვლევართა მიერ და სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

ამ მოსაზრებასთან შედარებით ნაკლებ სარწმუნო ჩანს აკაკი ბაქრაძის ვერსია იმის თაობაზე, რომ აქ ილია მხოლოდ ქრისტიანულ, ანუ რელიგიურ ასკეტიზმს გულისხმობდა, რომ „ადამიანის ღმერთისაკენ ლტოლვა ორი სახით ხორციელდება, როგორც გრძნობის ხურვილი და როგორც გონების ნება“ (გვ. 67, ხაზი ავტორისაა, გ. გ.) და რაკი „ხორცისა და სულის თანაბარ მშვენიერებას განდეგილი გრძნობის თვალით უყურებდა და არა გონების“ (გვ. 74), ამიტომაც დამარცხდა. აკაკი ბაქრაძის აზრით, ასკეტი იმიტომ კი არ დამარცხდა, რომ ცხოვრებისაგან განდგომა შეუძლებელია და ასეც უნდა მომხდარიყო, არამედ იმიტომ, რომ იგი ვერ ამაღლდა მეორე საფეხურამდე, არ აღმოჩნდა გონებით ძლიერი და ბოლომდე თანმიმდევრული.

„ამრიგად, — ასკვნის ა. ბაქრაძე — „გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევილში“ ილიას გამოყენებული აქვს ცოდვითდაცემის კლასიკური სიუჟეტი. მაგრამ ამჯერად დაცემა გამოწვეულია რწმენის ღალატით. ამდენად „განდეგილი“ რწმენის ტრაგედიაა. რწმენის ღალატი კი შედეგია ადამიანის გაორებისა და ნებისყოფის სისუსტისა“ (გვ. 75, ხაზი ავტორისაა, გ. გ.).

„განდეგილის“ მხოლოდ რელიგიურ ასპექტში წარმოდგენამ წიგნის ავტორი უფრო ფართო განზოგადებამდე მიიყვანა, კერძოდ, რომ „ილიას შემოქმედებაში ქრისტიანობა მიჩნეულია პიროვნებისა და ერის მხსნელ მოძღვრებად“ (გვ. 82, ხაზი ავტორისაა, გ. გ.).

მე მგონი, აქ ბევრად თუ არა, ცოტათი მაინც გაზვიადებულია, ან ცალმხრივადაა წარმოდგენილი ქრისტიანული რელიგიის როლი ილიას შემოქმედებაში და საერთოდ მსოფლმხედველობაში. ილიამ ერი და სამშობლო, მათი სიყვარული და მათთვის თავგანწირვა მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვან რელიგიად გამოაცხადა, მთელი თავისი ცხოვრება სწორედ ამქვეყნიურ საჭირბოროტო პრობლემათა სამსახურს შეალია და სხვებსაც მხოლოდ აქეთ მოუწოდებდა. ამასვე გამოხატავს და ემსახურება პოემა „განდეგილიც“.

აკაკი ბაქრაძის წიგნი „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა“, მიუხედავად ჩემი შენიშვნებისა, რომლებიც ჯერ კიდევ კაცმა არ იცის, რამდენად მართებულია, მიმაჩნია ერთ-ერთ სერიოზულ გამოკვლევად ილიას შემოქმედების ზოგიერთი ასპექტის შესახებ. სხვა ღირსებებთან ერთად, იგი იმითაც არის დასაფასებელი, რომ აზრის მოძრაობას უწყობს ხელს და ღრმად გვაფიქრებს იმ უბერებელ მეშკვიდრეობაზე, რომელიც ჩვენი სულიერი ცხოვრების თანამგზავრია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემზარ კვიტაიშვილი

# გამოსახვის ხერხები ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიაში

ნიკოლოზ ბარათაშვილის მოცულობით მცირე, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანი ლიტერატურული მემკვიდრეობა ამჟამად მრავალი კუთხითაა შესწავლილი და გაანალიზებული. პირველი, ვინც ღირსეული პატივი მიაგო და კუთვნილი ადგილი მიუჩინა მას ქართულ, და არა მარტო ქართულ მწერლობაში, ილია ჭავჭავაძე იყო. ის უდიდესი ხაზოვი, რითაც ილია ბედისაგან თუ თანამოძმეთაგან ულვთოდ განწირული პოეტის შემოქმედებას მიუდგა, „მერანის" ავტორის გენიისა და რაინდული თავდადების პირდაპირი გამოხატულებაა:

„გარდა ამისა, რომ ნ. ბარათაშვილმა განაწმინდავა სიყვარული და სიყვარულში სულიერობას უფრო თაყვანს სცემდა, ვიდრე ხორციელობას, იგი მით იყო უფრო ძლიერი ლირიკაში ალ. ჭავჭავაძესა და გრ. ორბელიანზედ, რომ მისნი გულისთქმანი, მისნი გრძნობანი, მისნი ჭირნი და მწუხარებანი უფრო საყოველთაო, საკაცობრიონი არიან, ვიდრე კერძონი, ვიდრე მარტო მის საკუთარ გულისანი. მისი კვნესა კაცობრიობის კვნესაა, მისი ჩივილი კაცობრიობის ჩივილია, მისი ვერ მიწვდენა სურვილისა კაცობრიობის ულონობაა".

განვლილმა დრომ მეტი ძალმოსილება და დამაჯერებლობა მიანიჭა ამ სიტყვებს, შთამომავლობა მოწმე გახდა, დაგვიანებული დიდების შუქმა რა ძალით გაანათა ღვთაებრივი სახე სულიერი ობლობით, კაცთა გულგრილობითა და განუკითხაობით განაწამები პოეტისა.

ილია ძვირფასი წინამორბედის მთელ სულიერ წყობას, აზროვნების მანერას, მასშტაბურობას, „ცხოვრების წყაროს" წმინდა სათავისაკენ მის დაუოკებელ ლტოლვას ითვალისწინებს, როცა წერს: „...ნ. ბარათაშვილმა ჩვენს აზრს, ჩვენს გულთათქმას, ჩვენს ჭკუაგონებას დიდი განი და სიღრმე მისცა, კაცობრიობის წყურვილს ქართველი კაციც თანამოზიარედ გაუხადა და კაცობრიულ წყურვილის მოსაკლავ წყაროს ქართველიც დააწაფა".

ბარათაშვილი ერთი იმ ჭეშმარიტ შემოქმედთაგანია, ვისი პოეზიაც ყოველი ახალი წაკითხვისას ახალ-ახალ, თითქოსდა მანამდე დაფარულ მოულოდნელ ხილვებს აცოცხლებს, თვალუწვდენელ სივრცეებს გვიშლის, მანამდე გაუხსნელ სიღრმეებს გვიმხელს, რომელთა ბოლომდე წვდომა და რამდენიმე განზომილებამდე დაყვანა თვით მათს ამოუწურავ ბუნებას ეწინააღმდეგება.

ჩვენს ამჟამინდელ მიზანს აღემატება ბარათაშვილისეული გამოსახვის ხერხების, მეტაფორული აზროვნების თავისებურებათა მრავალმხრივი დახასიათება. შევეცდებით, ზოგიერთ ისეთ მოვლენაზე გავამახვილოთ ყურადღება, მის ლირიკაში რამდენადმე მწყობრი სისტემის, გარკვეული კანონზომიერების სახით რომ ვლინდება.

ბარათაშვილის, როგორც ლირიკოსის, უმთავრეს თვისებად აბსტრაგირებული აზროვნებისაკენ, ფილოსოფიური განზოგადებისაკენ მიდრეკილებას მიიჩნევენ. ასეთი ბუნების პოეტს თითქოს ნაკლებად უნდა იზიდავდეს პლასტიკური ხატები, ფიქრისა თუ ხილული მოძრაობის მატერიალურ გარსში მოქცევა, მაგრამ მის

ლექსებზე დაკვირვება ხშირად საწინააღმდეგო სურათს გვიმხელს.

სანიმუშოდ გამოგვადგება ბარათაშვილის ერთ-ერთი პირველი ლექსთაგანი „ქეთევან“, — სადაც ცილისმწამებელთა ავი ენებისაგან დაგესლილი და „გულის-სწორისაგან“ მიტოვებული ყმაწვილი ქალი ქსნის ტალღებში იხრჩობს თავს.

პირველსავე სტრიქონებში ავტორი სწორედ მწვანეში მოჩქრიალე ქსანს გვიხატავს. პეიზაჟს სული აქვს ჩადგმული; ნაპირებზე ჩარიგებული ბუჩქები თითქოს მდინარის რიტმს აჰყოლია:

ზვირთები მოდუდუნებენ,
ჭალები ბ უ ჩ ქ ნ ა რ ე ო ბ ე ნ...

ლექსის განსაკუთრებული ცოდნა არცაა საჭირო, ბოლო სიტყვის („ბუჩქნარეობენ“) არაჩვეულებრივი ექსპრესიულობა რომ ვიგრძნოთ. მოქმედებაში საგნის სიცხადეა გადატანილი, მიღწეულია იშვიათი სინთეზი, როცა სურათი და მოძრაობა ერთ მთლიანობას ქმნის — წყლის გამჭვირვალე ზვირთებში ალმა ატრიალებული, ერთმანეთში ჩახლართული მწვანე ბუჩქები ირეკლება. ეს სიტყვა ორგანულად ზის სტრიქონში, ოდნავადაც არ ტოვებს ხელოვნურობის კვალს, ამ ტიპის ნაწარმოებ ფორმებს რომ ახლავს ხოლმე.

წყლის სტიქია, მდინარის სახე ლექსის ფინალში სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს. ვიდრე ქსნის ტალღებში დაინთქმებოდეს, ქეთევანი თავის დამღუპველს — ბედსა თუ საქმროს — (აქ ერთგვარად ზღვარი იშლება რეალურ ადამიანსა და ბედისწერას შორის) გულმოკლული მიმართავს:

რად დამიჭკნე მე ყვავილი
ყმაწვილობის, ჯერ უშლელი?

საერთოდ, უპასუხოდ დატოვებული კითხვა, ეს თავისებური დიალოგური ფორმა, როცა მეორე პიროვნება აშკარად არ ჩანს, მაგრამ იგულისხმება, ბარათაშვილის არაერთ ლექსს გასდევს. გავიხსენოთ „სულო ბოროტო“, სადაც იმედგაცრუებული პოეტი პასუხს თხოვს აჩრდილივით აღევნებულ სატანას; თუმცა შეკითხვა იქაც რიტორიკული ხასიათისაა, ყველაფერი წინასწარაა გადაწყვეტილი; ვისაც ეკითხებიან, ის ვერაფერს იტყვის. ეს უფრო ბრალდებაა, ნიღაბის ჩამოგლეჯა, ვიდრე რაიმეს გაგების წადილი.

უმანკო არსების დაღუპვის შემდეგ, ლექსის ფინალურ სტროფში, თვით ავტორი კითხულობს, თითქოს ისიც რაიმე პასუხს ელოდება, თუმცა აშკარაა — ადამიანთა უგულობასა და ბოროტებას თვლის იგი ამ საშინელი მსხვერპლის მიზეზად. ეს აზრი თვით შეკითხვაშივეა ჩამარხული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნეტა რა ქარმან დააზრო
მისი ცხოვრების ყვავილი?

ხალხური ხისადავით დამშვენებული ეს გაშლილი სტრიქონი ლაღ სუნთქვასავით იჭრება არქაული ტონით შესამჩნევად დამძიმებულ ლექსში; ამ შთაბეჭდილებას ვერ ანელებს ერთადერთი სიტყვის („ქარმან“) არქაული ფორმა.

საყურადღებოა დიდი ზომიერების გრძნობა, რასაც ბარათაშვილი ეპითეტების შერჩევისას იჩენს და რაც ხსენებულ ლექსშიაც კარგად ჩანს. უმრავლესობა ამ ეპითეტებისა ჩვეულებრივია, ტრაფარეტული („მიმქრქალებული მთოვარე“, „გიშრისა თმანი ნაშალნი“, „სპეტაკი საცმელი“, „უბიწო სიყვარული“, „ქეთევან შაეროვანი“,..), მაგრამ მათი ოსტატური განლაგება თავისას აკეთებს; სასურველ იერსა და ტონალობას აძლევს მთელ ლექსს.

თამამად შეიძლება ითქვას — ეპითეტს, ურომლისოდაც ჩვეულებრივი სასაუბრო მეტყველებაც წარმოუდგენელია, არამცთუ პოეზია, ბარათაშვილი განსაკუთრებულ ფუნქციას აკისრებს. ამ მარტივი და, ამავე დროს, ძლიერი გამომსახველობითი უნარის მქონე ტროპის გამოყენების მხრივ იგი, ძირითადად, ემყარება ჩვენს უძველეს პოეზიას, ტრადიციის, მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების ერთგულია. ბარათაშვილის ეპითეტებში ამაოდ დავუწყებთ ძებნას ვინმეს გასაოცებლად, გამაოგნებელი შთაბეჭდილების მოსახდენად გამიზნულ სიახლეს, მაგრამ ისიც ცხადია — ამ ეპითეტების ურთიერთშეხამება, სიტყვათა შინაგან რიტმზე დამყარებული თანმიმდევრობა თავისებურ, განსხვავებულ ეფექტს ახდენს.

ამჯერად ჩვენ ის შემთხვევები გვაინტერესებს, როცა ერთი საგნის, ერთი მოვლენის გარშემო ეპითეტთა გარკვეული რაოდენობა იყრის თავს. ასეთ დროს ეპითეტი ლექსის ინტონაციის წარმმართველ ძალად იქცევა, მკვეთრად გამოხატული კომპოზიციური დანიშნულება ეძლევა. მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს, როცა ესა თუ ის სტრიქონი საერთო ფუნქციის მქონე სამ ეპითეტს აერთიანებს. გზადაგზა შევეცდებით იმის ჩვენებას, რომ ამგვარი „სამეულები“ უბრალო შემთხვევითობა არ არის და არც მხოლოდ ერთი რომელიმე პოეტის თავისებურებად ჩაითვლება.

ბარათაშვილის ერთ-ერთი ადრინდელი შედევრი „შემოღამება მთაწმინდაზედ“ იწყება პოეტის საყვარელი მიმართვის ფორმით, რითაც ობიექტთან პირდაპირი, უშუალო კავშირი მყარდება. სურათი რომ ნათელი იყოს და ზემოთ გამოთქმული თვალსაზრისით უფრო სარწმუნო გახდეს, ხსენებული ლექსიდან დასაწყისი ორი სტრიქონის ამოწერაც კმარა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოი მთაწმინდავ, მთაო წმინდავ, ადგილნი
შენნი
დ ა მ ა ფ ი ქ რ ე ე ლ ნ ი, ვ ე რ ა ნ ა ნ ი და
უ დ ა ბ უ რ ნ ი...

პირველ სტრიქონში ტავტოლოგია (მთაწმინდავ, მთაო წმინდავ...) თითქოსდა ტოპონიმის ეტიმოლოგიურ მხარეზე რომ მიგვანიშნებს, სინამდვილეში ფრაზის ინტონაციურად გამოკვეთას ემსახურება, მთავარ სიტყვა-ხატზე აკეთებს აქცენტს.

პოეტის მიზანია დახატოს მთაწმინდის შემოგარენი, საკრალური კუთხე, სადაც მას განმარტოება და ფიქრი უყვარდა. მომდევნო სტრიქონში მიყოლებით ლაგდება სამი სიტყვა, სამი ეპითეტი, ერთ წერტილზე მიშუქებული.

რიტმი საგანგებოდაა შენელებული; ხუთმარცვლიან, მეწინავე ეპითეტს („დამაფიქრეელნი“) მოსდევს „და“ კავშირით გადაბმული დაახლოებით მსგავსი შინაარსის ორი ოთხმარცვლიანი ეპითეტი („ვერანანი“, „უდაბურნი“...), რითაც თოთხმეტმარცვლიანი სტრიქონი ხაზგასმულ ეპიკურ სიდინჯეს იძენს, იქმნება სამყაროს იდუმალებათა ფილოსოფიური ჭვრეტის განწყობილება.

ბარათაშვილმა პირველად ამ ლექსში მოახდინა ბესიკური (თოთხმეტმარცვლიანი) და ფისტიკაური (ოცმარცვლიანი) საზომების შეჯვარება, რამაც საუცხოო ნაყოფი გამოიღო, რიტმული ვარიაციების ფართო შესაძლებლობანი გამოავლინა, ხოლო „მერანში“ ეს ბედნიერი ექსპერიმენტი საბოლოოდ დაგვირგვინდა.

ამავე ლექსში კიდევაა ერთი ადგილი, სადაც საკუთრივ მთაწმინდას კვლავ სამი ახალი ეპითეტი უკავშირდება; ერთ მთავარს, მუდმივს, მოსდევს ორი თანაბარი ძალისა და ღირსების ეპითეტი. ეს სტრიქონიც მთლიანი მიმართვაა:

მთაო ც ხ ო ვ ე ლ ო, ხან მ ც ი ნ ა რ ო, ხან
ც რ ე მ ლ ი ა ნ ო...

სამივე ეპითეტი გრძნეული მთის დასრულებულ სურათს ხატავს — ყოველი მომენტი გათვალისწინებულია და დანახული — მამადავითის წმინდა კალთებს დარსა თუ ავდარში ნათლის სვეტად დაშვებული ცხოველი შუქი ადგას.

ეპითეტთა ამგვარივე წყობა გვაქვს პოეტის სხვა ლექსშიც („ღამე ყაბახზედ“), სადაც დასაწყის ორ სტრიქონში მაისის უმთვარო ღამეა დახატული:

მიყვარს ყაბახის არემარე, თვალად საამო,
მაისის ღამე, მ ი ბ უ ნ დ ვ ი ლ ი, გ რ ი ლ ი
დ ა ა მ ო...

აქაც, უმთავრეს, ვიზუალურ ეპითეტს („მიბუნდვილი“), უმთვარო ღამის სიბნელესა და იდუმალებას რომ გამოხატავს, ახლავს ორი ტოლფასოვანი, ერთნაირი ემოციური [illegible] შეგრძნებისნიერი ეპითეტი („გრილი“, „ამო“...), თითქმის სინონიმური წყვილი. საგულისხმოა, რომ თვით საგანი, ობიექტი (მაისის ღამე) და მის ნიშანთვისებათა გადმომცემი სიტყვები ერთ სტრიქონშია მოქცეული, ერთმანეთისაგან გამომდინარე ბუნებრივი თანმიმდევრობითაა განლაგებული.

ამავე ლექსში კოპწიად ჩაცმულ ლამაზ ქალთა გულის მოსაგებად დარაზმული ვაჟები სამ კატეგორიადაა გაყოფილი და ეს ადგილიც ვერ იქნებოდა ისე მოქნილი, თუ არა თითო ეპითეტით დახასიათება თითო გუნდისა. საოცრად ცოცხალი სურათია დახატული — ყაბახზე თავშეყრილი ახალგაზრდები თვალებში როგორ შესციცინებენ მომხიბლავ არსებებს:

...და მათ გარშემო შეფრფინვიდენ
ყმაწვილნი კაცნი,
ზოგნი დ ა ბ რ ძ ნ ი ლ ნ ი, ზოგნი ტ რ ფ ი ა ლ
და ზოგნი ა ნ ც ნ ი.

ძნელია ამ სამი ეპითეტიდან რომელიმეს მიანიჭო უპირატესობა, ფუნქციები მათ შორის თანაბრადაა განაწილებული; სწორედ თვითეული მათგანის მეშვეობით იოლად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მოსეირნეთა ცალკეული ჟესტები, ასაკი თუ ტემპერამენტი.

სხვა დეტალებზე ამჯერად აღარ გავამახვილებთ ყურადღებას, ვინაიდან ქვემოთ ამ ნაწარმოებს ისევ დავუბრუნდებით.

მწყობრად ჩარიგებული ეპითეტების იმავე რაოდენობას, რითაც უდიდესი ექსპრესიაა მიღწეული, პოეტი ოსტატურად იყენებს თავის ერთ-ერთ შედევრში — „ხულთ ბოროტო“... იმედებისაგან განძარცული, რწმენადაკარგული ადამიანი, ვისაც აღთქმული ბედნიერებისა და ზღაპრული ოცნებებისაგან აღარაფერი დარჩენია, უკანასკნელად ცდილობს განერიდოს დემონის მომნუსხველ მზერას. ჟამთა ხვლა ვერახოდეს შეანელებს სასოწარკვეთილი კაცის მდელვარე ხმას, საკუთარი თავის დატირებად რომ ისმის:

...რა ვარ აწ სოფლად დაშთენილი, უსაგ-
ნოდ, მარტო,
ჰკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით
მახვრალი?

მართალია, „უსაგნოდ, მარტო“ დარჩენა არაა უმნიშვნელო შტრიხი პიროვნული ტრაგედიის გადმოსაცემად, მაგრამ ძირითადად მაინც, ეს მწუხარე ავტოპორტრეტი ერთ სტრიქონად შეკრულ ბოლო სამ ეპითეტს („ურწმუნო“, „უნდო“, „მახვრალი“) ემყარება.

აშკარაა, ეს სამი ეპითეტი საგანგებოდაა გამოყოფილი, თვითეული მათგანი მჭიდროდაა დაკავშირებული ცალკე ცნებებთან (ჭკუა, გული, სული), რომელთა გარეშეც ამ სტილისტური

ფიგურებს არ ექნებოდა ასეთი გამომსახველობითი ძალა, მძაფრი ზემოქმედების უნარი.1

„სამეულების“ არსებობა ნ. ბარათაშვილის პოეზიაში მარტო ეპითეტებით არ შემოიფარგლება; ემოციის გაძლიერების ამგვარ ფუნქციას პოეტი აკისრებს ზმნებსაც. გავიხსენოთ თავიდან ბოლომდე მიმართვის ფორმით დაწერილი მისი ადრინდელი ლექსი „ჩემს ვარსკვლავს“, რომლის ერთი სტრიქონი სამი ზმნისაგან შედგება:

მოციმციმდი, მოდი, გამომეცხადე...

ეს გულუბრყვილო განწყობილება იმდროინდელია, როცა ყმაწვილ კაცს „ბედის ვარსკვლავი“ ასერიგად უწყალო არ ეჩვენებოდა, ხუხტად, „მიბჟუტავით“, მაგრამ მაინც გამოკრთოდა წაფარებული ნისლიდან. ამიტომაც იყო პოეტის ვედრება ასეთი მხურვალე და დაჟინებული. ერთი უსაზღვრო სურვილით ნასაზრდოები სამი სიტყვა ერთ ლარზეა ასხმული, გაბმულ სევდას გამოსცემს.

გასაოცარ ეფექტს აღწევს პოეტი, როცა ხიმღერად ქცეულ ცნობილ სატრფიალო ლექსში („რომ ბედნიერ ვარ შენთან ყოფნითა“...) ერთი ზმნა სამჯერ არის განმეორებული და ამასაც ერთი გაშლილი სტრიქონი ეთმობა:

არ დაიჯერებ, არ დაიჯერებ, არ დაიჯერებ,
თუ ვით სატრფო ხარ!

ვერავითარი სამკაულები ვერ გადმოსცემდა ასე მძაფრად იმ ზღვარდაუდებელ ტრფობას, პოეტის ცეცხლოვან გულს რომ ვერ დაუტევია. ცხადია, აქ არ არის უბრალო ტავტოლოგია. სიტყვათა სამჯერადი განმეორება რიტმის გაძლიერებას, ემოციის უკიდურესად გამოხატვას ემსახურება. არც ისაა შემთხვევითი, ლექსი რომ სამ ნაწილად იყოფა. სამსტროფიან კომპოზიციას პოეტი სხვა ლექსებშიც („საყურე“, „თავადის ქ..ძის ასულს, ეკ..ნას“, „ჩონგურს“, „შევიშრობ ცრემლსა“) იყენებს და ყველა შემთხვევაში ფორმას ნაწარმოებთა შინაგანი სტრუქტურა განსაზღვრავს.

ზოგადად შეიძლება აღინიშნოს — სხვადასხვა სახით გამოვლენილი „სამეულები“ გამოკვეთილ სახეს აძლევს ლექსის მელოდიას, უფრო მოქნილი, დინამიური ხდება რიტმი; ვთქვათ თუ ერთი საგნის დასახატად შერჩეული ორი ეპითეტი ერთმანეთს გააწონასწორებს, ერთგვარ სიმეტრიულობის განცდას შექმნის, მესამე ეპითეტის დართვა არღვევს ამ „წონასწორობას“, მეტი გასაქანი ეძლევა სტრიქონის მდინარებას; ამ დროს უფრო ცოცხალი, მოძრავია პოეტის თვალით დანახული სურათი.

ბარათაშვილის თანამედროვეთაგან „სამეულების“ გამოყენება შედარებით თვალსაჩინოა ალ. ჭავჭავაძის პოეზიაში. ამ მხრივ საყურადღებოა მისი „გოგჩა“, სადაც ყოველივე ამქვეყნიურის ნგრევისა და გაპარტახების გრანდიოზული სურათია დახატული. მწუხარე [illegible] ამაღლებული ტრაგიზმის იერს აძლევს ერთ სტრიქონად შეკრული სამი სიტყვა, გლოვის ზარივით დარხეული, თითქოსდა ეკლესიასტეს ბაგეთაგან წარმოთქმული: „უდაბურება, მჩუმარება, არ-არაობა“.

შემდეგ სტროფში უმძიმეს განცდას კიდევ უფრო ამძაფრებს მხილველის გულიდან ოხვრად აღმომხდარი, ღრმა სინანულის გამომხატველი შორისდებულის სამჯერადი განმეორება (ე. წ. ლექსიკური ანაფორა), წინ რომ უძღვის გულსაკლავ სურათებს, რათა ჩვენც, პოეტთან ერთად, თვალი მოვავლოთ შემუსრულ სილამაზეს, ოდესღაც სასახლეთა თალებქვეშ ატყორცნილ დაქცეულ სვეტებს, შამბნარით დაფარულ ნაქალაქარებს.

აჰა, პალატთა დიდებულთა ნგრეული
ნაშთი,
აჰა, ქალაქთა ჩინებულთა ხვედრი უცილო,
აჰა, ჩვენისა მომავლისა ნამდვილი ხატი;
მხოლოდ აწმყოზე რას დაბმულხარ, ხედვავ ბრმობილო!

„გოგჩაში“ „სამეულთა“ სხვა ჯგუფის გამოყოფაც შეიძლებოდა; კერძოდ, იმ სტროფში, სადაც ამჟამად გავერანებულ ვაკეზე, წარმოსახვით, ჭაბუკი მხედრების ასპარეზობაა აღწერილი („შუბთა ტრიალი, ჯირითით ტყორცნა და ისართ სროლა“).

ერთი სიტყვის (ნაცვალსახელის) სამჯერადი განმეორების საინტერესო შემთხვევა გვაქვს სატრფიალო ლექსში („რომ გიყვარდი“), რაც ექსპრესიულობის გაძლიერებას, გრძნობის მეტი სიცხოველით გამოსახვას ემსახურება:

შენთან შენით შენგან
გალაღებულსა,
მქონდნენ დღენი სიტკბოების მდინარად.

მომდევნო სტრიქონში საგანგებოდ გამოყოფილი „სამეულთა“ მწკრივი გვხვდება, ერთმანეთის შემავსებელ, ტოლფასოვან სინონიმებად განლაგებული:

შენ განგშორდი: ლხინი, შვება, სიამე —
ყველა წარხდა, ნანვადა მშთომია მე!

მაგალითების მოტანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ ჩვენს მიერ გავლებული პარალელის გასამართლებლად და მოვლენის არსის ნათელსაყოფად ესეც კმარა.

უსაფუძვლოა იმის მტკიცება, თითქოს ამგვარი „სამეულების“ არსებობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეგნებული ლიტერატურული ხერხის რეალიზებას წარმოადგენს; სავსებით შესაძლებელია, მეტწილად, ასეთი მოვლენები

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუცნობიერებლად, სტიქიურად იჩენს თავს და რაიმე ფარული კანონზომიერებით, ლექსის რიტმისა თუ კომპოზიციის საჭიროებით იყოს განპირობებული.

ერთი რამ ცხადია — გარკვეული სისტემის სახით გამოვლენილი „სამეულთა" ანალოგიური კომბინაციები ლიტერატურათმცოდნეთა მიერ კარგა ხნის შენიშნულია და ახსნილ-დახასიათებულიც.

ჟუკოვსკის პოეზიაზე დაკვირვებისას ბ. ეიხენბაუმი საგანგებოდ მიუთითებს „სამეულთა" არსებობაზე, რასაც მკვლევარი „თავისებურ მუსიკალურ დიალექტიკას"[2] უწოდებს. კერძოდ, იგი აღნიშნავს, რომ ერთ-ერთი ლექსის („К Нине") სამსტროფიანობა ეხმიანება თვითეულ სტროფში დასმულ სამ-სამ კითხვას.[3]

აქვე მითითებულია შემთხვევები, როცა სიტყვათა ნაწილებისა თუ ერთგვარი პერიოდების სამჯერადი განმეორება შესამჩნევ გავლენას ახდენს ლექსის ინტონაციაზე, აძლიერებს მის ამპლიტუდას.

სხვა შემთხვევაში ეიხენბაუმს მოაქვს ტიუტჩევის ორი რვასტრიქონიანი ლექსი

(«Как он любил родные ели...»
«Тихой ночью, поздним летом...»)

და იქვე დაასკვნის:

„ორივე ლექსი ემყარება სამმაგ ინტონაციურ ბიძგებს, რომლებიც ისეა განაწილებული, რომ მესამე ბიძგი წინა ორისაგან განკერძოებულია, განსხვავებული სინტაქსური მდებარეობა აქვს, რათა ინტონაციის მოძრაობა მელოდიურ ნახაზში მოაქციოს".[4]

„სამეულთა პრინციპებზე", რაც ამა თუ იმ პოეტის ლექსებში მწყობრი სისტემის სახით იკვეთება, ბ. ეიხენბაუმს არაერთი მნიშვნელოვანი დაკვირვება მოეპოვება. ყოველივე ეს მკვლევარს უფლებას აძლევს განაცხადოს: „ლექსის მელოდიურ სტრუქტურას, როგორც ჩანს, მართლა უდევს საფუძვლად მათემატიკური კანონები, არანაკლებ რკინისებური, ვიდრე მუსიკაშია".[5]

რომანული ლიტერატურის ცნობილი მკვლევარი ე. აუერბახი „სამეულების" თავისებურ გამოვლინებებს ხედავს შუასაუკუნეების ცნობილ ეპოსში „სიმღერა როლანდზე". კერძოდ, დაძებნილია შემთხვევები, როცა რაიმე მნიშვნელოვანი პასაჟის გადმოსაცემად, საგანგებო დანიშნულებით, გამოყენებულია სამ-სამი მთავარი წინადადება (პარატაქსისი), მიჯრით მიყოლებული. კარლოს დიდისა და განელონის დაპირისპირება, როლანდის გამო მათი შეჯახება სტროფის სინტაქსურ წყობაშია არეკლილი.[6]

ცოტა ქვემოთ აღნიშნულია, რომ როლანდის რეაქციას, პასუხს სამი სტროფი ეთმობა, მის სიტყვებში სამი ერთმანეთთან დაკავშირებული მოტივია.[7]

მკვლევარი აგრეთვე უთითებს სტროფებზე, სადაც ოლივიერი სამჯერ თხოვს როლანდს, რათა მან ბუკს ჩაჰბეროს და სამივეჯერ უარს იღებს. აუერბახის აზრით, აქ განმეორებათა მიზანია გადმოსაცემი შემთხვევის ინტენსიფიკაცია.[8]

მალე მეორდება იგივე, ოღონდ პირიქით ხდება ყველაფერი — როლანდი იღებს სამგზის უარს ოლივიერისაგან; სამ პასუხში ერთმანეთს რომ მოსდევს, მკვლევარი ღრმა და უტყუარ ფსიქოლოგიურ მოტივირებას ხედავს.[9]

სამ სტროფში, სადაც გადმოცემულია თუ როგორ ჩაჰბერავს როლანდი ხანგამოშვებით ბუკში, აუერბახის აზრით, უნდა ვივარაუდოთ, რომ მინიშნებულია სამგზის განმეორებულ საყვირის ხმაზე — „ბუკის ეს მოწოდება ყოველ ჯერზე სხვადასხვანაირად მოქმედებს ფრანკებზე"...[10]

ამ დაკვირვებას აქვე მოსდევს აუერბახის საგულისხმო დასკვნა: „თემის ვარიაციული განმეორება — ეს არის ტექნიკა, შუასაუკუნეების ლათინური პოეტიკიდან რომ იღებს სათავეს, შუასაუკუნეების პოეტიკამ კი იგი ანტიკური რიტორიკისაგან ისესხა"...

წიგნის სხვა მონაკვეთში, დანტეს „ღვთაებრივი კომედიის" ერთი თავის სტილისტურ ანალიზს რომ წარმოადგენს, ნაჩვენებია თუ როგორ იყენებს პოეტი სამი ერთნაირი აგებულების ფრაზას, რათა კავალკანტესადმი დაპირისპირებული ფარინატას ურყევლობა გადმოსცეს.

აქვე ხაზგასმულია თუ რა „...ოილად აქვს დანტეს სინტაქსურად დამუშავებული კავალკანტეს გამოჩენის სცენა ისე, რომ ერთიანი დინამიური ხაზი, ერთ ამოხუნთქვაზე, სამ ტერცინს მოიცავს. კონსტრუქციის ერთიანობა ეყდნობა სამ კოლონას — ზმნებს surse, guardo disse".[11]

ჩვენ რამდენადმე დავცილდით „სამეულთა" პრინციპზე აგებულ, ადრე დახასიათებულ შემთხვევებს (ეპითეტთა „სამეულები"...), თუმცა ანალოგიურ მაგალითებზე მითითებას ის აზრი ჰქონდა, რომ უფრო ფართოდ გადმოგვეცა ამ ძველთაგანვე გავრცელებული მოვლენის არსი.

ეპითეტთა „სამეულის" გამოყენების მეტად საინტერესო შემთხვევა გვაქვს ბარათაშვილის ორსტრიქონიან ფრაგმენტში — „კავკასი" — რუსეთის იმპერიის დაღესტანთან გამართულ მრავალწლიან ომს რომ ეხება და შამილის ციტადელის გარდაუვალი დაქცევის სურათს წინასწარ წარმოგვიდგენს:

მოახლებულა აღსასრული შენიც,
კავკასო,
თვალხარბო გმირო, გულ-უმაძღროვ,
ბერო კაპასო.

მარად თოვლით დაფარული კავკასიონის კალთებზე მოსახლე, მეომრობითა და მეზობელთა რბევა-თარეშით ძველთაგანვე განთქმული მთი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელი ტომების პერსონიფიცირებას პოეტი ბუნებრივად ახდენს (თავისთავად აღნიშნული სახე არაა ორიგინალური); უტეხი ხასიათის გმირად თვლის ამ ხალხს. ორმაგი, ე. წ. „ჰომეროსისებური" ეპითეტებიც („თვალხარბი", „გულ-უმაძღრო", „ბერი კაპასი" (ამ განსულიერებული, უთანასწორო ბრძოლაში ჩაბმული და დასაღუპად განწირული გმირის დახასიათებაა მოხმობილი. აქ ისევ და ისევ ხაყურადღებოა ხაზგასმული ტროპების სიმეტრიული წყობა. სამ ეპითეტს, სხვათა შორის, თვით ლექსის რიტმი, ტაეპის მეტრული სქემაც /5/4/5/ მოითხოვს, თვითეული მუხლი, კონკრეტულ შემთხვევაში, თითო ეპითეტითაა შევსებული.

ეს ფაქტორი, რა თქმა უნდა, ერთადერთი არ შეიძლება იყოს, „სამეულთა" გაჩენას რომ აძლევს ბიძგს, მაგრამ აღნიშნული საზომი სავსებით ამზადებს ნიადაგს.

ჩვენი მოსაზრება რომ ჭეშმარიტებასთან ახლოსაა და აქ გარკვეული კანონზომიერება ვლინდება, ამას, მაგალითად, ბესიკის ზოგიერთი, ლექსიც ადასტურებს. პოეტის დაუნდობელი სატირის („მზექაბუკ ორბელიანს") პირველი ოთხი სტრიქონი სწორედ ასეთივე რთული ეპითეტების „სამეულებითაა" გაწყობილი და სავსებით ხელსაყრელ პირობას, უპირველეს ყოვლისა, ბესიკური თოთხმეტმარცვლიანი საზომი ქმნის:

დამპალო ლეშო, თვალხენეშო, გულღადარით,
ეშმაკთ ბუდეო, ბეჭმრუდეო, ქერპთ სადარით,
არ-უზიანო, კუზიანო, მაწუნწარაო,
ხილვად საშიშო, გულმავიშო, გორსაგარაო...

ზუსტად ამავე სქემას მისდევს ბესიკის ცნობილი სატრფიალო ლექსის „ტანო ტატანოს" დასაწყისი ოთხი სტრიქონიც; აქაც „სამეულთა" მწკრივებში რთული ეპითეტებია შერჩეული.

საერთოდ, ბესიკის პოეზია საკმაო მასალას იძლევა ამ და სხვა ტიპის „სამეულთა" გამოსავლინებლად. კერძოდ, შემთხვევითი არ უნდა იყოს ვარდისა, იისა და ნარგიზის სიმბოლიკა „ხევდის ბაღში"; სამივე სახე თანმიმდევრულად უკავშირდება ლექსის შინაგან სტრუქტურას, ლოგიკურად წარმართავს, კომპოზიციურად ამთლიანებს ნაწარმოებს. თვითეული მათგანი მთავარი, გაშლილი მეტაფორის — სევდის ბაღის — ამხსნელი და შემადგენელი ნაწილია; ფუნქციებიც, მათ შორის, ადგილისა და მნიშვნელობის მიხედვით არის განაწილებული.

ბესიკის ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე ასეთი კუთხით საგანგებო დაკვირვება, ვფიქრობთ, საინტერესო სურათს დაგვიხატავდა, მაგრამ ეს ჩვენი თემიდან გადახვევა იქნებოდა და ამიტომაც ორიოდე მინიშნებით დავკმაყოფილდით.

ეს მაგალითებიც იმის დამატებით არგუმენტად მოვიტანეთ, რომ აღნიშნული მოვლენა (სხვადასხვა „სამეულთა" მწყობრი სისტემა) ამა თუ იმ პოეტის შემოქმედებაში, მიდრეკილებისა და ოსტატობის კვალობაზე, მეტნაკლები სიხშირით იჩენს თავს, მაგრამ, მეტწილად, მას რეალური საფუძველი თუ მიზეზი გააჩნია.

მალარმეს პოეტური ოსტატობის ერთ არსებით მხარეზე მსჯელობისას, პოლ ვალერი შენიშნავს: „მეტაფორა, რომელიც მანამდე მხოლოდ სამკაული ან სასხვათაშორისო ხერხი იყო, მასთან, როგორც ჩანს, ფუნდამენტური სიმეტრიული მიმართების მნიშვნელობას იძენს. თავის მხრივ იგი (მალარმე — ე. კ.) გასაოცარი ძალითა და სიცხადით შეიცნობს, რომ ხელოვნება გულისხმობს და მოითხოვს წონასწორობის შენარჩუნებას და მყარ ურთიერთშენაცვლებას ფორმასა და არსს, ბგერასა და აზრს, შემოქმედებით აქტსა და მასალას შორის".[12]

ვფიქრობთ, ამ განმაზოგადებელი აზრის პირველი პუნქტი მთელი მსოფლიო პოეზიის განვითარების ეტაპებს არ უნდა მოიცავდეს, ვინაიდან ძნელია იმის რწმუნება, რომ მალარმემდე მეტაფორა „მხოლოდ სამკაული ან სასხვათაშორისო ხერხი იყო". ამავე დროს, თუ გავითვალისწინებთ, რა განუზომელ ყურადღებას აქცევდა გვიანდელი ფრანგული სიმბოლიზმის მამამთავარი ლექსის ფორმალურ ელემენტებს, სავსებით მოსალოდნელია, რომ მეტაფორისათვის მას „ფუნდამენტური სიმეტრიული მიმართების მნიშვნელობა" მიენიჭებინა.

რა თქმა უნდა, მალარმეს ძნელად ამოხაცნობ სიმბოლოებთან და მის ერთ-ერთ ამოსავალ პრინციპთან, — რომ ლექსში საგანი არ უნდა ვახსენოთ და საგნის სახე ისე შთავაგონოთ, — ბარათაშვილის კლასიკურ ტრადიციებზე დამყარებულ პოეტურ აზროვნებას ცოტა აქვს საერთო, მაგრამ ჩვენ ბარათაშვილის პოეზიაში „სამეულთა" კანონზომიერი; საზომითა თუ სტრიქონის შინაგანი რიტმით განპირობებული გამოვლენის არაერთი შემთხვევა განვიხილეთ, ხოლო ქვემოთ რამდენიმე ანტონიმურ წყვილსაც შევეხებით იმის ნათელსაყოფად, რომ „მერანის" ავტორი ცალკეულ სტილისტურ ფიგურებს გარკვეული სიმეტრიული წყობით წარმოგვიდგენს და ამას, ხშირად, გარდა გარეგნული ეფექტისა, მკაფიოდ გამოხატული კომპოზიციური დანიშნულება გააჩნია.

ბევრჯერ თქმულა უმნიშვნელოვანეს ძვრებსა და სიახლეებზე, ქართული პოეტური კულტურის უჩვეულო გადახალისებაზე, ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაში რომ გამოჩნდა და რამაც თვისობრივად ახალ სიმაღლეზე აიყვანა ჩვენი მწერლობა, მსოფლიო სევდით გულგახენილი ქართველი კაცის ნააზრევი ევროპული პოეზიის უთვალსაჩინოეს მიღწევებს გაუთანაბრა.

ბარათაშვილის ერთ-ერთ უმთავრეს დამსახუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებად იმას მიიჩნევენ, რომ მან ინტონაციურად გაამდიდრა ქართული ლექსი, სულიერი მდგომარეობის გამოხატვის ახალი ხერხები გამოიყენა. ქართულ ლირიკაში თავისი გამორჩეული ხმა რომ დაემკვიდრებინა, პოეტს ვერსიფიკაციული ვარჯიშისათვის არ მიუმართავს, ტექნიკური სიახლენი ძველი ფორმების ფარგლებში განახორციელა.

„ტრადიციული საზომები ნ. ბარათაშვილის ლექსში ახალი ფუნქციით იტვირთებიან. ტაეპები მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული აზრობრივად, რის გამოც თვითონ საზომის ძველი, ტრაფარეტული რხევა არც იგრძნობა. ამიტომ არის ახალი ნ. ბარათაშვილის ინტონაცია, მიუხედავად მისი ლექსების ტრადიციული საზომებისა[13] (ხაზგასმა ავტორისაა— ე. კ.).

ასევე მრავლისმეტყველი ფაქტია, რომ ნიკ. ბარათაშვილმა პირველად შემოიტანა ქართულ ლექსში ე. წ. „გადატანა“ (enjambement).[14] ანჟამბემენს უხვად იყენებს პოეტი თავის ჯერ კიდევ ადრინდელ (1838) ლექსში „ღამე ყაბახზედ“. ეს ბუნებრივი, დაუბრკოლებელი გადასვლა აზრისა ერთი სტრიქონიდან მეორეში მოქნილობასა და სილბოს ანიჭებს ლექსის მდინარებას; სასაუბრო ინტონაციას ითხოვს ყოფითი დეტალების სიუხვე, კონკრეტულ შემთხვევაზე დაწერილი ნაწარმოების ხასიათი.

ლექსში გამოვლენილი სასაუბრო ინტონაციის შთაბეჭდილება, რა თქმა უნდა, მოჩვენებითია, უფრო ილუზიის შექმნას ემსახურება: აქ მთავარია დამაჯერებლობა მიენიჭოს ერთმანეთზე გადაჯაჭვულ მონაკვეთებს; ბგერების რხევა მოესადაგოს, ორგანულად შეერწყას ლირიკულ კომპოზიციას.

„ჩვეულებრივი პრაქტიკული მეტყველების ინტონაცია იცვლება, როცა იგი პოეტური და, მით უმეტეს, რიტმული მეტყველების მასალად იქცევა“.[15]

ანჟამბემენი ინტონაციის გამოყოფის, მისი ხაზგასმის ყველაზე ეფექტური ხერხია. აქ, როგორც წესი, სტრიქონის დამთავრებასთან ერთად არ მთავრდება სინტაქსურად დასრულებული პერიოდი. „ჩვენს გონებაში არსებობს სტროფის რიტმულ-სინტაქსური სქემა. ამ სქემიდან ყოველი გადახვევა მკვეთრად იგრძნობა — აქედან enjambement-ის მოქმედება“.[16]

სავსებით ცხადია, ანჟამბემენის ხშირი გამოყენება იმ შემთხვევაში ხდება, როცა „...ინტონაციურ-სინტაქსური მომენტი გაბატონებულია სტროფულზე...“[17]

„ღამე ყაბახზედ“ სამართლიანადაა მიჩნეული „პოეტურ ქრონიკად“, „ლირიკული დღიურის ერთ ნაწყვეტად“,[18] ეჭვს არ იწვევს აქ აღწერილი პასაჟების რეალურობა, ფაქტობრივი სიზუსტე.

ა. გაწერელია იმოწმებს ლევან [illegible]ლის ცნობას, რომ ბარათაშვილის პირველი გატაცება იყო ვინმე ნინო; გრ. ორბელიანისადმი გაგზავნილ ბარათაშვილის ერთ-ერთი წერილიდან მოაქვს ამის დამადასტურებელი ადგილი („...ერთმა საგანმა პირველ დამასო გულს კაეშანი“...) და არც თუ უსაფუძვლოდ ვარაუდობს, რომ ამ ლექსში („ღამე ყაბახზედ“ — ე. კ.) გამოყვანილი თეთრკაბიანი არსება და ხსენებული ნინო ერთი და იგივე პიროვნება უნდა იყოს.[19]

აქვე ემოციური დამოკიდებულება მჟღავნდება ალ. ჭავჭავაძის სასიმღეროდ ქცეული სატრფიალო ლექსის („თავსა უფლად“) მიმართ. ეს ფაქტი, თავის დროზე, აღნიშნა ი. გრიშაშვილმა.

ბარათაშვილისეული შეფასება ამ სიმღერისა („ტრფობის ჭირების ამშლელად“ მისი მიჩნევა) ყაბახზე, გარს შემოხვეული ქალების თხოვნით, „გულის საკლავად“ რომ მღერის ყაფლან ორბელიანი, აღნიშნული რომანსის დიდ პოპულარობაზე მეტყველებს.

ლექსში ალაგ-ალაგ გამოსჭვივის ხუმრობის კილო, პოეტისათვის დამახასიათებელი მახვილგონიერება, რაც განსაკუთრებით კარგად ჩანს მის პირად წერილებში. ჩვენ თითქოს ვხედავთ იმ შეთამამებული ქალების ღიმილს, სახის მიმიკას, ყაფლანს სიმღერას რომ აძალებენ („....ახლა პრანჭვას კი ნუ მოჰყვები!“). დახვეწილი, მსუბუქი იუმორითაა შეფერილი ღრუბლებს ამოფარებული მთვარის სურათი; კაშკაშა მნათობი ვითომდა გულნატკენია, პირს იბურავს, უჩინარდება, რადგან ტანადი კავალრები მიწიერ ლამაზმანებს, „ქვეყნის მთვარეთ“ (ეს მეტაფორა ტექსტში ხაზგასმულია—ე. კ.). ეთაყვანებიან და არა მას, ცის უსასრულობაში მოსრიალეს. იუმორისტული შტრიხი სრულებით არ ამდაბლებს ნამდვილ პოეზიას — აქ იგი სტილისტური ხერხი უფროა.

...თვითონ ცის მთვარეც მოწიწებით ღრუ-
ბელთ ეფარა,
როს ქვეყნის მთვარეთ შეეტრფოდნენ და
მას კი არა.[20]

სწორედ მაისის ღამის გაცრეცილ ბინდში დაინახავს პოეტი თეთრკაბიან ასულს, ცნობამიხდილს ვეფხვების ალყაში მოქცეულ ქურციკად რომ ეხახება. ქალს თავადაც არ რჩება შეუმჩნეველი ნაცნობი ვაჟის დაჟინებული მზერა.

თვალი შემასწრა მან ამ დროს მე და შემო-
მცინა;
ამან გამამხნო და გულს ძგერით წარვსდევი
წინა
და ასე ვუთხარ: „ნეტარ მე რომ მეღირსა

ქვალად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ა ნ ა ტ რ ი ჩემთვის ნახვა თქვენი აწ მხიარულად!"

იმართება სხარტი, საოცრად ბუნებრივი დიალოგი; ქალის მოჩვენებით საყვედურში უწყინარი ირონია ილანდება; ვაჟის ელეგანტური პასუხიც არაა მოკლებული ენამახვილობას, თუმცა მის სიტყვებში უსაზღვრო კრძალვა ჩანს.

„გმადლობთ,—მითხრა მან, — რომ თქვენ მაინც გახსოვართ კიდევ:
ახლა მოდაა, ვინც ვის იცნობს, ივიწყებს ისევ".
— „დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ვერც მოდები
ვერ მომიშლიან თქვენსა ხსოვნას და ვერც დროები!"

რა უშუალო და ცოცხალია აქ ყოველდღიური, უკიდურესად ტრივიალური გამოთქმა — „დარწმუნებული ბრძანდებოდეთ", ხულის რა ხიმტკიცისა და რაინდობის მაჩვენებელი. ბარათაშვილს ეიოლება უცხო, არაქართული სიტყვების მოშინაურება, კონტექსტის დანარჩენ წევრებთან მათი ბუნებრივი შერწყმა. ასეთ სიტყვად იმ დროისათვის შეიძლება ჩავთვალოთ „მოდა". სხვათა ნაწერებში ამ სიტყვას ალბათ, კომიკური ელფერი მიეცემოდა; ბარათაშვილის ზემოთ მოხმობილ სტრიქონებში კი ვოდევილური სიმჩატის ნატამალიც არაა.

მოტანილ ციტატებში ანჟამბემენის რამდენიმე შემთხვევაა, რაც საუცხოოდ ეხამება სასაუბრო კილოს, დიალოგის ფორმას, ერთ სტრიქონში დაწყებული სათქმელის მომდევნოში უწყვეტად გადასვლასა და გასრულებას.

ამის საპირისპიროდ, მაგალითად, „მერანში" იმთავითვე გამორიცხულია დინჯი, სალაპარაკო ინტონაცია და ამიტომაცაა, აქ ანჟანბემენის არც ერთი შემთხვევა რომ არა გვაქვს. „თავვანწირული მხედრის" დაუსაბამო ქროლვა ვერ მოითმენდა რიტმის ოდნავ შენელებასაც, პაუზებით მორგვალებულ ასეთ რბილ ხვეულებს.

პოეტის პასუხს, ზემოთ განხილულ ლექსში, მოსდევს დასკვნითი ნაწილი, ქალის რეაქცია სასიამოვნო ქათინაურზე და მისი უცაბედი გაუჩინარება. ვნახოთ როგორ გარდაქმნილი და სულჩადგმულია ერთ-ერთი ყველაზე ბანალური მეტაფორა:

ამა სიტყვაზე ვარდი ლაწვზეთ მყის — აეფურცლა,
ამ დროს ნიავმან თეთრი კაბა მიმოუქროლა...

ჩვენ თითქოს ამ ულამაზესი ხატის დაბადების მოწმენი ვხდებით, იმდენად სახიერი და მეტყველია ეს ერთი სიტყვა — „აეფურცლა", თვალნათლივ წარმოგვიდგება მომხიბლავი სურათის მთელი მშვენიერება — ქალწულის ლაწვებზე გამკრთალი სიწითლე, ერთმანეთზე წაფენილი უნაზეს ფერთა ტალღები, ახევე ტევადი და ზუსტია მეორე სტრიქონის ზმნაც — „მიმოუქროლა" — ქალის სამოსთან ნიავის გათამაშებას რომ გადმოგვცემს. მომდევნო ორ სტრიქონში იშვიათი ძალითაა ნაგრძნობი წამით გაელვებული „ბუდეშური ფეფები", რომელთა ხილვამ თავგზა აუბნია ყმაწვილ კაცს.[2]

ფინალურ სტროფში, საერთოდ, ძალზე მოქნილი და გამომხატველია ზმნები — აშკარაა მათი მეტაფორულობა. ღრუბლებიდან თავდახსნილი მთვარის გამონათებაც ზმნის თავისებური ფორმითაა გადმოცემული:

ამ დროს მთოვარემც შუქი თვისი მისტეხა ბროლსა,
რომელმა შვება სილამაზით ჰფინა ჩემს გულსა;
მაგრამ სხვა მუნით მიიხმობდა სატრფოსა ქალსა,
რომელი მყისვე მიეფარა, ნათელი — თვალსა!

დავაკვირდეთ, რა შეფარვით, ოსტატურადაა შედარებული უეცრად ამოცურებული მთვარე ბროლთან: ამის მერე ბუნებრივია, რომ ბროლს ჩამოტეხილ მობრჭყვიალე ნამსხვრევად იქცა ციდან დაშვებული მნათობის სხივი. ტეხდომა — ბროლის თვისება — სულ სხვა ძალასა და შინაარსს იძენს, როცა იგი მთვარის ალმაცერი შუქის დასახატავადაა მოხმობილი. უჩვეულოა თვით ფორმა ზმნისა — „მისტეხა". დინამიურობას აძლიერებს მი — პრეფიქსი ისევე, და, შეიძლება ითქვას უფრო მეტადაც, ვიდრე წინა შემთხვევაში („მიმოუქროლა").

ზოგადად აღწერილი „ყაბახის არემარე" ფართო პლანით აღებული კონკრეტული დეტალით მთავრდება. ზღვის ქაფივით დატრიალებული სამეჯლისო კაბა უეცრად გაქრება ღამეულ ნისლში. ქალმა ვერ შეიცნო მის წინ მდგარი გენიის სუნთქვა, ღვთაებრივი შუქით ანთებული უძირო თვალები. დიდი მისვედრა არ სჭირდება, საით გაქანდა ზღაპრული ფერია — რომელიმე „ხახვის ფრანტი" ან „ქარიბღერტია გუსარი" დაუქნევდა ხელს და ისიც დაუმშვიდობებლად გაუსხლტა თავის უკვდავმყოფელს, წამის წინ კოკეტურად რომ საყვედურობდა უყურადღებობასა და დავიწყებას.

„ღამე ყაბახზედ", როგორც აღვნიშნეთ, ბარათაშვილის ადრინდელი ლექსია; პოეტი აქ სრულად ჯერ კიდევ ვერ ავლენს თავის შესაძლებლობებს, მაგრამ ამ ნაწარმოებში არაერთი ახალი მხატვრული ტენდენცია გამოვლინდა და ჩვენც ამის გამო გავამახვილეთ მასზე ყურადღება.

ბევრჯერ დაიწერა და ითქვა იმ სულიერ ნათესაობაზე, რაც ლერმონტოვისა და ბარათაშვილის შემოქმედებაში გამოვლენილა. ამჯერად გვინდა გავიხსენოთ ლერმონტოვის პოემა «Сказка для детей»; რომელიც ზოგი რამით ეხმიანება ჩვენს მიერ საგანგებოდ გაა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნალიზებულ ბარათაშვილის ლექსს „ღამე ყაბახზედ“. აქაც წარმართველია სასაუბრო კილო, საგრძნობია ირონიული, ზოგჯერ სარკაზმში გადასული ტონი. მართალია, რომანული ხაზი (დემონის ნინასადმი ტრფობა), დაუმთავრებლობის გამო უადგილოდაა გაწყვეტილი, მაგრამ ამ მხრივაც შეინიშნება თემისადმი დაახლოებით ერთნაირი მიდგომა, საერთო განწყობილებები. ჩვენი მიზანი არ არის შედარებითი ანალიზი. აღვნიშნავთ მხოლოდ ერთ მომენტს, რაც ჩვენთვის საინტერესო პარალელის გასატარებლად საკმარისია...

ლერმონტოვის დასახელებულ პოემაშიც აშკარაა ეპითეტთა სამეულებისადმი, საერთოდ, ტრიადებისადმი მიდრეკილება. ერთ ადგილას, სადაც ძალზე კრიტიკულადაა შეფასებული მისივე ადრინდელი შემოქმედების ნიმუში, კერძოდ, პოემა „დემონი“, პოეტი წერს:

Я прежде пел про демона много:
то был безумный, страстный
детский бред.

ასევე სამ ეპითეტს იყენებს ლერმონტოვი ნინას მამის, ვოლტერის იდეებზე აღზრდილი სიტყვაძუნწი მოხუცის გარეგნობისა და სულიერი წყობის დასახასიათებლად:

Старик худой и с виду величаевый
Озлобленный на новый век и
нравы;

„სამეულების“ რიგი მხოლოდ ეპითეტებით არ შემოიფარგლება: ოსტატურადაა დახატული მთავარი გმირის პორტრეტი; ქალიშვილის დაბინდულ თვალებში ერთდროულად გამოკრთის — იმედი, სიხარული და მწუხარება:

Ее глаза не изменяли ей
Тая равно надежду, радость, горе
И было темно в них, как в синем море.

ასეთსავე შემთხვევებს განეკუთვნება ქალწულის საწოლთან მოდარაჯე შეყვარებული დემონის წამოძახილი:

Везде обман, безумство иль
страдание,

„სამეულთა“ უფრო რთული კომბინაციაც გვხვდება პოემის ბოლო, 27-ე თავში, სადაც ბრწყინვალე ბალ-მასკარადია აღწერილი; ერთად ირევა უამრავი პირმოთნე და ფარისეველი, ნიღბებად რომ აუკრავთ ყალბი ღიმილი. ლირიკულ გმირს უჭირს წყვილებს შორის გამართული მუსაიფიდან აზრის გამოტანა. ჯერ ცალკეული სიტყვები ჩაესმის, მერე ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზები, ბოლოს ვიღაც-ვიღაცეების ნაწერებზე წამძღვარებულ ეპიგრაფებსაც იჭერს მისი ყური. აქ მომაკვდინებელი ხდება პოეტის ირონია. ყოველ ცნებას თავისი ეპითეტი ახლავს. ხაზი ალმავალია, თანდათან ძლიერდება:

Ловил мой слух летучие слова,
отрывки безыменных чувств и мнений
Эпиграфы неведомых творений.

აგუგუნებულ დარბაზში შესულს ახალგაზრდა კაცი თანდათან აჩვევს ხმაურს ყურს; „უსახელო გრძნობათა და აზრთა ნაწყვეტების“, „უცნობ ქმნილებათა ეპიგრაფების“ გარჩევაც შეუძლია, მაგრამ ეს არაფერს ეუბნება მის სულსა და გულს — ყოველივეს განურჩევლობისა და გაურკვევლობის ბურუსი ფარავს.

მწვავე ირონიითა და სარკაზმით ეს პოემა პუშკინის „ევგენი ონეგინს“ მოგვაგონებს, თუმცა აქ ლექსის საზომი სხვაა, შედარებით დამძიმებულია, დინჯი, და სასაუბრო ინტონაციასაც მეტი გასაქანი ეძლევა; ანჟანბემენის უჩვეულო სიხშირეც, ძირითადად, ამითაა გამოწვეული.

ერთი მცირე დეტალიც: ვფიქრობთ, ზემოთ მოტანილი „სამეულებისაკენ“ ლტოლვასაც უნდა გულისხმობდეს პოეტი, როცა ამ პოემის მეორე თავში წერს:

Я без ума от тройственных созвучий...

ამგვარი „სამეულების“ არსებობა, როგორც აღვნიშნეთ, პოეზიაში ძველთაგანვე შეინიშნება და ეს ერთი ან ორი პოეტის ახირება სულაც არ არის, ლექსის შინაგანი ბუნებიდან გამომდინარე კანონზომიერი მოვლენაა.

სასაუბრო ინტონაციები, საგანგებოდ გამოყენებული პროზაული ელემენტები მეტ-ნაკლებად ბარათაშვილის სხვა ლექსებშიც შესამჩნევია. ეს ტენდენცია გამოკვეთილია ყრმობიდანვე თანშეზრდილ თანატოლებისადმი მიძღვნაში („ჩემთ მეგობართ“), სადაც თითქოს ოცდახუთი წლის ყმაწვილი კი არა, ცხოვრების სიბრძნით დაღდასმული ადამიანი აძლევს შეგონებებს გამოუცდელ ყმაწვილ კაცებს. ამ ლექსის ანალიტიკურმა პათოსმა, უჩვეულოდ დინჯმა კილომ შეუძლებელია არ გაგვახსენოს პოეტის სულიერი მეგობრის მაიკო ორბელიანისადმი დაახლოებით იმავე ხანებში (1842 წ.) გაგზავნილი წერილი: „...ასე გულცივად ჯერ განსჯა არა მქონია. ასეთი თავისუფალი ფიქრი მაქვს და ასეთი მტკიცე გული, რომ სამოცის წლის მოხუცეც ვერ იქნება ჩემისთანა უხყიდელვი მსაჯული“.

ძველთაძველი სიბრძნე ახალ ელვარებასა და მომხიბლაობას იძენს, ლაღად ათამაშებულ სტრიქონებში მოქცეული:

აჰყევით სოფელს, შეურჩენელს და მომღერალსა,
ნუ მოარიდებთ სიყმაწვილეს ტრფობისა ალსა!

აქ მთელი ყურადღება მოვლენის შესაფასებლად და დასახატად მოხმობილ ეპითეტებზეა გადატანილი. ბარათაშვილისეული სისხარტითა და მოქნილობით განსაკუთრებით პირველი მათგანი გამოირჩევა. ამქვეყნიური ცხოვრების წარმავლობას, დროის ულმობელ სრბოლას, ასე რომ აჭკნობს სინორჩის ყვავილს, ძნელად თუ მიესადაგება ისე ზუსტად და ამომწურავად რომელიმე ეპითეტი, როგორც „შეურჩენელი“. ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვა უსიამოდ ჩამოკრული ზარის ხმასავით შეგვახსენებს, რომ სიტკბო და სიხარული წამიერია, რომ ერთი დრო არავის შერჩენია. ეს მწუხარე, ადამიანთა მოდგმის თანდაყოლილი ჭეშმარიტება მუდამ დილემად იდგა პოეტის წინაშე და ამავე პერიოდის (1841 წ.) ერთ შედევრში („ვპოვე ტაძარი"...) სამყაროს უკულმართობით, „ცრუ და მუხთალი" სოფლის გაუტანლობით გატანჯული კაცის ამოოხვრად გაისმა: „მაგრამ საწუთრო განა ვისმეს დიდხანს ახარებს?"

პოეტმა იცის, სიყვარულის საუფლოდ აზალგაზრდობა რომ დაუდგენია ბუნებას და ჭაბუკს ისევე არ შეფერის მისი ასაკისათვის უჩვეულო თავშეკავება, როგორც ხანში შესულ ადამიანს — გამიჯნურება და უდროოდ აცუნდრუკება. სენტენცია თითქოს კოდექსის ენასავით მშრალია, ხაზგასმულად პროზაული:

სასაცილოა, ბერიკაცი რომ ყმაწვილობდეს,
და საბრალოა, რომ ჭაბუკი ბერიკაცობდეს!

დავაკვირდეთ რა შეუცდომლად ახასიათებს ეს ორი სიტყვა („საბრალოა", „სასაცილოა") ორ განსხვავებულ, თანაბრად აბსურდულ ქმედებას, ორი სხვადასხვა ასაკის კაცისას. სწორედ ასეთ ლექსიკურ სიზუსტეზე მიუთითებს ლ. გინზბურგი პუშკინის შემოქმედებაში, რაც სტილისტური თვალსაზრისით, თვითეული სიტყვის აბსოლუტურად თავის ადგილზე ყოფნას მოითხოვს.[23] განსაკუთრებით მკვეთრად გამოვლინდა ეს სიზუსტე პუშკინის გვიანდელ ლირიკაში, როცა პოეტი გაურბოდა ჭარბ მეტაფორიზაციას და უსამკაულო, „შიშველ" სიტყვას ელტვოდა.[24]

ხსენებულ ლექსში ბარათაშვილს უმთავრესი დარიგება, ცხოვრების მწარე გაკვეთილით განმტკიცებული, ბოლოსთვის აქვს შემონახული; იგი აფრთხილებს მეგობრებს, არჩევანი არ შეეშალოთ, არ აცდუნოს ისინი დიაცის გარეგნულმა მხიარულებამ და მოჩვენებითმა გულითადობამ:

მხოლოდ ერთს გირჩევთ და გახსოვდეთ
ესე თათბირი,
მერწმუნეთ, ძმანო, ნაცადი მაქვს ეს
გულის ჭირი:
არ შეემსჭვალოთ მოკისკასეს, კეკელა
ქალსა,
სულის დამტყვევნელს და გრძნობათა
ცრუდ მომღერალსა!

ამ ლექსში, რომელსაც სატირული ელფერი ოდნავადაც არ დაკრავს, თითქოს მოულოდნელიც ჩანს ასეთი მძაფრად ირონიული, ამავე დროს უბრალო, ყოველდღიური საყოფაცხოვრებო ლექსიკიდან აღებული ეპითეტი „კეკელა", თუმცა ისიც აშკარაა — უგულო, ამპარტავანი, უკარება არსების დასახასიათებლად ეს სიტყვა ზედგამოჭრილია. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ გვაინტერესებს ამ გამოთქმაში („კეკელა ქალსა") ნაგულისხმევი კონკრეტული ადრესატი, რადგან თვით ავტორი ამ ტიპის ბანოვანთა განზოგადებას ისახავდა მიზნად.

პროზაული, ყოფითი სიტყვებისა და გამოთქმების პოეზიაში ჭარბად შეტანა, მათი გაპოეტურება, როგორც ცნობილია, პუშკინის სახელთან არის დაკავშირებული და სრულიად სამართლიანად, პუშკინის ეს უდიდესი თვისება — ჩვეულებრივი, არაფრით გამორჩეული სიტყვის პოეტურ სიტყვად გარდაქმნის ხელოვნება — „ესთეტიკურ სასწაულად" არის მიჩნეული.[25]

თავად პუშკინმა ამ უმნიშვნელოვანეს პრინციპთან დაკავშირებული საგანგებო ტერმინი— „უსარგებლო პროზაიზმი", როგორც ცნობილია, იხმარა შედარებით გვიანდელ ლექსში („შემოდგომა", 1888) და აღნიშნულ გამოთქმაში სრულიად საწინააღმდეგო აზრი ჩადო, ე. წ. ნეიტრალური, არასტილური სიტყვების საგანგებო დანიშნულებით გამოყენებას რომ გულისხმობდა.

„პუშკინმა გადალახა ლირიკულსა და ყოველდღიურ მეტყველებას შორის არსებული წინააღმდეგობა, ყოფითი სიტყვები ლირიკული აზრის პოტენციურ მატარებლებად აქცია... პუშკინის მიერ განხორციელებული გადატრიალების გარეშე შეუძლებელია რუსული პოეზიის მთელი შემდგომი განვითარება".[26]

აღსანიშნავია ერთი მომენტიც: პროზაიზმები არ არიან პროზაულნი; თუმცა პოეტურობა მათ წინასწარ არა აქვთ მინიჭებული, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში იგი ხელახლა იქმნება, კონტექსტი ბადებს მას".[27]

ფრიად საგულისხმო მოვლენად მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ ბარათაშვილს თამამად და სავსებით გაცნობიერებულად შეაქვს ყოფითი გამოთქმები, ე. წ. პროზაიზმები თავის ლირიკაში. ეს უთუოდ პოეტის დიდ ალღოზე და მისი პოეზიის ნოვატორულ ხასიათზე მეტყველებს.

შეგნებულად გამოყენებული პროზაული შტრიხი ერთგან თვალში საცემია ბარათაშვილის პოემაშიც, სადაც სოლომონ მსაჯულის სათნო და ჭკვიანი მეუღლის — სოფიოს — კლასიკური სისადავით განათებული პორტრეტია მოხაზული:

ახლა ბევრს ახსოვს მისი ზრდილობა,
შვენიერება, გულკეთილობა.

აქ განსაკუთრებულ ელფერსა და შთამბეჭდაობას იძენს ყოველდღიურ მეტყველებაში სახმარი ტოპოსი, ჩვეულებრივი სიტყვიერი ფორმულა: „ახლაც ბევრს ახსოვს"... როგორც შედეგი და შეფასება ამ ყოველმხრივ შემკული მანდილოსნის სამაგალითო ცხოვრებისა, ვისი სახე და დიდსულოვნებაც სამუდამოდ აღბეჭდილა თანამედროვეთა მეხსიერებაში და შთა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომავლობასაც ასევე ცოცხლად ეხატება. სიკეთე და გმირობა რომ მარადსახსოვარია, ამავე პოემაში ჩვეული მგზნებარებით ამბობს თავად ავტორი:

რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების,
საშვილიშვილოდ გარდაეცემის..

ერთი შეხედვით მშრალი ფორმულები, აშკარა პროზაიზმები თვით ერეკლეს მეტყველებაშიც შეაქვს ნ. ბარათაშვილს („ახლა კი დროა“... „ჯერ ერთი“., და სხვ.), რაც საუცხოოდ ეხამება მეფის განსჯათა სიდინჯეს, თავის გადაწყვეტილებაში დარწმუნებული კაცის გარეგნულად აუღელვებელ ტონს.

შემდგომმა თაობებმა აითვისეს და შემოქმედებითად განავითარეს სახელოვანი წინაპრის მემკვიდრეობაში გამოვლენილი ეს უმნიშვნელოვანესი ტენდენცია, რისი კეთილი ნაყოფიც უხვად მოიძევება დღევანდელ ქართულ პოეზიაში.

პროზაულ მეტყველებასთან დაახლოებული ინტონაცია ძალზე ბუნებრივად შემოდის ისეთი უნაზესი ლირიზმით აღსავსე ლექსში, როგორიცაა — „ჩინარი“. საჭირო ეფექტი მინიმალური საშუალებითაა მიღწეული, გამოყენებულია ჩვეულებრივი სასაუბრო ენის მზა ფორმულა (რამდენჯერ-იმდენჯერ):

რამდენჯერ ქარი შეარხევს საროს,
იმდენჯერ მტკვარი უმეტეს ოხრავს...

ეს ლექსი, მსგავსად პოეტის რამდენიმე ლირიკული შედევრისა, („ჩემს ვარსკვლავს“, „ვპოვე ტაძარი“, „აღმოხდა მნათი“...) ერთ გაშლილ მეტაფორას წარმოადგენს — მდინარის პირას ეულად ატყორცნილი ულამაზესი ხე სატრფოდაა წარმოსახული, რომლის ფესვებსაც გაშმაგებით ეალერსება მისი მშვენებით რეტდასხმული მდინარე. აქ ჩანს პოეტის გასაოცარი უნარი, უდიდესი ექსპრესიულობით გადმოგვცეს გახელებული მდინარის აბობოქრება, თითქოს ძირიანად რომ უპირებს ამობრუნებას ამაყად მოშრიალე ჩინარს:

ვითა მიჯნური სატრფოს ამაყსა,
მტკვარი მას ნორჩსა ფერხთა ევლების,
და აღმოარხევს უფსკრულიდამ,
და აღელვილი კლდესა ეხლების!

თავისებურად დატრიალებული ზმნის ოდნავ არქაული ფორმა („აღმოარხევს უფსკრულიდამ“...) განუმეორებელ სურათს ხატავს, იდუმალ სიღრმეებს შლის ჩვენს თვალწინ, უკიდეგანო სარბიელს აძლევს წარმოსახვას. ამ მომენტში პოეტი ჩინარს უკვე ქალად აღიქვამს და ქვესკნელს ჩაჭიდებული მისი მოქნილი ფესვებიც ბუნებრივად ფეხებთან არის მიმსგავსებული („ფერხთა ევლების“).

„ჩინარის“ მხატვრული სიძლიერე და თავბრუდამხვევი ტემპი მაინც ოსტატურად დაძებნილი და ერთმანეთს მიყოლებული ეპითეტებისაგან იღებს სათავეს. აქ ბარათაშვილი ნამდვილ რუსთველურ სიუხვეს იჩენს ერთი მოვლენის შუქმოსაფენად მოხმობილინაირგვარი ეპითეტების თავმოყრაში.28 მთავარ, ძირითად ეპითეტს (ნორჩი ახალი) მოყვება ხუთი განსხვავებული და ურთიერთგადაჯაჭვული ეპითეტი, სინატიფესა და მიმზიდველობას რომ მატებს თავისთავად მშვენიერ საგანს:

განმარტოებულს ფრიალოს კლდეზე
სდგას ალვის ხისა ნორჩი ახალი,
მრავალ-შტოვანი, მაგრილობელი,
ჰაეროვანი, ტურფა, მაღალი.

ცალ-ცალკე აღებული, თითქოს არც ერთი ამ ეპითეტთაგანი არაა ახალი და ორიგინალური, მაგრამ მათი ერთობლიობა განუმეორებელ სილამაზეს ქმნის, სულს უდგამს პეიზაჟს, მაცოცხლებელი ჰაერით ავსებს მზით განათებულ სივრცეს.

მოტანილ ნაწყვეტში პოეტის სხვა თავისებურებაც ჩანს — ერთი საგნის (კლდე) დასახატავად ორი ეპითეტია გამოყენებული ისე, რომ ერთმანეთისაგან მძიმით არაა გამოყოფილი, შერწყმულის შთაბეჭდილებას ტოვებს: „განმარტოებულს ფრიალოს კლდეზე“...

ერთმანეთთან ყოველგვარი პაუზის გარეშე დაკავშირებული, უხილავად გადაბმული ორი ეპითეტი ბარათაშვილს სხვა ლექსშიც („... ნა ფორტეპიანოზედ მომღერალი“) გვხვდება:

ხმა საკრავისა,
ნელ ნარნარისა...

ამ ერთად მოქცეული ტოლძალოვანი ეპითეტების (ნელ ნარნარისა) საშუალებით ზედმიწევნით ზუსტად და ეფექტურადაა გადმოცემული ბროლის თითებქვეშ აცეკვებული გამების თანდათანობით მიმწუხარი, ჰაერში გამდნარი ბგერები.

11. „მნათობი“, № 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შენიშვნები

1. ამგვარივე წყობის „სამეული" გვაქვს გრ. ორბელიანის ერთ გვიანდელ ლექსში (ფსალმუნი, 1879) სადაც ზნეობრივად ამაღლებული ღუქი დიდებისა და წარმავალი კეთილდღეობის არად ჩამგდები, დაჩაგრულის ქომაგი ადამიანის სახეა დახატული („ს უ ლ ი თ ა წრფელი, მშვიდი გ უ ლ ი თ, ფ ი ქ რ ი თ განწმენდილ"...), ვინც, თანახმად პოეტის რწმენისა, თავისი სპეტაკი ცხოვრებით ღვთაებრივი ნათელით მოსილ მაღალსა და წმინდა მთაზე ასვლის უფლებას მოიპოვებს, სასუფეველს დაიმკვიდრებს.

გრ. ორბელიანის ზოგიერთი ლექსი („საათნავას მიბაძვა", „საღამო გამოსალმებისა"...) სხვაგვარი ტიპის „სამეულებსაც" შეიცავს, მაგრამ ასეთი სიმეტრიით აგებული ტროპები მის პოეზიაში შედარებით მაინც იშვიათია.

2 Б. Эйхенбаум, о поэзии, Л., 1969, с. 358.

3. იქვე, გვ. 358.

4. იქვე, გვ. 402-403.

5. ბ. ეიხენბაუმი, დასახ. წიგნი, გვ. 404.

6 Э. Ауербах, Мимесис, М., 1976, с. 114.

7. იქვე, გვ. 117.

8. იქვე, გვ. 118.

9. იქვე, გვ. 119.

10. იქვე. გვ. 119.

11. იქვე. გვ. 190. თვითეული ამ ზმნის მნიშვნელობა, თანმიმდევრობით,, ასეთია: „ადგა", „შეხედა", „თქვა".

12 Поль Валери. Об искусстве. М., 1976, с. 426.

13 ა. გაწერელია, რჩ. ნაწერები, II, მონოგრაფიები, თბ., 1965, გვ. 165.

14. იქვე, გვ. 166.

15 ბ. ეიხენბაუმი, დასახ. წიგნი, გვ. 340.

16. იქვე, გვ. 341.

17. იქვე, გვ. 484.

18 გ. ასათიანი, „მერანი" და მისი ავტორი, თბ., 1969, გვ. 144.

19. ა. გაწერელია, რჩეული ნაწერები, 11, მონოგრაფიები, გვ. 147-8.

20. ამ ადგილს უთუოდ ენათესავება ალ. ჭავჭავაძის „გოგჩის" ფინალური სტროფი, სადაც აღწერილია თუ, გარდასულ ჟამს, ტბის სარკეში არეკლილი უმშვენიერესი ყმაწვილი ქალების ხილვისას როგორ დაირცხვენდა ხოლმე მთვარე. თითქმის იგივე სურათია; ელვარე მნათობი აქაც ღრუბლით იბურავს პირს, წყლის წმინდა ჭავლებში ჩაკიდული მიწიერი სილამაზის მაცქერალი:

რავდენგზის მთვარეს თავ-მომწონეს მათთან შთახედვით,
უგრძვნია თვისი ჩაგრულ-ყოფა და მოღრუბლულა.

21 ამგვარ ინტიმურ-ეროტიკული მოტივების მომძლავრებას მეთვრამეტე საუკუნის ფრანგულ ლიტერატურას უკავშირებენ; მიუთითებენ თუ, ამ დროიდან მოყოლებული, როგორ საგანგებოდ მახვილდება პოეზიაში ყურადღება ქალის ტუალეტის „უწესრიგობაზე". ასეთ „მომხიბლავ უწესრიგობად", სხვათა შორის, დასახელებულია: „...დარღვეული იდილიური სიმშვიდე, ქარის დაბერვა, დავარდნა, ნახტომი, რომლის დროსაც შიშვლდება სხეულის დაფარული ნაწილები (იხ. Эрих Ауербах, Мимесис, с. 399).

22. აღნიშნული ეპითეტი („შეურჩენელი") რომ მყარად იჯდა პოეტის აზროვნებაში და შემთხვევით არ უკავშირდება სოფლის წარმავლობას, ამქვეყნიურ სიამეთა ხანმოკლეობასა და მოჩვენებითობას, ეს კარგად ჩანს მაიკო ორბელიანისადმი გაგზავნილი იმავე წერილიდან: „სხვათა ბედნიერებათა სოფლისათა უყურე გულგრილად, ამაყად და გრწამდეს, რომ იგინი შეურჩენელნი არიან!" ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი, თბილისი, 1968, გვ 180).

23 Л. Гинзбург, О лирике, Л., 1974, с. 28.

24 იქვე, გვ. 38.

25. ლ. გინზბურგი, დასახ. წიგნი, გვ. 211.

26. იქვე, გვ. 231.

27. იქვე, გვ. 216.

28. „ვეფხისტყაოსნის" პირველსავე სტროფში, პროლოგს რომ მოსდევს, როსტევანის მთავარ ატრიბუტს („მეფე ღვთისაგან სვიანი") ერწყმის ეპითეტების მთელი წყება, რომელთაგან ხუთი მეორე სტრიქონშია გაერთიანებული („მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარმრავალი, ყმიანი"...).

☐ გაგრძელება იქნება ☐

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივი გოსტოლანაშვილი

# გაცოცხლებული გუშინდელი დღე

მოზარდი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ისეთი მოთხრობების, რომანების, პოემების გამოცემას, რომლებშიც სწორად, მაღალმხატვრულად იქნება გადმოცემული ჩვენი სამშობლოს ჭეშმარიტად გმირული წარსული, ჩვენი წინაპრების პატრიოტიზმი, ხალხისადმი უანგარო სამსახური, თავგანწირვა და სიმამაცე; ჯერ კიდევ რამდენიმე ათეული წლის წინ, აკად. ე. ვ. ტარლეს სწორედ ეს ქონდა მხედველობაში, როცა წერდა: „საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორია ამისათვის იძლევა უმდიდრეს მასალას. მთელი საქმე იმაშია, როგორ გამოვიყენოთ, როგორ დავამუშაოთ იგი“. ზედმეტია იმის მითითება, რომ ჩვენ ქართველები, ამ მხრივ მართლაც განსაკუთრებით მდიდარნი ვართ. ფაქტიურად კი ქართულ ენაზე შექმნილი ისტორიული ლიტერატურა ძალზე მცირეა. ისტორიის მხატვრული წარმოსახვის საკითხი ამჟამად კვლავ წამოიჭრა; ასე მაგალითად აკადემიკოსები ს. დ. სკაზკინი, რიბაკოვი, ი. ი. მინცი, მიმართავდნენ რა ჟურნალ „ვოპროსი ისტორიის“ რედაქციას, აღნიშნავდნენ: „ნება გვებოძეთ ჟურნალის ფურცლებზე დავსვათ დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხი. ლაპარაკია იმის შესახებ, რომ არა შემთხვევიდან შემთხვევამდე, არამედ სისტემატურად და მიზანდასახულად გავაღვიძოთ და დავაკმაყოფილოთ სრულფასოვანი მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურით ჩვენი ახალგაზრდა მკითხველების ცოცხალი ინტერესი ისტორიული წარსულისადმი“ (ჟურნ. „ვოპროსი ისტორიი“, № 2, 1971, გვ. 201). ავტორები წინადადებას იძლევიან გამოიცეს ორი სერია: პირველი ისტორია სტატიებსა და ნარკვევებში; მეორე — ისტორია მხატვრულ პროზაში.

ქართულ ისტორიულ-მხატვრულ ლიტერატურას, ამ მხრივ მტკიცე ტრადიცია გააჩნია. იმდენად, რამდენადაც, საბჭოთა პატრიოტიზმისა და კომუნისტური ინტერნაციონალიზმის აღზრდის დიდი საქმე მხატვრულ ლიტერატურასაც აწევს ქედზე, ბუნებრივია, ისტორიულ თემაზე დაწერილი ყოველი ახალი წიგნი ცხოველ ინტერესს იწვევს ჩვენს საზოგადოებაში. მკითხველმა ბოლო წლებში სიამოვნებით მიიღო რ. ჯაფარიძის რომანი „მძიმე ჯვარი“, რომლის პირველი წიგნი „აღთქმა“, 1978, ხოლო მეორე, „განკითხვის დღე“, 1976 წელს გამოვიდა.

დიდ ინტერესს იწვევდა, ჯერ ერთი, ის გარემოება, რომ აგერ უკვე მესამედი საუკუნეა, მათი ავტორის პროზა მკითხველთა შეუნელებელი ყურადღებით სარგებლობს; მეორეც, რაც უაღრესად საგულისხმოა, რ. ჯაფარიძის მშვენიერი და განუმეორებელი პუბლიცისტიკიდან კარგად იყო ცნობილი, რაოდენ ფართოა და ღრმა საქართველოს ისტორიაში (და საერთოდ ისტორიაში) მისი განსწავლულობა; მესამეც, თუ აქამდე მხოლოდ თანამედროვე თემატიკას ემსახურებოდა, ახლა პირველად მიმართა წარსულს, ე. ი. სრულიად ახალ ამპლუაში წარმოგვიდგა.

საკმაო ხანი გავიდა ზემოხსენებული წიგნების გამოსვლიდან. ამდენად, ამ წერილის დაწერა არ არის პირველ შთაბეჭდილებათა გაზიარება; უწინარესად, ეს მეცნიერულ-მხატვრული რომანია. ისტორიული სინამდვილეა ის მყარი საძირკველი, რომელსაც ეფუძვნება ავტორი. მძიმე, მტკივნეული, ანდა, ერთი შეხედვით, ზოგჯერ დაუჯერებელი თუ ძნელად დასაჯერებელი, მაგრამ მაინც სიმართლეა ის ძირითადი ღერძი, რომლის ირგვლივაც ვითარდებიან მოვლენები. ეს კი ერთი-ორად საინტერესო საკითხავად აქცევს მას. კარგად არის ცნობილი, რომ ძალზე ძნელია ვარდასულ ეპოქაში ამა თუ იმ ქვეყნის სწორი სოცია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლურ-პოლიტიკური ვითარების მხატვრული გააზრება, მაგრამ გაცილებით უფრო რთულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის ყოველმხრივი და რეალისტური ასახვა. ჩვენთვის საინტერესო ნაწარმოებში ორივე ეს ამოცანა წარმატებით არის გადაჭრილი, რაც უდაოდ გამოარჩევს მას ბევრ სხვა ასეთი ტილოებისაგან.

რომანში ნათლად ჩანს ქვეყნის სამეურნეო ეკონომიური მდგომარეობა: მხარეთა შორის ეკონომიური კავშირის განმტკიცების საქმე და მისი შემაფერხებელი ტენდენციები, ფეოდალური წყობილების მახინჯი მხარეები (მათ შორის, ყველაზე სასტიკი — ტყვის სყიდვა, სამეურნეო გაჩანაგება. ე. წ. „მოთხრა“), რუტინა, მრავალმხრივი სამეურნეო საქმიანობა (მრეწველობა, ხელოსნობა, გლეხური და საბატონო მეურნეობა), საგადასახადო სისტემა, ვაჭრობა და ა. შ. დიახ, მწერლისათვის დიდი დაბრკოლებების გადალახვას მოითხოვს ამ პრობლემის გადაჭრა, და თუ ეს ამოცანა წარმატებით არის დაძლეული, აქ უეჭველია ავტორს ხელი შეუწყო ჯერ ერთი იმ გარემოებამ, რომ მტკიცედ ეყრდნობა თანამედროვე ქართული საისტორიო მეცნიერების თვალსაჩინო მიღწევებს, ღია კარებს არსად ამტვრევს და ზოგიერთივით დიდი ხნის წინათ დადგენილ ზოგად კანონზომიერებათა, თუ ცალკეულ დებულებათა ხელახლა დადგენას არ ცდილობს. აქედან გამომდინარე, მეორე მხრივ, კონკრეტულ-ისტორიულ ფაქტებს (რომელთაც ავტორი ზედმიწევნით იცნობს), ყველა შემთხვევაში სწორედ ამ კანონზომიერებათა თვალსაზრისით გაიაზრებს. ყოველივე ამის შედეგად, საქართველოს ისტორიის ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთი რომანში კონკრეტული ფაქტების გროვად კი არ წარმოგვიდგება, არამედ ურთიერთ მჭიდროდ დაკავშირებულ და ლოგიკურად გამომდინარე, ერთიან პროცესად, მთელი თავისი მრავალფეროვანებით და კონტრასტულობით.

მოქმედება თუმცა უშუალოდ დასავლეთ საქართველოს ფონზე იშლება, ვფიქრობთ, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ მასში აღმოსავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ვითარებაც ფართოდ არის წარმოჩენილი. გარკვეული აზრით, მეტ-ნაკლებად, იგივე შეიძლება ითქვას, ყოველ შემთხვევაში, რამდენადაც ეს აუცილებელი იყო, საქართველოს გარემომცველ ქვეყნებზე — რუსეთსა, თურქეთსა, სპარსეთსა და კავკასიის ხალხებზე. უამისობა კი საგრძნობლად გაალარიბებდა ნამდვილ სურათს.

ქართველ კაცს ოდითგან უყვარდა ვაზი, უყვარდა რაღაც განსაკუთრებული გრძნობით. „ძეძვით შემოღობილ ვენახებში, მდინარის გაწვრივ რიყეს რომ გასდევდა, ჭრელი ჩვრით თავწაკრული გლეხები და თალხებში ჩაცმული დედაკაცები გამოფენილიყვნენ. დაბლარი ვენახის სხვლის ალო იყო. ვენახებში მინდვრის პრასასა და ლორანჭყრიალას სუნი იდგა. გლეხები აუჩქარებლივ სხლავდნენ ვაზს, ბაჩუნ-ჩაბუნით გარშემო უვლიდნენ, მეათეჯერ ამოწმებდნენ, ხომ არაფერი დაგვრჩაო, დედაკაცები კი ვაზებს შუა მობნეულ ნაზამთრალ წალამს კრეფდნენ, პატარპატარა კონებად ერთ ადგილზე აგროვებდნენ და თხილის თუ შინარწყლის წნელებით ჰკონავდნენ“ (გვ. 97-98, წ. I ).ვისაც ერთხელ მაინც უშრომია ვენახში, ანდა უყურებია როგორ დაჰკანკალებს ქართველი კაცი ვაზს, როგორ ელოლიავება, რა იმედისა და სიხარულის მომვრელია მისთვის ვაზის მოვლა, დაგვეთანხმება, რომ ამ ორიოდე სტრიქონში ქართველი კაცის ვაზისადმი ეს ერთგულება და სიყვარული ზუსტად არის მინიშნებული. რომანში არაერთხელ ვხვდებით ვაზს, — სხვლის ალოობისასაც, მსხმოიარესაც, მწიფობისასაც, მტრისგან გაოხრებულსაც. მასზე ყოველი ფრაზა მიმართულია და ეხმაურება იმ მიზანს, რომ ჩვენს თანამედროვესაც ისევე უნდა უყვარდეს იგი, როგორც ჩვენს წინაპრებს. შეიძლება ითქვას, ვაზი ჩვენთვის საინტერესო მხატვრულ ტილოში რაღაც ორნამენტის როლს კი არ თამაშობს, არამედ, მოქმედი პირივითაა, თითქმის გასულიერებული. მაგრამ მარტო ვაზზე როდია საქმე. მოვუსმინოთ კვლავ ავტორს:

„შუაცეცხლის კვამლით გამჭვარტლულ ძელურ წისქვილში გახურებული ქვისა და დანაყილი სუნელის სუნი იდგა. ნახევრადბნელში, თვალს რომ შეაჩვევდი, თანდათან გამოიკვეთებოდა მარჯვენა კედლის გასწვრივ გამწკრივებული ალა-ხვიმირები, ხოლო მათ პირდაპირ შიგ წისქვილის ჭერქვეშ ჩადგმული პატარა ბეღელი, რომელშიაც მეწისქვილეები საზოგადოდ მინდს, ხშირი ხმარებისაგან გაზინთულ ქვეშაგებელს და წისქვილის მოსავლელად საჭირო ხელსაწყო-იარაღებს ინახავენ ხოლმე. ოთხივე თვალზე წყალი მიშვებული იყო. წისქვილში განუწყვეტელი შხუილი და გუგუნ-გრიალი იდგა. აბლაბუდებით დაქსელილი მთელი შენობა, საძირკველითა და სოხანითურთ, სულ ერთიანად ძაგძაგებდა. ალასთან მუხლმოკეცილი მესაფქვავე გლეხები, უმეტესწილად ახალუხისამარა პირტიტველა ყმაწვილები თვალს არ აშორებდნენ სიპინდის მოწითალო ფქვილს, ცაცხვის გალიპულ ალაში ფევალ-ფევალ რომ იპნეოდა და თვალდათვალ წვერწამახულ მთასავით ზევით და ზევით მიიწევდა. კერიაზე გუზგუზა ცეცხლი ენთო. კეცებზე ორად-ორი სიფრიფანა კოკორი ცხვებოდა. ცეცხლის შორიახლო შემომსხდარი, ქვეყნის ჭირვარამზე საუბარში გართული გლეხები, თავიანთი ღარიბული საფქვავის რიგს დარბაისლური მოუთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მენლობით რომ უცდიდნენ, აქეთ, დაბრაწული კოკრებისაკენ, ვითომდა უცაბედად, ძვალრბილში უხსოვარი დროიდან გამჯდარი ცეცხლის სიყვარულით თუ გადმოიხედავდნენ“ (გვ. 201-202. ნაწ. II). მე პირადად არ მახსოვს წყლის წისქვილი, ასეთი ზუსტი და ხელშესახები აღწერა კი რაღაც არ მაგონდება სადმე წამეკითხოს. ამ სტრიქონების კითხვისას როგორი უნებურობით შემოდიან ჩვენში მამაპაპური წისქვილიც, თავის რიგს „დარბაისლური მოუთმენლობით“ მომლოდინე მესაფქვავე გლეხებიც, დაფქვილული აბლაბუდებიც, ცეცხლის გუზგუზიც, წყლის შხუილიც... უაღრესად სრული და ზუსტი სურათია გამოძერწილი... და როგორ მარჯვედაა ნასროლი ბოლო ფრაზა: „აქეთ, დაბრაწული კოკრებისაკენ, ვითომდა უცაბედად, ძვალრბილში უხსოვარი დროიდან გამჯდარი ცეცხლის სიყვარულით თუ გადმოიხედავდნენ“. მარტო ამ ერთ, მშვენივრად მოვარაყებულ ფრაზაში, როგორი მძაფრი სურათია მოცემული შიმშილისა, თუმცა ეს სიტყვა არც არის ნახმარი. ამასთან, არ შეიძლება თავისთავად არ გაგვკრას ფიქრმა: წისქვილშიც რომ ასეთი ამბავია, რაღა იქნება ათასნაირი უბედურებით სასოწარკვეთილ ქვეყანაშიო.

რომანში მკვეთრად და დამაჯერებლად არის გამოძერწილი მოქმედ პირთა ხასიათები, რომელთაც უმთავრეს შემთხვევაში დიდი, ძნელად დასაოკებელი შინაგანი წინააღმდეგობანი ახასიათებთ. რთულ დროში რთული ადამიანები ცხოვრობდნენ. მათი მიზნები, ამოცანები, მოქმედება, მემკვიდრეობით, ტრადიციებით, შექმნილი სამეურნეო და პოლიტიკური ვითარებით იყო ნაკარნახევი. და თუ ისინი აგრერიგად რეალურად და ხელშესახებად გამოიყურებიან, ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იმაში უნდა ვეძიოთ, რომ ისინი, ყველანი თავისი ეპოქის, თავისი დროის შვილები არიან. რამდენჯერ გვინახავს: ისტორიულ რომანებში გაცოცხლებული გმირები ხშირად ისე აზროვნებენ, როგორც ჩვენი თანამედროვენი. აქ კი, სწორედ პირიქით არის. და ამ გარემოებით ბევრი რამ არის განპირობებული, რაც რომანს დიდ ღირსებას ანიჭებს. ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს ათეულობით ადამიანთა, ერთი მხრივ, სულიერი ევოლუციისა, ხოლო, მეორე მხრივ, მათი დეგრადაციის პროცესი. ნახევრად გაველურებული, ყველაზე საშინელი დანაშაულისათვის მზადმყოფი, სულიერი, ადამიანური, მორალური ღირებულებანი ცხოველურ ინსტინქტებად რომ დაუხურდავებია — მახარობელა გუნცაძე, თავისი ბატონების ერთგული, ყოვლისმცოდნე ხვაშაქი, საცოდავი, მაგრამ გამბედავი, ხამშობლოსათვის გულანთებული და თავდადებული საჭურისი ბიჭი ნატრია, „სისხლითა და ხორცით გატენილი, თვალებაბრიალებული“ გულქანი, მეფის გულფიცხი ძიძიშვილები — ძმები ნაფიჩვაძეები, ორჭოფად გადაგვარებული თამაზა მესხი და ათეულობით სხვა მოქმედი პირები ამ პროცესის გამომხატველნი არიან.

მკითხველთა ყურადღებას შევაჩერებთ მოხუცი ოქრუა ბრეგაძის პორტრეტზე:

მგზავრები „ის იყო ხელახლა ამხედრებას აპირებდნენ, რომ ძეძვის ღობეს, სამაგალითოდ გასხლულ ახალშენ ვენახს რომ ჰყოფდა, სიბერისაგან დალეული, ბეჭებში საგრძნობლად მოხრილი ბერიკაცი მიადგა და უცხო მგზავრებს „კაი სალამი“ ჰკადრა“. მაგრამ რომ ნახა, სოლომონი და მისი მხლებლები ცხენებს მოახტნენ, „შეწუხებული ბერიკაცი საწყალობლად დაეღრიჯა ამათში ყველაზე უფროსს და შესახედავადაც დარბაისელ გიორგი წულუკიძეს, „ერწამა“ შეჩერება სთხოვა... იმ შენი პატიოსანი მიცვალებულების სულის ცხონებამ, ღარიბულ პურმარილზე ხელს ნუ მიკრავთო“. იქვე, მეფის კითხვაზე, საეკლესიოდ ჯობდა თუ სახასოდ ყოფნაო, პასუხობს: „—თქვენგან არ მიკვირს, ბატონო? გლეხკაცს ვინ კითხავს, ასე გირჩევნია თუ ისეო! რავარც ბატონის ნება იქნება, ჩვენც ისე ვიქნებით“. გადასახადზე: „იმ, მაგან არ ამოგვაგდო? ვინ შეგაწევს თუ არა კი! — გლეხმა გაღიმება სცადა და მზით დამწვარი, ტარანივით გამომშრალი სახე დაუნაოჭდა. — —გლეხკაცის საშველი მიდღემჩი ყოფილა, ჩემო ბატონო? არც ყოფილა და არც იქნება! — მოხუცმა უკან გაიხედა და ცერის ხახსარში გადამსკდარი ხელი სანიმუშოდ მოვლილი ვენახისაკენ გაიშვირა“.

ოქრუა ბრეგაძეს უყვარს შრომა, რაკი აქვს „სანიმუშოდ მოვლილი ვენახი“, აღალი სტუმართმოყვარეობა, და თუმცა „სიბერისაგან დალეულა“ და ბეჭებშიც მოხრილა, მაინც საღად მსჯელობს არა მარტო სოფლის მეურნეობის, არამედ სოფლის მეურნეობის ეკონომიკის საკითხებზეც (ესმის ღვინის გასაღების სიძნელეთა მიზეზები), ეროვნულ ჩაგვრაზე („...თათრდება ბევრი. აღარ დეეძებს, ბატონო. ან იმან რა ქნას — ველარ დაარჩინა ოჯახი! ბოვშებს რო არ გვტაცებდნენ კიდე...“ (გვ. 99-100). და თითქოს ამ ანგელოზივით გლეხკაცს აკლდა რაღაც, ფეხმძიმე რძალს დაჰკანკალებს: „მძიმე არაფერი აწიო, შვილო, მტრისას და ავისას, მუცელი არ მოიწყვიტოო“. მაგრამ რაც მთავარია, ის გამოხატავს კლასობრივი ჩაგვრისადმი აშკარა, მაგრამ მოხუცთათვის უფრო შესაფერ, ყრუ პროტესტს.

ცხადია, კალმის ორიოდე მოსმით პიროვნების ასე სრულყოფილად გამოძერწვა მხოლოდ ნამდვილ ოსტატთა ხვედრია.

რთულია გლეხის, ქეშიკად, ყოფილი ასკაა აბესაძის სახე. ეპოქიდან გამომდინარე შინაგანი ბრძოლა არყევს მის პიროვნებას, ზოგჯერ თავის მოვალეობასაც ღალატობს, ბავშვის გატა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცებასაც დააპირებს, საშინლად მოპყირჭებია ლაშქრად წანწალი და ოცნებობს თავის საკუთარ სახლში გაატაროს წუთისოფელი. და რაოდენ მდუღლოდნელია, მისი მეფისადმი გამოთქმული თხოვნა: — „ამ ზაფხულს ერთი ორი თვე ლაშქრიდან რომ დამითხოვდე... არხი მაქ გასაჭრელი. იქანა რო დამინახავენ, იქნება ღმერთი შემეწიოს და მეზობლებიც შევაგულიანო ხელისდადება ახალშენი ვენახი უწყლობით მიოხრდება. ზედაშის მადლი გამიწყრეს თუ...“ (წ. II, გვ. 458). აი, საუკუნეთა მანძილზე ქართველი კაცის აუხდენელი ოცნება — მშვიდობიანი შრომა. აქაც სოციალური უსამართლობა იგრძნობა.

ზოგგან უფრო მძაფრად ჩანს სოციალური უსამართლობით გამოწვეული პროტესტი: „ამათ ტახტის ჯავრი აწუხებთ, ახლა უბედურ გლეხს ჰკითხე! ღმერთო ნუ გაახარებ ჩვენს ორგულს, მეფეც წყალს გაატანე და სულთანიც, ორივე საწყალი გლეხის სისხლის მწოველია“ (გვ. 261). არც ჰქონდათ თავადებს მათი იმედი: კლასობრივი ბრძოლები რომ ოსტატურადაა დახატული, ამას შემდეგიც მოწმობს: „ლევან აბაშიძე წაგებული რჩებოდა. მას თვით საკუთარი ყმები გადაუბუგავდნენ ამდენი გარჯითა და დღე-ღამის გასწორებით გამართულ სახლკარს“ (გვ. 49).

კლასობრივი ბრძოლა მარტო ნაჯახითა და მახვილით ბრძოლა როდია, მწერალმა ეს შესანიშნავად იცის, და ამიტომაც ასე კარგადაა ნაჩვენები ამ მოვლენის როგორც აქტიური, ისე პასიური ფორმები,

რომანში ხალხის ყოფა ფართოდ არის წარმოჩინებული. ჩვენ მხედველობაში გვაქვს არა მარტო ათეულებით მატერიალური დოვლათის მწარმოებელთა შესანიშნავი სახეების დახატვა, არამედ საკითხის მეორე მხარე: ლაშქრობების, დღეობების, ლტოლვილების, ქორწილების, მასობრივი დაწიოკების, რელიგიური თუ სხვა სახის დღესასწაულების დროს ხალხის მასების, მათი მოქმედების, ყოფაქცევის მხატვრული ჩვენება, აქვე უნდა აღინიშნოს: სოციალური ურთიერთობის რთული საკითხები მარქსიზმ-ლენინიზმის დებულებათა ყოველმხრივი გათვალისწინებით არის გადაჭრილი, რაც განპირობებულია ავტორის ზედმიწევნით სწორი იდეური პოზიციებით.

როდესაც მოქმედ პირთა ხასიათებს ძერწავენ, და ისინი არადამაჯერებელნი, ტრაფარეტულნი გამოდიან, ამაში ხშირად ის ფაქტორიც თამაშობდა როლს, რომ მკითხველის წინაშე ჩნდებოდნენ ერთმხრივ დადებითი, „უნაკლო“, მეორე მხრივ კი უარყოფითი, პერსონაჟები. პირველ მათგანთ ახასიათებდათ მხოლოდ დადებითი, უკანასკნელებს კი პირიქით, მხოლოდ უარყოფითი მხარეები. ჩვენ განზე ვართ იმისაგან, რომ თეორიულად ვიდავოთ იმის თაობაზე, თუ როგორნი უნდა იყვნენ დადებითი ან უარყოფითი პერსონაჟები. გვგონია კი, რომ მოქმედი პირი გაცილებით რეალურია და დამაჯერებელი, როდესაც დადებით გმირებს უარყოფითი მომენტები ახასიათებთ და პირიქით. ნებისმიერი ადამიანი ხომ ასეთია. და თუ გვეჩვენება, ზოგიერთი მხოლოდ დადებითი თვისებების მატარებლად, ანდა პირიქით, ეს ხომ იმიტომ ხდება, რომ ვერ ვხედავთ მას ბოლომდე, სრულად. აქ ჩვენ წმინდა ადამიანური თვისებები გვაქვს მხედველობაში. „მძიმე ჯვარში“ საკითხის ასეთ დაყენებასთან გვაქვს საქმე. თვით სოლომონის სახეც ასეთია, თვით თინათისაც კი, სხვა დანარჩენებზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა ის გარემოება, რომ მოქმედი პირები წარმოგვიდგებიან ნათლად არა მარტო ფიზიკურად, თავისი ასაკით, შესახედაობით, არამედ, რაც მთავარია, ნათლად ვხედავთ მათს სულიერ მოძრაობასაც, მათს ფსიქოლოგიას. ადამიანის ფსიქიკის ღრმა ცოდნის გარეშე მწერალი ვერასოდეს ვერ შესძლებს ამ პრობლემის გადაჭრას. ძნელ დროში ცხოვრობდნენ მოქმედი პირები. ღალატი, შური, ქიშპობა, და სხვა ამისთანა მანკიერებანი ხრავდნენ იმდროინდელი ქართველი კაცის სულიერ სამყაროს. შექმნილი პირობებიც, უბიძგებდნენ და ჩნდებოდა, მრავლდებოდა, საბას სიტყვით თუ ვიტყვით, „ანგარებაი“, „პარვაი“, „ტაცებაი“, „ცოდვაი“ და „უსჯულებაი“, ეს იყო დრო, როცა ადამიანებს ახარებდათ, დანგრეული გზები, რომლებზეც ზამთრის თვეებში მტერი ვერ გამოივლიდა, ეს კი ხალხისათვის მშვიდობას ნიშნავდა. მშვიდობიანი ცხოვრება კი ენატრებოდა ყველას, მეფეს და ფეოდალს, გლეხსა და ვაჭარს. ადამიანებს სწყუროდათ მშვიდობა. და მიუხედავად იმ გაგანია დროისა, ქართული სულიერი კულტურა მართალია ზიგზაგებით, მაგრამ მაინც ვითარდებოდა და არ ჩამკვდარა, შენდებოდა ეკლესიები, გრძელდებოდა ოქრომჭედლობა და დამწერლობა, ქართული ზეპირსიტყვიერება ქმნიდა ახალ-ახალ შედევრებს, მღეროდნენ მრავალსაუკუნოვან სიმღერებს, მაღალ დონეზე იდგა ქართული დიპლომატია. ვერ იყენებდნენ რა ყველა ადგილებს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, იძულებულნი იყვნენ უფრო მეტად ეზრუნათ სამეურნეო კულტურის ამაღლებისათვის. რომანში ცხოვრების არცერთი მხარე არ არის დავიწყებული. ფეოდალებშიც და გლეხებშიც ძირითადად ორგვარი ადამიანები იყვნენ. ერთნი ადგნენ პირადულისათვის ყველაფრის, მათ შორის სამშობლოს ინტერესების, შეწირვის გზას. მეორენი კი თავდადებით ემსახურებოდნენ სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშობლოს. და სწორედ ამ უკანასკნელთ არგუნა ბედმა საქართველოს გადარჩენა.

და მიუხედავად ამისა, როგორი სიფაქიზით და კდემამოსილებით არის სავსე სოლომონ პირველის მეუღლის, ინალიშვილის ქალის თინათის შინაგანი დრამატიზმით და ტრაგიზმით დატანჯული ადამიანის პორტრეტი, რომელმაც იცის, რომ საკუთარი თავი უნდა შესწიროს ქვეყნისა და სამშობლოს ინტერესებს, და ამ წმინდა მიზნისათვის, იკრებს რა მთელ შინაგან ძალებს, მეფეს და მეუღლეს ამხნევებს კიდეც ამ ნაბიჯის გადადგმაში. დიდ ქართველ ქალთა ტრადიცია ცოცხლდება ჩვენს თვალწინ.

უდავოა, რომ ისტორიულ თემაზე შექმნილი მხატვრული ნაწარმოების შეფასებისას დიდი ადგილი უჭირავს ისეთ საკითხს, როგორიც არის ხალხთა მეგობრობა. ჩვენი ქვეყნის ერების ერთ განუყოფელ კავშირად შედუღაბება ისტორიული განვითარების ლოგიკური შედეგია, და მისი გვერდის ავლა უეჭველი მარცხის საწინდარი იქნებოდა. ავტორს არც ეს საკითხი გამორჩენია. ქართველთა მეგობრობას სომხებთან, კავკასიის ხალხებთან, არა ერთი თბილი სტრიქონი აქვს მიძღვნილი. გარდა ამისა, საყურადღებოა, რომ მოვლენები იშლება არა მარტო მათთან პოლიტიკური ურთიერთობის ასპექტში, არამედ ეკონომიური, სამხედრო და კულტურული ურთიერთობის ფონზეც. ეს გამომდინარეობს ავტორის თეორიულ-მორალური სიმწიფიდან და პირდაპირ ეხმაურება კავკასიის ხალხთა მეგობრობის შემდგომი განმტკიცების ინტერესებს.

მაგრამ განსაკუთრებით საინტერესო და ისტორიული სინამდვილის შესაბამისად, არის აღწერილი რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიური, კულტურული და სამხედრო ურთიერთობა. ეს არის პერიოდი, როდესაც ამ ურთიერთობამ დიდი ხანია გაიარა დასაწყისი ეტაპი და ადიოდა უფრო მაღალ, მნიშვნელოვან საფეხურზე; დიდი სიყვარულით არის დახატული რუსეთის წარმომადგენლობა, მათი საქმიანობა და ჩვენ მოწმენი ვხდებით რუს-ქართველთა მეგობრობის ამაღელვებელი მომენტებისა.

ჭეშმარიტი ოსტატი ერთნაირად უნდა გვიხატავდეს ადამიანებსაც და გარემოსაც. ქართული პეიზაჟების დახატვა უფრო რთული უნდა იყოს, თავისი მრავალფეროვნების გამო, ვიდრე, ვთქვათ, უკიდეგანო ქვიშიანი უდაბნოს, ან ერთიანად თოვლით დაფარული ველებისა, მაგრამ, ერთ ადგილს მაინც მოვიყვან; მოლინახეს მიდამოებზე ნათქვამია; „ძირს კიდით-კიდემდე განრთხმულიყო თითქოსდა პირველქმნილი სამყარო, აგრე ნორჩი, აგრე წმინდა და აგრე ნაყოფიერი. სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ ოდნავ დაფერდებული უზარმაზარი ველი, სადაც პერანგას მთის ძირში რომ იწყებოდა, გამჭვირვალე, ლურჯ ბურუსში გახვეულ ლიხის მთებამდე აღწევდა... მწვანე ხოდაბუნებში, ყვირილას გაღმა, ტყემალი, პალი და ბია ჰყვაოდა. ჰაერი მსუბუქი იყო, გამჭვირვალე და ყვავილის მოტკბო სურნელით გაჟღენთილი...“ (გვ. 172). აი, კიდევ, ერთი შეხედვით უბრალო, მაგრამ როგორი პლასტიკური სურათია მტრის ბარბაროსული ნამოქმედარისა: „გათენება მოახლოებული იყო. ცას მოეწმინდა. ბრდღვიალა ცისკრის ვარსკვლავი, ლურჯ ცაზე ჩირაღდანივით რომ ციმციმებდა და მგზავრებს გზას უნათებდა, გადახრილიყო და მთებს იქით ჩასვლას აპირებდა... აქა-იქ ჯერ კიდევ ხრჩოლავდა ჩამწვარ-ჩანაცრებული ხის სახლები, საბძლები, ქოხ-ბოსლები და მოტრუსული ადგილები, სადაც შუადღისას ნაზამთრალი ჩალის ზვინები იდგა. ღამის ბინდბუნდში ადამიანები დაბორიალობდნენ და ახალი თავდასხმის შიშით დაფეთებულნი ყორეების, ჰიშკრებისა და უვნებლად გადარჩენილი ნამშრალების უკანიდან ადევნებდნენ თვალს თქარათქურით მიმავალ უცხო მხედრებს“ (გვ. 208).

ვფიქრობთ, ეს ორი მაგალითიც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ ავტორის ესთეტიკური ხედვა ბუნებისა სრულია და მხატვრულად დამაჯერებელი.

როგორი ენით უნდა იწერებოდე ისტორიული რომანი? თანამედროვე ქართულით, თუ ისეთით, როგორც მაშინ ლაპარაკობდნენ? მართალი ვითხრათ, რ. ჯაფარიძე საერთოდ ერთდება ადგილობრივი დიალექტების მოჭარბებულ ხმარებას, თუმცა და სამართლიანად, მის ნაწერებს გადაჰკრავს ამ მხრივ იმ კუთხეების ელფერიც. იგი უფრო ხალხის ლექსიკური სიმდიდრის მივიწყებულ მარგალიტებს ეძებს და ქარპადაც პოულობს. რაც შეეხება ორსაუკუნოვან დისტანციას, ვფიქრობთ, ზედმეტია იმის მტკიცება, რომ XVIII საუკუნის ნაწერები ისევე გასაგებია თანამედროვეთათვის, როგორც ეს ნაწარმოები. რომანი მდიდარი, მადლიანი სალიტერატურო ქართულით არის დაწერილი. მაგრამ აი ერთგან: „დედაბერმა უკბილო პირის ჩიფჩიფით უპასუხა: — ყველუკას ამოსაყვანი რძეუკა ქვე სადა გვაქ, დედუა, ი. ბოშუნეებს ვეღარ ოუდივართ ყე...“ (გვ. 156). უცებ ძარღვებში დაგივლით რაჭული დიალექტის სილამაზე, სიცხოველე და უნებურად გაიფიქრებ კაცი: რაჭველი კაცისათვის იმდენად ძნელია პაწაწინა ნაგლეჯ-ნაგლეჯ ადგილებში პროდუქტების შექმნა-მოყვანა, რომ მგონი აპიტომ მხოლოდ საალერსო სახელებს ეძახიან: ყველუკა, რძეუკა. პურუკა, ცხვარუკა...

რ. ჯაფარიძე მხატვრული გამოთქმების ოსტატია, თუმცა მათ, ჩვეულებრივ, ანდაზებისა და ბრძნული გამოთქმების ფორმა შეიძლება

ეროვნული

არც ჰქონდეთ. „ვაჟკაცის დამამცირებელი შემაძრწუნებელი ეჭვი სოლომონს საკუთარი თავისთვისაც ვერ გაემხილა“ (გვ. 309, წ. II); „სათაგურში შეტყუებული თაგვივით მოგაშთობენ...“ (გვ. 317, იქვე); „როსტომი წინასწარ მოფიქრებული გულგრილობით შეხვდა ახალ ცნობას და ოჯახის წევრებიც დამოძღვრა“ (გვ. 326, წ. II).

ყოველ წინადადებაში მხატვრული სიტყვა თუ გამოთქმა აზრის, მოვლენების მკაფიო და გასაგებად გადმოცემას ემსახურება. მართლაც საოცარია, ასობით გვერდებზე არცერთი ნაძალადევი, გაპრანჭული სიტყვა. ქართულ მწერლობაში თუ კი ვინმე დიდი სიფაქიზით ეპყრობა ქართულ ენას, ერთ-ერთი მათგანი უეჭველად რ. ჯაფარიძეა.

მწერალს უდიდესი შრომა [illegible] და მდიდარი დოკუმენტური მასალა შეუსწავლია. ამდენად, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს არც უნდა იყვნენ მასში გამოგონილი პერსონაჟები.

რომანი გამოირჩევა იშვიათად დახვეწილი სიუჟეტური ხაზებით და კომპოზიციური მთლიანობით, მაგრამ, მგონი ზედმეტია ამ საკითხზე ლაპარაკი, როცა საქმე ასეთ მწერალს შეეხება.

რ. ჯაფარიძეს ქართულ პროზაში თავისი, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. უეჭველია, ეს ნაწარმოები იმ მცირერიცხოვან წიგნებს ეკუთვნის, რომელიც მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს ქართულ ისტორიულ-მხატვრულ ლიტერატურაში.

## სულხან ჟორდანია

# ვაჟა-ფშაველას მხატვრული აზროვნების ზოგიერთი თავისებურება

ჩვენი ინტერესის ფოკუსში მოქცეულია ვაჟა-ფშაველას ენის ერთ-ერთი ყველაზე უფრო რთული და საოცარი ფენომენი მეტაფორული მეტყველებისა და სიმბოლოს სახით, რომელთა თაობაზეც იმდენი დიამეტრალურად განსხვავებული აზრია გამოთქმული, რომ მათ ანალიზზე გადასვლამდე აუცილებელ პირობად მიგვაჩნია გარკვეული ადგილი დავუთმოთ ჯერ მეტაფორისა და მერე სიმბოლოს ზოგადი რაობის განმარტების ცდას. არ იქნებოდა ურიგო ჩვენი დამოკიდებულება გამოგვეხატა მეტაფორის ჰეგელისეული ინტერპრეტაციისადმი, არა მარტო იმიტომ, რომ ეს ინტერპრეტაცია ეკუთვნის დიდ ფილოსოფოსს, არამედ იმიტომაც, რომ მისი გავლენა ამ სფეროში შეიმჩნევა არა ერთსა და ორ თანამედროვე გამოკვლევაში ლიტერატურათმცოდნეობისა და ლინგვოსტილისტიკის დარგში. პირდაპირ უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ არასწორად მიგვაჩნია ჰეგელის აზრი იმის შესახებ, რომ მეტაფორა მხატვრული ნაწარმოების გარე სამკაულია და რომ სიტყვის ნებისმიერი მეტაფორული ხმარების დროს მკითხველი უმალ იგებს კონტექსტუალურ მნიშვნელობას, რადგანაც სიტყვის მნიშვნელობასა და ხატს შორის არსებული (სემანტიკური — ს. ჟ.) კავშირი იძლევა ასეთ შესაძლებლობას. მეორე მხრივ, ჩვენი აზრით, მეტაფორის ჰეგელისეული განმარტება, რომ იგი არის შეკუმშული შედარება, შეიცავს შესამჩნევ რაციონალურ მარცვალს. თუ მეტაფორას ამ ასპექტიდან განვიხილავთ, დავინახავთ, რომ ჰეგელის თანამედროვეს, ა. შოპენჰაუერს გაცილებით უფრო სწორი შეხედულება ჰქონია როგორც შედარებაზე, ასევე ნებისმიერ ტროპზე. შოპენჰაუერის აზრით, შედარება შემეცნების უძლიერესი ბერკეტია. ზუსტი და უჩვეულო შედარება ღრმა ინტელექტზე მეტყველებს. თავის ფუნდამენტურ შრომაში „სამყარო როგორც ნება და წარმოდგენა“ ის ასე მსჯელობს:

ნებისმიერ საშუალო მწერალს გაოცებით გამოწვეული გაშეშება შეუძლია ასე გამოხატოს: „ის იდგა, როგორც ქანდაკება“ მაგრამ სერვანტესი ამბობს: „როგორც ჩაცმული ქანდაკება, რადგანაც ქარი არხევდა მის ტანსაცმელს“.

შოპენჰაუერი დაასკვნის, რომ ყოველი გენიოსი კონკრეტული ხატის წარმოდგენისას აზროვნებს და აზროვნებისას თვალს არ აცილებს მას. ზუსტად ასეთი შთაბეჭდილება გვექმნება ჩვენ, როდესაც ვაჟას ხატების, სამყაროში ვიმყოფებით, სამყაროში, საიდანაც მანამდე გაუგონარი ხმა გაისმის. განსაცვიფრებელი ესთეტიკური ძალის მქონე ენობრივი ხატებისაგან მოქსოვილი უნაზესი ბადე გადაჭიმულია ვაჟა-ფშაველას მთელ შემოქმედებით მემკვიდრეობაზე: ლექსებზე, პოემებზე, პროზაზე. შეუძლებელია ადამიანმა თქვას ასე:

> არწივი ცის მკერდს გაეკრა,
> ფართამობს, როგორც მაყარი,
> ცას უპობს გამხმარს გულ-მკერდსა
> ხამუშად მისი ყარყარი.
>
> (არწივი და კაკაბი. 1908 წ.)

თუკი მის თვალწინ არ მიმოქრის ენის სუბსტანციაში დატყვევებული ცოცხალი ხატი. აღსანიშნავია, რომ ვაჟას ენობრივ ხატებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო ხშირად ადვილია მეტაფორის შიდა ფორმის, ამ ტერმინის ჰუმბოლტისეური, გაგებით, ახსნა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მისი ყველა ხატის შიდა ფორმა ერთნაირად გამჭვირვალეა. ძნელი არ არის. მაგალითად. ასეთი გავრცობილი მეტაფორის ინტერპრეტაცია:

> ტყე როგორ დაბერებულა,
> ძირს თავი დაუკიდია!
> შეუბრალებელს ზამთარსა
> ზურგს ტვირთი აუკიდია
>
> (საშობაო ზღაპარი. 1909)

სადაც დაბერებული ტყის თავი ხეების კენწეროებია, გადმოღუნული თოვლის სიმძიმისაგან, ზამთრის მიერ ტყეზე აკიდებული ტვირთიც შეიძლება გავიაზროთ როგორც თოვლი. მაგრამ რას ვიტყვით ისეთი გავრცობილი მეტაფორის შესახებ, სადაც პერსონიფიცირებულია გრძნობა? ვაჟა ამბობს, რომ გრძნობას:

> აკვნადა ჰქონდა ნიავი,
> მაღლ-სხურებული მთებისა, —
> ზედ ერწეოდა ბავშვივით
> და ნისლი იმის თმებისა
> ნამს აპკურებდა მიწასა,
> მარგალიტებად სცვიოდა,
> ნაირ-ნაირი ყვავილი
> მიწიდან ამოდიოდა".
>
> (აზრი და გრძნობა. 1908)

გაცილებით უფრო ძნელია ამ მეტაფორაში „ადვილად" დანახვა იმისა, თუ რა რასთან არის შედარებული და რომელი სემანტიკური ელემენტი იწვევს ორი ერთმანეთისაგან აბსოლუტურად განსხვავებული საგნის დაპირისპირებას. გ რ ძ ნ ო ბ ა — აბსტრაქტული არსებითი სახელი და ა კ ვ ა ნ ი; ა კ ვ ა ნ ი და ნ ი ა ვ ი; გ რ ძ ნ ო ბ ა და მისი რწევა ნიავზე; და ბოლოს, გ რ ძ ნ ო ბ ი ს თმების ნისლი და მარგალიტებად დაცვენილი ნამი ისეთ განსაცვიფრებელ ხატს წარმოგვიდგენენ, რომ მისი სათანადო შეფასება მხოლოდ და მხოლოდ სახვითი ხელოვნების რაკურსიდან შეუძლებელია: ეს ხატი დანახულით არ ამოიწურება, მას უნდა უსმინოთ კიდეც, ის იმდენად აბსტრაქტულია, რომ მუსიკას უახლოვდება — „მუსიკის კონსტრუქციულ საფუძველზეა აგებული და აქ გაგების პრინციპი. გამორიცხულია" და მაინც, საერთო ჯამში, ვაჟა-ფშაველას მეტაფორები და ეპითეტები, უფრო მეტად კონკრეტულ ვიზუალურ წარმოდგენას მიეკუთვნებიან, ვიდრე აბსტრაქტულსა და ამოუცნობს. ისინი უხვად გვხვდება როგორც პოეზიაში, ისევე პროზაში. არა ჰყავს ვაჟას ამ მხრივ ბადალი! რომელსაც ვაჟა ამბობს ღრუბელზე:

> ბუნების ძალთა გალობა,
> მადიდებელი მზისაო,
> მას ესმა; ფრიად ეწყინა
> ჯაგარ-აშლილი ზისაო;
>
> (შავი ღრუბელი, 1894)

იგი თვალს არ აცილებს ჯაგარ-აშლილ ღრუბელს, მხატვრული აზროვნების ამ ბრწყინვალე და უნიკალურ ხატს. ჩვენზე ვაჟას ხატები იმიტომ ახდენენ ასე დიდ ესთეტიკურ შთაბეჭდილებას, რომ ვაჟა პირისპირ, უშუალო კონტაქტშია იმ სამყაროსთან, რომლის ჭვრეტასაც პოეტი შემოქმედებით ეგზალტაციამდე მიჰყავს. ის ამ ხატებს საკუთარი ინტელექტიდან იღებს, ბუნებასთან უშუალო კავშირის შედეგად ამკვიდრებს და სწორედ ამიტომ დგანან ისინი ორიგინალობის უმაღლეს საფეხურზე. ჩვენ არ შეგვხვედრია ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენით შექმნილ მხატვრულ ნაწარმოებებში არაფერი თუნდაც ასეთი ხატის მაგვარი. პოეტი ამბობს ცხენზე:

> მოჰქროდა ჩემი მიმინო,
> ფეხებს იბანდა ქარითა.

განა განსაცვიფრებელი არ არის სიჩქარის ამგვარი ხედვა? შოპენჰაურის დებულება იმის შესახებ, რომ სხვისი აზრების განუწყვეტელი მოზღვავება ზღუდავს ჩვენს საკუთარ აზროვნებას, შეიცავს რაციონალურ მომენტს პოეტური აზროვნების მიმართებით.

ძნელია ორიგინალობის შენარჩუნება, თუკი შენი საკუთარი ხატების სისტემა მთლიანად ეყრდნობა შენამდე არსებულ სხვა პოეტთა და მწერალთა სისტემებს, ან მათი ხატების ელემენტებისაგან შეკოწიწებულ მოზაიკას წარმოადგენს. ჰაიდეგერი ამბობს, რომ ენა არა მხოლოდ კომუნიკაციის იარაღია, არამედ თვით შესაძლებლობაა ადამიანის სამყაროსთან უშუალო კონტაქტისა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ პოეტის მიერ ბრწყინვალე ხატის შექმნა არ არის უბრალო ნომინაცია აპრიორულად არსებული საგნისა; თუკი აღნიშნული მეტაფორა მხოლოდ და მხოლოდ მას ეკუთვნის, პროდუქტია მისი ინტელექტის უშუალო კონტაქტისა სამყაროსთან, მაშინ ამგვარი ნომინაცია შემოქმედებითი აქტია, რადგანაც მის მიერ ნომინირებული საგნის რაღაც ასპექტი იბადება როგორც ვერბალიზებული სამყაროს ახალი ელემენტი. რაც შეეხება შედარებას, იგი არ წარმოადგენს ნომინაციის აქტს, მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც შემოქმედებითი აქტია, რადგანაც შედარებისას უცნობი მიმართება ცნობიერ მიმართებაში გადადის. ჰეგელს სჯერა, რომ მეტაფორა (და, ალბათ სხვა ტროპიც) თავისთავად დამოუკიდებელი მხატვრული ნაწარმოების გარე სამკაულია. ენობრივი ხატისა და ლიტერატურის მხატვრულობის პრობლემა იმდენად ღრმაა, რომ ასეთი ზედაპირული შეხედულება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის რაობას ვერც კი ეხება. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, რას ვიტყვით ისეთ დამთავრებულ მხატვრულ ნაწარმოებზე, რომელიც თითქმის მთლიანად ტროპების ერთ განუწყვეტლივ ნაკადს წარმოადგენს, ანდა რომელშიაც ტროპით გადმოცემულია ლოგიკური და ემოციური შინაარსის ძირითადი ნაწილი?

შოპენჰაუერი მართებულად აღნიშნავს, რომ რიტმისა და რითმის ერთობლიობას პოეზიაში თავისთავად აქვს ღირებულება, რადგანაც სიამოვნებას ანიჭებს ჩვენს სმენას და ამგვარად მუსიკას უახლოვდება. როდესაც ასეთ სიამოვნებას შინაარსისაგან მიღებული სიამოვნებაც ემატება, ჩვენ აღტაცებაში მოვდივართ. ვაჟა-ფშაველას მოთხრობა „მთანი მაღალნი“ ჩვენზე ისეთ ესთეტიკურ ზეგავლენას ახდენს, რომელიც პოეზიის შედევრების ზემოქმედების ძალას უტოლდება. მთელი ნაწარმოები თითქმის ერთ გავრცობილ მეტაფორას წარმოადგენს. იდეას ალვიქვამთ ფანტაზიის შინაგანი სამყაროს ბრწყინვალე ფანტომში. აბსტრაქციის სფეროშიც კი ძნელდება მეტაფორისა და ლოგიკური შინაარსის, მეტაფორისა და „ნაწარმოების“ ერთმანეთისაგან გათიშვა: მეტაფორა აქ თვითონ არის მხატვრული ნაწარმოები.

მოთხრობა კი ასე იწყება: „იდგნენ და ელოდნენ. უსაზღვროა მთების მოლოდინი; უსაზღვრო ზღვადა სდგას იმათ გულში, წითლად, სისხლისფრად შედედებული უთიმთიმებთ გულმკერდში. გარეთ, სახეზე კი არაფერი ეტყობათ, გარდა მტერობისა.“ არ შეიძლება მკითხველის ყურადღება არ მოაჯადოვოს მეტაფორიზებული მოლოდინის ამ უცნაურმა ნიმუშმა. მოლოდინი — აბსტრაქტული არსებითი სახელი წარმოდგენილია უსაზღვრო ზღვად — კონკრეტულ არსებით სახელად, შემდეგ კი არაორგანულ ფენომენზე — მოლოდინი — ზღვა ორგანულის ნიშანთვისებაა გადატანილი; ის თიმთიმებს როგორც სისხლი გულ-მკერდში.

შთაბეჭდილება კიდევ უფრო ძლიერდება იმით, რომ გულ-მკერდი აქ იაზრება როგორც გული და მკერდი ადამიანისა, რადგანაც მთა უბრალოდ გასულდგმულებული კი არ არის, არამედ პერსონიფიცირებულია, მას ადამიანის მთავარი ნიშან-თვისება აქვს მიწერილი — აზრი: მოლოდინიცა და მტერობაც მათ სახეზეა აღბეჭდილი. მოთხრობის დასასრულს ვაჟა-ფშაველა გრძნობის, ხასიათისა და აზროვნების ისეთ თვალუწვდენელ უფსკრულში იხედება, რომ მე არ შემიძლია არ ვიფიქრო თოვლითა და ყინულით დაფარულ კავკასიონის მწვერვალთა კაშკაშზე: „სდგანან და ელიან. გული სტკივათ, ძალიან სტკივათ. მაგრამ არ იხოცებიან, არც ჰლექდებიან. ელიან, ვის? ან რას? რაღაცას. დიაღ, რაღაცას. ეს რაღაცაა უნახავის დანახვა. ჰნახეს და გაათავეს, რასაც იმათი თვალი და გული მისწვდებოდა. სხვა ახალი მოსწყურებია იმათ თვალსა და გულსა. ეს ხომ თვალ-გულის გაუმაძღრობაა? სწორედ რომ ისაა“ (მთანი მაღალნი, 1895).

აღსანიშნავია, რომ მეტაფორული მეტყველების აპოგეას ვაჟა ჩვეულებისამებრ „იქ აღწევს ხოლმე, სადაც აზრია ღრმა, სადაც მის მიერ გამოხატული ჭეშმარიტება არა მარტო ლოგიკურად, არამედ ინტუიტიურადაც დამაჯერებელია. ასეთ ჰარმონიას ლოგიკურსა და ინტუიტიურს შორის, ცნებითსა და მხატვრულს შორის ვხვდებით არა მარტო მოთხრობაში „მთანი მაღალნი.“ ანალოგიური სურათია მოთხრობებში — „მთის წყარო“, „კლდე მტირალი“, „ამოდის, ნათდება“ და სხვაგან იმ აზრის, რომელიც ვაჟას „ამოდის, ნათდებაში“ აქვს გამოხატული, „ ლოგიკურ-ინტუიტიური დამაჯერებლობით მოთხრობის პირველსავე სიტყვებში ვგრძნობთ.

ასეთი ენა არ შეიძლება „სამკაულად“ ჩაითვალოს, პირიქით, ის აზრის, იდეის გამოხატვის საუკეთესო ფორმაა:

„ვინ ამბობდა ამას? სად ან როდის? ღამეა. თოვლით გადალესილა მთა-ბარი; სულშეხუთულია, ისე შებოჭილი, რომ დედამიწის ძვლებს ჰყრიალი, ჭახჭახი გააქვს. ბუნება თითქმის კუბოში წევს, სუდარაში გახვეულა.“ ჩვენ განსაკუთრებით ვამახვილებთ ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ ნებისმიერი ტროპი ვაჟასთან განუყოფელია შინაარსისაგან, გონებისაგან. სენეკას უთქვამს: „თუ გინდა, რომ ყველაფერი დაგემორჩილოს, დაემორჩილე გონებას.“ ვაჟასთან სიტყვა აზრს მოსდევს და არა პირიქით, მას ემორჩილება ქართული ენა.

ვაჟა-ფშაველას ენობრივი ხატების ანალიზისას ჩვენ იძულებულნი ვართ ხატი მოვწყვიტოთ იმ ენობრივ კონტექსტს, რომელშიაც შემოქმედმა მას თავისი ადგილი მიუჩინა. ეს განპირობებულია იმით, რომ შეუძლებელია ყველა ხატის განხილვა ნაწარმოების მთლიანი კონტექსტით. ამიტომ, მიუხედავად ჩვენი რწმენისა, რომ ენობრივი ხატი თავის ესთეტიკურ ძალას მთლიანად მხოლოდ იქ ავლენს, სადაც შემოქმედი იყენებს მას, ჩვენ გვიხდება ამ ხატის გადმოტანა მისთვის საუკეთესო გარემოდან გაცილებით უფრო შეუფერებელ გარემოში. და აი აქ, ჩვენ მოწმენი ვხდებით მათი ესთეტიკური ღირებულების გარდაუვალი გადაფასებისა. ამიტომ მკითხველმა, რომელსაც არ ახსოვს ის კონტექსტი, საიდანაც აღებულია ჩვენს მიერ განხილული ენობრივი ხატი, უნდა მიიღოს მხედველობაში ის გარემოება, რომ ჩვენი მოსაზრებანი ამა თუ იმ ხატზე მთლიანად ეყრდნობა ამ ხატისა და ნაწარმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის ერთობლიობას. როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ ეს ხატი ბრწყინვალე ხატია, ჩვენ ვგულისხმობთ, რომ ის ბრწყინვალეა იქ, საიდანაც ჩვენ ის ავიღეთ და მას იმდენად აქვს ფასი, რამდენადაც ჩვენ მას განვიხილავთ იმ ფსიქოლოგიური კონტექსტის ფონზე, რომელიც წარმოდგენილია რეალური კონტექსტის ანარეკლით ჩვენს გონებაში. უბრალო მაგალითით შეიძლება ამ დებულების ილუსტრირება. განსაკუთრებული ნიჭი და გონების დიდი დაძაბვა არ არის საჭირო იმისათვის, რომ გრამატიკული სინტაქსის დარღვევის გარეშე სიტყვების უჩვეულო შეხამების შედეგად ისეთი გამონათქვამი შევქმნათ, რომელსაც პრეტენზია ექნება მხატვრულობაზე. მაგალითად, მე შემიძლია ვსთქვა ასე: „გავარვარებულმა ქვიშამ მზეს ფეხის გულები აუწვა“ და ა. შ. გაუთავებლად. გარკვეული ვარჯიშის შემდეგ ამგვარი „მხატვრული აზროვნება“ ალბათ ისევე იოლი გახდება, როგორც საუბარი ბანალურ თემებზე. მაგრამ ჩემთვის ამგვარ ხატებს არავითარი ფასი არა აქვთ იმიტომ, რომ მათი წარმოქმნა არ არის განპირობებული ლოგიკური აუცილებლობით, აზრით, იდეით, იმ აზრით, რომელიც მძივებში გაყრილი ძაფივით გასდევს ვაჟა-ფშაველას მთელ შემოქმედებით მემკვიდრეობას. ამ „ხატებს“ მე ვერ ვუკავშირებ ვერავითარ ლოგიკურ კონტექსტს და ამრიგად ისინი აბსოლუტურ იზოლაციაში იმყოფებიან. მაგრამ როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ ვაჟასეული „ზამთარი კვდებოდა“, „აუღელდებიან ხევები“ ბრწყინვალე ხატებია, ჩვენ მხედველობაში გვაქვს მათი ბრწყინვალება დასრულებულ მხატვრულ ნაწარმოებში, მაგალითად, ლექსში „გაზაფხული“, სადაც მგოსანი გაზაფხულის მოსავალს, ბუნების გამოცოცხლებას უკავშირებს კლდეზე მიჯაჭვული ამირანის განთავისუფლებას, პირადი ჭირის, კერძო წყენის მივიწყებას და რომელსაც იგი ასე ამთავრებს:

მონა ვარ, მონა ბუნების
ღონე არა მაქვს დავისა.

ასევე უნდა გავიგოთ ის ექსკურსები ბუნების წიაღში, რომლებითაც ეგზომ მდიდარია ვაჟა-ფშაველას პოემები. მათი აუცილებლობა განპირობებულია ნაწარმოების შინაარსით.

ვაჟა-ფშაველას სჯერა, რომ აზრს შეუძლია შეაღწიოს ყოფიერების უსასრულო უფსკრულში და არა მარტო შეიცნოს არსებული, არამედ გარდაქმნას კიდევაც იგი. ვაჟას სურვილი, მისი ქადაგება გენიოსის აზროვნების ნაყოფია და „ის სურვილი კი, რომელიც გონებიდან აღმოცენდა,“ სპინოზას სიტყვებით რომ ვთქვათ, „არ შეიძლება იყოს მეტისმეტი.“

აქამდე ჩვენ ლაპარაკი გვქონდა ისეთ ტროპზე, რომლის ლოგიკურ-ესთეტიკური რაობა ერთი ნაწარმოების სტრუქტურაში ჰპოვებდა რეალიზაციას. ვაჟას ზოგიერთი ენობრივი ხატი, დახასიათებული გრ. კიკნაძის მიერ, როგორც „აქამდე ქართული პოეზიისათვის მიუწვდომელი“ ნიმუში, ჩვენ საერთოდ პოეზიისათვისაც მიუწვდომლად მიგვაჩნია, თუმცა პირადი გამოცდილება გვეუბნება, რომ ენებს შორის სტრუქტურული სხვაობა მით უფრო ნაკლებად განსაზღვრავს მგოსნის პოეტური ხედვის მანერას, რაც უფრო დიდია შემოქმედი. ამიტომ გამორიცხული არ არის, რომ სხვადასხვა ენებზე მოლაპარაკე გენიოსებმა რალაც მოცემულ მომენტში ერთნაირად შეაფასონ და გამოხატონ ბუნების რაიმე ფენომენი და ამ ფენომენით გამოწვეული მათი ემოციური მდგომარეობა. თითქოსდა ძნელია იმის წარმოდგენა, რომ ვაჟას ხატი, რომელშიაც ღრუბელი სვამს მზის სხივს, ეს განსაკუთრებული ვაჟასეული, მისი ხატების სტრუქტურისათვის დამახასიათებელი ელემენტი სხვა ენაზე მოლაპარაკე პოეტის ნაწარმოებში შეგვხვდეს, მაგრამ შელი ამბობს: „სწრაფმა ღრუბლებმა შესვეს დაისის უკანასკნელი მკრთალი სხივი“ (სტროფები — აპრილი, 1814). ასეთი მოულოდნელობანი მკვლევარს შეიძლება ნებისმიერ ადგილას და დროს შეხვდეს მიუხედავად ამისა. ჩვენ მაინც გვჯერა, რომ ვაჟა-ფშაველას ბევრი ხატი უნიკალურია, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ეს მაგალითიც კი არ არის იმის დამამტკიცებელი, რომ აქ ჩვენ აბსოლუტური იდენტურობის მოწმენი ვართ. ფაქტიურად ადგილი აქვს მხოლოდ ცალკეული, თუმცა უდავოდ მნიშვნელოვანი, ელემენტების დამთხვევას. ვაჟასთან ეს ელემენტი ასეთი გავრცობილი მეტაფორის შემადგენელი ნაწილია:

ცაზე ჰყვავიან ღრუბელნი,
მზის სხივებს ჰსვამენ ღილითა.
მთებს აუხსნიათ პირბადე
შვილებით, შვილი-შვილითა;“

(სისხლის ძიება).

ზოგჯერ ამგვარი ხატების ნაკადი დამთავრებული მხატვრული ნაწარმოების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. ასეთი ნაკადი გვხვდება, მაგალითად, ლექსში „ბუნების სურათი:“

სულსა ლევს, კვდება ზაფხული,
მხოლოდ ყელში-ღა ხრიალებს
და სუნი შემოდგომისა
მთასა და ბარში ტრიალებს...
მთას შუბლი შეუჭმუხვნია,
უფრო გულგრილად დამდგარა.
ნამძინარევს ჰგავს ამირანს,
თითქოს ამ წუთას ამდგარა,
დაწეწილი აქვს თმა-წვერი,
ჰშვენის ჩართული ჭალარა.

ისეთი მრავალფეროვანი და გასაოცარია ვაჟა-ფშაველას ენობრივი ხატების სამყარო, რომ ის ამოუწურავ მასალას აძლევს მკვლევარს აზროვნებისათვის. იმ შედარებით პატარა ანალიზიდანაც კი, რომელიც ჩვენს ნარკვევშია ჩატარებული, ნათელია, რომ მეტაფორა (და დანარჩენი ტროპებიც) ნაწარმოების შინაარსის განუყოფელ ნაწილს, ანდა სხვაგვარად რომ ვთქვათ, შინაარსის იდეალური გამოხატვის საშუალებას წარმოადგენს. ეს ფაქტი მეტაფორის ესთეტიკური ღირებულების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პარამეტრია. მეორე პარამეტრია მეტაფორის სიხშირე. რაც უფრო მოულოდნელია მეტაფორა, რაც უფრო ნაკლებადაა ის ნახმარი სხვაგან, მით უფრო მეტ ინფორმაციას გვაწვდის ის. ვაჟასეული მეტაფორების დამახასიათებელ ნიშნად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტიც, რომ მისი ენობრივი ხატები ხშირად ბუნების ამაღლებულსა და მშვენიერ სურათებს წარმოგვიდგენენ. აქედან გამომდინარე ნათელი ხდება, რომ მცდელი ცდება მეტაფორის ინტერპრეტაციისას. ჩვენი აზრით, მისი მსჯელობის ამოსავალი წერტილი ცუდად ნახმარი მეტაფორაა. გარდა ამისა, ის მთლიანად უგულვებელყოფს მეტაფორების ისეთ მნიშვნელოვან ნაწილს, რომელთა შიდა ფორმის დანახვა არც ისე იოლია. ჩვენი მსჯელობის ლოგიკური დასასრული იქნებოდა ისეთი ცნების ჩამოყალიბება, რომელიც გაღასწვდებოდა მეტაფორების ყოველგვარნაირსახეობას, ე. ი. იქნებოდა მეტაფორული ფენომენის ყველაზე უფრო აბსტრაქტული წარმოდგენა. წმინდა ლინგვისტური რაკურსიდან ჩვენ მეტაფორად წარმოგვიდგება „სიტყვების უჩვეულო შეხამება ლექსიკურ დონეზე“. ამ აბსტრაქციისათვის ირელევანტურია მეტაფორის შიდა ფორმა.— ე. ი. ის მოიცავს როგორც ადვილად, ისევე ძნელად შესამჩნევ „უაღრესად შეკუმშულ შედარებას.“ ის მოიცავს აგრეთვე მეტაფორა-სამკაულს და მეტაფორა-კვინტესენციას გრძნობისა და შინაარსისას. ამ განსაზღვრებაში იმპლიცირებულია ისიც, რომ უჩვეულო შეხამება გრამატიკული კატეგორიებისა არ არის მეტაფორა; მაგრამ ასეთი მაღალი რიგის აბსტრაქცია შეიცავს მხოლოდ ყველაზე უფრო ზოგად დამახასიათებელ ნიშანთვისებებს და ამდენად უგულვებელყოფს ცალკეულ ელემენტებს, რაც, შოპენჰაუერის სიტყვებით რომ ვთქვათ, იმაზე მივვანიშნებს, რომ „რაც უფრო შორს მიდის ის, მით ნაკლები რჩება მასში.“

ვაჟას მკითხველებს შეუმჩნეველი არ დარჩებოდათ ის გარემოება, რომ სიტყვების ერთი ნაწილი განსაკუთრებული სიხშირითა და გამომხატველობით არის მეტაფორიზებული მის ქმნილებებში. ასეთია, მაგალითად სიტყვები ნისლი, ღრუბელი, არწივი და ა. შ. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სიტყვას მ თ ა. ვაჟასათვის ამ ბგერათა რიგით დასახელებული ცნება მის მეტაფორიზებულ, პერსონიფიცირებულ ვარიაციებში გაცილებით უფრო რთული და ღრმა შინაარსის ფენომენია, ვიდრე ჩვეულებრივი მეტაფორა. აღსანიშნავია ის, რომ ვაჟა-ფილოსოფოსი მთას ხედავს იმდენი და ისეთი ასპექტებიდან, რომ ამ მეტაფორიზებული ფენომენის არსში ჩახედვა მხოლოდ მისი გლობალური კონტექსტიდან გამომდინარე შინაარსით თუ არის შესაძლებელი. შემოქმედი პერსონიფიცირებულ მთას განსაკუთრებულ შემთხვევებში მიმართავს.

როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, ვაჟა მთას (ქედებს, მთის მწვერვალს, კლდეს) ადამიანის რაობის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ნიშანთვისებას — აზროვნების უნარს მიაწერს. ლექსში „ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტს“ ვკითხულობთ:

> ქედებმა თავი იღრიკეს,
> ფიქრით მოიცვნენ მწარითა,
> ამწვანებულნი მწვანედა,
> განათებულნი მთვარითა“
>
> (1893)

ქედების თავის მოღრეკა და მწარე ფიქრი სინქრონულია თვით ვაჟა-ფშაველას მიერ მთიდან გამოგზავნილი სალმისა ბარათაშვილის ნეშტისადმი. მთის მწარე ფიქრის მოტივი გამოწვეულია ისეთი მოვლენით, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, თვით ვაჟა-ფშაველას გონებისთვისა და გრძნობისათვის არის ამაღლებელი. ასეთივეა ის მოტივი, რომელმაც ვაჟას ათქმევინა „ალუდა ქეთელაურში: „შტერად დამდგარან მთის წვერნი.“ ძნელი არ არის იმის შემჩნევა, რომ მთათა „გაშტერებაც“ ალუდას ტრაგედიით შეძრწუნებული ავტორის ემოციების ექოა.

მთის მწარე ფიქრი და ავტორის სულიერი მდგომარეობა არ არის ყოველთვის ასე ექსპლიცირებული ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში. ზოგჯერ უახლოესი კონტექსტი მწარე ფიქრის მოტივად ისეთ ფენომენს წარმოგვიდგენს, რომელიც ირელევანტურია ადამიანის ყოფიერებისათვის.

პოემაში „ალუდა ქეთელაური“ მთის მწარე ფიქრის მიზეზი ადამიანისათვის არ წარმოადგენს მწუხარების უშუალო მოტივს, პირიქით, ყინული მთისათვის ბუნებრივი და ლოგიკური მოვლენაა:

> სუდარჩაცმულნი მთანი დგან,
> ფიქრის მზიდველნი მწარისა,
> სუ მუდამ ყინულიანნი,
> არროს მნახველი მწვანისა;

კიდევ უფრო შორს არის მთის მწარე ფიქრი ადამიანის ტრაგედიის უშუალო გამომწვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვი მიზეზისაგან ბრწყინვალე გავრცობილ მეტაფორაში „კლდე მტირალი:“

„კლდის ტირილს თავლაკიდებით ყურს უგდებენ მთანი და შავს ნისლს შავის ფიქრებისას მუზარადად იხურავენ.“ მაგრამ აქაც. ყინული და კლდის ტირილი მთის მიმართებით ისე არის ნახმარი, რომ ჩვენი ფანტაზია სცილდება მეტაფორიზებული ბუნების ამაღლებულ სურათებს და მთელი ყურადღება გადავაქვს შავი ნისლისა და ყინულის მიღმიდან წამოსულ ხმაზე. ეს ხმა ვაჟას ხმაა. პოეზიის თვალუწვდენელი უფსკრულიდან რომ გაისმის. კლდის ტირილი და ყინული მთისათვის სიმბოლური გამოხატულებაა თვით ავტორის გულისტკივილისა.

ინტელექტუალური ხაზის პარალელურად ვაჟა-შფაველა მთას გვიხასიათებს ნებელობის; დონეზე. ამ რაკურსიდან მოაზროვნე მთა უშიშარია, მტკიცე და დაუმონავი:

მთათ სძინავთ, არ ილვიძებენ,
შიში არა აქვთ მტრებისა!..

ამბობს ვაჟა ლექსში „მთათ ძილი.“

თავისი სულიერი ძმის — ა. ყაზბეგის გასტუმრებისადმი მიძღვნილ ლექსში ვაჟა ასე მიმართავს სახელოვან მწერალს:

ახლოს გყავს ბერი მყინვარი,
ქედ-მოუხრელი გმირია;
ის განუგეშებს, მხოლოდ ის, —
რჯული არ გაუწირია.

(ა. მ. ყაზბეგის გასტუმრების გამო. 1893).

ყურადსაღებია ამ მხრივ ვაჟა-ფშაველას „საუბარი“ მთებთან ორ ლექსში — „მთათ მითხრეს“ (1897) და „მთას“ (1910) პირველში ვკითხულობთ:

მთათ მითხრეს: „ნუ დაგვივიწყებ,
კარგად აგვხედე, ჩაგვხედე;
ჩვენსავით იდეგ მტკიცედა,
ვინძლო პროდეს დაჰბერდე.

ლექსში „მთას“ ვაჟა გულახდილად აღიარებს თუ რატომ უყვარს მას მთები. სიმტკიცე და ქედუხრელობა ამ სიყვარულის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოტივია:

მიყვარხართ მიტომ,
რომ ხართ მაღლები,
გულუბრყვილონი,
როგორც ბალღები;
მაგრამ ამაყნი,
მტკიცე და ლაღნი.

მთა — მტკიცე და შეუდრეკელი მოაზროვნე — სიმბოლური ცნება ვაჟა-ფშაველას ფილოსოფიური ფანტაზიისა — არ არის მშობლიურ მიწას მოწყვეტილი აბსტრაქცია, იგი პოეტის სამშობლოს წიაღით საზრდოობს. ლექსში „საახალწლო (1896)“ ვაჟა იტყვის:

და თქვენც, ჰე მთანო მაღალნო,
ჩემი სამშობლოს მცველანო!

რაც უფრო მეტ დახასიათებას ღებულობს მთა ვაჟას შემოქმედებაში, მით უფრო კონკრეტული ხდება იგი, როგორც სიმბოლური ცნება. მისი კონტურები კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჩნდება, თუკი მივმართავთ შემდეგ სტრიქონებს:

შემოგეხიზნეთ, ქედებო,
თქვენც შამიხიზნეთ ძმურადა,
მოგანდეთ ჩემი სიცოცხლე,
ჩემი სვე-ბედი სრულადა.
მიმინდეთ, არ მიღალატეთ,
არ მომექეცით მტრულადა,
იმიტომ მკერდში მისხედხართ,
ვაჟნო, მეორე გულადა.

მწერალი იმიტომ ახდენს ზემოქმედებას მკითხველის ფანტაზიაზე, რათა კონკრეტული ხატების საშუალებით უჩვენოს მას თუ რა არის სამყარო, ცხოვრება, არსებობის მიზანი. იმისათვის, რომ ეს შეძლოს, მან თვითონ უნდა შეიცნოს ეს ფენომენები. იმისდა მიხედვით, თუ რა სიღრმეში ჩასწვდა ის ამ მარადიულ პრობლემებს, ფასდება მთელი მისი შემოქმედება. ვაჟა-ფშაველამ თავისი ფანტასტიკური სიმბოლოს პრიზმიდან ყველაზე უფრო ღრმად ჩაიხედა იქ. მას ყველაზე კარგად ესმის მთის გულის ძგერა, მისი ფიქრები:

გავიგე, მთაო, გავიგე
გულის პასუხი შენია:
„კაცი ის არის, ვისაც ჭირში
ერთხელ არ დაუქშენია;
იმას სხვა გასთიბს, სხვა მოსძოვს,
ქმუნვა არ დაურჩენია;
უფლისა მსგავსად იქცევა,
მით უფალს გაუჩენია“.

(გამამერია ჭალარა. 1894)

ბაჩანასადმი პასუხად დაწერილ ლექსში „მთამ სრულიად სხვა სთქვა,“ იგი ნათელმჭვრეტის ურყევი რწმენით მოგვმართავს:

მთამ ეგ არა სთქვა, ბაჩანავ,
როგორაც შენა გგონია.
მისი ნათქვამი ნაგრძნობი
მე სულ სხვა გამიგონია.
გაცვრცილმა, ნაცემ-ნაგვემმა,
აღშფოთებულმა ფრიადა,
ისევ თავს უთხრა: „დამშვიდდი,
გულო, რამ აგაზვიადა?!“

მთის გულის პასუხიდან და მთის ნათქვამ-ნაგრძნობიდან, ისევე როგორც მისი პირდაპირი დახასიათებიდან, ჩვენი წარმოდგენა ამ სიმბოლურ ცნებაზე უფრო სრულყოფილი ხდება

და მდიდრდება ნიშანთვისებათა ელემენტებით. მთა უკვე ქედმოუხრელი, ულალატო და დინჯი მოაზროვნე — ერის აღმზრდელი, სამშობლოს მცველია; თავისთავად ნათელია ისიც, რომ მთის აზრი და გრძნობა ვაჟას აზრი და გრძნობაა.

რა სემანტიკური ნიშანთვისება დაედო საფუძვლად იმ ასოციაციებს, რომლებმაც გენიოსის ფანტაზიას მთა დააკავშირებინა ადამიანის ყოფიერების ისეთ ნიშანსვეტებთან, როგორიცაა სულიერი სიმტკიცე და ნათელი გონება? ვაჟა პირდაპირ ამბობს ლექსში „მთას:“

მიყვარს სიმაღლე,
მით მიყვარს მთები.

სიმაღლის ცნებამ განაპირობა ის ფაქტიც, რომ მთა ვაჟას იმ ადგილიდან აქვს წარმოდგენილი, საიდანაც სიმართლის გამარჯვება უნდა უწყოს ქვეყანას:

კიდევაც ვნახავ ცა სჭექდეს,
თოვლის წილ წვიმა ცვიოდეს,
ანოყივრებდეს მიწასა,
მდინარეები ხვიოდეს,
ალარვინ იტანჯებოდეს
და ალარცვისა ჰშიოდეს;
სიმართლის გამარჯვებასა
მთაზე არწივი ყიოდეს“;
(კიდევაც ვნახავ გაზაფხულს. 1906).

ისევ მთაა ის ადგილი, საიდანაც პოეტი ყველაზე ახლოა „ღმერთებთან“, სადაც მას შემოქმედებითი აღმაფრენა ეუფლება.

მთას ვიყავ, მწვერვალზე ვიდევ,
თვალთ წინ მეფინა ქვეყანა,
გულზე მესვენა მზე-მთვარე,
ვლაპარაკობდი ღმერთთანა.

(მთას ვიყავ 1890)

სიმბოლური მთა, რომლის რაობა ახსნა მხოლოდ ვაჟა-ფშაველას შემოქმედების გლობალური კონტექსტის ანალიზიდან თუ არის შესაძლებელი, უაღრესად რთული და განუმეორებელი მხატვრული ხატია. რუსთაველის სიმბოლური მზე-სინათლის შემდეგ ასეთი მხატვრული ფენომენი ქართულ ლიტერატურაში არ მოგვეპოვება. ვაჟა-ფშაველას სიმბოლო — ცნება თავის ულრმეს შინაარსსა და განსაკუთრებულ გამომსახველ ფორმას უახლოვდება

ვაჟას სიახლოვეს ადამიანს ღრმა ფიქრი ეუფლება და ის ისევ და ისევ ცდილობს ამოიცნოს ქართველი ერის ამ უდიდესი სულის არსი და მნიშვნელობა. თეთრ მარმარილოში გასულდგმულებული ერის აღმზრდელი კი სდუმს. მისი მზერა მიპყრობილია უსაწყისო და უსასრულო სივრცესა და დროში არსებულ „რ ა ლ ა ც ა ზ ე“. ამ მზერის სიტყვებით ახსნა შეუძლებელია...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხეილ სვანიძე

# კიდევ ერთხელ გიორგი სააკაძის უკანასკნელი დღეების შესახებ ოსმალეთში

სახელმოხვეჭილი დიდი მოურავის გიორგი სააკაძის გმირული ცხოვრების შესახებ, ბევრი დაიწერა და კიდევ დაიწერება. მაგრამ მისი ბიოგრაფიის ზოგიერთი საკითხი ჯერ კიდევ არ არის საკმარისად შესწავლილი. ასე, მაგალითად, არაა სათანადოდ გარკვეული დიდი მოურავის ოსმალეთში მოღვაწეობა და მისი დაღუპვის მიზეზები.

1942 წელს ჟურნალ „მნათობში" დაიბეჭდა პროფ. ს. კაკაბაძის წერილი: „გიორგი სააკაძის აღსასრული". მასში ავტორმა სცადა ქართული და ოსმალური (მ. ნაიმა) წყაროების ანალიზის საფუძველზე დაედგინა სააკაძის დაღუპვის მიზეზი. პროფ. ს. კაკაბაძის დაკვირვებით, გიორგი სააკაძე უდანაშაულოდ დაიღუპა. იგი გახდა მსხვერპლი ოსმალეთის დიდი ვეზირის ხუსრევ ფაშას შურიანობისა, რომელმაც ვერ აიტანა ოსმალეთში დიდი მოურავის აღზევება, ბრალი დასდო ღალატში და სიკვდილით დასაჯა.[1]

პროფ. ს. კაკაბაძის ეს თვალსაზრისი გაიზიარეს მწერლებმა და ისტორიკოსებმა.

ამ ცოტა ხნის წინათ, ამავე ჟურნალის ფურცლებზე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ილია ანთელავამ სცადა კორექტივი შეეტანა ამ საკითხში: „ვფიქრობთ, წერს იგი — ერთი რამ ნათელია: გავრცელებული ვერსია თითქოს გიორგი სააკაძე ოსმალეთის დიდი ვეზირის მეშურნეობამ იმსხვერპლა, უდავო არ უნდა იყოს. დიდი მოურავის დაღუპვის მიზეზი, მის პოლიტიკურ საქმიანობაში უნდა ვეძიოთ და მჭიდროდ დავუკავშიროთ საქართველოსა და ირან-ოსმალეთში შექმნილ კონკრეტულ ისტორიულ სიტუაციას".[2]

ი. ანთელავას ეს დებულება მართებულია, მაგრამ იგი ბოლომდე ვერ ხსნის გიორგი სააკაძის დაღუპვის ნამდვილ მიზეზს.

როგორც ცნობილია, ქართული წყაროების (ფარსადან გორგიჯანიძე, იოსებ თბილელი, ვახუშტი, არჩილი) მიხედვით საქართველოდან ოსმალეთში ჩასულმა გიორგი სააკაძემ ირანის წინააღმდეგ ომში წარმატებებს მიაღწია და მალე მთელ ოსმალეთში სახელი მოიხვეჭა (ამას ადასტურებენ აგრეთვე ოსმალო ისტორიკოსებიც — ი. ფეჩევი, ქ. ჩელები, მ. ნაიმა და სხვა.). ოსმალეთის დიდმა ვეზირმა ხუსრევ ფაშამ ვერ აიტანა დიდი მოურავის აღზევება და თავისი ცოლის დის წაქეზებით, რომელიც სულთანის ცოლი იყო, სიკვდილით დასაჯა გიორგი სააკაძე. მაგრამ, სხვა ქართულ წყაროებისაგან განსხვავებით, ფარსადან გორგიჯანიძეს მოაქვს მეტად საყურადღებო დეტალი, რომელიც, ჩვენი აზრით, არის გასაღები გიორგი სააკაძის სიკვდილის მიზეზის ამოსახსნელად. ფარსადან გორგიჯანიძე გადმოგვცემს, რომ როდესაც სულთანმა შეიტყო გიორგი სააკაძის დაღუპვის ამბავი, „ნამეტნავად იწყინა, მაგრამ სიდამდისინ ხოსროვ ფაშა ბაღდადით არ დაბრუნდა, არა თქვა რა. რა მოვიდა, ხონთქარმა ჰკითხა, სად არის მოურავიო. იმან (ხოსროვ ფაშამ — მ. ს.) მოახსენა — რ ა ფ უ ზ ი* (ხაზი ჩვენია — მ. ს.) იყო და მოვაკვლევინეო, ხონთქარმა ბრძანა: ჯალათ გელსუნ, მისცეს ხელთა და დიდის ხანჯლით მოაკვლევინეს ხოსროვ ფაშა[3].

როგორც ვხედავთ, ხუსრევ ფაშას იმის ვა-

* რაფუზი, რაფიზის დიალექტური ფორმაა.

მო დაუსჯია გიორგი სააკაძე, რომ იგი რაფიზი ყოფილა. რას ნიშნავს რაფიზი? პროფ. ს. კაკაბაძე, რომელსაც აანალიზებს ამ ცნობას, სიტყვა რაფიზთან დაკავშირებით, წერს: არაბულად რაფიზ ნიშნავს განდგომილს.[4] ს. კაკაბაძე ფიქრობს, რომ გიორგი სააკაძე განუდგა თავის რჯულს და ამიტომ იგი რაფიზი გახდაო. პროფ. ს. კაკაბაძის ეს ახსნა არაა ზუსტი და მოითხოვს დამატებით განმარტებას. râfizi (რაფიზი) არაბული სიტყვაა და ნიშნავს ერეტიკოსს. ასე უწოდებდნენ სუნიტები (ოსმალები) შიიტებს (სპარსელებს).[5] მართლაც, თურქულ წყაროებში (ი. ფეჩევი, მ. ნაიმა, ქათიბ ჩელები და სხვ.) სპარსელები რაფიზებად იწოდებიან და ხშირად არის მოთხრობილი რაფიზების თავდასხმების შესახებ და სხვ.

ამრიგად, რაფიზი ოსმალეთში სპარსელების აღმნიშვნელი ტერმინი იყო. უეჭველია, რომ ფარსადან გორგიჯანიძეც რაფიზს ხმარობს სპარსელის მნიშვნელობით. ფარსადან გორგიჯანიძე დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა სპარსეთში, კარგად იცნობდა სპარსეთს და თავის „ისტორიაში“ გამოყენებული აქვს, ქართულთან ერთად, არა მარტო სპარსული, არამედ თურქული წყაროებიც. ეჭვგარეშეა, რომ მისთვის კარგად იყო ცნობილი რაფიზის მნიშვნელობა. დღემდე ამისათვის, ფაქტიურად, არავის არ მიუქცევია ყურადღება.

რაშია საქმე, რატომ უწოდა ხუსრევ ფაშამ გიორგი სააკაძეს რაფიზი და რატომ დასაჯა ამის გამო სიკვდილით?

1629 წ. გაზაფხულზე ოსმალეთის ლაშქარი დიდი ვეზირის ხუსრევ ფაშას სარდლობით ირანის წინააღმდეგ სალაშქროდ გაემართა. მას თან ახლდა გიორგი სააკაძე ქართველი თანამებრძოლებით.

1629 წ. იანვარში გარდაიცვალა შაჰ-აბას პირველი, ირანის ერთ-ერთი უძლიერესი მეფე, ქართველებისა და გიორგი სააკაძის დაუძინებელი მტერი. შაჰ-აბასის სიკვდილმა შეცვალა ირანში სიტუაცია. ცნობილი იტალიელი მოგზაური, პიეტრო დელა ვალე, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში სპარსეთში ცხოვრობდა და პირადად იცნობდა იქ მყოფ ზოგიერთ ქართველს, ჯერ კიდევ შაჰ-აბას I-ის სიცოცხლეში, 1627 წელს, რომის პაპის ურბანო VIII-სადმი საქართველოს შესახებ წარდგენილ მოხსენებით ბარათში წერდა: „სპარსეთში 30-ათასზე მეტი ქართველი ცხოვრობს, თუ არ ჩავთვლით შაჰ-აბასის მიერ ძალით აყრილ და გადმოსახლებულ ქართველებსო. ზოგიერთ მათგანს უჭირავს გამოჩენილი ადგილები როგორც მხედრობაში, ისე ქვეყნის პოლიტიკურ მდგომარეობაში. სპარსეთში მყოფნი და თავისი რჯულის უარ-მყოფელნი ქართველები უკმაყოფილონი არიან ხელმწიფის... ხელმწიფემ მათ არ მისცა, რასაც ისინი მოელოდნენ; მან ის პატივი არ მსცა და არც მსცემს მათ სპარსეთში, რა პატივითაც იგი [illegible] სცემდა, როცა ისინი ჯერ კიდევ ქვეშევრდომები არ იყვნენ... შაჰმა ისინი აიძულა რჯული შეეცვალათ... ამიტომაც თითქმის ყველანი გაჯავრებულნი არიან და ნანობენ, რაც უქნიათ; ასე რომ, იგინი ხმა-მაღლა აღიარებენ, რომ მოტყუებულნი დავრჩითო და ხელახლად დასაწყები რომ იყოს ჩვენი მოქმედებაო, სხვა გვარად მოვიქცეოდითო. ეხლანდელი მდგომარეობის დაცვა მხოლოდ შაჰ-აბასს შეუძლია თავის სიცოცხლეში, რადგანაც ის გონიერი კაცია და მისი ყველას ეშინია. მისი სიკვდილის შემდეგ კი, მეტადრე თუ იგი მოკვდა, როგორც ადვილად შესაძლებელია, იმ ქართველთა სიცოცხლის დროს, რომელთაც ახსოვთ თავისი სამშობლო და დაესწრნენ მის დანგრევაზე, — თეიმურაზი უსათუოდ მოახდენს დიდ ომს, გასწევს ამ სახელმწიფოს დასაპყრობად, თუ კი ერთობლივად იმოქმედებენ და ეყოლებათ მოთავეც“.[6]

შაჰ-აბას I გარდაცვალების შემდეგ ირანი გადაურჩა დინასტიურ ომს, რომელიც, ჩვეულებრივ იწყებოდა შაჰის გარდაცვალებასთან ერთად. ამაში დიდი წვლილი მიუძღოდა ხოსრო მირზას, დაუდ-ხანის შვილს (სიმონ I ძმისწულს), იმ დროს ისფაჰანის ტარუღას. მან ტახტზე აიყვანა შაჰ-აბას I-ის მცირეწლოვანი შვილიშვილი შაჰ-სეფი I (1629-1642). ამ სამსახურისათვის შაჰ-სეფი I-მა ხოსრო-მირზა ირანის ყულარაღასად დანიშნა და მას როსტომ ხანი უწოდა. ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით, „ირანის საქმე როსტომ მეფეს (ხოსრო-მირზას) ეკითხებოდა“,[7] თანამედროვე ევროპულ წყაროებში ერთხმად აღნიშნულია, რომ ახალი მეფის ყველაზე მახლობელ პირთა შორის იყო ხოსრო-მირზა, ისფაჰანის წინანდელი ტარუღა.[8]

ხოსრო-მირზას შაჰის კარზე დაწინაურების საქმეში დიდი როლი შეასრულა გიორგი სააკაძემ, როდესაც იგი ირანში მოღვაწეობდა. ხოსრო-მირზასთან მჭიდრო მეგობრობა ჰქონდა და ირანში დიდი გავლენით სარგებლობდა, აგრეთვე, სპასალარი როსტომ ბეგი (როსტომ ხან სააკაძე), გიორგი სააკაძის ბიძა. „სეფიანთა ირანის პოლიტიკურ და სამხედრო ასპარეზზე მოღვაწე ქართველებიდან განსაკუთრებული მდგომარეობა ირანში ეკავა უნდილაანთ ფეოდალთა სახლს, რომლის წარმომადგენლები იყვნენ: ალავერდი-ხანი, იმამ-ყული-ხანი, დაუდ ხანი, სეფი-ყული-ხანი“.[9] ამ დროს ყველაზე გავლენიანი იყო იმამ-ყული-ხანი.

შაჰ-სეფის მრჩევლად პირველ ხანებში შაჰ-აბას I ანდერძის თანახმად, იმამ-ყული-ხანი უნდა ყოფილიყო, მაგრამ, ფაქტიურად, ამ როლს როსტომ ხანი ასრულებდა; მიუხედავად ამისა, შაჰ-სეფი იმამ-ყული-ხანს პატივით ეპ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყრობოდა და მის ღირსებას იმით აფასებდა, რომ მას ოფიციალურ დოკუმენტებში და საჯაროდ მამას უწოდებდა[10].

დიდი გავლენით სარგებლობდა ირანში; აგრეთვე იმამ-ყული-ხანის ძმა, განჯის ბეგლარბეგი დაუდ-ხანი, რომელსაც გიორგი სააკაძესთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა.

სომეხი ისტორიკოსის ზაქარია კანაკერცის ცნობით: „მას შემდეგ რაც დაუდ-ხანი განჯის ბეგლარბეგი გახდა, იგი ხშირად ხვდებოდა მოურავს, დროს ერთად ატარებდნენ. როდესაც მოურავი შაჰს აუჯანყდა, შაჰმა მის წინააღმდეგ ყორჩი-ბაში გამოგზავნა და დაუდ-ხანსაც უბრძანა, რომ მას ხლებოდა თან. მაგრამ დაუდ-ხანს არ შეუსმენია შაჰის ბრძანება, ხოლო როდესაც მან გაიგო, რომ მოურავი ოსმალეთში გაიქცა, მიხვდა, რომ აღარც მას ედგომებოდა და ოსმალეთს შეაფარა თავი. აქ დაუდ-ხანმა მოურავი იპოვა და სიკვდილამდე ოსმალეთში დარჩა“.[11]

ვფიქრობთ სინამდვილეს არ შეესაბამება კანაკერცის ცნობა იმის შესახებ, რომ დაუდ-ხანმა ოსმალეთში იპოვა გიორგი სააკაძე, რადგანაც ამ დროისათვის დიდი მოურავი ცოცხალი აღარ იყო. მაგრამ თვით ფაქტი გიორგი სააკაძისა და დაუდ-ხან უნდილაძის ურთიერთობასა მეტად საყურადღებოა.

ამრიგად, შაჰ-აბას I-ის გარდაცვალების შემდეგ ირანში პოლიტიკურ ასპარეზზე მოღვაწე ქართველების გავლენა კიდევ უფრო გაიზარდა.

გიორგი სააკაძე, რომელიც ირანში დაახლოებით 15 წლის განმავლობაში მოღვაწეობდა და შაჰის კარზე დაწინაურებულ ქართველებთან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა, არ შეიძლება არ ყოფილიყო ორიენტირებული ირანში შექმნილ სიტუაციაში. ასეთ პირობებში არ არის გამორიცხული, ოსმალეთში მყოფ გიორგი სააკაძეს არ ეცადა გარკვეული კონტაქტები დაემყარებინა მათთან.

ჯერ კიდევ 1888 წელს გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა, ისტორიკოსმა და საზოგადო მოღვაწემ ანტონ ფურცელაძემ გიორგი სააკაძისადმი მიძღვნილ მეტად საყურადღებო მონოგრაფიაში, ამ საკითხზედაც გამოსთქვა თავისი მოსაზრება: „მოკვდა უძლიერესი შაჰი, რომელიც-კი ოდესმე ასულა სპარსეთის ტახტზე, აბას პირველი და მის ტახტზე ავიდა შაჰ-სეფი, რომელიც ხელთ ეჭირათ ამის ძმისწულს, როსტომ სააკაძეს და მის ამაღლებულს და კაცათ ქცეულს, ხოსრო-მირზას. ახლა ადვილი შესაძლებელი იყო მოემხრო ხოსრო-მირზა, ამით გაეხადა ის ხვანთქრის მოშხრეთ. მოეგებინებინა ხვანთქრის გული და ამ მოშხრობის ნაცვლად დაეყოლებინა ხონთქარი, რომ ეს ძლიერი და გონიერი კაცი გაეხადნა მთელი საქართველოს პატრონად. აქ საქართველო ისე ძლიერდებოდა, რომ ადვილი იყო, ახლა საქართველოს დაეპყრო თვით სპარსეთი“[12].

ანტონ ფურცელაძის ვარაუდით, შაჰ-აბასის გარდაცვალების შემდეგ ირანში შექმნილი ვითარების გამო გიორგი სააკაძეს დაებადა საქართველოს გაერთიანების ახალი იდეა. „ადვილი შესაძლებელი იყო“ თავისი გეგმის განხორციელების მიზნით, ხოსრო-მირზასთან კავშირი გაება, „მოემხრო იგი“ და მის ხელშემწეობით „მოეგებებინა ხვანთქარის გული“, „დაეყოლებინა ხვანთქარი“ და ოსმალეთის დახმარებით გაეერთიანებინა საქართველო. ამასთანავე, ანტონ ფურცელაძე შენიშნავს, რომ ვეზირი მოურავს „ღალატს სწამებდა“, ხოლო ამის დამადასტურებელი ფაქტი „ბრძოლის დროს არა ჩანსო“. მიუხედავად იმისა, რომ ანტონ ფურცელაძეს არ გააჩნდა მოურავის ღალატის დამადასტურებელი საბუთი, იგი ინტუიციით მივიდა იმ დასკვნამდე, რომ დიდი ვეზირისათვის ნათელი შეიქნა სააკაძის განზრახვა, რომ „მოურავი ოსმალეთის ხელით აპირებდა საქართველოს აღდგენას „სულთნის ინტერესების საზიანოდ, ამიტომ ვეზირმა მას ღალატი დააბრალა და მოაკვლევინა.

ანტონ ფურცელაძეს ყურადღება არ მიუქცევია ფარსადან გორგიჯანიძის ცნობისათვის, რომლის მიხედვითაც, დიდმა ვეზირმა იმის გამო. დასაჯა გიორგი სააკაძე, რომ იგი იყო რაფიზი, ე. ი. სპარსელი. ამ შემთხვევაში გიორგი სააკაძის სპარსელობა კი უნდა გავიგოთ, როგორც სპარსელთა მომხრე, მათი მხარდამჭერი. ცნობილია, ფარსადან გორგიჯანიძე დიდი ხნის განმავლობაში მოღვაწეობდა ირანში, კარგად იცნობდა იქ მყოფ ქართველებს, მათ შორის ხოსრო-მირზას (როსტომ ხანს), როსტომ სააკაძეს და სხვ. ხოსრო-მირზას დახმარებით იგი ისფაჰანის ტარუღადაც კი დანიშნეს[13]. ამიტომ საფიქრებელია, მკვლელობის ამბავი, რამაც ასახვა ჰპოვა მის „ისტორიაში“ ოლონდ ფარსადან გორგიჯანიძის ცნობა ერთ კორექტივს საჭიროებს. ნაკლებად სარწმუნოა, რომ სულთანს სიკვდილით დაესაჯა დიდი ვეზირი იმის გამო, რომ მან მოაკვლევინა გიორგი სააკაძე, რომელიც ხუსრევ ფაშას განცხადებით იყო რაფიზი, ე. ი. სპარსელთა მომხრე. სინამდვილეში სულთანს არც დაუსჯია სიკვდილით ხუსრევ ფაშა. ოსმალური წყაროებიდან და ოსმალეთის მოღვაწეთა ბიოგრაფიული ლექსიკონიდან ცნობილია, რომ ხუსრევ ფაშა გარდაიცვალა 1631 წ. 2 აპრილს. [14]

გიორგი სააკაძის ირანთან (ე. ი. იქ მყოფ ქართველებთან) კავშირი სხვა წყაროებითაც დასტურდება. ასე, მაგალითად 1661—1679 წ. წ. სტამბოლში მყოფი ინგლისის ელჩის რიკოტის ცნობით: „ოსმალეთის დიდმა ვეზირმა (ხუსრევ ფაშამ) იმის გამო მოაწყო ქართველების

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაულეტა და მოურავს (-Maroc — მ. ს.) თავი მოკვეთა, რომ ისინი სპარსეთის მეფის ინტერესებს ემსახურებოდნენ“.[15] როგორც ვხედავთ, ინგლისის ელჩიც ადასტურებს ფარსადან გორგიჯანიძის ცნობას.

საფიქრებელია, რომ გიორგი სააკაძემ საქართველოს გაერთიანების მიზნით ირანში მყოფ ქართველებთან ურთიერთობა გააბა, მან საქართველოს გაერთიანების ახალი გეგმა შეიმუშავა, რასაც დიდი ვეზირის დაუკითხავად აკეთებდა. ეს შეუმჩნეველი არ დარჩა დიდ ვეზირ ხუსრევ ფაშას და ამის გამო დიდი მოურავი სიკვდილით დასაჯა.

მივმართოთ ოსმალურ წყაროებს, რომელთა მონაცემები შესაძლებელია რამდენადმე შუქს მოჰფენს ჩვენთვის საინტერესო საკითხს.

ოსმალო ისტორიკოსები, მართალია, ახასიათებენ ხუსრევ ფაშას, როგორც დაუნდობელ, ვერაგსა და შურის გრძნობით გამსჭვალულ პიროვნებას, მაგრამ გიორგი სააკაძის დაღუპვის მიზეზად სხვა გარემოებას ასახელებენ. ასე, მაგალითად, მუსტაფა ნაიმას ცნობით, გ. სააკაძესთან ერთად ოსმალეთში ჩასული ქართველები მძლავრობასა და უსაქციელობას ჩადიოდნენ და ამით მოურავს სახელს უტეხდნენ. ამის გამო კონიის ვილაიეთის მოსახლეობამ დიდ ვეზირს ხუსრევ ფაშას საჩივრით მიმართა, „ხუსრევ ფაშა, — წერს მ. ნაიმა, — სისხლის მოყვარული და მუხანათი კაცი იყო. მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ სისხლის დაღვრა ეწადა... მოჰკლა ასეთი გმირი“.[16] ამასვე იმეორებენ სხვა ოსმალო ავტორებიც (იბრაჰიმ ფეჩევი, ქათიბ ჩელები და სხვ.).

ქათიბ ჩელების არ სჯეროდა, რომ გ. სააკაძის თანმხლები ქართველების მიერ ადგილობრივი მოსახლეობის „შევიწროების“ გამო ასე სასტიკად დაისაჯა დიდი მოურავი: „კიდევაც, რომ დადგენილიყო, — წერს ქათიბ ჩელები,— რომ მოურავი ხალხს უსამართლობასა და ძალდატანებას აყენებდა და სჩაგრავდა, მას საზოგადოებრივი უფლებები უნდა ჩამორთმეოდა და უნდა გასამართლებულიყო, შემდეგ გაფრთხილება უნდა მისცემოდა, რომ ამიერიდან ასეთნაირი ძალადობა არ ჩაედინა. უფრო შესაფერისი და მიზანშეწონილი იყო (დიდი ვეზირი — მ. ს.) ამ [ღონისძიებით] დაკმაყოფილებულიყო; ასეთი ღირსეული და სახელოვანი კაცის სიკვდილით დასჯა უდიდესი უსამართლობაა“[17].

გიორგი სააკაძისა და მისი თანამებრძოლების დასჯასთან დაკავშირებით მუსტაფა ნაიმასა და ქათიბ ჩელების მოაქვთ ერთი მეტად საყურადღებო დეტალი. ნაიმა წერს: „ქართველების მიერ ჩადენილი უსამართლობისა და უწესობათა შესახებ (დიდმა ვეზირმა ხუსრევ ფაშამ — მ. ს.) ყველაფერი გაიგო... მოურავს შეეშინდა და გაიქცა“.[18] ხუსრევ ფაშას შეეზინდა მოურავი „საქართველოში წავა“. დაახლოებით ასეთივე ცნობა მოეპოვება ქათიბ ჩელების: მოურავმა „საქართველოში გაქცევა“ დააპირაო, მას მდევრები დაადევნეს და იგი შეიპყრეს.[20]

იბადება კითხვა, ნუთუ იმის გამო დააპირა გიორგი სააკაძემ საქართველოში გაქცევა, რომ ოსმალეთში ჩასულმა ქართველებმა ადგილობრივი მოსახლეობა „შეავიწროვეს“, წყაროებში ხომ არსადაა ნათქვამი, რომ ამ საქმეში თვით მოურავი იღებდა მონაწილეობას. გიორგი სააკაძეს ხომ თვითონაც შეეძლო დაესაჯა და დაეტუქსა ეს დამნაშავე ქართველები? ნუთუ ასეთი მდგომარეობისა და თანამდებობის კაცს (მოურავი კონიის ვილაიეთის გამგებელი იყო) ამის უფლება არ ჰქონდა?

ჩვენი აზრით, თურქულ წყაროებში დაცული ცნობა გიორგი სააკაძის საქართველოში გაქცევის მიზეზის ასახსნელად ნაკლებად დამაჯერებელია.

გიორგი სააკაძემ რომ საქართველოში გაქცევა დააპირა, ამის შესახებ ცნობა მოიპოვება, აგრეთვე, ისქანდერ მუნშის „გაგრძელებაშიც“: „მოურავმა თავისი ქონება საქართველოს ციხე ალთუნ-ყალასაკენ გაგზავნა, მაგრამ იგი შეიპყრეს, ხუსრევ-ფაშამ მის ამ საქციელში გაქცევის განზრახვა დაინახა და მას თავი მოჰკვეთა“.[21]

ვფიქრობთ, რომ სპარსული წყაროს ეს ცნობაც ნაკლებად დამაჯერებელია, რადგანაც მოურავის სიკვდილით დასჯის მიზეზად მიჩნეულია მხოლოდ და მხოლოდ გიორგი სააკაძის განზრახვა საქართველოში გაქცევისა.

გიორგი სააკაძის ოსმალეთიდან საქართველოში გაქცევის მიზეზის გასარკვევად მეტად საყურადღებო ცნობა მოეპოვება თეიმურაზ I-ს. 1658 წელს თეიმურაზ I-მა მოსკოვში წარმოებული მოლაპარაკების დროს რუსეთის მთავრობის მოხელეებს გიორგი სააკაძის შესახებ შემდეგი განუცხადა: გიორგი სააკაძეს „სურდა თურქი სულთანისათვის ელალატა და დადიანის სახელმწიფოში გაქცეულიყო და გაიგო რა ეს ვეზირმა, იგი სიკვდილით დასაჯაო“.[22]

თუ რამდენად ზუსტად ასახავს ეს ცნობა ისტორიულ სინამდვილეს და რამდენად სანდოა იგი, ეს დამაჯერებლადაა გარკვეული ი. ანთელავას მიერ: „თეიმურაზისათვის, ისევე როგორც მისი ეპოქის სხვა პოლიტიკოსებისათვის, იშვიათი როლი იყო პოლიტიკური მიზნის მისაღწევად არარეალური რამის თქმა, მაგრამ ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ, მისი ინფორმაცია სწორი უნდა იყოს, გიორგი სააკაძე ოცდაათი წლის მიცვალებული იყო იმ დროს, როცა თეიმურაზი მოსკოვს ჩავიდა და მის დროინდელ ამბებსაც დაკარგული ჰქონდათ პოლიტიკური აქტუალობა. ამდენად, ფაქტის დამახინჯებას თეიმურაზის მხრივ არავითარი აზრი არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰქონდა. მითუმეტეს, რომ რუსეთის მთავრობისათვის სულერთი იყო გიორგი სააკაძის დაღუპვის გარემოება და ეს თეიმურაზს ვერაფერს შემატებდა". [23]

პროფ. გ. ჯამბურია თეიმურაზ I-ის ამ ცნობასთან დაკავშირებით წერს: „ჩვენი აზრით, არაა გამორიცხული, რომ თითქმის სამი წლის ლოდინის შემდეგ სააკაძეს იმედი გადაწყვეტოდა ოსმალეთის დახმარებაზე და ეცადა საქართველოში დაბრუნება, რათა საკუთარი ძალებით მაინც განეგრძო თავისი საქმე". [24]

ამ მოსაზრებას იზიარებს აგრეთვე ილია ანთელავაც.

ჩვენი აზრით, მოურავის ოსმალეთიდან წამოსვლის მიზეზი სხვა იყო. თეიმურაზ I გარკვევით აცხადებს, რომ გიორგი სააკაძემ იმის გამო დააპირა საქართველოში გაქცევა, რომ მას ღალატი [25] დააბრალეს. თეიმურაზი არ მიუთითებს, თუ რაში გამოიხატებოდა მოურავის „ღალატი". მაგრამ ჩვენ მიერ მიკვლეული წყაროების ცნობათა ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი გახდა გიორგი სააკაძის დაღუპვის ნამდვილი მიზეზის დადგენა: გიორგი სააკაძემ გადაწყვიტა შაჰ-აბას I გარდაცვალების შემდეგ გამოეყენებინა სპარსეთში შექმნილი ვითარება და მან შეიმუშავა საქართველოს გაერთიანების ახალი გეგმა, რომლის განხორციელებას აპირებდა ირანში აღზევებული ქართველების დახმარებით და ამ მიზნით მოურავმა მათთან კონტაქტი დაამყარა. ეჭვგარეშეა, ყოველივე ამას იგი აკეთებდა ოსმალეთის დიდი ვეზირის დაუკითხავად, მისი გვერდის ავლით. საფიქრებელია, ხუსრევ ფაშამ გაიგო ეს და ამის გამო გიორგი სააკაძე სიკვდილით დასაჯა. ეს მოხდა 1629 წლის 3 ოქტომბერს.

ასე დაიღუპა დიდი მოურავი — გიორგი სააკაძე საქართველოს გაერთიანების თავდადებული მებრძოლი.

## შენიშვნები:

1 ს. კაკაბაძე, გიორგი სააკაძის ღალატი, „მნათობი", 1942 წ. № 5, გვ. 123—136.

2 ი. ანთელავა, გიორგი სააკაძის უკანასკნელი დღეების შესახებ ოსმალეთში, „მნათობი", 1975 წ. №№ 10, გვ. 191.

3 ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გამ. ს. კაკაბაძისა, თბილისი, 1926 წ. ამონაბეჭდი „საისტორიო მოამბედან" II, 1925 წ.

4 ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 135.

5 თურქულ-რუსული ლექსიკონი, შედგენილი დ. ა. მაგაზანიკის მიერ, მოსკოვი, 1945, გვ. 697.

6 პიეტრო დელლა ვალეს მოხსენება საქართველოზედ პაპი ურბანო მერვესადმი, 1627 წ. იტალიურიდან თარგმნა ჰყონიამ. „ივერია", 1879 წ. № 3, გვ. 49, 50; პეტრო დელლა ვალეს საქართველოს შესახებ ცნობები მოეპოვება, აგრეთვე, თავის მოგზაურობის წიგნში „viaggi". აქედან ქართველების შესახებ ცნობები ამოკრეფილი და გაანალიზებული აქვს თ. ნატროშვილს. იხ. მაშრიყით მაღრიბამდე, თბ., 1914, გვ. 23-45.

7 ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 24.

8 ვ. გაბაშვილი, ქიზილბაშთ ფეოდალური სახლი XVI—XVII სს. ირანში, „მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები", 1972, ტ. II, გვ. 76.

9 იქვე, გვ. 64-82.

10 იქვე. გვ. 76.

11 ზაქარია კანაკერცი, ქრონიკა. მოსკოვი, 1969 წ. გვ. 57.

12 ა. ფურცელაძე, ბრძოლა საქართველოს მოსასპობად და საქართველოს შესაერთებლად ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო, თბ. 1888 წ. გვ. 400-40.

13 „ქ-ქს ტმდ (1656 წ.) ამ ჟამს მეფე როსტომ ისპაჰანის მოურავობა მე ფარსადანს მომცა", გორგიჯანიძე, გვ. 59.

14 მეჰმედ სურეა, სიჯელი ოსმანი, ტ. III, გვ. 274 (თურქულად).

15 თურქეთის სამი იმპერატორის ისტორია, პარიზი, 1683 წ. გვ. 28. (ფრანგ. ენაზე).

16 ს. ჯიქია, ცნობა დიდი მოურავის უკანასკნელი დღეების შესახებ ოსმალეთში, „ენიმკის მოამბე", ტ. XIII, გვ. 213.

17 იქვე, ქათიბ ჩელები, თეზაქე, გვ. 283, იხ. აგრეთვე, გ. ალასანია, საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი ქათიბ ჩელების ცნობათა შუქზე, „მაცნე", ისტორიის სერია, 1973, № 2, გვ. 129.

18 იქვე.

19 იქვე.

20 იქვე.

21 ნ. გელაშვილი, სპარსული წყარო საქართველოს შესახებ, „ცისკარი", № 8, 1975, გვ. 154.

22 გ. პაიჭაძე, მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, „საისტორიო მოამბე", ტ. 19-20, გვ. 325; ვ. მაჭარაძე, ჩანაწერები თეიმურაზ I-ის მოლაპარაკებისა მოსკოვში 1658 წ. თსუ შრომები, ტ. 113.

23 ი. ანთელავა, დასახ. ნაშრ. გვ. 109.

24 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ. 1973, გვ. 291.

25 მოურავის მიერ ოსმალეთის „ღალატს" — ადასტურებს აგრეთვე იტალიელი ისტორიკოსი: ბართოლომეო ფერო, თიატინელთა მისიონერების ისტორია, რომი, 1704, ტ. I, გვ. 93. (იტალიურ ენაზე). ეს ცნობა მოგვაწოდა თ. ნატროშვილმა, რისთვისაც ულრმეს მადლობას მოვახსენებ.

## წიგნების მიმოხილვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარგის ცაიშვილის „ლიტერატურული წერილები“

ქართული მწერლობა და ლიტერტურათმცოდნეობა XX საუკუნეში გერონტი ქიქოძემ, კონსტანტინე გამსახურდიამ, სიმონ ჩიქოვანმა, ბესარიონ ჟღენტმა, ლევან ასათიანმა, აკაკი გაწერელიამ, ლავროსი კალანდაძემ და სხვებმა არაერთი შესანიშნავი ლიტერატურულ-მხატვრული ნარკვევით, ესსეთი თუ პორტრეტით გაამდიდრეს. ამ მხრივ, მათ წინ წასწიეს და გააფართოეს XIX საუკუნის ქართული მწერლობის ტრადიციები, კერძოდ, ამ საუკუნის „ქართველი პლუტარქეს“ — იონა მეუნარგიას მიერ გაწეული შრომა და ღვაწლი, რომელიც ჩვენს დროში ხელახლა გააცოცხლა ცნობილმა ლიტერატორმა და მოღვაწემ სოლომონ ცაიშვილმა.

50-იანი წლების დასაწყისში ქართულ მწერლობასა და მეცნიერებაში მოვიდა ახალი თაობა, რომელმაც ნიჭიერად აითვისა წინამორბედთა მდიდარი გამოცდილება და ახალი სხივი შეიტანა ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში. მათ შორის იმთავითვე გამოირჩეოდა სარგის ცაიშვილის საკუთარ მეცნიერულ კვლევაზე დამყარებული და მწერლური გატაცებით დაწერილი ლიტერატურული წერილები.

როცა ვამბობთ, საკუთარ მეცნიერულ კვლევაზე დამყარებულიო, ამით იმის თქმა გვსურს, რომ დღეს, და ადრეც, ბევრი იწერებოდა და იწერება ისეთი ნარკვევი, ესსე თუ პორტრეტი, რომლებშიც ე. წ. „პროფესიული ენის“ თვალსაზრისით თითქოს ყველაფერი თავის ადგილზეა, მაგრამ მათში ნაკლებია სერიოზულ მეცნიერულ კვლევასა და ლიტერატურულ განსწავლულობაზე დამყარებული დაკვირვებები და ხშირად ლამაზი ან მკვეხე ფრაზით, ან კიდევ, პოლემისტის აკვიატებული ქინიანობით იკვლევს გზას მკითხველთა წრეებში. მართალია, ასეთი წერილები წაკითხვის უმალ კარგავენ აზრსა და ღირებულებას, მაგრამ ლიტერატურულ-მეცნიერული ცხოვრების სასურველ დონეზე აყვანას ქვეშეცნეულად მაინც უშლიან ხელს. ამიტომაა, რომ ჩვენ დღეს ასე გვჭირდება გერონტი ქიქოძისა და ლევან ასათიანის, თუ კონსტანტინე გამსახურდიასა და სიმონ ჩიქოვანის ლიტერატურული წერილები, რომლებშიც არაჩვეულებრივი ერუდიცია შერწყმულია განსაცვიფრებელ ტაქტთან და ლიტერატურულ მოვლენებში ღრმა წვდომის უნართან.

• • •

სარგის ცაიშვილი რამდენიმე მონოგრაფიული გამოკვლევისა და ლიტერატურული წერილების კრებულთა ავტორია. მკვლევარი თავისი უშუალო პროფილით ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიკოსი და რუსთველოლოგია. სპეციალისტთა შორის მას ნამდვილი აღიარება მაინც „ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეულმა რედაქციამ“ (თბ., 1957) და „ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორიამ“ (ტ. 1-2, თბ., 1970) მოუტანა. საყურადღებოა მისი რუსთველოლოგიური გამოკვლევები „ვეფხისტყაოსნის“ ძველი რედაქციები“ (თბ., 1963), „შოთა რუსთაველის “ვეფხისტყაოსანი“ (რუსულ ენაზე, მოსკოვი, 1966), „შოთა რუსთაველი და მისი პოემა“ (ნ. ნათაძესთან ერთად; დაიბეჭდა ქართულ, რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და ესპანურ ენებზე, თბ., 1966) და სხვ. მაგრამ იგი არასოდეს არ შემოფარგლულა კვლევის ვიწრო უბნით. ძველი ქართული საერო მწერლობის აქტუალურ საკითხებზე („ვეფხისტყაოსანი“, „თამარიანი“, „რუსუდანიანი“, „შაჰ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნავაზიანი“, „დიდმოურავიანი“, ბესიკი, დავით გურამიშვილი....) ავტორის მიერ წლების მანძილზე გაწეული შრომის უმთავრესი შედეგები თავმოყრილია მის წიგნში „შოთა რუსთაველი— დავით გურამიშვილი“ (თბ., 1974), ხოლო ახალი და უახლესი ქართული ლიტერატურის ზოგიერთ წარმომადგენელზე (ვაჟა-ფშაველა, თედო სახოკია, გიორგი ლეონიძე...) მკვლევარის დაკვირვების პირველი ცდები, ძველი ქართული მწერლობის საკითხებთან ერთად გამომზეურდა ჯერ კიდევ 1966 წელს გამოცემულ „ლიტერატურულ წერილებში“. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ სარგის ცაიშვილის მონაწილეობით განხორციელდა შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის რამდენიმე მეცნიერული გამოცემა (ამჟამად კი რუსთაველის კომისიაში იგი წარმატებით მუშაობს ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დადგენასა და გამოცემაზე), ხოლო „ქართული პოეზიის“ თხუთმეტტომეულში მისი შესავალი წერილებით, კომენტარებითა და ლექსიკონით დაიბეჭდა თეიმურაზ I-ის, არჩილის (ალ. ბარამიძესთან ერთად ტ. 3, თბ., 1975), ალ ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის (გ. ასათიანთან ერთად, ტ. 6, თბ., 1975) თხზულებანი, სულ მალე კი მისივე რედაქციით გამოვა ამ სერიის პირველი ტომი, რომელშიც შესულია ჩვენი უმდიდრესი ძველი ქართული სასულიერო პოეზია, ცხადი გახდება, თუ როგორ მრავალმხრივ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ჩვენი მკვლევარი ქართული მწერლობისა და ლიტერატურათმცოდნეობის სარბიელზე. ამის თვალსაჩინო დასტურია აგრეთვე ახლახან „მერანის“ მიერ გამოცემული სარგის ცაიშვილის „ლიტერატურული წერილები“.

• • •

ავტორს წიგნისთვის ქვესათაურად „წინამორბედნი და თანამედროვეები“ მიუცია, რომელიც ზუსტად ესადაგება კრებულის შინაარსს და იქნებ, როგორც ერთხელ, მგონი, ითქვა კიდეც, აჯობებდა იგი საერთოდ ასე დასათაურებულიყო, მაგრამ ჩვენთვის ამჟამად მთავარი მაინც წიგნის შინაარსია, რომელზედაც გვსურს მივაპყროთ მკითხველის გულისყური.

პირველ რიგში ყურადღებას იქცევს ავტორის ცოცხალი ინტერესები, როგორც წარსული მემკვიდრეობის, ისე თანამედროვე ქართული კულტურის ჭეშმარიტი მიღწევებისადმი, იქნება ეს ვახტანგ მეექვსე თუ სულხან-საბა ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი და ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, ივანე ჯავახიშვილი და... თუშეთის ბედზე ს. ჩხეიძის მიერ შექმნილი ნამდვილად დაუვიწყარი ფილმი.

კრებულის ასეთი მოულოდნელი მრავალფეროვნება თითქოს ქმნიდა ერთი გამაერთიანებელი თემისადმი მომართული მკითხველის გაწყობილების შენელების საშიშროებას, მაგრამ ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სხვადასხვა საკითხზე თვით წერილების აგების კულტურამ, პრობლემათა დასმისა და ფაქტების ანალიზის მაღალმა დონემ, აგრეთვე, და, რაც მთავარია, კრიტიკოსის უტყუარმა ალღომ და ლიტერატურულმა გემოვნებამ სამართლიანად განაპირობეს წიგნის წარმატება. ამასთან, ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ წიგნს მაინც აღმოაჩნდა ერთი ყველაზე მთავარი და გამაერთიანებელი ძარღვი — ესაა ავტორის გულწრფელი სიყვარული წინამორბედი და თანამედროვე ქართული კულტურისადმი, მის უკეთ შენებაში აქტიური მონაწილეობის დაუოკებელი წყურვილი, უშუალო პასუხისმგებლობის გრძნობა მისი აწმყოსა და მომავლის ბედისადმი.

კრებული თემატურად მაინცდამაინც მკაცრად არ არის დაყოფილი (შეიძლება, ასე უკეთესიც იყოს წიგნის კითხვის ცოცხალ პროცესში აღქმისათვის), მაგრამ მასში მაინც ნათლად გამოიკვეთება 4 ძირითადი თემატური რკალი— ძველი ქართული მწერლობა (ვახტანგ VI, სულხან-საბა ორბელიანი, თეიმურაზ ბაგრატიონი), XIX საუკუნის ქართული მწერლობა (ნიკოლოზ ბარათაშვილი, ვახტანგ ორბელიანი, იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა), უახლესი ქართული მწერლობა (გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, ტიციან ტაბიძე, ლეო ქიაჩელი, სიმონ ჩიქოვანი, გრიგოლ აბაშიძე, ლევან გოთუა, თედო სახოკია, იპოლიტე ვართაგავა, ლევან ასათიანი, გიორგი შატბერაშვილი, არჩილ სულაკაური, გურამ ასათიანი, ოტია პაჭკორია) და გამოჩენილი ქართველი მეცნიერები (ივანე ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე, გიორგი წერეთელი, ალექსანდრე ბარამიძე, ვუკოლ ბერიძე, გაიოზ იმედაშვილი).

როგორც ვხედავთ, და, ვფიქრობთ, მკითხველიც დაგვეთანხმება, კვლევის ასეთი მრავალფეროვნება და ჩვენი კულტურის სხვადასხვა, განსხვავებული კუთხით დანახვა ერთბაშად და ერთ დღეს არ ხდება. ამისათვის საჭიროა, პირველ რიგში, საფუძვლიანი აკადემიური მომზადება, მრავალწლიანი დაძაბული შემოქმედებითი შრომა, ბევრი სიძნელის დაძლევა, ამასთან, მეცნიერებასა და მწერლობაში საკუთარი პოზიციისა და ლიტერატურულ-მეცნიერული მრწამსის გამომუშავება, მაღალი პროფესიონალიზმისკენ მოწოდების დაუცხრომელი სწრაფვა.

რა თქმა უნდა, ამ თვალსაზრისით, კრებულში შესული ყველა წერილი არ არის ერთნაირი სიძლიერისა (ეს, ალბათ, თავის დროზე მათი დაწერის სხვადასხვა მიზანდასახულებამაც განაპირობა), მაგრამ მაინც საგანგებოდ უნდა

ეროვნული

გამოვყოთ წერილები ვაჟა-ფშაველაზე, გალაკტიონ ტაბიძეზე, გიორგი ლეონიძეზე, ტიციან ტაბიძეზე, გრიგოლ აბაშიძეზე, არჩილ სულაკაურზე, აგრეთვე, პორტრეტები ჩვენი სახელოვანი მეცნიერებისა — ივანე ჯავახიშვილის, კორნელი კეკელიძის, გიორგი წერეთლის და ალექსანდრე ბარამიძისა.

„გალაკტიონი და ქართული კლასიკური პოეზია“ (გვ. 5-20) რამდენიმე ახალ საგულისხმო შენიშვნასა და პარალელს შეიცავს. ამას გარდა, ძლიერ საყურადღებოდ გვეჩვენება ავტორის მიერ 1961 წელს სიმონ ჩიქოვანისაგან ჩაწერილი გალაკტიონის მოსაზრება თავის სულიერ წინამორბედებთან და მუსიკასთან პოეტის დამოკიდებულებაზე: „ღრმად სცდებიან ისინი, ვინც მე მაიაკოვსკის მადარებს. ჩემი პოეტური ბუნება უფრო ახლოა, მაგალითად, ბლოკთან. მე ვფიქრობ, რომ საგნებს აქვთ თავისი მუსიკა და პოეტმა სწორედ მას უნდა მიაგნოს, შესაფერისად აახმიანოს, რასაც შეძლებისამებრ ვცდილობდი და ვცდილობ კიდეცო“ — განუცხადებია თურმე გალაკტიონს და მასზე დამყარებით არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ავტორის დასკვნას, რომ „პოეტის ეს მოსაზრება ნიშნადობლივთა და ორიენტირადაც გამოდგება მისი ლექსის მუსიკალური მოწესრიგებულობის კვლევის დროს“ (გვ. 10).

სამაგალითოდ მიგვაჩნია ს. ცაიშვილის გამოკვლევა „გიორგი ლეონიძე“ (გვ. 20-50), რომელშიც პროფესიული სიღრმით შესწავლილია დიდი პოეტის როგორც პოეტური და პროზაული, ისე მეცნიერული მემკვიდრეობა. ამ უკანასკნელის გამო დავძენ, რომ რაც დრო გადის, კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება გიორგი ლეონიძის დიდი დამსახურება ქართული სულიერი კულტურის, კერძოდ, ქართული მწერლობის კვლევის საქმეში. ამ მხრივ, მისი გამოკვლევები სულხან-საბა ორბელიანზე, ვახტანგ მეექვსეზე, ანთიმოზ ივერიელზე, ბესიკზე, დავით გურამიშვილზე, სათათნოვაზე, ნიკოლოზ ბარათაშვილზე და სხვებზე სამუდამოდ შევიდა ქართული ლიტერატურათმცოდნეობის უკეთეს მიღწევათა რიცხვში, ხოლო გ. ლეონიძის ნარკვევი ვეფხისტყაოსნის ე. წ. ზაზასეული ხელნაწერის შესახებ დღემდე ინარჩუნებს სანიმუშო რუსთველოლოგიური გამოკვლევის რეპუტაციას. ყოველივე ეს ნათლად არის ნაჩვენები ს. ცაიშვილის წერილში, კერძოდ, კარგადაა ახსნილი პოეტის მეცნიერული მუშაობის თავისებურებანი: „იგი მაძიებელი მკვლევრის როლს ირჩევს და ახალ-ახალი ფაქტების გამოვლენით ცდილობს შესასწავლი მწერლის ცხოვრების ქრონიკის აღდგენას, მისი პიროვნების ყოველმხრივ დახასიათებას... გიორგი ლეონიძე სამართლიან საყვედურს გამოთქვამდა ლიტერატურის ზოგიერთ ისტორიკოსთა მიმართ, რომლებიც თავს არიდებდნენ ე. წ. შავ სამუშაოს და ამის გამო არ იცნობდნენ ფაქტიურ ვითარებას, ან კი სხვათა ნაკვლევის ვითომდა განზოგადების გზით ცდილობდნენ იოლად ფონს გასვლას. ასეთი „მკვლევარი“ ზოგიერთ ექიმსა ჰგავს, რომელსაც ავადმყოფი არ უყვარს და ყოველდღიური ჯაფისა და მკურნალობის ნაცვლად დიაგნოზის (ხშირ შემთხვევაში მცდარის) დასმით ათავებს საქმეს“ (გვ. 42-43).

მდიდარ ქართულ საბჭოთა ისტორიულ პროზას უკანასკნელ ხანს გრიგოლ აბაშიძის ახალი რომანი „ცოტნე ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება“ შეემატა. ს. ცაიშვილი არ იფარგლება მწერლის ამ ახალი წიგნის ოდენ მიმოხილვით და ისტორიული რომანის ჟანრზე საკუთარ დაკვირვებებსაც გვთავაზობს (გვ. 85-100). მკვლევრის სიტყვებით, „ისტორიული რომანი უწინარეს ეროვნული ხასიათების წარმოჩენითაა ფასეული, რის გარეშე იგი ერთი ნაბიჯითაც ვერ გასცდება უბრალო ქრონიკის ფარგლებს... შემოქმედებითი ძიების ამ გზაზე, როცა წარსულის ისტორიული გაკვეთილი მხატვრის შთაგონებაში ახალ ჟღერადობას იძენს, გრიგოლ აბაშიძე რომანების თემად ისეთ ისტორიულ ეპოქას ირჩევს, როცა ბეწვზე ეკიდა ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი... მან კარგად იცის, რომ ისტორიულ რომანში მწერალი და მეცნიერი-ისტორიკოსი თითქოს ეჯიბრება ერთმანეთს. შთაგონებას და მწერლურ ოსტატობას მხარს უნდა უმაგრებდეს ისტორიის ღრმა შემეცნება, ფაქტებისა და მოვლენების ყოველმხრივი ანალიზის უნარი. ამ ნიშანთაგან ერთ-ერთის უკმარობა გარდუვალი მარცხის მიზეზი ხდება“ (გვ. 85-86). კრიტიკოსმა მოახერხა ჩვენთვის დაენახვებინა მწერლის გამარჯვება, კიდევ ერთხელ ეგრძნობინებინა, რომ „ცოტნეს თავდადება შთამომავლობისათვის ცხოველმყოფელი ზნეობრივი მაგალითია“, „წარსულის დიადი გაკვეთილია“.

ჩვენ არ ვაპირებთ ამ კრებულში შესული ყველა წერილის დაწვრილებით განხილვას. ვფიქრობთ, ზემოთთქმულიდანაც ცხადი უნდა იყოს, რომ სარგის ცაიშვილის „ლიტერატურული წერილების“ ახალი წიგნი მკვლევრის სერიოზული წარმატებაა.

**გურამ შარაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ტბეთის სულთა მატიანის" გამოცემის გამო

ისტორიით მეცნიერებას ძვირფასი წეროლობითი წყარო შეემატა. სრული სახით და სათანადო მეცნიერული აპარატის თანხლებით დაიბეჭდა გასულ საუკუნეში გიორგი ყაზბეგის მიერ შავშეთში მიგნებული ტბეთის საკათედრო ტაძრის სულთა მოსახსენებლების ტექსტი, რომელიც გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თინა ენუქიძემ.

წიგნი სათაურით „ტბეთის სულთა მატიანე" გამოვიდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „საქართველოს ისტორიის წყაროთა კომისიის" გრიფით სერიაში: „ეპიგრაფიკული ძეგლები და ხელნაწერთა მინაწერები" (ტომის რედაქტორი ნოდარ შოშიაშვილი).

მოსახსენებელთა ჩანაწერების სახით წიგნში, რომელიც ფართო ფორმატის 194 გვერდს შეიცავს, თავმოყრილია უდიდესი სამეცნიერო მნიშვნელობის პალეოგრაფიული მასალა, სხვადასხვა დროს შესრულებული ტყავზე, XII-XVII საუკუნეთა მანძილზე, ძირითადად ნუსხა ხუცურით და ნაწილობრივ ასომთავრულით. იგი არსებითად იმ ადამიანთა სახელებისა და გვარების კრებულია, რომელნიც მატერიალურად ეხმარებოდნენ ეკლესიას, სხვადასხვა შესაწირავით უზრუნველყოფდნენ მის არსებობას და სამაგიეროდ მოწიწებით ითხოვდნენ საკუთარი თავისა და ახლობლების ცოდვათა შენდობასა და სულის ცხონებას.

ჩანაწერები მოკლეა და ძუნწი, სიტყვები ხშირად დაქარაგმებულია, მათში მლოცველ-შემწირველთა სახელ-გვარები მოიხსენება სტერეოტიპული გამოთქმებით, სახელდობრ, ასე: „სულსა გუჯარის ძისა თევდორესა შეუნდვენ ღმერთმან", „სულსა ღურჯიეთ მიქაელისა და მისა მეუღლისა რუსუდანისა შეუნდვენ ღმერთმან"...

არის ისეთი ჩანაწერებიც, რომელნიც საყურადღებო დამატებით ინფორმაციებს გვაწვდიან: „სულსა სმადელისა ვაცასძისა შეუნდვენ ღმერთმან". აქედან ვგებულობთ, რომ ნიკოლოზ ვაცასძე სოფელ სმადიდან ყოფილა. სმადა დღესაც ცნობილია ადიგენის რაიონში. (ამ სახელით აქ ორი სოფელია: ზედა და ქვედა სმადა).

სადაურობის მაჩვენებელ სხვა სიტყვებში ძირითადად აჭარის, კერძოდ, მაჭახლის ხეობის სოფლები მოიხსენებიან, რომლებიც დღეს ხელვაჩაურის რაიონში შედიან: ერგე, სინდიეთი, კირნათი (ტექსტის მიხედვით კილნათი), ჩხუტუნეთი, კიბე, ხერთვისი, ჯოჯო და სხვ. ერთგან კონკრეტულად ეკლესიის შტოს აშენებაზე გაწეული შრომაც არის მითითებული: „სულსა კიბელის ძესა კვირიკესასა და მეუღლისა მისა დუდასა და მისთა მშობელთა შეუნდნენ ღმერთმან. ამა შტოისა შენებასა შიგან დიდი ჰირი ნახა".

სულთა მოხსენიების ანალოგიური სამახსოვრო კრებულები და ე. წ. საალაპო წიგნები სხვაც ცნობილია, მათში შესულია ამა თუ იმ საეკლესიო მრევლის წარმომადგენელ შემწირველ პირთა გვარ-სახელების ნუსხები. ისინი წარმოდგენას გვაძლევენ საზოგადოებრივ მდგომარეობასა და ყოფაცხოვრებაზე, თვალწინ გვიშლიან ონომასტიკური ლექსიკის ნაირფეროვან სურათს.

ერთი ასეთი მნიშვნელოვანი ძეგლი — იერუსალემის ჯვარის მონასტრის ალაპნი, 1914 წ. ნ. მარმა გამოაქვეყნა, 1962 წელს კი ელენე მეტრეველმა მოამზადა და გამოსცა სხვადასხვა საცავებში შემონახული ამ ძეგლის დედნები, სათაურით: „მასალები იერუსალემის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVI ს. ს.), ხელნაწერი გამოსცა აგრეთვე გერმანელმა მეცნიერმა იულიუს ასფალგმა (ვისბადენი, 1963 წ.).

ალაპთა გამჩენელნი და შენდობის მთხოვნელნი აქ ძირითადად მაღალი თანამდებობის პირნი, მეფე-დიდებულნი, მთავარნი და წარჩინებული პირნი არიან. „ტბეთის სულთა მატიანე" იმით იქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას, რომ მაღალი სოციალური წრის ადამიანთა გვერდით მასობრივად არიან დასახელებული შემწირველები მოსახლეობის დაბალი ფენებიდან — მოსახლენი შავშეთ-აჭარისა და სამცხის გეოგრაფიული რეგიონისა, სახელდობრ, იმ ტერიტორიისა, რომელსაც ტბეთის განთქმული ტაძრის უფლებამოსილება და ავტორიტეტი სწვდებოდა. სწორედ ამით არის ძვირფასი ეს ძეგლი, როგორც უშუალოდ მლაღადებელი საგანძური ხალხის ცხოვრებისა, როგორც გარდასულ საუკუნეთა ცოცხალი ექო. ამით უნდა აიხსნას, რომ ძეგლის უხვ ონომასტიკონში ჩაქსოვილია შრომა-საქმიანობის სახეობათა ამსახველი ტერმინები, როგორც მეფუტკრე, მჭედელი, ოქრომჭედელი, მეგომე და სხვ.

ამგვარი ინფორმაციების ანალიზისათვის დიდი ყურადღება მიუქცევია გამომცემელს თავის გამოკვლევაში, რომელიც წინ უძღვის ძეგლს და მის ძირითად ისტორიულ-ლიტერატურულ პრობლემათა განხილვას ეძღვნება.

„ტბეთის სულთა მატიანის" თ. ენუქიძისეული გამოცემა ტექსტოლოგიური ძიების მაღალ, თანამედროვე დონეზე დგას. ძეგლის ორიგინალს აქ ვეცნობით ფოტორეპროდუქციებით, რომელთაც მოსაზღვრე პარალელურ გვერდებზე ახლავთ ამოკითხულ-აღდგენილი და ქარაგმებგახსნილი ტექსტები (თანამედროვე მხედრული ასოებით).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს არის წიგნის ძირითადი ნაწილი (გვ. 60-139) — პუბლიკაცია იმ ფაქტობრივი დოკუმენტური მასალისა, რომლის გაშიფვრა-ანალიზზე მკვლევარს უაღრესად ძნელი და შრომატევადი მუშაობა ჩაუტარებია: მოცემულია ძეგლის აღწერილობა და მისი ზედმიწევნითი პალეოგრაფიული დახასიათება. ამოკითხულია 588 მოსახსენებელი, რომლებიც დაჯგუფებულია ქრონოლოგიურად (საუკუნეთა ჩვენებით), ქრონოლოგიური ფენების მიხედვით შედგენილია ტაბულები, რომლებიც წიგნს ბოლოში ერთვის დამატებად. აქ გარკვეულია გამოცემის, როგორც საისტორიო წყაროს მნიშვნელობა და, ამასთან დაკავშირებით, ცალკეულ ქვეთავებში განხილულია საკითხები: ტბეთის საყდარი, შავშეთის თემი, ტბეთის ეპარქია, დამოწმებული გვარების სოციალური კუთვნილება, გვართა წარმოება. აქვეა ცნობები ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკის სფეროდან.

წიგნს ერთვის 7 საძიებელი: მამაკაცთა და ქალთა (ცალცალკე), გვარებისა, გეოგრაფიული სახელებისა, ტერმინებისა და დაქარგმებულ სიტყვათა. შრომის რეზიუმე წარმოდგენილია რუსულსა და ინგლისურ ენებზე.

თეორიულად შესწავლილ-გააზრებული, თვალსაჩინო ტაბულებით აღჭურვილი და მეცნიერული აპარატით შემკული გამოცემა ამ უნიკალური ძეგლისა, რომელიც მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეც არის დაბეჭდილი, უთუოდ მნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩაეთვალოს გამომცემლობა „მეცნიერებას".

ადამიანთა საკუთარი სახელების, გვარებისა და ტოპონიმების ფონდი, რითაც ასე მდიდარია ტბეთის ძეგლი, მრავალი დარგის სპეციალისტთა კვლევის ფრიად მნიშვნელოვანი უბანია, მის შესწავლას მრავალმხრივი მეცნიერული ინტერესი ახლავს, მაგრამ უდავოა, რომ პირველ რიგში ის ენათმეცნიერული პოზიციიდან უნდა იქნეს განხილული, ვინაიდან ანთროპონიმიაცა, და ტოპონიმიაც სწორედ ლექსიკოლოგიის სფეროს განეკუთვნება და მისი ახალი დარგის — ონომასტიკის შესწავლის საგანია.

ძეგლისეული ონომასტიკონის გაცნობა იმის ნათელ სურათს გვიხატავს, თუ რა საგრძნობლად იცვლება საუკუნეთა განმავლობაში ანთროპონიმიკურ სიტყვათა მარაგი ენისა. წიგნში ვხვდებით ადამიანის ძველ საკუთარ სახელებს, რომლებიც დღეს გამქრალია; ამათი ნიმუშებია ქალთა სახელებიდან: ანათა, ბორენა, ბურდუხანი, გვანცა, დუდი, ესნა, კიბელი, მძიწურელი, სადაგანი, ჩხუტუნია, ცაცური, ცვარი, ცხორება, ხუაშაი, ხუაშაქი; — მამაკაცთა სახელებიდან: ახალა, ბახატა, გოშნა, გუგუნა, გუიანა, დოდია, ვაზინა, ვერძა, კაკა, კაციოქრო, კირა, კობახთა, კოკობინა, კვერნა, მაისა, მანჩხა, მარცუალა, მახნია, მომესწარა, მშუიდა, ნებიერი, სამნაი, სანადირა, სასნა, სიასა, სიხარული, სულა, ქება, ქურციკი, ჩაუქა, ცივნარა, ციტა, ცხადა, ხინკილა, ჯალაბა...

საგანგებო ყურადღების ღირსია ძეგლში ასახულ გვართა წარმოების წესი. საგვაროვნო სახელთა ჩვეულებრივ დაბოლოებათა გვერდით აქ საკმაო რაოდენობით გვხვდება ეთ (აბესალამეთ, გათენიეთ, გიორგაეთ, სირაეთ, ტომარაეთ...) და თითო ცალკეულ შემთხვევაში — ათ (გიორგაძიათ) და — ანთ (ბედიანთ), ეს დაბოლოებანი ფუნქციურად იდენტურია ძე და შვილ დაბოლოებებისა. გვაქვს პარალელური ფორმები, ერთი მხრით: „სულსა შალვაეთ ბალავარის მეუღლესა ცაცასა"... (374), მეორე მხრით: „სულსა შალვას ძისა იოვანეს"... (445), ასევე ღურჯაეთ მიქაელი და ღურჯას ძე მიქაელ. ჯარდენეთ ბასილი და ჯარდენის ძე ბასილი, გოგლაეთ გიორგი და გოგლასძე გიორგი.

რა არის და საიდან მომდინარეობს ეს უჩვეულო ფორმანტი — ეთ თავისი ვარიანტებით (— ათ, — თ, — ანთ)?

ამ საკითხმა კარგა ხანია მიიქცია მეცნიერთა ყურადღება. მარი ბროსედან დაწყებული მას სპეციალურად შეეხნენ ნ. მარი, აკ. შანიძე, ქ. კეკელიძე, ა. ჩიქობავა, ვ. თოფურია, ი. იმნაიშვილი, პ. ინგოროყვა, ალ. ღლონტი, ვ. დონდუა, ალ. ჯიშიაშვილი, ბ. გიგინეიშვილი, ზ. სარჯველაძე და სხვები.

მკვლევართა შეხედულებანი ამ საკითხზე სხვადასხვაა, მაგრამ ყველა მათგანი ერთში მაინც საერთო აზრს ადგას. ყველა ერთსულოვნად აღიარებს, რომ გვარებსა და სახელებში ინტენსიურად გამოყენებული ხსენებული თანიანი სუფიქსები მრავლობითობისა და კრებითობის ცნებათა გამოხატვას უკავშირდებიან, რის გამო მათ მრავლობითი რიცხვის გვარსახელებიც კი უწოდეს.

პირველ ხანებში დაკვირვების საგნად მეტად მცირე რაოდენობის ფაქტები იყო მიგნებული (ლიპარიტეთ, სუქმანეთ, ვახტანგეთ, შარვანშეთი, გაგიკეთი, დურძუკეთი, პავლეეთნი, კონონეთნი და სხვ.). კვლევის პროცესში მაგალითები თანდათან გამრავლდა, ტექსტებში ანალოგიური შემთხვევები სხვაც გამოვლინდა (აბიბოეთ, დამიანეთ, მარიამეთ, ანანიაეთ...) და ინტერესიც ამ ფორმათა გენეზისის მიმართ გაძლიერდა.

თინა ენუქიძის მიერ გამოქვეყნებულმა შესანიშნავმა ძეგლმა ქართული გვარსახელების არქაულ (თანიან) ფორმათა მასობრივად ხმარების წინაშე ერთბაშად დაგვაყენა (აქ 66 ასეთი ფორმაა დადასტურებული), მათი მიმოქცევის სურათი გადაგვიშალა და მათივე გენეზისის პრობლემის ირგვლივ ზოგიერთ რეალურ ვარაუდსაც საფუძველი განუმტკიცა.

საკითხის გარკვევისათვის უთუოდ დიდი მნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვნელობა ჰქონდა ს. ჯანაშიას დებულებებს. მან „ქართლის ცხოვრებაში“ ნახმარი სიტყვა ლიპარიტეთ („ნაყოფთა ლიპარიტეთთა“) გაიგო როგორც ლიპარიტეს შთამომავალთა აღმნიშვნელი სიტყვა, ე. ი. როგორც გვარი და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (ქართლში, მესხეთში, რაჭაში) დადასტურებულ სახელთა ისეთ ფორმებს დაუკავშირა, როგორიც არის: თამარათ, შველათ, ბალიანაანთი, ჯინგნიანთი, ორბელიანთი და ა. შ.).

ამ მაგალითებზე დაკვირვება გვაფიქრებინებს, რომ ხსენებული -ათ სუფიქსი რთული შედგენილობისაა, მისი სრული სახე უნდა ყოფილიყო — იანთ (იან+ თ); პირველი ელემენტი საყოველთაოდ ცნობილი ქონების, კუთვნილებისა და წარმომავლობის მორფემაა, მეორე კი მრავლობითი რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი გენეტიური მსაზღვრელისა. ამის მიხედვით, მაგალითად, თარხნიანთ გიორგი ასახელებს ერთ პიროვნებას თარხნიშვილების საგვარეულოდან და გაიგება როგორც თარხნიანების (ე. ი. თარხნიშვილების) გიორგი, ასევე „ოთარაანთ ქვრივი“, როგორც ოთარაანების (ოთარაშვილების) ქვრივი და ა. შ.

ზოგიერთი კუთხის მეტყველებაში (ქართლურში, მესხურში, რაჭულში და მთის კილოებში) ხმოვანფუძიან სახელებთან პირველი სუფიქსეული ნ. თანხმოვანი (-იან-ის ნაშთი იკარგება და მსაზღვრელი -ათ ბოლოსართის ამარა რჩება. ეს ფაქტი მტკიცდება ცოცხალ მეტყველებაში ფორმათა პარალელური ხმარებით: მესხეთში ხან თამარაანთ გიგოს მოისმენთ, ხან თამარათ გიგოს, ხან იტყვიან თამარაანთი, ხან კი — თამარათი. ლიტერატურულ წყაროებშიც დადასტურებულია ბალინანთი, ჯინგნიანთი, ფირალანთი, რომელთაც შეესაბამება ხალხური ნარ-დაკარგული ბალინათი, ჯიგნიათი, ფირალათი.

ეს ვითარება, მართალია, თითო ნიმუშით, მაგრამ მაინც ასახულია ჩვენთვის საინტერესო „სულთა მატიანეში“. აშკარაა, რომ იქ მოხსენებულ-მსაზღვრელ-საზღვრულის წყვილებში „გორგაძიათ ჩაუქა“ პირველ წევრს ნ დაკარგული აქვს (უნდა ყოფილიყო: გორგაძიანთ ჩაუქა), მეორე წყვილში კი „ბედიანთ სძალი“ ნ შენარჩუნებულია. და ამის გამო იგი მთლიანად ემთხვევა თანამედროვე გვარსახელოვან მოდელს („ვაჩნაძიანთ გაგა“, „ქართველაძიანთ ბალი“).

ჩვენი მსჯელობა მხოლოდ -ათ სუფიქსის წარმომავლობას ეხებოდა, მაგრამ ძველ ტექსტებსა და ამ ძეგლშიც, როგორც დავინახეთ, გვართა მაწარმოებლად -ეთ სუფიქსია გაბატონებული.

ამ მოკლე მიმოხილვით ჩვენ გვსურდა გვეჩვენებინა, თუ ონომასტიკაში რა აქტუალურ თეორიულ საკითხებს აღძრავს და აშუქებს „ტბეთის სულთა მატიანის“ მასალებზე დაკვირვება, მაგრამ არა მარტო ამ დარგში, ეს გამოცემა, იერუსალიმის ჯვარის ტაძრის სააღაპო და მსგავს დავთრებთან ერთად, სამაგიდო წიგნია საქართველოს კულტურის ისტორიაზე მომუშავე ყველა მკვლევარისათვის, როგორც წარსულის კონკრეტულ-რეალური სინამდვილის მკაფიო გამონაშუქი.

ჩვენი ერთი ძირითადი შენიშვნა საძიებლებს ეხება. პერსონალიების მაჩვენებელში გამომცემელს სახელ-გვართა ორნაირი ფორმები აქვს შეტანილი, ერთი დედნისეულნი (ბერსელეთ იოვანე, კუთხაეთ სეხნია, სამოელეთ გიორგი, სიკალაეთ დავით...) და მეორე, ამათგან შებრუნებული წყობით მიღებულნი (იოვანე ბერსელეთი, სეხნა კუთხაეთი, გიორგი სამოელეთი, დავით სიკალაეთი...), მოსახსენებელთა ნომრების მითითებით, თუმცა მათი ჩვენება ნამდვილად დედნისეულ ფორმებს ჰქირდებოდათ. უფრო მეტიც: გამომცემლის მიერ ნაგულისხმები ეს სუბსტანტირებული ფორმები საძიებელში არც უნდა მოხვედრილიყვნენ რადგან ბერსელეთი, კუთხაეთი და სხვანი ტექსტის მიხედვით ცალკეულ გვარსახელოვან ერთეულებად არ ჩაითვლება, ისინი ხელოვნურად შექმნილია და ტექსტს ეწინააღმდეგება.

ხელნაწერის ცალკეულ ადგილთა დაზიანების, ბუნდოვანი გამოსახულების თუ სხვა პალეოგრაფიული სირთულეების გამო გამოცემაში ხშირია მკვლევრის ჩარევა, მას აღუდგენია გამოტოვებული სიტყვა-ასოები, გაუსწორებია ენობრივი ფორმები, აღუნიშნავს ასომეტობა და სხვა.

ზოგი კონიექტივა, შესაძლოა, სადავო ან მოულებელიც იყოს, ეს არ არის გამორიცხული დიდი რედაქციული მუშაობის დროს, მაგრამ როგორც ჩანს, ძირითადი სიძნელეები ამ მხრივ აქ დაძლეულია.

მთლიანად თინა ენუქიძის ნაშრომი ფილოლოგიური ძიების კარგი ნიმუშია.

ძვირფასი ტექსტის ღირსეულად გამოცემით საშვილიშვილო საქმე გაკეთდა!

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲦᲚᲝᲜᲢᲘ
ᲘᲚᲘᲐ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნახევარი საუკუნე—მეცნიერების სამსახურში

## ალ. ბარამიძის „ნარკვევების“ მეშვიდე ტომის გამო

გამოქვეყნდა აკადემიკოს ალექსანდრე ბარამიძის ცნობილი სერიის („ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“) მორიგი მეშვიდე ტომი. ეს არის საყურადღებო მოვლენა ქართული ფილოლოგიის სფეროში.

ვიდრე წიგნის მიმოხილვას დავიწყებდეთ, ერთი საგულისხმო დეტალის ხაზგასმა გვსურს (სათაურშიც ამიტომ გავიტანეთ იგი): დამატების სახით ავტორმა კრებულში შეიტანა თავისი პ ი რ ვ ე ლ ი მეცნიერული ნაშრომი „შენიშვნები „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების შესახებ“; რომელიც 1927 წელს დაიბეჭდა „საქართველოს არქივში“. უკანასკნელი შრომები, რომლებიც ამ წიგნშია გამოქვეყნებული, 1977 წლით თარიღდება. ზუსტად ნახევარი საუკუნეა, რაც ღვაწლმოსილი მკვლევარი სამაგალითო ერთგულებით, თავდადებითა და სიყვარულით ემსახურება მშობლიური ლიტერატურის ისტორიის ურთულესი საკითხების კვლევის მძიმე და საპატიო საქმეს. ეს ვრცელი გზა არ ყოფილა იითა და ვარდით მოფენილი, რაც კარგად აისახა აქვე მოთავსებულ „მოგონებათა ფურცლებზე“, მაგრამ საბედნიეროდ ბოროტს ყოველთვის სძლევს კეთილი, უსამართლო ტკივილსა თუ უნებლიე მარცხს ყოველთვის ფარავდა აღმოჩენისა და გამარჯვების სიხარული...

„ნარკვევების“ მეშვიდე ტომის ერთ მესამედზე მეტი რუსთველოლოგიური პრობლემატიკისადმი მიძღვნილ წერილებს უჭირავს. ეს შემთხვევითი გარემოება არ გახლავთ. ავტორი, პირველ რიგში, გამოჩენილი რუსთველოლოგია და დღეს სათავეში უდგას რუსთველის გენიალური პოემის მეცნიერულ კვლევას ჩვენში. ამ მხრივ საყურადღებოა პირველი წერილი „ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის გამოსაცემად მომზადების თაობაზე“. აქ ჩამოყალიბებულია ის პრინციპები, რომლებითაც ხელმძღვანელობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული კომისია (მთავარი რედაქტორი ალ. ბარამიძე).

აკად. ივანე ჯავახიშვილი თავის უკანასკნელ მოხსენებაში, რომლის კითხვის დროსაც ის უეცრად გარდაიცვალა, სამართლიანად ჩიოდა: „დღემდე ჩვენ „ვეფხისტყაოსნის“ არამცთუ სრული კრიტიკული გამოცემა ვერ მოგვიხერხებია, არამედ ისეთი გამოცემაც კი არ მოგვეპოვება, სადაც ხელნაწერებში დაცული ყველა განსხვავებული წაკითხვები მაინც გვქონდეს აღბეჭდილი“. მდგომარეობა რამდენადმე გამოსწორდა, როდესაც 1966 წელს გამოქვეყნდა ვეფხისტყაოსნის ვარიანტებიანი ტექსტი (ა. შანიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით). სამწუხაროდ, აღარ დაბეჭდილა ამ გამოცემის მეორე ტომი, რომელშიც უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი ლექსიკონი და მეცნიერული კომენტარები. ამის გარეშე ძნელია გარკვევა, რით ხელმძღვანელობენ გამომცემელნი ამა თუ იმ წაკითხვის შერჩევისას, ან როგორ ესმით მათ ესა თუ ის ადგილი.

ამ რთული სამუშაოს სრულყოფილად დაგვირგვინებას ისახავს მიზნად ზემოხსენებული კომისია. მისი პირველი მთავარი რედაქტორის, აწ განსვენებული აკადემიკოსის გიორგი წერეთლის ხელმძღვანელობით მომზადდა და სულ მალე დაიბეჭდება პირველი ტომი (162 ძირითადი და 96 ჩანართი სტროფი სათანადო სამეცნიერო აპარატით). ამჟამად მუშაობა გრძელდება. აღსანიშნავია, რომ adრე არსებულ კომისიათაგან განსხვავებით, ამჯერად ქვეყნდება არა მარტო მუშაობის შინაარსი და ხასიათი, არამედ ყოველი სტროფის დადგენილი ტექსტი და მისი „თარგმანი“ თანამედროვე ქართულ ენაზე. ერთი შეხედვით ადვილი საქმე (რომელ ქართველ მკითხველს არ ესმის ვეფხისტყაოსანი!) არც ისე მარტივი აღმოჩნდა, რადგან, როგორც ეს შენიშნულია საერთოდ ტექსტების მიმართ, ერთია შინაარსის გაგება, ხოლო მეორე მისი თარგმნა, გადმოღება არა მარტო უცხო, არამედ დღევანდელ მშობლიურ ენაზეც. ჟურნალ „მაცნეს“ ენისა და ლიტერატურის სერიის ფურცლებზე გადაშლილი კვლევის პროცესი შესაძლებლობას აძლევს ყველა დაინტერესებულ მკითხველს თვალი ადევნოს მას. ეს კიდევ უფრო ზრდის კომისიის ყოველი წევრის პასუხისმგებლობას, რადგან ზოგჯერ ისინი ერთიმეორისაგან განსხვავებულ აზრს გამოთქვამენ.

წერილში მოტანილი რამდენიმე საილუსტრაციო მაგალითი ნათლად ავლენს მუშაობის სიძნელესა და აუცილებლობას, რადგან მისი დასრულების შედეგად მივიღებთ უთუოდ დიდად წინგადადგმულ ნაბიჯს ქართული ფილოლოგიისათვის ამ უპირველესი ამოცანის გადაჭრის გზაზე.

ამ პირველ ნარკვევს ერთგვარად ეხმიანება წერილი „ხმა წარსულიდან.“ განსაკუთრებული ყურადღება მიექცა აქ „ინდოხატაელთა“ ამბის“ პრობლემას, რომელიც დღესაც უაღრესად აქტუალურია, აგრეთვე სხვა კონკრეტულ წაკითხვებს. ალ. ბარამიძე ერთგვარად აჯამებს იმ დიდ მუშაობას, რომელიც ჩატარდა ვეფხის-

ბიბლიოთეკა

ტყაოსნის ტექსტოლოგიური შესწავლის მიზნით პირველი საიუბილეო გამოცემის (1937) შემდგომ და აშუქებს მომავლის პერსპექტივას. ამგვარ სამუშაოს საფუძვლად უდევს დიდი გამოცდილება და უშუალო მონაწილის შთაბეჭდილება. მკვლევარი ერთგან საგანგებოდ აღნიშნავს: „მე ერთი იმათთაგანი ვარ, მგონი ერთადერთიც, რომელიც მონაწილეობას იღებდა ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენ თითქმის ყველა კომისიაში...“ (გვ. 89).

ვრცლად არის განხილული „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის საკითხი წერილში „ვეფხისტყაოსნის ინგოროყვასეული გამოცემა“. ავტორი უმთავრესად ეხება ისტორიულ-ფილოლოგიურ საკითხებს. „იმის გამო, რომ თვით პ. ინგოროყვას არა აქვს წარმოდგენილი თავისი წაკითხვების საბუთიანობა, ნაკლები ყურადღება ეთმობა საკუთრივ ტექსტოლოგიურ საკითხებს, რაც ძირითადი უნდა იყოს „ვეფხისტყაოსნის“ ყოველი ახალი გამოცემის შეფასებისას. თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ტექსტის სწორად გაგებას მნიშვნელოვანი ლიტერატურული პრობლემების გადასაწყვეტად, კარგად ჩანს „ნარკვევებში“ რუსულ ენაზე გამოქვეყნებული წერილიდან „პოეტური მეტაფორის ენა და ვეფხისტყაოსნის დათარიღების საკითხი“. აქვე შევნიშნავთ, რომ წერილში ერთი მცირე უზუსტობაა: ორიენტალისტთა ოცდამეხუთე კონგრესი მოსკოვში გაიმართა 1960 წელს და არა 1963 წ. (1963 წ. გამოქვეყნდა ამ კონგრესის „შრომები“).

და ბოლოს, რუსთველოლოგიურ პრობლემატიკას აგვირგვინებს კრებულში ერთი სათაურის ქვეშ გაერთიანებული ორი რეცენზია: „საკვალიფიკაციო რუსთველოლოგიური შრომები“. პირველი ეხება ივანე გიგინეიშვილის ნაშრომს „ვეფხისტყაოსნის ენისა და ტექსტის კრიტიკის ძირითადი საკითხები“, მეორე — სარგის ცაიშვილის ორ წიგნად წარმოდგენილ შრომას „ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია“. რეცენზენტი კრიტიკულ შენიშვნებთან ერთად მაღალ შეფასებას აძლევს ორივე გამოკვლევას. ამჟამად ისინი ცალკე წიგნებადაა გამოქვეყნებული და რუსთველოლოგიის მნიშვნელოვან შენაძენად აღიარებული.

„შუშანიკის წამების“ საიუბილეო თარიღისადმია მიძღვნილი წერილი „ქართული მწერლობის უძველესი ძეგლი ათასხუთასი წლისაა“. აქ შეძლებისდაგვარად სრულადაა შეჯამებული ამ ძეგლის გარშემო გამოთქმული აღრინდელი თუ უახლესი მოსაზრებანი და მოცემულია მისი რეალური მხატვრული შეფასება.

არანაკლები ენერგიითა და სიყვარულით იკვლევს ალ. ბარამიძე წლების მანძილზე აღორძინების ხანის ქართულ მწერლობას, მისი საუკეთესო წარმომადგენლების შემოქმედებას. „ნარკვევების“ მეშვიდე ტომში სათანადო ადგილი ეთმობა ვახტანგ მეექვსესა (დაბადების 300 წლისთავის გამო) და თეიმურაზ მეორეს, წარმოდგენილია მათი შემოქმედების მოკლე, მაგრამ ამომწურავი დახასიათება, გარკვეულია მათი როლი და ადგილი ქართულ ლიტერატურაში. ავტორი გადაჭრით ილაშქრებს, მაგალითად, ვახტანგის შემოქმედებისა და პიროვნების არასწორი შეფასების წინააღმდეგ: „მცდარზე მცდარია შეხედულება, რომელსაც შესაძლებელია მავანი ვინმე ახლაც იზიარებდეს, თითქოს ვახტანგი უიდეო და უშინაარსო ანუ „პიი-პუუს, პიი-პუუს“ ჰანგზე მღეროდა, მაშინ როდესაც მის ქვეყანას თავზე ატყდა ათასგვარი უბედურება... ვახტანგ მეექვსე თავისი დროისათვის იშვიათად თავისთავადი მოაზროვნე პოეტი იყო, რომელმაც ღრმა კვალი გაავლო ქართული მწერლობის ხნულში და გარკვეული ხასიათის ზემოქმედებაც მოახდინა მის შემდგომ მსვლელობაზე“ (გვ. 183–186).

ქართული მწერლობა არასოდეს ყოფილა კარჩაკეტილი. უძველესი დროიდანვე მის განვითარებას ხელს უწყობდა მჭიდრო ლიტერატურული ურთიერთობა სხვა ხალხებთან. „ნარკვევებში“ დიდი ყურადღება ეთმობა ამ პრობლემას (წერილები „რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი XVII-XVIII საუკუნეებში“; „ბულგარულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან“). ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს — „შაჰ-ნამეს“ ქართულ ვერსიებს — მიეძღვნა, როგორც ითქვა, მკვლევარის პირველი ნაშრომი, რომელიც კრებულში დამატების სახითაა წარმოდგენილი. მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხის გარშემო მრავალი საყურადღებო გამოკვლევა გამოქვეყნდა, გამოიცა ქართული ვერსიების კორპუსი სამ ტომად, ალ. ბარამიძის ეს ნაშრომი დღესაც ინარჩუნებს თავის მეცნიერულ ღირებულებას. ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ, სამწუხაროდ, იგი არა მარტო ჩვენში რჩება ზოგჯერ ყურადღების გარეშე, არამედ საერთოდ ქართული ვერსიები ჯერ კიდევ არ არის ცნობილი და სათანადოდ დაფასებული საზღვარგარეთ. მაგალითად, სულ ახლახან ირანში გამოვიდა მონოგრაფია ფირდოუსის და მისი პოემის შესახებ (ეყბალ იაღმაი, ფირდოუსი — სიტყვის დიდოსტატი, თეირანი, 1975). სპეციალურ თავში — „შაჰ-ნამეს“ თარგმანები — ლაპარაკია არაბულ, თურქულ, ევროპულ თარგმანებზე, მაგრამ არაფერია თქმული უძველესი ქართული ვერსიების შესახებ!

„ნარკვევების“ ავტორი ძველი ქართული მწერლობის სპეციალისტია, მაგრამ იგი ყოველთვის დიდი ინტერესით ადევნებს თვალს თანამედროვე ლიტერატურულ ცხოვრებას. კრებულში მოთავსებულია წერილები „სიტყვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გალაკტიონ ტაბიძეზე“, „ავეტიქ ისააკიანი“, „დიმიტრი გულია“, „ოვანეს თუმანიანის გახსენება ატლანტიკის ოკეანეში“. ეს უკანასკნელი უფრო მხატვრულად დაწერილი მოგონებაა, ამდენად აჯობებდა მისი გადატანა კრებულის იმ მონაკვეთში, რომელსაც ავტორმა „მოგონებათა ფურცლები“ უწოდა.

ეს მონაკვეთი ორიგინალურად დაწერილი დოკუმენტური მოგონებებია, რომელთა ფურცლებზე მშვენივრადაა შერწყმული ავტობიოგრაფიული მომენტი, მხატვრული აღწერა და მეცნიერული ღირებულება. ერთი ავტორის ცხოვრებისეული ფაქტები ნათლად წარმოაჩენენ ქართული ფილოლოგიის განვითარების ისტორიას. აღსანიშნავია, რომ მოგონებათა ნაწილი ადრე „მნათობსა“ და „კრიტიკაში“ გამოქვეყნდა და მკითხველთა დიდი ინტერესი გამოიწვია. აქ აღწერილია მკვლევარის პირველი ნაბიჯები მეცნიერების გზაზე, პირველ წარმატებათა განუზომელი სიხარული და სიძნელეთა დაძლევით გამოწვეული ტკივილი („ბესიკის გამოცემა“). დოკუმენტური მასალით შემაგრებული ეს „მოგონებები“ მთელი დარგის ისტორიადაც გვევლინება, თავისი მრავალმხრივი(?) განშტოებებით. კერძოდ, „ქილილა და დამანასთან“ თუ ფირდოუსის იუბილესთან დაკავშირებულ ფურცლებზე შთამბეჭდავადაა წარმოდგენილი ქართული ირანისტიკის მეცნიერული დამკვიდრება, ამ დარგის თითო-ოროლა ენთუზიასტის ღვაწლი, რომლის ნაყოფსაც დღეს საქვეყნოდ აღიარებული ქართული აღმოსავლეთმცოდნეობა წარმოადგენს.

სხვაგვარი ხასიათისაა მოგონება „უკრაინაში — გურამიშვილის ნაკვალევზე“. ეს უფრო ლირიკული დღიურია, რომელშიც უშუალოდ აისახა ქართულ-უკრაინული ლიტერატურული ურთიერთკავშირი და გულწრფელი მეგობრობა.

„ნარკვევების“ მეშვიდე ტომში ზოგი სხვა მასალაცაა წარმოდგენილი („წვრილ-წვრილი შენიშვნები“; „პროფ. ელენე მეტრეველის სამეცნიერო დახასიათება“; „დევიდ ლანგის ვიზიტის გამო“). ჩვენ ყველაფერს არ შევეხეთ. ამის გარეშეც იგრძნობს მკითხველი კრებულის მრავალფეროვნებასა და სიახლეს. დიახ, სიახლეს,, რადგან მიუხედავად ზოგი წერილის ადრე გამოქვეყნებისა, ერთად თავმოყრილი მთელი ეს ნაცნობი და უცნობი მასალა ავსებს და აახლებს ერთმანეთს. ამიტომაც იკითხება იგი შეუნელებელი ინტერესით.

ალექსანდრე გვახარია

# „ჩვენი სამშობლოს მიწანი!“

ერთი ბიზანტიელი მემატიანე წერდა: „ისტორიაში შესული ადამიანები უკვდავებას იხვეჭენ, თუმცა სიკვდილის ხარკი მოიხადეს და დიდიხანია დაასრულეს თავისი სიცოცხლე-ისტორია ინახავს მათს სახელს, კარგი იქნება თუ ავი. ამიტომაც ისტორიას სამართლიანად შეიძლება ვუწოდოთ ცოცხალთა წიგნი, ანდა ბუკი ძლიერი, რომელიც თითქოსდა მკვდრეთით აღადგენს გარდასულ ჟამთა ადამიანებს და აცნობს ყოველ მსურველს.“ იმავე მემატიანის სიტყვით, ისტორიას ეხამუშება ბუნდოვანი და გაუგებარი თხრობა, ზიზილ-პიპილებში გამოხვეული სიტყვები, მაღალფარდოვანი გამოთქმები. ისტორია უნდა იყოს ნათელი, უბრალო, ბუნებრივი და ყველასათვის გასაგები, რათა მას თამამად მოჰკიდოს ხელი მჭედელმაც და მიწის მუშამაც, ჯარისკაცმაც და გლეხის ქალმაც.

სწორედ ამ კეთილშობილი მიზნით არის გამსჭვალული ცნობილი ქართველი მწერლის ვახტანგ ჭელიძის „ქართლის ცხოვრების ქრონიკები“, რომლის მეორე წიგნი ამ ცოტა ხნის წინ გამოაქვეყნა გამომცემლობა „ნაკადულმა“.

წიგნის ერთ-ერთ უმთავრეს წყაროს წარმოადგენს „ქართლის ცხოვრება“, მაგრამ ამასთან ერთად უხვად არის გამოყენებული უცხოური წყაროები“, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, ფოლკლორი, ეთნოგრაფიული მასალები, არქეოლოგიური მონაპოვარი, ქართველ და უცხოელ მეცნიერთა გამოკვლევანი. მწერალი საკუთარ მოსაზრებებსა და ვარაუდებსაც გვთავაზობს ამა თუ იმ გაურკვეველი საკითხის შესახებ.. ერთი სიტყვით, ეს წიგნი გახლავთ საქართველოს ისტორიის მხატვრულად გადმოცემის ცდა და მიზნად ისახავს, რომ ფართო მკითხველს და, კერძოდ, მოზარდ თაობას დაწვრილებით გააცნოს „ქართლის ცხოვრების“ დინება, ქართველი ხალხის გამარჯვებანი და დამარცხებანი, ჩვენი ქვეყნის ჭირი და ლხინი, ისტორიის მწარე გაკვეთილები და ხალხის ძვალ-რბილში გამჯდარი ოპტიმიზმი, რომელიც იჭედებოდა მძიმე ბრძოლებში და ქმნიდა მატერიალურ თუ სულიერ დოვლათს მომავალ თაობათა საკეთილდღეოდ.

„არაბთა პირველ შემოსევას უცხოელთა განუწყვეტელი თარეში და ხანგრძლივი ბატონობა მოჰყვა საქართველოში“, — ამ სიტყვებით იწყება „ქართლის ცხოვრების ქრონიკების“ მეორე წიგნი.

ქართველი ერის ბედი ბეწვზე ეკიდა და ყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველდღიურად იდგა მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი. სამ ფრონტზე იბრძოდა საქართველო. ებრძოდა არაბებს, ებრძოდა ხაზარებს და არანაკლები გამეტებით ებრძოდა ერთმორწმუნე ბიზანტიას, რომელიც „მეგობრად“ შენიღბული ლამობდა თავისი აგრესიული ზრახვების განხორციელებას. სიმონ ჯანაშიამ ამ დაძაბულ ბრძოლას „სამი მხრით ხმლის ქნევა“ უწოდა.

მწერალს, წიგნზე მუშაობის დროს, შავი მელნით ჩამოუწერია დამპყრობელთა შემოსევების გრძელი ნუსხა და პარალელურად, წითელი მელნით — ქართველი ხალხის გმირული წინააღმდეგობის ფაქტები. წითლად შეღებილი სიტყვა „აჯანყება“ მხარდამხარ მისდევს შავ ნუსხას, არ ჩამორჩება და არ ეპუება. სამშობლოსათვის დაღვრილი სისხლი წითელ ხაზად გასდევს ერის ისტორიას და აქარვებს შავი ნუსხის პირქუშ ერთფეროვნებას.

დაპყურებს მწერალი გაბმული ბრძოლების ნუსხას და აგონდება ერთი შოტლანდიური ლეგენდა. პატარა შოტლანდიას ჩაყლაპვას უპირებდა ინგლისი. შოტლანდია გმირულად იცავდა თავს და დაუღალავად იგერიებდა მრისხანე მეზობლის თავდასხმას. XIV საუკუნის დასაწყისში ინგლისმა განსაკუთრებული გააფთრებით შეუტია შოტლანდიას და ზედიზედ რამდენიმე დამარცხება აგემა. შოტლანდიელები ფარხმალს არ ჰყრიდნენ. იელიტებოდნენ ისინი და მაინც ქედმოუხრელად განაგრძობდნენ წინააღმდეგობას. ხალხს ყველა ბრძოლაში წინ უძღოდა მეფე-სარდალი რობერტ ბრუსი. ერთხელაც მორიგი დამარცხება განიცადეს შოტლანდიელებმა და ძლეულმა რობერტ ბრუსმა მიტოვებულ ქოხს შეაფარა თავი ულრან ტყეში. ჯაჭვის პერანგი არ გაუხდია, ისე მიეგდო ქოხის კუთხეში მშიერ-მწყურვალი და ილაჯგაწყვეტილი მეფე. ძილი იქნებოდა ახლა მისი წამალი, მაგრამ ბრძოლითა და მწარე ფიქრებით აღგზნებულ გონებას ძილი არ ეკარებოდა. ომი საბოლოოდ წაგებული იყო და სასოწარკვეთილს ელანდებოდა მომავლის შავი სურათები: შოტლანდიის დაპყრობა ინგლისელთა მიერ, ეროვნული თავმოყვარეობის შელახვა, შოტლანდიელთა ადათწესების დარღვევა და შებღალვა, ქვეყნის გაპარტახება, შიმშილის კლანჭებში მოქცეული ხალხი, ბავშვების გადაგვარება და, ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი შემზარავი შედეგი უნდა მოჰყოლოდა ინგლისელთა გაბატონებას შოტლანდიაში. ფიქრობდა მწარე საფიქრალს მეფე და არსაიდან ჩანდა იმედი და ნუგეში. უეცრად ქოხის კუთხეს შეავლო თვალი. ჩამომპალ ისლის სახურავში შემოჭრილ მზის სხივს გაენათებინა ობობას ბუდე. თვითონ ობობა ქსელის ერთ კუთხეში იყო მიყუჟული. მეფემ ანგარიშმიუცემლად ასწია ხელში შერჩენილი მახვილი და ქსელი დაუშალა ობობას. ცოტა ხნის შემდეგ გაკვირვებით შენიშნა, რომ ობობას ისევ გაება ქსელი. ისევ ასწია მახვილი რობერტ ბრუსმა და ისევ დაუქცია ბინა მწერს. ობობამ კვლავ აღადგინა ქსელი და მეფე უკვე დაინტერესდა ამ უცნაური მოვლენით. როდესაც მეშვიდედ არ შეეპუა ობობა თავის განსაცდელს, მეფეს გულგატეხილობა გაუქრა და რწმენის სიმტკიცემ შეიპყრო მისი გონება. იფიქრა, თუ უსუსური მწერი ასეთი მოთმინებითა და იმედშეურყევლად ებრძვის ბედს, მე რაღა ღმერთი გამიწყრაო. გამხნევებულმა სწრაფად მიატოვა თავშესაფარი და ბრძოლის წყურვილით ანთებული სათავეში ჩაუდგა კიდევ ერთ გადამწყვეტ ბრძოლას დამპყრობელთა წინააღმდეგ. ეს ბრძოლა შოტლანდიელებმა მოიგეს.

მომხიბლავი შოტლანდიური ლეგენდა უშუალოდ ეხმიანება „ქართლის ცხოვრების“ ფურცლებზე მიმოფანტულ ეპიზოდებს, სიტყვაძუნწად რომ გვიხატავენ თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხის მძიმე ბრძოლას აგრესორ მეზობლებთან. მწერალი განავრცობს ლაკონიურად გადმოცემულ ამბებს, საკუთარი ფანტაზიით აცოცხლებს და ავსებს ისტორიას. ერთ ადგილას თვითონვე შენიშნავს, სკეპტიკურად განწყობილ ადამიანს ეგებ ძალზე თამამი ეჩვენოს ზოგიერთი ვარაუდი, როდესაც დიდი ხნის წინათ მომხდარ ამბებს ვაშუქებ და მაშინდელი ადამიანების ფიქრისა და საზრუნავის ამეტყველებას ვცდილობო. დიახ, მწერალი იმაზე მეტის ამოკითხვას ახერხებს წყაროში, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება მოგეჩვენოს და გაბედულად ამდიდრებს მწირ ცნობებს. ლოგიკური ანალიზი თითქმის ისტორიულ სინამდვილედ აქცევს მწერლის ვარაუდს. საამისო ნიმუშები მრავლადაა წიგნის ფურცლებზე.

ვახტანგ ჭელიძის სამართლიანი შენიშვნით, ქართველი ხალხის საარაკო შეუპოვრობა არა მარტო აჯანყებებსა და უთანასწორო ბრძოლებში ვლინდებოდა, არამედ კიდევ უფრო მეტად — შემოქმედებით შრომაში, როცა ხალხი ათასჯერ დანგრეულსა და მიწასთან გასწორებულს კვლავ აშენებდა, აღადგენდა, ხატავდა, აქანდაკებდა, თხზავდა, ქმნიდა... „მოვრწყოთ ნალვაწით, ოფლითა ჩვენის სამშობლოს მიწანი!“ და მართლაც, სისხლზე არანაკლებად ოფლით ირწყვოდა საქართველოს მრავალტანჯული მიწა. საგმირო საქმეთა გვერდით ამაყად ჟღერდა შრომის სადიდებელი და საგალობელი. „ასე ჰგონია დუშმანსა, არცა ხვნენ, არცა თესვენო, არცა უბიათ ხარები, არცა კალოსა ლეწვენო“ — იმოწმებს მწერალი ხალხურ ლექსს და შენიშნავს, მოლექსე თითქოსდა დამცინავი ღიმილით მიმართავს ვიღაც გადამთიელს: რაკი არა ვწუწუნებ და სიმღერითა ვშრომობ, მართლა ხომ არა გგონია, რომ ზღაპრული სამოთხე მიბოძა ღმერთმა და ხელის განძრევაც არ მჭირდება ლუკმა-პურის მოსაპოვებლადო.

ვახტანგ ჭელიძე ბეჯითად ეძებს და პოუ-

ლობს ხალისიანი შრომის სურათებს მინიატურებზე, რომლითაც ძველი ხალნაწერები შეუმკიათ, ზეპირსიტყვიერებისა და მუსიკალური ფოლკლორის აურაცხელ ნიმუშებში, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებში, სადაც აღწერილია, თუ როგორ აშენებენ ჩვენი წინაპრები ქართული კულტურის ცენტრებად ქცეულ მონასტრებს კლდოვან და კაცთაგან უვალ ადგილებში, როგორ ავაკებენ „ფიცხელ კლდეს", როგორ ებრძვიან მიწას მცხუნვარე მზის სხივებქვეშ, და როგორ ებრძვიან სიტყვას სანთლების შუქზე. თავაუღებელი შრომა დღისით და ღამით, მრავალსაუკუნოვანი შრომა.

„ჩვენის სამშობლოს მიწანი" ერთ-ერთი მთავარი გმირია წიგნისა. ამ მადლიან მიწას ეცილებოდნენ დამპყრობლები ქართველ ხალხს და საუკუნეების მანძილზე იცავდა იგი მშობლიურ მთა-ბარს.

ხშირად შინაური შუღლიც ჩაღდებოდა მიწისათვის. ეკლესია ფეოდალის სამფლობელოებს ეპოტინებოდა და ფეოდალი — სხვა ფეოდალისას. თბილი იუმორით გადმოგვცემს მწერალი ეპიზოდს, როდესაც ბერები ჩადიან მთავარ ჩორჩანელთან სამცხეში და სთხოვენ სამონასტროდ შერჩეულ ადგილს, თვით უფალს რომ მიუნიშნებია მათთვის. მაგრამ ჩორჩანელს ვერ გაუმეტებია ეს ადგილი, სადაც მისი სანადირო ტყეებია. არადა, ცივი უარის თქმაც არ ძალუძს ხვთისმსახურთათვის. ჯერ ეუბნება, ადგილს კი მოგცემთ, მაგრამ მონასტრის აშენებაში ჩემს დახმარებას ნუ მოელითო. მერე ასეთ პირობას წამოუყენებს: დილიდან საღამომდე რასაც კი გაივლით, თქვენი იყოსო. მეორე დღეს, უჭმელ-უსმელი ბერები, ტყე-ღრეში ხეტიალით ტანსაცმელშემოფლეთილნი ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი მიწა მიითვალონ. ასეთი კომედია გაითამაშა ჩორჩანელმა და ბერებს თავბედი აწყევლინა, მაგრამ ზოგჯერაც დავა მიწის გულისათვის ტრაგედიით მთავრდებოდა. ბასილი ზარზმელის მიხედვით, ჩორჩანელის მემკვიდრე აზნაურებს თავისივე სიძე მოუკლავთ, უკმაყოფილო რომ იყო მიწის გაყოფით. ის მიწა საბოლოოდ არც მათ შერჩათ. სამი წლის შემდეგ, ახალმა ეპისკოპოსმა ჩამოართვა სადავო მიწები და ეკლესიას გადასცა.

გულისტკივილით შენიშნავს მწერალი, რომ მიწის ნამდვილი დამმუშავებელი, ვინც დღენიადაგ მიწას ჩაჰკირკიტებდა და თავისი ოფლით აპოხიერებდა, ისევ და ისევ გაწბილებული რჩებოდა.

მარტო ხმლითა და გუთნით არ ემსახურებოდა ქართველი კაცი თავის სამშობლოს. ზოგჯერ სიტყვაც უწევდა ხმლის მაგივრობას. და აი, მწერალი მოგვითხრობს XI საუკუნეში გამართულ პაექრობას ანტიოქიის პატრიარქსა და ქართველ ბერს შორის. ანტიოქიის ახალ პატრიარქს შეუჩნდებიან ხელქვეითები, რათა მან კვლავ დაუმორჩილოს საქართველოს ეკლესია ბიზანტიის ეკლესიას. ისინი ვერ შეგუებიან იმ ვითარებას, როდესაც საქართველოში თვითონ ირჩევენ თავის კათალიკოს-ეპისკოპოსებს, თვითონვე განაგებენ თავის საქმეებს და არავის ემორჩილებიან. მათი აზრით, საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა შეუწყნარებელი თავგასულობაა, რადგანაც საქართველო პატარა ქვეყანაა, მდებარეობს დიდი ბიზანტიის მეზობლად და, ცხადია, უნდა დაემორჩილოს მას. გარდა ამისა, ისინი იმასაც ამტკიცებენ, რომ ქართველი ხალხი გაუნათლებელი და უმეცარია და ბიზანტიის ეკლესიის მეურვეობას საჭიროებს. სხვა საბუთებსაც იშველიებენ ბერძენი მღვდლები და სთხოვენ თავის პატრიარქს აღადგინოს სამართლიანობა. საეკლესიო კრებაზე საკითხის გატანამდე პატრიარქმა ისურვა რომელიმე ქართველის გაცნობა, რათა თავად დარწმუნებულიყო მომჩივანთა სიმართლეში. პატრიარქს შეახვედრეს გიორგი მთაწმინდელი. პირველი წუთებიდანვე გაოცდა პატრიარქი. „უმეცარმა ქართველმა" ჩინებული ბერძნულით გაუბა საუბარი. ცოტა ხნის შემდეგ პატრიარქი დარწმუნდა, რომ მის წინაშე იდგა მრავალმხრივ განათლებული და მცოდნე ადამიანი. ქართველი ბერის გაცნობამ შეურყია მომჩივანთა საბუთების საფუძველზე შექმნილი აზრი, მაგრამ უკან არ დაიხია და აღძრული საკითხი მაინც გადასცა განსახილველად საეკლესიო კრებას. ვერც კრებამ უშველა მომჩივანთ. გიორგი მთაწმინდელის შთაგონებულმა სიტყვამ და საფუძვლიანმა არგუმენტაციამ აიძულა ბიზანტიის ეკლესიის წარმომადგენელნი, უკან წაეღოთ თავისი საეჭვო პრეტენზიები.

...ილია ჭავჭავაძე წერდა: „უკეთესნი და უდიდესნი მომქმედნი ერისა ხომ სხვა არა არიან-რა, თუ არ ერის გულის-ნადების და წყურვილის გამომეტყველნი და გამახორციელებელნი, რომელნიც ამის გამო თითქო შემოქმედობენ, თითქოს ჰქმნიან ისტორიასა. ამიტომაც ეს ამისთანა მომქმედნი, ვამბობთ ჩვენ, დაუვიწყარნი უნდა იყვნენ, თუ ერს კიდევ ერობა ჰსურს და დედამიწის ზურგიდამ მტვერსავით ასაგველად არ გადაუდვია თავი. დავიწყება ამათი — საკუთარის ვინაობის დავიწყებაა, და თუ კაცს თავისი ვინაობა არ ახსოვს, რიღას მაქნისია? იგი ნადირია, რომელსაც, რაკი დედის ძუძუს მოჰშორდება, აღარ ახსოვს თავისი მშობელი და სიცოცხლის მიმნიჭებელი."

მომხიბლავად ელვარებენ ვახტანგ ჭელიძის წიგნის ფურცლებზე ქართლის ცხოვრების შემოქმედთა და ქართველი ხალხის ბედის მჭედელთა დაუვიწყარი სახეები. რომელი ერთი ვახსენოთ და ჩამოვთვალოთ?

მწერალი იმოწმებს ფრიდრიხ ენგელსის ცნობილ სიტყვებს იმაზე, რომ ფეოდალური არევდარევის პირობებში სამეფო ხელისუფლება

პროგრესულ ელემენტს წარმოადგენდა. იგი ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ერისათვის წესრიგის წარმომადგენელი იყო.

მსხვილ ფეოდალთა გარკვეულ ნაწილს ხელს არ აძლევდა ქვეყნის გაერთიანება და მეფის ქვეშევრდომობა. პატარა სამთავროებად დაქუცმაცებული ქვეყანა ერჩივნათ მთლიან საქართველოს. ეს იყო ფეოდალიზმის დამახასიათებელი თვისება ყველგან და, რა თქმა უნდა, გამონაკლისი არც ჩვენი ქვეყანა იქნებოდაო, შენიშნავს ვახტანგ ჭელიძე. დამპყრობელთაგან ნაწყალობევ ტიტულებს დახარბებული ფეოდალები, განდიდების ჟინით შეპყრობილნი, საკუთარი მუცლის ჭირისუფალნი, უსინდისოდ ჰყიდდნენ სამშობლოს და იმაზე არც კი ფიქრობდნენ, რომ მრავალი საუკუნის შემდეგაც შთამომავლობა მათ გვარებს სამარცხვინო სიაში წაიკითხავდა. მწერალს არ ავიწყდება მათი ბნელი საქმენი („აწ რომ ავი არ ვაძაგო, კარგი როგორ უნდა ვაქო?“) და შუქჩრდილთა მონაცვლეობა ქმნის ისტორიის მართალსა და დამაჯერებელ სურათს. საბედნიეროდ, შუქი სჭარბობს და სძლევს ჩრდილს. და ერთიმეორის მიყოლებით ცოცხლდებიან წიგნის ფურცლებზე ქართველი ხალხის რჩეული შვილები. ავტორი სიყვარულით გვიხატავს უბრალო ქართველი ჭაბუკის, სახელად გობრონის, პორტრეტს. სამშობლოს ღალატი მოსთხოვეს გობრონს არაბებმა. მშვიდად იუარა. მაშინ უჩვენეს თანამოძმეთა წამების საზარელი სცენები. არც ამან შეაცბუნა გობრონი და წარბშეუხრელად შეხვდა წამებით სიკვდილს. ხალხთა ძმობისა და ინტერნაციონალიზმის ბრწყინვალე ილუსტრაციად გამოდგება არაბი ჭაბუკის აბოს ცხოვრება. იგი გაქრისტიანდა, გაქართველდა, დაგმო თავისი რჯული — დამპყრობელთა რჯული, თითქოს გამოსყიდვა სურდა არაბთა მიერ საქართველოში ჩადენილი ცოდვებისა. და არაბმა ჭაბუკმა გაიზიარა ქართველი ჭაბუკის ხვედრი. აბოს წამების აღწერა ქართველებში ეროვნული სიამაყის შეგნებას აღვივებდა, ამხნევებდა ხალხს, თუ როგორია ჩვენი რჯული და ჩვენი ქვეყანა, რომ გაბატონებული ხალხის შვილი ჩვენს მხარეზე გამოდის და ჩვენთვის სიცოცხლეს სწირავსო.

აგერ დავით კურაპალატი, რომელიც ათავისუფლებდა ქართველსა და სომეხ მოსახლეობას არაბ დამპყრობელთა უღლიდან. სომეხი მემატიანე ასე ახასიათებს მას: „დიდი კურაპალატი დავით ჩვენი დროის ყველა ხელმწიფეს აღემატებოდა თავისი ღმობიერებითა და მშვიდობისმოყვარე გულით“. ვახტანგ ჭელიძე გვიჩვენებს, თუ როგორ ზრუნავდა მწიგნობრობის დიდი მოყვარული და ღრმად მცოდნე მეფე ქართული კულტურის განვითარებაზე, რასაც პირველხარისხოვან ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ანიჭებდა. გულდასმით ეცნობოდა იგი ქართულ ენაზე თარგმნილ წიგნებს და ახალი დავალებებით ტვირთავდა ქართველ მთარგმნელებს. აგერ, ბაგრატ III, რომლის სახელს უკავშირდება ისეთი დიდი მოვლენა ერის ცხოვრებაში, როგორიცაა ქვეყნის ცალკეული კუთხეების შეკავშირება და ერთიანი საქართველოს შექმნა. აგერ, გიორგი I, რომელმაც, ივანე ჯავახიშვილის სიტყვით, მთელი თავისი ძალღონე ბიზანტიის კეისრის წინააღმდეგ ბრძოლას შეალია. ცნობილი რუსი მეცნიერი უსპენსკი მას უწოდებს დამოუკიდებლობისათვის დაუცხრომელ მებრძოლს. ვახტანგ ჭელიძე აღწერს, თუ რაოდენ მშფოთვარე მოღვაწეობა ერგო წილად გიორგი I-ს, რამდენი ბრძოლა და ომი გადაიხადა ახალგაზრდა ქართველმა მეფემ, რომელიც ოცდახუთი წლისა გარდაიცვალა.

განსაკუთრებული სიყვარულითა და მოწიწებით გვიხატავს მწერალი სახელოვანი ქართველი მოღვაწის გრიგოლ ხანძთელის პორტრეტს, და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ამ დიდებულ ადამიანს საეკლესიო სამსახური კაიგივებული ჰქონდა სამშობლოს სამსახურთან. იგი გამუდმებით ზრუნავდა მომავალი თაობის აღზრდაზე, რომელსაც უნდა გაეგრძელებინა მისი საქმე. მწერალი ამახვილებს ჩვენს ყურადღებას გიორგი მერჩულეს მოთხრობის ერთ ადგილზე, როდესაც გრიგოლს მისი მოწაფეები ორ პატარა ბავშვს მიუყვანენ აღსაზრდელად. ეტყობა, დიდად ნიჭიერი ბავშვები იყვნენო. გრიგოლმა ისინი მონასტერში მიიღო, რათა ეროვნულ მოღვაწეებად აღეზარდა. მაგრამ სამონასტრო წესდების მიხედვით, ექვსი წლის ბავშვს მონასტერში არ შეესვლებოდა, და ბერები საშინლად აღშფოთდნენ. გრიგოლი არ შეეპუა ბერების პროტესტს, დააშოშმინა ისინი. ეს ერთხელ დავარღვიოთ წესი და შემდგომში თუ ვინმე გაბედავს ბავშვის გამწესებას მონასტერში, ქრისტეს მეორედ მოსვლისას შეუბრალებლად დაისჯებაო!

XI საუკუნის დამლევამდე მოვიდა „ქართლის ცხოვრების ქრონიკების“ მეორე წიგნი. საქართველოს ისტორიის ნაცნობსა თუ უცნობ ფურცლებს ორიგინალურად მოუთხრობს მკითხველს ვახტანგ ჭელიძე, როგორც გამოცდილი და ენამჭევრი მეგზური, რომელმაც ზეპირად იცის ყოველი მტკაველი მშობელი მიწისა, მისი ყოველი სიხარული და წუხილი, მისი ქალაქები და სოფლები, ტაძრები და ქოხები, მიუვალი მთის ბილიკები და ლაღად გაშლილი ველები, და მწერლის წიგნში ყოველი კილო ქართველთა გვარისა ერთიანდება დიდებულ, მრავალხმიან სიმღერად, შრომისა და ბრძოლის ძლევამოსილ ჰიმნად.

ზ. ხარაბაძე

ფასი 80 კაპ.

ИНДЕКС
76128

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# „МНАТОБИ»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ